

33

მნათობი

ქართული
განათლების

6-7

პუბლიკა და პრეტბა

- ნიმ. ჩიქოვანი
- ვარ. კუხაძე
- ზ. ქაბახიძე
- ზ. შუჩიშვილი
- ირ. სონღულაშვილი
- კ. ჩხიკვაძე
- ზ. ბააჩიანი
- საბო მგელიძე
- კ. მამსახურაძე

მთვლენიანი

- კ. აბაშიძე
- კახლ. ქალაძე
- ზ. ბიზინიშვილი

ქართული

- ზ. ნობიშვილი
- ალ. ჩავჭავჭავაძე
- პ. მამსახურაძე
- ს. იოსელიანი
- თედო საბოძე
- ი. თინათინი



სარედაქციო კოლეგია:

გ. ყურულაშვილი, ს. ეული, ივ. ვაზაშვილი, შ. კადიანი,
დ. სულიაშვილი, ბალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი,
პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ. / მგ.
მდივანი).

პ./მგ. რედაქტორი: ბიორგმი ყურულაშვილი.

ჟოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა

შეტ. № 1023. ტირ. 3000
შთალიტ. № 941.

ტფილისი, შაჩაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ვან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასაბუკო. ტფლ. №
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 34, პერიოდსექტორი

სიმონ ჩიქოვანი

გაზაფხულის და ყოფის აღწერა

გაზაფხულის მზე

ყოველ დღე ისერის
სხივებით ისარს.

მედის ოთახში სიმწვანე
და სითბო ფარული.

კუთხე იცლება დაზამთრებულ
შემთხვევისაგან

და სავარძელზე ზის
მზის თვალი სასიხარულოთ.

ფანჯრებში ჩადის ფოთლების ფერი
ცა გამჟვირვალე,

ბრუნის სიღინჯით

კატა ეტრფის სხივთა აკიდოს.

კარი დაღლილი

ქირვეულად ძრწის და ჭრიალებს
და სტრიქონები დაეძებენ საწერ მაგიდას.

დღე დაფენილი წიგნების ზემოთ

ეარდის ფერია.

ღრუბლები დიან შორეთისკენ გადიებოვით;

პოეტს ოთახზე ბევრჯელ წყველა დაუწერია

და ჰონორარიც შაულია გადიდებული.

საგაზაფხულოთ

მგოსნის სული

მიაგავს მძალეს...

ბევრჯელ თქმულა და

ოთახი—კი დარჩა ადათად.

რასა გავს ეს?

და წარსული პასუხს შეგძახებს:

ათასად კაცი დაფასდა

ოთახი ათი ათასად.

მახსოვს, ოდესღაც მოუტანე ყოფას „უარი“

და ამმოხების ჩვილი სიტყვა

წიგნში ჩაედევით.



ქართული
ლიბრარიონი

ჩემს და სულს შორის უფსკრულია გარდაუვალი
თუ დამამარცხა

ხელმეორედ ვიარადდები.

მაგრამ შემოდის თანჯარაში ზეცა მაშველი,
დარეკავს ყოფა — მღუმარა და დოქი გაღია.
ასე ცხოვრობდა ოთახებში თვით ნინოშვილი
და წლიდან წლებში

ოთახები ასე დადიან.

გადასწევ ტახტს

მაგიდა თავის ადგილზე რჩება,
მაგიდას გაღმა სამყაროში ნუ იხედები.
ნუთუ არასდროს არ შეიძლება

კაცის მოჩვენა...

ახალ ცხოვრების წყობითა და ორბიდეებით?
ვიღაც დემონი

შეთხზული და ნილაბიანი

მგოსნის სულიდან

შემოგცქერის მღვრიე თვალებით.
ოთახი რჩება კალოშივით პირგაღებული
და გაზაფხულის

მზეს უხმობენ საყდრის ზარები:

— რევოლუცია არ მოხედესო ოთახის ცისკარს
და ნუ ხარჯავთო კაღნიერნი

უამრავ მელანს.

მემკვიდრეობა გადმოგვეცა მამა პაპისგან

ვიყოთ ნაჭუჭში ჩვეულგბრივ

და გარდუქმნელათ.

შეასხვაფერეთ: ეზო, კარი, ქვეყნის ბუნება,
მაგრამ ოთახში წარსულია შენი ცდუნება.

კედლის ჩრდილები

მზის სხივებზე იკარგებიან

დემონი დუმს.

რამ დაადუმა?

მაინც რას გვიზამს?

ოთახიც დუმს და დუმშილში გაკვირვებული
დასაფლეთისკენ სამოგზაუროდ მოითხოვს ვიზას...

სადაც მგოსანი დგას მღუმარეთ,

არა აქვს თემა

სადაც კაცობა იწურება და ითენთება.

ამოვლებული ოთახებში დღენი უცბონი

გაზაფხულისას ცოცხლებიან ჭაერის სუნით;



გაფრინდებიან
 სურნელოვან გაშლილ ცაცხვებთან
 და ფუტკრების ჯარს
 გარეკავენ ველზე ზუზუნით.
 და როგორც დედამისი
 უფროს ვაჟის გასვენებაზე
 ლექსი მიტირის საწარმოებში
 მიმავალ ხალხს
 ოთახებია ქვეყანაზე...
 ოთახებია ქვეყანაზე
 და ყრია შიგნით

ნატეხები ცისა და მთვარის... მოტენიეთ იმისაგან-ინათ
 მშობლის ცოდვებს თავზე გახევევენ. ოცი თხარტე კიწონ ანესპი
 გასახმენ მამაბაპისგან დახარჯულ მელანს... ითრებ იულტობ
 გავეყოფ გულს... თინოიღი, ითრებულთაიმიღი ბნემიგ მტდამ
 ერთ მხარეს ვარქმევე მებრძოლ ნახევარს... იულტ ცნუამ, დე ითობ
 და მეორეს კი დაეუტდებ... თეთრამი: ითმტტტ პტტტტუ
 ძაღლებს საჭმელად... ითმეგ მტრეგ დე იმინთეა იულტნთუ
 სავარძლებს ვბრძვის... თამთიო იფენი, იობანტლ ითუამიწ იფენი
 ახალ აზრთა მშობი დაზგები... ზე რბი, მტტტუგ მტრეგ იმმეწუ
 წამოდგებიან და ქსელავენ ცხოვრების ბადეს... ითოციგ, ეამტოტტნთენი
 ძველო ოთახი... თმტტტთეგ იფენი, გტტტტმმმ იფენი მინოამიულტტმ
 შვალერების ძარღვით დასკდები... მთიეტტამ დე თეთრმტტტობამ
 და თვით წიგნებმაც... ინტატტტტონ თით
 შენ ბრძოლები გამოგიტბადეს... დე ტტტტ... სასთ
 დრო მიმდინარე... თუტტ... თუტტ... თუტტ... თუტტ... თუტტ...
 ყოველ დღე... თუტტ... თუტტ... თუტტ... თუტტ... თუტტ...
 ისერის სხივებით ისარს... მტტტგ რა იგ, თოთოტტამ
 მიქრის სახლებთან მერცხლებით... თმტტგ მტტტ, ეტტამ თოტტამ თოტტამ
 და კარის ზარებით... თმ ტმ, მთენი ბმტტგ ნს, სასს სასს...
 შვალერებს სისხლი ჩამოადინა... თმტტთეათეგ მთენი ეტოცი, ითუთ
 მზის ფრჩხილებისგან... ინტუმტტტ იულტტმტტტგ წათიტი ტუიბინ
 და სავარძელზე ზის აპზობი სასიხარტლოთ... თუე ეტობმინ, მმთიულმტტტ
 საგაზავხლოთ წელს მერცხლები შაინც... მთფრინდენ, მტტბარტგმ-მტტგ
 ოთახის სულსაც მოეშველენ... თტგ მთენ დმ ითობტტე ტენ დე იინწთ
 წყველა გადახდილს... მტტამტტ ტუბი ტენ მარტტ, ბარტტ იინ
 თქვენიც პოეტებო... თტ მთეუგ მტტგ მტტ ამტტმმმეგ მბარტტ
 ჩამოსულნო განვლილ სოფლიდან... თებრტტ
 საკეთიარ თავს ეკვეთეთ და... თტტტტ მთულტ იინტ, ტეგტუ, ტტტ
 შეიარაღდით... თტგ მტტ ითოლგ შინგბი ფტუიკონ ტტტ, მინო
 ისარჯუ



ნანაშრომები

პროლოგი

ბოლშევიკებში დაებატრონა ჩემ გულსა. მთელი კვირა კარჩაკეტილი ვიყავი. გარეთ არ გამოვდიოდი. ოთახს გმინვით ვავსებდი: ჩემი სათაყვანებელი არსება მწიხის კერძად იყო ქცეული და ესა მკლავდა.

სრული ერთი თვე იწვა სარეცელზე და იტანჯებოდა. ვუახლოვდებოდი—სახეს განგებ ვიშხიარულებდი, ვითომდა საფრთხეს არ მოველოდი, ვშორდებოდი და სადმე კუთხეში ჩუმშუმად ცრემლსა ვღვრიდი.

ღამეებს ვტეხდი: მინდოდა სიკვდილისათვის ხელიდან გამომეგლიჯა მახლობელი ადამიანი და ვერას ვაგებდი. იმედი დავკარგე.

იმედი წამალია უებარი, იმედი თილისმია: აქვს გულში კაცსა—მაენე მოვლენანი ვერას აკლებენ, არა აქვს და სიკვდილი ებატრონება კარგადმყოფსაცა და ავადმყოფსაც. ვიცოდი ესა და მე, თვითონ იმედგადაწყვეტილს, მსურდა სათაყვანებელისათვის იმედი ჩამენერგა, იმედი გადარჩენისა, რომ ამით გულისცემა შეპნარჩუნებოდა და სიკვდილს შეპბრძოლებოდა.

უპოვით მოვუჯექი.

ლაპარაკი დავუწყე და ღმობიერად გამიღიმა.

— რა გულუბრიყვილი ხარ, ლევა, რა გულუბრყვილი!

უნდა პასუხი გამეცა და შემაჩერა.

— საერთოდ კი არ გეუბნები, არა! აი ამ შემთხვევაში მხოლოდ გულუბრიყვობაა ეტა. არც შენა ვაქვს იმედი ჩემი მორჩენისა არც მე და ვერც მოაკვირვებ ვეცა ჩემ გულში იმედსა. ნუ მოჰყევ ტოკვასა, რაც მართალია, მართალია. იცოდე ამაღამ ვავთაედები. ცრემლის ღვარები წამოგვივიდა? რა თავი მიიღე იქითა? გულწრფელი ცრემლები ჩემთვის ბედნიერებაა. მიწიერი მაგრე ცრემლიანმა, მიწიერი. ადრეც მინახავს აგეთი ცრემლები. ვაეკაცი სტიროდა ვაეკაცს მეგობარსა, ვაეკაცი, გახელებული დათვის ძირს დამცემი, ტიროდა მოთქმით და მეც ავტირდი, მე, მუდამ გულგრილი მაყურებელი უსუსლო გვამისა... ჰეი! ზურაბ, ზურაბ! მეცა მალე შენსაებრ მიწას შევეუერთდები!..

ზურაბის გახსენება ჩემ გულს ელდად ეცა. ავადმყოფი თვალებში ჩამაცქერდა.

— შენ, ლევა, ჩემი სულის ნაკვეთი ხარ და შენ ერთადერთი ხარ ჩემთვის. შენ მოცილდ არავინ გყოლია ჩემ გულში. აბა, გამოსწიე მაგიდის აი იმ უჯრასა!

სურვილი აფუსრულე. ორი პაკეტი ამომადებინა. ერთზე ჩემი სახელი და გვარი ეწერა. ავადმყოფმა თვალი შეაღწო.

— ეგ შენ სახსოვრად, ეგ მეორე ჩემ ძმას ლევანსა. ნეტავნა რაა? მოუგვიანდა იმ ოხერ კეცყანასი? ხომ შეატყობინე ჩემი ავადმყოფობა? — დაეშინებოდა?

დადუმდა. თვალები დახუჭა. ორივე პაკეტი თავის ძველ ბინას დავუბრუნე. სავარძელში ჩავვდე და ისევ ჩემ სათაყვანებელს დავსცქეროდი. ქალარა უბზინავდა და შუქი უკრთოდა სახეზე. სამოც წელს მიხწეული მძლავრი გონების იერით იმზირებოდა და რაღაც იმედის სხივმა გაიფლავა ჩემ გულში. ოცნება ამიმოძრადა...

ზარი ჩამოჰკრეს. ავადმყოფმა თვალი გაახილა.

— მოვიდა, მოვიდა, ლევანი! ვნახე ერთხელ კიდევ ჩემ ძმას!

მე ექიმს მოველოდი. კარი გავაღე და მართლაც ლევანი შემოვიდა.

ჩემი სათაყვანებლის სიხარული უსაღვრო იყო.

— ბედნიერი ვარ ბედნიერი, ლევან და ლევავ, რომ უპატრონო არა ვკვდები.

ძმამ ძმა რამდენჯერმე ჩაიკრა გულში. ბოლოს მეც მომეხვია გამოსამშვიდებლად... ჩემ შუბლს მოხვდა ვაკეობის ტუჩები და ვიგრძენ სიკვდილის მოვლინება და დამკვიდრება მეგობრის სარეცელზე...

— : —

ჩემ კარჩაკეტილობას ლევანმა მოულო ბოლო. ძმის დანატოვარი ცნობაში მოეყვანა და მოსალაპარაკებლად შემოიარა ჩემთანა. ტახტზე დაგდებულს გადმოხვდა თავისი ენერგიული თვალით და წარბები მოიღუშა.

— არ ვარგა აგრე მოშვება. ნებას არ მოგცემ...

მომხვია თავისი მძლავრი მკლავები და წამომამყენა. შუბლზე დაკოვრებული ხელი გადამისვა.

— მაგრა იყავ, მაგრა... თუ გინდა, გამოიყე სოფელში. ხალხმა მამული მევე დამიტოვა იჯარით: გიმუშავნია წინათ აქა და ახლაც იმუშავევო. შენგან თუ არას ვისწავლით, ხომ არა წაგვიხდება რაო. წამოდი. მწერლობის ასპარეზზე ნერვები ძალიან იწვეწება ხოლმე და დალაგება ესაჭიროება... ერთი გილოს დანატოვარს ადგილი მრევუნახო, უსათუოდ წაგიყვან. შეგკარამ და ისე წაგიყვან თუ უარს შეტყვი.

უბიდან პაკეტი ამოიღო.

— იცნობ ამასა?

— ვიცნობ.

— აბა, მამ რატომ არ წამოიღე! საყვარელი ადამიანი აღარ არის და იმისი სახსოვარი მაინც იქონიე.

პაკეტი გადმოშვა. ვაგბსენი. შიგ რვეულები აღმოჩნდა.

— ბიჭოს! დღიურები! — გაიოცა ლევანმა. — ლევავ, ეს შენი ზეგავლენაა! გილოს შენებრი ნერვები ჰქონდა, აბა წავიკითხოთ. აბა, მამ, დღიურე რაღა! არ წიკითხავ?..

რას არ წაგვიკითხავდი! გადავშალე პირველი რვეული და შიგნით წერილი ვნახე.

„ჩემო ლევაზე, — მწერდა გილო, — გიტოვებ დღიურებს. შენცდი გამოაქვეყნებ ნურათფერს დაერიდები. მართალია მე გაცილებით უფროსი ვარ შენზე, გვყავდნენ სხვადასხვებ შობებლები, მაგრამ შენ მაინც ჩემი სულის წილელი ხარ, მე კიდევ შენი სულისა. მე ასე ვგრძნობ და ვიცი, რომ შენც ასე გრძნობ... ჩვენ ერთი სულის წახნაგები ვართ. ჩემი შენია და შენი ჩემია... ამ რვეულებში ერთი ოჯახის ამბავია მოყოლილი, ამბავია უბნის ოჯახისა, მაგრამ სახე გაუბრუნელი ბუნების მქონისი. ცოტა კი გეუცხოვება, რომ ვიწყებ ჩემი ცხოვრების ერთი განაკვეთის დღიურებსა და ჩემზე იმდენს არაფერს ვამბობ, რამდენსაც სხვაზე. როცა დღიურები განვიზრახე, გადავწყვიტე, დამეწერა, რაც თვალში მომივიდოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ბილიკზე, ჩემი იქნებოდა თუ სხვისი. მე კი ხომ იცი, მუდამ იშვიათად ვაჩერებდი რამეზე თვალსა და ამ შემთხვევაშიაც არ მიღალატნია ჩემი თავისთვის — შემხვდა ეს „სხვისი“, ჩემად, უნებლიედ გადაება ჩემ სულსა და ჩემი ცხოვრების მონაწილე გახდა... შენ არ იცოდი შენი სულის წილელის ცხოვრების ერთი სახე აქნობამდე და აჰა, ეხლა გაიგე. ადამიანი თავის სულის ზოგ რამეს გვიან იგებს ხოლმე... უჰ! ჩემო გულო, რა ჩოჩოლი შეგიდგა? მაკალე პატარა ხანსა... არ მაიცლი?.. იძულებული ვარ წერა შევწყვიტო... 1928 წელი ჩემთვის საბედისწეროა... ავადმყოფობა მძალავს“...

წერილის კითხვა დავამთავრე და ცოტა შეეყონდი.
ლევანმა მოუთმენლად მხარზე ხელი დამკრა.
— ახლა რვეულები! რვეულები!
— ჰო, ჰო! კარგი! აი ვიწყებ!

დღიურები

ნაწალი პატივით

1914 წ. ივნისის 15.

მე ტფილისში მობინადრე ექიმი, სხვა დროს სულ კურორტებზე ვატარებდი ზაფხულსა, გუშინ კი ჩემ ძმას მოვადექი ჩემი ჩემოდნებით. არადროს ასე აღრე არ გამოვსულვარ აგარაკად. ოცი წელი ტფილისშია და კურორტებზედაც სულ ქალაქის ხალხში მიხდებოდა ტრიალი. მომხებრდა მაათი თავხედური პრეტენზიები და მოვისურვე მყუდრო აგარაკზე ცხოვრება. ბევრჯელ გამოიწვია თავისთან ჩემმა ძმამ, მაგრამ სულ მუდამ ვყოფმანობდი. გზა ცხენით ან ცხენის ურმით უნდა მევლო და ეს მაყენებდა უკანა. წელს გაგებდე და აქა ვარ. ჩემი ძმის სადგომის ღერეფნიდან გავცემრე ჩვეულებად ქცეულს ვიწრო ხეობას. ძირს მდინარე უხუის, მალდა ტყე შრიალეებს და ტკბილი ერთანტელი მივლის ტანში. ბევრი მიწვიალე გზაში. უჩვევითი აღამიანი ძალიან მომკანცა ორცხენა რახუნა ურემმა. ტფილისიდან წამოსულს ოცდახუთი ვერსტის მანძილზე ტყით დაბურვილი უშველებელი მთა დამხვდა გადასალახი. აბა რა სიკეთეს დამაყრი-

და ფერს სამი საათი აღმართში წოწიალი ურმითა, მთის ქედზე ასკლა, ნერვთავექვეში დაქანება? სწორეთ რაღაც სასწაულის ძალით არ გადავიჩნებ ხვევბსა და ზრამებში.

ვაკეზე ჩავედით, მაგრამ ჩემ ნჯღრევას ბოლო არ მოპლენია: მეურმის ვითხარი ნაკლები სისწრაფით ეტარებინა ურემი.

გარემოს თვალი ავადევნე. უზარმაზარი მინდორი მქონდა გასავლელი. თითქმის ყოველ მხრიდან სხედასხვა სიმაღლის ქედები ჭფარგლავდნენ. გეოლოგობაში თავი დავედე და მინდორი ნატბეურად მოვნათლე.

მე — მალე მივალთ, ძმობილო? — გვითხე მეურმეს.

— ორი საათი დაგვჭირდება კიღონა.

— აღმართი კიდეც არის სადმე?

— წინ ხელი გაიშვირა, გძელი ქედი დამანახვა.

— აი იქაა კიღონა.

სახე შევიშმუშნე, მაგრამ მეურმემ მანუგეშა. როგორცა სჩანდა, აღმართი საშისს არათერს წარმოადგენდა.

საათნახევრის უკან ორი ცხენოსანი წამოგვეწია, შავითმოსილი დედაკაცი და შავითმოსილი მამაკაცი, ტყავქუდა, გრძელ-მანჯლიანი. დედაკაცმა ზედაც არ შემომხედა, მამაკაცმა კი შესროლა ლურჯი თვალეები და დედაკაცს წაელაპარაკა.

— აკროს ძმა უნდა იყოს არა, ნინო? ძალიანა ჰგავს.

დედაკაცმა სწრაფად შემომანათა შავი დაღვრემილი თვალეები, სწრაფად მიუტრიალდა თანამგზავრსა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ჰგავსო, და ცხენს მათრახი გადაჰკრა. მე უკვე შეკითხვისათვის მოვემზადე, ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა, მეგონა გამომელაპარაკებოდნენ, გამოველაპარაკებოდი — ორნივე ძალიან მომეწონენ, სიმპატია აღმიძრეს გულში — მაგრამ მოვსტყუვდი, წინ გამისწრეს და აკრგა უკან ჩამომარჩინეს ჩემი რანუნა ურმით.

მეტლემ ღიმილით მომხედა.

მე — ნეტავი ვინ არის ე აკრო, შენ რომ მიგამგვანეს.

— ვინ და მართლა ჩემი ძმა: ვისთანაც ახლა მივდივარ ის არის. ერთი დღიდა თავადისაგან ათიოდე დღიური მამული აქვს იჯარით აღებული ამ მხარეში, აკრონომია, მიწის დამუშავების მკოდნე, და როგორც ჩემმა ძმამ თვითონვე გადმოშვა, აკროს ეძახიან მეტ სახელად.

მეურმე დაკმაყოფილდა ჩემი პასუხით და ისევ ცხენებისაკენ იბრუნა პირი. მე კი ცხენოსნებისათვის თვალი აღარ მომიშორებია, სანამ არ მიიმაღლენ. თუმცა აღარც ერთხელ არ მოუხედნიათ ჩემსკენ, მაგრამ მე მაინც ვიგრძენ, რომ უჩინარი ძაფები გაიბა ჩვენ შორის. მამაკაცი რაინდული თვისებებით აღვეჭურვე და დედაკაცი რაინდის სულის ჩამდგმელ ადამიანად დავსახე.

ნახევარ საათში აღმართიც ავიარეთ და სადგურშიაც მივედით. ლევანი დამხედა: ტუილისიდანვე გაფრთხილებული მყავდა. სახლში მოსვლისას მოვუყვებ ჩემი მგზავრობის საშინელებანი. სიცილად არ გყო.

— შენ, გილო, ძალიან ვანახებულხარ. მამიჩენის შეილებს ეგ არ შეჭმენის. რა ექნათ, რომ უმაღლეს სასწაულებელში დავიზარდენით? უნდა მაინც შევიწარჩუნოთ ჩვენი კუნთების სიმკვრივე.

— მე რომ შენსებერ ავრონომი ვყოფილიყავ, ავთი ვიქნებოდი, საგანგებო ვარჯიშობისათვის კი, სწორე გითხრა არა მცალიან. ან რა სკიროა, როცა არც ისე ვარ დაშორებული ჩვენ მოდგმას, როგორც გგონია. თუმცა ძალიან გგვეარ შენა. გზაში ცხენებით მამაკაცი და დედაკაცი წამოიყვინენ. შემომხედეს თუ არა, მამინე შენ ძმად დამსახეს.

— ეინ იყენენ? არ ჰკითხე?

აბა რა ვიცი. არ დამლაპარაკებია. ერთმანეთს უთხრეს... მამაკაცს იშვიათი სანდომიანი ლურჯთვალემა ჰქერა სახე ჰქონდა. ისეთი მოხდენილის ტანის პატრონი იშვიათად თუ სადმე მინახავს. დედაკაცს დაღვრემილი შავი თვალემა ჰქონდა, სურათიანი სახე. ნინოო, ასე მიმართა მამაკაცმა. კაი მხედრემა სჩანდენ.

— ჰოო! ეგენი უცხონი არ არიან ჩემთვის. ზურაბი ყოფილა ცოლითურთ. მართლა, კარგი მხედრემა არიან. იცოდენ, რომ მოგელოდი. საყვარელი ბიძაშვილი გარდაეცვალა ზურაბსა და იქ მიეღინებოდენ. ზურაბს მე შვილი-შვილი მოეუნათლე. ვერ არის ბედნიერი ოჯახი: ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, მოუკვდათ, ჩემი ნათლულიც მოუკვდათ, რძალი გაუთხოვდათ და დარჩა ცოლქმარი მარტო. კარგი შეძლება კი აქვთ. ძალიან სწუხან, რომ მომავალი აღარა-ვინა ჰყავთ.

— რა ხნისანი არიან?

— ზურაბი იქნება 59 წლისა, ნინო 48 წლისა.

— მაშ მართლა ვერ ჰქონიათ კარვა საქმე. შენ ზურაბს კიდევ ექნება ბლომად პოტენციალური ძალა, მაგრამ ნინო უკვე იქნება მოკლებული შვილო-სნობის უნარსა. ვერა ეშველებათ რა.

— ვიცი რომ ვერა ეშველებათ რა და ძალიან მენანებიან.

— რას იხამ, ჩემო ძმაო. ზურაბის ცოლს სული წმინდაც რომ ჩამო-უვიდეს...

დავიწყე მე, მაგრამ ლევანმა არ დამამთავრებინა აზრი — გარეთ ეძახდენ. თავი დამანება.

მარტო დაკრიხი და ჩემოდნებიდან ჩემი რამეების ამოლაგება დავიწყე. ხელში ლევას ახალ თხზულებათა კრებული მომხედა და მომესურვა ლევასი ჩემთან ყოფნა. ლევა ჩემი სულის ერთგვარი დალაგებაა. მოვნახე კარტპოსტალი და მივწერე. ლევანთან წამოსვლას ვთხოვე. დღეს გავაგზავნიე. გამიგონოს მაინც და ამოვიდეს.

ერთი რამ მაფიქრებს, როცა ლევანსა და ლევას ვუცქერი. მეშინიან ჩემი გზით არ იარონ და უოჯახონი არ დარჩნენ. ვერ კარვა დრო კი აქვთ ვერ იმედი არ გადამწყვეტია...

დერეფანს ცხენით კაცი მოადგა. ლევანს გამოეგაპარაკა. ზურაბის გამოგზავნილი აღმოჩნდა, ზურაბი უთვლიდა ლევანსა, ბიძაშვილს ვისაფლავებ დღესა პატივი დამდე და მომხედო. ძმაც თან წამოიყვანეო.

ლევანი მზადებას შეუდგა...

ცხენები მოგვევარეს და კალამს თავს ვანებებ. მეცუნდა მოვემზადო.

1914 წლის ივნისის 16.

გუშინ მიცვალებულის სახლიდან გამოსვენებას ველარ მივეხსნაო, ლევანი ანაზ ზეულმა საქმემ დაიბანდა და დაეიგვიანეთ. პროცესიას ვხედავო შევეყარეთ. ქვეითად ივედევნეთ. ცხენები ბალღებმა ჩამოგვართვეს. მივედით სასაფლაოზე. მღვდელმა და დიაკვანმა ანდერძი იუგეს მიცვალებულს სამარესთან და მესაფლავენი მოეშხადენ კუბოს შიგ დასაბინავებლად, მაგრამ ენერგიულად წინ გაწედილმა ზურაბის მკლავმა შეაჩერა და მოთქმა ვავიგონე. მოთქმა გულედან ამონადენი.

— ძაო დაეითო!.. ძაო! უსიამოვნობას თუ გაყენებდენ შვილები? გულნატკენი თუ ჩადიხარ სამარეში?.. ნუ ჩაიყოლებ თან ჯაერსა, ძაო! მიუტყვე თუ რამ გაწყენინეს. შვილები არიან მაინც, ძაო! ბედნიერი ხარ, ძაო, ბედნიერი! სამარის კარამდე მოგაცილეს! „ვი“ შე, ძაო, რომ არავინ მრჩება დამტირებელი! ნეტავი მე მომკვდარეიყავ შენ ნაცვლად! ჭულზე მიწას მაშინ ხომ შენ დამაყრიდი, ძაო! მაშინ ხომ უპატრონო აღარ წავიდოდი სამარეში ძაო! მღვდელმა ხელი წაავლო მომტირალსა.

— ზურაბ. ზურაბ! რა დაგემართა, კაცო! ვაქცაი არა ხარ? რა გატირებს? სირცხვილია!

ზურაბმა უკმეხად გადახედა.

— მაშ ვიცინო?!

მღვდელმა უკან დაიხია. ლევანი ჩაერია საქმეში: ზურაბი მიცვალებულს მოპშორდა.

სასაფლაოდან ხალხი დაიძრა.

ლევანმა ზურაბთან მიმიყვანა.

— აი ჩემი ძმა, ნათლიმამ! ისე ტიროდი, რომ გული მოუღებე და ცრემლები აღვრევინე.

— აბა, მაშ რას ვიხამდი, ჩემო აგრო? ძმაზე მეტი იყო! [თავს არ იშურებდა ჩემთვის, ვუყვარდი, მიყვარდა.

ზურაბმა ხელი გამოიმწოდა. ჩამოვართვი. თავისი რკინისებურობა მაგრძნობინა.

ლურჯი თვლები ცნობისმოყვარეობით მიცქეროდნენ.

— გუშინ წინ მაშინვე მიჭებდი ვინც იყავი. — ლევანზე მიმითითა, — შენც ასეთვე მაგარი თუ ხარ?

— რად ვიქნები? უკვე ხანში შესული ვარ. ეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

12 წლითა ვარ მაგაზე დიდი. აი, ქალარა მაქვს.

ზურაბმა გაიღიმა.

— აბა, მაშ შენის ბრძანებით მე სულ წყალში გადასაგდები ვიქნები. აგროზე 25 წლითა ვარ უფროსი.

— არა, შენ მთის შვილი ხარ, მე ბარისა.

— ჩვენი ქვეყანაც ბარია. მთები იქითაა.

ზურაბმა ჩრდილოდასავლეთისაკენ გამიშვირა ხელი, სადაც მართლა ბუმბერაზები იმყოფებოდნენ.

ჩვენ ბაასში ლევანი ჩაერია.

— ზურაბ, ქალაქისათვის მართალია ეს მხარეც მთაა და მერე შენ ხომ

სწორედ იმ მთებიდან ხარ.

— მე კი არა, პაპაჩემი. მე აქ დავიბადე და აქ გავიზარდე! აქურთულად ვლაპარაკობ.

— სამაგიეროდ, ზურაბ, ჩვეულება ჯერ კიდევ იქაური, გაქვს! — მთავრისა იმ ხმა ზურგით უკანიდან.

მეტრიალდი და ცხვირგაწითლებული მამაკაცი დაეინახე.

თავხედური სიამაყით ხელი გამოიწიწოდა.

— აქაური დიაკვანი გახლავართ.

ესობისმოყვარეობით ავხედ-დავხედე. დედელთან რომ იდგა, ანდერძის გადახდისას ყურადღება არ მიმიტყვევია. ჯანიანი მამაკაცი მოსჩანდა, მაგრამ სულადის არაყის დალი აუჯდა სახეზე. კობტაობის პრეტენზიებიც ჰქონდა. ხნოვანობისა კი რა მოგახსენოთ; ორმცდაათი წლისაც გერყენებოდათ და სამოცი-საც, თავისი გადამეტებული ვნებიანი თვალებით უეჭველად ზიზღს მოჰკვრიდა ადამიანსა.

ჩემიდან დაწყებული სალამი ზურაბით გაათავა.

ზურაბმა შუბლშეკვრით გაუწოდა ხელი. ლურჯს თვალებზე ცივი ელვარება აჭვარდა. მაგრამ დიაკვანს ამისათვის ყურადღება არ მიუტყვევია.

ზურაბი მოგვემორდა.

დიაკვანმა ზე და ლევანი აგვათვალღერ-ჩავვათვალღერა.

— ძალიან ჰგევხართ ერთმანეთსა.

ლევანმა დაცინევით გადახედა.

— ამბობენ!

— უსათუოდ ჰგევხართ. ექიმო, მართალს ვამბობ არა?

— ვინ გითხრათ, რომ ექიმი ვარ?

— თქვე დალოცვილო! მარტო თქვენ ხომ არა ხართ განათლებული. ჩვენც გავგვეგება რამე, რუსული ჩვენც ვიცით. ისეთ არხას დაგიწერთ, რომა ქვას გახეთქავს.

მე პასუხი აღარ ვამიცი, ლევანს მივუბრუნდი.

— მგონი დროა შინ წასვლისა.

დიაკვანი არ მოგვემორდა. მამლაყინწური პროტესტი გამოგვიცხადა.

— რა, არა მკადრულობთ? ზინტლიან ფშაველს თუ კი უყადრით თავს, მე რაღა დავაშავე?

ზინტლიან ფშაველში ზურაბს ჰგულისხმობდა.

ლევანმა შეუბღვირა. არც მე მესიამოვნა: ზურაბი უკვე ბინას იღებდა ჩემ გულში.

შემეშინდა, ლევანმა ხელი არ გამოიღოს-მეთქი და სწრაფად მოვაცილე დიაკვანსა.

მიცვალეხულის ოჯახის კარზე ცხენები მოვიკითხეთ. ზეების ქვეშ სულრა გაეწყოთ. ოჯახის შვილებმა ქელეხში დარჩენა გეთხოვეს. მადლობა ვუთხარით და ბოდში მოვიხადეთ.

ზურაბს დავუძახეთ გამოსამშვიდებლად. ზურაბს თანამცხრედც მოჰყვა. გავიცანიოთ. ნინოს მიხერა-მოხერამ გამაყვრა, ასეთი სუბუქი ფეხის გადადგმა, ოდნავი ტანის რხევა, ძალდაუტანებელი ხელის გამოწვანა, სალამი თავის დახ-

რით, სოფლის ქალისა და ისიც უკვე ხანში შესულისა ჯერ არ მენახა სოფელში, თავიერ პირდაპირი გამოხედვით ჩასიათის სიმტკიცეს გვეუბნებოდა.

ლევანს ჩამოუვდო ლაპარაკი რალაც დანაპირებზე, მაგრამ მალე შეჩერდა: ცხენები მოგვევარეს და იწყინა. ზურაბიც შეშფოთდა, ჩვენ და ცხენებს შუა ჩადგა.

— შიდიხართ?! არა, არ გაგიშვებთ! — კიოისუფლეს, შიდაშვილის წაქეზებს მიუტრიალდა: — არა გცხვინიანთ, მაუნაყრებლებს რომ ისტუმრებთ?

— ვთხოვეთ, მაგრამა, ვერ დავიყოლიეთ.

— წადით, უნოებო! როგორი მანითქვენის შეილები ხართ? ბუზღუნით კი იკლებდით საცოდავსა. ყველაფერს უწუნებდით, თქვენ უბრალო დაწვევაც არა გკოდნიათ კაცისა. აბა, მიყურეთ: გასწავლეთ როგორ უნდა.

ლევანს ხელი წაავლო.

— აგრო, რად მაგდებ მარტო? — ლევანი შეეყოყმანდა, თითქოს დანაშავეთ იგრძნობ თავი. შეეატყვე და ჩებოდა, თან რომ არა ვეოლოდი.

გავუღიბე.

— დარჩე, ბიჭო! ჩემთან რა მორჩიდება გმართებს? მე წავალ და...

— ვერხადაც ვერ წახვალ! — ჩამიხმარტვან სიტყვებ ზურაბმა დაწველზე მკლავი მამშვინა.

ეს მკლავის წელზე შემოხვევა სხვისგან თუ მეუღესობებოდა, ზურაბისაგან უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ჩავთვალე. მაგრამ თქმემ „ვერხადაც ვერ წახვალ“ ლევანს შურის წინააღმდეგობის სული ამოძრავა ჩემში. ლევან წინააღმდეგობის ბუღუა.

— არა, ზურაბ, ვერ დავჩინები, — ვთქვი. — ამაღლეს რა მნაბოლტ ნაბგამ თვალში გზმთყარა. თუ იუჯემდ თვლითქმ ამოხონინგ, თემზინ ითოსამ დაწენინ სახელი? — თუჯემდ მყოც ანგმთე თინტუგაბოზნ ესა ნოზ, ით

— გილო.

— დარჩები ვართ? — შემიკითხა ზურაბი ვულის მომხარავი კილოთი და ჩემი წინააღმდეგობა სწრაფად გაცემტყერდა. ნეტავი ლევანსაც ეს დამარტმებოლამ... დავჩინე თუთკონტნი თუ თინტუთივალთ მთეთ თეენი შე

სანამ მე და ლევანი გადაეწვეტდით დარჩინას, ხალხი უკვე სუფუსა შემოსხდომილდა დუდელი და ტრიალენდა ფეხზე. დიაკვანი კი არყის წინასწარი პორციებით გაელენთილი ახლა ღვინოს შეეკეცოდა ამფსონებთან. ქალები ცალკე დაჯგუფებულნიყვნა ზურაბმა ადგილი შეარჩია. მოიწვია ლდდელიც და ოთხნიერთად ჩამოვეწყრივდით სუფრაზე. ნინო ქალებში ჩაერია.

ესი სახლიდან მიცვალბუღლის მეუღლე გამოვიდა, გამოაცალა დიაკვანი ამფსონებს და ჩვენთან მოიყვინა. ვმტყენონ ინაოლტ ვლაცენგ, ომოდამ ტტარ

— აი, ადამავ! აქაა შენი შესაფერი ხალხი.

ზურაბს არაფრად ევაზნიკა დიაკვნის მეზობლად ყოლა, მოიღ უზა და გვერდ-გვერდ დაიწყო ცქერა.

სმა კამა ჩვეულებისამებრ მიცვალბუღლის შესანდობარით ვაიხსნა.

ზურაბმა ამოიოხრა, შიდაშვილის დავითის მოხსენებაზე სახე დაეღრიჯა და ცქერმლები წამოყარა.

— ძნელია მეგობარ-ამხანაგის დაკარგვა, გილავე, ჩემისთანა ჯნაშენოთ დარჩენილ ადამიანისათვის, ძნელია! ერთად გვივლია მთა და ბარი, ერთად გვიხარნია და გვიწუხნია.

წესისამებრ თავი ვადუქცია ლეინოს პურზე და ისე დადღობი დადღობი დადღობი და თავი ჩაქინდრა. ვერაფერი ვუთხარი სანუგეშებლად: მხოლოდ შეკლავი გადავდე მხარზე. უკვე ზურაბის მახლობლად ვგრძნობდი ჩემ თავსა.

ღვდელი აღაპარაკდა.

— ზურაბ, ყველანი-სიკვდილის შვილები ვართ. თავის შეკავებას ვმართებს. სიკვდილი ლეინოს მოვლენილია და უნდა მოვითმინოთ. ღმერთი თავის ქმნილებას არ გასწირავს ტყუილა-უბრალოდ.

— ღმერთი? სადაა ღმერთი, მამაო ლუკა? შვილი მომიკვდა, შვილიშვილი და აი ახლა კიდევ ერთი ნუგეშიც ვამამაცალა სიკვდილმა. აბა, ეს როგორ მავინელო, მავითმინო. არა, ან ღმერთი არაა, ან თუა, უსამართლოა, ტყვილ-უბრალოდ სწირავს ადამიანსა.

ღიაკვანი შეირყა. ენა—აუქავდა.

— ზურაბ, მაინც რა ძალიან სწუხარ რომ შვილები აღარა გყავს და აღარ უჩნდება ნინოსა. მოიყუა მეორე ცოლი და გააჩენინე. შენ ხომ მთისა მოგდ...—უნდა ეთქვა მოგდგამსო, მაგრამ სიტყვა ველარ დაათავა: თვალეზ წინ ზურაბის ხანჯალმა შეღვა და გულზე მიებჯინა.

— თუ კიდევ იტყვი რამეს, გაგათავებ!—შეუტია ზურაბმა.

მე და ლევანი შუაში ჩავუარდით. ხალხი წამოიშალა. მე ღიაკვანს დაეახეინე უკან. ლევანი ზურაბს ვადეილობა. სთხოვა ხანჯლისათვის ხელი ეშვა, მაგრამ ზურაბმა არ გაუგონა. დედაკაცების ჯგუფს ნინო გამოეყო და ქმართან გაჩნდა, გამოართვა სწრაფად ხანჯალი და თვითონ ჩაუგო ქარქაშში. ვავევირდნ, რომ ასე შორჩილებით დაანება ცოლს ხანჯალი ზურაბმა. ასეთი ხატრი მე-ულღეთა შორის არ მენახა ჯერა.

ნინომ ქმარს ხელი მოსჭიდა და შორს წაიყვანა. შარის ვალეიებას შოარიდა. მეგონა ღიაკვანი ტყუაზე მოვიდოდა და მოვტყუვდი. პირიქით ზურაბისაკენ იწვედა დიდის თავგამოდებით კდა იმუქრბოდა გამიშვით ერთი ეგ ხანჯალი თვითონვე მოეხმაროო.

ზურაბის გაშორებით ხალხი დაწყნარდა. ღიაკვანიც დაშოშმინდა. ყველანი ისევ სუფრას მოუსხდენ, მე ფეხზე დავრჩი.

— დაბრძანდით, ექიმო, — დანიძახა ღიაკვანმა. — ერთი მითხარი, რად მომდის ასე, ბევრს რომ დავლევ მერე აღარ მინდა სმა?

— ვეპვობ, რომ აღარ გინდოდესთ. — ვუპასუხე უკემების კილოთი და სუფრაზე მსხდომთ გავეცალე. ზურაბი მოვტყუებ. ნინო ცხარედ ელაპარაკებოდა. დამინახა და კილო გაინელა.

მიველი.

ზურაბმა თავის გვერდით მიჩვენა ადგილი.

— დაბრძანდი, გილავე! ცოტა კაი საქმე არ ჩავიდინე, არა?

— აბა, მეგას რა დიდი ტანჭრელი კოვზი უნდა? — გასცა ჩემს ნაცვლად პასუხი ნინომ. — რომ არ ჩავიდინე, კაი საქმე არ ჩავიდინე, ყველამ დაინახა!

მოვეუჯექი ზურაბს გვერდით და ლიმილით შევხედე.

— სწრაფი ყოფილხარ ზურაბ, სწრაფი! განა ლოთის ლაქლქს/ყურად-
 ლება უნდა მიაქციო? მერე ცოტა გიეიც უნდა იყოს, მგონი.

— ხანდახან გიეიც ამბობს ჭკვიანურსა. — მითხრა ნინომ

— კო, მაგრამ დიაკვანს ჭკვიანური ხომ არა უთქვამს რა?

• — ჰაი, ჰაი, რომ სთქვა!

ამ სიტყვებმა გამაოცეს. თვითონ ზურაბმაც უცნაურად გადახედა ცოლსა.

— რას ამბობ, დედაკაცო?

— რას ვამბობ და მეორე ცოლი უნდა მოიყვანო. შეილები გეყოლება. მე
 კარგა ხანია ამაზე ვფიქრობ.

ზურაბი სახტად დარჩა!

— შენ? მერე შენ?

— მე?.. დავიკარგები. — სთქვა ნალველნარევი სიცილით ნინომ და დედა-
 კაცების ჯგუფისაკენ გასწია.

ზურაბი მე მომიბრუნდა აღელვებული.

— იცი, გილაქ! გაიცინა კიხე ნინომა, მაგრამა, მაგანა შართლისა სიცილ-
 შიცი იცის გატარება. რალაცა მოუფიქრნია, რალაცა! თავი რომ დამანებოს,
 რალა ექნა!.. ჯანმეგარი ვარ. ერთი კალო არ გალუწილა ჩემს ფავზე, თორემ
 სხვა ვინ იცის რა არ გადამხდენია. ყველაფერი ამიტანია... ყველაფერს ავიტან,
 უნინოობას კი ვერა. მოვტყდები! მოვტყდები...

მოვტყდებიო, გაიმეორა ერთხელ კიდევ და ისე მოიხარა წელში, თითქოს
 შართლაც მოტყდაო. თავი მუხლებზე დაიდო.

ზურაბის მაკტერალს ერთი პირობა მეც გული მომეკუმშა, მაგრამ თავი
 გავიქნიე. მხრები გავისწორე და დამშვიდებული ზეზე წამოვდექი.

ზურაბმა თავი მაღლა აიღო და დანალველიანებული თვალები თავისებური
 ჩაციებით მომაჩერა.

— თავი ხომ არ მოგაბეზრე. გილაქ?

— არა, ზურაბ, არა! შენზე ისე შემევიარდა გული, რომ ქირშიაც ამხანა-
 გობას გაგიწევ. ადექი, გავიაროთ.

ზურაბი გამომყვა.

სუფრას მიუახლოვდით.

ლევანი ისევ იჯდა. სადღეგრძელოებს ამბობდა.

დიაკვანმა დამინახა და ბარბაცით გამოსწია ჩემკენ, მაგრამ ქვას ფეხი წა-
 მოაკრა და წაიქცა.

ზურაბი და მე ლევანთან მივედით.

მთხოვეს, სუფრას მოვეჯდომიყავი და უარი ვუთხარი. არც ზურაბი დაჯდა.

ლევანს ენერგიულად მხარზე ხელი დავკარი.

— აბა, ჩემო ძმაო! გავსწიოთ შინისაკენ. მგონი, ეხლა კი დროა. ზურა-
 ბიც წამოვა თავის ჯალაბითურთ. წამოხვალ არა, ზურაბ?

უსიტყვო თანხმობა მივიღე.

ცხენები მოვითხოვეთ.



შენ წაბრძანება ღვდელშიც მოისურვა. წამოდგა სუფრიდან და ერთ კირისუფლოთავანს მიმართა.

— შეილო, ეფრო, გამისტუმრეთ!

— სამი მანეთი გეყოფა, მამო?

ისედაც ღვინისაგან გაწითლებულმა ღვდელმა ჩემთან უხეზო უხეზო ეგრძენო და უფრო გაწითლდა.

— რას იტყვი, მამო? — შეეკითხა კიდევ ეფრო. — სამი მანეთი გეყოფათუ არა?

მღვდელმა თავს ძალა დაატანა, დარცხვენა გაიქარწყლა.

— შეილო, თუ კი სალაპარაკოდ გახდი, აღარაფერი მინდა. სამი მანეთი მე, თუ დიაკვნსა? — არ მინდა არაფერი.

ცხენები მოგვიყვანეს და აღარ დამცალდა გამეგონა, რითი დამთავრდა კირისუფლისა და ლუკა ღვდლის ვაჭრობა.

გზაში ნინო ლევანს ამოუდგა გვერდით და შინაურ საქონელზე ვაუბა ლაპარაკი. რჩევასა ჰკითხავდა.

ზურაბი მე არ მომშორებია.

— გილავ, რატომ ცოლი არა გყავს?

— რა იცი, ზურაბ, რომ უცოლო ვარ?

— ვიცი. აგროსაგან ვიცი. ყველაფერი ნათქვამი აქვს ჩემთან შენზე, ყველაფერი.

— რად მინდა ცოლი?

— შეილები გეყოლები, ოჯახი. უოჯახო აღამიანი არ ვარგა.

— მაღე დამიწუნე, ზურაბ?

ზურაბმა გაიცინა, გაიცინა და თეთრი მუკრივი კბილებისა გამოიჩინა.

— 59 წლის კაცი და ასეთი კბილები? — გამიბრბინა თავში აზრმა, — ნეტავი რამ შეინახა ეს აღამიანი ასე საღად.

თვალი ლევანს გადაეფლეს. მესიამოვნა. თავისი ბრგე ტანით ზურაბს არ დაუვარდებოდა.

— აჯე ჩემი შეილი. — მივეუთითე ზურაბს ლევანზე. — ჩემი ვაზრდილია ჩემი ძმა. ტყუილად დამიწუნე, ზურაბ.

— არა გილავ, არა! არ დამიწუნინებარ! სხვისთვის შენ კარგი ყოფილხარ, გაგებული მაქვს. აი ლეგაც ყოფილა ვილაც, ისიც გაგაზრდია. ჩემთვისაც კარგი იქნები. შენთვის არ ვარგობარ — შეთქი... შენი მიანიც უნდა გყავდეს.

ლეგა გამახსენეს და ტფილისში გამექრა გონება.

ლეგა გავზარდე არა ჩემი გვარისა. არაფერი დამანებია რა ლეგსანთვის... ლევანში მიყვარს გლეხის მოდგმის ამტანობა, სიკაჟე. ლეგაში ვხედავ ჩემი ნერვების წყებას, დედნიევისგან ჩემზე გადმოსულს. ლეგა დედნიემის გვარისა... ლეგაც და ლევანც ჩემი სულის საყრდნობი ბურჯები არიან, გამაცალეთ და წაეიქცავე.

ცოტა არ იყოს საწყენოდ მჩრებოდა ახლად გაცნობილი აღამიანის რჩევა. გადავხედე ჩემს გვერდზე მომავალსა და წყენა დამიქრა. ვიგრძენ, რომ ზურაბის გული საფუძვლიანად დამეპყრო: თავისიანად ვყავდი მიღებულში.

შინ მივედი. ნინო დიასახლისობას შეუდგა. ეტყობოდა ძალიან კარგა იცნობდა თავისი შვილიშვილის ნათლის სადგომს. ლევანმა ბაღს ჩაწვდა. დავ-რჩით მე და ზურაბი კიდევ ერთად.

— ზურაბ რად გეჯავრება დიაკვანი? ავეთი სიძულვილია, როგორც შე-
ნა გაქვს, მხოლოდ მტერი შეიძლება შეიძლოს ადამიანმა.

— მტერია მართლა და მძულს!

— რა გიმტრო, ან რასა გმტრობს? ან გმტრობს კია?

— გმტობდა და მტრობს!.. ჩემსა და ნინოს შუა დგებოდა. ნინოს მამას კაი შაძლება ჰქონდა: ჰყავდა ბლომიდ ცხვარი და ძროხა და ცხენის ჯოგი. დი-აკვანმა ნინოსი ცოლად შერთვა დააპირა. იცოდა კი რომ ნინოს ეჯავრებოდა. ნინოს ჩემთან ჰქონდა სიტყვა მოცემული. ვუყვარდი, მიყვარდა... გაეხარა ნინოს მამას, ჩემს ქალს ნასწავლი კაცი თხოულობსო. დიაკვანის ჩასიძება მაინდომა. აბა, რას დავანებებდი ნინოს სხვას! მავიტაცე. გაწყრა ჩემი სიმაშრი და დაუ-წყო თავის ქონებას განიავება. დიაკვანი ავუღიანებდა. ერთად სვამდნ, ლო-თობდნ. ნინო გულგრილად ვერ უყურებდა მამის გაუბედურებას. იტანჯებოდა: მიზეზად თავის თავსა თვლიდა. ვალატაკდა ჩემი სიმაშრი და დიაკვანმაც თავი დაანება. დაექადა, შური ვიძიეო, და ეხლაც არ გვისვენებს მე და ჩემ ცოლსა. პირდაპირ ვერა ჰბედავს, ეშინიან ჩემი და ჩუმჩუმად მიხდნენ საქმეს. მეჯავრება თვალის დასანახავად: გარყვნილია, ვათახსირებული...
118-65

კიდევ ბევრს მეტყოდა ზურაბი, მაგრამ მოვიდა ლევანი, მოვიდა ნინოც და გაჩუმდა.

სოფლის წესისამებრ ადრე დავიძინეთ.

დღეს გამოვიღვიძე და ზურაბი და ნინო ველარა ვნახე: დილა ადრიან წა-სულიყვენ თავის სოფელში.

გუშინდელი ნანახი და ვაგონილი სულ თავში მიტრიალებს. არ შშორ-დება გონებიდან ზურაბი. წუხელის მე და ის ძმად გავიფიქრით: თვითონ მო-ისურვა...

1914 წ. ივლისის 2.

სანამ თიბათვე გავიდოდა, ზურაბი ორჯელ კიდევ იყო ჩვენთან. მე კი ვერც ერთხელ ვერ ვიწვიე. ლევანს არ ეცალა და უიშისოდ წასვლა სადმე არ მინდოდა.

მაგრამ მომზებრდა შინ-ჯდომა. დღეს დილით შეეკაზმინე ცხენი და მარ-ტოდ-მარტომ გავწიე საყილოდ. ცხენი ალაღბედად შეხვედრილს ბილიკს გა-ვაყოლე.

ერთი საათის უკან მივადექი ქედის კულზე შეფენილს მოსახლეობას. გავ-ცდი პირველ სახლსა და უკანიდან ფეხდაფეხ საყვედურის ხმა დამედევნა.

— გილავე, გილავე! რა დაგიშავე, რომ გვერდი ამიჭკიე?

ცხენი მოვატრიალე და ზურაბი დავინახე: ტარუშულშემოვლებულ ეზოში შეშასა სკრიდა. სახე უბრწყინავდა.

გავუცინე.

ფურ., „ნათობი“, № 6—7.



— ვერ შეგამჩნიე.

— რა? ბუზის ტოლა ხომ არა ვარ?

— ბუზის ტოლა კიარა, მღვევი ხარ. მაგრამ ხანდახან აღამიანი უნებლურად

შთასაც ვერ შენიშნავს ხოლმე.

ეზოში შევატუნე ცხენი და ზურაბთან გაეჩნდი.

სახლის დერეფანს გავხედე. ვილაც დედაკაცი დაკლულს ფრთოსნებსა

ბრდღუნდა. ნინო არა სჩანდა.

ზურაბმა ცხენის სადავეს დამიწია.

— ჩამო, გილავ, ჩამო! ეხლა ხომ ჩემიც ძმა ხარ! ნინო, ნინო! გილა გვეწ-

ვია, გილა.

სახლიდან ნინო გამოვიდა.

— გვეწვია და გვეწვიოს. ვერ დაუხვდებით განა!— მარიამავ, მაგას მე გავაკეთებ. წადი შენი კენესამე და ერთი დედალიც დაიჭირე.

მარიამა წამოდგა და თითქმის ნინოს გაუსწორდა სიმაღლით. გაცილებით ახალგაზრდა სახე ჰქონდა. დიდი შავი თავშალი ეჭვს სხვილ წაბლა ნაწნავს ნახევრობამდე უმაღლავდა. იშვიათი ჯანსაღობის იერი დასცემდა. ღონივრად გადმოდგა ფეხი. გვერდით გამოგვიარა. მე ცნობისმოყვარეობით გადმოშვრა თვალი, ზურაბს გაუღიმა და ეზოს კარებისაკენ გასწია.

ზურაბს დაკლულ ფრთოსნებზე ვანიშნე.

— რა ამბავია ამდენი რომ გაგიწყვიათ და კიდევ ერთის მიმატებას აპირებთ?

— რა ამბავია და ეს, რასაც ხედავ ჩემ ქმარს ხვალ ხატში დასჭირდება,— განმიმარტა ნინომ.— ანაღს რომ დავკლავთ ის შენთვის იქნება.

ზურაბმა ცხენს უნაგირის მოხსნა დაუწყო.

— ნუ იზამ, ზურაბ, მაგას. ტყუილად გაგზავნეთ ქალი ქათმისათვისაც. მალე წავალ. მერე შემოვივლით მე და აგრო.

— რაო? მერე შამოვივლით? არა, დღევანდელი კვერცხი ზვალინდელ ქათამს მიჩვენია. მერე შამავლა რას მიჭვიან. მერეც შამაივლით და ეხლაც უნდა დარჩე ჩემთან ერთი ორი დღე მაინც, ნინო, კოპალეს სალოცავად აღარ მივდივარ.

— როგორც გინდოდეს, შენი კენესამე, როგორც გინდოდეს! — უთხრა ნინომ. მაგრამ უკეთესი არ იქნება, წახვიდე და გილაც თან წაიყვანო, ჩვენებური ხატობა აჩვენო?

— არა, დედაკაცო! რა საქნელია ესა: სახლში სტუმარი მეწვიოს და სხვაგან გავიწვიო.

— აკი გითხარი, გენაცვალე, როგორც გინდოდეს-მეთქი.

უხერხულობა ვიგრძენ. არ მინდოდა ჩემს ძმადნაფიცს ჩემი გულისათვის თავისი მგზავრობა გადაედო.

— ზურაბ, არ დავრჩები!

— რატომ მაგრე გადაჭრით ამბობ? გინდა მაწყენინო?

ზურაბს სახე დაეღვრიმა.

— მე ხვალ დილით მივდივარ! დღეს დარჩი მაინც.

ამ რბილმა კილომ მომტება. რბილი კილო მე სწრაფად მტებას ხოლმე, ლევას კი არა.

— დარჩები არა?— შემეკითხა ზურაბი.

— დღეს დარჩი. — დასძინა ნინოპაც.

— კარგი, დავრჩები, მხოლოდ სალამომდეს კი.

მასპინძლები დამეთანხმნენ.

ზურაბმა ჩემი ცხენი ბალახზე გაიყვანა.

ნინომ ღერეფანში მიმიწვია და სამუხეცა სკამი მომთავაზა.

— გილაე, ერთ საქმეში უნდა დამეხმარო.

— რაში, ნინო?

— უჩრიე, მეორე ცოლი მოიყვანოს. შვილი არა ჰყავს და გულნაკლულია.

— მერე და ზურაბი არ გიყვარს თუ?

— გაგიყვებით მიყვარს.

— მერე და სხვა რომ მოიყვანოს, გული არ გეტკინება?

— მეტკინება, მაგრამ ზურაბისათვის მაინც მავითმენ.

— შენ უთხარი ზურაბსა?

— მას აქეთ სულ ვეუბნები.

— მერე და შენ სად წახვალ?

— სად უნდა წავიდე? აქ ვიქნები. შვილები ეყოლება ზურაბსა და მაუელი. ზურაბის შვილები ჩემიც იქნება.

ვუტკეპროდი ნინოს და გონს ვერ მოვსულიყავ. რაღაც არაჩვეულებრივი მსხვერპლის მოტანას აპირებდა.

— ნუ ჰკვირობ, გილაე? სხვა, მთის ვაჟკაცი აქნობამდე დამანებებდა თავსა. ეგ არ მანებებს და მინდა სანაცვლოდ თავი შევწირო.

— კარგი, ნინო! მაგრამ მე რად გამოიგონებს, ზურაბი? განა რა დიდი ხანია რაც ვიცნობ და მიცნობს?

— ძალიან მოკლე ხანი, მაგრამ მაინც ძალიან უყვარხარ. უფრო მეტად სანამ განსვენებული ბიძაშვილი დავითო. თავის სიცოცხლეში მარტო შენთან მიიწადინა ფიცვერცხლის ჭამა.

ზურაბი შემოვიდა ეზოში და გავჩუმდი.

მარიამაც მოვიდა და ახლად დაჭერილი დედალი მოიყვანა. ზურაბს გადასცა დასაკლავად, გადასცა და თვალეში შეაქკერდა.

— რას მამაშტერე თვალეში, მარიამაე?

— ჭათამი დაკალი.

— აბა, მა რას ვიზამ?

მარიამამ შენიშნა, რომ თვალს ვადევენბდი და რამოდენიმე ნაბიჯით მოსცილდა ზურაბსა.

სამხრის დრო მოვიდა. სუფრა გაიშალა. მარიამა ზურაბის პირდაპირ მოთავსდა.

ზურაბმა ფიალა აიღო.

— გილაე, იცოცხლე! ჩემი იყო, შენი ვიყო.

— აბა, ნინო, მაზლი ადღეგრძელე! მარიამაე შენც აიღე ფიალა. ძმადნაფიცი მიდღეგრძელე. ხედავ, მარიამაე, შენი თვალეში ფერი თვალეში აქვს.

მარიამის თვალეში დავუწვე ყურება და მართლა თვალეში ჩემი თვალეების ფერისა ქონდა.

აღბათ მარიამაც დარწმუნდა ზურაბის ნათქვამში: სახე აუბზინდა.

ზურაბის შენიშვნამ ნინოს თვალეში გაუნათა.

ზურაბი ჩემი სადღეგრძელოდან მარიამაზე გადავიდა.

— აბა, მარიამავ, შენც იცოცხლე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედაკაცი ხარ, კი ქმარი გაშოვნინოს.

ყურები ვცქვიტე.

— აქნობამდე გაუთხოვარი ხარ, მარიამავ? როგორ მოგსვლია.

— ეჰ, ჩემო ძმაო! გაუთხოვარი კი არა, ორჯელ ვარ გათხოვილი. გავთხოვდი ერთხელ, ქმარი მამიკვდა, შეიღებოდა თან გაჰყვნენ. გავთხოვდი მეორედ კიდევ და ქმარი მამიკვდა.

— ახლა მესამედ გათხოვდი. იქნებ ბედი გეწიოს.

— უწინამც დღე გამიჭრეს, უწინამც დღე. ერთ ორ ლუკმა ჰურს საცა იქნება შეკვამ, სანამ ცოცხალი ვარ. გათხოვებით კი აღარ გავთხოვდები. აღბად ცოდვიანი ფეხი მაქვს.

მე გავიციანე.

ნინომ ჩემი სიცილის კილო იგრძნო.

— მარიამავ, გილას არ სჯერა შენი და არც მე მჯერა.

— არ გჯერათ და ნუ დაიჯერებთ! მაგითი ჩემი ბედი არ შატრიალდება.

— ვინ იცის, მარიამავ, ვინ იცის!— ჩაურთო ზურაბმა და მესამე ფიალა ასწია.

— ნინო ეს მე და შენ გვაცოცხლოს ერთად. ერთად დავიხოცნეთ, რომ შენ ჩემი სიკვდილი არა ნახო და მე შენი.

— არა, ადამიანო, არა! მე აღრე უნდა მოგვედღე; ხელს გიშლი. დღესაც რომ მოვედღე არას წააგებ.

ზურაბს სახე შევად მოუბნელდა: ფიალა დადგა. ღვინო ველარ დალია.

— ძალიან ადვილად მტოვებ ნინო. გეტყობა, გული აგკრუები ჩემზე.

ნინოს გულში მოხვდა ეს სიტყვები და თვალეში მოენამა.

მე ავწიე ფიალა.

— გიცოცხლოს და გაცოცხლოს, ზურაბ! ნინო, სამარეში ჩასვლის შენს სურვილს ბოლო მოჰღებოდეს...

ფიალა დავცალი და ზეზე წამოვდექი!

— ზურაბ ახლა კი ნება მომეცი წავიდე!

— აკი სალამომდის დავრჩებიო? სალამომდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

— არა, გადავიფიქრე.

— რა ექნა?! რა ანაზღეულად იცი გადაწყვეტა! დავითოს ქელესშიაც ესე ჰქენი. შენ არ მამიკვდე, შენ აქედან არ წახვიდე! ჩემი სახის მოლუშვით ხომ გუნება არ გაგიფუჭე? დაჯექი.

— არა, ზურაბ, უნდა წავიდე. ხვალ დილით გამომიარე და მეც წამიყვა კობალეში. დღეს ცოტა აღრე მივალ შენ და მეც მოვემზადები სახვალიოდ. იქნებ აგროც დავათანშმო და წამოვიყვანო.

რაკი ვუთხარი ჩემი მასთან ერთად კოპალეში წასვლა, აღარ / დამიწყო დავა. გამომიშვა შინ...

საძაგელი ლევა წერილებს რატომ არ იწერება? ორ კვირასზე მეტია რაც აქა ვარ, სამი წერილი გავუგზავნე და არც ერთზე პასუხი არ მომსვლია. თუ გამებუტა? ისე წამოვედი აქეთკენ რომ ვერა ვნახე. მერე რა არის? განა ამიტომ უნდა დამსაჯოს?

1914 წ. ივლისის 7.

აჰა! ვნახე აქაური ხატობაც. დღეს ისევ ჩემი ლოგინიდან ავდექი. ივლისის 3-ს, დღლით პირობისამებრ ზურაბმა გამომიარა. რომ შევხედე, ამ უკვე ხანში შესულმა ვაეკაცმა თავისი აგებულობით და იერით ხალხის გმირი არსენა მომიგონა. თავისი ლურჯა ცხენით და თავისი ჩაცმულობით სრულ ილუზიასა ჰქმნიდა. ხანჯალი ვერცხლით შეჭედილი, ვერცხლის ქაპარი, შავი ჩოხა, შავი ახალუხი და შავი ქუდი, კრაველი, ლურჯ-თვალეებიან სახის დაჩრდილვას ლამობდენ, მაგრამ ვერას ხდებოდენ.

— ზურაბ! შენ, როგორც გეტყობა დოლისთვის გამზადებულხარ? — უთხრა ლევანმა. — ლურჯათი წამოსულხარ.

— გავემზადე, ჩემო აგრო, გავემზადე. რა ვქნა თავის დაქერა არ შამიძლიან. დოლის ლოთი ვარ. შენც ხომ მსდინხარ, აგრო?

— არა, ზურაბ! არ მოვდივარ.

— აბა, მაშ გილა მარტო მე დამრჩება. — წაიხუმრა ზურაბმა. — ეგრე მალე სთმობ ძმასა?

ხუმრობამ ხუმრობა გამოიწვია.

— ვსთმობ, ვსთმობ, მაგრამ ერთი დღით კი! მერე ისევ უნდა ჩამბარო

— ეჭე! ამით უყურეთ ერთი, რა ამბავში არიან! — წამოვიძახე წაბაძულის კილოთი. — ვინ დაგაყენათ ჩემზე მოგდებული და თქვენ უნდა გამიწიოთ ლაღობა? ზურაბ, უშენოდაც კარგად წავა კოპალეში. იქნებ შენი სიცოცხლეც ჩემზე მოაგდოს გამჩენმა.

— შენს მეტი არცა ვინდომო. პატრონი. — მომიგო უკვე დინჯი კილოთი ზურაბმა და ცხენი ეზოს კარისაკენ გააქანა. — მომყევი, გილაე!

ლევანს გამოვეთხოვე და ჩემი ცხენით ზურაბს გვერდში ამოვუდექი.

გზად ლუკა ლედლის სოფელში მომიხდა გავლა, ჯერ დიაკვანი შემოგვებეჩა: უბელო ცხენი მოჰყავდა მინდვრიდან.

— ფუჰ! დამნავსა! — წამოიძახა ზურაბმა დიაკვანის დანახვაზე და ლურჯას მათრახი ამოუჭირა.

— ლურჯამ რა დავიშავა, ძმადნაფიცო?

— შენ ევა თქვი და! — დამეთანხმა ზურაბი თვითონვე. — ე პირუტყვემა რა დამიშავა? მათრახი დიაკვნისათვის რომ გადამეჭრა, ის იქნებოდა კარგი. ეტყობა კოპალეში აპირებს წამოსვლას.

ეკლესიის გვერდით გავიარეთ და ლუკა ლედელმა მოგკრა თვალი. გადაგველობა და თავის სახლში მიგვაბრუნა: წინწინაქარი უნდა დაგაღვიწიოთ, გზაში მოგიხდებათო.

ზურაბმა დაყნოსა არაყი და მოეწონა.

— ვინ მოქცა ღვდელი, ეს წინწერისა.

— ვინა და შენი განსვენებულის ბიძაშვილის ოჯახშია — ღვდელმა გაიხსენა ქელები. — ფულზე არიან ცოტა ხელმოკერილნი, თორემ, — არაყზე გვიჩვენა, — ამისთანეებს გულუხვათ იძლევიან. სწორე გითხრათ, ექიმო, პირდაპირ ტანჯვაა მემთვის ღვდელმოქმედებაში ფულის აღება. რაები არ მითხრეს, ვინ იცის, სა-
ნამ იმ ორიოდე გროშს მომცემდენ. სულის მტერიოო. ხარბოო. შენ მარტო მი-
წა გაგაძღობსო. დამცირებაა სწორედ, დამცირება!

— დამცირებაა, მამაო, და აიღეთ ხელი ღვდლობაზე!

— ავიღო რა, თქვე დალოცვილო, ღილახანა ხომ არ არის. ოცი წელი-
წაღია ვღვდლობ.

— ერთი ეს მითხარით, მამაო, რწმენით ხართ ღვდელი?

— რად მეკითხებით? ხომ უნდა ხალხს ღვდელი? ხომ სარწმუნოების მიმ-
დევარია? სულ ერთი არ არის რწმენით ექიმები, თუ არა რწმენით. ხალხს რო-
ცა არ სჯერა, არა სწამს, მაშინ არ უნდა მიხვიდე.

— რას ბრძანებთ, მამაო? ხშირად ხალხს ექიმებისა არ სჯერა და მკითხა-
ვებს უგონებს, ექიმებს გაურბის. მაშ, სჩანს, მკითხავენმა უნდა იპარონ ხალხ-
ში და ექიმებმა არა...

— ბ-ნო ექიმო, ჩვენ მკითხავენები არა ვართ. მკითხავენს ჩვენ ვსდევნით.

— მიკვირს, რომ სდევნით, მიკვირს! მკითხავენები ხატში წასვლას უწერენ
რეცეპტად ავადმყოფებსა, თქვენ კიდევ პარაკლისებს. ეს ხომ ერთი მეორის
დასკვნაა.

— უკაცრავად, ექიმო! ჩვენ პარაკლისების გარდა სხვა ბევრს საჭირო საქ-
მეს ვაკეთებთ. მიცვალებულებს ვმარხავთ, ბავშვებს ვნათლავთ, ჯვარსა ვწერთ.

— მამაო, მიცვალებულების მიწაში ჩადება უანდერძოდაც თავისუფლად
შეიძლება. პროტესტს არ განაცხადებენ. ბავშვებს მოუნათლავდაც კარგა და-
ერკმევა სახელი და ჯვარდაუწერლადაც თავისუფლად შეუძლიან ცხოვრება
ცოლ-ქმარსა.

— ექიმო, ჯვარ დაუწერლად ცხოვრება ცოლ-ქმარსა უკანონობაა.

— მამაო, არის მარტო ერთი კანონი შეუღლებისა, ბუნებისაგან დაწესე-
ბული. თუ ამ ბუნების კანონის წინააღმდეგ რამეა ჩადენილი, უკანონობა ეს
იქნება და სხვა არაფერი. ჯვარდაუწერა, ცოლ-ქმარისაგან იმგვარადვე იბადება
ბავშვი, როგორც ჯვარდაწერილისაგან.

— ეჰ! ექიმო, ექიმო! რაებს ლაპარაკობთ?

— რაებს ვლაპარაკობ და მართლსა, მეტს არას ვამბობ... ნახვამდის.
ბევრს გეტყოდით, ბევრს, მაგრამ გვიგვიანდება. აბა, ავიკიდოთ გულა-ნაბადი
ზურაბი!..

გზაზე ზურაბმა ჩამომიგდო ლაპარაკი.

— მაშ იქით, — ბუმბერაზებზე მიჩვენა, — ზოგს სწორად უფიქრია?

— როგორ?

— როგორ და ხანდახან ჯვარს არ იწერენ: გამიიტაცებენ ქალებსა და
და ისე ჰყავთ ცოლად.



— მერე და ხომ არაფერი უშავდებათ რა მაგითი?

— არაფერი, არაფერი!

ზურაბმა კისერზე მათრახი მოისვა, შუბლი დაეღარა, კისერი კი დაეღრმადოდა. მისი ხეობის აპირებდა, მაგრამ მიჩუმდა. მეც აღარ შევეკითხებოდი რაიმეს.

გზა მდინარის ხეულებს მისდევდა და წყლის წმინდა ზედაპირი ჩვენს ანარეკლებს თავის ნებაზე ჰპრანჭავდა. ზურაბმა მათრახით მიჩვენა.

— ბედიც ასე თავის ნებაზე გვათამაშებს, არა, გილავე?

— ბედი კი არა, ჩემო ზურაბ, ბუნება. ბუნება ჩვენი ამშენებელიც და დამლუბველიც, ბუნება ამოისუნთქავს დღის სინათლეზე ამოგვეყრის, ჩაისუნთქავს და თავის სტომაქის ჯურღმულეებში მოგვაქცევს.

— ე ზოგი რომ მაინც სინათლეზე რჩება? მაშ ბედი არ არის? მყავდა შვილი არ შამრჩა, მყავდა შვილიშვილი და არ შამრჩა. ზოგს კი შვილიცა ჰყავს, შვილიშვილიცა, და შვილის შვილისშვილიცა. აი, თუ ბედი არ არის! რა იყო, შე ოხერო, ჩემო ბედო, რომ ასე დამზაგრე?

— ზურაბ, ქართველები ამბობენ, ცდა ბედის მონახვერეაო.

— აქა, ჩემო შამო, ცდა ველარას მიშველის.

— რატომ, ზურაბ! აბა, მოიყვანე მეორე ცოლიც!

ზურაბი შეერთა: ცხენი შეაჩერა.

— გილავე, არა ხუმრობ?

— არა.

— ჩემი ნინო ცოდო არ არის?

— განა თვითონ არ გეუბნება ამასა?

— მეუბნება, მაგრამ ეს სიყვარულით მოსდის. ან ვინ გამამყვება ცოლიანსა.

— ცდა ბედის მონახვერეაო, ზურაბ! ცდა ბედის მონახვერეაო! სცადე!

ზურაბმა მხოლოდ ამოიოხრა. აღარაფერი მითხრა რა.

გზაში დედაკაცებით სავსე ურემს წამოვეწვიეთ: ზურაბის სოფლისანი იყვენ. მათ შორის მარიამაც დავინახე.

ურემს გზა ავუტყვიეთ და წინ მოვეჭექით: დედაკაცები უცერემონიოთ აყაყანდენ.

— ქათ! ეს ზურაბი დასანიშნი ვაქივით არ გამაწყობილა!

— მაშა ქა, მაშა?

— კარგა ხნისა კი უნდა იყოს.

— კარგა ხნისაა, მაგრამა, რომელი ჯეელი დასანიშნი ვაქი ემჯობინება მაგასა?

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარეს ჩემ თანამგზავრსა.

— არ გესიამოვნა, ზურაბ?.. ნეტა ვინ წამოგესარჩლა?

— ვინ და მარიამა. — მომიგო ზურაბმა და ლოყები შეუფერიანდა.

— მარიამა კაი თვალით გიცქერის, ზურაბ!

— ჩემი ნინო ჰპატრონობს და ცუდი თვალით რად უნდა მიცქიროს.

გაფრუდით. საათის განმელობაში ჩვენგან ცხენის წამხალისებელ შორის-დებულს თუ გაიგონებდით, თორემ ისე ხმა-კრინტი აღარ დაგვიძრავს.

ვიწრო ხეობიდან ფართოდ გაშლილ ველზე გავედით და ნახევარ საათის უკან კოპალესთან ვაჩნდით.

მლოცავეების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. შუადღის აფეთქებას სა-
მფლობელო არემარე ერთ დიდ ბანაკს წარმოადგენდა.

ბევრი კურატი დაიკლა, ბევრი ცხვარი, თვითეული ნაბიჯის გადადგმაზე, გწყალობდეს კოპალეო, შეგვეწიოს იმის მადლიო, ისმოდა. კოპალეს, მახლობელი დაბის ბობოლეებიც მოსვლოდენ ცოლ-შვილიანათ. ჩემი და ზურაბის ერთად მოსვლამ ბევრს მათგანს ღურბინდი ააწვეინა. ერთი ბობოლათაგანი ლევანის მამულის პატრონი, თავადი გარსეანი აღმოჩნდა. ზაფხულს ამ მხარეში ატარებდა. მიცნობდა. თავისი ქალები ჰყავდა თანა. გვთხოვა. სუფრაზე ვწვეოდით. ზურაბმა უარი უთხრა: თავადის ქალების თანამესუფრეობას მოერიდა. მეც ჩემი ძმადნაფიცის სურვილს დავავევი.

სოფლის ქალებმა გარმოშვა ააქუმუტუნეს, დაირას დაჰკრეს და ლხინი გამართეს. მყურებელი მოგროვდა. ცალკე ქალები აქებებდენ ერთმანეთსა მუჯღუგუნებით, იცეკვო, ცალკე ვაეები. მაგრამ პირველად გამოსვლას ვერავინ ჰბედავდა.

— უიშე, ქათა! ნეტა რას იპრანჰებინ? — ვაეიგონე თამამი სიტყვები. — ესენიც იტყვიან, ახალგაზდები ვართო რალა! გამიშვიო ერთი წინ, გამიშვიო! მაშე გამიწყრეს გამჩენი, თუ, მე, ხნიერმა თქვენ არ შეგარცხვინოთ! ხომ ეწყინა კოპალეს, რომ არავინ თამაშობთ.

ქალების ჯგუფი გაირღვა და მარიამა გამოსცურდა.

— უიშე ქაა! რა გაუტეხელი ადამიანია! — წაპოიძახა მარიამას თანამაგზავრთაგანმა. — ორჯერ დაქვრივდა მაინც თამაშობს! ნეტაი მაგის გუნებასა:

— რატომაც არ ვითამაშებ. ჩემი ქვრივ-ობრობა არ მეყოფა, რომ ახლა არც ვიზიარულო.

— ეგრე, მარიამავ, ეგრე! — გაისმა ადამა დიაკვანის ხმა მამაკაცების ჯგუფიდან. უკვე ვადაკრულში ბძანდებოდა. — მარიამავ, უსათუოდ უნდა ვითხოვო უნდა გამომყვე ცოლზე.

— რატომაც არ გამოგყვები, ადამო? გამოგყვები მაშა! ერთი ქმარი დავმარხე, მეორე დავმარხე და მესამეს შენ დავმარხავ, შამოვღვამ თუ არა შენ სახლში ფეხსა.

ხალხში წამაქებებელი სიცილი ატყდა.

— ყოჩალ მარიამავ! ავრე! არავის დაუთმო!

— მაშა, მაშა! არავის დაუთმო!

მარიამას გამოსვლამ ბევრს მორცხვობა უკუ ავდებინა. ლხინი გახურდა. მაგრამ მე დიდხანს აღარ მიყურებია. დოლი იმართებოდა და ზურაბი მზადებას შეუღვა.

დოლის ავან-ჩაევანობა ლევანის მამულის პატრონს მოეგუნებებინა. თავადმა გარსევიანმა თავადური დარდიმანდული ხელგაშლილობა გამოიჩინა. ჯილდოდ თავისი საყვარელი სანადირო ორულუიანი თოფი დანიშნა: მე აღარ ვნადირობ და დეე ღირსეულს ერგოსო.

თოფმა ძალიან ინტერესი გამოიწვია. ზურაბს კბილები აუკაწაწდენ.

— გილავ, გილავ, იცი რა თოფია? ორ კაი ხარადა ღირს.

— აბა, მაშ შენ იცი, სმადნაფიცო! შენ იცი!

ზურაბს ეტყვიც არ ეპარებოდა, რომ ჯილდოს აიღებდა. თავადმა გარსევანმა მელოლები მოიხმო, რალაც მარათენი მისცა და გამოუცხადა.

— თოფი იქა მაქვს.— ხელი დაბისაკენ გაიშვირა.— შესხედით ცხენებზე და გაქუსლეთ. ვინც წინ შივა ჩემს სახლში, გამარჯვებულს ის იქნება. გადასცეს ჩემი ბარათი — ჩემ მეუღლეს და თოფს მიიღებს.

მოახტენ ცხენებს მელოლენი და გამწკრივდნენ. ზურაბის ლურჯა უცნაურად ატოკდა. ზურაბს ფერი ეცვალა. დაქვეითდა და უნაგირს მოხსნა დაუწყყო.

— ზურაბ, ჩვენ აღარ დაგიცდით.

— თქვენი ნებაა.— უპასუხა გულმოსულმა ზურაბმა მეტოქეებს და თავის ცხენის უნაგირის ქვეშიდან მსხვილი კენჭი გამოავდო. ვილასაც ემუხანათნა.

უკვე ორი ვერსით წინ იყვნენ წასულნი მეტოქენი, როცა ზურაბი ხელმეორედ მოახტა თავის ცხენსა და დასწყვივლა. ლურჯა ნარტყორცნი ისარბით წავიდა. წამოეწია ჯერ ერთს ჩამორჩენილს, წამოეწია მეორეს, მესამეს, მეოთხეს და გვერდში ამოუდგა ყველაზე დაწინაურებელს. დიდხანს ვეხდავდით ორ ცხენს ერთად, თავგანწირვით გაქანებულებს, მაგრამ ბოლოს ზურაბის ლურჯა დაწინაურდა.

ხშირად სწევდა მარჯვენას ჩამორჩენილი მხედარი, ეტყობოდა მათრახით ემუქრებოდა ცხენსა და მაინც მიზანს ვერ ახწევდა. ზურაბს კარგა მანძილზე ჩამორჩა.

— ზურაბისაა, ზურაბისა! — სთქვა თავადმა გარსევანმა. — ძალიან ვაქვაცია! იშვიათად თუ შეგვხვდებათ ვინმე მაგისტანა, ექიმო, აქა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებით დასახლებულ მხარეში... იცით მეტ სახელად რას ეძახიან ზურაბსა? არ გცოდნიათ. როგორ მოსვლია თქვენს ძმას, რომ არ უთქვამს თქვენთვის? მთაში როცა ადის ზურაბი, ცელქი მოდისო, იტყვიან ხოლმე. სხვა სახელი არ არსებობს იქ ზურაბისათვის. კლდე-ღრე მაგისტათვის არაფერია, პირდაპირ ფრინაეს თავის ცხენით. ვიწრო ბილიკი შარაა ცელქისათვის. თორემ ნახავთ, რაცა ვიწრო ხეობაში შეხვალთ.

— სად ვიწრო ხეობაში? მე შინ უნდა დავბრუნდე.

— ბატონო ექიმო, სჩანს თქვენთვის არ უთქვამთ, რომ ეს ხატობა მორულია, 1-ელი ივლისიდან იწყობა. ჯერ რომელიღაც ეკლესიის ნანგრევთან იხდიან ხატობას და მერე აქ მოდიან. აქედან ამ მდინარეს აღმა შეჰყვებიან ზოგნი დღეს ზოგნი ხვალ დილით, გადავლენ არაგვზე და ახლა იქ მოილოცავენ კოპალეს ნიშებს. მთავარი დოლები იქ იმართება. ამ კოპალეში ჩემი შემოღებულია. ალბად ზურაბიც წავა, არაგვზე, ნათესავეები ჰყავს, და თქვენც წავიყვანთ.

ასეთი პერსპექტივები არა სასიამოვნო მოვლენად მივიჩინე. ღეღე-ღუღუღებში სიარული აუტანელი იქნებოდა ჩემთვის და ენერგიულად გავიქნე თავი.

— არა აგეთი მარშრუტი სრულიად არ მქონია სახეში. ზურაბიცა და მეც დღესვე დავბრუნდებით შინ.



გაქვინებულნი

თავადმა იქვით გაიღიმა.

— ვნახოთ, ვნახოთ!... აგერ ზურაბიც ბრუნდება.

გავხედე... ზურაბი მართლა მოაქროლებდა თავის ლურჯკანიან ქუთის უკან ჩემთან გაჩნდა ჩემი ძმადნაფიცო. ზურგზე თოფი ეკიდა და მკერდს და წელს ვაზნების მწკრივი უმშვენებდა.

გადმოხტა ცხენიდან და თავადისაკენ ქნა პირი,

— გარსევან!—თოფზე უჩვენა.—ჩემი პირველი მოკლული დათვი ამითი, შენ მოგერთმევა.

თავადმა კმაყოფილებით თავი დახარა.

— მშვიდობაში, მშვიდობაში, ზურაბ ეგ მონაპოვარი!

ჩემმა ძმადნაფიცმა მადლობა გადაუხადა და მე მომიტრიალდა.

— გილავე, დღეს მე და შენ შინ არ დავბრუნდებით!

თავადმა გარსევანმა გადაიხარხარა და ნიშნი მომიგო.

— ხომ გითხარით, ბატონო ექიმო!

შუბლი შევიკმუხენ.

— ზურაბ მე დღესვე უნდა დავბრუნდე შინა, შენ თუ გინდა ნუ წამოხვალ.

პასუხი არ გამკა. მივიდა თავის ხურჯინთან და სანოკავის ამოლაგება დაიწყო.

თავადს სხვა ბოძოლებმა დაუძახეს და ჩვენ თავი დაგვანება.

ზურაბი დაღონებული გამოიყურებოდა. სუფრა ვაშალა, მაგრამ არაფრისთვის ხელი არ უხლია.

ჩემი ხურჯინიდან კონიაკი ამოვიღე და მივთავაზე.

— მადას მოგვიშატებს, ზურაბ.

— არ მინდა!

ჩვენ სუფრაზე ადამა დიაკვანმა მოიტანა იერიში. ბარბაცებდა. ზურაბისათვის დასხმული კონიაკი იმან გადაჰკრა.

— ექიმო, კარგია კეთილი ცხოვრება არა? ეჰ! რატომ არაფერს მეუბნებით? რა ამბავია ორივენი ცხვირჩამოშვებულები რომ სხედხართ? ზურაბო, კიდევ უშვილობას დარდობ?

ზურაბს ყურადღება არ მიუქცევია დიაკვნის ლაქლაქისათვის, მე მომიტრიალდა. თავისებურად წელზე მკლავი შემომავლო და ლურჯი თვალები მუდართით გასხივონებული თავისებურად მომაჩერა.

— წამამყე, გილავე!

ამ რიგათ და ამ კილოთი ქელეხშიაც მომმართა და თავის ნებაზე დამიყოლია, მაგრამ ეხლა გავკერპდი და ზურაბის მკლავი მოსწყედა ჩემს წელს. ლურჯი თვალები მობინდნენ. ვინანე და ჩემს თავს მეც გაეუწყერი. ისე დავიწყე ყურება, რომ დიაკვანი აღარ გაჩერებულა ჩვენ სუფრაზე: სხვებს მიეკედლა. კარგახანს ვისხედით დაღუმებულნი...

ხალხი აიშალა სუფრიდან. წასასვლელად დაიწყო მზადება.

ჩვენ სუფრას მედოლენი მოადგენ. ერთხმად აყაყანდენ.

— ზურაბ, არ მოდიხარ არაგვზე?



- ზურაბ, რას აპირობ?
- ზურაბ, შენ უნდა გეასახელო იქა? პასუხი ზურაბის ნაცვლად შე გავეცო.
- წამოვა, აბა მაშ რას იზამს? ამოდენა ხალხი სთხოვთ.
- ზურაბი შეირხა. თვალბუხე ჩვეულებრივი ცივი ელვარება აჰვარდა. დოქს ხელი წამოავლო და ზედიზედ სამი ჯამი ღვინო გამოცალა. მეოთხე დაასხა და შე მომაწოდა.
- დალიე! რა? არც ეს გინდა ამისრულო?! დალიე, გილავე! დალიე! არა? ექ! რა ყოფილხარ?
- მედლოდენი დაიძვრენ.
- აბა, ზურაბ, მივდივართ. წამოდი.
- იღინეთ თქვენა, ნუ მელოდებით. არ წამოვალ. გილავე, შე შენთანა ვრჩები.
- რათა, ზურაბ, რათ? ჩემი გულისათვის ნუ მოიშლი.
- მითომ რატომ? შენა გგონია რაკი გავჯავრდი. თავს დაგანებებ? არა, შენთან ვრჩები. აბა, ჰა! გავწიოთ შინისკენ.
- კოპალე მივატოვეთ. გზაში ბალღების ჯგუფს წამოვეწვიეთ. ლაზღანდა-რობდენ.
- ბატონის ქვევრი სად არის?— გაიძახოდენ წარამბარა და ერთმანეთს ქულს მიწაზე უნარცხებდენ, ჩვენს დანახვაზე დაწყნარდენ, გზიდან ჩამოგვეცალენ. გავცდით და ისევ აყაყანდენ.
- იცი, ბიჭებო!— მომესმა უკანიდან.— ზურაბის ცხენს დიაკვანმა ამოულო კენჭი უნაგირის ქვეშა. არა, ვია, შენც ხომ დინახე?
- ჰო, ჰო! მართალია ზურაბმა გადმოშხედა.
- ხომ გითხარი, გილავე, დიაკვანი ჩემი მტერია მეთქი. წელან შენმა უარმა გამომაყრუა თორღ... სიტყვა „გამამაყრუა“ გულში ჩამწვდა. ჩემი სიკერპე გაქრა, მაგრამ არა ფერი ვთქვი.
- ჯვარედინ გზაზე დავეღქით. ზურაბმა თვალი გაადევნა მდინარის აღმა მიმავალს გზასა. ეტყობოდა, ეძნელებოდა შინ დაბრუნება, მაგრამ ცხენი მაინც წყლის ღენას მიიყოლა.
- შევჩერდი.
- გილავე, წამოდი!
- არა, ზურაბ, არაგვზე წავიდეთ!
- ექვის თვალი მესროლა.
- ზურაბ არაგვზე წავიდეთ.— გაეუმეორე უფრო მკაფიოდ და დაჯერებით. ჩემი ძმად ნაფიცი მომიახლოვდა.
- წავიდეთ, წავიდეთ, არაგვზე!
- ცხენდაცხენ მომიგვია ხელი წელში და შუბლზე მაკოცა.

შევეყვით მდინარეს აღმა. ხეობა უცხად შევიწროვდა. მთების კალთები ერთმანეთს ებჯინებოდნენ. აღმართი დაღმართს სცვლიდა, დაღმართი აღმართსა. ზურაბი ლილინებდა, მე ცხვირპირი ჩამომტიროდა: ხრამში და უფლებები გულს აწყალებდნენ.

— ზურაბ, აღბათ გზაში გადავიჩხებები.

— მერე და თავი ცოცხალი რალად მიზნა?

დაღამდა. გზას სრულებით ველარ ვამჩნევდი. სამაგიეროდ ზურაბს კარგა უჭრიდა თვალი და წამდაუწუმ მათრთხილებდა ზრუნვის კილოთი.

— ზურაბ, არსად გავათევთ ღამესა?

— რა ღამის გათევება გვინდა, შენი კენესამე, შარა გზით მივდივართ.

შარა გზით მივდივართო გაიგეთ! მე კი ლაბირინტად მიჩვენებოდა თვითელი ხევი.

გადავლახეთ წყალთა გამყოფი მთები. არაგვში ჩამომდინარე ხეცს წავადექით. თავქვე დავეშვით. მერამდენე დაშვება იყო ვინ იცის! სათვალავი ამერია. სიბნელეში უფსკრულად მომჩვენა ორის მოპირდაპირე ბუმბერაზის კალთებ შორის მოხრიალე ხევი.

ძალიან მოვწყვდი, მოვიქანცე და ზურაბმა გზის გაგრძელება გადაიფიქრა.

— გილავ, აღარ გავყვები მლოცავეებს. ამ ხევის აქეთ-იქით სოფელია, ჩემი მოგვარეები ცხოვრობენ და იმათ დავესხეთ თავსა, უნდა დაგასვენო. ემანდ ხანგრძლივმა მგზავრობამ არ გაწყინოს.

— მერმე, რომ უნდა გელოცა? დოღები?

— ეჰ! ჯანდაბას! შენ მყავდე კარგა, თორო სხვა ყველაფერი წყალსაც უზინდია.

ზურაბმა მახლობელ სახლისკენ შიბარუნა ცხენი და მეც სომნამბულივით მივეყვი ჩემი ცხენით.

დილიდანვე სოფელს მოსდებოდა ამბავი, ცელქი მოსულაო, და ჩვენი მასპინძლის სახლის კარს დიდი და პატარა მოადგა ზურაბის სანახავად.

სამი დღე დავრჩით ზურაბის მოგვარეებში. ვითევზავეთ და ვინადირეთ. ზურაბს ბედი სწყალობდა: ბადეს თევზი მოსდევდა, თოფი კიდევ ნადირს არა სცდებოდა. ვაზნები სულ დააცალიერა.

უკან დაბრუნებისას ტყე-ტყე სიარულის დროს დათვი შემოგვებენა.

— უკან დადევ, გილავ!—დამიძახა ზურაბმა, წინ მიმავალმა.

ცხენებმა ფრუტუნნი დაიწყეს. მე საქმე ტრაგიკულად წარმოვიდგინე, ზურაბს კი წარბიც არ შეუხრია. დაქვეითდა, ცხენის სადავე გადმომიგდო და ხანჯალ-ამოღებული დათვისკენ გაემართა. დათვი ყალყზე შემდგარი და თათებ-ვაშლილი წამოეგება.

ზურაბის მაცქერალს შიში მთლად გამიქრა. ზურაბის გამბედაობამ მეც გამამაგრა და დამშვიდებული ველოდი ბრძოლის ბოლოსა. მჯეროდა, რომ გამარჯვება ჩემ ძმანდაფიცს დარჩებოდა.

ნახევარსაათის უკან დათვი უკვე იკრუნჩხებოდა სიკვდილის კლანჭებში.

— მაინც ვეულის ძალა სულ სხვაა.—სთქვა ზურაბმა.—თორო ასეთი გაჭირება არ დამადგებოდა.

საძაგელი! ლამის არის ცრუ მორწმუნე ადამიანად გამოიყენოს! რითი დაეიმსახურე?

„არა, ჩემო კარგო,“ — ამბობს შემდეგ, — „სულ უბრალო ამბებია თავისთავად, სულ უბრალო, დედამიწის ზურგის კუნძულებში მომხდარი და არა ხაღმე ცის სივრცეზე. საცა მრავალი ჩენი მზასებური მზე, ჩენი მთვარისებური მთვარე და მრავალი ჩენი დედამიწისებური დედამიწა მოძრაობენ, თვითული მათგანი თავისათვისაც და ყველასათვისაც, და ვარსკვლავებად არიან ცნობილნი ჩენში. აი ის უბრალო ამბები: საჩავეოში მოკვლეს ავსტრიის ჰერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე და რუსეთის ელჩი გარტივი ეწვია კაბინეტში ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩს და იქ გარდაიცვალა. დასწყველოს იმისი თავი და ტანი! რაღა ავსტრია-ჰუნგრეთის კაბინეტში მოუნდა გარდაცვალება!.. მერე სწერენ: სახელმწიფოთა სწავლების მოდარაჯე რაზმები ერთმანეთს მუშტებს უღერებენ და ხანდისხან ზოფის სროლასაც იშველიებენო. თუ ვარჯიშობენ! როცა ომის გამოწვევი მასალა გროვდება, ასეთი ციციანათელები იწყებენ ხოლმე ფრენას. ბევრს გულუბრყვილოს ჰგონია, რომ ამგვარი ციციანათელები იწყებენ ომსა, მაგრამ რას იზამ, გილო? ეგონათ. მე და შენ ხომ მაინც ვიცით, და სხვა გულბრყვილიანებმაც იციან, რომ აქ უმთავრესად ბუნებაში არსებულის შერჩევის კანონი მოქმედობს და ამაზე დამყარებული ეკონომიური სტრუქტურა, გადაათვალიერე გაზეთები და ბევრს სხვა საგულისხმო ამბებსაც ამოიკითხავ. გაიგებ, თუ რომელი სახელმწიფო რომელ სახელმწიფოს უღრინავს.“

P. S. ავსტრია უკვე თავში უჩაკუნებს სერბიასა.“

წავიკითხე ლეგას წერილი, ლეგას გამოგზავნილი გაზეთებიცა და აფფორიაქდი. ბევრი ამბავი უკვე გაგებული მქონდა. მაგრამ აინუნში არ მომდიოდა. ეხლა კი რაღაც დამემართა, ტფილისისაკენ ძალზე გამწია გულმა. ალბათ ლეგას წერილსა და გაზეთებსა ტფილისის ძლიერი სურნელება მოჰყვა. ლეგას გამოვეუცხადე ჩემი ტფილისში წასვლის სურვილი.

— რას ამბობ, გილო! ტფილისში რა გინდა ამ სიცხეში? ომი იწყება? მერე შენ რა?

— მეშინიან ლეგა ჯარში არ წაიყვანონ: შენ მთლად თავისუფალი ხარ ხომ ჯარისკაცობიდან და ის მეორე ჯერის მოლაშქრეა.

— ნეტავი შენა! ეგ რა საფიქრელია? რუსეთს ბევრი სათადარიგო ჰყავს, იმის კვებასაც ვერ აუვა და მეორე ჯერის მოლაშქრეებთან ჯერ რა ხელი აქვს? არ გაგიშვებ. რა არის, რომ სრულებით ჩემთან ვერა სძლებ? ძმა ვარ შენი თუ არა? — ზურაბი მოგვადგა კარსა და ლეგანმა იმას მიმართა ჩივილით. — ნათლიმამ შენი ძმადნაფიცი აღარა რჩება ჩემთან. ქალაქში უნდა წავიდეო. ომი იწყებაო.

ზურაბს ღრუბლები მოუგროვდა სახეზე. არც იმას ესიაზოვნა.

— ომი იწყება და დაიწყოს, შენ რა, გილავ? ჯარში შენ ხომ არ წავიყვანენ და! ამბების გაგება გინდა? აქაც გაიგებ! იყავ, გილავ, იყავ! ეს ზაფხული აქ გაატარე. ჩემმა მზემ არ მოგაწყენ.

— არა ზურაბ, უნდა წავიდე — ვუთხარი გადაქრით. — წინასწარ რაღასაცა ვგრძნობ.

ლევანმა ხელი ჩაიქნია და თავი მიმანება. ზურაბი გვერდით მომიჯდა.

— მაინც როდის აპირობ წასვლასა? გაგაცილებ. ქალაქს გამოვყავები.

— ალბათ ხეალ წავალ ან უფრო მგონია ზევა.

— აბა, მაშ კარგ ღროს გადავწყვიტე! შენ და ლევანი შეწყვიტეთ დადილად დღესა.

— რა გადაწყვიტე, ზურაბ?

— ჩემსას გაიგებ.

ზურაბი გამომეთხოვა. ლევანი მოენახე. მინდოდა გამეგო, გაჯავრებული ხომ არ იყო ჩემზე. გაჯავრებისა არ ეტყობოდა რა, გამიცინა და ცერცვოვან მცენარეებზე დამიწყო ლაპარაკი. ძალიან თვისება აქვს: წყენას გულში ადვილად არ იტოვებს და მეც ეს მიხარია. სული მალე არ დაუბერდება, მალე არ გაქალაქავენება. ხანდახან აპილპილება კი იცის, მაგრამ ეს აპილპილება გულიდან არ ამოსდის. ზურაბთან დიდი სიაზოვნებით გამომყვა.

ნინო დიდ ფუსფუსში იყო.

— რა ამბავში ხარ, ზურაბ? რატომ ასე ტრიალებს შენი მეუღლე?

— თვითონ გითხრას, გილავე, თვითონ.

ნინოს მივაჩერდი. სახე ჩაქმუჭებოდა. წამების ხაზები გაჰვლოდა ლოყებზე.

— რატომ აგრე ხარ, ნინო?

— ძალიან კარგა ვარ, გილავე, ძალიან. აგრე მალე რად მიდიხარ ქალაქსა?

— ოსტატი ქალი ხარ, ნინო, მაგრამ ჩემთან ვერას გახდება მაგ სიტყვის გადახვევით. ჩემი წასვლა არაფერია. შენ მითხარი, შენ რა გაწუხებს.

— აბაიშე! რა უნდა მაწუხებდეს? გახარებული ვარ, გილავე, გახარებული! ზურაბი დავიყოლიე.

ზურაბმა ლევანს ჩაჰკიდა ხელი.

— აგრო, წამო ერთი ჩემი დარგული ხეები გაჩვენო. რაღაც ვერ არიან კარგა.

ჩემმა ძმად ნაფიცმა ჩემი ძმა გარეთ გაიყვანა, ალბათ განგებ. უხერხულადა გრძნობდა თავსა.

დავრჩით მე და ნინო მარტონი.

— რაზე დავიყოლიე, ქალო?

— რაზე და მეორე ცოლის მოყვანაზე. დღეს პატარა პურის ჭამა გვაქვს და იმიტომ დავიძახეთ.

— ვინ მოჰყავს?

— ვინა და მარიამა. მარიამაც მე დავიყოლიე. არა თანხმებოდა, მაგრამ მაინც დავიყოლიე.

— ხალხის მითქმა-მოთქმა არ აშინებს?

— მარიამას ზურაბი უყვარს.

— კარგი. ახლა ეს მითხარი, გახარებული კი ხარ, ნინო? გულგრილად ამბობ ყველაფერს?

ცრემლები გადმოსცივდა.

— გულგრილად? გულგრილად რას მიქვიან? ცეცხლი შეკრება! — სახე ძალზე მოუნაოჭდა: თითქოს ვინმემ გახურებული რკინა დაიდოო. — მე წელია, ზურაბთან ვცხოვრობ. ზურაბია ჩემი ყველაფერი. სხვა ვილა მყავს? განა შემიძლიან გულგრილად ყოფნა, გულგრილად ცქერა, ლაპარაკი? უფრო ადვილი ასატანია ჩემთვის, სანამ ზურაბის მეორე ცოლი... მაგრამ მაინც ავიტან. მე ვიტანჯები, მაგრამ მიხაროიან კიდეცა. ჩემ ზურაბს შეილი ეყოლება.

— ქალო, ძალად რად იქმნი სატანჯველსა? განა უშვილო ოჯახები არ არიან? მაშ ყველა ამისთანა წყალში გადასაგდები ყოფილა. შეილი აუცილებელი როდია. თუ იქნება, კარგია. თუ არა და რა უშავს.

— არა გილაგ! ის ოჯახი ოჯახი, არ არის საცა შეილი არ არის. ზურაბს შეილი უნდა ჰყავდეს! ზურაბს ნაშენი უნდა ჰყავდეს...

ნინო გაჩუმდა. მეც აღარაფერი ვკითხე.

სუფრაზე დაესხდით. ლევანი აინუნში არაფერს იგდებდა. მარიამას სირცხვილის სიწითლე სწვავდა, ზურაბი გარინდებულევით იყო, სულ გვერდზე იყურებოდა, ნინო ნიღაბბუარებული თამამობდა და თავისთავის გაუქარწყლებელს ვითომდა აქარწყლედა.

გული შეკუმშებოდა: მეგონა სიღამბლავე დაემართებოდათ ამ უცნაურად შეკავშირებულს სამ ადამიანსა. მაგრამ სადილმა უკატასტროფოდ ჩიიარა. სამივეს რკინის ბუნება ჰქონდათ; ვაი ჩვენ, ნერვებმოღუნებულებს, თორემ ესენი ყველაფერს აიტანენ.

შინ მე და ჩემი ძმა ძალიან გვიან დავბრუნდით.

დღეს გადავწყვიტე უსათუოდ ხვალ წასვლა ქალაქში. ბარგი უკვე ჩავალაგე. ზურაბი წამომყვება.

1914 წ. ივლისის 19

უკვე ტფილისში ვარ, ჩემ საკუთარ სახლში. ჯერ ლევასათვის არ შემიტყობინებია. დეე თვითონ იგრძნოს რომ აქა ვარ.

ომი გამოცხადებულა, ხალხი ქუჩაშია გამოფენილი. ბიჭები დეპეშებს და აქანებენ. მე ვწერ დღიურს, ზურაბი გარეთ დასეირნობს. გუშინ საღამოს მოველით ტფილისში: ჩემ ოთახში შესვლისთანავე ჩემს სურათს მიაპყრო თვალი.

— შენი ხატია, გილაგ, არა?... მამეცი, გილაგა შენი ხატი?

სურვილი აფუსრულე.

მაგიდაზე ადამიანის თავის კენჩხა დანახა.

— გილაგ, ეს ნამდვილია?

— ნამდვილია, მაშა.

— მე რე და რატომ არ დამარხამ? მაგის სული ხომ არ მოისვენებს?

— ჩვენი ცხოვრება, ზურაბ, სააქაოს იწყება და სააქაოსვე თავდება.

— მაშა, გილაგ, სულეთი არ არის?

პასუხი არ გავეცი.

ზურაბმა ლაპარაკი განაგრძო.

— მაშ რათ ვხედავთ სიზმარში მიცვალბულებს? აი, მე რომ მეორე ცოლი მავიყვანე, განსვენებული მამაჩემი ვნახე სიზმარში. მითხრა! ნაშენი არ გამაილიოო და იმიტომ დავეყვი ნინოს სურვილსა. დედაჩემიც მელაპარაკება ხოლმე, ჩემი შეილიც, შეილიშვილიც.

— აბა, მაშ, ზურაბ, რად გინდოდა მეორე ცოლი, თუ კი შენელიც გყოლია, შეილიშვილიც.

— ღმერთო შენ ხომ იცი, რომ მე არ მინდოდა მე მარტო შენთან მინდოდა. სააქოასაც უნდა წილი კაცსა და საიქოასაც.— ცოტა ხანს შენთან, ექვსის თვალი მესროლა.— ცუდი ვქენ გილაე? მითხარ, თუ ცუდი ვქენ, მითხარ?

— ცუდი, ზურაბ, შხოლოდ გარყენილებაა, მოტყუებით საქმის გაკეთებაა, ყაჩაღობაა, ქურდობაა, კაცის გათახსირებაა, მტრობაა.

სიტყვა მტრობამ ზურაბს დიაკვანი გაახსენა.

— ჩემი მტერი, გილაე, დიაკვანია. ხომ გახსოვს ბავშვებმა რა თქვეს კობალეობაა ჩემზე? მაგის ცხენს დიაკვანმა ამაუღო კენჭი უნაგირს ქვეშაო... პირისპირ ვერას მიზამს, მაგრამა ზურგთუკან არ დამინდობს. იცოდე, გილაე, თუ რამე დამემართება, მაგისით დამემართება.

გვიანობამდე შელაპარაკა დიაკვანზე. თურმე მარიამაზედაც თვალი სჭერია. შედავითნეს ჰსურებია ქვრივის შერთვა, მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ჩემი ძმადნაფიცი გამოუჩნდა მეტოქედ და საქმე წაავო.

დილას ადრე წამოდგა ზურაბი და მეც ადრე წამომიყენა. წავიდა, ქალაქში გავიაროო, და ჯერაც არ დაბრუნებულა. მინდა ლეგა გავაცნო და უარობს. უნახავად მტრული გუნებით იხსენიებს. ჩემ გამოქცევას სოფლიდან იმას აბრალებს. მე კი მჯერა, რომ ნახოს შეიყვარებს კიდეცა. ხვალ ბრუნდება თავის სოფელში.

1914. წ. ივლისის 21.

ლეგა არ მოვიდა. თუ ვერ იგრძნო ჩემი ჩამოსვლა? არა, იგრძნო, მაგრამ... მაგრამ რა დემართა? უნდა მე მოენახო ისევე. თავისუფალი ვარ: ზურაბი დაბრუნდა თავის სოფელში. გუშინ გამომეთხოვა. ორივეს სახე მოგვეღვრიმა. ძალიან შეგვიყვარდა ერთმანეთი.

— არ ვიცი, გილაე, რა მამდის.— მითხრა ზურაბმა.— შენ რომ გშორდები, თითქოს გულიდან რაღასაც ვიკვლეჯო, ისე თი ტკივილები მიჩნდება. ვინ იცის, ველარა გნახო!

— რას ამბობ ზურაბ? მე არ ვაპირობ სიკვდილსა და შენზე ხომ მეტია ლაპარაკი. ნამდვილი ფოლადი ხარ, ფოლადი!

— ვიცი, რომ ღვთისაგან სიკვდილი ჯერ არ მამელის, ავადმყოფობა არ ვიცი, მაგრამა ჯერ ერთი კაცი, თითონ დაიტეხს ხოლმე თავსა სიკვდილსა და მერე, თვითონ თუ არა, სხვამ შეიძლება დაატეხოს.

— ექვს! შენცა ერთი, ზურაბ! რას მაშინებ? ომში შენ არ წავიყვანენ და სხვა რა უნდა გამოტყვერეს შენ საზარალოდ.

— აბა, რა ვიცი! რა ვიცი!... მშვიდობით იყავ, ჩემო გილაე!

სწრაფად მომეხვია და სწრაფადვე მომცილდა.

თვალი გავაყოლე. ჩემი გულის ნაწილი ზურაბს მიჰქონდა...

ლეგასთან მივდივარ.

1914 წ. ივლისის 22.

ლევასთან ვარ. გუშინ მოვედი. თავი ველარ დავანებე. ავად იყო. რომ დამინახა, ხელები გამომიწოდა.

— მოიტა შენი ხელები, მოიტა შუბლზე დავიწყო და მოვიჩხვებო.
უძილობისაგან თვალები დასწითლებოდა.

სურვილი ავუსრულე. შუბლზე ხელები დავაწყე. დამშვიდდა. წყნარი ფშვინვა ამოუშვა.

დილას გამოიღვიძა. ფანჯარასთან ვიდექი და წიგნს ვკითხულობდი. ერთ-ბაშად ვერ შემაჩნია და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო.

— გილო, სადა ხარ? გილო!

— აქა ვარ, აქა ლეგავ!

— გილო, წამიყვა ლევანთან!.. ჰო, ჰო, წამიყვა! წამიყვა!

ჩემს სახეზე აღბეჭდილმა გაცოცხამ რამდენჯერმე გაამეორებინა სიტყვა „წამიყვა“. რასა მწერდა ლევანთან და რას ამბობს-მეთქი, ვფიქრობდი.

— არ წამიყვან, გილო?—მკითხა საყვედურით.

— ლეგავ, ნუ ბავშობ! სანამ არ მორჩები ვერსად ვერ წახვალ და მერე, შენ აკი არ გინდა ლევანთან...

— ებლა მინდა, ებლა მინდა!

კარგი, კარგი! ნუ ლელავ! მორჩები და წაგიყვან. მე ვხედავ, რომ შენ ციებცხელება გაქვს! ერთი ორჯერ ხინა დაგალევეინო, კარგა გახდები.

ხინის გახსენებაზე დაიღმიქა, მაგრამ ჩემი ღესპოტობა რომ იცოდა ამგვარ შემთხვევაში, უარის თქმა ვერ გამიბედა.

ისევ დაიძინა.

გადავწყვიტე, მართლა წავეყვანო ლევანთან. პატარა მომაგრდეს ერთი.

1914 წ. ივლისის 25

ლეგა კარვადაა, მაგრამ ლევანთან ველარ მიმყავს. მობილიზაციაა ექიმებისა გამოცხადებული და მე, როგორც ჯარის კაცობის კენჭნარგები პირველ ჯერში უნდა გამოვცხადდე. სათადარიგო ექიმად ვითვლები. მეშინოდა, ლეგა არ წაიყვანონ-მეთქი და ჩემი თავი კი სულ არ გამხსენებია.

კიდევ კარგი, რომ სწორედ მე მივყევართ და არა ლეგა და ლევანი, ამით ჯარისკაცად მოუხდებოდათ ყოფნა და მე ხომ ექიმად ვიქნები, უფრო უკეთეს პირობებში.

ლეგა ძალიან აღელვებულია ჩემი ასეთი ბედით. გუშინ სულ ილანძღებოდა.

— გაჩერდი, ლეგა!—დავუტეე ხუმრობით.—შენ არა მწერდი, რომ ომი აუცილებელი და საჭირო მოვლენააო. უოზოდ კაცობრიობა დაქაობდება, აუროლდებაო. გაჩერდი.

მაგრამ განა ყურადღება მომაქცია? სიტყვის ტალახში ამოსვარა ყველა იმპერიალისტები, მეფეები, ბიუროკრატია და მათნი ძმანი.

რის ვაი-ვაგლახით დავაშოშმინე და გარეთ გავასეირინე.

მეშინიან, ფრონტზე რომ წავალ, უკან არ გამომეკიდოს...

სწრაფი ტემპით მიხდება მზადება. ლევანი დავიბარე. იქნებ ზურაბიც ჩამოვიდეს. ჩემი სულის სფეროში ამ კაცმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

1914 წ. აგვისტოს 6/

დაიძრა მატარებელი ტფილისიდან და მეც ჩემ დღიურუმის რეგულს ხელი მოვკიდე. გუნება აღრენილი ვარ. ზედ ფერიცვალების დღეს ვწორდები მშობელ ქვეყანას, ფერგადალეული, გულდაწყვეტილი. მივდივარ და უნნ ღიქის რა მომე-ლის. ვერც ლევანი ჩამოვიდა ჩემ სანახავად, ვერც ზურაბი. ჩემი ძმა წერილით გამომითხოვა და ზურაბის სახელითაც სალამს მიძღვნიდა. სოფელურ სასწრაფო საქმეებს არ გამოეშვათ არც ერთი, არც მეორე.

ლევამ მომაცილა სადგურამდე. მატარებელშიაც შემომყვა. შავგრემანი სახე პირდაპირ ღამედ ჰქონდა ქცეული.

— ლევამ: ჩემო ლევამ: ნუ იყურები ბიჭო, აგრე. ხომ არა მმარხავ.

ხმა არ გამცა. ვატყობდი, ატირებისა ეშინოდა. თვალების კილოებში ცრემლის ცვარები მოსწოლოდა. ვერაფერი ვუთხარი და ვავონის ფანჯარას უაზროდ მივაჩერდი.

სადგურის მესამე ზარმა გაგვყარა.

სამხრეთისაკენ მივექანები. თვალწინ მეხატება მწირი ბუნება ჩემ მოწაფე-ობისას ნანახი და ბოღმა ლოდებად შედება გულზე. ძნელი ასატანია ჩემთვის, მხიარული ქვეყნის შვილისათვის დიადი, მაგრამ რუხად მომზირალი ბუნება...

ნაწილი II

1917 წ. მარტის 31.

თვეა რაც დავბრუნდი ფრონტიდან, მოქანცული, მოწყვეტილი. ომიანობის ბთელი დროის სივრცეზე ერთხელაც არ გამსხენებია დღიურის წერა. ან სად იყო გული, ან ვინ მომაცილდა. ქიოფრიქოსის საშინელებანი: წინ წაწევა, უკან დახევა, შეუბრალებელი სიკვდილის პარპაში ადამიანებზე გონებიდან არ მომ-ცილებია,— შეიდი დღის განუწყვეტელი ბრძოლა წარამარა მიელავს თვალში. სა-რიყამიში, არზრუმი დამლასეებრ ამომწვარია ჩემი ტვინის პერიფერიასზე. გრი-ალი, რუხრუხი ზარბაზნისა, კაბა-ჭუხი, ტკაცა-ტყუცი თოფისა, ტყვიის მტყორ-ცნელისა დღესაც ყურში მიყუყუნებს. ვაი მტერს დამარცხებულს, ვაი მტერს გამარჯვებულსაც. ორივეს უკან სდევს ხროვან მკვდრებისა და ხროვა დაქ-რილებისა.

მაგონდება კლინიკა, მაგონდება მკვდრები ყვავივით რომ გულგრილად ეწიწენიდი სტუდენტობისას და მწარედ ვიღიმები. სახე მეპრანქება. თავს მაგარ ადამიანად ვრაცხდი. მოგვხდი ომში და გაქრა გუშინდელი ბოვლივით ჩემი გულგრილობა. რა დამავიწყებს კენესა-გმინვას, ღრიალს, წყველა-კრულვას ბრძოლის ველისას?! ადამიანის გვამებით მოდებულს ბრძოლის ველისას! რა დამავიწყებს აჩრდილად ქცეულს ჰეუაზე შემცდარ ჯარისკაცებსა? რა დამავი-წყებს, რა?

სამშობლო ჰლაქმა მომიყვანა გონსა თავზარდაცემული და ჯამს ვუკეთებ ნახულ საშინელებათ, სისხლი მიშრება მონაგონარით და ვსწყველი, ვსწყველი ბუნების კანონს შერჩევისას.

დასვენება გინდაო მწერს წერილს წერილზე ჩემი ძმა ლევანი და მემუ-დარება ჩემთან წამოდიო. ლევაც ყოველ დღე ჩამიჩინებს წადი ლევანთანო და ვკერპობ: არ მივდივარ.

უცნაური ცვლილებაა ლევანში: თუ წინათ ხშირად მეტუტებოდი, შეუკებებოდა, ეხლა რაღაც კრძალვით შემოიკეპერის თვალებში. ყოველს ჩემ სურვილს ასრულებს. შენ გენაცვალეობით მიმასპინძლდება. ჩემ ნერვებს თუ ეფუძნებოდა.

1917 წ. აპრილის 15

გუშინ კიდევ მივიღე ლევანის წერილი და მხოლოდ დღეს წავიკითხე. გული გადამიქანდა „ზურაბი დასკრეს, — მწერს ლევანი, — შენ ნახვას ნატრულობა, უკანასკნელ დღეშია. წამოდი და ნახე. სულ იმის მონატურია, რომ შენ შეიღები მოუნათლო. ტყუპი ვაჟი ჰყავს მარიამასაგან. წლინახევრისანი არიან. ზურაბი იძახის, გილამ უნდა მონათლოსო. გამოეშურე, გილო! შენ, ვიცო, გიყვარს ზურაბი“.

კარგა ხანია ზურაბის ოჯახისა აღარა ვიცოდი რა. ომში კანტიკუნტად მომიღიოდა ლევანის წერილი და ისიც მოკლე საღამიანი და სხვა არაფერი. დღეს ამოვიკითხე ჩემი ძმადნაფიცის აშბავთაგანი და ისიც საბედისწერო. ვინებამ ზურაბისაკენ გადახარა. ხვალ დილით გავემგზავრები. იქნება როგორმე ვუშელო ჩემ ძმადნაფიცსა. ნეტავი ვინ დასკრა? ვინ დასკრა?.. ვინ იცის რამდენი მრუდე სულის პატრონი ისარგებლებს რევოლუციის წმინდა სახელით! ვინ იცის რამდენი უდანაშაულო ადამიანი გამოესალმება წუთისოველსა! იქნებ ლევანსაც მოელის რაიმე საფრთხე? თმები ყალყზე შემიდგა... ხვალ უშპველად გზას გავუდგები.

1917 წ. აპრილის 5.

გუშინ წინ საღამოს მოვედი ლევანთან. ცოტა შევისვენე და ზურაბისაკენ გავექანე, ეძინა. ეწინათ ზურაბის ტყუპებსაც. მარიამა არსად სჩანდა.

— გილავ, მიშველე რამე. — მომმართა ნინომა, და ცრემლები ღაპალუპით წამოყარა.

ავადმყოფს თვალები მივაჩერე და შეინძრა. ლურჯმა თვალებმა თავისებურად შემომანათესა,

— ხომ შენ ხარ, ჩემო გილაე! — თვალებზე ხელი მოისვა. — ეს არის სიზმარში ვნახე... სიზმარში ხომ არა ვარ ისევე?

— მე ვარ, ზურაბ, მე!

შუბლზე ხელი დავადე, თონესებერ უვარვარებდა.

— გულზე დამადე ხელი, გულზე! — მთხოვა ავადმყოფმა.

თხოვნა ავეუსრულე.

— გილავ, უნდა მავკედე! გილავ მიშველე!

ჭრილობა გაუსინჯე. გაუსინჯე და გული დამწყდა. ზურაბი სასიკვდილოდ იყო განწირული. ვიმაგრე თავი, ვიმაგრე და ვერ შევიმაგრე. ძალიანა მაჭკვს ნერვები აწეწილი: ცრემლები გადმოვყარე.

— ვერა მეშველება რა მაშ, გილავ, ჰა?.. ეჰ! არ მინდოდა სიკვდილი, მაგრამ თუ მოდის მოვიდეს, არ მეშინიან. გილავ, თავს ნუ დამანებებ, უნდა გიცქირო. აქნობამდე შენ ხატს ვუცქეროდი. აგე სად მიკიდი. — ჩემი სურათი დამანახვა, ახლო მდგომ ბოძზე ეკიდა სწორედ ზურაბის პირდაპირ. — ხედავ, გილავ, როგორ მიყვარხარ? შენი ხატის ნაცვლად ახლა შენ უნდა გიცქირო.

— ვინ დაგქრა ზურაბ?

— ვინა და უჩინარმა ხელმა. ტყეში მავდიოდი. თოფი გავარჯა ტყვი-
დან და ტყვია მე მომხვდა. ადამა დიაკვანმა მესროლა უსათოდ, სხვა მტერი
არავინა მყავს. ექმ! მოვრჩენილიყავ ერთი, ვუჩვენებდი ინანს სურათს ნინო,
ხვალ ბავშვები ღავენათლოთ. ლუკა ღვდელი დავიბაროთ. შაუთვალე კია, დია-
კვანი არ წამოიყვანოს.

ზურაბი გაჩუმდა.

მე ნინოს მივუბრუნდი.

— მარიამა სადლაა?

ბავშვები შეჩურჩუნდენ და ნინო იმათკენ გაეშურა.

ზურაბს მარიამას განხენებაზე მადლიერებით სახე გაუბრწყინდა და ისევ
ალაპარაკდა.

— განა არ იცი, გილავე? ლევანს არა უთქვამს რა? არა მოუწერია რა?

— არ ვიცი, ზურაბ, არ ვიცი. ომში მყოფთ ხშირად არ იციან შინ რა
ხდება. ორ წელიწად ნახევარი თითქმის მოწყვეტილი ვიყავი ჩვენ ქვეყანასა.
მოვედი დღეს ლევანთან და პირდაპირ შენთან გამოვექანე. რიგიანად არ ულა-
პარაკნია ჩემთან.

— აბა, მაშ ეხლა გაიგე! გვაჩუქა აი ის ორი ბალდი მე და ნინოს და
სული დალია. საუკუნოდ იყოს იმის სახსენებელი, საუკუნოდ. ნინო ზრდის
ბალღებსა.

ფეხზე წამოვდექი.

— მიდიხარ, ძმაო? — შემიკითხა შეშინებული კილოთი ზურაბი.

— არა, არა! არ დაგანებებ თავსა, ლამეს შენთან გავატარებ. მოგივლი.

და მართლაც მთელი ღამე თითქმის არ მძინებია. ვხუჭავდი ერთი წუთით
თვალებსა და ისევ ვახელდი. ნინოც ფხიზლობდა, თუმცა რამდენიმე ღამე უკვე
გატეხილი ჰქონდა.

გათენდა. ნათლობისათვის მზადებას შევუდექით. ლუკა ღვდელი მოვიყვა-
ნეთ და მღვდელმოქმედება შევასრულებინეთ. ნათლიაობა მე გავწიე ზურაბის
სურვილისამებრ. ბავშვებს ერთს ზურაბი დავარქვით მეორეს გილა, ისევ ზურა-
ბის სურვილისამებრ. ძალიან ჰგვანან მამას ტყუპები.

სალამოს ეამს ზურაბის უკანასკნელი წუთების მოწმე გავხდი.

ბავშვები მოითხოვა. აკოცა.

— ნინო, მივდივარ, მაუსავლეთში! უპატრონოდ არ დანიყარო შეილები!
ნინოს თვალები აუპარპალდენ და ტალივით ხმა აღმოხდა პირიდან.

— შენ ჩემი ხარ, ზურაბ, და შენი შეილებიც მე მეკუთვნის. არ შამხედეს
ნინო საიქიოს, თუ პატარა ზურაბსა და პატარა გილას უდედობა და უმამობა
ვავრძნობინო.

ზურაბმა მეც აღმქურვა დავალებით.

— გილავე, ლუკა ღვდელს ანდერძი დავაწერინე, გამაართვი. ჩემს მამაპა-
პეულს თუ არ მისცემენ ჩემს ცოდვის შეილებს, ჩემი შანაძენი მაინც დარჩეთ.

გამოსთქვა უკანასკნელი სურვილი და სული განუტევა.

წუბელის სულ მიცვალებულის გვერდით ვიყავი. მთელი ღამის განმავლო-
ბაში ნინოს ერთი ცვარი ცრემლი არ გადმოუვდია, სახე კი მწუხარებით დაე-
ღარა და კრინს მიემსგავსა. თვალები უცნაურად უკრიალებდენ.

1917 წ. აპრილის 7.



გუშინ დავასაფლავეთ ზურაბი. ხალხი ბლომად დაესწრო.

ქელებში უკვე ისმოდა ზურაბის ძმათა შვილების გულანდობილი წადილი. ერთის უდიერმა ლაპარაკმა ისე ამაღლევა, რომ ცხარედ გასოფევახსთვ.

— სირცხვილი თქვენთვის, სირცხვილი! იმის ნაცვლად რომ დაობლებულს ოჯახს მოუაროთ, თქვენ იმაზე ლაპარაკობთ, თუ ვინ რამდენი უნდა წავალიჯოს ზურაბის დანატოვარსა.

— რომელი ოჯახია დაობლებული? ნინო თავის მეშვიდედს შიილებს და ვილაც ხასის შვილებს რა ხელი აქვთ ზურაბის ქონებასთან.

— ვისგან ეყოლა მარიამაც შვილები?

— მე რა ვიცი ვისგანა.

— ვისი ხასა იყო მარიამა, როცა შვილები გაუჩნდა, არც ეს იცი?

— მერე რა არის რომ ვიცი? ვიცი, რომ ზურაბს ჰყავდა ხასად, თუ გინდა გაგაზარო კიდევ? ისიც ვიცი, ბიძაჩემისაგან ეყოლა შვილები, მერე?

— მერე ისა რომ, ზურაბისაგან თუ ეყოლა შვილები, მამა მაშასადამე ზურაბი ყოფილა და შვილები კიდე მამის შემკვიდრებები არიან.

— ეგენი შვილები კი არ არიან, ნაბიჭვრები არიან.

— ნაბიჭვრები არიან თუ სხვა რამა, მაგას თქვენ რას დაეძებთ. მამა თავის შვილებად სთვლიდა მაგ ბავშვებს და ცოცხალი რომ დარჩენილიყო, თავის ქონებას ამით მოახმარებდა და არა შენა და შენ მსგავსებს.

— ვინც რა უნდა სთქვას. ჩვენ მაინც ნაბიჭვრებს არას დავუთმობთ.

— ეგ მამაპაპეულზე შეგიძლიანთ თქვათ მხოლოდ. ზურაბის კეთილშენაძენზე თქვენ ხელი არა გაქვთ.

— ვნახამთ მაგასაც.

ამ „ვნახამ მაგასაც“ ისე გამაგულისა, რომ ლუკა ღვდელს ქელებშივე ვუთხარი ზურაბის ანდერძი უნდა გადმომცე-მეთქი.

პირობისამებრ დღეს ვეწვიე ღვდელსა სახლში და ვაძებნინე ანდერძი.

საბუთების სალარო რიგზე ვერ დახვდა.

— რა ვქნა! ვის რა ხელი ჰქონდა აქა? დასწყევლოს იესო ქრისტემა! ვინ აუტრია შიგ ხელი!

ჩხრიკა თავის ქალაღლები, ჩხრიკა და ზურაბის ანდერძი ვერ აღმოაჩინა. ღვდელი გაფითრდა. კანკალი მოუფ და. ცოლს დაუძახა.

— ქალო, განა ვინ იყო ჩემს ოთახში? ერთი ქალაღლი მაკლია.

— ჯვარის წერის წიგნი? ამ რამოდენიმე დღის წინ, აი ზურაბის დაქრის მეორე დღეს, აღამა დიაკვანი მოვიდა და მოიკითხა. იმან თუ წაიღო. არაფერი უთქვამს შენთვის განა?

ქალო, რა გიქნია ეგა? რად შემოუშვი?

— რა ვქნა! რა გემართება? შენი დიაკვანია და როგორ მეთქვა უარი? ჯვარის წერის წიგნი მუდამ მიჰქონდა

— ნეტავ რას აიჩემე ე ჯვარისწერის წიგნი? ჯვარისწერის წიგნი აქა გდია. ზურაბის ანდერძი აღარ არის, ზურაბისა. დავლუპე ბავშვები! ახლარალა ვქნა? ვინ იცის რას იფიქრებენ ჩემზე?

დღელის გულწრფელი მწუხარება მწამდა, მაგრამ ზურაბის ოჯახს/რას გამოადგება ეს გულწრფელობა? გულდაწყვეტილი წამოვედი შინისაკენ.

ხალხს შეუძლიან იხსნას ზურაბის ოჯახი, ზურაბის ძმათა შვილები ალაგმოს, მაგრამ გარდამავალი ხანაა და ვაი თუ ყურადღება არ მიექცის. ვინ იცის, მოიცლის კერძო საქმისათვის? ან ვინ იცის ძველმა ტრადიციამ თავისი გაიტანოს და ეს უკანონოდ გამოგონილი ვითომდა უკანონო შვილების უკანონობა სინამდვილედ სცნან?

1917 წ. აპრილის 9.

გუშინ სამწუხარო ამბავი მოხდა: ხალხის ყრილობაზე დიაკვანი სოფლის კომისრად აირჩიეს, ნასწავლიაო. ხედავთ? ადამა დიაკვანმა დიაკვნობაზე უარი სთქვა და ეხლა რევოლუციის მოქმედ პიროვნებად გამოდის! ნახა მღვრიე წყალი მეთევზეში... ამავ დღეს ლუკა მღვდელს გამოუცხადა, მღვდლობისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოსკენ გამგზავრებულყო. ეს ალბათ იმიტომ, რომ ზურაბის ანდერძის მოწმე მოეშორებინა თავიდან. სხვა მღვდლები არ შეუწყუბებიან.

1917 წ. აპრილის 12.

გუშინ ნინოსთან ვიყავი. ვუამბე ანდერძის დაკარგვის ამბავი. აუშფოთებლად მოისმინა. ჩემმა შიშმა, რომ ბავშვები უსასხროთ დარჩებოდნენ, ღიმილიც კი მოჰგვარა სახეზე.

— გილავ, მერე რა არის რომ ქალაქის ფარატინა ვილაცამ მიიპარა? გამაეყვე ცოლად ზურაბსა და უკანასკნელ წუთამდე მხარში ვედექი. ერთად ეწაღმართობდით და ორივეს ერთნაირად გვეყუთინის თუ რაიმე გვაბადია. რას მიქვია მეშვიდედი? ზურაბი აღარ არის და იმისი დანატოვარი სულ ჩემია. ვინც ზურაბის სარჩოს წაღებას მოინდომებს, ჯერ ჩემ გვამზე უნდა გადმიაიაროს. ზურაბის შვილები, სანამ ცოცხალი ვარ, ნაკლებულობას ვერ იგრძნობენ. შენ აი რას გთხოვ ეხლა, პატარა ზურაბი მართალია ფეხზე დარბის, მაგრამ როგორადაც უგემურადაა. ორი დღეა რიგიანად ვერასა სჭამს.

გავსინჯე პატარა ზურაბი. მართლა ვერ იყო კარგა და ლოგინში ჩავაწვევინე ნინოს, დარიგება მივეცი და დაებრუნდი შინა.

ეხლა ისევ მივდივარ ზურაბისას.

1917 წ. აპრილის 13.

დღეს ნინოს კარს ნადიაკვნარი კომისარი მოადგა. თან ზურაბის ძმათა შვილებიც მოჰყვენ. ნინო დერეფანში ტრიალებდა, მე პატარა ზურაბს წამალს ვუმზადებდი.

— ნინო ამ ხალხთან უნდა მოგარიგო.— განუცხადა კომისარმა.— შენ შენი მეშვიდედი მიიღე. ამათ თავისი უნდა წაიღონ.

ნინო ოთახში შემოვიდა გადიკიდა ვაზნები მხარზე, დაიჭირა ხელში თოფი, დოღში რომ მოიგო ზურაბმა, და კარებში ჩადგა. ზურაბის ძმათა შვილებს რისხვის თვალი გადაავლო.

— ვინ მიყრიხართ, რომ ჩემსა და ჩემი ქმრის ნაამაგარზე გაიხაროთ? ფრჩხილის ოდენასაც არაფერს მიიღებთ. იქნებ გგონიათ, დედაკაცი დამიბრძოვოთ? ზურაბის ქვრივი ვარ! შენ ეჰ, კამისარი ხარ თუ რალაცა, შე რჯულ გადამდგარო! ჩემი ქმარი, კარგა ვიცი, შენ მოკალი: ქურდულად, მიპარვით გამოსროლი-

ლი ტყვია შენი იყო. ჩემი ქმრის ანდერძიც შენ მოჰპარე ლედელსა. პირველი შენ მოგვებდებამ თოფით გამოსროლილი ტყვია, თუ ამ ჩემ არემარდიან არ გამეტლები.

ნინომ თოფი ნადიაკენარს მიუშვირა და მე მზარზევით ~~გაღვიძებდა~~

— გილაფ, ზურაბს უყვარდი, შენც გიყვარდა. თუ ამ უნაშესო ხალხს შევაყვები. შენ მოუფარე ზურაბის ნაშენებს!

ზურაბის ეზოსთან მთელი სოფელი მოგროვდა. მოხუცი, ახალგაზრდა, მამაკაცი, დედაკაცი ყველა აღელდა. ნინოს გამოექომაგენ.

— დახოცე, ნინო! ნუ დაინდობ, შაგრჩება.

— მაგრა იყავ, ნინო!

— ეი, კომისარო, განა იმიტომ ავირჩიეთ, რომ ქვრივ-ობლები აგვიწიოკო?

ნადიაკენარმა დაინახა, რომ საქმე ვერ მოდიოდა კარგა და გაბრუნდა კულამოძეებული უკან. თან ზურაბის ძმათა შვილებიც მიჰყვეს.

მოგროვილი სოფლები კარგა ხანს ყაყანებდნენ. მითქმა-მითქმას ბოლო არ ეღებოდა და აღტაცებული იცქირებოდნენ ნინოსაკენ. ნინო კარების ზღრუბლზე ჩამოჯდა და შევებით ამოიოხრა.

— გილაფ, ძნელია ცხოვრება, ძნელი! მაგრამ თუ ქომაგი გყავს ადვილად აიტან. არა გამიჭირდება რა, მუდამ რომ ასე მიმაგრებდეს გულს სოფელი.

— ჯერ კი წამოგექომაგა, ნინო, და შემდეგაც იმედი არ უნდა დაკარგო ქომაგობისა.

ნინომ გამოურკვეველად ხელი ჩაიქნია.

ხალხი დაიშალა.

ეპილოგი

გილოს დღიურები 1917 წლის აპრილის 13-ით თავდებოდა. ნავსი რიცხვია: დაობლებული ოჯახის ამბავი დაუმთავრებელი რჩებოდა. ლევანს შივანგრე თვალები.

— სხვა?

— სხვა ისა, რომ წამომყე იქა და იქ გაიგებ.

— შენ არას მეტყვი?

— აქ არა, იქა! იქა!

ლევანი გაკერდა. რამდერჯერ შევეცადე, მეთქმეინებინა რამე და ვერას გავბდი. ძლიერმა ცნობისმოყვარეობამ ამიტანა და ყურმოჭრილი მონასეებრ გამოვეყე სოფელში. ეხლა აქა ვარ.

ადამა დიაკვანს ბევრი ცოდო ამოსჩენია და წინაპრებთან გაუსტუმრებით, ზურაბის ძმათა შვილები მიდუმებულან. ტყუპები თორმეტი წლისანი არიან და სოფლის სასწავლებელში სწავლობენ, ნინო ჰყავთ ერდგულ დარაჯად. ჯერ კიდევ სიმზნეით სავსე ადამიანია. სამოცდაორ წელს შეუხმელებია და გაუქალარავებია, მაგრამ თვალები ენერგიით უღვივის. გამიცნო. ვინაობა ჩემი აღრვევ იცოდა და როგორც თავისიანს, ისე მომეპყრო.

დაღვრემილობა შემაშინია და ცუდმა ფერმა გადაჰკრა,

— ლეგავ, გილოსას რატომ არას მეუბნები?

ბასუხი დავაყოვნე. მეძნელებოდა თქმა.

გვერდით მდგომ ლევანს მიხედა.

— მითხარი, ბიჭო, რა ამბავია გილოს თავსა.

— გილო აღარ არის.—წამოილაპარაკა ყრუდ ლევანმა.

ნინოს თავზარი დაეცა, წელში მოიხარა და სახეზე სიბერის ნაკვები გაულრმავდა.

ლიტრა შივაწოდე.

— წყალი დალიეთ.

— არ მინდა,—სთქვა მისუსტებულის ხმით.—გადამივილის. პირველად ხომ არ არის ასეთი ამბავი ჩემ თავსა? ჯერ შვილი დავკარგე, მერე შვილი-შვილი, მერე ზურაბი, ახლა ზურაბის ძმადნაფიცო... გილა მხარს მაძლევდა, მამაგრებდა. ეხლა მარტო დავრჩი,—რამდენიმე ცრემლი გადმოუგორდა ლოყებზე და, თითქოს შეგება იგრძნო, წელში გასწორდა, ხმა გაუკაჟდა,—და უნდა დავრჩე, სანამ პატარა ზურაბი და პატარა გილა არ დავაგვაცდებიან მტრის თვალების დასაფარებად. არ შარხა აღამა დიაკვანსა სიაჯაკცე და არ შარჩება სხვასაც.

გილოს სურათი გადმოიღო და ემთხვია.

— დეე ვერ ვნახო სიკეთე, დეე ვერ შევხვდე იქ ჩემ ზურაბსა. თუ შენი ამაგი დავიფიწყო.

ზურაბის საფლავზე მოისურვა წასვლა: ახლოს იყო. მე და ლევანიც თან გაგვიყოლა.

საფლავს ხელი დაჰკრა.

— ზურაბო! აღარა გიშავს რა, ძმადნაფიცოც გწვევია. მე კი ჯერ ვერ მოვიცვლი ფეხსა: შენ შეილებს ვკირივარ. დაიზღებინ და მაშინ გაპოვწვე შენკენა.

სანთელი დაუნთო და შესანდობარი დაგვალევინა. გილო და ზურაბი ერთად მოვიხსენიეთ.



პარლამ რუხადე

ეს მაშინ მოხდა

ეს მოხდა მაშინ, როცა ქვეყანას
თვითმპყრობელობა დათვით აწვა,
როცა უფლება ხიშტზე ემყარა,
იყო მათრახი და ზურგის აწვა;
როს ეღარუნებდა ყველგან ბორკილი,
თავისუფლებას ხერხეტდენ აკვანში;
როცა ოზრავდა სული ბორკილი
სახრჩობელაზე და ბნელ საკანში;
როს ამძიმებდა თვალებს ბინდები
და უმეცრება საწამლაეს თესდა;
როს ჩატყდა წინსვლის ყველა ხიდები
და პოეზია ძაძებში კენესდა;
როს შრომის ბურჯებს შოლტით დევნიდა
მეფე-შიშვილი, არ იყო შველა;
როს, ვით წურბელა, ოჭროს ქვევრიდან
წუწნიდა შარბათს მძარცველი ყველა;
როცა ქვეყანას ცეცხლი ათოვდა
და შარბაზანი ძალლივით ყეფდა;
როს დედამიწას სისხლი ათრობდა
და ბოროტება—ნადავლსა კრეფდა;
როცა სიკვდილი სიცოცხლეს ხევდა
ეყარა ლეში, ვითარცა ზვავი;
ზეიმი ჰქონდათ ნადირებს ხევთან,
არ იყო პური, არ იყო ზავი;
როცა მსოფლიოს გლოვა ებურა,
ტიროდა ცოლი, ტიროდა დედა,
ცვივოდა ცრემლი კოხისებურად
და იზრდებოდა დრტვინვა და სევდა,—
მოავდო ვმირმა ჭურანი დეზით,
ჯერ უხილავი განცდა გვარგუნა;
ბრძანა: „ცხოვრებამ იცვალოს გეზი!“
და ისტორიის ღერძი გაღუნა.



კანტელეიზონ ჩიქვაძე

ნაბიჯები*

ცრილთვია. წიგნი პირველი

დ ი ძ ა ტ უ რ ა

როცა გაფიცულებმა ელიოტის გაქცევა გაიგეს, თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ და შინაურ საქმეებს მოჰკიდეს ხელი. კონცესიაზე მომუშავენი, მეტწილად, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი იყვნენ, ამიტომ კონცესიის გაუქმება მათ აინუნშიაც არ ჩაიგდეს.

ზოგიერთები ელიოტის გაქცევას გაფიცვების მეთაურებს აბრალებდნენ.

— მე ხომ ვამბობდი, ელიოტი გაიქცევა და სულყველა ჟმუშევრად დაერჩებით მეთქი.— ჩუმწუმად იკბინებოდა ირაკლი გვარამაძე და ორგანიზაციის წევრებს შორის მომხრეებს დაეძედა.— რა მოვიგეთ ეხლა ჩვენ, ან ჩვენმა ქვეყანამ... კაცმა ინგლისიდან ფულები მოიტანა. ეზოში სამუშაო გაგვიჩინა, ჩვენ კი იმდენი ვეკირკიმაღეთ უხეირო ხელმძღვანელების წყალობით, რომ სამუშაოზე გული აუტრუეთ და აქედან გავაქციეთ. ეს არის ხელმძღვანელობა და სწორი პოლიტიკა?! ყოფილიყო ინგლისელი ამ ჩვენს ქვეყანაში... რასაც არ ვისარგებლებდით, რა ზარალს ვნახავდით მაგის აქ ყოფნით? სულერთია, ეს ტყე თავადაზნაურობისაა, გლებებს არც წინაღ პქონდა უფლება ტყით სარგებლობის და არც ეხლა ექნება... იქნებ თქვენ გგონიათ, რაკი ელიოტი გაიქცა, ტყე ჩვენ დაგვრჩება, ან იმის დატოვებულ ქონებას ვინმე დაგვანებებს?! დღეს - ხვალ მთავრობა გამოგზავნის თავის წარმომადგენელს და მთელ უძრავ - მოძრავ ქონებას თვითონ ჩაიბარებს... ჩვენ რა მოვიგეთ? არაფერი. ეს რომ ასე მოხდებოდა მე წინასწარ ვიცოდი და სწორედ ამისათვის ვიყავი გაფიცვების წინააღმდეგი და არა იმიტომ, რომ ელიოტი ჩემი ნათესავი იყო და საყვარელი ადამიანი.

— კი მაგრამ ჩვენი ბრძოლა აბა ტყვილა წყალის ნაცვა ყოფილა?— შენიშნა ოტია ბერიშვილმა, — თუ ახალთაობა გაიმარჯვებს და ერთობა, დამყარდება, ეს ტყე და სხვა სათავადაზნაურო მიწები, ისევე ძველი მეპატრონეების ხელში დარჩება?

— ეგ შორეული საკითხია, ჩემო ოტია... ასე რომ, ვინ გაიმარჯვებს და ვის რა დარჩება ჯერ არავინ იცის...

— ეთქვით ჩვენ გაეიმარჯვეთ. მაშინ?

* იხ. ტურ. „მნათობი“ № 5.

— უფასოდ მაინც არ დაგვირიგებენ მიწა-მამულებს და არც სხვა სახაზინო ქონებას...

— აბა თანასწორობაზე რაღას იძახით...

— ჩვენ უფლებრივ თანასწორობაზე ვლაპარაკობთ, წოდების მოსპობაზე, თორემ ქონებრივ თანასწორობაზე ლაპარაკი ჯერ სად ვაგონილა? რევოლუცია რამდენ მოხდეს, მიწებს მაინც გამოყიდვა დასჭირდება, სულერთია მთავრობიდან იქნება ის თუ ძველი მემამულეებიდან. და რომ მიწა იყიდო, ქონება შეიძინო და შესაკუთრე გახდეს, ამისათვის ფულია საჭირო. ფული დღეს ვაქრების და კაპიტალისტების ხელშია... ჩვენ უნდა გვესარგებლო კაპიტალისტების ფულებით და ხელი უნდა მოგვეტოო... და როცა შესაძლო იქნებოდა, პირობების გაუმჯობესებაზეც ხმა ამოგვეღო. ეხლა რა გევაკეთეთ? ინგლისელი კაპიტალისტი გვაქეციეთ... არც ჩვენ და არც ჩვენს სახელმწიფოს შეძლება არ გვაქვს საკუთარი თანხებით ხე-ტყე დავამუშაოთ და არც ვინმე დაგვანებებს მის უსასყიდლო ხელში ჩაგდებას. რევოლუცია? რევოლუცია, აკი ვთქვო, უფლებრივ თანასწორობას მოიტანს, გვექნება სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და მთავრობის არჩევის თავისუფლება, თორემ სახელმწიფო ქონებასა და მიწა-მამულებს უსასყიდლოდ ვინ დაგანებებს? ასეა ევროპის სახელმწიფოებშიც: საფრანგეთში, შვეიცარიაში და თვით ინგლისშიაც. იქ ყოველ მოქალაქეს უკვე მოპოებული აქვს ის უფლებები, რისთვისაც ჩვენ ეხლა ვიწყებთ ბრძოლას, მაგრამ ხომ ხედავთ კაპიტალისტები იქაც არსებობენ... შეძლებული და ღარიბი იქაც არიან... არ მოგწონს? რატომ არ მოგწონს, ოტია! აქ მთავრობის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვის გამო ოჯახს დაგიწავვენ, გადაგაციმბირებენ, იქ კი სხედან პარლამენტში ხალხის წარმომადგენლები და მთავრობას ტყავს აძრობენ.

— არ მჯერა, რომ ხალხის წარმომადგენლებმა თავისი ვაიტანოს იქ, სადაც ძალაუფლება კაპიტალისტების ხელშია. მე უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ რაღაც ვერ წარმომიდგენია, გამდიდრების ეინით გაბოროტებულმა კაპიტალისტებმა მუშებს რაიმე დაუთმოს... და თავისუფლება მიანიჭოს...

— მართალია, თვითონ არ დაუთმობენ, მაგრამ შეერთებული მუშების ძალას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ...

— არა, ძმაო, ეს მგლის თავზე საბარების კითხვას ნიშნავს... სად ვაგონილა თხა და მგელი რომ ერთად ძოვდეს და თხა უვნებლად გადაარჩეს. ვერ დამაჯერებ, ჩემო ირაკლი, რაც უნდა მიქადაგო, მაინც ვერ დამაჯერებ... თუ მეტს არაფერს ნიშნავს ეს რევოლუცია, მაგისათვის თავისტეხაც არ ღირებულა...

— კასრამე და ლადარია სხვანაირად ქადაგობენ რევოლუციას და რა ვიცი, მე ვერაფერი გავიგე თქვენი ასავალ-დასავალი—, ჩაერია ამით საუბარში ერთი ხანშესული გლეხი.

შარაზე ყანაში მიმავალი მუშები გამოჩნდნენ. გუშინდელნი ტყის მკრელები და ამფეთქებელნი დღეს თოხებითა და წალღებით მიიჩქარიან სიმინდის ყანების დასამუშაველად. მიიჩქარიან და გზადაგზა ახალთათვის საკითხებზედაც მსჯელობენ.

გლებები სამარგელსა და სამოროდოს შესვლია.

ალორთქილი სიმინდის ყანები ზღვასავით ლელავს ნიავის წამოქროლებაზე და მუხლებამდე დაკოტავებული მუშები „ყანურით“ უტყევენ სამოროდოს განაპირებულ სვრელებს...



ისმის „ოდელია“ და კენტად მომუშავე გლებების ცალფა კრიმანჭული.

— რაო, ოტია, რა სთქვა გვარამაძემ მიწების შესახებ?!

— აბა, კაცო! ამისთანა გაგონილა? ხალხი სისხლის დასალერელად ვემზადებით, ოჯახსა და ცოლ-შვილზე ხელი აგვიღია, რევოლუციას მოვებდნით და თავისუფლად ვიცხოვრებთ მეთქი, გამომთგარა ეს თავგუჯილა და ხალხს ეუბნება, რამდენი რევოლუციაც არ უნდა მოახდინოთ, სულერთია მიწა მაინც საყიდელი გექნებათ, გინდ მთავრობიდან გინდ ძველი მეპატრონეებიდანო.. ბიჭო, თუ მართლა ასეა და ჩვენს საქმეს არც რევოლუციით ეშველება რამე, მაშინ რაღად მინდა, თუ ძმა ხარ, ასეთი რევოლუცია და რა თავგასაწირავაა ამისთანა თავისუფლების მოპოება?!

— გვარამაძეს მართალი უთქვამს,—ჩაერია საუბარში კასრამე, რომელიც სხვა ამხანაგებთან ერთად დღეს კოწია ტრაპაიძეს ეხმარებოდა ყანის სამოროდოში.

— რას ამბობ, სერგო?!

— თუ ასე მოხდა რევოლუცია, როგორც მენშევიკები ფიქრობენ, ცხადია გლებობას მიწა გამოსაყიდი შეექნება მემამულეებისაგან. მაგათ პარლამენტი და სიტყვის თავისუფლება აკერიათ ენაზე... კაპიტალისტებთან თანამშრომლობას არ უარყოფენ, და რა გასაკვირია, თუ კაპიტალისტები უფასოდ არაფერს დაუთმობენ მუშებსა და გლებებს...

— აბა არ ყოფილა ჩვენი საშველი და ეს არის...

— ეინ თქვა არ გვეშველებაო. ისე გვეშველება, რომ კაპიტალისტები, შეძლებული მემამულეები და მათი დამქაშებიც მგლის სოროს დაეძებდნენ თავშესაფარად... პროლეტარიატის დიქტატურა ხომ გაგიგონიათ?!

— მეორე?

— ჰო და, როცა პროლეტარიატი ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას, მაშინვე მოსპობს კაპიტალისტებს, შეძლებულებს და თვითონვე გახდება ქვეყნის მმართველი და ბატონ-პატრონიც. მიწა გლებებს დაურიგდება უსასყიდლოდ, ქარხნები კი მუშებს გადაეცემა და ყველა ერთად ეს გახდება პროლეტარულ სახელმწიფოს ნამდვილი დასაყრდენი. აი მაშინ ვიქნებით გამარჯვებულნი და თავისუფალნიც, და არა პარლამენტის დროს, სადაც უსაქმო ლაყმობის მეტი არაფერი კეთდება...

— აბა გაუმარჯოს მაგ დიქტატურას, ა ბიჭებო! ჩვენი საქმე, ძმაო, ეს დიქტატურა ყოფილა... პარლამენტი კი გვარამაძეს და მის მომხრეებს დავუთმოთ... რას იტყვით?

— სწორია, ამხანაგებო, ჩვენი ხსნა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოებაშია.

— დიქტატურა... რა კლანგარივით მაგარი სიტყვაა, შენი ჭირიმე, ვენაცვალე მაგის მომგონს...

— მაგარი და არც მისი შინაარსი არის რბილი, ნუ გენაღვლებს, — დაუმატა კასრამემ და ისევ მოჰყვა დიქტატორის ნამდვილ მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას.

გაქვს მისი

მნიშვნელობა

ყანაში სადილი მოიტანეს.

მესაბილევ ქალებმა წიფლის ჩრდილში გაშალეს სუფრა და ნადი სადილზე მიიპატიეს.

მადიანად შეექცევიან მუშები სადილს და ისევ პოლიტიკაზე საუბრობენ. ჩაცმებული იზაბელა რაკრავით იღვრება მოზრდილ ქიქებში და სუფრაზე „ალა-ვერდი და „იახშიოლ“ მოგზაუროს.

ცხელი ქაღი და სულგუნი საამურ სუნს უშვებს ნიგვზის დაუბაზებელ ნეშოში და კვაწარახიანი სირსვალი ლობიო მადას უღვიძებს, ისედაც გამგებულ მუშის მუშებს...

— ე, რას ნიშნავს ჯარი ხელები... თუთხმეტი კაცი ვართ, და ხედავ რამდენი გავემოროდეთ. — გადაჰყურებს კოწია გამოროდებულ ყანას და ჩაცმებულ ღვინოს შესვენებით წრუბავს...

— ასეა, ძმაო, ტყვილა კი არ უთქვამთ ძალა ერთობაშიაო, ხომ, ქაიხოსრო!

— კეშმარიტად ასეა... ბრძნულად უთქვამს, ვინაც პირველად სთქვა... ერთობის ფასი რალა ყოფილა ამ ქვეყანაზე. ისე, ჩვენს შორის დარჩეს, და გურულებს ადრევე გვცოდნია ეს ერთობა, როგორც სჩანს...

— რაზე ამბობ, ქაიხოსრო!

— რაზე, ვეყო, და ნადით მუშაობა ჩვენში ძველადვე სცოდნიათ. მამაჩემი იტყოდა, უნადოდ სიმინდის მარცვალს არ გვეიტანდი გაზაფხულზეო... ჩემს მოსწრებაში ხომ კუადმ ნადით ვმუშაობდით ყანებში... კაი რამეა ჯარი ხელით მუშაობა, უეჭველად ბრძნული საქმეა.

— მართალი ხარ, მოხუცო, მაგრამ ნადსა და სოციალისტურ ძმობა-ერთობას შორის მაინც დიდი განსხვავებაა... ერთობა და სოციალიზმი უფრო ფართო მცნებაა, ვინემ ჩვენებური ნადის შეწვევა და ერთმანეთზე მიხმარ-მოხმარება...

— კეშმარიტად, კეშმარიტად. განსხვავება იქნება, მაგრამ არც ნადით მუშაობა არის ურიგო საქმე, — არ იშლიდა თავისას ქაიხოსრო ბარამიძე და უკბილობით შეწუხებული ქადს ქერქს აცლიდა...

— ეს ახალთაობის სადღენგრძელო იყოს, ამხანაგებო. — ასწია მასპინძელმა მოზრდილი ქიქა — გაუმარჯოს რევოლუციონურ ბრძოლებით მოპოებულ თავისუფლებას...

— დიქტატორას გაუმარჯოს, კოწია, დიქტატორას, — ჩამოართვა სიტყვა კოწიას ქალარა სერაფიონმა.

— გაუმარჯოს დიქტატორას... არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... მაგრამ მოიცა... პროლეტარიატის დიქტატორას გაუმარჯოს, თორემ დიქტატორა კაპიტალისტებისაც ქე შეიძლება და ის ჩვენთვის რა სახარბიელოა...

შეზარბოშებულმა მუშებმა „გურიანი რა გინდოდა“ წამოიწყეს, რომელიც ახალ სიმღერად ითვლებოდა ამ დროს გურიაში და რევოლუციონურ წრეებში დიდ მოღაში იყო...

— ვის სიკვდილზე გამოთქვებს ეს სიმღერა, კოწია! — იკითხა ქაიხოსრომ.
 — როგორ თუ სიკვდილზე? — გაიკვირვა კასრაძემ, რომელიც გურული იყო, მაგრამ ამ სიმღერის წარმოშობის ისტორია მანც არ იცოდა ქალაქებში ხანგრძლივად ყოფნის გამო.

— როგორ და... — დაიწყო კოწიამ, — ცხრაას ორში ხიდისთავში რალაც მალული მოძრაობა შეემჩნია მაზრის უფროსს... ამდგარიყო და სინამდვილის გამოსარკვევად, ვილაც პეკარსკი გამოგზავნა... ამბობენ დამსახურებული ბოქაული იყო და იმ დროს პენსიით ცხოვრობდაო. ხიდისთავში ჩამოსვლის თანავე საგანგებო წესები შემოიღო პეკარსკის. დაღამების შემდეგ, თურმე, გარეთ ფეხს ვერ გადაადგამდი, უნებართვოდ სოფლიდან სოფელში ვერ გადახვიდოდი... წრეში მომუშავე ახალგაზრდებმა გამოარკვეეს თურმე პეკარსკის ვინაობა, და როცა შეიტყვეს, რომ წარჩინების მისაღებად პენსიონერი ბოქაული სოფელს უპირებდა აწიოკებას, ჰკრეს თოფი და გააგორეს... მკვლეელი ვერ აღმოაჩინეს... ბოლოს დიდის ამბით გაასვენეს პეკარსკი ხიდისთავიდან... მკვლელებიც დასწრებოდნენ გასვენებას და შინდაბრუნებისას ბოქაულის მკვლელებმა თურნე ნიშნის მოგებით შემოსძახეს:

„გურიაში რა გინდოდა,
 თუ სიკვდილი არ გინდოდა“ —ო...

მას აქეთ მთელს გურიაში იმღერიან ამ სიმღერას და ბევრმა არც კი იცის მისი ნამდვილი შინაარსი...

— ყოჩაღ, ბიჭებო! — გაუბრწყინდა თვალები კასრაძეს და სხვადასხვა დროს ჩადენილი ტერორისტული აქტები მოაგონდა.

* *

მოაწია სამხრობა.

დასვენებული მუშები ჯარასავით ატრიალებენ პირმოლესილ თოხებს... და „ყანურს“ აგუგუნებენ. შრომის ხალისი ჩამდგარა ზღვასავით მღელვარე სიმინდის ყანაში... საცაა უკანასკნელ სერულს გაიტანენ და ეზოს ყანას დაუბრუნდებიან...

საყანებიდან ხელის გულსავით მოჩანს მთის კალთებზე გაშენებული მოსახლეობა და აქა იქ არწივის ბუდესავით კლდეებზე მიკრული წაბლის ოდები.

ტყის დასალიერს თოფმა იქეჭა... სროლის ხმა ქუხილით მიასკდა უღელტეხილს, და უკუქცეული ხმაურობა გრუხუნით კაპყეა სუფსის კალაპოტს...

ყველამ ყური სცქვიტა არაჩვეულებრივ სროლის ხმაზე... ერთმანეთს საუბარში შეჰყვენ და სწორედ ამ დროს შუა სურებიდან იქეჭა კიდევ თოფმა და გაღმა-გამოღმა სოფლებმა ჩქიფ-ჩქიფი გასროლით უპასუხეს.

— ხანიშნო სროლაა, ამხანაგებო! — წაუგდო ყური კასრაძემ და თოხზე დაებჯინა.

— რალაც ამბავია უთუოდ.

— შევარდნადის თოფის ხმაა. შაშხანას ისერის...

— ის არის... შაშხანის ხმაა, ამხანაგებო!

მუშებმა სვრელი მიატოვეს და გორაკზე მოგროვდნენ, საიდანაც ნათლად მოჩანდა სოფლები და კონცესიონერის კარავებიც.

— თითქო კარავებთან ისვრიან.

— წავიდეთ, ამხანაგებო!—წამოიძახა კოწიამ და თოხი ^{ნელიდან} გაავლო.

— მიშველებათა საჭირო.—დაუდასტურა კასრადემ და ენლა ^{ამხანაგ} გაავლო თოხი ხელიდან.

— ნულარ ვაყონებთ, სროლა მატულობს...

მუშებმა ყანა მიატოვეს და სირბილით გადირბინეს სოფლისკენ მიმავალი ვიწრო ბილიკები... შარაზე რომ გამოვიდნენ, ენაწაგდებული ხოსია შემოხვდათ ყანის მუშებს...

— დავილუბეთ... ყაზახები მოდიან, გეტყვი მე!

— სოფლებში ვინ ისროლა?

— შევარდნაძე... ხალხს აგროვებს, გეტყვი მე! ყაზახები დიდვანში ამოსულან.. ოცი ყაზახი ბლალოჩინის მოკვლის თაობაზე ჩაუყენებიათ, ორმოცი ჩენსკენ მოდიანო...

ყველაფერი ნათელი გახდა.

წრის წევრები დანიშნულ ადგილას მოგროვდნენ...

— იარაღი ხომ ყველას გაქვს?..—იკითხა გაცუცხლებულმა შევარდნაძემ და რაზმელებს გადახედა.

— პირდაპირ დავუხედეთ?—შეეკითხა კასრადე რაზმის უფროსს.

— კარგები დავიკავოთ. საწყობებზე ჩენი დარაჯები დავაყენოთ. და თოფის წამალი და ყოველგვარი ასაფეთქებელი მასალები ტყეში გადავშალოთ..

— სალდათები?!

— სალდათები წინააღმდეგობას არ გასწევენ... მოლაპარაკებული ვარ..

— მეც მჭონდა სალდათებთან თათბირი—დაემოწმა რაზმის უფროსს კასრადე, —ჩვენს წინააღმდეგ თოფს არ ისვრიან... აბა, წავიდეთ, ამხანაგებო!

მზე აიკრიფა სუფის ნაპირებიდან, როცა რაზმელები საკონცესიო კარავს მიუახლოვდნენ...

სალდათებთან კაცი აფრინეს და იარაღის უბრძოლველად დანებება შეუთვალეს.

— შემოგვესიეთ... გვესროლეთ და დავნებდებითო,—მოიტანა შიკრიკმა პასუხი.

— თუ გვნებდებიან რაღად უნდა ვესროლოთ?!

— რომ ღალატი არ შესწამონ, გეტყვი მე!

— არ, მოეტყუვდეთ, ამხანაგებო. ხაფანგში არ ვავებათ.

— მივიდეთ... გასცა განკარგულება შევარდნაძემ და რაზმელებმა საწყობებს ილყა შემოარტყეს...

იტყდა გულშემზარავი სროლა.

თვალთმაქცობაში ორი სალდათი და ერთი რაზმელიც მძიმედ დაიჭრა, ერთი საათის „ბრძოლის“ შემდეგ, სალდათებმა იარაღი დაჰყარეს და საკონცესიო ავლადიდებას რაზმელები დეპარტონენ.

— აბა, ცხენები, ჩქარა!—დასწყვირდა შევარდნაძემ და ღენთით დატვირთული ცხენები ტყისაკენ გაისტუმრეს...

სროლის ხმაზე რაზმელებს ყანებში სამუშაოდ გაფანტული აზნაზნები შემოუერთდნენ და დაღამებისას სურების შარას და საკონცესიო კარებებს ასორმოცდაათი შეიარაღებული რაზმელი სდარაჯობდა.

ყაზახებმა შეიარაღებულ რაზმელებზე მიახლოება ვერ შეუძლებს და უსუსურებს, ქვემოდ სუფსის პირას დაბანაკდნენ და გრომოვთან კაცი აფრინეს, რომელიც ამ დროს ჩოხატაურში იმყოფებოდა და ქუცურბეტთან ერთად შევარდანაძის დასაქურ გეგმას აღგენდა...

გრომოვმა ვერ გაბედა სურების უღელტეხილში შესვლა. ეშინოდა, ვაი თუ შევარდნაძე სადმე ჩამისაფრდეს და ხელშეორედ სირცხვილი მაჭამოსო. ამიტომ არჩია მან წინანწარ ყაზახების ერთი ჯგუფის გაგზავნა... თვითონ კი ასორმოცი ყაზახით ჩოხატაურში დაბანაკდა და სურებიდან გამავალი გზების შეყვრა მოინდომა.

— მთაზე გადაივლის და ახალციხეში შეეფარება, — შენიშნა ქუცურბეტმა რომელიმაც კარგად იცოდა სურების ადგილმდებარეობა და იქაური გზები, — ზამთარი რომ იყოს, კიდეც ჰო... თოვლი შეუშლის ხელს, და ამ შუაგულ ზაფხულში, აბა რა დააკავებს?! უნდა ბაღდადში გადავივლი, უნდა ახალციხეს შეეფარება, უნდა ბახმაროს გზას გაჰყუება და აქარაში გადავა... სხვათა შორის, აქარაში ამქამად დიდი მღელვარებაა, და ვინძლო ამ გარემოებითაც კი ისარგებლოს; აქარლები აიყოლიოს და... რა ვიცი... თავზე ხელაღებული ხალხია და თუ გაუჭირდათ... რას არ მოიფიქრებენ.

გრომოვი ჩაფიქრდა.

— მაშ, ეხლაც ხელიდან უნდა წამივიდეს ეს აბრაგი?!

— დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ შევარდნაძე ხელში ჩაიგდოს კაცმა, ოთხასი შეიარაღებული რაზმელი ჰყავს... თავი რომ გასწირონ და შეგვებრძოლონ კუდით ქვეს გვესროლიებენ...

— არ შეგრა, — გაჯიუტდა გრომოვი.

— ნუ გჯერათ... მე კი ჩემს აზრს მოგახსენებთ...

კარში აცახცახებული შიკრიკი შემოიჭრა... გრომოვს გამოეჭიმა და პატაკი ჩააბარა.

— სალახანებო. აქ რაღას მოეთრეოდით...

— განკარგულებას მოელიან, თქვენო მაღალ... კეთ... შოშ აე!

— ან გაწყედენ, ან კიდეც შევარდნაძე ცოცხლად მომგვარონ...

— შეუძლ...

— ჩუმაღ. სალახანაე! — აქუხდა გრომოვი და კაბინეტში რისხვა დააყენა.

— დიდი წინდახედულებაა საჭირო, ბატონო ოფიცერო. — შენიშნა ბოჭაულმა და უღვაშები შეისწორა.

— წინდახედულება მე არ მესმის... ან შევარდნაძე მომგვარონ, ან კიდეც თავისივე ხელებით სამარე გაითხარონ. ფეხებზე არ მკიდია მე ორასი ყაზახი თუ გინდ ხუთასიც. ბრბო რის მაქნისია, რომ ქვეყნის მტრებსა და ორგ ულებს თავი არ შეაკლან.

— ამოგვწყვეტავს თქვენო მაღ...

— ჩუმად! ლადარია სურებშია?—იკითხა ბოლოს გრომოვმა.

— ლადარიამ ცოლი შეირთო და სამეგრელოში გაიპარა. შენიშნა ქუცურბერგმა.

— ცოლი? ვინ შეირთო?

— ვილაც ტრაპაიძის გოგო. ხოსია ტრაპაიძის და...

— ნათელა?!

— დიახ, ვგონებ ნათელას ეძახიან.

გრომოვი უგუნებოდ შეიქნა.

— მაშ ცოლი შეირთო და გაიპარა... სალახანა!

— კარგია, ერთი თავზეხელაღებული შოკლადი სურებს უღელტეხილს..

გრომოვი დამუნჯდა და საფარძელში მოლევნითილად ჩაიკეცა.

ათასგვარი ფიქრები აიშალა ამჟამად თავგასულ შევარძმელის თავში... ნათელას გათხოვების ამბავი ლურსმანივით დაესო გულზე და სუნთქვა გაუმძიმდა.

— მაშ გაიპარა, არა?—მერამდენედ იკითხა გრომოვმა და ერთხელ კიდევ დაიქუხა:—ან შევარდნაზე ან კიდეც... ცოცხალი აღარ დამენახოთ მეთქი! შიკრიკად გამოგზავნილი ყაზახი ისევ გამოქვიშული იდგა გაცეცხლებულ უფროსის წინაშე და ქანცმილეულს სიმწრის ოფლი ასკდებოდა...

— ზევიდან რომ წამოუაროთ და ჩაეჩხიოდ რა იქნება?—ჰკითხა ქუცურბერგს გრომოვმა.

— შეუძლებელია. გაიგებენ და სადმე მიუვალ ადგილას ჩასაფრებულნი ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ.

გრომოვმა რუკა გადაშალა და საცალფეხო ბილიკები დაათვალიერა:

— საქამიასერიდან ვერ გადავყვალავთ?

— რა თქმა უნდა, ვერა... საქამიასერიდან დიდგანში გადახვალთ... შევარდნაზე კი შუასურებში იმყოფება...

— საპაიჭაოდან?

— შორი გზა არის... ცხენებით ვერ ივლით...

— აბა საშველი აღარ ყოფილა... ქვაბლადან?...

— გზა არ არის.—იძლეოდა პასუხს ქუცურბერგი.

— მაშ, რა ვქნათ?

— ძნელია, ბატონო ოფიცერო. სურების ალაგმვა სწორედ ამიტომ გახდა შეუძლებელი...

— პირდაპირ რომ მივიდეთ შარავნიდან?

— საფრთხილოა... მოლოდინში არიან და მზად იქნებიან.

— მაშ დავეაროთ იარაღი...—ისტერიულად გადაიხარხარა გრომოვმა და ქუცურბერგს დამცინავი თვალებით გადახედა.

— როგორც გენებოთ...

— ჩემი ზურვილია შევარდნაძის ხელში ჩაგდება და მისი რაზმის სრული განადგურება...

— მე დაგეხმარებით რითაც შემიძლება, მაგრამ... წინასწარ ვამბობ, ძრადერი გამოვა...

დერეფანში ხმაურობა მოისმა და ეხლა მეორე შიკრიკი შემოიჭრა კარებში, რომელმაც გრომოვს სხაპასუხპით მოახსენა.

— შევარდნაძე საკონცესიო ბანაკს თავს დასხმია. სალდათებიც — გაუიარაღებია და საწყობებზე თავისი დარაჯები დაუყენებია.

— სალდათებიც? მაშ ლალატია, არა?

— ორი სალდათი მძიმედ დაქრილა — ქაქანებდა შიკრიკი, — ერთი მოუკლავთ და ორი საათის სროლს შემდეგ იარაღი დაუყრიათ...

— ლალატი?! რატომ პოსტებზე არ დაიბოცენ... იარაღი რატომ დაჰყარეს... მივდივარ ქუცურბეგ! — წამოდგა გრომოვი სავარძლიდან.

— მეც გამოგყვებით... მაგრამ...

— რაკი საწყობებს სდარაჯობენ დილამდე ადგილს არ გამოიცვლიან. მანამდე ჩვენც მივუსწრებთ და... რაც მოხდება მოხდეს — უფალი იყოს ჩვენი შემწე! — გამოისახა პირვეარი გრომოვმა და ქუდი დაიხურა... ფარაჯა ცხენზე შემოიკრა და ყაზახებს უბრძანა: მომყევითო.

ასორმოცი ყაზახი ცხენების თქარათქურით დაიძრა ჩოხატაურიდან და ბურანში გახვეული სოფლები გამოაფხიზლა...

ყველა დაზაფრული იყო ყაზახების ვერაგობით და შეშინებული სოფლელები სინათლის ანთებასაც ვერ ბედადენ, მთვარის შუქზე ყაზახებს უთვალთვალედნ და უბედურების მოლოდინში ტყეში გაბიზვნაზე ფიქრობდენ.

გრომოვს ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი და თავდასხმაზე ფიქრობდა.

— კოსტია! — მიმართა მან შიკრიკად გამოგზავნილ ყაზახს.

— რა, თქვენო, მალალ კეთილ-შობ-ბავ!

— გასწი ეხლავე და კორშუნოვს აცნობე, რათაც არ უნდა დაუჯდეს, ჩემს ამოსვლამდე გადაიყვანოს ყაზახები სოფლის ბილიკებით და საკონცესიო ბანაკს ზურგში მოექცეს... ჩქარა!

— მესმის თქვენო მალალ-კ! — წაილულულა ყაზახმა და ცხენს მათრახი გადაუჭირა.

კოსტია, ივან ნიკიტინის სოფლიდან იყო, ახლო იცნობდა მეზობელ ოფიცერს და ხშირად კვეენის ავკარგზეც ესაუბრებოდა.

კოსტიას ხშირად გაუგონია მისგან: მომავალი — რევოლუციონურ მოძრაობას ეკუთვნისო... აშკარად ვერ ბედავდა ივან ნიკიტინი რევოლუციონურ იდეებზე საუბარს, მაგრამ გულში ღრმად სჯეროდა, რომ გამარჯვება რევოლუციის მხარეზე იქნებოდა. სწორედ ამიტომ შეედავა ის გრომოვს ნაგომრის პალებში, და ჩუმი გაფიცების მსხვერპლი შეიქნა...

კოსტიას მოაგონდა ცხენიდან გადმოვარდნილი ოფიცერი... მოაგონდა, თუ როგორ მეხვივით დაეცა მას თავზე ივან ნიკიტინის მოულოდნელი სიკვდილი და ისე აცრემლდა, როგორც იმ დღეს, ვერაგულად მოკლულ ოფიცრის ცხედარის წინაშე...

მიჰქრის ცხენი და კოსტიას უცნაური ფიქრები აწვალბეს... — რას ვერჩით ამ გურულებს? — ეკითხება ის თავისთავს — რატომ მყუდრო ცხოვრების საშუალებას არ ვაძლევთ?.. ვის რას უშაგებენ ეს რევოლუციონერები? რატომ ერეკებიან მათ ციმბირისაკენ?!

კოსტია ბანაკს მიუახლოვდა. კორწუნოვს გრომოვის ბრძანება გადისცა და ქვაზე ჩამოჯდა.

— როგორ უნდა შემოვუაროთ როცა...—კორწუნოვი დადუმდა და რაზმს უბრძანა: მოემზადეთო.

ზღაზენით წამოიშალენ ყაზახები... ყველა რალაც უბედურების მოლოდინს გრძნობდა და ფეხი უკან რჩებოდა...

გაგზავნეს წინ მზვერავები, დანარჩენებიც უკან მიჰყვენ...

— ჩუმაღ!—აფრთხილებდენ ერთმანეთს ყაზახები, მაგრამ ცხენების ფეხის თქარათქურს რა დააჩუმებს...

კოსტია ისევ ფიქრებშია გადაკარგული.

— დაიშალენით და ცალკალკე იარეთ!—გაისმა კორწუნოვის განკარგულება.

კოსტიას სიხარული ჩაეწვეთა გულში და ვიწრო შუკაში გადაუხვია...

ყაზახები მოედვენ სოფლის ორლობებს, მაგრამ ხმის ამოღებას არავენ ფიქრობს...

კოსტიამ შარაზე ამოჰყო თავი... ცხენს ქუსლი ჰკრა და საკონცესიო ბანაკზე მიავლო.

— ვინ ხარ?—შესძახეს ყაზახს მზვერავებმა და თოფები მიუღირეს.

— თქვენი ვარ. — აჩურჩულდა ყაზახი და რამოდენიმე ქართული სიტყვა დაამტვრია:—ყაზახები მოდიან... გრომოვის მეთაურობით. ასორმოცი ყაზახი უკან მოდის... ორმოცი კაცი სოფელშია დაფანტული, რომ გზა გადაკრან და საკონცესიო ბანაკს ზურგში მოეცენ... აცნობეთ თქვენ რაზმის უფროსს. მე კი ამ შუკას შევყვები და ჩვენებს შევუერთდები...

— ვინ ხარ? — შეეკითხა ერთი მგზავრთავანი.

— სულერთია ვინცა ვარ... თქვენი კაცი ვარ...

მზვერავები დაეკედნენ, მაგრამ ცნობა ეჭვშმარტათ და შეეარდნაძქესთან მიიკრენ ყაზახის ნათქვამის გადასაცემად...

შეეარდნაძქემ უღვაშებში ჩაიღიმა გრომოვის გაგონებაზე და რაზმელები დაამშვიდა...

— ყოჩაღ ყაზახო! გვარი არ ჰკითხე?..

— არ გვიპასუხა... სახეზე ვიცნობთ. ახალგაზრდაა...

სოფლები ახმაურდენ... იმატა ძაღლის ყეფამ და შეეარდნაძქემ თავისთვის ჩაილაპარაკა: მართალი უთქვამს იმ ყაზახს, გადაყელვას ფიქრობენ, მაგრამ ხოსიას რაზმს სად გაეჭკვეიან?!

შეეარდნაძქემ იცოდა, რომ მოსალოდნელი იყო ყაზახების თავდასხმა და დაღამებისთანავე რაზმი რვა ნაწილათ გაჰყო, ნაწილებს ცალკე მეთაურები დაუნიშნა და წინასწარ შერჩეულ ადგილებზე დაგზავნა... ბანაკთან თვითონ დარჩა ორმოცი კაცით და მზვერავების ქსელი გააბა ცნობების შესაკრებად.

— გავიდეთ წყალგაღმა და კლდეს მივეფაროთ, ვინიცობა ბანაკს თავს დაესხან, საიმიდო ადგილას ვიქნებით და ზარალსაც დიდს მივაყენებთ... საწყობი უკვე დაკლილია... ერთი ტომარი თოფის წამალი განგებ მოვიტოვე... იქნება აქვე დაგვიკრიდეს... დანარჩენი უკვე საიმიდო ადგილასაა გადაზიდული.

— სალდათები სად გყავთ?— იკითხა ერთმა.

— ზოგი შემოგვიერთდა და იარალი დავუბრუნეთ... ზოგიერთები იქ ჰყარია, სამიკიტნოს გვერდით...

— მართლა, ხალამპრე მიკიტანი დუქანშია თუ...

— ერთი შაგის ოხერი დედაც... — შენიშნა შევარდნაძემ და რაზმელებს უბრძანა ნაჩვენებ ადგილას შეგროვებულიყვენ... საწყობში ერთი რაზმელი დასტოვეს.

— თუ ბანაკს ალყა შემოარტყან, წაუკიდღე ფითილს ცეცხლი და ჩვენთან გაჩნდი... თქვენ მზერავენბო, თუ ყაზახები შენიშნოთ, ეცადეთ ბანაკში შემოიტყუოთ... ასე... გასწითო!..

სოფელში ხმაურობამ იმატა.

უცბა, იელვა ცეცხლმა და ბერიშვილებს გაღმა სროლა გაჩაღდა...

დაიბნენ ყაზახები. კორწუნოვმა ალლო დაჰკარგა და დაქსაქსული ყაზახები ერთად შეაგროვა... სროლის ადგილი მიზანში ამოიღო და პირდაპირ იქითკენ გაექანა...

დინჯად ისერიან რაზმელები საგულდაგულო საფარიდან... მტრის მოახლოვებას ცხენების ფეხის ხმით ატყობენ და გუმანით ნასროლ ტყვიას მიზანს არ აცდენენ...

გრომომვა ყური მოჰკრა გაჩაღებულ სროლას და საკონცესიო ბანაკამდე სული ძლივს მიიტანა. ამდენი ორწოხები გამოიარა და არსად დაბრკოლება არ შეხვედრია. წათამამებული შავრაზმელი პირდაპირ საკონცესიო ბანაკამდე მიიქრა.

მზერავენბმა ხმა მისცეს ხმალამოწვილილ ყაზახებს დაეღვებაში შევარდნაძესთან გაჩნდენ.

თენდება... ალიონი საშუადლოზე წამოიხარა...

ყაზახები მოედვენ კარვებს... საწყობები დაათვალიერეს... კარავში ჩაკეტილი თერთმეტი სალდათი გაანთავისუფლეს და ეხლა სამიკიტნოს ესტუმრენ...

— Не знаем берин, кресту-ногоу... — იწერდა პირჯვარს შეშინებული მიკიტანი და ყაზახებს ფეხქვეშ ეგებოდა.

საწყობის დარაჯმა ფითილს მოუკიდა, უკან გადაიპარა და ვინაიდან საწყობი სუფსის პირად იყო, პირდაპირ მორევში გადასცურა...

ყაძახები დაძრწიან საწყობში და სამუშაო იარაღებს ათვალიერებენ, სასიკეთოს ვერაფერს პოულობენ და ჯიგრიანად იგინებიან.

— Порохом пахнет, братцы! — აისუნთქა ერთმა ყაძახმა და სწორედ იქითკენ გაექანა, სადაც ღენტით სავსე ტომარზე მიმაგრებულ ფითილს ცეცხლი ეკიდებოდა.

— წამლის სუნია... ვიღუპებით... — წამოიძახა შეშინებულმა ყაძახმა და ცხენი უკან მოატრიალა, მაგრამ...

იგრილა ღენტმა და ნაკუწებად დაფლეთილი ხის საწყობი ჰაერში აიტაცა... ცეცხლი მოედვა იქაურობას... ხის კარვები ხანძრის წერა გახდა...

სინათლეზე აჩრდილივით დაჭრიან თავზარდაცემული ყაზახები და აფეთქების დროს დაჭრილ და დახოცილ ყაზახებს ხალამპრეს სამიკიტნოსკენ ეზიდებიან.

შევარდნაძემ ჯერ დააცალა. გათენების მოახლოვებამდე ხმა არ გაიღო. და, როცა კორშუნოვის შიკრიკმა გულშემზარავი ცნობა მოიტანა და გრომოვი-ორმოცდაათი ყაზახით ხოსიას საფარისაკენ დაიძრა, ამ დროს შევარდნაძემაც დასტყვივლა წყალს გაღმიდან და გრომოვის რაზმს ტყვიის სეტყვა წამოუშინა.

— დაგვნებდი, გრომოვ! — გააფრთხილა გრომოვი შევარდნაძემ და გაქცეულ ყაზახებს უკან დაედევნა.

მოციისიერდა.

გრომოვი უგზოუკვლოდ ვარბის თავსურებისაკენ... მაგრამ დახე უბედურებას!.. გრომოვის რაზმს წინ ტოროტაძის რაზმი დაუხვდა და გრომოვმა დაპყარვა წონასწორობა.

ისერიან ტოროტაძის რაზმელები, მაგრამ ხორციელი არსად არ მოსჩანს... გრომოვი განცვიფრებულია რაზმელების უხილაობით, დაფეთებულ თვალებს აღმა - დაღმა აცეცებს, მაგრამ კვამლისა და თოფის ტუჩების მეტს ვერაფერს ხედავს...

ხოსიამაც ჩამორეკა დაბლბ ცოცხლად დარჩენილი ყაზახები, სხვა რაზმელებიც მოგროვდენ, ჩიხში მომწყვედელი გრომოვი განადგურების რკალში მოამწყვდიეს...

— დაგვნებდი, გრომოვ! — კვლავ მიიძახა შევარდნაძემ დაფეთებულ რაზმის უფროსს და როცა სამსართულიანი დედის გინება შემოესმა და ცხენისებური კბილთა ღრუნი, აღარ დააყოვნა, გადმოიღო შაშხანა და გრომოვს მარჯვენა მკლავში დაუმიზნა.

გრომოვს ამოღებული ხმალი ხელიდან გაუვარდა და ყაზახებმა იკადრეს იარაღის დაყრა და ხელებაწეულებმა რაზმელებს შენდობის თვალთ გადახედეს.. თითქო ამბობდენ: ჩვენ რა შუაში ვართ... ეს გრომოვი არის ჩვენი მბრძანებელი და სულთამბუთავიო...

შევარდნაძემ ყაზახების განიარაღება უბრძანა რაზმს და თვითონ დაქრილ გრომოვს თავზე წაადგა...

— Попался? Еще раз попался, подлец! — გაუმოხრა შევარდნაძემ...

— Разбойник, я те покажу! — უპასუხა გრომოვმა და შევარდნაძემ გულიანად გადიხარხარა. შემდეგ, უცებ შუბლი შეიკრა, გრომოვის ხმაღს დაწვდა ხელში შეათამაშა და... — ფუჰ, არაზნადა! — ზიზლით დაიღმიჯა შევარდნაძე და ხმალი ხელიდან გააგდო.

— გეყოფა! სიკვდილით არ მოგკლავ! — დაუმატა შევარდნაძემ და ბანაკისაკენ გაბრუნდა...

— იი, ეს ყაზახი იყო, ცნობა რომ მოიტანა, — მოკლულ ყაზახზე ანიშნა შევარდნაძეს ერთმა რაზმელმა და რაზმის უფროსი ყაზახის გვამს თავზე დაადგაკარგებს ცეცხლი მოსდებოდა და გაშმაგებული ხანძარი უმოწყალოთ ფერფლავდა იჭაურობას...

ხალამარეს დუქანი ცეცხლის აღში იყო გახვეული... შეიქრენ დუქანში. ყელგამოჭრილი მიეიტანი დახლზე ეგდო და სისხლიდან იცლებოდა...

— საცოდავი... — ამოიოხრა შევარდნაძემ — გაუცარცვათ და ყელიც გამოუჭრიათ... გაიტანეთ ვარედ... რის გადაჩენაც შეიძლება გადაარჩინეთ...



რახმელები მოედვენ ცეცხლის ალში გახვეულ ბანაკს და დიდის წვალეებით ცეცხლი ჩააქრეს...

ყაზახებს ნება დართო შევარდნაძემ მოკლელები დაეხმებოდათ, დაქრილებს ცხენებზე საკაცეები მოუწყო და მესამეჯერ თავლაფდასხმული გრომოვი ჩოხატაურისაკენ გამოისტუმრა...

ალიხანოვი გაცეცხლდა გრომოვის დამარცხების ცნობის მიღებაზე, ხუთასი კაცი ყაზახი გაამზადა ჩოხატაურის უბანში გასაგზავნად, მაგრამ სწორედ ამ დროს მოუსწრო დეპეშამ ვარანცოვ-დაშკოვისაგან ალიხანოვის თავისი ჯარით ტფილისში გაწვევის შესახებ და ხელწერილად გაწმინდებული ალიხანოვი კბილების ხრქენით დაიძრა ტფილისისაკენ.

შევარდნაძემ ისარგებლა ამ მდგომარეობით. ყაზახების იარაღით საუკეთესო მებრძოლი ბიჭები შეაიარაღა და ნაწილებად დაყოფილი ისევ სურების მიდამოებში დააბანაკა...

შუკრით ანთავული თვალები

ბეგემ წალენჯიხაში არჩია დაბანაკება.

ჩასვლისთანავე ორგანიზაციის ხელმძღვანელები ზოიწყია. თათბირი გამართა და სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა.

— იარაღის საქმე როგორ გაქვთ? — იკითხა ლადარიამ.

— სამი ათასი თოფი გვაქვს დარიგებული... რევოლვერები და სანადირო იარაღები ანგარიშში არ შედის...

— ხელბომბებიც გვაქვს... ჩვენ თვითონ ვამზადებთ ხელბომბებს...

იძლეოდნენ ცნობებს რაიონის ხელმძღვანელები.

თათბირის დასასრულ ლადარიამ გურიის ამბები უამბო ამხანაგებს და მუდმივ კავშირის დასამყარებლად სპეციალური წარმომადგენლებიც დანიშნა გურიის კომიტეტში...

ლადარიამ მოკლე დროის განმავლობაში ფეხზე დააყენა სამეგრელოს ორგანიზაციები და ცენტრიდან მომაგრებულ ამხანაგებთან ერთად აქამდე ჰერქვეშული მუშაობა სააშკაროზე გადაიტანა.

ყველა მოზრდილ თემებსა და დაბა-ქალაქებში იმართებოდა საჯარო მიტინგები, სადაც ორატორები აშკარა ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას... რევოლუციონური აზვირთება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა.

ნათელაც ჩაება მოძრაობაში. აქამდე მორცხვი და ოჯახურ სალტეში მომწვედელი ქალი, ერთბაშად დაეწაფა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ბეგლარის დახმარებით რევოლუციონურ მოძრაობის აქტიური წევრი შეიქნა. ერთ დღეს, ნათელამ ძიკიხეც ჩამოუგდო სიტყვა ბეგლარს და საბერიოში წასვლა სთხოვა...

— ვნახავ რა კაცია... გავეცნობი და... ვინ იცის იჩენება რაიმე გავლენა მოეახდინო. — ამბობდა ნათელა.

— შენ ნამდვილი მეოცნებე ხარ, ნათელა!

— რატომ?

— აბა, რა გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა კაცი შეგნებულად მიემხრო არსებულ ხელისუფლებას და მისი ერთგული დიმიცველი გახდა.

— კი მაგრამ... ეხლა სხვა დროა, ბეგლარ! იქნება აზრი გამოიკვლოს... სხვა რომ არაფერი იყოს ძმა არის შენი და სასირცხოოდ მიმანია, რომ ძიკი შენი მისწრაფების სასტრუქი მოწინააღმდეგეა და დაუძინებელი მტერი...

— სამწუხაროა, მაგრამ... ასეა და აბა რას გააწყობ?!

— ვეცადოთ...

— არ მესმის რას უნდა ვეცადოთ... ძიკი ბოქაულია და რევოლუციონერ მოძრაობის ნამდვილი ჯალათი... მე შევეცდები, რომ ის ხელს ვეღარ უშლიდეს ჩვენს მოძრაობას... სხვა გამოსავალს მე არ ვხედავ—იწყინა ბეგლარმა

— ვეცადოთ, ბეგლარ!— არ ეშვებოდა ნათელა.

ბეგლარი ჩაფიქრდა.

მის გულში ათასგვარი გრძნობები გაცოცხლდა და ამოძრავდა, მის თვალწინ ლანდებად გაიჯირითა ძიკის უკანასკნელი წლების მუშაობამ და ბეგლარმა გადაჭრით დაასკვნა: არა, ის უნდა განადგურდეს... ძმა არის ჩემი, მაგრამ... უნდა განადგურდეს, როგორც მუშათა მოძრაობის კლასიური მტერი და შეგნებული მოწინააღმდეგე.

— რას ფიქრობ, ბეგლარ!— შეეკითხა ნათელა, როცა დაინახა, რომ ღრმა ფიქრებში გადაკარგული ბეგლარი უძრავად იდგა და პირისახის ნაკვთების მოძრაობით რალაცას თავისთავს ედავებოდა...

— არაფერს. ძიკი უნდა განადგურდეს, ისე როგორც რევოლუციის ყველა მოწინააღმდეგენი...

— კარგი, მაგრამ ერთხელ მაინც ვეცადოთ... მოდი შენ წერილი მისწიერე... მე თვითონ გადავცემ... გავეცნობი კიდეც... შევეცდები გავლენა მოვახდინო... თუ არაფერი გამოვა... ჯანი გავარდეს... ისიც თავის მომხრეების ბედს გაიზიარებს...

ბეგლარი ისევ ჩაფიქრდა. ისევ დღხანს ედავებოდა ის საკუთარ თავს, და ბოლოს ერთბაშად ნათელას მიუბრუნდა:

— თანახმა ვარ, მაგრამ ეს იქნება უკანასკნელი ცდა მისი გადარჩენისათვის. ცდა რომელიც...

ნათელა სიხარულით ცას დაეწია.

ხვალ ის საბერიოში გაემგზავრება. ინახულებს ბეგლარის ჩამქრალ კერას, ფაცხას, სადაც გაჭირვებაში დალია სული ბეგლარის დედამ სალომემ... ნახავს თვითონ ძიკის... მის მეუღლეს ელენეს... ბოქაულობაში შეძენილ მის ოჯახსა და მიწა-მამულებს...

ნათელას ყველაფერი ეს ბეგლირისაგან აქვს გაგონილი. ეხლა საკუთარი თვალთ ინახულებს ის ყველაფერს... თვითონ დარწმუნდება, თუ როგორ შეიძლება თავდადებულ რევოლუციონერს ჰყავდეს ბოქაული ძმა... ისევე თავდადებული მებრძოლი და დამცველი იმ წესწყობილებისა და მართვა-გამგეობის, რომლის დასანგრევად თავი გაუწირავს პირველს და ბოქაულთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი გამზდარა.

ამ ფიქრებში დაღაღამა ნათელამ და ვერც კი შეამჩნია, რომ ოთახში უკვე სიბნელე ჩამოწვა...

— ანთე ლამა, ნათელა!— შენიშნა ბეგლარმა.

დარცხენილი ნათელა ფეხზე წამოდგა. ლამპა აანთო და ვახუშტის თადარიგს შეუდგა.

დაქირავებულ მარტოხელა ოჯახში, ჯამ-ქურქელიც არა მარტო მარტო და ახლად შეუღლებულ ცოლქმარს და ნათელა ხუმრობაში მოკვრუნებდა: — ბეგლარს, თუ როგორი წინააღმდეგი იყო ის ოჯახური წერილობების და ცხოვრება კი თავისას როგორ მოითხოვდა.

ერთ საინზე ივანშემს ცოლქმარმა, სპილენძის პაწია თუნგში ფეხსაბანი წყალი გაათბეს... მაგრამ ტაშტი!

ნათელას სიცილი მოერიო. ბეგლარი სახლის აივანზე გაიყვანა, კარაბიანზე ჩამოაჯინა, ტაშტის მაგიერ ფიცრის ნაჭერი დაუდო ფეხქვეშ და უტაშტობით შეწუხებულმა ცოლქმარმა ფეხები წვალეებით დაიბანეს...

— საჭირო ყოფილა თუ არა ქურქელი და ოჯახისთვის აუცილებელი ალაფის შეტენა?! — ნიშნისმოგებით და თან სიცილით შეეკითხა ნათელა ბეგლარს და ქოჩორი თითებით გადაუვარცხნა.

— ასეც იოლათ წავალთ, — მიუგო ოდნავ დარცხენილმა ბეგლარმა, მშრალი ფეხები ქუსლებწათელილ წულაში შედგა, ნათელა სკამიდან ბავშვივით აიტაცა და წინასწარ გაშლილ ლოგინისკენ გააქანა...

* * *

ნათელა საბერიოსკენ მიიჩქარის...

თავში ათასგვარი ფიქრები უტრიალებს ახალგაზრდა ქალს და ცხენზე ვაჟაკურად შემჯდარი, ქალურ შიშს გულში არ იკარებს.

შარაზე შემოხვედრილი მგზავრები გაკვირვებული თვალით მიაცილებენ განმარტოებულ მხედარს და ზოგჯერ ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

— ქალია, მარგამ ბევრ ვაჟაკს გააწბილებს...

— ნეტაი იმას, ვისაც შენ უზიხარ ოჯახში...

ნათელამ კითხვით მიაგნო ბოქაულის ოჯახი და კიშკართან გადმოხტა...

საბოქაულოდან დაბრუნებული ძიკი გამოეგება უცხო სტუმარს... ელენე, ლამაზი ქალის დანახვაზე კვარივით აინთო და აივანზე გადმომდგარმა ძირს ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

— მობრძანდით! — შეიპატიეთა ძიკიმ ნათელა და კიშკარი გააღო.

ცხელოდა.

ნათელამ ცხენი კოინდარში მიუშვა და თვითონ ძიკის გაჰყვა.

— ელენე! — ასძახა ძიკიმ ცოლს და ვენახით დაბურდულ სამასლაათოს მიუახლოვდა.

— დაბრძანდით. აქ უფრო გრილა... — უგულოთ მიმართა ბოქაულმა სტუმრად მოსულს და მოხდენილ ქალს ხარბი თვალეებით დააშტერდა.

სამასლაათოს ელენე შემოემბატა, ნათელას თავი დაუკრა და სკამლოგინზე ჩამოჯდა.

განცვიფრებული ცოლქმარი ხახ ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან უცხო სტუმარს და ვერ მოესაზრებიათ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი სტუმარი ქალი.

ელენე იქვემბა შეიპყრო, და რა არ გაიფიქრა, მაგრამ აქ ისევე/ნათელამ დაარღვია მყუდროება და ძიკის წერილი გაუწოდა.

— საკვირველი ამბავია, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, დაატანა უცხო სტუმარმა.

ძიკიმ ელდანაცემივით გახსნა წერილი... სტუმარი ერთხელ კიდევ ჩაათვალიერა და გაცივებულმა წერილი მღელვარებით გადაიკითხა...

— ბიჭოს! რძალი ყოფილხარ, ქალო, და...

წერილი ოთხად მოკეცა...

— ელენე! გაიცანი... ბეგლარის მეუღლეა... ეს კიდევ ჩემი მეუღლე გახლავით... ასეთ პირობებში ვეცნობით ერთმანეთს, მაგრამ... რა გაეწყობა, დამნაშავე... დამნაშავე ისევე უკუღმართი ცხოვრება თუ არის.

სიწუმე ჩამოვარდა. ყველა რალაც გამოუვალ უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ თავდაქერასა და გულგრილობაშიაც თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ბოლოს ნათელამ გადალაბა საზღვრები და ძიკის მიუბრუნდა:

— წერილზე რას იტყვით?!

ძიკის ფინდიხივით მოხედა გულზე ნათელას გაბედული სიტყვები და უმაღლა გაიფიქრა: „ეტყობა ბეგის ჯილაგისა“...

ნათელა თვალს არ აშორებდა ბოქაულ მაზლს და დროგამოშვებით ელენესაც დაშხამულ შურდულს ესროდა.

— რას უპასუხებთ? — გაუმეორა ნათელამ.

— რა უნდა ვუპასუხო — აიშღვრა უცებ ძიკი ნათელას შეკითხვაზე — ძმა რომ სასიკვდილოდ გაგიმეტებს, იმასთან რა ურთიერთობა უნდა მქონდეს ვერ წარმომიდგენია... რაც დაუთესია, იმასვე მოიმკის...

— ისევე ძველი ჰანგები? — დაცინვისა და თანაც გამომწვევი ტონით ჩაუქრა ნათელამ და მიწას დააშტერდა... ნათელა უცვებ გრძნობდა, რომ სასტიკად მოტყუვდა თავის განზრახვაში და ჩინ-ებოლტებთან ძიკი კირივით შეეჯავრა.

— მისი ნახელაქი ჯერაც არ მოშუშებია და რა უნდა უპასუხოს?! წამოეხმარა ძიკის ცოლი ელენე და წამობერილ მუცელზე კაბა შეისწორა...

ძიკიმ გვერდზე მიიხედა, ელენეს დააკვირდა, შემდეგ ნათელას მოავლო შურით ანთებული თვალეები და ფიქრებში გადიკარგა: აქაც მაჯობა... ცოლის არჩევანშიაც მაჯობა... ის ჩემზე უფროსია და შოლტივით ქალი მოუძებნია... მე კი... ურიდას ნაცოლევს ჩავაფორინდი... ჭონებასა და მიწა-მამულს დავებარებ... ო, ეს ჯუჯა მამად... — ზიზლით ჩაათვალიერა ელენე ძიკიმ და ისევე ფიქრებს მისცა თავი, — ლამაზი მომეწვენა.. ახალგაზრდობამ წამძლია და... ეს საწინახელა ავიკიდევ... ათი წლით ჩემზე უფროსი იქნება... ბერიკაცის ნაცოლვეი...

— მაშ, ისევე ძველი გზით სიარულს არჩევთ, არა?

— რა გაეწყობა...

— არაფერი... სამწუხაროა, რომ ბეგი მართალი აღმოჩნდა თქვენთან დამოკიდებულების საკითხში... მე კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი...

ძიკიმ არაფერი უპასუხა შუამავლობის გზაზე დამდგარ ნათელას და ისევე წერილს დაუწყო თვალიერება.

— ისევე ის თავბედური მუჭარა და ბრძანების კილო... — ნაილპარაკა-თავისთვის ძიკიმ—არა. ჩვენ ცხოვრებამ გავგვითიშა და ყოველი ცდა შერიგებისათვის, ვფიქრობ, ამოა იქნება,—დაასვენა ძიკიმ.

— რომ ინანოთ?—ურცხვად მიახალა ნათელამ.

— ფერი ფერსო... სწორედ თქვენსა და თქვენს ქმარზეა ნათქვამი... რა უნდა ვინანო, ჩემო რძალო?!—დაცინვით შეეკითხა/ძიკი და საბოჭაულო პაგონებზე მტვერი მოიწმინდა.

— ის რომ თქვენი ყოფილი ოჯახის წევრების საერთო მისწრაფებას გადაუხვიეთ და უკუღმართ გზას დაადექით,—თამამად უპასუხა ნათელამ.

— თქვენ ასე გგონიათ?!

— თუ თქვენ ამას ვერ გრძნობთ, მაპატიეთ, მაგრამ ბეცი ყოფილხართ... იკო ძიგუას ოჯახს ბოჭაული შვილი ვერ უნდა გამოეზარდა...

— შეიძლება... შეიძლება. ისეც დამცინავი კილოთი უპასუხა ძიკიმ.

— ძნელია ასე თავადურად მორთულ ოჯახსა და ეზომიდანოზე ხელის აღება—დაცინვითვე გადაუტრა ნათელამ და აკაციის მესრებით შემოტიბრულ ეზოს თვალი გადააელო...

— თქვენი ქმრის წყალობა არ გეგონოთ... საკუთარი ოფლით შეძენილი გახლავთ.—მოუჭრა ნათელას გაბრაზებულმა ძიკიმ.

— არც მე და არც ჩემს ქმარს არაფერ დიდწყალობად არ მიგვაჩნია საწყალი ხალხის ზურგზე შეძენილი ქონება და მიწა-მამულები... ჩვენ რაცა გვაქვს ამ ეზოში, იმითაც კმაყოფილი ვიქნებით.

ძიკი აიშირბა. ნათელას შორდამიზნებული სიტყვა ძიკის გულზე მოხვდა და აწირალეზულმა უღლაშები ნერვიულად შეიგრიბა.

— აი ის ფაცხა გვაქვს ვასაყოფი... ალბად თქვენც გეცოდინებათ...—გაიშვირა ხელი ძიკიმ ფაცხისაკენ.

— სხვა რამეც გამომჩნდება—გამომწვევ კილოთი დაატანა ნათელამ.

— ეძიეთ და იპოვიეთ.

— მეც ასე მგონია... თუმცა რა დროს ეგ არის...

— თუ თქვენც ბეგლარსავით მეოცნებე ხართ, რევიოლუცია სხვა ჯილდოსაც მოგიზღავთ და... რალა ვიშავთ... ქვეყნად დამყარდება კაცთა მშვიდობა...

— რევიოლუციასთან თამაში, ცეცხლთან თამაშს უდრის, ჩემო მახლო!

— თუ კი რევიოლუციონერობა ხალხის ტყვილად ამხედრებას და ტერორის მეტს არაფერს ნიშნავს... ცხადია ასე იქნება...

— რევიოლუცია ბევრს რამეს ნიშნავს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ერთმანეთს ვერაფერს გავუგებთ და...—ნათელა ფეხზე წამოდგა—მშვიდობით ბრძანდებოდეთ... თუ ბეგლარის მისამართი დაგჭირდესთ როდისმე, ის წალენჯიხაში ცხოვრობს... ასე... ნახვამდის, ჩემო მახლო, ჩემს რძალს კი ერთი რამ მინდა მოვაგონო: მოხუცივით გატაცება ფულისა და ქონების ბრალია... ხოლო მეტის მეტად ახალგაზრდა ყმაწვილის ამოჩემება, მოჭარბებული სისხლის დუღილის შედეგი... პირველი შემთხვევა მით არის ხელსაყრელი, რომ უფრო ხშირად მოხუცი საფლავისაკენ მიიჩქარის... ხოლო როცა ჭაბუკი დავაეკაცდება და ხელში ქონით გატენილი ტომარა შერჩება...

— ქალბატონო!—იფეთქა უცებ გონსმოსულმა ელენემ და ფეხზე წამოიჭრა,
— არა, თქვენ ჯვარი გწერიან, მაგრამ ცხოვრებამ ხშირად ასე იცის... ნახ-
ვამდის...

ნათელა დამკინავი თვალებით გამოეთხოვა მასპინძელს და დაეღუბებაში
ცხენის ზურგზე გაჩნდა...

„ნამდვილი ალქაჯია, ეს“...—გაივლო გულში ნათელას თვალადობით
დარეტიანებულმა ძიკიმ და გამგზავრებულ სტუმარს გულდაწყვეტილი მზერა
გააყოლა...

— რა მოგივიდა. რამ გაგიშტერა ეგ თვალები?—მკვამბე მიახალა ელენემ
ძიკის და ისევ სკამლოგინზე გაგორდა.

ძიკი ეხლა გამოერკვა, შარას თვალი მოაშორა და ელენეს სხაპასხუპით
წაუშინა:

— შტერიცა ხარ და გაუთლელიც... უჯილაგო და უჯიშო...

— აღარ მოგწონვარ?

— როდის მომწონდი, რომ ეხლა მომეწონო... მართლაც ქონით გატენი-
ლო ტომარავ!

— რაო? კაცის მკვლელო!—აიღეწა შეურაცხყოფილი ელენე და წამობე-
რილ მუცელს დააშტერდა.

— ხმა გაკმინდე...

ბრახმოარეული ძიკი ქლიავს მიეყრდნო და ფიჭრებში შესტოპა. ასეთი ცხა-
რე დილოგი კარგა ხანია დასჩემდა ნაძალადევედ შეუღლებულ ცოლქმარს და
დღესაც ვინ იცის სადამდე მივიდოდა მათი ენაშწარობა, რომ თვითონ ძიკის არ
გაენებებინა თავი საღერდელაშლილ ელენესათვის.

დგას ძიკი და უგულოდ გაპყურებს ბოქაულობაში შეძენილ ეზო მიდამოს...
ახალ ნაყიდ ნაფუძვრებსა და გაშენებულ მამულებს... ოდას რომელიც ურიდიას
ჯოგზე თავდასხმის მოწყობაში აღებულ ფულებით დაიდგა... ქრთამებით შეძენილ
ცხენსა და უღელ ხარ-კამეჩს... მეფის მოხელეა ძიკი, მაგრამ მთავარი ყურად-
ღება ჯერჯერობით სოფლის მეურნეობაზე უჭირავს... ქალაქურ ავლადიდებას
სოფლის მეურნეობა ურჩევნია... საკუთარი სახლი და შემოსავლიანი მიწები...
ძიკიც ხარბად დაეწაფა მიწა-ადგილის შეძენას და ცოლის ნამზითესა და ური-
დიას ქონებიდან ელენეს წილდებულ ქონებას, თავისიც ბევრი შემოუმატა...
დღეს ის შეძლებულ მემამულეთა რიცხვს ადვილად მიეკუთვნება და სწორედ ეს
უფრო უშლის ხელს მის რევოლუციისადმი მიახლოებას... „როგორ? ოფლით
შეძენილი მიწამამული სხვას გაეუზიარო?! ჩემი ქონება სხვას გავუნაწილო? თა-
ნასწორობასა და ერთობაზე კრინტი დაძვრა? რატომ? რისთვის? არა მე არ
ვიცნობ რევოლუციის ასავალდასავალს და თუ არც რევოლუცია მიიღებს და
არ შეითვისებს ჩემისთანებს მით უკეთესი... ათასჯერ მითქვამს, ცხოვრება
ბრძოლაა მეთქი, და ამ ბრძოლაში გამარჯვებული მხოლოდ შეძლებული გამო-
დის ყოველთვის... დღეს ქვეყანა ვულკანზე დგას... ხალხი ამობოქრებულია და
ვინ იცის ზღვის ტალღები ვის გადალგავს... ჩვენ—ვის ხელშიც ფული და ია-
რალია, თუ იმათ ვინც ცარიელი ხელებით ებრძვიან სასახლეებს... მაგრამ ეს
ხომ დაეჭვებას უდრის... ეს ხომ... არა „თუ“ აქ არაფერ შუაშია. შენი გზა
სწორია, ძიკი! გასწი და გამარჯვებ“... ერთხელ კიდევ დაუდასტურა ძიკიმ

თავისთავს არჩეული გზის სისწორედ და მოზღვავებული ფიქრების გასაფანტავად ბალნაში შევიდა.

დაბინდებისას შინ დაბრუნებული ნათელა ნაწყვეტებად მოუთხრობდა ბეგლარს ძიკისთან შეხვედრის ამბავს და სამგზავრო ჩემოდანში ჩადებული ნაქაღაღებებს ალაგებდა.

ბეგლარი ტფილისში იყო გამოძახებული ფრიად სასწრაფო საქმეზე... ნათელა ნერვიულობდა ბეგლარის ასე მოულოდნელად გამგზავრების გამო, მაგრამ დაყოვნებაც შეუძლებელი იყო...

მ ი ტ ი ნ გ ზ ე

ალბანოვის ტფილისში გაწვევით გურულები წელში გასწორდნენ. ხალხს ყაზახების რისხვა აღარ ელანდებოდა და წათამამებულნი იერიშზე გადადიოდნენ. ყველგან იმართებოდა ღია კრებები და მიტინგები, აშკარად გამოდიოდნენ მეფისა და თავაშვებულ პოლიციის საწინააღმდეგოდ... პროპაგანდისტები ცეცხლს ანთებდნენ რევოლუციონური იდეების ხალხში შეტანისათვის...

— მიტინგზე მოდიხარ?! — ჰკითხა ოტია ბერიშვილმა ქაიხოსრო ბარამიძეს.

— სად არის, ვეყო, მიტინგი?!

— ჩოხატაურში. თავკაცები იჭადაგებნენო. საინტერესო ამბავი იქნება.

— შორს კი არის, მაგრამ ამ სიბერის დროს გულში შხამად არ ჩავიჩენ ჩემს უძღურებას... ცხენზე შევეჯდები და უთუოდ წამოვალ.

ამბობენ მთელი ზემოგურია იქ იქებებო...

— წამოვალ, ჩემო ოტია, წამოვალ.

სოფელში ისმოდა სერიდან სერზე გადაძახილი და სანიშნო ყიყინა... ერთმანეთს ატყობინებდნენ მიტინგზე გამგზავრებას... სელმძღვანელები ცდილობდნენ მიტინგზე არავინ დაჰკლებოდა.

სოფელი სოფელს უერთდებოდა და „მარსელიოზას“ შეძახილით ჩოხატაურისაკენ მიიჩქაროდნენ.

— სამსონს გაუმარჯოს! — მიესალმენ გლეხები ბათომის ქარხნის მუშას. — როგორ მშვიდობით, როდის ჩამოსულხარ!

— ვისვენებ... — ღიმილით უპასუხა სამსონმა და ნაცნობ გლეხებს ხელი ჩამოართვა:

— რა დროს დასვენებაა, ვეყო, ქვეყანა არ ნახულ გასაქირშია...

— ქარხნები დაკეტეს და ჩვენც ძალაუნებურად ვისვენებთ, თორემ...

— ააა... აღბად იმიტომ ვხედავ ხშირად ქალაქის მუშებს სოფლებში. ქარხნები დაკეტეს?! ამ ელიოტმაც რომ მოუსჯა სურებიდან...

— დიდი უმუშევრობაა საერთოდ...

— ეხლა უნდა გადაწყდეს ქვეყნის ბედიღბალი და უმუშევრობა რალა გასაკვირია... ისე ურიგო საქმე კი არ არის ასეთ დროს ქალაქის მუშების სოფლებში ყოფნა... — დაიწყო ერთმა.

— გადახედული ხალხია... და სწორედ ზედგამოკრილი დრო არის...

უახლოვდებიან ჩოხატაურს...

ვებერთელა მინდორი სოფლებიდან ჩამოსულ ხალხით გაქედრდა. შვიდი ათასამდე ქალსა და კაცს მოუყრია თავი მიტინგზე. ათასხუთასამდე შეიარაღებული რაზმელები შერევიან ზღვა ხალხის ტალღებსა და თაკარს, სიტყვებს ჩველად დრებიან. დანარჩენები ზოგი სანადირო თოფებით, რევოლვერტებითა და შამაპაპურ ფისტოლებით შეიარაღებულია. ბევრია ჯოხებით და კეტებით ხელმომარჯვებული. ბობოქრობს ხალხი და საბოქაულოს წინ თავმოყრილ პოლიციელებს მიტინგზე დასწრება ვერ გაუბედავს.

შეშინებული ქუცურბეგი კაბინეტიდან ველარ გამოდის...

— ვილუბებით.— ოხრავს ქუცურბეგი და დაღვრემილ ურიადნიკს რჩევა დარიგებას სთხოვს.

— შეიარაღებული არიან... რას გავხდებით...— ოხვრითვე უპასუხებს ურიადნიკი და ღია ფანჯრიდან ხალხის მოძრაობას თვალს ადევნებს...

— ამისთანა სამსახურიც კი...— ჩაიჭნია ხელი ქუცურბეგმა და თვითონაც ფანჯარასთან მიდგა, — ჯარი უკან გაიწვიეს... აღიხანოვს გურიისი ყოფნა აუკრძალეს... ეხლა მობრძანდნენ და უსწინონ თავზეხელაღებულ ხალხის აგიტაციას... მე აქ რას გავხდები...

შუადღე წამოიხარა.

კასრაძემ მიტინგი გახსნილად დამოაცხადა.

ასწიეს დროშები და ზღვა ხალხის ტალღა ტაშის გრილმა შეარხია...

დროშები მოქარგულია მარქსის, ენგელსის და ლასალის სურათებით. ორ წითელ დროშაზე თავდაყირა დაუხატავთ ნიკოლოზ მეორისა და დედოფლის სურათები.

— ხელდაე მეფის კარიკატურას?! შეხედე... დედოფალიც... ალლაჰი!— წამოცდა ქუცურბეგს სამაჰმადიანოს მფარველის სახელი და შეცდომის გამოსასწორებლად პირჯვარი გამოისახა...

ტრიბუნის გარშემო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოგროვებულან. დღეს უნდა გადაწყდეს გურიის ბედობალი და ორატორები წინასწარ ნერვიულობენ... კომიტეტის წევრები თავმჯდომარის შესახებ თათბირობენ.

ბევრს ნიშნავს, თუ ვინ იქნება მიტინგის თავმჯდომარე...

ყველა პარტიები თავიანთ წარმომადგენლებს ასახელებენ.

სოციალდემოკრატებმაც ორი კანდიდატი წამოაყენა: ბოლშევიკი კასრაძე და ბათომის მენშევიკური ფრაქციის წევრი მუშა სამსონი.

კენჭის ყრის დროს უმრავლესობამ კასრაძისაკენ გადასწონა, მაგრამ ტრიბუნის მახლობლად შეიქმნა ჩოჩქოლი და გაურკვეველი წამოძახილები.

— ხელმეორედ უყარეთ კენჭი,

— სწორი არ არის.

— რა საჭიროა.— აჩოჩქოლდა ხალხი ერთბაშად.

თავმჯდომარის არჩევის პროცედურამ ერთ საათს გასტანა და ბოლოს ისევ მენშევიკებმა გაიყვანეს თავისი კანდიდატი.

სამსონმა მიტინგი გახსნილად დამოაცხადა.

ტრიბუნაზე მენშევიკების ლიდერი ლორთქიფანიძე გამოჩნდა.

ორატორმა ოდნავ შემკრთალი თვალი მოავლო ხალხის ტალღას და დინჯათ დაიწყო: ამხანაგებო! რუსეთის პროლეტარიატი და კერძოდ გუბრის გუბრეცობა, დღეს სდგას უდიდეს ამოცანის გადაჭრის წინაშე. რევოლუციონური მოძრაობა დღითი დღე იზრდება... მეფის აუტანელი რეჟიმი ხალხში ერთსულლოვან გამოძახილს პოულობს, არსებული მდგომარეობის გადალახვისა და თავისუფლების მოპოებისათვის... მაგრამ სწორედ აქ ისმება საკითხი, თუ როგორი საშუალებით შეგვიძლია ჩვენ უმტკივნელოდ მოვიპოვოთ ეს თავისუფლება და ამხედრებული მოსახლეობა სისხლის ღვარს აეაცდინოთ... პროლეტარიატი ღელავს, ამხანაგებო, ის სისხლის ღრავასაც არ დატრიალებს, იმდენად ძლიერია დღეს მისი თავგანწირვა, მაგრამ აქ არის სწორედ უდიდესი გამჭრიახობა საჭირო, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გავიღოთ, რაც შეიძლება შიშველი სისხლი დავდვაროთ და დასახულ მიზანს ბრძნული პოლიტიკის წარმოებით მივახწვიოთ. მართალია, ჩვენ ხალხს მოვეუწოდებთ შეიარაღებისაკენ, ჩვენი საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები დღეს შეიარაღებულნი არიან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შეტევებზე გადავდივართ, ისე როგორც ეს სურების ორგანიზაციას მოუვიდა. ჩვენ, ჩვენი შეიარაღებული რაზმებით ვეჩვენებით მთავრობას, დავარწმუნებთ მათ ჩვენს ძლიერებაში და თუ ვინცობაა პოლიცია და ჯანდარმერია თვითონ გადმოვა შეტევებზე, მაშინ ჩვენი რაზმების საშვალეებით ჩვენ შევძლებთ მოძალადეებზე გამკლავებასაც... აი, ამას ფიქრობდა ჩვენი ორგანიზაცია, როცა ხალხს შეიარაღებისკენ მოუწოდებდა...

— ტყუილია!

— მოლაღატრობაა! — წამოძახეს ორატორს ხალხიდან და მიტინგი შეიშემუნა.

— დიახ, ჩვენ მოვეუწოდებდით ხალხს შეიარაღებისკენ — განაგრძობდა ორატორი — არა იმისათვის, რომ შეტევებზე გადავსულიყავით და ისედაც განადგურებულ მშვიდობიან მოსახლეობაში სისხლის ღვარი დაგვეყენებია, როგორც ეს შევარდნაძის რაზმს მოუვიდა სურებში, არამედ თავდაცვისათვის...

— თუ გავველიტეს მერე თავდაცვას რალა აზრი აქვს...

— გაელეტა მაშინ უფრო მოსალოდნელია, როცა მტერს ყოველ ფეხის გადადგმაზე აღიზიანებ, და არა იმ დროს, როცა საქვეყნოდ თავი წყნარად გიკვირავს და...

— ცხვარივით ელოდები სამსხვერპლოზე მიტანას, არა? — განაგრძო ვილაცამ ხალხიდან და ორატორს დაბნეულობა დაეტყო გახშირებულ წამოძახილებით...

სამსონი აწყნარებს ხალხს და სთხოვს ყურთა სმენას, მაგრამ წამოძახილებები კიდევ უფრო ძლიერდება მიტინგის ყოველი მხრიდან და ორატორი ჩიხში ემწყვდევა.

ნახევარი საათი მოანდომა ორატორმა ტაქტიკის გარკვევის საკითხებს და შემდეგ სათათბიროში წარმომადგენელის არჩევის საკითხებზე გადავიდა.

— ჩვენ ავირჩევთ ჩვენს წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში, ვენ გავვზავნით სახალხო დეპუტატებს ხალხისვე ინტერესების დასაცველად და წორედ ეს იქნება დიდი მიღწევა მშრომელი ხალხისათვის...

— რალა გვიკვირს აწი...



— ავშენებულვართ და ეს არის, დეპუტატი თუ ავირჩიეთ.

— ვინ ჰკითხავს რამეს ჩვენს დეპუტატს?!

— ჰკითხავენ, ამხანაგებო, ანგარიშს გაუწიევენ... სიტყვისა და ქრების თავისუფლებას ბევრი რამ სარგებელი შეუძლია ხალხს მოუტანოს...

— ლაპარაკით რომ შენდებოდეს ქვეყანა... რაღა გვიქვირდა...

— დიახ, ხალხის წარმომადგენლები, თავისუფლად ილაპარაკებენ ხალხის გასაკირზე და აიძულებენ მთავრობას...

— რით აიძულებენ? ლაპარაკით?

— სიწყინარე, ამხანაგო!— გადასაძაბა მიტინგს თავმჯდომარემ და ორატორი ეხლა ისევ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის ტაქტიკის საკითხს დაუბრუნდა. ორატორი ხედავს რომ ხალხის დიდი უმრავლესობა, თვით ისინიც კი, რომელნიც მენშევიკური ფრაქციის წევრებად ითვლებიან და პირადი თუ სხვა განწყობილებებით მენშევიკებს უჭერენ მხარს, რევოლუციონურ ტაქტიკის საკითხებში, დღეს აშკარად საწინააღმდეგო სურვილს ამჟღავნებენ და „მშვიდობიანი“ პოლიტიკის წარმოების საწინააღმდეგოთ, წამოძახილებითაც კი უშლიან ხელს მენშევიკ ორატორს... ლორთქიფანიძე მენშევიკების ცნობილ ლიდერთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოში და მას აკვირვებს გურულ ამხანაგების მისდამი წინააღმდეგობა...

„გულიის ორგანიზაციას მენშევიკური ორგანიზაცია ერქვა და ეს რა ამგავია?“— ფიქრობს თავმჯდომარეც და ნაცნობ წირის წევრების წამოძახილებს განცვიფრებაში მოჰყავს...

ორატორმა დეპუტატის არჩევის და თავდაცვის პოლიტიკის წარმოების მოწოდებით დაასრულა საათნახევრიანი სიტყვა და ტრიბუნიდან ძირს ჩამოვიდა ტრიბუნა დაცალიერდა.

ხალხის გაცეცხებული თვალები ცალიერ ტრიბუნას მისჩერებია. ელოდებიან მორიგ ორატორს... ელოდებიან შეჯახებას ლორთქიფანიძის (ბევრისთვის მიუღებელ) სიტყვის საწინააღმდეგოდ.

ტრიბუნაზე საშუალო ტანის კაცი გამოჩნდა. ორატორმა არწივის თვალებით გადახედა ერთ მხარეს და ხელი მეფის კარიკატურით მოქარგულ დროში-საკენ გაიშვირა:

— ვინ არის ეს?— ქუხილით გადაძაბა მან ხალხს და შეუყვანებელი პაუზი სეტყვასავით წამოვიდა.:

— სისხლისშემელი.

— იმპერატორი.

— ხალხის მოსისხლე.

— რევოლუციის ჯალათი.

— უბადრუკი ქვეყნის მმართველი.

— კმარა!— შეაწყვეტინა ხალხს ორატორმა და შავი გრუზა თმა თითებით შეივარცხნა.— ვინ სთქვა, ამხანაგებო, რომ ხალხის მოსისხლე მტერი ხალხისავე ინტერესებს დაიცავსო?! სად გაგონილა რომ მონარქიულ წესწყობილებაში ხალხის დეპუტატები ჩაგრულთა ინტერესების დაცვას ახერხებდნენ?! რომელი იმპერატორი უწევდა ანგარიშს მშრომელი მოსახლეობის ოხერა-ყვენასს და სად ან როდის იძლეოდა რაიმე შეღავათებს?!



— ბიქოს! ხედავ საიდან დაიწყო?

— ვინ არის? — ეკითხებიან ერთმანეთს შორიდან მოსულები.

— კობას ეძახიან... ბოლშევიკების ლიდერია...

— აა, გამიგონია... ამას წინედ ხიდისთავშიც ყოფილა... ტყავი გაუძვრიდა სხვა პარტიების ორატორებისათვის... საინტერესოა.

ჩურჩული მიწყდა.

— ამხანაგებო! — იბრუნა პირი ორატორმა მიტინგის მეორე მხარეს და აღელვებული, მაგრამ დინჯი ხმით დაიწყო: მოთმინება დაკარგული რუსეთის პროლეტარიატი დღეს იბრძვის თავისუფლების მოპოებისათვის... საუკუნეების მანძილზე ჩაგრული, მუშები და გლეხები, დღეს ხმას იმაღლებენ მწაგვრელების წინააღმდეგ და იარაღით ხელში წაღკას უქადიან მეფის სასახლეებს-გრანდიოზული გაფიცვები პიტერსა და მოსკოვში, გაფიცვები ხარკოვსა და ბაქოში, ბათომში ჭიათურაში და ყველგან, ყველა სამრეწველო ცენტრებში, იმის მომასწავებელია, რომ გამოფხიზლებული პროლეტარიატი მხოლოდ ბრძოლისა და იარაღის საშუალებით აპირებს თავისუფლების მოპოებას და არა ისე „უმტკიენელოდ“ და „უსისხლოდ“, როგორც ეს წინა ორატორმა მოგახსენათ თავის „გაუწყინარ“ სიტყვაში... იქნება მართლა ზედმეტი იყოს აჯანყებისა და შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა? იქნება მართლაც „უსისხლოდ“ და უმტკიენელოდ შეიძლება თავისუფლების მოპოება და ჩვენ კეჟა დაგვარგეთ და მშვიდობიან მოსახლეობას, სისხლის ღვრისა და თავგანწირვისაკენ მოვუწოდებთ, აშკარათ ვერეკებით მათ სასაფლაოსაკენ?! ლორთქიფანიძემ აქ დიდ ხანს ილაპარაკა ამ საკითხის გარშემო, დაიმოწმა ლასალის და თითქო მარქსის აზრებიც, მაგრამ სინამდრილის გამოსარკვევათ ნება მიბოძეთ მარქსის სიტყვები მარქსის წიგნიდანვე წაგიკითხოთ და არა ისე ზეპირად, როგორც ეს ლორთქიფანიძემ მოგახსენათ. რას ამბობენ მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“, რომელიც შეუდარებელი პროგრამა არის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციისათვის? „კომუნისტებს ზედმეტად მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებები და ზრახვები. ისინი საჯაროდ აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წესწყობილებების ძალდატანებითი დამოხრის გზით. დეე, გაბატონებული კლასები შეძრწენ კომუნისტური რევოლუციის წინაშე“ ო... ამბობენ ისინი ლორთქიფანიძე კი რაღაც „უმტკიენელო“ ზღაპრების შესახებ გვესაუბრება, მაშინ რაღა ბედენა ყოფილა გენიალურ ბელადების ეს მოწოდება? თუ კი „უსისხლოდ“ და „უმტკიენელოდ“ შეიძლება თავისუფლების მოპოება, კომუნისტური რევოლუციის მოხდენა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მაშინ რატომ „არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებების ძალდატანებით დამოხრისაკენ“ მოგვიწოდებს ჩვენი უდიდესი მასწავლებელი? ვგონებ საკითხი ყველასათვის ნათელია და ამის უდავო დამადასტურებელია რუსეთის პროლეტარიატის დღევანდელი მდგომარეობა. ცხრა იანვრის სისხლის ღვრამ, ჩვენ ნათლად დაგვარწმუნა იმაში, თუ როგორ უმასპინძლდებიან მეფე და მეფის ჯალათები, უიარაღო მშვიდობიან ხალხს... პიტერის მუშეკმა ერთხელ სცადა „უსისხლო“ და „უმტკიენელოდ“ მოეპოებია თავისუფ-

ლგმა, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ მოტყუვდა ის თავის გუბერნატორს ვანზრაძესთან. რა სურს დღეს რუსეთის პროლეტარიატს? საით მიდიან დღეს ისინი? — უმჯობესია გურიის ამბებზე ილაპარაკო. — წამოიძახე ვიღაცამ ხალხიდან.

— გურიის ამბებზედაც მოგახსენებთ... ვანა გურიის მშრომელ გლეხობის ინტერესები რა იამე განახევებდა რუსეთის მშრომელი გლეხობისა და პროლეტარიატის საერთო ინტერესებიდან? ვანა გურიის მშრომელი ხალხის ინტერესები იგივე არ არის რაც მთელი მსოფლიო მშრომელების საერთო ინტერესები? განა მარტო გერმანელ ხალხისათვის იწერებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მარქსის „კომუნისტური მანიფესტი“ და მთლიანად მარქსისტული მოძღვრება? ასე საკითხის დასმა უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ამხანაგებო, რადგან კაპიტალისტური სისტემა ერთნაირად საძულველია, როგორც გურულებისათვის ისე მთლიანად ქართველი მშრომელი მოსახლეობისათვის. რუსებისათვის, გერმანელებისათვის, ფრანგებისათვის და საერთოდ მსოფლიო მუშათა კლასისათვის...

სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდის რუსეთის პროლეტარიატი და მისი უდიდესი მასწავლებელი ლენინი, როცა ამბობს რომ „მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს შეუძლია თავისუფლების მოპოება, რაც უფრო ჩქარა შეიარაღდება პროლეტარიატი, მით უფრო ჩქარა შესძლებს ის არსებულ წესწყობილებების დახობას“ ან კიდევ: „პოლიტიკური თავისუფლება და კლასობრივი ბრძოლის უდიდეს საკითხებს, საბოლოო ანგარიშში მხოლოდ ძალა სწყვეტს და ჩვენ გეპარტებს მოვამხადლოთ ორგანიზაციები ამ ძალის, არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითი გამოყენებისათვის“ო. რას ნიშნავს, ამხანაგებო, ეს თუ არა შეიარაღებულ აჯანყებისათვის მზადებას, მზადებას შეიარაღებულ გამოსვლებისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებული ძალით დაწყობისათვის? ვინ დასთმობს უბრძოლველად თავის პოზიციებს? ვინ მიანიჭებს ხალხს პოლიტიკურ თავისუფლებას თუ ძალით და იარაღის გამოყენებით მოსპობილი და გაცამტვერებული არ იქნება ის ხელისუფლება, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს დღეს რუსეთის მშრომელ მოსახლეობას? მეფე ვერ მოგვეცემს სახალხო დამფუძნებელ კრებას, მეფე ვერ მოსპობს თავისავე თვითმპყრობელობას, — ის არ იზამს ამას. ექვსი აგვისტოს მანიფესტი და კანტი-კუნტი შეპირებები „კონსტიტუციის“ შესახებ, დროებითი დათმობაა, მეფის ფარისევლური დათმობაა და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა ჩვენ ამ დათმობით ვისარგებლებთ, ჩვენ უარს არ ვიტყვით რომ ყვეს კაქალი გამოვტაცოთ — რათა ამავე კაქალით თავი გავუტეხოთ მას, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება, რომ ხალხი ვერ ენდობა მეფის დაპირებებს, ის მხოლოდ თავის თავს უნდა ენდოს, ის მხოლოდ საკუთარ ძალას უნდა დაეყრდნოს: ხალხის განთავისუფლება ხალხისვე ხელით უნდა მოხდეს და არა სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატებისა და ხმონების გაგზავნით... მხოლოდ დამზავრელთა ძვლებზე შეიძლება აშენდეს ხალხის განთავისუფლება..., მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეზოს ზიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა როცა იარაღ — ასხმული ხალხი, პროლეტარიატს გაიმძღვარებს წინ და აჯანყების დროშას ააფრიალებს. . ძღვეამოსილ აჯანყებას მთავრობის

დამარცხება მოპყვება... მაგრამ დამარცხებული მთავრობა ხშირად ამტკიცებს ფეხზე ჩვენშიაც შეიძლება ის ფეხზე ადგეს. ბნელი ძალები, რომელნიც აჯანყების დროს კუთხეებში მიიმალებიან, აჯანყების მეორე დღესვე გამოძვრებიან სოროებიდან და მთავრობის წამოყენებას მოინდომებენ, მაგრამ ხალხმა მაგრად უნდა იტყუროს ამ ბნელ ძალებს და მიწასთან გაასწოროს. ყველა ამისთვის კი საჭიროა შეიარაღებული მოსახლეობა, რევოლუციონურ არმიად გადაიქცეს და იარაღით ხელში დაიკვას მოპოებული თავისუფლება. ასეთია ამხანაგებო, ის გზა რომელსაც დღეს ადგია რუსეთის პროლეტარიატი და რომელ გზასაც უნდა გაჰყვეს გურიის რევოლუციონური მოსახლეობა... ზიზღი და მტრობა ყველა იმათ, ვინც პროლეტარიატის გზაზე არ შესდგება: ყოველი განზე გამდგარი საძაგლად ღალატობს რევოლუციას.

დღე ძლიერად დასქექოს მეხვა. დღე ძლიერად დაჰჭროლოს რევოლუციის ქარტეხილმა. გამარჯვების წამი მოახლოებულია და ჩვენც, გურული მშრომელი მოსახლეობა, აღტაცებით გავიმეორებთ რუსეთის პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგებს:

- ძირს თვითმპყრობელობა!
- ძირს სახელმწიფო სათათბირო...
- გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას...
- გაუმარჯოს რევოლუციონურ არმიას,
- გაუმარჯოს პროლეტარიატს.

ტაშის გრილობა დაფარა ორატორის ცხარე სიტყვა და უხარმახარი მიტინგი „გაუმარჯოს“ გამოძახილმა დააყრუა...

- რა ცეცხლი დაანთო ამ კურთხეულის შვილმა, ა?
- დიდი მომზადებულიც არის და ენამკრელიც ყოფილა...
- მოტრიალდა, ბიჭებო, საქმე. რას იტყვი?
- მოტრიალდა, გეტყვი მე! ხედავ ლორთქიფანიძეს როგორი სიმწრის ოფლი ჩამოდის.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ორატორები.

ყველა ცდილობს კობას წინააღმდეგ გალაშქრებას, შეტევაზე გადასვლის შეუძლებლობის დამცირებას... თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის უარყოფას. მაგრამ ხალხი...

ხალხი ბოძოქრობს შარახეტია ორატორების საპასუხოდ და ხშირად სტვენითა და ხელოვნური არეულობის შეტანით აიძულებენ მათ მიიტოვონ ტრიბუნა, საიდანაც ამ რამდენიმე წუთის წინად, ისმოდა კობას აღვზნებული მოწოდება რევოლუციონურ არმიების შემქნისა და შეიარაღებულ შეტევის წარმოების შესახებ.

— ზემოგურიას ორიათასამდე შეიარაღებული მებრძოლი ჰყავს.— ბრძღვიანავს ტრიბუნაზე დაოიკო შეგარდნაძე— ჩვენ ან გაგწყდებით, როგორც ერთი ან კიდევ არც ერთი ნაბიჯით არ ჩამოვრჩებით ჩვენს მოძმე ამხანაგებს, რომელნიც თავგამოდებით იბრძვიან რუსეთის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში... ან ჩვენ მოვსპობთ და გავანადგურებთ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხაკობის მოსისხლე მტებს, ან ჩვენს თავს მივიტანთ რევოლუციონურ სამ-

სხვერპლოზე, რომ მომავალში ჩენი სისხლი თავდები ვახდეს ჩაგროტო ხალხის უდავო გამარჯვების. ჩვენ შეიარაღებული ვართ... ჩვენ კიდევ უფრო შევიარაღდებით, რათა ერთხელ კიდევ დაეარწმუნოთ სისხლისმელი ~~გადასრულ~~ ჩვეო-ლუციონურ მოძრაობის ძლიერებაში. იცოდეს ყველამ, რომ ~~გადასრულ~~ ერთელი რაზმელები საბრძოლველად ხელში აღებულ იარაღს უქმად არ გააჩერებს და თუ ვინმე ისე გათავებდებოდა, რომ ასეთ გარდაშწყვეტ ბრძოლის მომენტში, მოთმინებასა და თავისუფლებას „უმტიკენლოდ“ მოპოებაზე დაგვიწყებს ლაპარაკს, ვფიცავარ აი ამ დროშას, ჩენი რისხვა მეხვიით დაატყდება მას თავზე... ჩვენ მხად ვართ თავგანწირულ ბრძოლისათვის და ვინც წინ გადაგველობება, ანგარიშს ტყვია გაასწორებს... ამხანაგო რაზმელებო! — მიუბრუნდა რაზმს შვევარდნაძე — თითო გასროლით შევფიცოთ ერთმანეთს, რომ ან გავწყდებით ან სისხლით მოვიპოებთ, ჩვენთვის სანეტარო თავისუფლებას...

შვევარდნაძემ შაშხანა გადმოიღო და ათასხუთასი თოფის ტუჩი აელვარდა მიტინგის თავზე...

— ჩენი დამარცხება წარმოუდგენელია...

— რა შეაჩერებს ამ ხალხის რისხვას...

ფიცი მიიღო შვევარდნაძემ და მიტინგმა ტაშის გრილით დაადასტურა შეიარაღებული გამოსვლის აუცილებლობა.

ლორთქიფანიძემ ხელმეორედ სცადა დაერწმუნებია მიტინგი თავისი აზრის სისწორეში, მაგრამ ბრძოლის გუნებაზე დამდგარ ხალხიდან, მენშევიკურ ფრაქციის წევრებამ მიჩნეულებამაც აღარ დაუჭირეს მხარი თავის მკერმეტყველ ორატორს და სიტყვის შესაწყვეტინებლად ერთხმად მარსელიოზა დასკვეტეს.

მიტინგის დასასრულს ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით საჯაროდ დახვრიტეს დროშები, რომელზედაც მეფისა და დედოფლის აყირავებული სურათები ეხატა და რაზმებამ დაწყობილნი სიმღერით გაემართენ თავიანთ სოფლებსაკენ.

ნ ა ს ა ქ ი რ ა ლ ი

შემოდგომის მზე ირიბად დაჰყურებს გურია-სამეგრელოს მიდამოებს. ბარში რთველმოსტუმრებული გლეხოზა, თვის ყანებს შესევია და ყოველდღიურად თვალს ხედება, ხეებზე ჩამოკიდებული ჩალის ახალი ზვინები.

მოსჩანს კალოები... მოსავლის ბარაქა და წლიური სარჩოს ერთად ერთი იმედი. საღამოს ჩაცვარულ კალოებში, რთვილით ხედება გათენებას და მთაბარი შეუმჩნეველად იძარცვება საზაფხულო სამოსელიდან... აკვიტებული ნელესრი შრილით აბრიალებს რთვილით შეტრუსულ ხის ფოთლებს და სოფლის პატარა ბიჭები „კახაკობია“ თამაშობენ, მოგროვებულ ფოთლებზე ცეცხლის წაკიდებით...

დღედა და ღამე გაუსწორებია სოფლებს: ცალკე რთველი და წლის სარჩოს მომარაგება, ცალკე საშვილიშვილო ბრძოლების ბედიბალი... მზადება, მოლოდინი...

საცაა ქვენაც ამოიკრება და მშვიდობით, შემოდგომის მთვარიანო ღამეებო! ნისლი და თოვლქუაპი დაისადგურებს ზღვის ახლო მდებარე ქვეყნებში... ამიტომაც იჭარიან, ტყავიდან ძვრებიან და... დასვენებაზე აღარ ფიქრობენ.

სიმიბდით სავესე ურმეზი განუწყვეტლივ მიჭრიალებენ სოფლის ორბობებე-
ში და ყურთასმენას ეკიდება მეხრეების მკახრე შემოძახილი...

— ყანების აღებას მაინც მოვასწრებდეთ.

— რაეა, ახალი იცი რამე თუ?..

— ჩოხატაურს დაცემიან, ორი სტრატეიკი მოუკლავთ... ქუცურბევი მძე-
ლად წაუყვანიათ...

— აბა, იწყება და ეს არის...

— ლადარია, რომ ამბობდა საყოველთაო გაფიცვები დაიწყებაო ალბათ ეს
არის... ცნობას მიიღებდენ და...

— ჩვენთვისაც უნდა ეცნობებიათ...

— გვაცნობებენ ნუ გენადვლება... ერთი დასტვენა და მორჩა, მთელი გუ-
რია ფეხზე დადგება. სამეგრელოშიც დიდი მზადებაა თურმე...

ამბობენ ლადარიამ ისე დაატრიალა საქმე, რომ სამეგრელო ეხლა გური-
ას არ ჩამოშორდებაო.

— მართალს ამბობ, თუ?!

— ასე ამბობენ... დიდი სამზადისია თურმე...

— ყოჩაღ ბიჭო! ახალგაზრდაა, მარა ვალესილი ხმალია...

— ჩვენი სერგოც ყოჩალია ნუ გენადვლება... ეს ქალაქის მუშები რომ
ისევე წავიდენ სოფლებიდან, ცოტათი, კი შეუშლის ხელს მუშაობას, მარა...

— ქალაქი და სოფელი ვინ გაარიგა... იქაც ჩვენი საერთო საქმე კეთდება
ისე კარგი კი იყო, მათე სოფლებში დარჩენა.

— ყველაფერი მზად არის, ეხლა იარაღი გადაჭრის საკითხს და რაზმების
ვატკაცობა...

— მართლა, ზემოგურიის რაზმის უფროსი ვინ იქნება? — კითხულობს ერთი.
შერვაშიძე დაუნიშნავთ კომიტეტის სხდომაზე. გამოცდილი აფიცურიაო.

— ბიჭო ვინ სთქვა მაგის გამოცდილება, კაცმა ჩაქურა ტანისამოსით
აფიცრობა მიიღო და „გამოცდილიაო“! შევარდნაძე?!

— შევარდნაძე თანაშემწეთ დაუნიშნავთ.

— კიდეე კარგი... თორემ... — დაშოშმინდენ ცოტათი მეხრეები და ბრა-
ზის ამოსაყრელად ბროწეულის სახრეები ხარჭებს გადაუტყლაშუნეს.

— ვითომ ლალატს გაბედავს?!

— არა, ხალხის ნდობას ბოროტად ვერ გამოიყენებს, მაგრამ სამხედრო
ცოდნა რომ არ გააჩნია... ლენინის სმა და ტოლუმბაშობა კი ვერ უშველის ყა-
ზახების ხმლის წინააღმდეგ...

— ო, რა გაძრომ-გამოძრობა შეუძლია... ვახსოვს რა დღეში იყო ამ რა-
მოდენიმე თვის წინად... ცოტა გაწყდა, კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს და
დაბე, დღეს რაზმის უფროსობაც კი ჩააბარეს...

— გაუმარჯვნიათ მენშევიკებს და ეს არის...

— ჰაი გიდი! — აქწევენ თავს მეხრეები და ისევ შერვაშიძეზე საუბრობენ.

— შტაბის შემადგენლობა ხო იცით!

— ვინ არიან, თუ ძმა ხარ?! — მოუთმენლად შეეკითხენ ოტიას მეხრეები.

— სამი მენშევიკია, ერთი ბოლშევიკი და ერთიც ესერი.

— ესერი, კალანდარიშვილი იქნება.

— ჰო, ნესტორა არის... კარგია, რომ საქმე წახდეს ცოტათი მაინც წაე-
ხმარება კასრამეს და... ხომ იცი ერთი კაცის ხმა ბერს ნიშნავს...
წვეტ მომენტში.

— ეჰ!

— რაზე ამოიხბრე, სერაფიონ!

— რალაც იმედი დაკარგული მაქვს და არ ვიცი...

— გულს ნუ გაიტებ ჩემო სერაფიონ. მომავალი წინ გვიძვეს, ნუ გე-
ნალელება.

— ქვეყნის სატირალს ცენტრადის მონაზონი სტიროდაო, ისე ხომ არ
გემართება შენ, სერაფიონ!

— რაც მოხდება, სოფელს გადახდება. ვნახოთ! — დაუმატა თავის
მხრივ ოტია.

— ვნახოთ, ჩემო ოტია მარა, რალაც მეჭოთირება შერვაშიძეების ხელით
მოპოვებული თავისუფლება... მამულების პატრონები გლეხების სასარგებლოდ,
როგორ იბრძოლებენ. ვერ წარმომიდგენია...

— არ იბრძოლებენ და ყველა ხომ არ გაეწყდებით პირველსავე შეტაკე-
ბაზე; თუ ეხლა დავმარცხდებით, ცოტათი კიდევ მოვლნიერდებით როდესმე
და აბა მაშინ უყურე, წარსულ შეცდომებზე დაშამათებულ ბუშებს და გლე-
ხებს... ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ...

* *

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებში, რომლის წინასწარი სამზადისი
დიდის წარმატებით ჩატარდა მთელს ამიერ-კავკასიაში, გურიაში ისე გაივსეს,
როგორც საყოველთაო აჯანყების დასაწყისი და მოთმინება დაკარგული გლე-
ხები ფეხზე დადგენ ღირსეული გამოძახილისათვის.

რთველი ჯერ არც კი მოეთავებიათ გურულებს... შინდერებში უპატრო-
ნოდ ეყარა სიმინდის კალოები, ქვევრი და საწნახელი მადლიან ხელს ელოდე-
ბოდა, მაგრამ...

მაგრამ გაისმა თუ არა ბრძოლის პირველი ყიჟინა, სიხარულით თავბრუ-
დახვეული გლეხები თავიანთ რაზმებში გაერთიანდნენ და იერიშით დაიძრნენ
ადმინისტრაციულ ცენტრებისაკენ.

ფეხზე დადგა გურიის მოსახლეობა. დიდ თუ პატარა რაზმებს აედგენა,
ზოგი სანადირო იარაღით, ზოგი უიარაღოთ და უცებ დაცალიერდა სოფლები
მუშა—ხელისაგან.

გურიას არც სამეგრელო ჩამორჩა.

სამეგრელოს მიჰყვა იმერეთი და შორეული სვანეთიც კი... რომელნიც
დღეს ხვალ, ბარში ჩასასვლელ გზის დაკეტვის მოლოდინში იყვნენ სუსხიანი
ზამთრის მოახლოების გამო, მაგრამ ბრძოლის საერთო გამოძახილს უკან არ
ჩამორჩნენ და ამათაც ხმა აიმაღლეს მოძალადე მთავრობის წინააღმდეგ.

ყველა სოფლებში დიდის სიამაყით ააფრიალა ბრძოლის წითელი დროშა და
რაზმელებმა ერთხელ კიდევ შეფიცეს ერთმანეთს „ან სიკვდილი, ან გამარჯვე-
ბაო“.

ოზურგეთის პოლიციამ ცნობა მიიღო ჩოხატაურის საბოკაულოზე თავდასხმისა და ბოკაულ ქუჩურბეგის მიქვლად გატაცების შესახებ თუ არა, მაზრის, პოლკოვნიკი ლაზარენკო, დარაჯებითა და ყაზახების ერთი ასეული დაიძრა ჩოხატაურისაკენ.

მართალია დიქტატორი აღიზანოვი, როგორც იქნა თავიდან ზომიერეს გურულებმა, მაგრამ ყაზახების ობტში მაინც ვერ ამოვიდნენ და ეხლა თვით მაზრის უფროსი მოუძლოდა წინ მთავრობის ჯარსა და პოლიციას...

ყაზახებს ისევ გრომოვი ხელმძღვანელობდა. შევარდნაძის სისხლი ისევ აწვალელებდა თავზე ხელაღებულ შავრახმელებს და სამი სასტიკი მარცხის შემდეგ მარცხენა ხელგამზმარი აფიცერი მაინც არ ცხრებოდა შევარდნაძეზე ჯავრის ამოსაყრელად.

ჩოხატაური ცალიერი დაუხედათ.

— თვალთმაქცობენ თუ რა ამბავია? — დაიღრიალა მაზრის უფროსმა ლაზარენკომ, როცა მას მხვერავებმა ასეთი ცნობა მიუტანეს... განრისხდა გრომოვიც, მაგრამ რაკი წინააღმდეგობას არაფერ უწყევდა, საფიქრებელში ჩაეარდნილი მაზრის უფროსი ოზურგეთისაკენ გამოტრიალდა.

ღამდებოდა.

ჯარმა თამამად გაიარა ნაგომრის ქალები.

უპატრონო კალოებს ყაზახებმა ცხენები მიუსიეს, დაისვენეს და ისევ გზა განაგრძეს, ნასაკირალის აღმართს მიუახლოვდნენ თუ არა მოულოდნელად აქუხდა ხელბომბები და ბურჭებიდან წამოვიდა ტყვიის ხოშკაკალი.

ყაზახებმა დაინახეს რომ გარშემორტყმული არიან გურულებით და შებრძოლებაზე უარი განაცხადეს...

სროლა მიწყნარდა.

ყაზახები შიშით ხმას არ იღებდნენ და ყოველ წუთში ელოდნენ აღსასრულის მოახლოებას...

ნასაკირალის მალლობზე შტაბის სხდომა მიმდინარეობდა. რაზმები ვერ ბედავდნენ შტაბის უნებართვით შეტევაზე გადასვლას და ბრაზით კბილებს აჭრიებდნენ.

შტაბი კი საომარ განკარგულებას აგვიანებდა...

შოთმინება დაჰკარგეს რაზმელებმა.

ერთმა ველარ მოითმინა და მთვარის შუქზე ყაზახის ჩრდილი მიზანში ამოიღო, — ესროლა და... Гочихи!.. — მოისმა ყაზახის ბანაკიდან. მიბაძვა ვერაფერს გაბედა და კენტი ტყვია წივილ-კივილით ჩაიძირა ახმაურებულ ბანგის ხეობაში.

— გადავიდეთ შეტევაზე! — დაჯინებით მოითხოვდა შტაბში კასრადე მაგრამ...

— მოითმინეთ... ვნახოთ რა ცნობას მივიღებთ ცენტრიდან — აჩერებდნენ შტაბის დანარჩენი წევრები ბრძოლის გუნებაზე დამდგარ კასრადეს.

ველარც შევარდნაძე ისვენებდა ერთ ადგილას. ხან შტაბში აირბენდა...

ხან რაზმს დაუბრუნდებოდა, ოხრავდა, გმინავდა და გაჩენის დღეს იწყებოდა შტაბზე მორჩილების გამოცხადებისათვის, მაგრამ ეხლა უკვე გვიანლა იყო.

აჯანყებულთა ბედნიერებას სამხედრო შტაბი ხელმძღვანელობდა და ყოველი რაზმელი უსიტყვოდ ასრულებდა უმაღლეს ინსტანციის ყოველ განკარგულებას.

შერვაშიძესაც სწორედ ეს უნდოდა.

განკარგულებული

ის მართალია მიემხრო ახალთაობას, რაზმის ხელმძღვანელობაშიც მუშაობდა, მაგრამ... „თავი რაზე უნდა შეეკავა ყაზახებსო“.— ფიქრობდა გულში და შტაბის უმოქმედობას ღიღ სიბრძნით აცხადებდა.

გათენდა მეორე დილა.

ცენტრიდან ცნობები იგვიანებს.

ყაზახები ხომ სრულიად მოწყვეტილნი არიან სამაზრო ცენტრს და ხელისუფლებას...

ნასაკირალის ამბები ელვის სისწრაფით მოიღო მთელს საქართველოს და ლადარიამ მიიღო თუ არა ცნობა, ნასაკირალზე ყაზახების გავზავნის შესახებ, ორმოცდაათი რაზმელით თვითონაც დაიძრა ნასაკირალისაკენ.

მას გააჟვე ნათელაც... არც, ხეერწინამ, არც მუჭარამ არ იმოქმედა ნათელას ამოჩემებაზე და, ბოლოს ბეგიც დათანხმდა, ნათელაც წაეყვანა გურიაში საბრძოლველად.

ორი დღე და ღამე იდგენ რაზმელები ნასაკირალის მაღლობებზე და შტაბის განკარგულებას ელოდებოდნენ.

დაცალიერებულნი სამაზრო ცენტრი გამოურკვეველ მდგომარეობაში მოიქცა. მაზრის უფროსი და ყაზახების ასეული, რაზმელების ტყვეობაში აღმოჩნდნენ და მაზრის მოხელეებმა გვიან მოიფიქრეს მიშველი ჯარის გამოძახება.

ლადარია ნასაკირალს უახლოვდება.

მას აკვირებს ირგვლივ გამეფებული სიწყნარე და ხშირად თავისთავს ეკითხება:

— ხომ არ მოეტყუედი? ღალატი არ იყოს... აბა რას ნიშნავს ასეთი სიწყნარე?

არსაიდან ჩქამი.

სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, მაგრამ მანიფესტის შესახებ, არც გურულებმა და არც სამაზრო პოლიციამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ.

ჯარების მოშველების თხოვნაზე ფიცხლავ შეიძრა მეფის მოადგილის კანცელარია და მიუხედავად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სტაროსელსკის დაჟინებით მოთხოვნისა, არ გაეგზავნათ გურიაში დამსჯელი რაზმები, სამასი ყაზახი აფრინეს ტყვეობაში მოქცეულ ლაზარენკოს დასახმარებლად და ახალი ინსტრუქციებიც გაუგზავნეს სამაზრო ხელისუფლებას, აჯანყებულთა დმი მოპყრობის შესახებ...

ლადარიას რაზმით გამოჩენამ ალტაცება გამოიწვია რაზმელების ერთ ნაწილში, მაგრამ როცა ჯერი მიღდა საომარ მოქმედების დაწყებაზე, რაზმი ორ ბანაკად გაიყო...

— გამიშვით და მარტო ჩემი რაზმით შევებრძოლები...— ელარ იმაგრებდა თავს ლაკამამოდებული შევარდნაძე, მაგრამ პასუხად „მოიხიმიე“-ს მეთი არაფერი ესმოდა.

კასრადე იძულებული გახდა შტაბის შემადგენლობიდან გამოსულიყო.

ლადარია რომ დაინახა ცოტათი გამხიარულდა, მაგრამ დამარცხების აზრდილი უკვე დაჰქროდა ნასაკირალის მიდამოებში და იმედმყოფი ყაზახები, დამხმარეთა გამოჩენის მოლოდინში მოთმინებას კარგავდნენ.

რაზმელებმა ცნობა მიიღეს, რომ კავკასიის მთაგრობა ხელახლა ემზადებო, და ალიხანოვის რაზმის გურიაში გასამგზავრებლად და ეს ამბავი ლახვარით მოხვდა გულზე, ნასაკირალზე, უმოქმედოთ დაბანაკებულ რაზმელებს.

თენდება.

რაზმელებს ცეცხლი გაუჩაღებია ნასაკირალის მალლობზე და შტაბის უმოქმედობაზე საყვედურობენ.

თავიერი ჩამოსტირის კასრადესა და ლადარიისაც.

შევარდნადე შტაბის უმოქმედობით რისხევას ველარ იმავრებს და რალაცას გიჟივით ბოდავს.

— მე მივდივარ ამხანაგებო!—დაარღვია ბოლოს მან სიჩუმე და ფეხზე წამოდგა.—ვინც ვაქცაცია და სისხლი ერჩის მე გამომყვება.

— მოვდივარ.

— მოვდივარ.

— მოვდივარ—ახმაურდა მალლობი, სადაც შევარდნადის რაზმი ისვენებდა და შტაბი გამოუალ მდგომარეობაში მოექცა.

— ან გაგვიშვით, ან აქვე დაგვბოცეთ, მოლალატებო!—დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა შევარდნადემ და შტაბის ერთ წევრს გახამებულ პერანგის საყელოში წვდა.—წაგახრჩობ კატასავით... გამყიდველებო!

— მოითმინეთ, ამხანაგო დათიკო! თუ ყაზახები შეტევაზე გადმოვლენ თავდაცვა ვაწარმოოთ, თუ არადა.. რაზე დგებით მშვიდობიანი ხალხის ცოდვაში?

— ცოდვა და მადლი.. გამყიდველებო!—ქვლავ აღრიალდა შევარდნადე და ფერდაკარგული განზე გავიდა.—ვინ მოდის ჩემთან!—მიმართა მან შეიარაღებულ რაზმელებს.

რაზმელებში ჩიჩქოლი შეიქნა.

სამასი რაზმელი ამოუდგა გვერდში შევარდნადეს..

ყაზახებმა ყურთა სმენა გაამახვილეს და უცებ საიდლანაც წამოვიდა ტყვია სეტყვისაგოთ.

— ეხლაც მოვითმინოთ. ო, თქვენი...—შეიგინა შევარდნადემ და მუხის გადასაჭერს ამოეფარა.

უკვე კარვა გათენებულიყო.

— ჯარს ხედავთ?—ოზურგეთისკენ გაიშვირა ხელი კოწია ტრაპაიძემ და სწორედ ამ დროს შარაზე მომავალი სამასი ყაზახი ყუჩინითა და ხმლების ტრიალით დაიძრნ ნასაკირალის მალლობისაკენ..

— ეხლა რას შვებით? კიდევ ველოდოთ?!

— ყველამ თავს უშველეთ... ეცადეთ თავი არ შეაკლათ—გააფრთხილა შტაბის წევრმა რაზმელები და თვითონ გვიმრაში მიიმალა.

ლაზარენკომ, როცა იგრძნო მაშველი ჯარის მოახლოებება, ხელი გამოიღო და გრომოვს უბრძანა „ცეცხლი“ გახსენიო.

გახშირდა სროლა.

ნასაკირალი. ცეცხლის ალში გაეხვია.

იწვის შემოდგომის წამხმარი გვიმრა და რაზმელები უმცროსი მოძრაობის ხმებით.

—ოკულებო, ცეცხლი!— გრგვინავს შევარდნაძე და ნასაკირალის მალეობებს ამავრებს

გრომოვი შეტევაზე გადავიდა.

დასავლეთიდან სამასი ყაზახი მოადგა ნასაკირალს და მალეობზე ვამავრებულმა შევარდნაძემ ნელნელა უკან დაიხია.

—ქერიმი! ვადმოდი ჩემთან!— ბრძანების კილოთი მიმართა შევარდნაძემ შერვაშიძის პირად მცველს, ოსმალოს, მაგრამ ამ დროს მოცვის ჯაგუბში თავი ამოჰყო გრომოვმა და შევარდნაძის სახელდახელო საფარი ტყვიამამტკერა..

—ისევ შენ, გრომოვ!— დაიგრგვინა შევარდნაძემ და რაზმს დასკყივლა, მარჯვნივ ესროლეთო.

გახურდა სროლა.

შევარდნაძის ჯგუფი განსაცდელშია. ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყა გრომოვმა შევარდნაძეს და ის იყო ხელდახელ მისვლას აპირებდა, რომ საიდანლაც გაჩნდა ლადარია თავისი რაზმით და ჯიქურ ვადმოსული გრომოვი განუწყვეტილი ცეცხლით შეაჩერა.

გრომოვი შედგა.

თვალი გადაავლო მოტვლებილ გორაკს საიდანაც ლადარიას რაზმი ისროდა და ერთბაშად გაშეშდა.

—ქალი. ქალი და რაზმელი? დახე როგორ ისერის ის ეშმაკის კერძი!— გრომოვი ნათელას დააკვირდა. ბინოკლი ზოიმარჯვა და...— ა, ნათელა! ლადარია..— წაილულულა გრომოვმა თავისთვის.

—აქი დაცოლშვილდა და სამეგრელოში გაიბარაო...—გაივლო გულში მან და ნათელასთან შეხვედრის სცენა გაახსენდა.

ნათელამ თვალი მოჰკრა ქერა აფიცერს და ზუსტი მიზნით საფარი აუჭოთა.

—Ах ты, каналья!— აბლუტუნდა დამფრთხალი გრომოვი—Я те покажу, дрянь!— განმეცებულმა გრომოვმა ცაცია ხელით ნაგანი იძრო და ნათელას საფარს დაუმიზნა.

—აღლაპა!— დაიღრიალა მახლობელ ბექობიდან შერვაშიძის რაზმიდან შემთხვევით უკან ჩამორჩენილმა ოსმალომ და, როცი გრომოვმა სასხლეტეს გამოჰტკრა, სროლაში ნაცადმა ოსმალომ, თურქული ფინდიხი გრომოვს გულში ჩააქედა.

გრომოვი ჩაიკეცა.

ოსმალოს დაძახილზე ლადარიამ წამოსწია თავი საფარიდან და სწორედ ამ დროს დაჭრილი ნათელა ფეხქვეშ გაუგორდა.

—ბეგი, მიშველე!— ეხლა მოასწრო ნათელამ და გული შეუღონდა.

—ნათელა! ნათელა!— კანკალით მივარდა ბეგი ნათელას და კრილობა გაუსინჯა.

დაიბნა ლადარია.



აღარ იცის, როგორ იმოქმედოს...

აქედან ყაზახები უტყევენ ბარიკადებს... აქ კი დაჭრილი ნათელა და... განსაცდელში ჩაგარდნილი შეგარდნაძე.

გრომოვის ასეული დაფრთბა წინამძღოლის დაღუპვაზე დასტურდება. უკრინით მიაშვირა უკუქცეულ ყაზახების ასეულს... დროიხელთა შეგარდნაძე-მაც... აქა იქ ვაფანტული რაზმელები სროლით ერთმანეთს მიუხალოვდნენ... სროლევითვე გადირბინეს შქერიითა და მცენარით დაფარული მაღლობები და განკერძოვებულ ზეგანზე დაბანაკდნენ.

შერვაშიძის რაზმი აღარსად მოსჩანდა.

მიწყნარდა სროლა. ყაზახებმა იერიში შეაჩერეს.

რაზმელებმა ადგილი კიდევ მოინაცვლეს.. სერებზე მზვერაგები დააყენეს და მთელი დღის უკმელებმა საგზლები გაშალეს.

— დათუნა სად არის? — იკითხა შეგარდნაძემ

— აქა ვარ! — გამოეხმაურა რაზმის უეროსს დათუნა დოლიძე, რომელსაც ხნარკეებში გადმორბენისას შარავალი გახეზოდა და გვიმრაში ჩაცუცქული გვირისტი ერთობოდა...

— გოჩა ურიდია?!

— აქა ვარ! — ხმა მისცა ურიდიამაც.

— ხოსია არა სჩანს აზხანაგებო! — წამოიძახა ელაშაც.

— დაზვერედ ბრძოლის ველი და...

— ბუვი სად არის, გეტყვი მე! — გამოჩნდა მაღლობზე გაფითრებული ხოსია.

— ბეგლარ... ნათელა... — შეტრიალდნენ უცებ რაზმელები და ლადარისას საფარისაკენ გაეშურნენ.

— ვგონებ დავიღუპე, გეტყვი მე!

— რა იყო ხოსია რამ შეგაწუხა.

— ნათელა მკედარი უნდა იყოს... თვალი მოგკარი... იმ ძალთაპირ გრომოვის საფარს უშენდა ტყვიას და... ვაიზე დაო!

აგერ ბეგლარის საფარი.

— ბეგლარ — გადასძახეს ზევიდან რაზმელებმა და, როცა პასუხათ ბეგის ხმა მოესმათ, ანგარიშ მიუცემლად თავქვე დაექანენ..

ბეგი იდგა გაშეშებული და გონს მოსულ ნათელას დაჰყურებდა... ნათელა მწარედ კენესოდა და წამდაუწუმ წყალს მოითხოვდა

— წაეიყვანოთ, ბეგლარ!

— ნათელა... როგორ ხარ, გეტყვი მე! — ხოსიას ცრემლებით ამოვესო გაროხი თვალები...

— ხოსია... წყალი... ხოსია... წყურვილით ვკვდები...

— შიმიედ არის დაჭრილი?! — ჩუმად იკითხა ხოსიამ.

— საშიში არადერია, მაგრამ... იოდით დაეთუთქე და ტკივილებს გრძნობს...

— წაეიყვანოთ, გეტყვი მე! — ბეგი და ხოსია ნათელას შხრებში ამოუდგნენ და რაზმის ბანაკისაკენ წაიყვანეს...

— ელაშაც მკედარი გდია, ბიჭებო. ვნახოთ ვინ არის...

რაზმელები მიცვინდენ მიწაში თავჩარგულ გეაშს... გადმოაბრუნეს/და...
— ილიკო... ილიკო ტოროტაძე...

— ეჭ! — ყრუდ ამოიგმინა ლადარიამ და ნათელას გაღმევი...
— საცოდავი ილიკო... — ხოსიას ცრემლები წასკდა.

— კმარა, ხოსია, უსისხლოთ და უმსხვერპლოდ მენშევიკები ფეკრობენ თავისუფლების მოპოებას... არაფერია... ჩვენი წილბვედრი ბარიკადებზე სიკვდილია და არა ნაცარში გდება... წამოასვენეთ, ამხანაგებო! მოგროვდენ რაზმელები.

შევარდნაძე ცრემლებს ველარ იმაგრებს, მაგრამ თავი მაგრად უჭირავს და ვანგებ რისხვით შეჭყურებს დანაკლისზე მოწუწუნე რაზმელებს.

რაზმელებს მოჰყავთ დაჭრილები და დახოცილთა გვამებსაც მოასვენებენ.

— სერგო სად არის?

— ბიჭო! სერგო! — დაფაცურდენ რაზმელები და ბრძოლის ველს დაუბრუნდენ...

წიფლარში ხმაურობა მოისმა.

ტყეში შეიჭრენ რაზმელები.

— გმადლობთ, ქერიმ. ძალღის ნაკბენივით დაგიმახსოვრებ ამ პატივის ცემას. — ისმოდა კასრადის ნაწყვეტებად ნასროლი სიტყვები.

დაჭრილი კასრადე თოფზე დაბჯენილი მოაბიჯებდა და მხარში ქერიმი მოჰყვებოდა.

— სერგო!.. როგორ ხარ, სერგო — მისცივიდენ კასრადეს რაზმელები და ქერიმს ღიმილით გადახედეს.

— ცოცხალი ვარ... ბევრი დავკარგეთ? — ეხლა კასრადე შეეკითხა რაზმელებს.

— ტოროტაძე მოგვიყვლეს ...

— ოჰ! — ამოიოხრა მწარედ კასრადემ — სხვები?

— ნათელა დაჭრილია...

— ექვსი რაზმელი მკვდარი, სამი დაჭრილი და... დავეძებთ კიდევ...

კასრადე მოიღრუბლა. თოფზე მძიმედ დაეყრდნო და უღვაშები ზიზღით შეათავაშა. შტაბის მოქმედება თუ მოაგონდა ამ დროს კასრადეს...

— საზიზღრები! ესეც „მოთმინებისა“ და უმტკივნელო ბრძოლის შედეგი...

— სერგო, როგორ ხარ? — შემოხვდა შევარდნაძე დაჭრილ კასრადეს და მხარში ამოუდგა.

— შევცდილთ... აღრევე უნდა გამოგველო ხელი და... დავაშავეთ...

— მე კი ვამბობდი, მაგრამ... ეჭ, არა უშავს რა... გაკვეთილად გამოგვადგება...

— გვარამაძე მოუკლავთ. — მოიტანა ცნობა რაზმელმა.

— ?!

— გვარამაძე? ალბათ შეცდომით თუ შემოაკლდათ. — ჩაიქნია ხელი კასრადემ

— შარაზე გდია. თავი აქვს გაჩხილი. ალბათ ყაზახებს თუ შეეფეთა.

— საცოდავი!... წაილულულა თავისთვის კასრადემ და გვარამაძე წამოწვა.

— არ დატოვოთ... შვედარი თუ ცოცხალი თავიანთ ოჯახებს უნდა დაუბრუნოთ ყოველი რაზმელთაგანი...— მტკიცეთ განაცხადა კასრაძემ და სხვებსაც გადახედა.

გაქცეულნი
გინგალოცოვნა

— გასწით ამხანაგებო!

სალამო მოახლოვდა.

რახანია ერთად მოგროვდნენ ბრძოლის ველზე გაფანტული რაზმელები... ერთმანეთს გადარჩენა მიულოცეს, დაკარგულები მოისამძიმრეს და ნასაკირალიდან გასვლის გეგმის შემუშავებას შეუდგნენ.

— გავმაგრდეთ ჩოხატაურში... რაზმის ნაწილი სურბეში გავამაგროთ,— იყო რაზმის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

— შერვაშიძის რაზმი?

— ნასაკირალიდან ჯერ არ გასულა... აღბად დალამებას თუ ელოდება... მოველაპარაკოდ, თუ დავეთანხმდება, ერთად ემოქმედოთ, თუ არა... და ჩვენ ხომ ერთი აზრისა ვართ... სანამ ახალი რამ გამოირკვეოდეს...

— გავგზავნოთ სამი კაცი და ყველაფერი დაწვრილებით გამოვარკვიოთ,— შეიტანა კასრაძემ წინადადება და თათბირი განაგრძო.

* *

დალამდა.

შერვაშიძის რაზმი შეერთდა შვეარდნაძისას. შერვაშიძემ თანხმობა განაცხადა ახალი ინსტრუქციების მიღებამდე ერთად ემოქმედათ და ჩოხატაურის რაიონი გაემაგრებიათ.

გზადაგზა შტაბის წევრებიც შეუერთდნენ რაზმელებს და ახლა იქ გაიმართა ცხარე კამათი შტაბის გულგრილობის შესახებ.

შვეარდნაძე უკმაყოფილო იყო შტაბის მოქმედებით და ნასაკირალის დამარცხებასაც შტაბს მიაწერდა.

— იოლად გადავრჩით. სისხლის ღვრას ავცდით და განა ეს დასაგმობია?— ცხარობდნენ მენშევიკები.— მანიფესტის ამბავი ხომ შეიტყვეთ?!

— მანიფესტი... მანიფესტი დროებითი მანევრია და სხვა არაფერია!— არ ცხრებოდა კასრაძე და კამათი ისევ გრძელდებოდა.

მთელ-ღამე იარეს რაზმელებმა.

შვეარდნაძის რაზმის გადაწყვეტილების თანახმად, ჩოხატაური გავამაგრეს... რაზმის ნაწილი სურბეში გავგზავნეს და შთელი მოსახლეობა ფეხზე დააყენეს.

გაზეთებს ახალ-ახალი ცნობები მიჰქონდა ნასაკირალის ამბების შესახებ და მოსახლეობა ორ მძლავრ ბანაკათ იყოფოდა

ლადარიამ ნათელა, ხოსიას ოჯახში დააწვინა, ექიმი მიუჩნდა და თვითონ თავისი რაზმით სამეგრელოში დაბრუნება გადასწყვიტა.

საოცარი ამბები ხდებოდა სამეგრელოშიც... ამიტომ... ლადარიას გული აღარ უდგებოდა გურიის და სამეგრელოსკენ მიიწევდა.

— წადი, თუ საჭირო დავრჩეთ, გვაცნობე და ორ დღეში იქ გავჩნდებით— ამ სიტყვებით გამოეთხოვა შვეარდნაძე ლადარიას და გამარჯვება უსურვა..

ეხლა ყველგან ჩვიდმეტი „ოქტომბრის მანიფესტზე“ ლაპარაკობდნენ. ყველგან იმართებოდა მიტინგები, და კრებები.

მთავრობას ჯერ კიდევ, ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული.

მენშევიკებს „ოქტომბრის მანიფესტი“ უკვე დიდ რევოლუციონერ მონაპოვრად მიაჩნდათ და ბოიკოტის მოხსნის სასარგებლოდ ეწეოდნენ. ამ იყო დრო, როცა ჩვენ მხარს ვუჭერდით ბოიკოტის განმარტებებს — ამბობდნენ ისინი. — დღეს ჩვენ წელში გავტეხეთ მთავრობის რეაქცია და თავისუფლება მოვიპოვეთ, ბოიკოტის ძალაში დატოვება კი ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, გვაიძულებს მთავრობის როლში გამოვიდეთ, რითაც დავკარგავთ მთავრობის თავისუფალ კრიტიკის საშუალებას, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ მოპოებული თავისუფლება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რომ მანიფესტით გათვალისწინებული თავისუფლება ხალხს დავეუკარგოთ... თუ მანიფესტი ძალაში შევა, ჩვენ დღესვე უნდა მოვხსნათ მთავრობის ბოიკოტი და შევეცადოთ ხალხისა და მთავრობის ურთიერთს მორიგებას..

ტრიბუნაზე მენშევიკებს სცვლიდნენ ბოლშევიკი ორატორები რომელნიც ხალხს განუმარტავდნენ მანიფესტის არარაობას, რომ მანიფესტი არის დროებით მანევრი, რათა მთავრობამ ხელი მოითხოოს და კიდევ უფრო მაგრად გაიდგას ფესვები ამმოხეზულ ხალხის შესაფერებლად, მაგრამ...

მაგრამ მენშევიკური ტაქტიკა თანდათან მეტ გამომხმაურებას პოულობდა მოსახლეობაში და ზოგიერთ სოფლებში ორგანიზაციები პირდაპირ ჰკიცხავდნენ ბოიკოტის იმთავიდანვე გამოცხადებას და ცალკე ხალხისა და ცალკე მთავრობის წინაშე ბოდიშობდნენ, რომ მათ ასეთი სათაქილო ნაბიჯი გადადგეს...

რაზმელები იდგნენ უმოქმედოთ და მიტინგების „თამაშით“ ერთობოდნენ ჩოხატაურის რაიონი სრულადად მოწყვეტილი იყო სამაზრო ცენტრიდან და მთელი ორი თვის განმავლობაში ხალხი თვითონ განაგებდა კუთხის ბედობლას...

მაზრაში კი...

ტელეგრაფს ახალბალი ცნობები მოჰქონდა ცენტრიდან. გურულებისადმი ტაქტიკურად მოპყრობის შესახებ. ეძებდნენ გრომოვის შემცვლელ ჯალათს. გამოიხდა ჯალათიც და „თავისუფლების“ რთველით წახალისებულ გურულებს. დამსჯელი ექსპედიცია ესტუმრა პოლკოვნიკ კრილოვის მეთაურობით.

„ცინცხლითა და მახვილითა“

გურულები გაიტაცა მანიფესტით „მოპოებულმა“ თავისუფლებამ. მთავრობას ბოიკოტი მოხსნეს და ეხლა მენშევიკების პროპაგანდა-აგიტაციით წითელი რაზმების დაშლის სამზადისს შეუდგნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა, ზოგიერთი სოფლები იარაღის შეტენასა და შეიარაღების გაფართოებაზე ფიქრობდნენ... ყიდულობდნენ ზემჩუმად იარაღებს და ფულებსაც კი აგროვებდნენ საზღვარგარეთიდან იარაღის შემოსატანად.

ასეთივე მდგომარეობა იყო სამეგრელოში. მეგრელებმა უკვე მოახერხეს სამასი შევიცარული თოფის შეძენა და ეხლა იარაღის ახალი პარტიის გამოწერაზე ოცნებობდნენ... კომიტეტებში კი, მენშევიკები იარაღის დაყრასა და მთავრობისადმი სრულ მორჩილებას ქადაგებდნენ.

ხალხი დაიბნა.

ბოლოს გურიის კომიტეტმა წინადადება მისცა რაიონულ ორგანიზაციებს დაეარსებინათ საარჩევნო ბიუროები და მოუხედავოდ იმისა, რომ ამ რამოდენიმე თვის წინად უარყოფილ იქნა წინადადება სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების შესახებ. ხელახლა წამოაყენეს ეს საკითხი შემსწავლელმა და ძირითადი ორგანიზაციები ზევიდან აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

ხალხში უკმაყოფილება იზრდებოდა.

ზოგი ბრძოლისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას, ზოგი კიდევ სრული განიარაღებისა და მორჩილებისაკენ.

შევარდნაძის რაზმი თანდათან შეთხელდა... იარაღი ჯერჯერობით არც შერვაშიძის რაზმს დაეყარა, მაგრამ კომიტეტის პირველსავე დამახილზე ისინი მზად იყვნენ განიარაღებისათვის...

დამარცხების ამბები მოდიოდა ცენტრიდანაც. ეს კიდევ უფრო უწყობდა ხელს ბრძოლის უნარიანობის დაცემას.

იღვენ და ელოდენ...

ელოდენ, მაგრამ რით უნდა დასრულებულიყო ეს მოლოდინი გადაჭრით არავინ იცოდა. შევარდნაძე უკვე გულამრეზილი იყო თავის რაზმში და როცა შეატყო, რომ რაზმს მებრძოლები ყოველდღე აკლდებოდა. ხელჩაქნული ელოდებოდა რაზმის საერთო დაქააქსვას. კასრაძეც არაფერს ხედავდა წინ საიმედოს... იჯდა რაზმთან ერთად და ზოგჯერ მიტინგზე თუ გამოვიდოდა სალაპარაკოდ, თორემ უკვე ხედავდა კონტრევოლუციის გამარჯვების დასაწყისს და დღითი დღე ციმბირსა და სახრჩობელაზე ფიქრობდა.

მენშევიკები კი ქუთას კარგავდნენ მანიფესტით მოპოებულ თავისუფლებით... განუწყვეტლივ მიტინგებს აწყობდნენ... იღვენ ტრიბუნაზე და ფერადი სიტყვებით ამბრუებდნენ მოძრაობაზე გულაცრუებულ მსმენელებს...

— რა დრო დაეკარგე.

— აწი გვიანლა... — ოხრავდნენ ზოგიერთები.

— საცაა დაიწყებენ ანგარიშის გასწორებას და მაშინ უყურე...

— ამბობენ; ალიზანოვი მოემგზავრება ქუთაისის გუბერნიაშიო.

— სტაროსელსკი გადააყენესო...

გადაუყენებიათ და ამბობენ პასუხისგებაშიაც მისცეს, როგორც ხელმწიფის მოლაღატეო...

— რა კაცი იყო...

— ნამდვილი რევოლუციონერი... საცოდავი...

— მიკვირს, როგორ დანიშნეს გუბერნატორად.

— შთავრობას ალბათ; თავისი ანგარიშები ექნებოდა, როცა სტაროსელსკის ნიშნავდა გუბერნატორად, მაგრამ... იმედი არ გაუმართლდათ.

— მოტყუდენ და... როცა შეატყვეს... მიკრობობა...

— მოტყუდენ, მაგრამ ეხლაც ძალა მათ ხელშია, და როგორც მოებრიანებათ ისე გაუმასპინძლდებიან...

— ეეჰ!

— რა დრო დაეკარგეთ... რა ტყვილა ჩაცვინდა წყალში ამდენი სამზა დისი... ერთი შეტევა და გურია-სამეგრელო, რესპუბლიკას გამოაცხადებდა... ტფილისშიაც ისეთი ძლიერი მოძრაობა იყო... ქართლშიც... და რა ვიცი... მთელ რუსეთში...

— ჰაი, გიდი!

— ცენტრში არ დამარცხებულეო... კიდევ ჰო... მაგრამ რაკი იქ დამარცხდა...

— ალბათ იქაც „მოითმინეს“ პოლიტიკა სპარბობდა...

— ვაი რა დრო დაეკარგეთ.. რა სახელდახელო დრო დაეკარგეთ...

— ფიქრი ნუ გაქვთ, ბიჭებო, წაუყურადა კასრადემ რაზმელებს— დავკარგეთ, მაგრამ გაცვეთილად გამოგვადგება... ისტორიაში არაფერი არ იკარგება ტყუილუბრალოდ... საფრანგეთის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მისი გამოცდილება დღესაც გზას უნათებს რევოლუციონურ ორგანიზაციებს... ეხლა დავმარცხდით, მაგრამ...

— ეეჰ, იმხანაგო სერგო, მე იმას ვამბობ, რატომ დავმარცხდით, როცა გამარჯვებას არაფერი გვიკლდა, თორემ... ოდესღაც რაღაცა რომ მოხდებოდა მეც ვიცი... ქვეყანა სისხლის ღვრის წინაშე დგას და აქ კი სახელმწიფო სათათბიროზე გველაყებებიან... იარაღის დაყრას მოითხოვენ... რაზმების დაშლაზე გაპყვირიან...

— დღეს უკვე არაერთარი აზრი აღარ აქვს რაზმების ამ სახით არსებობას.— დაასკვნა კასრადემ.— უკვე აშკარა მარცხის წინაშე ვდგევართ.

ასეთ საუბარში ალამებდენ გურულები და ხშირად მთელს ღამესაც რევოლუციის საკითხებზე მსჯელობაში ათენებდენ, მაგრამ მარტო მსჯელობით წამზდარ საქმეს რა ეშველებოდა...

სალამო იყო.

რაზმი იღვა ჩოხატაურში და შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდა.

— გამარჯობათ!— მიესალმა რაზმებს სამეგრელოდან დაბრუნებული ლადარი, რემელმაც ეს იყო ნათელა ინახულა სურებში და, როცა გაიგო შევარდნაძის რაზმი ჩოხატაურში იღვა პირდაპირ იქეთვე გამოექანა.

— ბეგლარ!

— საიდან? როგორ?— შემოეხვიენ ლადარიას რაზმელები.

— დავმარცხდით.— მოკლედ მოუქრა რაზმელებს ლადარიამ და სკამზე ჩამოჯდა.

— რა ამბავია... გვიამბე ბეგლარ!

— რა ხდება სამეგრელოში?!

— თითქმის არაფერი. ხალხი შეიარაღებულია.— როგორც იცით ეს ორი თვეა სამეგრელოს რესპუბლიკაც არსებობს, მაგრამ... ამჟამათ... ყველაფერი დასამარცხებულია...— ნაწყეტებად უპასუხა ლადარიამ ცნობის მოყარე ამხანაგებს.

— როგორ?

— გვიამბე, ყველაფერი გვიამბე, ბეგლარ!

— ხალხი შეიარაღებულია... როგორც ჩვენა ვართ შეიარაღებული... მაგრამ... ალიხანოვიც მოადგა ზარბაზნებით სამეგრელოს...



— ალიხანოვი?!
— ალიხანოვი...

რაზმელებში სასოწარკვეთილებამ დაისადგურა.

ყველამ ყურები ჩამოყარა და შეკითხვებსაც უკვე აღმოაჩინა ხმლები.

ცეცხლი... ბიჭებო ცეცხლი... — შემოირბინა მზეერაემა რაზმის ბანაკში

და ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ

ნაგომარის მხარე განათებული იყო.

სახლებიდან ავირდნილი ცეცხლის ალი ცას წვდებოდა და ისმოდა ხალხის და პირუტყვის ყრუ ღრინაცელი.

დამსჯელი ექსპედიციის უფროსი კრილოვი ცეცხლით მიუძღვებოდა ჯარს ჩობატურისაკენ და დაზაფრული მოსახლეობა ტყეებში ეძებდა თავშესაფარს...

— ოზურგეთი გადაუწვავს... ლანჩხუთი გაუნადგურებია. — მოიტანა ცნობა შიკრიკმა...

— „მოითმინეთ“ და ყველაფერი გამოირკვევა. — გადმოანთხია რომელიღაც რაზმელმა, რევოლვერი იძრო და შტაბის წევრს ლულა პირში მიაბჯინა..

მისცვივდნენ რაზმელს და იარაღი აპყარეს...

— ო, მე შენი ავი და კარგი... შენისთანა წუნკალი თავს ყველგან შეაფარებს, ჩემი ცოლშვილი ვის ანაბარა დავტოვო ეხლა... ვინ შეითარებს უსახლკარო ხალხს... მიზასუხე მე შენი...

— დავმარცხდით, ამხანაგო, მაგრამ...

— კიდევ ხმის ამოღებას ბედავს... — იქაჩებოდა გაათფრებული რაზმელი და სისხლიან თვალებს აბრიალებდა...

— დაიშალეთ, ამხანგებო, და თავიანთ ოჯახებს მიხედეთ... წინააღმდეგობის გაწევა დღეს უკვე შეუძლებელია, — მიმართა რაზმელებს ლადარიამ.

— გვიანლა... რეაქცია ზეიმობს თავის გამარჯვებას... ეხლა რაიმე შეტაკება მსხვერპლის მეტს არაფერს შეგვმატებს... — დაასკვნეს სხვებმაც.

ცეცხლი თანდათან ახლოვდებოდა.

კრილოვი განურჩევლად სწვავდა სოფლებს და დინჯათ მიემართებოდა ჩობატურისაკენ, სადაც განდგომილ რაზმელთა ბანაკი ეგულებოდა.

— გავგზავნოთ დელეგაცია და იქნება ხალხს თავიდან ავაშოროთ მოსალოდნელი უბედურება, — შეიტანა წინადადება კასრაძემ.

ყველას მოეწონა კასრაძის აზრი.

სასწრაფოდ დელეგაცია შეადგინეს და ცხენებით ნაგომაროში აფრინეს, სადაც ამჟამად კრილოვის ჯარი იდგა და აჯანყებულთა კერებს ანადგურებდა.

მოისმა ზარბაზნების გრიალი..

— გესმით?!

— დავილუბეთ!

— ვაიმე, ცოლშვილო!

ახმაურდა სამთო ბატარეა და შეზანზარდა მთელი ზემო გურია.

— მოგვსპობენ და ეს არის.

ზარბაზნები ყრუდ გრიალებდნენ ნასაკირალის მიდამოებში და ვეროის მოსახლეობას წინასწარ ამცნობდნენ მოსალოდნელ უბედურებას.

გესმით ზარბაზნების გრიალი... ხომ გესმით?! არ ცხრებოდა ვეროის ყრუ-ლი რაზმელი და ეხლა მუშტით მიიწვედა მენშევიკ შტაბელისკინს...

— პირობები არ უწყობდა ხელს ჩვენს გამარჯვებას, თორემ...

— ოჰ, პირობები... თითო გვარამაძე როგორ გამოიღევა ჩვენს შორის „პირობები“ „მოთმინება...“ „უმტკივნელოდ“ მოპოებული თავისუფლება. არა, პირდაპირ მიპასუხეთ, რა ვუყო ეხლა მე ჩემს წვრილ ცოლშვილს? ვის გაუგზავნო ხიზნად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი?

— დამშვიდდი, ამხანაგო სერაფიონ! მარტო შენს თავზე ხომ არ ტრიალებს ქვეყნის გასაჭირი... ყველანი ამ დღეში ვართ...

რაზმში იზრდებოდა სასოწარკვეთა და, გადაბუგვის შიშით შეწრიალებულნი, უგზოუკვლოდ გარბოდნენ თავიანთ ოჯახებისაკენ.

კრილოვი ცეცხლით შევიდა ჩოხატაურში.

მახლობლად სამთო ბატარეია დააყენა.

ნთელი ღამის განმავლობაში გრიალებდა ზარბაზნები და ისედაც დაზარული მოსახლეობა თავპირგლეჯით გარბოდა ტყისაკენ. მიუვალ ალაგებში იხიზნებო ხალხი და ოჯახი ღეთისანაბარა რჩებოდა.

სურები ხიზნებით გაივსო

შეგარდნაძემ რაზმი დაშლილად გამოაცხადა და რამდენიმე რაზმელსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად სურების ტყეს შეეხიზნა.

არავითარმა შუამდგომლობამ არ გასჭრა კრილოვთან:

მოთხოვნილებას მოთხოვნილებაზე გზავნიდა გენ. კრილოვი და განგებ ერთი ან ორი დღის ვადას იძლეოდა, რომ მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის წინასწარი მუქარა პირნათლად შეესრულებინა...

— ჩამაბარეთ იარაღი. შემოიტანეთ ვადასახდლელები... გამოიყვანეთ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები და დეზერტირები... დაუყონებლივ მომეცით მოძრაობის ხელმძღვანელთა სიები... აღადგინეთ და ნდობა გამოუცხადეთ პოლიციის ძველს თანამშრომლებს და მთავრობის ყველა მოხელეებს... წინააღმდეგ შემთხვევაში...

ზარბაზნები ქუხდნენ მუქარის ნიშნად...

ხალხი გატყდა, მაგრამ რაზმების სრული განიარაღება და ზემოგურიის დიწყნარება მაინც არ მოხერხდა.

ორი თვე იდგა ჩოხატაურში დიქტატორი კრილოვი უამრავი ჯარებით და მისი პირდაპირი უფროსის, ალიხანოვის ყოველი განკარგულება სისრულეში მოჰყავდა.

თვითონ ალიხანოვი კი ამ დროს ქუთაისის გუბერნიას ანადგურებდა.

იწვოდა სენაკი, იწვოდა ზუგდიდი, აბაშა და სამტრედიის რაიონები... დიქტატორი მოთხოვდა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს... მოითხოვდა ხალხის სრულს დამონებასა და დამორჩილებას...

ამოძრავდნენ სოროებში შემაღული მეფის მოხელეები... თავი წამოჰყვეს ჯაშუშებმა და... ჩქარა რეაქცია ზეიმით შეეგება თავის ბრწყინვალე გამარჯვებას...



მოდრაობის დამარცხება უკვე სადავო აღარ იყო. გაზეთებს დღითი დღე ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდა აჯანყებების ჩაქრობისა, და ცენტრალური-საბჭოური გადატრიალების შესახებ.

გაოგნეს პეტროგრადის მუშათა და გლეხთა დემუტატების საბჭოს გადადგომის ამბავი...

მიიღეს ცნობები: პიტერის, მოსკოვის, ხარკოვის, ბაქოს და ყველა სამრეწველო ცენტრების დაცემის შესახებ...

დამარცხდა მოძრაობა.

განადგურდა რევოლუციონური ორგანიზაციები.

— დავმარცხდით!.

— დავმარცხდით.— აქნევდენ თავს აჯანყების მეთაურები.

დღითი-დღე აპატიმრებენ აჯანყებულთა ხელმძღვანელებს.

დაეძებნენ გაქცეულებსა და დროებით დაეშფურებულებს.

დამარცხების აზრდილი დაძრწის ყველგან და უიმედობის სულაჩით ითალებება ანთებულ მებრძოლთა გულები.

— ნახვამდის, ამხანაგებო!— ეთხოვება თანამებრძოლ ამხანაგებს ბეგი ლადარია და სურებიდან სამეგრელოსაკენ მიიჩქარის, რომ იქიდან სადმე გაიპაროს და მოხერხებულ დროს ისევ არალეგალურ მუშაობაში ჩაებას, ვიქონიოთ სრული რწმენა და იმედი, რომ ჩვენ კვლავ შეხვდებით ერთმანეთს ბარკადებზე და საბოლოო გამარჯვებასაც იქ მივულოცავთ ერთმანეთს... დღეს კი, რა გაეწყობა...

— დავმარცხდით, ბეგლარ. მწარე გაკვეთილი ვიგემეთ. მაგრამ შენი არ იყოს ჩვენ კვლავ მომავლის რწმენა და იმედი უნდა გვასულდგმულბდეს... მეც ღრმად მწამს, რომ ჩვენ ბარკადებზე შეხვდებით ერთმანეთს... დღეს კი... ნახვამდის. გაუწოდა ბეგლარს ხელი კასრადქმ და სინანულის გრძობით გადაჰკოცნა დიდი ხნით შეჩვეული და ბრძოლებში ნაცადი თანამებრძოლი. თავიჩაქინდრული ისხდნენ სურების ორგანიზაციის ჯერ კიდევ დაუბატიმრებელი წევრები და თალხი გრძობით ეთხოვებოდნენ საყვარელ ამხანაგსა და მეგობარს...

მომავლის იმედი და... ლიტონი სიტყვები, თორემ ყველანი თითქო სამარის პირად იმყოფებოდნენ... მალული სევდა ბატონობდა ყველას გულში და ზოგჯერ თავშეკავებული ღრმა ამოოხვრა კიდევ უფრო აძლიერებდა ხელმძღვანელ ამხანაგების დღევანდელ სასოწარკვეთილებას.

არავინ არაფერი იცოდა ზეალინდელი დღის შესახებ.

არავის გააჩნდა მოქმედების საბეალო გეგმა და... ირგვლივ ყველაფერი ბურუსით იყო მოცული...

ბეგი სათითაოდ გამოეხზოვა სურებელ ამხანაგებს... გამოეთხოვა ზოსიას ოჯახს... განსაკუთრებით ჯერ კიდევ ჭრილობამოურჩენელ ნათელას და სამეგრელოსაკენ დაძრა...

— არ დამივიწყო, ბეგლარ!— ეხლა დაუბარა ნათელამ ლეთის ანაბარად მიმავალ ბეგლარს და გული შეუწუბდა.

ბეგლარი უაზროდ დაძრა ჭიშკრისაკენ.

სოფლებში დაძრწოდნენ ყაზახები და მოძრაობის ხელმძღვანელებს ცხვრებით ერეგებოდნენ სატუსაღოსაკენ.

— სურებში დარჩენა შეუძლებელია... აღარც სამეგრელო... აღარც... — გაუ-
ელვებს ხშირად ბეგლარს და ფეხი უკან რჩება. — არა, სად გაქვრა გუშინდელი
ბრძოლის ცეცხლი და თავდავიწყება? სად ჩაკვდა ბრძოლის ცეცხლეთუ მწვებული
გული? ხალისი... ალტკინება... — ეკითხება ბეგი თავისათვის და ტყვეს ეცხარება.

რაღაც ლოდივით დააწვა გულზე ლადარიას... ისევ ფიქრები შემოესია
„სიზმარი იყო თუ ცხადი ყოველივე ეს? ნუთუ მართლა დაემარცხდით? ნუთუ
მართლა დაეყარეთ ბრძოლის იარაღი? ნუთუ ამიერიდან ველურ ბოქაულთა წა-
თარეშების წილხვედრია ყველა ისინი, ვინც ამ რამოდენიმე დღის წინათ თავგა-
მეტებით ებრძოდა თვითმყრობელობას? ნუთუ მართლა შესაძლოა რაიმე ძალამ
შეაჩეროს თავისუფლების მოპოებისათვის ამხედრებული პროლეტარიატი და
კვლავ პოლიციელების კეტის რისხვას დაუმორჩილოს? ნუთუ რაიმე ძალა შეაჩე-
რებს თავისუფლების თავშეუკავებელ ექსპრესს „Русь куда несешься, ты, даж
отверт!“ მისძახოდა გოგოლის გენია ორმოციან წლების გაქანებულ „ტროიკა—
Русь“ს და პასუხი არსაიდან ესმოდა... ეს გასაგებიც იყო... მთლიანი რუსეთი
აბა რა პასუხს გასცემდა თუნდაც გენიალურ გულშემატკივარს... გუშინ ხომ
გარკვევით ისმოდა საპასუხო ხმები... გუშინ ხომ ყველას გარკვევით ესმოდა
რუსეთის მშრომელი მოსახლეობის ალტკინებული ძახილი: წინწინ, ახალი გა-
მარჯვებისაკენ, თავისუფლების მოპოებისკენ! ნუთუ დღეს ჩაქრება ეს ცეცხლის
ხმები? ან თუ პროლეტარიატი კვლავ აღარ გაიმეორებს საპასუხო ამოძახილს
და ისევ „ტროიკა“ იზოგინებს რუსეთის თვალუწყდენ მინდვრებზე... დაემარცხ-
დით? მერე რა რომ დაემარცხდით? ფოლადის ექსპრესს თემშარაზე რა გადა-
იყვანს? ვინ გასცვლის ორთქმავლის ქვაფენილსა და ცხენის ნალებზე?! არა. მე
მჯერა, რომ თავისუფლების თავგანწირული ექსპრესი. პიტერსა და მოსკოვში
შეჩერდება... ორთქლმავალი წყალსა და მაზუთს მოიმარაგებს, კვერთხს მიი-
ღებს და ისევ წინ, წინ, ახალი ბრძოლებისა და საბოლოო გამარჯვებისაკენ“.

ბეგი შედგა.

თვალი გადაავლო ცეცხლით გადარუჯულ სენაკის მიდამოებს... დაფერფ-
ლილ ოდრებსა და ფაცებს... დააკვირდა უსახლკაროდ დარჩენილ მცხოვრებლებს.
მათ გატილებულ კარმიდამოს და მჭარედ ამოიოხრა... ასე მჭარედ, ასე გულსა-
კლავად ჯერ არ აკვნესებულა ბეგლარის გული... დღეს თვითონაც გრძნობს
აშას და ეს კიდევ უფრო აძლიერებს დამარცხების შწარე გრძნობებს.
„მივატოვე ამხანაგები, მივატოვე თანამებრძოლი მეგობრები მივატოვე
დაკრილი ცოლი და... ყველანი, ვისთანაც ბრძოლის იდეები მკავშირებ-
და... მივდივარ, მაგრამ საით, თვითონაც არ ვიცი... არც ის ვიცი რა ამბავს
მოიტანს ხვალისდელი დღე... ყოველი ახალი გათენება“...

ბეგლარ სენაკის სადგურზეა.

ფხიზლობს ბეგლარი, ეანდარმეზიდან შეფეთებას ერიდება და რკინის გზის
ლიანდაგებში დაეძებს საფარსა და გასაძრომს, რომ ქალაქს თავი მოარიდოს და
ეტლით დაიძრას ზუგდიდისაკენ.

ბეგლარს განზრახული აქვს ინახულოს ზუგდიდელი ამხანაგები... ინახუ-
ლოს იაკინთე გაფორჩხია, გვიჩია, ჯინორია და სხვები... ეთათბიროს გაქცევისა.
და თავის შეფარების შესახებ...

ავერ ორთქმავალი მოაპობს ვათოშილ სივრცეს და სატუსალო ვაგონს სადღაც მიაქანებს.

— სატუსალო ვაგონი.— შეტოკდა ლადარია და ვაგონს დააჭერდა უკანასკნელ ხაზზე გაჩერდა ორთქმავალი. მისრემ სატუსალო ვაგონი ჩამოხსნა და ორთქმავალი კივილით დაიძრა სადგურისაკენ.

ბეგი ვაგონს ათვალეირებს.

— სავსეა.— ყრუდ აღმოხდა ლადარიას, მაგრამ მიახლოვება ვერ გაბედა. ბიშტიანი სალდათები სდარაჯობდნენ სატუსალო ვაგონს და ახლოს არავის აკარებდნენ.

შეწუხებული ბეგლარი რკინის მესერში გაძვრა და სადგურის უკან პაწია დუქანში შევიდა.

სიფრთხილით ჩაათვალეირა მან დუქანში მყოფნი და რადგან მოშიებულ იყო, სუფრას მიუჯდა.

კარებში ლევან გაფორჩხია გამოჩნდა.

ლევანმა იცნო ლადარია და შეუჩინველად მისკენ გაექანა.

— დავიღუპეთ, ბეგლარ! — ჩურჩულით გადასცა მან ლადარიას და სკამზე ჩამოჯდა.

— რა ამბავია? — ჩურჩულითვე შეეკითხა ბეგლარი და ლუქმა ხელში შეაცივდა.

— ჩვენები ყველანი დააბატიმრეს...

— დააბატიმრეს. — აუწია ხმას ლადარიამ, მაგრამ უცებ გამოერკვა და ხმა გაჰკმინდა.

— დააბატიმრეს და ბათომში გზავნიან საველე სასამართლოზე გადასაცემად.

ბეგლარს ცივი ოფლი დაასხა... არ მოელოდა ასე ერთბაშად ამხანაგების ჩაყარდნას და... გული შეუღონდა.

— შენ... შენ როგორ გადარჩი?

— ეს ორი კვირაა აქ ვაფარებ თავს... ერთი რკინისგზის მოხელის ბინაზე ვცხოვრობ... სანდო პირია... მაგრამ აწი აქ აღარ დამედგომება. იაკინთე და ჯვალა ჩვენები სატუსალო ვაგონში სხედან... მისვლა ვერ მოვახერხებ.

ბეგლარი ფიქრებმა წაიღო. რა არ წარმოუდგა თვალწინ ამ ერთი წუთის განმავლობაში.

— ლევან! — დაარღვია სიჩუმე ლადარიამ.

— რა?

— გასწი იმ შენს ნაცნობ რკინისგზელთან და შეიტყვე როდის გზავნიან ვაგონს, საით და რომელი მატარებლით... აბა, ჩქარა!

ლევანი უსიტყვოდ დაიძრა ადგილიდან და ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს შეერია.

* * *

ლამეა.

ფოთის გზაზე მიჰქრის ორთქმავალი, სატუსალო ვაგონით. ქვალონში სემიფორი ჩამოშვებულია.

სადარაჯოები ლურჯი სინათლით ხედებიან საგანგებო მატარებელს.
— მორჩი! —

— გათავდა. — იყო შეუფეციანებელი პასუხი და ხუთი სიღრმის კლავშებს შეეხიზნა.

ერთი წუთიც და... დამაყრუებელმა ხმაურობამ შეძრა ქვალონის მიდამოები.

ორთქმავალი წივილ-კივილით მიიკვლევს გზას ყინვით შესულარულ სივრცეში.

სადარაჯოდან თავპირგლეჯით გამორბის ფანრიანი დარაჯი.

— რკინისგზა აპყარეს. მაშ, რალაც ამბავია. — წაიბუტბუტა ცალიერ სივრცეში აკანკალებულმა დარაჯმა და ორთქმავალს ფანარის წითელი მხარე მიუშვია.

ორთქმავალმა განგაში ასტება და იგრიალა თოფებმა ლაქაშიდან.

— არ შეშინდეთ, ბიჭებო... ჩვენ ვართ. — გაისმა ლადარიას მკეჭარე ხმა და ბიჭებიან სალდათების უსულო გვამები ვაგონის პლატფორმიდან გადმოლაგდა.

— ბელეები მალა! — მოესმა მემანქანეს და ნაბადში გახვეული თავდამსხმელი ორთქმავალზე აცოცდა.

— წაიყვანე წინ ორთქმავალი.

— გზა აყრილია და...

— ჩქარა! — მიუშვირეს თოფი მემანქანეს.

დაცალიერდა სატუსალო ვაგონი.

ტუსალები გაოცებულნი არიან მომხდარ ამბებით, შიშით ადგილიდან ველარ დაძრულან.

— გაუშვი ორთქმავალი და გადახტი... ხომ გესმის...

მემანქანემ ბერკეტი გადასწია, ორთქმავალი მიუშვა და იკადრა ორთქმავალიდან ძირს გადახტომა. მას მიჰყვა იარაღმომარჯვებული თავდამსხმელიც. ორთქმავალი მიიწევს წინ... უფსკრულს უახლოვდება.

დარაჯი გიჟივით აფრიალებს წითელ ფანარს, მაგრამ...

ბელეა უფსკრულმა და ცეცხლის ალში გახვეული ორთქმავალი ყირამილა გადატრიალდა. მას მიჰყვა დაცალიერებული სატუსალო ვაგონიც და უკუნის სივრცე გადაკაშკაშდა.

ლიანდაგს გადაღმა ჩოჩქოლი შეიქნა.

— გასწით! პირდაპირ ლიანდაგს მიკვებით და იარეთ, — მოესმა მემანქანესა და მის თანაშემწეს და ისინიც უაზროდ დაიძრენ ადგილიდან.

— სანამ სადგურები შეიტყობენ... აბა, გასწით, ამხანაგებო!

სად უნდა წაივდეთ?

— ქვალონიდან ზემო ქალადიდში თემშარა მიგვიყვანს... — არ აყოვნებდა პასუხს ლადარია, — იქიდან ლანჩხუთში გადავალთ.

— რიონზე როგორღა... გადავალთ?!

— დაგლახდით?! ჰაი დედასა! — შეწუხდა ბეგლარი და არა ნაკლებ დამწუხვარებულ ამხანაგებს სასოწარკვეთილ თვალებით გადახედა... ყველას თვალეში ეკვი და ყოყმანი ამოიკითხა, ყველას დამარცხების იერი გადაკვროდა.

რიონზე ბორანით გადავალთ... ან ნავეებს ვიშოვით, — არ იშლიდა თავისას ლადარია, თუმცა თვითონაც არაფერს ხედავდა წინ საიმედოს და გულსასი- მაგროს.

— სულერთია... ხომ დაგვიკერენ... სადაც არ უნდა შევფარო... ტყუილი იმედია, თავს ვერ შევინახავთ. — აწუწუნდა ვილაცა.

— ვეცადოთ არ დაგვიტორონ... ვეცადოთ გავიქცეთ, თავი შევფაროთ.

— ვეცადოთ თუ კი დაგვაცლიან. — ირევა ხმები ერთმანეთში.

— კმარა! წავედეთ! — ბრძანების კილოზე მიმართა ამხანაგებს ლადარიამ და ლაქაშებში მიიმალა. მას მიჰყვეს სხვებიც და შემთხვევის ადგილას დარჩა ცეცხლმოდებული ორთქლმავალი და ფანარიანი დარაჯი, რომელიც გაშეშებუ- ლი იდგა სადარაჯოზე და გონს ვერ მოსულიყო მომხდარ ამბებით თავზარდა- ცემული.

* * *

— ვინ საით, ამხანაგებო, — შეეკითხენ ერთმანეთს გაქცეულები, როცა ლანჩხუთს მიუახლოვდნენ და გადაშფვარ სოფლებს თვალი გადაავლეს.

— დავიშალოთ... მე ტფილისში მოვახერხებ გაპარვას.

— მე... თუ არ ჩავარდი, სპარსეთში გადავალ.

— ბათომში ჩავიდეთ და... ვნახოთ... ვინც როგორ მოახერხებს. — თათბი- რობენ გაქცეულები.

— შენ რალას ფიქრობ, ბეგლარ!

ბეგლარი მართლაც ფიქრებში იყო გართული და დაჭრილი ნათელა აგონდებოდა.

— თუ მოვახერხებ საზღვარგარედ გავიპარები.

მოწყენილობა... უიმედობა... და დამარცხების მწვავე გრძობები დღითი- დღე ძლიერდება, გუშინ თავგანწირულად მებრძოლთა რიგებში.

— მე ბათომში წამოვალ. — განაცხადა ლევან გოფორჩხიამ და იაკინთეს გადახედა.

— მეც გამოგყვები, თუმცა... არაფრის იმედი აღარ მაქვს... თავგასულ ყაზახებს აბა, სადღა დაეშალები...

— ეეჰ!

— ესეც შენი თაწისუფლება...

— თავისუფლება... თავისუფლება...

ძ ა ლ ა ძ ი - ვ ო რ ბ ი

თოვს.

ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებს.

აქაფებული ტალღები რისხვით ასკდება ბათომის სანაპიროებს და პეკ- ლებივით აფრთქიანებული კორიანტელი თეთრ სუდარაში ახვევს სუბტრო- პიკულ მცენარეებს.

სუბტროპიკული სიმწვანე თოვლით შევერცხლილა.

უჩვეულო ქარიშხალი ჩამდგარა პორტ-ქალაქში და რბილ შავან დაჩვეუ-
ლი მოსახლეობა აუწრიალებია.

დაცალიერებული ქუჩები, მოედნები და ზამთარ-ზაფხულ ქუჩებზე ქალ-
ხით საესე ხეივანი.

თოვს...

ქშიტინებს ცივი, დასაელეთის ქარი და მძიმედ არხვეს ასწლოვან მაგნო-
ლიებს, პალესტინის პალმები რაღაცას საყვედურობენ...

სიცალიერე დაუფლებია მუდამ ხალხით საესე ქუჩებსა და პროსპექტებს,
აქაიქ პლასტუნები თუ ჩაუქროლებენ წინასწარ ათვალთვალბულ სახლებსა და
„საეჭვო“ ხალხის სადგომებს.

მარინსკი პროსპექტიდან გემოდის ეგროპიულად ჩაცმული ახალგაზრდა,
რკინისგზის ლიანდაგს გადასერავს და სანაპირო ქუჩისაკენ გაემართება. მოსა-
ხვევში მას ხედება ნაბადწამოსხმული ვაჟაკი...

— როგორაა საქმე?— ეკითხება ნაბდიანი.

— პასპორტი ავიღე... სწორედ ახლა მოვდივარ ქალაქის თვითმართველო-
ბიდან, მაგრამ...

— სხვა რაღა გინდა?— არ აყოვნებს ნაბდიანი და დამფრთხალ თვლებს
უგზოუკვლოდ აცეცებს დანისლულ სიერცეში.

— ნათელა აგვიანებს... უამინდობის გამო მიმოსვლაც შეწყვეტილია.

— მიკვირს ღმერთმანი...

— რა ვოჩა?!

— ის რომ გაუფრთხილებელი ხარ და... თავი არ გებრალბა.

— მაშ, რა ვქნა, მივატეო?

— მიტოვება რა სათქმელია... წადი და სხვა არა იყოს რა, ნათელას ნება-
დართულადაც შეუძლია, სბზღვარგარედ გამგზავრება... რას გწერს?

— ათ დღეში მაქ ვიქნებო... უკვე ორი კვირა გავიდა და არსად სჩანს.
სამსონიც რომ იგვიანებს.

— სამსონი სად არის?

— სოფელშია წასული. გუშინ უნდა დაბრუნებულყო. არ ვიცი რა შე-
ემთხვა.

— ყველაფერი მოსალოდნელია... ძნელია ასეთ პირობებში თავის შენახ-
ვა... წადი ბეგლარ, გირჩევ ჩქარა მოეცალო აქაურობას.

— დათიკო სად არის?— იკითხა ბეგლარმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ

— მახუნცეთში დავტოვე. გურიაში დაბრუნებას აპირებდა... დათიკო გუ-
რიას ვერ მოშორდება.

— ეეჰ.

— რა იყო, ბეგლარ?

— არაფერი... გურია მომიგონდა და...

მოსახვევში პლასტუნები გამოჩნდნენ.

— მოდიან... ძალღებვიით დაძრწიან ეს... ოჰ, ბეგლარ, როგორი გაუფრ-
თხილებელი ხარ.— შეტრიალდა ურიდია პლასტუნების დანახვაზე და ქუჩები ჩა-
ათვალერა.

ბეგლარმა თვალები დააცეცა და ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ქუჩის დასასრულსაც გამოჩნდნენ ცხენოსანი ყაზახები და ლადარია, მოულოდნელმა შიშმა აიტანა.

— ბალისაკენ გაჰყევი, ბეგლარ!— ურჩია ურიდიამ.

ბეგლარი შეტრიალდა. სანაპირო ჩაათვალიერა, ქუჩა გადასჭრა და ბალში შევიდა.

შორიახლო მას გაჰყვა ურიდიაც.

ლადარია ნაპირს მიუახლოვდა. აქაფებულ ზღვას გადახედა და თითქო ყველაფერი გადააეიწყდაო, აზობოქრებული ტალღათა გრგვინვას შეფერთა თავისი გულსცემა.

დიდხანს გასცქეროდა ლადარია ფაფარაყრილ ზღვის ჰორიზონტს... თვალს ადევნებდა ავოლოგოთებულ ზვირთების შხუილს... ყურს უგდებდა თოლიების შეწირიალებულ ნაეარდსა და გულისშემზარავ კყვივლს, მათ წალმა-უყულმა სრი-ალს ჰაერში და სწრაფ მოძრაობას.

ბეგლარი გაიტაცა სანაპირო სანახაობამ და სულ გადააეიწყდა, რომ სამ საათზე ბინაზე უნდა დაბრუნებულიყო.

მობრუნდა, ხეივანს თვალი გააყოლა.

არავინ იყო. აღარც ურიდია მოსჩანდა სადმე. „საბრალო გოჩა.— მოაგონდა ბეგლარს გოჩა ურიდია,— მიჩრეკს ჩქარა გავეშორდე აქაურობას და სადმე თავი შევადარო... თვითონ კი, ყოველგვარ უბედურების მოლოდინშია და აინუშიაც არ იგდებს... საბრალო! მას ახლაც ჩიჩიას სისხლი აწვალებს და თავიდან ვერ ამოუგდია ის აზრი, რომ დღეს გუშინდებურად ბრძოლა აღარ შეიძლება... რომ არავითარი აზრი აღარ აქვს ჩიჩიასთან პირადულ ანგარიშის გასწორებას... საცოდავი გოჩა, მასში, ჯერ კიდევ, მეჯოგე ურიდია, სქარბობს მებრძოლ რევოლიუციონერს, ის ჯერ კიდევ პირადულს მისტირის, კერძო საჯუთრების გრძნობის ტყვეა და ამ ნიადაგზე ამბოხებული დაზარალებული ადამიანი... თუმცა საცოდავი უჩა... რაც გინდა იყოს მამა იყო, სისხლი სისხლთაგანი... პო, და, ერთ მხარეს: მამა, ოჯახი, ჯოგი და ფულები... მეორეს კი: ჩიჩია და ძიკი ძიგუა... ძიკიზე არაფერს ამბობს... გულში კი ვინ იცის, როგორ იხარშება... ეგჰ, ძიკი, ძიკი! გაგიმართლა ცხოვრებამ და იქნება იმით ამაყობდე კიდევ. ბოქაული ხარ და ვინძლო გუბერნატორობასაც კი უმიზნებ წათაგებდებული... სალახანა!“

ბეგლარი სანაპირო ქუჩას აედევნა.

არსად ხალხის ქაქანება არ მოსჩანდა.

კორიანტელსა და უჭვეულო ქარიშხალს მოყიალე ზალხი დაუშინებია, ზოგი პლასტუნების რისხვას დამალვია.

აგუგონდა ქარხნები.

— დავმარცხდით. როტშილდები ზეიმობენ უსაზღვრო გამარჯვებას. — გაუელვა ბეგლარს და ქუჩა გადასჭრა.

მას წინ შემოეგება ნავთსადგურიდინ მომავალი მუშები.

აღარც ხალისი, აღარც რაიმე იმედები...

მოდინან, თითქოს ცხედარს მოაცილებენ.

ბეგლარი ხედავს დამარცხებულთა ულიმლამო პირსახეებს, მათ უსიციოც-ლო გამოხედვას და გული ეკუმშება.

— რა იყო ამ ორი-სამი თვის წინად და რას ვხედავ... —

ბეგლარი ადგილიდან არ იძვრის. გაშტერებული თვალებით მიაცილებს ის მოღუშულ მუშებს და რალაც გაურკვეველი, მაგრამ მძლავრი მოელვარება ისა-დგურებს მის ჯერ კიდევ გაშტებულ გულის სიღრმეში. „ნუ თუ საბთლოოდ დავმარცხდით?! — მერამდენეჯერ ეკითხება ბეგი თავისთავს — ნუ თუ სამუდამოდ ჩაკვდება ამ ზღვა ხალხის გულში გუწინდელი რისხვა და სიძულელი თვით-მპყრობელობისადმი... ნუ თუ მუშათა კლასი ერთი შებრძოლებით ამისწურავს თავის ბრძოლის უნარიანობას... აქაც პლასტუნები...“

ბეგლარი შედგა.

— ეს ვინაა არის? — დააკვირდა ბეგლარი მომავალ პოლიციელს. — პოლიც-მეისტერი... ყაზახები როგორ ადევნებია... საზიზღრება! — ბეგლარი მოსახვევებს ათვალიერებს... გადასასვლელი არსად სჩანს... აღარც ეზოში მიმალვა შეიძ-ლება. „გავყვები დინჯად“. — ფიქრობს ლადარია და ხელსაყრელ დროს ელო-დება, რომ პოლიციას თვალთაგან გაუსხლტდეს.

პოლიცმეისტერი შეჩერდა. ყაზახებს რალაც უბრძანა და გამვლელ მუშებს ექვის თვალთ დააკვირდა.

თოვს...

რამდენიმე ნაბიჯზე გარკვევით ვერაფერს გააჩნევს კაცი.

გამვლელები თოვლს შეუფიფქავს.

პოლიცმეისტერმა ფარაჯა დაიბერტყა და გზა განაგრძო.

კოკლობს ქალაქის თვალსაჩინო პოლიციელი.

ბეგლარი გაცეცხლებული მიჩერებია მიაზლოვებულ პოლიცმეისტერს. „ნუ თუ?“ — ეკითხება ლადარია თავისთავს და თვალებს ისრესავს — ის არის... დიახ ის არის... აღბათ ურიდიაც იმიტომ ჩამოსულა ბათომში, რომ... მაგრამ რა-ტომ არაფერი გამიზნო?! რატომ არაფერი სთქვა თავის განზრახვანზე?“

ბეგლარი კიდევ უფრო შეტის დაკვირვებით მისჩერებია მოპირდაპირე ფილაქანზე მიმავალ პოლიცმეისტერის ნაცნობ სახეს...

— რას დაეხეტები ამ ქუჩაში... წადი თავს უშველე, — უცრად ჩასჩურჩუ-ლა ყურში ბეგლარს ნაცნობმა ხმამ და ნაბიჯს მოჰჩქარა.

ბეგლარი უცებ გამოერკვა.

მან იცნო ნაბადწამოსხმული გოჩა ურიდია და გულმა რეჩბი ჰკრა მის ასეთ გაფრთხილებაზე.

— გოჩა, გოჩა! — აედევნა ბეგლარი ჯიქურ მიმავალ ურიდიას, მაგრამ მან უკანაც არ მოიხედა, ფილაქანი გადაყელა და პირდაპირ პოლიცმეისტერისაკენ დაიძრა მგლური ნაბიჯებით.

ყაზახებმა ყურადღება მიაქციეს ნაბადწამოსხმულ და შორიაბლო განცალ-კვედენ.

— გაიარეთ! — დაიღრიალა იმავე ყაზახმა.

ლადარია უაზროდ მოწყდა ადგილიდან და სადგურისაკენ მიმავალ მუშა-თა რიგებს შეუერთდა.

მუშებმა თვალი დაატანეს ევროპიულად მორთულ ახალგაზრდებს და ერთ-მანეთს რალაც წასწურჩულეს.

ლადარიამ უკან მოიხედა... ის ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულა ბურუსიდან და ურიდიას გამაფრთხილებელი სიტყვები ყურში ჩასძვრდა: „წადე, თავის უშველო“, რომ ნაბდიანი სწორედ ამ დროს მიუახლოვდა აკოკლებულ პოლიცმეისტერს... გვერდი ჩაუარა... შემოუბრუნდა წინიდან, ზედიზედ ესროლა და დაეღვებაში უჩინარი გახდა.

პირდაღებული ყაზახები იდგენ შემთხვევის ადგილას და ვერ მოესაზრებიან, თუ სად შეეძლო მკვლელს ასე უცებ გაქცევა და მიმაღვა.

შეიქნა ჩოჩქალი და გამოურკვეველი ხმაურობა.

— მოლანდება იყო თუ...—წაიღულულა ლადარიამაც და მოპირდაპირე სახლის ეზო შეათვალიერა... გასაძრომი აიგულა და ადგილიდან დაიძრა.

— პოლიცმეისტერი მოჰკლეს.

— ჩიჩია ჩააძალღეს.—მოესმა გაქანებულ ლადარიას გამვლელ მუშების ჩურჩული.

— სწორედ ის ყოფილა... ის ძალთაპირი...—გაიფიქრა ლადარიამ და სახლის ეზოში შეიქრა.

შეიძრა მთელი ქალაქი.

ქუჩები ყაზახებითა და პოლიციელებით გაივსო... დგანან 'ყოველ გზაჯვარედინზე და საეჭვო პირებს პოლიციის სამმართველოსაკენ ერეკებიან.

ლადარია შეუშინველად გაიძურწა შემთხვევის ადგილიდან და მეორე ქუჩაზე გადასული, მშვიდი გამომეტყველებით მიიკვლევს გზას ბინისაკენ.

— შეჩერდი!—მოესმა მას პოლიციელის შეძახილი.

ბეგლარი გზას განაგრძობს. მას თითქო არც კი ესმის უცხო ენაზე მოლაპარაკე პოლიციელის გაფრთხილება.

— შეჩერდი მეთქი!

ბეგლარმა უკან მოიხედა. დაბნეულობა დაეტყო განსაცდელში ჩავარდნილ ლადარიას, მაგრამ პოლიციელმა ვიღაც მოქალაქე გააჩერა, ჯიბე გაუჩხრიკა და ხელქვეითს უბრძანა, წაიყვანო.

— ვგონებ გადავჩი.—ფიქრობს ლადარია და ისევ გზას განაგრძობს.

აგერ ყაზახები მოაგულვებენ დაოთხილ ცხენებს...

უმანკო ფიფქი ითელება ცხენთა ფლოქვებში.

— შეჩერდი... შეჩერდი მეთქი!—კვლავ მოესმა ლადარიას და ორი პოლიციელი გვერდში აეტუზა.

ყაზახები გაცდენ მოსახვევს და მარინსკი პროსპექტისაკენ გაეშურენ.

— ასწიეთ ხელები!

— ხელები მაღლა!—უბრძანეს გამხეცებულმა პოლიციელებმა.

დაიბნა ლადარია. მან აღარ იცის, როგორ მოიქცეს... გაიღოს ხელი და გადალიანდეს თუ... დანებდეს და თავისი ვინაობაც გამოამჟღავნოს.

— ხელები მაღლა!—აღარ დააცალა ქერა პოლიციელმა შეჩვევებულ ლადარიას და კონდახი მოუქნია.

ბეგლარმა დაჰკარგა წონასწორობა. მის თვალწინ ერთბაშად გაიბრინა ჩავარდნით მოსალოდნელმა განსაცდელმა, ციმბირმა, ჩამობრჩობამ... „რა რაც მომივა ბარემ ახლა მომივიდეს“ — გადასწყვეიბა მან ხელბეჭეტი წყვეტს. წყვეტად ბრალდინგი იშვიშლა, დაშმათებულ პოლიციელებს [ორორი კაცები] წამოუბრძოლა გაქანდა, ეხოს მაღალ ლობებზე მწვევარივით გადახტა და მიიშალა.

მოსახვევეში დარჩა ორი სულთმობრძავე პოლიციელი და ლადარიას სისწრაფით გაოცებული გამვლელები...

* *

ბეგლარი მიიშალა.

სამი დღეა ბინას აღარ ეკარება პოლიციელების მეთვალყურეობით დამფრთხალი ლადარია... ღამეს ნაცნობი რკინისგზელის ბინაზე ათევეს და დღისით საზღვარგარეთ გამგზავრების სამზადისშია...

— ნათელა რად იგვიანებს? აღარც სამსონი სჩანს... ნეტა რა მოუვიდა — ნერვიულობს ბეგლარი და სამსონის ბინაზე მიიჩქარის.

ბეგლარი აფორიაქებულია. დაუკვირვებელი თვალის ადვილად ამოიკითხავს მის სახეზე უსაზღვრო მწუხარებას. ამიტომ ის იშვიათად გამოდის ქუჩაში, ყოველ გამოსვლისას კი ტანსაცმელს იცვლის, პოლიციელებთან შეხვედრას ერიდება.

ჩიჩიას მკვლელობამ ფეხზე დააყენა ბათომის პოლიცია. ციხე გაივსო ახალი პატიმრებით. დაეძებნენ ნამდვილ მკვლელებს, დაეძებნენ ქვალონიდან გამოქცეულ შეგრელ პატიმრებს.

დაპატიმრებულები მოჰყავთ გურია-სამეგრელოდანაც.

მოკლე ხანში მოელიან საველე-სამხედრო სასამართლოს პროცესის დაწყებას, რომელსაც უშუალოდ უხელმძღვანელებს ქუთაისის გუბერნიის დიქტატორი აღიხანოვ-ავარსკი.

ბეგლარი ზედავს ყოველივე ამას და ბრაზით გული ეკუმშება.

— გავასწრებდე მაინც. ყველაფერი ერთმანეთს გადაეხლართა: გურია-სამეგრელოში მომხდარი ამბები... ქვალონში მატარებლის აფეთქება. გაქცევა... ჩიჩიას მკვლელობა... პოლიციელების... ღმერთო!

ბეგლარი მიიჩქარის სამსონის ბინაზე.

გზაში მას ხედება სამსონს სახლისპატრონი ზუნტურდი.

— სამსონი ხომ არ დაბრუნებულა? — გულის ფანცქალით ეკითხება მას ლადარია და მეტისმეტი სიფრთხილის გამო ქუჩებს ათვალაიერებს.

— დაბრუნდა...

— როდის?! — სიხარულით აღარ დააცალა ბეგლარმა სიტყვის დათავება.

— გუშინ ჩამოიყვანეს... დავილუბე... შეც დამიღუბა და თვითონაც დაიღუბა...

— როგორ ჩამოიყვანეს... რა მოუვიდა? — აუკანკალდა ტუჩები ლადარიას და ერთბაშად სიმწრის ოფლი დაასხა...

— ტუსაღად ჩამოიყვანეს... დავილუბე... რვა თვის ქირა მოუცემელი ჰქონდა, ცოტა დღეების ანგარიშებიც ემართა... აფსუს. როგორ დროს ჩავარდა...

— ჩავარდა? ვერ არის კაი ამბავი...

ბეგლარი სწორად მოშორდა ზენტურიდს და მოსიარულე ხალხს შეუერთდა. მიდის ლადარია და ფეხები უკან რჩება... საშინელი ამოღება მას გულზე, მაგრამ გამოსავალიც რომ არსაით არ სჩანს... დღეს დღეს ერთი მეორის უარესი ამბები... ჩავარდნა, დაპატიმრება, საველე სასამართლო... „რაკი საშინი დაპატიმრეს, სჩანს კასრადე და ყველა სურბეული ამხანაგებიც დაპატიმრებულნი არიან... ნეტა ნათელას რა მოუვიდა?! ეეჰ! სადამდე მივიდა ჩვენი საქმე... როგორ უეცრად შეტრიალდა ყველაფერი და გამარჯვების პირად მისული ხალხი დღეს საველე სასამართლოს განაჩენის მოლოდინშია... ციმბირი არც ერთს არ აცდება... შესაძლოა ზოგიერთებს სიკვდილით დასჯაც მოუსაჯონ... მე კი გაქცევისა და თავის შევლახე ფიქრობ.

ბეგლარი შედგა... ის ღრმად ჩაუფიქრდა მის გარშემო შექმნილ მდგომარეობას და ყოველი პირადი თუ საზოგადოებრივი სასწორზე დასდო... „არა, გაქცევა და თავის შეფარება საძრახისი არ არის... ყოველი საზრიანი რევოლუციონერი უნდა ცდილობდეს გაქცევისა და მოშავალზე, თუ კი საერთო საქმეს ამით არაფერი ეწეება და არც რაიმე მსხვერპლთან იქნება დაკავშირებული, ამა თუ იმ ამხანაგის „სამშვიდობოს“ გასელა.— დიახ, დღევანდელ პირობებში გარედ ყოფნა არის საჭირო, რომ რევოლუციონერ ბრძოლის ჩარხი კვლავ დატრიალდეს, რომ კვლავ გამოცოცხლდეს დროებით ჩამკვდარი მუშაობა, გამოცოცხლდეს და ამოძრავდეს დარბეული ორგანიზაციები...

ლადარია სადგურს უახლოვდება...

სადგურის უკან ხალხი ირევა.

მეტლები რიგში ჩამწყობილებულან და მუშტრების მოლოდინში განგებ ცხენებს ეფერებიან და ჩასუქებულ გავას ულამაზებენ.

— ბიქოს!— მოიჩრდილა შუბლი ლადარიამ ჩაქურაში გამოწყობილი აფიკრის დანახვაზე— ქიშვარდი, საიდან? როგორ?— შეეკითხა ბეგლარი თავის თავს და ნაცნობი აფიკრისაკენ გაექანა.

— მივიდე?— შეყოყმანდა უცებ ლადარია.— როგორ გამიმეტებს, მივალ და ჩვენებურ ამბებს ვკითხავ.

ლადარია დროს იხელაუებს და მარტოდ მიმავალ შერვაშიძეს მიესალმება. შერვაშიძე ველარც კი სცნობს ევროპიულად მორთულ ახალგაზრდას და ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ღიმილითა და გაცინებული თვალებით გაუწოდა ხელს ნასაკირალის ერთგულ ჯარისკაცს.

— ო, ბეგლარს ვახლავარ. კარგია არ ჩავარდნილხარ. შენი ჯავრი მაწუხებდა ნოდარს გეფიცები... ისე... თქვენები ყველანი დაპატიმრებული არიან.

— „თქვენები დაპატიმრებულნი არიან“.— ჩაეწვეთა ყურში ლადარიას და სიტყვა „თქვენებმა“ გული ატკინა.

— მე ჯონ ელიოტს მივაცილებ ინგლისში— დაუმატა შერვაშიძემ და ბეგლარს ღიმილით აშხედ-დახედა.

ბეგლარს ენა დაემა. დაწვრილებით ამბის გამოკითხვა ველარ გაუბედა, ამჟამად ისევ ამაღის აფიკრის მდგომარეობაში მყოფ შერვაშიძეს.

— შენ რასა იჰ, ბეგლარ!

— გაქცევის ვაპირებ, ქიშვარდი! — გაბედა ლადარიამ და წამასვლელად მომზადებულ შერვაშიძეს წინ ჩამოუდგა.

— სად გინდა გაიქცე, საზღვარგარედ!

— დიახ, საზღვარგარედ?

— პასპორტი?

— მზად მაქვს.

— ფული ხომ არ გესაქიროება?

— ფულიც მევიწროება... და, რა ვიცი... — დაიბნა ლადარია.

შერვაშიძემ დაუყოვნებლივ გაიკრა ხელი ჯიბეზე, და ორი გაუტეხელი ეკატერინკა გადასცა ლადარიას.

— თუ გზაში რაიმე შემოგაკლდება, ელიოტს ვთხოვ და ის დაგეხმარება. ელიოტმა სურების კონცესია მიატოვა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი საქმე ჩაიგდო ხელში, რომ...

შერვაშიძე განუხდა. მას მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ლადარიას არაფრად ეპიტანვებოდა ელიოტის სააღმსრებლო საქმეები...

— ჰო და... — განაგრძობდა ისევ შერვაშიძე, — თუ რაიმე დაგჭირდება, ჩემის თხოვნით, ხელს გაგიმართავს. ეცადე ერთი გემით ვიმოგზავროთ... თუ წასვლას ეპირები, ბარემ ნულარ აყოფენ. სხვა არა იყოს რა, სიფრთხილე გმართებს. . რომ ჩაეარდე, კიმბირი არ აცდდება... აქ ყოფნისას კი თუ რაიმე საქმეზე შეველა შემძლება, „გრანდ-ოტელ“-ში მნახავ...

შერვაშიძე ლადარია, გამოეთხოვა, ეტლში ჩაჯდა და ნავთსადგურისაკენ დაიძრა.

ლადარიამ თვალი გააყოლა გაქნილ ოფიცერს და გაუტეხელი ასიანები მჯილში მოიმწყვდია...

— „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“ — მოაგონდა ლადარიას შერვაშიძეზე და დაქმუქნილ ასიანებს ზიზლით დაჰხედა. ისევ დაქმუქნა და დაწყურული თვალები გაქროლებულ ეტლს გააყოლა.

* * *

ბეგლარი გამგზავრების სამზადისშია.

ნათელას წერილი მიწერა ბეგლარმა, ამხანაგებსაც აცნობა თავისი განზრახვა.

— სტამბოლში დაგელოდები, — სწერდა ლადარია ნათელას, — როცა მოახერხო გამოგზავრე და სტამბოლში დაგვხვდები.

მზად არის ბეგლარი.

ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო სამგზავრო ხელბარგს. პასპორტი ჩაათვალიერა. საათს დახედა და ნავთსადგურიდან მოისმა სამგზავრო გემის პირველი სირენა.

ლადარია ბინის პატრონს გამოეთხოვა და ეტლში ჩაჯდა ეტლი დაიძრა.

— შეწერდი! СТО! — მოესმა მეეტლეს პოლიციელის გაფრთხილება და გაოცებულმა მეეტლემ თავაწყვეტილი ცხენები დაათოხმავა.

პოლიციელი პირდაპირ მიიჭრა ლადარიასთან და პირადობის მოწმობა მოსთხოვა.

ბეგლარი არ დაიბნა.

მან სრული სიმშვიდით გახსნა ძვირფასი საფულე და პირადობის მოწმობას, შეჭუჭნილი ასიანებიც ამოაყოლა.

პოლიციელი ხარბი თვალებით დააკვირდა ასიანებს და საექვო მგზავრს პასპორტი ჩამოართვა.

— ბენდუქიძე ბენედიქტე.— აჩიფიფდა პოლიციელი და მგზავრი თავით-ფეხებამდე ჩაათვალიერა.

— ვინ გნებავდათ?— კანდიერი კილოთი იკითხა ლადარიამ, ამქამად უკვე ბენდუქიძემ და პოლიციელს ზიზლით გადახედა.

— ბოდიში, ინებეთ. ჩვენ სხვა ვინმე გვეგონეთ... ინებეთ...

გაუწოდა პასპორტი პოლიციელმა და ეტლს მოშორდა.

ლადარიამ მეეტლეს შეუცაცხანა.

დაიძრა ეტლი და შეყოვნებულმა მეეტლემ ჯავრი ცხენებზე ამოიყარა. ბეგლარი უკვე ნავთსადგურშია.

ავერ, კიბზე ელიოტი აღის და შერვაშიძეს ღიმილით ეთხოვება.

ბეგლარი შედგა.

ავუგუნდა გემი შეორეგერ და ბაქანზე ხალხი შეჩოჩქოლდა.

გამოთხოვება, ხევენა-კოცნა და მღულარე ცრემლები იტაცებს შორით მაყურებლის ყურადღებას.

მზიანი დღეა.

თოვლით დაძენილი აქარის ქედი პირქუშად დაჰყურებს მარტის მზის სითბოზე გატყრენილ პორტ-ქალაქს და ნავთსადგურში მოფუსფუსე მგზავრებსა და გამცილებლებს.

ავუგუნდა მესამედ საყვირი და ლადარიამ ფეხი შედგა გემზე ასასვლელ კიბზე.

ასწიეს ღუზა.

„ლიონი“ ზღაზენით გაშორდა ხალხით გაქედილ ნავთსადგურს.

მგზავრები ცხვირსახოცების ფრიალით ეთხოვებიან ბაქანზე დარჩენილ გამცილებლებს...

გემი რეიდზე გავიდა და საქე ტრაპიზონისაკენ დაიჭირა.

ქალაქი თანდათან პატარავდება. წერტილებად მოსჩანან ბაქანზე დარჩენილი გამცილებლები, რომელნიც ჯერ კიდევ გასცქერიან ზღვის სიღრმეში შეჭრილ გემს... ბეგლარი გემის რიკულებს მიყრდნობილია და სინანულის გრძნობით ეთხოვება ნაცნობ ქალაქსა და ბავშვობიდანვე შეჩვეულ გურია-სამეგრელოს მიდამოებს.

შორს მოჩანს ნასაკირალის დათოვლილი ქედები, მზარმარჯვნივ აქარის მძვინვარე მთები.

— ნახვამდის ჩემო საყვარელო ქვეყანავ— ხმამალა წაილულულა ლადარიამ და ახლა კიდევ უფრო მეტის სიმძლავრით იგრძნო მარტობა და სამშობლო ქვეყნის მიტოვებით მოზღვავებული გულისტკივილი.

— ნახვამდის ნასაკირალის გადარუჯულო ქედებო! თვალწარმტაცო სამეგრელო. ვინძლო კვლავაც დაგიბრუნდე გაქცეული შვილი და ყმაწვილკაცებაში დანთებული კოცონი ხანძრად ვაქციო თანამებრძოლთა შედეგად დახმარებით. ამიტომ არ გემშვიდობები, ჩემო ჯადოსანო ქვეყანავ და მარცხით გაბზარულ გულში თან მიმაქვს მომავლის ურყევი რწმენა და იმედი, რომ კვლავ შენს კალთებზე გავინავარდებ ახალი ბრძოლის ცუცხლით ანთებული. მანამდე კი... ნახვამდის, ნახვამდის ჩემო, საყვარელო სამშობლო!

1930 წ. აგვისტო. 1933 წ. მაისი.

(პირველი წიგნის დასასრული)



უბოხანი

კომანი

ნაწილი მესამე

„მათხარა“

1

„რისთვის დასჭირდა გაზეთი დანიელ თაფლიაშვილს?“

შაული თან ფიქრობდა, თან მოხუცს ათვალეირებდა. მოხუცი გულკეთილი სახით იღიმებოდა. მოხუცი ღარიბი იყო და იღიმებოდა. უსწავლელი იყო და უცბად შაულ ათანელიშვილს გზა გადაუჭრა და გაზეთი სთხოვა.

ორივენი ფეთხაინზე იდგნენ. თითქმის მეზობლები იყვნენ, ხოლო ერთმანეთთან იშვიათად ულაპარაკნიათ. ისინი ცხოვრებაში სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ: შაული ტრამეაის სადგურზე მუშაობდა, დანიელი კი ნავთლულში „ვაკრობდა“, ხოლო ორ კვირაში ერთხელ კახეთსაც ესტუმრებოდა. შაული ურწმუნო იყო, დანიელი—მორწმუნე. შაული ახალგაზდა იყო, უცოლშვილო, ხოლო დანიელი—მოხუცი, ცოლშვილიანი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მათ თითქმის არაფერი ჰქონიათ საერთო, შაულს მაინც არ გაჰკვირვებია, როცა თავის კიშკარზე მდგარმა დანიელმა „იგი გააჩერა და გაზეთი სთხოვა.“

ნაშუადღევი იყო. შაული ბრუნდებოდა სამუშაოდან. ჯიბეში ჯერ კიდევ წაუკითხავი გაზეთები ეყყო. საჩქაროდ ამოიღო და მოხუცს გადასცა. შაულმა შეამჩნია, რომ მოხუცს სახე გაუბრწყინდა.

„რა გულკეთილია“—ფიქრობდა თვითეთული მათგანი გამოსალმებისას.

შაული ადიოდა ფეთხაინის აღმართზე და თვალეტი უცინოდა. უნდოდა წარმოედგინა თუ დანიელი როგორ გადაშლიდა გაზეთს და წაიკითხავდა.

„ნეტავი თუ მართლა დანიელი გაზეთს წაიკითხავს?“

დანიელი შევიდა ეზოში, კიშკარი მაგრად მიხურა და ნახევრად სარდაფის მსგავს ოთახში ხმამაღლა ჩასძახა:

— რუთიკო, წებო!

დაბლიდან ამოვიდა მისი ცამეტი წლის ქალიშვილი. ხელში ეჭირა ფინჯანი, რომელშიაც იყო ფქვილისგან გაკეთებული სითხე—ამას ეძახდა დანიელი წებოს.

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ №№ 1-2, 4, 5.

დურ. „მნათობი“ № 5-6.

რუთს ფეხთ არ ეცვა და კაბაც მეტად ღარიბული ჰქონდა. პატარა ბავში თავის მოლიმარი სახით მამას წააგავდა. რუთი არ იყო მიმზიდველობას მოკლებული და ტყუილად არ ამბობდნენ მეზობლები, რომ დედებზე უფრო ღამიანი დადგებოდა. რუთი მიუახლოვდა მამას და წებო აჭყენა.

— ყოჩაღ, რუთიკო! ეხლა მე და შენ ფანჯარას გავაკეთებთ. მერე ქარმა რამდენიც უნდა იმდენი იქროლოს, ზამთარში ნიაიე ღარიბ კაცს არ მოუხდება. და დანიელმა ზომის აღების შემდეგ გაზეთები რვა ნაწილად დაჰკეცა, სანახევროდ გაიშვილა მარჯვენა მკლავი, საკმაოდ უსეა წებოსა და ქალაღს, და ამის შემდეგ დანიელის ერთად ერთი ფანჯარა, რომელიც გამოდიოდა ქუჩის პირად, უკვე „მზად“ იყო.

დანიელი თავისი ქალიშვილით ჩაბრუნდნენ ოთახში. ოთახის ორი მესამედი მიწაში იყო, ხოლო ერთი მესამედით იგი ახლოს იდგა სართულთან. ოთახში იატაკის მაგივრობას დაგლეჯილი ნოხი ასრულებდა, ხოლო ქერი ისე იყო გამკვარტლული, რომ ძნელი იყო თქმა, აქ საცხოვრებელი ოთახი იყო თუ სამკედლო.

დანიელს ცოლი მოხუცი ხანა პატარა ბავშვებს აბანავებდა და შემდეგ მათ ლოგინზე სვამდა, რომ ისეც ჩქარა არ დასერილიყვნენ. რუთი უფროსი იყო; მისი მომდევნო იყო კიდევ ხუთი ბავში. რუთზე უფროსები მათ არ შერჩათ, ხოლო დანიელი და ხანა ღმერთს „მადლობას წირავდნენ“, რომ სიბერის დროს „მალალმა ღმერთმა“ მაინც ექვსი შვილი აჩუქათ!

ექვსი შვილი!

დანიელ თავლიაშვილი იყო მამა ექვსი შვილისა და უნდა მათთვის ეზრუნა დღე და ღამ, განუწყვეტლივ. განა დანიელი სიზარმაცეს იჩენდა, როცა საქმე მოდიოდა? მაგრამ რა უნდა ექნა დანიელს, როცა საქმე ჰალაატობდა ან ბენიამინ ბერიძე არ სწყალობდა?

ოთახში ელაგა ძველი დამტვრეული ნივთები, მათ შორის აკვანი, რომელმაც თაღლიაშვილებისათვის უკვე მოსკამა დრო. ჩეულებრივად იდგა კვამლი, თავის ტყვილი, პატარების ტირილი.

პატარებს უყვარდათ რუთი, ვინაიდან რუთმა იცოდა იმათი გართობა. რუთი ეხლაც ბავშვებს მიუბრუნდა, ხანა ტაშტს რეცხავდა, ხოლო დანიელმა პატარა განჯინიდან თეილიმი* გამოიღო და შეუდგა კითხვას.

— ჩამობნელდა, დანიელ — გაეხმაურა მეუღლე.

— აბა რა მექნა, გაციებებს ჩამობნელება არ სჯობდა? — უპასუხა დანიელმა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ განაგრძო: — ცოტა ხანს დავიცადოთ ხანა და ღმერთი ისე როგორ მომკლავს, ამ ოთახში ელექტრონი არ შემოვიტანო. ისრაელის მტერს, ჩვენ რო ეხლა გაცივრება გვადგია. სულ ასე ხო არ იქნება. ალბად რამეს ვიშოვი...

— შენ სულ ასე იძახი მთელი სიცოცხლე. — ოღნავ საყვედურის კილოზე უთხრა ხანამ,

— მე იმას ვაზნობ, რაც თორის ბრძანებაა. ღმერთის იმედის დაკარგვა არაა კარგი.

* თეილიმ — ფსალმუნი.

დანიელმა ამის შემდეგ ერთხანს რუთს უცქირა და შემდეგ ისევ ხანას მიუბრუნდა:

— როგორ ჰქვია, ხანა, რუთიკო არ უნდა გავათხოვო?

რუთმა გაოცებისაგან პირი გააღო

— გათხოვების დრო კია, კაცმა რო სთქვას. იმ კვირაში ცამეტისა შესრულდა, მაგრამ ჩემს რუთიკოს შემოვევლე, ყველა ოხერს ხო არ გავატან, ხოლო კაი პატრონი ჯერ არავეინ ჩანს. ალბად იციან, რომ მაგას მზითვეი არა აქვს, ხოლო უმზითვო პატარაალი იგივეა რაც უწყვერო ისრაელი.

— ღმერთი მოწყალეა—მიუგო დანიელმა და რუთს მიუბრუნდა:—შენ რაღას იტყვი რუთიკო. გინდა გათხოვება?

— მაიკო რო გავთხოვდები, რა უნდა ვაკეთო?

მოხუცმა მშობლებმა გულიანად გადინხარხარეს და სათითაოდ გადაჰკოცნეს. რუთი მიუახლოვდა მამას და ჩვეულებრივი მოღიშარი თვალებით ისევ შეეკითხა:

— ან და რისთვის უნდა ვაატანოთ ვისმე ჩემი თავი? არ შეიძლება რო კიდევ გავთხოვდე და აქ დავრჩე? უჩემოდ რას იხამენ ეს პატარები?

პატარებმა მოულოდნელად დაიწყეს ტირილი.

ამ სცენამ ისეთი გავლენა მოახდინა დანიელზე, რომ უცბად ცრემლები გადმოჰყარა. ხოლო რომ არავის შეემჩნია, მიბრუნდა გვერდზე და ქუდით შეიმშრალა. შემდეგ რუთს ხელი მოჰხვია და გულში მაგრად ჩაიკრა.

ერთხანს იდგა სიჩუმე, რომელიც მოწმობდა მთელი სიძლიერით ღარიბი ოჯახის უდიდეს გრძნობას. ამ გრძნობას ერქვა: ერთმანეთის სიყვარული. რუთმა, თუმცა შეუგნებლად და ბავშური უმანკოებით მაინც შესძლო შეხებოდა კეთილშობილი მშობლების უნაზეს სიმს; ჩამოჰქკრა მასზე და თოთქოს ამით დადგა იმ ბნელ ჩვეულებისა და ადათების ზევით, რომლებიც მოითხოვენ, რომ მშობლებმა თავისი ქალიშვილი უნდა გაათხოვონ.

ხანამ, თითქოს იმისათვის, რომ დაერღვია ასეთი განწყობილება, კიდობანის მსგავს ყუთიდან ერთი ნაჭერი შავი თორნის პური ამოიღო, დაჰყო ხუთ ნაწილად და ბავშვებს დაურთო.

დანიელის თვალები ძლივს ერკვეოდნ თელიმის სტრიქონებში, მაგრამ სათვალეების ფული მას არ ჰქონდა და ძველებურად შეჩვეულ სტრიქონებს კითხულობდა ზეპირად, ხოლო თავს ატყუებდა, თითქოს იგი წიგნში კითხულობდა.

ზმირად გადახედავდა თავის ცოლშვილს და იმ დროს, როცა ხანამ ბავშვებს პური დაუნაწილა, ვეღარ მოითმინა და ამოკენესით წაიბუტბუტა:

— ეჰ შამაი, შამაი...

ხანამაც გაიმეორა:

— შამაი, შამაი...

ხოლო რუთმა გადაჰხედა უნცროსებს და რატომღაც, მასაც, აღმოხდა იგივე სიტყვა:

— შამაი...

შამაი თაფლიაშვილი დანიელის უნცროსი ძმა იყო. იგი ერთხანს ცხოვრობდა რუსეთში, ერთი ებრაელის ოჯახში. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ებრაელთა დევნა გაძლიერდა. ეს ოჯახი გადასახლდა ამერიკაში. შამაის

იმდენად შეეჩვიე, რომ მისი მოცილება არ ისურვეს და თან წაიყვანეს. ამერიკიდან დანიელმა სამი თუ ოთხი წერილი მიიღო. ერთხელ—ოცი დოლარიც-მსოფლიო ომამდე—კიდევ ერთი სურათი, სადაც შამაი იმდენხან ჯანსაღი იყო, რომ პირველად მის შემხედავს დანიელს გული წაუჭიდა. ამ სურათში შამაი წვერგაპარსული იყო, პირში რაღაცნაირი მოკაკული ყალიონი ედო, ტანთ ძვირფასი კოსტიუმი ეცვა და ამასთანავე რბილ სავარძელში იჯდა.

სადღა იყო ცხინვალელი ებრაელი, ოდესღაც ფეთხანის მცხოვრები შამაითაფლიაშვილი? იგი გაჰქრა და მის ადგილზე ვიღაც სხვა კაცი იყო, რომელსაც ამიერიდან ერქვა: მისტერ ტაპ.

შამაი თაფლიაშვილი და... მისტერ ტაპ!

„რა უცნაური ქვეყანა ყოფილა ეს ამერიკა, სადაც ადამიანებს თავისი გვარისაც რცხვენიათ“—რამდენჯერ გაუფიქრია დანიელს.

ემიმებოდა, მაგრამ მაინც შამაის სურათი საწოლის თავზე ჩამოაკიდა. როცა წივებოდა, ცდილობდა მისთვის თვალი მოერიდებინა.

მსოფლიოს ომის დაწყების შემდეგ შამაისგან ცნობები აღარ მოდიოდა. ერთხანს ეგონა, რომ მსოფლიოს არ გაგონილ ჰქონდა შამაიმაც სადმე სული განუტევა. მაგრამ შემთხვევით ერთი მდიდარი ქართველისაგან, რომელიც მენ-შეიკების დროს ამერიკიდან ჩამოვიდა, დანიელმა გაიგო, რომ მისი ძმა ძალიან გამდიდრებულიყო. ეს გარემოება ძალიან ახარებდა დანიელს, ვინაიდან იგი მას შემდეგ გულისფანცქალით, ჩუმიად გულში ყოველთვის ელოდა შამაის ფულად დახმარებას.

ელოდა. გაჰქროლა ცხრაას ოცმა. ოცდა ერთმა. იღვოდა ოცდაორიც.

დანიელი ჰგზავნიდა წერილებს, სწერდა თავის გაჭირვებას, ვალების, რუთის მზითვის შესახებ.

ატლანტის ოკიანეს იქით დანიელ თაფლიაშვილი არავის ახსოვდა: პასუხი არ მოდიოდა. ხოლო დანიელმა თითქმის ყოველგვარი იმედი დაჰკარგა და როცა ხანდახან მოაგონდებოდა და გულზე მოაწვებოდა, იგი არასოდეს ძმას არ მოიხსენიებდა ცუდად, მაგრამ თავისთვის მწარე ამოკენესით წაიბუტბუტებდა:

— ეჰ შამაი შამაი...

თელიმის სტრიქონების ზევით დანიელს მაინც თვალწინ უდგა თავისი ძმა, რომელიც ოდესღაც მისსავეთ გულკეთილი იყო, მისსავეთ გაჭირვებული-სათვის გულშემატკივარი.

„ნუ თუ გაჰქრა ყოველივე და ძმამ დაივიწყა ძმობა? დალხინებულმა გაჭირვებული? შამაიმ—დანიელი? ნუ თუ ის ცოცხალია და ყოველივე ეს მართალია? არა, არა“. ასე ჰფიქრობდა დანიელი და, იმედ დაკარგული, სადღაც გულის სიღრმეში მაინც აძლედა შორეულ ძმას პატარა კუთხეს, ნათელ აზრს. უიმედო დანიელი მაინც ელოდა, ხოლო ელოდა თავისთვის და ხანას ამ აზრს აღარ უზიარებდა. სულ ერთია, ჰკაჟადმყოფები ადამიანი არ დაუჯერებდა, ხოლო დანიელს, მიუხედავად დაკარგული იმედისა, ხელში თელიმი ეჭირა, რომელშიაღაც დიდი და შავი ასოებით ეწერა: აშრე ამაამინ*.

* აშრე ამაამინ—„ნეტარ არის მოაწმუნე“.

და მასაც სწამდა.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ გარედ ვილაყამ დაეძინა ხმაველია:
— დანიელ თაფლიაშვილი!

დანიელი გარედ გამოვიდა.

— ჩაიბარეთ უწყება და მოაწერეთ ხელი.— უთხრა ეზოში შემოსულმა.

— მე წერა არ ვიცი.

— აბა ხაზები ჩამოუსვი.

დანიელმა რაღაც ირიბული ხაზები გააელო. დარჩა მარტო თავისი უწყე-
ბით. გული უფანცქალებდა, ხანასაც და რუთსაც გადაედოთ მისი გულის ძგერა.
„ნეტავი რა უნდა იყოს“—ჭეჭრობდა ყოველი მათგანი და ამ ფიქრში
იყო შიშნარევი სიხარული და გაუბედავი იმედის ნაპერწკალი შამაის სახელთან
დაკავშირებით.

დანიელმა მწუხარედ გადააშედა რუთს. თავისთავს უსაყვედურა: ნეტავ მა-
გისტვის მაინც მესწავლებინოს წერა-კითხვაო. შამაის სახელი მოსვენებას არ
აძლევდა,

— ეხლავე, ხანა, ეხლავე გავიგებ რაც არის და მალე დავბრუნდები.

დანიელი თითქმის გამოვარდა სახლიდან, ჭიშკარი ისევ მაგრად გამოიხუ-
რა და აპყვა ფეთხაინის აღმართს. ერთ პატარა დაბალ სახლთან შეჩერდა. რა-
მოდენიმეჯერ გაიარა წინ და უკან, შემდეგ გაბედა და შესძახა:

— შაულ!

შაულ ათანელიშვილმა ფანჯარა გამოაღო და მოხუცი შინ შეიპატიცა.

— ამობრძანდი დანიელ!

— მე ისე... ერთი წუთით... უნდა შეგაწუხო.

დანიელი მაინც შინ შეიწვია. დანიელი გარშემო არ იცქირებოდა. მას
შხოლოდ ერთი სახელი აღელვებდა: „შამაი“.

— ჩემო შაულ, წამიკითხე, რა სწერია ამაში—და დანიელმა უწყება გაუ-
წოდა.

შაული გაოცებული დარჩა.

— როგორ, ძია დანიელ, შენ წერაკითხვა არ იცი?

დანიელმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა გაზეთი... რაში დაგჭირდა?

— სიცივეა. ქარია. შუშის მაგიერ... ფანჯარაში... და ველარ დაათავა. გა-
წითლდა.

შაული მიუხედა და თვალები უწყებას მიაპყრო.

რას გრძნობდა ამ დროს მოხუცი დანიელი? წუთები მას საუკუნედ გადა-
ეჭა და გული საგულეში აღარ ეტეოდა.

„შამაი“—არ ასვენებდა დანიელს.

— ჩქარა, მამაშვილობას, წამიკითხე, რა სწერია შიგ.

და შაულმაც, მეტად უხალისოდ წაუკითხა:

„მოქალაქე დანიელ თაფლიაშვილს. ტფილისის პირველი უბნის სახალხო
სასამართლო გადალებით გამოცხადდეთ ამ თვის 17-ში როგორც მოპასუხე მო-
ქალაქე ბენიამინ ბერიძის სამოქალაქო სარჩელის საქმეზე“.



ოცდნობი წლის შაული ოცდაათისას ჰგავდა.

შაული ბავშობიდანვე დაჭირავებული შრომით მუშაობდა. მუშაობის სხვადასხვა საფეხურები: შიკრიკი მეფხოვე, სიბინძურისა და წინააღმდეგობა ჭრთხელ-ნოქრის თანაშემწეც. არ ახსოვდა მხოლოდ თარიღი, თუ როდის დაიწყო მუშაობა. არ იცოდა რას ეწოდებოდა: დედის ალერსი, მამის ღიმილი, და-ძმები. დედ-მამა ადრე დაეხოცა, და-ძმანი არა ჰყოლია და ათ წლამდე იზრდებოდა ქვირთ ბიკოლასთან. უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ დარჩა პატარა გაფხევილი ოთახი და მყვლეფელთა საექსპლოატაციოდ გამზადებული ნორჩი მკლავები.

რამდენი ახსოვს დედის გინება, მუშტები კეფაში, პანდურები რბილ ნაწილში და თან: „ობოლი! ოხერტიალი! ქვეყნის სათრევი!“

გაკვივრებამ, შიშშიღმა, უსამართლობამ იმ თავითვე გამოსქედა შაულის მძიმე ნებისყოფა. თუთხმეტი წლის შაული უკვე ოცი წლისა მიაჩნდათ.

გასაბჭოებას შეხვდა ცნობის მოყვარობით. არ სჯეროდა იმ ხალხისა, ვინც ახალ მთავრობაზე ცუდს ამბობდა. „განა შაულზედაც ცუდს არ ამბობდენ? განა ვველაფერი დასაჯერებელია?“

გასაბჭოება შაულისათვის მოხდა. ერთმა უცნაურმა შემთხვევამ მისი ბედი მოულოდნელად ახალი მიმართულებით წარმართა.

უკანასკნელად ერთ ვაჭართან მსახურობდა რომელიც მიემგზავრებოდა ბათუმისაკენ. შაულმა ზას ნივთები წაუღო ზურგით სადღურამდე. გააცილა „ხაზინი“, ისევ ფეხით ბრუნდებოდა შინისაკენ საშინელ დაღლილობას ჰგონობდა და უცბად—თვითონაც არ იცოდა როგორ მოხდა—გაქანებულ ტრამვაის შეახტა. კონდუქტორმა შეამჩნია და პირველ გასაჩერებელთან—ეს იყო ტრამვაის სადგური—გადმოსვა და გადასცა მორიგეს დასაჯარიმებლად. შაულს არ ჰქონდა არც ფული და არც პირადობის მოწმობა.

— აბა ციხეში გაგზავნი—უთხრა მორიგემ.

— რისთვის, ძია? არაფინ არ უნდა მაქმაროს ჩემი გაკვივრება და ობლობა?

ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ მორიგეს იგი შეეცოდა. დაუწყო გამოკითხვა თუ სად მუშაობდა. ლაპარაკის შედეგად შაულ ათაწლიანი ვაჭარების მრეცხავად შტატში ჩარიცხეს.

უახლოესა დღეებმა ცხადპყვეს მისი ნიჭი, უნარი, პატიოსნება. და შაულიც სამართლიანად აღიოდა ზევით: მრეცხავი, მეისრე, კონდუქტორი, ვატიმანი, უკანასკნელად—ინსტრუქტორი.

განულო სხვადასხვა კურსები და დაეწაფა თვითგანვითარებას.

მიუხედავად ამისა იგი ცხოვრობდა ფეთხაინზე. ხოლო ფეთხაინს ჰქონდა თავისი კანონები, რის გამოც შაულ ათაწლიანი შვილისა და ლეთის შორის ჯერ კიდევ არსებობდა ნორმალური ურთიერთობა.

მართალია, მორწმუნეთა კულისებში შაული უკვე ჩარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებში, მაგრამ ამ დროს შაული მხოლოდ ერკვეოდა ამ საკითხებში.

ყოველი ახალი დღე მას მიუთითებდა უჯრედისაკენ რასაკვირველია შინაგანი, ბრძოლა დაიწყო. და საკითხი იდგა ასე:



„ტრამევი თუ ღმერთი? პარტია თუ ფეთხაინი“?

შაულმა იცოდა: ვაიმარჯვებდა ტეხნიკა, პარტია. მისი აზრი განსმტკიცდა ახლად შეღებილმა სალოცავმა, სადაც შაულმა ვარი განაქმნა — შუქირულემაზე, რის გამოც მრავალთა რისხვა დაიმსახურა. სალოცავის მსგავსურებს, ცხადია, არც მისი სიტყვა მოეწონათ და იმ დღის შემდეგ საბოლოოდ გადარიცხეს „კომუნისტებში“.

ამეამად კი აღარ მოტყუდენ: შაულის განცხადებას უჯრედის დიდი ხანია მოელოდა და უფრო მეტიც: აღფრთოვანებით შეხვდა. უჯრედს მიემართა ახალგაზრდა პარტიოსანი ებრაელი მუშა შაულ ათანელიშვილი. ამხანაგები ულოცავდნენ და საიუშაოს დასრულების შემდეგ, სადილის დროს ჭიქებიც მიაკაკუნეს. ნასადილეფს შაულ ათანელიშვილი ისევ ადიოდა ფეთხაინის აღმართზე, როცა შევიდა თავის ოთახში, კალენდარზე თვალი მოჰკრა 17—რიცხეს, და უნებურად შეჩერდა.

„17“?

რისთვის ჩამრჩა თავში ასე მაგრად ეს რიცხვი? — შაული უკვე წამოწოლილიყო თავის ღარიბულ ლოგინზე და ჰფიქრობდა.

გარედ თოვდა. ოთახშიაც სიცივე იყო, ხოლო შაული ვერ ჰგრძნობდა ვერც ერთს და ვერც მეორეს. ჰფიქრობდა ტრამევიზე, უჯრედზე, მომავალზე. შაულისა და ფეთხაინის შორის ისახებოდა ახალი საზღვარი. როცა დღეს ფეთხაინის აღმართზე ადიოდა, ჰგრძნობდა, რომ ამიერიდან მას ზურგი იაგარი ჰქონდა.

ბრძოლა დასკირდებოდა, ბრძოლა გამწვავდებოდა — ყოველივე ეს იცოდა. მაგრამ ეს რიცხვი „17“ რაღა არის? დაბრუნება ფეთხაინთან? დღეს უნდა შემდგარიყო სასამართლო ბენიამინ ბერიძისა და დანიელ თაულიაშვილის შორის. ერთი მხრით — ბენიამინ ბერიძე, რომელმაც მთელი ცხოვრება სასამართლოში გაატარა, ასობით უწარმოებია სამოქალაქო სარჩელები და ხუმრობით თვითვე უწოდებდა თავის თავს „პრაქტიკულ იურისტს“, ხოლო მეორე მხრით დანიელ თაულიაშვილი, უსწავლელი და ღარიბ-ღატაკი, რომელმაც არც კი იცის სად არის სასამართლოს კარები“.

„ორივეს — ვაჭარი ერქვა. მაგრამ ერთი მდიდარი იყო, მეორე ღარიბი. არ შეიძლებოდა მათი სხვადასხვა სახელებით მონათვლა?“

„დანიელს, ცხადია, პრაფეოი ემართა, მაგრამ ბენიამინს, როგორღაც ჯიბეში ედო დანიელის ჯვრებჩამოსმული თამასუქი, რის გამოც კანონი ძალა უნებურად უსამართლობის მხარეზე უნდა დამდგარიყო“.

„შენ ხომ შეჰპირდი“ შაულ, რომ სასამართლოში მიხვიდოდი?“

„მართალია, ვერ შესძელი, მაგრამ ხომ გაუცრუე იმედი გულკეთილ და ღარიბ დანიელს?“

და შაულს გულმა აღარ გაუძლო, უნდოდა ჩქარა გაეგო დღევანდელი დღის ამბები, სასწრაფოდ წამოხტა, გამოვიდა თავის ოთახიდან და თავდაღმართზე დაეშვა.

დანიელ თაულიაშვილი შინ არ დაუხვდა. ხანა და რუთი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ათვალეგრებდნენ შაულს. შაული კი არ ცხრებოდა, მაინც და მაინც ეხლავე უნდა გაეგო:

— დედაშვილობას, სად იქნება ეხლა ძია დანიელი, საჩქარო საქმე მაქვს არ იშლიდა.

ნათან ჯანაშვილი როა, ჯგელი ბიჭი, იმასთან წავიდეს?

— ვინ ნათახია?

— როგორ არ იცი, ისხაქის ნათანი. ნასწავლი ვაჭი ყოფილა. მამა მისი ამ ოცდაორი წლის წინეთ ცხენვალში ცხოვრობდა, შენ არ გეხსოვება, მაგრამ მე კი მახსოვს. ერთ დროს ისაქ ჯანაშვილი და ჩემი მამაკაცი ძალთან ძმობასა და მეგობრობაში იყვენ, მერე ისხაქი რაქაში გადასახლდა.

შაულს ბრაზი მოსდიოდა. ხანას ბოლო სიტყვები რიგიანად ვერც კი გაიგო.

— მე ნათანს გეკითხები, ისხაქს კი არა.

— ეხლა მე რა ვქნა, შენ თუ არ იცი მთელმა ქვეყანამ იცის ვინაა ნათან ჯანაშვილი. იმ კვირაში ბენიამინ ბერიძეს ჩაუშხამა ნიშნობა. ყებრა შათაშვილი დოკლამბისავეთ მდგარა. თურმე ნათანსა და ესთერს ერთმანეთისთვის სიტყვა მიუციათ და...

შაულს გაახსენდა, რომ ამას წინეთ ძია დათო უამბობდა ამ ამბავს. გამოვიდა გარედ და უნებურად სალოცავის აიენისაკენ გაიხედა. ძია დათოს ცოცხი ეჭირა და დაფუსფუსებდა. დაუძახა, გამოკითხა მისამართი.

— ძია დათო რის ძია დათოა, თვითონვე არ გეახლოს როგორ არ ვიცი მისამართი? ჩემი საუკეთესო ნაცნობია. ძლიან ვუყვარვარ, წავიდეთ.

ძია დათოს ცოცხის შენახვაც დაავიწყდა, პალტოს კალთით ცხვირი გაიწმინდა, ქუჩისაკენ გააფურთხა და შემდეგ ამაყად წინ გაუძღვა.

დანიელის გული სავეც იყო ბოღმით და სევდით, მაგრამ უცნაური ის იყო რომ მის სახეზე ძნელი იყო რაიმე ცვლილების შემჩნევა. დანიელი ყოველთვის იღიმებოდა სიხარულის თუ გაჭიერების წუთებში. ბუნებრივი ღიმილი, რასაც ხელს უწყობდა მისი წითელი ლოყები, ეხლაც შეცდომით ასახავდენ დანიელის შინაგან განწყობილებას.

დანიელი შესტკეპროდა ნათანს და იღიმებოდა, ხოლო ნათანს არ ესმოდა რა აღიმებდა ამ უბედურ ღარიბს, ამ უიღბლო მოხეტს.

ნათანი ნერვიულად დადიოდა თავის ოთახში და ჰგონებდა, რომ პატარა ფართობი ახრჩობდა მას, ვერსად ადგილს ვერ ჰპოულობდა და თითქოს სული ეხუთებოდა. მთელი თავისი შინაგანი ბუნებით განიცდიდა სივრცის ნაკლებობას, ხოლო კალენდარზე 17 რიცხვი იგივე იყო მისთვის, რაც ცეცხლისათვის ნავთი. იგი დადიოდა წინ და უკან ოთახში, მერე მიუბრუნდა კალენდარს ჯერ დასწერა მის ქვეშ რალაც გაურკვეველი, შემდეგ ამოაგდო მთლიანად 17 რიცხვი და ნაკუწნაკუწად აქცია, ამის შემდეგ გაჩერდა თანჯარასთან და დაიწყო პირდაპირ ცქერა, რომ მორიდებოდა მოხეტცი დანიელის უაზროდ მოცინარე სახეს.

ღამდებოდა, ნათანის თავში კი ჯერ ისევ დილა იდგა. დილა და მერე როგორი დილა!

— რამდენი უნდა იცოცხლოს ნათანმა რომ ეს დილა, უკეთ—მე დილინ-
დელი ამბავი დაავიწყდეს?“

და ერთხელ კიდევ გაიშალა მის წინ ეს პატარა და იმავე დროს მისთვის
დიდი და მრავალმნიშვნელოვანი შემთხვევა;

„მიდიოდა სასამართლოში ადრე დილით. ნათანი საერთოდ ბეჭდისა არ
იცის დაგვიანება. მით უმეტეს ეხლა: სასამართლოს პრაქტიკანტია, დღეს ბლო-
მალა და ნიშნული სამოქალაქო საქმეები. ნათანის თეორია მდიდრდება პრაქ-
ტიკით. რამდენი აბურდული საქმეებია სასამართლოში! რამდენი საინტერესო
ამბავი! რარიგ მდიდარი დეტალებია! სახალხო მოსამართლე უკვე მოსულია,
აქვე სახალხო მსაჯულიც, აკლია ერთი მსაჯული. უცდიან იგვიანებს. იგვიანებს,
მაინც უცდიან. დრო მიდის, საქმეები ისედაც გაქიანურებულია, ხოლო მეორე
მსაჯული ავადმყოფობის გამო ვერ მოვა. მორივე მსაჯულიც არ არის და—
საბედნიეროდ თუ საუბედროდ—მოსამართლე მიუბრუნდა ნათანს: ჯანაშვილი!
თქვენ იქნებით დღეს მეორე მსაჯული. თქვენი პრაქტიკისთვისაც კარგია“. გა-
ვიდენ პატარა ოთახში და გამოვიდენ. დარბაზი ფეხზე ადგა ნათანი ახალგაზ-
რდა და რკვვენია, არ იცქირება გარშემო. დასხდენ. დაიწყო საქმეები. ერთი,
ორი, სამი... გამოდიან მომზივანი მ. პასუხენი, დამცველები. ექსპერტები.

„და უცბად—ნათანს არ სჯერა—მოსამართლე აცხადებს ნაცნობ გვარებს:
„გაირჩევა სამოქალაქო ძიება ბენიამინ ბერიძისა დანიელ თაფლიაშვილისადმი“.
ნათანს თითქოს თვალთ დაუბნელდა. სიზმარია? არა, ცხადია მაგიდას მიუახ-
ლოვდა ერთი მხრით გულკეთილი, მოლიმარი დანიელი, ხოლო მეორე მხრით—
ბენიამინ ბერიძე თავისი ცნობილი მწვანე ფერის თვალებით. ოჰ, რა რიგ იც-
ნობს ნათანი ამ თვალებს! უცქერიან ერთმანეთს და უფსკრულს აღრმავებენ.
ნათანი მსაჯულია მაგრამ მისი სკამი ირყევა. ნათანი არ არის ცრუმორწმუნე,
მაგრამ გული მაინც უძვრს. „რალაც მოხდება“—ჰფიქრობს, „მაგრამ რა?“ მო-
სამართლე უკვე გადაშალა საქმე № . . და უნდა გააცნოს მსაჯულებს ძიე-
ბის მოკლე შინაარსი, რომ ამ დროს ბენიამინ ბერიძე მიიწევს უფრო ახლოს
მოსამართლეებთან და იძახის: „აცილებს მაქვს“. „აცილებს?“—ჰკვირობს და-
რბაზი, მოსამართლე, მსაჯული. დანიელი. „აცილებს?“ — უტვრის გული
ნათანს და არა მარტო გული. ასე ჰგონია სასამართლოს მაღალი ქერი ჩამოინ-
გრა და თავს დაეცა. „ვისი წინააღმდეგი ხართ?—ეკითხება მოსამართლე და
ბენიამინ ბერიძე: უთითებს ნათანზე და უპასუხებს: „აი, ამ ყმაწვილის, ნათან
ჯანაშვილი რო ჰქვია. სადაური მსაჯულია! ძალით უნდოდა ჩემი ქალიშვილის
შერთვა და ამ კერაში შინიდან პანდურის კერით გამოვავდე. ეხლა მე ეგ რა
ხეირს დამყარის. ვთხოვ პატივცემულ სასამართლოს ამა და ამ მუხლის ძალით
და სხვ“.

ნათანს მისი უკანასკნელი, სიტყვები აღარ ახსოვს, სისხლი აუღულდა
და დარბაზს ეგონა, რომ ლოყებიდან გაღმოსკდებოდა. გვიან მოაგონდა, რომ
დანიელ თაფლიაშვილმა უშუამდგომლა: „თუ შეიძლება დატოვეთ. პატიოსანი
შამის შვილია. მაგისი მამა ჩემი კარგი ნაცნობია“. დარბაზს სიცილი წასქდა.
სასამართლომ დააკმაყოფილა ბენიამინ ბერიძის შუამდგომლობა და გაწითლე-
ბული ნათანი მსაჯულის სკამიდან დაბლა, უბრალო მყურებლად გადავიდა.
ცნობისმოყვარე ხალხი სკამდა მას თვალებით ბენიამინი ზეიმობდა გამარჯვებას,

ხოლო დანიელი ილიმებოდა თავის უბედობაზე. ნათანს ბუნდოვანად ახსოვს ამის შემდეგ საქმის მსვლელობა: ბენიამინს ხელთ რალაც თამასუქი ეჭირა ლაპარაკობდა როგორც ხშირი სტუმარი ამ დარბაზისა („სტუმარმა მანქარებულვარ“ — მისი საყვარული სიტყვაა), მიუთითებდა რალაც ვაკუნზე და ასახელებდა ასეულ მანეთებს. დანიელი ილიმებოდა ვაფითრებით, ერთი-ორი სიტყვა ძლივს წაილულლულა და საკითხი ამოიწურა. გაწყვეტილება იქნებოდა 2—3 ლის შემდეგ, მაგრამ ეს სულ ერთი იყო: დანიელს გადაახდევინებდნენ მაძიების სასარგებლოდ რალაც უკვე დასახელებულ და განსაზღვრულ თანხას.

ამის შემდეგ მოსამართლენი გადავიდნენ შორივ საქმეებზე. ვილაცა ვილაცას უჩიოდა ქვეშაგებს, უთოს, ძველ გრამოფონს. ნათანი გამოვიდა დარბაზიდან, საჩქაროდ ჩავიდა კიბეზე. ქუდი ჩამოიფხატა თვალებზე და ქუჩაზე თითქმის სირბილით მიდიოდა. ნაცნობებს უცქერდა შორეული თვალებით და სალამსაც ვეღარ ახერხებდა. ათ წუთში მიიღბინა თავის პატარა ოთახში, ხოლო, ეს ათი წუთი მისთვის ათ წელს უდრიდა. დაავიწყდა საუბრე, სადილი, ლექციები, ამხანაგები, თავი ჩაჰყო ლოგინში და პატარა ბავშვივით ატირდა. ნათანი სტიროდა, დიდხანს სტიროდა. ცრემლი იღვრებოდა განუწყვეტლივ. არ ახსოვს რამდენ ხანს გაგრძელდა მისი გულის ასეთი აჩვილება. ეს პირველი იყო მის ცხოვრებაში. შემდეგ მას ასე ჩაეძინა: ოდნავ ჩამოჯდარი, ოდნავ წამოწოლილი თავჩაღებული. ძილში მას უცნაური უემური დასდევდა. უნდოდა გაღვიძება და დიდხანს ვერ ახერხებდა. როცა გამოეღვიძა, წინ მოხუცი დანიელი შეამჩნია. ეხლა მიხვდა, რომ მას კარებიც არ დაუკეტია. დანიელი რალაცას ლაპარაკობდა ჩვეულებრივ ტკბილად, ალერსიანად. უცქეროდნენ ერთმანეთს და ორთავეს ეცოდებოდათ ერთმანეთი. ორთავეს აწუხებდათ დილის ამბები, მაგრამ მაინც არ იყო შესაფერი სიტყვები. ნათანი დადიოდა, ნერვიულობდა, ხოლო დანიელი უსიტყვოდ ილიმებოდა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ასე დაღამდა. და ნათანიც შეხვდა დაღამებას ფანჯარასთან, დაღამებული გულით.

სიბნელის ლანდი აეტუზა მას წინ და დაავიწყდა, რომ ცივ ოთახში მის გარდა კიდევ თბილი გრძნობით აღსაესე, მოხუცი დანიელი იყო.

— ნეტავი ისხაქს თუ კიდევ ვახსოვარ—გამოეხმაურა მოხუცი.

— როგორ არა, ყოველ წერილში მოკითხვას იწერება—გამოერკვა ნათანი.

— იმას ვენაცვალე, ის არის ნამდვილი ისრაელი.

დილოგი ცოტა ხანს პაუზამ შესცვალა, ხოლო სიჩუმესა და სიბნელეში რალაც უცნაური შიში იყო. ნათანმა ანთო სანთლები და თან მოხუცს შეეკითხა:


— საიდან გადაიხდი ძია ამ ფულს?

— რა ვიცი... ისრაელის მტერს ეს ამბავი! ყველაფერს გამიყიდნიან... კოლშვილს დამიგირავენ... მეც სამარეში გამგზავნიან...

— გული არ გაიტეხო, გავასაჩივროთ, შევაჩივროთ.

— ეჰ, შეილო, რას ნიშნავს რო ახალგაზრდა ხარ! ბენიამინმა ზეპირად იციის სულის ყველა კანონები. ჯერ კაცის შეილისთვის კაპეიკი არ შეუწყვია. რაც ვეჭილებია, ყველას ბიძაშვილია. ვერ დაინახე რა საქმე გიყო ამ დღლაზე? არა, ნათან ღმერთის მეტი ჩემი მშველელი არ არის.

— ბევრთან აქვს საქმეები სასამართლოში?

— ბევრთან. ჩვენ ხალხში ორ ოჯახზე ერთი მაინც მწვანე მოკლეა. როგორც ვთქვამდები, ბენიამინიც სასამართლოში მიდის და თვითონ როგორც ვთქვამდები, ასე იტყვის: „ის დღე ამოვარდა მე როგორც სულში არ წავიდეთ“.  „ნათანჯან, ძალიან უყვარს სულში.“

— ასე თუა და... ძალიან მაკვირებს თქვენი ხალხის საქმე. ყველას თუ ვე უჩივის, როგორ მოხდა, რომ ვაყად—მაკვილის თავმჯდომარედ მაინც ვე აირჩიეთ?..

— ჯერ სხვა ძალა არ არის.—უბასუხა ამოოხვრით დანიელმა.

ნათანმა კი რამოდენიმეჯერ გაიმეორა თავისთვის: „ძალაა საქირო, სხვა ძალა, ახალი ძალა“.

დააკაუნეს. ძია დათო შემოუძღვია შაულს. შიიწ-შიიწიეს. როგორც იყო მოთავსდნენ. ნათანმა იცნო შაული და კმაყოფილმა უთხრა:

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხველით. მე თვით მინდოდა თქვენი გაცნობა მას შემდეგ, რაც მოვისმინე თქვენი სიტყვა ლოცვის შედეგის დროს.

— როგორ, შენც ამ ურჯულოს მხარეზე ხარ?—ჩაერია ძია დათო.

— აბა რა შენი საქმეა, ძია დათო, ახალგაზრდების საქმეში როგორ ვიცი? თვითონ იციან—ველარ შეიკაეა თავი დანიელმა.

— როგორ წავიდა დღეს სასამართლოში საქმე?—შეეკითხა შაული.

დანიელმა უამბო ყველაფერი. გაბრაზებული ძია დათო იწყველებოდა:

— ღმერთმა ამოწყვიტოს ბენიამინ ბერიძის მთელი ოჯახი თავისი სიძე—ყვბრათი. ნათქვამია: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩაბო. რა ხალხიც არიან, ხო ვიცით და მაგათი ქალიშვილი რა იქნებოდა. შენე თავი არამი იყო მაგათზე. შენ ოქრო ხარ, ნათან, გული არ გაიტეხო. ყვბრა კი... ვინ ოხერია? კაცს ხომ არ შერაცხვება და ჩემს ამდენი ხნის ნაწვალ-ნაფაგლანებს შესკამს...

— კარგი ახლა, ძია დათო, სულ შენ ჯამაგირს ხო არ უნდა მოუნდეთ. ვერა ხედავ, ბენიამინ ბერიძე აგერ უსამართლოდ ახრჩობს ძია დანიელს. ცოტა ამ კაცზედაც გვალაპარაკე—ჩაერია შაული.

— ილაპარაკეთ. მერე განა მე ხელს გიშლით? მეც ის მტკივა, რაც ღმერთმა კაცს აწუხებს. უბასუხა თავის გასამართლებლად ძია დათომ და როცა შეაბტყო, რომ ღმერთმა მაინც ვერ ყალიბდებოდა, მიმართა ძია დანიელს:

— შენ რაღას იტყვი!

— ისა სჯობია, ვხა ახალგაზრდებს დაულოცოთ და ერთმანეთში უფრო კარგად ჩამოილაპარაკებენ. თქვენ რამე გამომიწყეთ და ჰკუა დამარიგეთ. ვიღას უნდა მივმართო თუ თქვენ არა? ხვალ კიდევ ვინახულბთ. წავიდეთ დათო!

— წავიდეთ დანიელ!—მიუგო ძია დათომ, მაგრამ მეტად უხალისოდ.

გარედ გასვლისას მაინც ველარ მოითმინა:

— მამაშვილობას, დანიელის საქმე რომ გამოაწყეთ, მეც არ დამივიწყეთ. ნუ შეარჩენთ, მდიდრებს ჩემს ნაშრომს. ღელ შალომ!

გაიღიმეს. ძლივს მარტო დარჩენ. სანთელი ბეუტაედა მეტად მკრთალად და მალე ჩაქობას იშუქრებოდა.

ნათანმა მოძებნა ახალი სანთლები და თან თავი იმართლა:

— ვერ მოვასწარი სინათლის ფილის შეტანა და გადამიკრეს.

— ეგ არაფერია — ანუგეშა შაულმა — მთელი ჩემი ცხოვრებაც უსინათლო ოთახში გავატარე. მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და ჩემს ცხოვრებას შემიღებინა დიდი სინათლი.

— მე ახლაც მაგონდება თქვენი გულწრფელი სიტყვები იმ საღამოს ხალხს რო მიმართეთ, რომ ხელი აეღოთ შეწირულებაზე.

— რა გამოვიდა! — სალოცავი მაინც შეღებეს.

— ვისი ფულით?

— დანიელ თათლიაშვილისა და მასზე კიდევ უფრო ღარიბების ფულით.

— ნუ თუ ქვეყნად სამართალი აღარ არის?

— სამართალი საბჭოთა ხელისუფლებაა, მაგრამ საუბედუროდ ფეთხაინი ძველისა და ახალი ქვეყნის საზღვარია. საბჭოთა მზე ჯერ კიდევ ვერ შემოიჭრა ჩვენში.

— ბრძოლაა საჭირო.

— ვიცი.

— ეიბრძოლოდ ერთად.

— ვინ? ჩვენ ორმა?

— არა. მე კიდევ მყავს ამხანაგები.

— რამდენი კაცია?

— შვიდი.

— ვინ არიან ისინი?

— ჩემსავით სტუდენტები.

— სტუდენტები განათლებული ხალხია. ეს ძალიან კარგია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

შაულმა თითქოს გაუბედავად შეხედა ნათანას და პასუხის ნაცვლად შეეკითხა:

— თქვენ პარტიელი ხართ?

— არა.

— თქვენს ამხანაგებში რამდენია პარტიელი?

— არც ერთი.

— ეს კი ძალიან ცუდია. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ არის რომ თქვენ ასეთი განათლებული ხართ, ჩვენი ხალხისთვის გინდათ რაღაც კარგი გააკეთოთ და ამაზე დროს გვერდს უვლით კომუნისტურ პარტიას.

— ეგ პრინციპიალური საკითხია, ეს მსოფლმხედველობის სა-შეა, არ არის საჭირო ამ ორი საკითხის ერთმანეთში არევა.

— მე კი მგონია, რომ ძალიან საჭიროა. რისთვის უნდა იყოს საერთოდ ყველგან კლასობრივი პრინციპი, ხოლო ჩვენში კი ეროვნული?

— განა ჩვენც ღარიბების ინტესესებს არ ვიცავთ?

— თვენი ამხანაგები ყველანი ღარიბებია?

ნათანამ ტუნჯე იკვნიტა და უსიამოვნოდ უპასუხა:

— არა.

— აი ამაშია საქმე. მე ძალიანი ნასწავლი არა ვარ, მაგრამ წიგნებს და გაზეთებს კი ძალიან ვეკანები. არ მახსოვს რომელ წიგნში წავიკითხე რომ ხშირად ინტელიგენცია დაბნეული გზებით დადისო. ეს მართლაც ინტელიგენციის ერთი აიხსნება, რომ მდიდარი და მდიდრის შვილები ღარიბების ინტელიგენს იცავენ? ორში ერთი: ან თავის თავს ატყუებენ, ან სხვებს ატყუებენ.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

ნათანის თვაწინ მირბოდა სათითაოდ ყოველი ამხანაგის სახე და გულისტკივილით ეკითხებოდა თავის თავს: ნუ თუ ამ ახალგაზრდა მუშის პირით სიმართლე ღალატდება? მაგრამ მეორე მხრით საკითხის ასე დაყენება ჰქმნიდა გაუვალ მდგომარეობას და ნათანიც ამაზე შეჩერდა:

— გამოსავალი?

— გამოსავალი... საკიროა ებრაელთა შორის მუშათა რიცხვის მომრავლება, კომუნისტური უჯრედის ჩამოყალიბება. ხელმძღვანელობა უნდა იკეთონოდეს მუშებს. ღარიბებს, პარტიელებს, ხოლო უპარტიო ხალხს შეუძლია ამ უჯრედის გარშემო, შემოკრებს რასაკვირველია იმათ, ვინც ჩვენ თანაგვიგობრობს.

— ხოლო ჩვენი სტუდენტების მოწინავე ჯგუფი უნდა დაიშალოს?— ირონიული ღიმილით შეეკითხა ნათანი.

— რასაკვირველია. ინტელიგენტური ჯგუფები და ორგანიზაციები მე არა მწამს. ისტორიაც ასე ამბობს, რომ მათ ჩხუბისა და კინკლაობის მეტი არსად და არასოდეს არაფერი გაუკეთებიათ.

— თქვენი მუშური ფსიქოლოგიით ძალიან მარცხნით შეგიტოპიათ— ვედარ მოითმინა ნათანმა.

— ამას მომავალი გვიჩვენებს.— უპასუხა შაულმა.

— არ შეიძლება ინტელიგენციის როლის უარყოფა.

— მე არ უარვყოფ მის როლს, როგორც არ შეიძლება მსახიობის როლის უარყოფა სცენაზე. მაგრამ რეჟისორობას კი მას მაინც ვერ ჩავაბარებთ.

— ინტელიგენცია ფაქტიურად უკვე ხდება ჩვენი ხალხის ცხოვრების რეჟისორი.

— ეგ ჩვენი ვარდამავალი ხანის შეცდომაა. თქვენს ჯგუფს არა აქვს მტკიცე ფესვები, მისი არსებობა არ ემორჩილება არავითარ აუცილებლობის კანონებს, იგი შემთხვევითი მოვლენაა, რომელიც ერთ მშრენიერ დღეს საპნის ბუშტივით გასკდება.

— რომ არ გასკდეს?

— მაშინ განვაგრძოთ კამათი.

— ხოლო დროებით მაინც, რომ ჩვენი ხალხის შეგნებული და მოწინავე ნაწილი განვამტკიცოთ, არ გსურთ ჩვენთან იმუშაოთ?

— მოვიფიქრებ.— უპასუხა შაულმა და წასასვლელად გაემზადა.

— უკვე მიდიხარო?

— დიახ ეხლა წავალ. სხვა დროს კიდევ შემოვივლი. თუ ნებას მომცემს, თქვენი წიგნებითაც ვისარგებლებ.

— სიამოვნებით.

შაული გამოესალმა და მტკიცე ნაბიჯებით გავიდა.

ნათანი ისევ მარტოა, მაგრამ მარტოობის გრძნობას მოზღვავებული ფიქრები იფარავს. ვინ იცის ნათანის მეტმა რა რიგ ვრცელია მარტოობის სივრცე!

იგი დგას უძრავად თავის საყვარელ ადგილას—ფანჯარასთან და გაცეცხერის თეთრი თოვლით დაფარულ ეზოს. თოვლის სითეთრე ოთახაც გვირგვინათ ანათებს. ნათანი აღარ ეძებს სანთლებს, დგას, ფიქრობს და ფიქრობს.

„მარცხი, მარცხი და მარცხი. დიახ სამი მარცხი: ესთერთან, სასამართლოში, შაულთან. ესთერთან... ოჰ, რა რიგ დამკინავია მუხთალი ზედი. წაპყვადია დათოს ნიშნობაზე... ვილაცა სულელის ნიშნობაზე... უნდოდა გაცნობოდა მათ ადათ-წესებს დრო გაეტარებინა. ხა. ხა, ხა!. შეხედა ესთერს, რომელსაც ჰყიდდნენ როგორც თიხის ქურუქებს... ორი... შედახილი: —ნათან! ესთერ! — და ყველაფერი აირია... გამოაშკარავდა ახალგაზრდების ლტოლვა... ნიშნობა ჩაიშალა... ესთერმა უარი განაცხადა გაპყლოდა ყვებრას, ხოლო ბენიამინ ბერიძემ შებღვირა ნათანს საშინელი თვალებით და სახლიდან გაავდო. ეს იყო და ეს... მას შემდეგ განვლო რამოდენიმე დღე... ესთერისაგან არაფერი ისმის... და ნათანის მივიწყებული გრძნობა უალრესი ძალით ამოტივტივდა ზედაპირზე... ნათანს აღარ შეუძლია უესთეროთ, ხოლო ესთერი დღეს, სდღეს, სამარის ქვასავით სდღეს... არ არის გზა... არ არის კავშირი... არ არის არავითარი ცნობა და ნათანი უძღურია“.

„სასამართლოში... აქაც ბენიამინ ბერიძის ხელმა იგი გადმოსვა მსაჯულის სკამიდან და მიაყენა ესოდენ დიდი შეურაცყოფა... სასამართლოში საქმეს მოიგებს ბენიამინ ბერიძე, ხოლო ნათანს არაფრით არ შეუძლია დახეხაროს უბედურ დანიელს“.

„შაულთან... რა დიდი სურვილი ჰქონდა გამოენახა მასთან საერთო ენა! მაგრამ ნათანი და შაული დგანან ორ პოლიუსზე: ერთმანეთის არ ესმით: შაული იმ თავბუღობამდეც წიღის. რომ იგი, უსწავლელი მუშა, უარს ამბობს წმინდა ინტელიგენტურ ჯგუფში მუშაობაზე. მას არ სწამს სტუდენტების გაკეთებული საქმე“.

„მარცხი-მარცხზე. რა უნდა ჰქნა ნათან? უპირველეს ყოვლისა, არ დაეცე სულით“.

და ნათანმა თავის გონებაში, ფანჯარასთან უძრავად მდგომმა, მოხაზა უახლოესი დღეების სამოქმედო პროგრამა:

„ესთერი უნდა ჩემი იყოს. დანიელ თავლიაშვილი უნდა განთავისუფლდეს ბენიამინ ბერიძის ბრძკალეზიდან. სტუდენტების ჯგუფი უნდა გაძლიერდეს და გაცხოველდეს“.

უკნასკნელ მუხლზე ნათანს ისევ თვალწინ შაული ედგა, რომელიც თითქოს დამკინავე, მაგრამ სიმართლის მთქმელი თვალებით აფრთხილებდა, რომ ასეთი ჯგუფიდან არაფერი ნაყოფი არ გამოვიდოდა.

„ჯგუფს გადაეხაზისებო. ერთს გავრიცხავთ, სამაგიეროთ სხვას მივიღებთ. ჩვენ დაუმტკიცებთ ყველა შაულებს, რომ ჩვენ ვართ მოწინავე ელემენტები, რომ ჩვენ მოვახდენთ კულტურულ რევოლუციას, რომ ჩვენ...“

ნათანი თანჯარასთან იდგა.

ალარ თოვდა, თეთრი ფერი კი უფრო ძლიერდებოდა.

მეეზოვე ლილინით ასუფთავებდა ეზოს.

ძლივს გამოერკვა.

გვიან მიხვდა, რომ გარედ უკვე გათენდა.



2

— ორი ბატონია ქვეყნად: ზევით ლმერთი და დაბლა ქმარი. მოციქულობას თავი დაანებე და რასაც გეუბნები, ის გააკეთე. მოთმინებიდან თუ გამოვედი, საკუთარი თითებიტ დავგლეჯ. მერე ვაივებს, რომ საკუთარ ქალისწვილსაც არად ჩავაგდებ როცა საქმე ბენიამინ ბერიძის სახელს ეხება. დამითქვამს ვადა: ერთი კვირა—გაიგე?—და ბენიამინ ბერიძემ გასვლისას მაგრად გაიხუტა კარები.

ზილფამ თვალი გააყოლა მიმავალ ქმარს და ღრმად ამოიოხრა.

მის წინაშე მეტად მძიმე ამოცანა იდგა და ალარ იცოდა რომელი თავიდან მიხდებოდა. ეცოდებოდა ქალიშვილი და იმავე დროს თავს ევლებოდა ქმრის მდგომარეობას. ორიენტი ეწეოდენ თავისკენ და ალარავინ არ სთმობდა.

ესთერმა იმ საბედისწერო ლამის შემდეგ კატეგორიული უარი განაცხადა ყურბა შათაშვილის ცოლობაზე. ვერავითარმა ხეყწნამ, მუდარამ, მუქარამ ვერ გასკრა.

ბენიამინი კი იყო ყველაზე დიდი საზოგადოების „ვყად ჰაკეილას“ თავმჯდომარე და წინააღმდეგობას არ იყო შეჩვეული. ქალიშვილთან ლაპარაკი უმიზნო იყო: იგი შეგნებულად დამუნჯდა და მამას ხმას არ სცემდა. მამა ერიდებოდა დიდ უსიამოვნებას და ამიტომ ცოლს დაავალა ერთ კვირაში ეს საქმე მოეგვარებინა, რათა მას „საჭვეყნოთ თავი არ მოსკროდა“.

ყო ბენიამინს, რაც მოხდა! ასეთებს ბენიამინი არ იყო ჩვეული. მით უმეტეს ვისგან? საკუთარი ქალიშვილისაგან?! უი, სირცხვილო!

ზილფა რასაკვირველია ქმრის მხარეზე იდგა. ზილფა, მისი დედა, მისი ბებია—ყველანი ემორჩილებოდენ თავიანთ მამებს. ესთერს კი ვინ მისცემს უფლებას გადაუხვიოს წმინდათა წმინდა წესებს?

ზილფა კარგ ცხოვრებას არის შეჩვეული. სასაბილო ოთახში რბილ დივანზე მოუკეცია ფეხი და ქმარს ტალეთისათვის აბრეშუმის ბუდეს უჭსოვს.

ბერიძეების ბინა რამოდენიმე ოთახისაგან შესდგება. ოთახები—ვრცელი, ნათელი, მზიანი. ავეჯეულობა—მდიდრული. ხალიჩები—სპარსული. კედლებზე მწვენი-დავიდ-ები* და ორი-სამი დიდი პორტრეტი უცნობ გრძელკიკინა და გრძელწვერა მოხუცებისა,

უკვე დილის თორმეტი საათია. სუფრაზე საუზმე ჯერ კიდევ აულაგებელია, მსახური გოგო ხშირად იხედება და უკანვე ბრუნდება. ეტუობა ესთერი ჯერ არ ამდგარა. ზილფაც იცქირება ესთერის ოთახისაკენ და ელის როდის გამოვა, რომ კვლავ განაბლოს უსიამოვნო ლაპარაკი.

* მწვენი-დავიდ-ები. ვაჰსკუთხიანი ვარსკვლავი, ემბლემა „დავითის ფარი“.

როგორც ყოველ დედას, ზილფასაც ეცოდებოდა თავისი ქალიშვილი, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე გახდა, მაგრამ ამ გრძნობის იქით საჭე არ მიდიოდა.

პირველ რიგში იღვა ბენიამინ ბერიძის სახელი, იმ ბენიამინ ბერიძისა, რომელიც განთქმული იყო ბერიძეების ტერმინით: „საჭეყნოსა“.

და ეს „ჭეყანა“ კი იყო: ვაყად-ჰაკეილა, სუდეები და თამბაქოს მოვაჭრენი.

ასეთი იყო წრე და საქმეები ზილფას ქმრისა.

ქმარი უკვე წავიდა საქმეზე—აღბად მალაზიაში, ან სუდეებში, ან შეიძლება ვაყად-ჰაკეილაშიც. სახლში დარჩა ზილფა, რომელმაც მიიღო კატეგორიული დირექტივა „დამითქვამს ვადა: ერთი კვირა. გაიგე?“

ესთერი კი თითქოს ქინზე არ გამოდიოდა. ერთხანს კიდევ ელოდა, მერე დაუძახა.

ყავა გაცივდა, ესთერ. გენაცვალოს დედა, გამოდი.

ეხლავე.—შოისნა ყრუ პასუხი.

კოტახნის შემდეგ გამოვიდა ესთერი თმაგაწეწილი, პირდაუბანელი, ფერმკრთალი. ტანთ ეცვა—საშინაო თხელი კაბა და ნაბიჯები ჰქონდა უხალისო. მძიმედ ჩამოჯდა დედის ახლოს დივანზე და სუფრას გულგრილად გადაჰხედა.

უთხარი ალაგონ. მე არ ვისაუზმებ.

— რათა შეილო?

— არა მშია. თანაც ცოტა თავი მტკივა.

— ასე არ ვარგა, ესთერ.

— მეც ვიცი.

— თუ იცი და რილასთვის სტანჯავ ან შენ თავს და ან შენს მშობლებს?

ჩემო ესთერიკო, შენ გენაცვალე, შენს მეტი ვინ გაგვანჩნია? რისთვის გვიმწარებ სიბერეს?

— თქვენ რისთვის მემწარებთ ახალგაზრდობას? ყურა შათაშვილი ისე მეზიზღება, როგორც მორწმუნე ებრაელს ღორის ხორცი, მოგვცდები და იმას არ ვაყვები.

ზილფამ ამოიოხრა.

— როდემდის შეილო?

— როდემდის? იმ დრომდის ვიდრე მამანემი ჩემს კუბოს არ დადგამს.

— შოდი და ელაპარაკე ამისთანა შეილს! უი დროებას რა ვუთხრა! დამწვარიყო ის დღე, მამაშენმა რომ სკოლაში მიგაბარა.

— ნეტავი მართლაც არაფერი მესწავლა. მაშინ ბრმა ვიქნებოდი და ბრმად წავეყვებოდი ყურას და იმისთანა ჩერჩეტებს.

— ყურა დიდი ვაჭარია. მამაშენი და ყურა შეაერთებენ ფულებს და დიდ საქმეებს გააკეთებენ. მამაშენი ახალციხელების უფროსია, ყურა ცხინვალელებისა. მაშინ ჩენი ოჯახი გახდება საერთო უფროსი.

— მაგით ჩემი ცხოვრება არ გაუმჯობესდება.

— შენ მამაშენზე უნდა იფიქრო.

— ხოლო მამაჩემმა მარტო თავის პატივზე და განდიდებაზე უნდა იფიქროს?

— მამაშენი მთელი სიცოცხლე ფიქრობდა შენზე, ზურაბიძეა შენთვის, გზრდიდა.

— რომ ეხლა ყვზრას ყრმად გადააქციოს?

— შეილო დაფიქრდი!

— რამდენიმე წელიწადია, რაც დავფიქრდი.

— აბა შენ შენსას არ იშლი?

— თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან...—აქვითინდა ესთერი.

— განათლებულ ქალს ტირილი არ შეშვენისო, ასე გამიგონია.

ესთერი კბილს კბილზე აცემინებდა და მთელი მისი სხეული კანკალს განიცდიდა. ზილფა კი განაგრძობდა:

— გეყოფა, ესთერ. ეხლა წადი, პირი დაიბანე.

— რამდენჯერ უნდა დავიბანო პირი, დღეში ასჯერ მატირებთ.

— ესთერ, კიდევ გეუბნები, ნუ სჭრი მამაშენს საქვეყნოდ თავს, თორემ ამ საქმიდან კარგი არაფერი გამოვა.

— რაც უნდა გამოვიდეს, სულ ერთია.

— შენ ჯერ არ იცნობ მამაშენს. ნულარ გააბრაზებ ზომაზე მეტად.

— რალა გინდათ?

— ესთერ...

— ჰო ესთერი მჭეია, მაკმარეთ თქვე ურჯულოებო, მაკმარეთ.

და ესთერი შეუდგა თავისი ლოყების ფრჩხილებით დაკაწვრას და დასისხლიანებას. შეშინებული ზილფა წამოხტა დიენიდან და დაუწყო ქალიშვილს მოფერება. სწორედ ამ დროს მათთან შემოვიდა ყვზრა შათაშვილი, რომელსაც მოჰქონდა გაზეთში გახვეული საჩუქრები.

— დილა მშვიდობისა, ჩემო სიდედრო! დილამშვიდობისა ჩემო დანიშნულო! მიესალმა მათ და დაუწყო გაბვეულ გაზეთს კანაფის შემოხსნა.

მობრძანდი, ყვზრა!—მიეგება ზილფა.

ესთერი ზურგ-მობრუნებული იდგა და ვერ გადაეწყვიტა დარჩენილიყო ოთახში თუ წასულიყო.

ყვზრამ ამოალაგა საჩუქრები: საკაბე, ოქროს სამაჯურები, ადეკალონი.

— ჩემო დანიშნულო, რაზე მარიდებ თვალს? აი საჩუქრები მოგიტანე. ეს ძველი და სხვა ახალი. მშვიდობაში მოიხმარე!

ესთერი მობრუნდა და ყვზრას შეაჩერდა.

— ტყვილად გარჯილხართ. მე თქვენი დანიშნული არა ვარ.

— მართალია, იმ ღამეს ვერ მოხდა დანიშვნა, იმ ლაწირაკმა ხელი შეგვიშალა...

— ხმა ჩაიკმინდეთ!

— მე... არა... ისე... იქნება ის მთლად არაა ლაწირაკი, მაგრამ არც მე ვარ მთლად მასხრად ასაგდები. მართალია, შენ არ გინდა, მაგრამ შენს მშობ-

ეურ. „მნათობი“ № 6—7.

ლებს უნდათ და თორაშიაც ასე სწერია, რომ უნდა დააფასო შამაშერი და დედაშენიო.

— აი შეილო, როგორი ოქროს სიტყვებია. შენი ^{გაბელის} ~~სიტყვა~~ ^{სიტყვა} ისე ურიგოა, როგორც შენა გგონია—ჩაერია ზილფა.

ყვზრამ თავმომწონებით გადიწია ქული და განაგრძო ლაპარაკი:

— ურიგო კაცი რომ ვიყო ვინ ამარჩევდა ობჩესტვოს თავმჯდომარედ?... მართალია, ძია ბენიამინი ჩემზე უფრო დიდი კაცია, უფრო დიდი ოფისტვოს თავმჯდომარეა, მაგრამ ლმერთო შენით—ქონებასა და ცხოვრებაში არ ჩამოვუარდები... ჩემო დანიშნულო, ისე გაცხოვრო, როგორც ნამდვილი დედოფალი.

— ნუ მიძახით ჩემო დანიშნულოს...

— სულ ერთია, ხო იქნები... დანიშნული კი არა და... მე და ჩემი სიმაპრი მოლაპარაკებული ვართ, მალე ქორწილიც უნდა გადავიხადოთ.

— ლმერთმა გისმინოს—კვერი დაუკრა ზილფამ.

ხოლო ვერც ზილფამ და ვერც ყვზრამ ვერ გაუწიეს ანგარიში სულიერ მდგომარეობას ესთერისას, რომელიც ამ უკანასკნელი ლაპარაკის დროს საშინლად გაფითრდა, აცახცახდა და დაეტყო ნერვების აშლა.

მოულოდნელად ესთერი მივიარდა საჩუქრებს, ერთხანს ეჭირა თავის პატარა მუშტებში, უცნაურად დაპვრიხა საკაბე და სამაჯურები, შემდეგ დაუყარა ყვზრას წინ და განრისხებით შესძახა:

— ეხლავე! დაიკარგეთ აქდეან

შეშინებული ყვზრა ზილფას ამოეფარა, ხოლო მოულოდნელობისაგან გაოცებული ზილფა დაიბნა და არ იცოდა რა ექნა.

— ჩემო დანიშნულო, რა მოგივიდა?!—ყვზრა მაინც არ იშლიდა და ზილფას ამოფარებული ჩუმად მაინც განაგრძობდა ბურტყუნს.

ეს კი შეტის მეტი იყო. აივსო ესთერის მოთმინების ფილა. მიიხედა მაგიდისაკენ. იქ კიდევ იყო დარჩენილი ყვზრას საჩუქარი: საზღვარგარეთული ადეკალონი.

საჩქაროდ დაავლო ხელი და უნდოდა ეთბლიშა ყვზრასთვის პირსახეში, მაგრამ ყვზრას მოხერხებული პოზიციის გამო ესთერმა ააცდინა მიზანს და უსროლილი ბოთლი იატაკზე დაიშხვრა.

ესთერი მძიმედ სუნთქავდა, ზილფას უაზროდ გაეღო პირი, ხოლო ყვზრა კარებისკენ იქვირებოდა და ვასაპარავად ემზადებოდა.

ოთახში იღვა დაღვრილი სითხის საამო სუნი.

ილეოდა დათქმული ვადა. ილეოდა ბენიამინ ბერიძის მოთმინება.

ამ საღამოს იგი ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა შინ.

კოლი და ქალიშვილი ვიდაცა მეზობლის მკვდრის სატირალში იყვნენ წასულნი და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყევნ.

„რა გაეწყობა, მოუცდის“.

გამოიღო. საანგარიშო დაეთარი და ჩაეფლო შიგ, ალფაბეტზე დალაგებულ ჰქონდა მოვალეთა გვარები, ვალის რაოდენობა, დათქმული ვადები გადაცდნილი დღეები, პროცენტები და პროცენტის პროცენტები. *შანჭულ გვერდზე* მას თვალთ ეცა:

„ა... ათანელიშვილი შაულის ბიცოლა—ხუთი მანეთი ოქრო... პროცენტები და პროცენტის პროცენტები სულ თორმეტი მანეთი“.

„ფუჰ!—უსიამოვნოდ გააფურთხა ბერიამინმა და განაგრძო თავისთვის ფიქრი—დედაბერი ჩაძალდა და ეხლა ვის უნდა გადავახდევინო? შაულს? ეს მგონი არ გამოვა. ის მეტად საშიში ახალგაზრდა იზრდება. დამეგობრებია ბოლშევიკებს და, პირიქით, თურმე ემუქრება ბენიამინს, რომ ხელი აილოს დანიელ თავლიაშვილის ვალზე... არა ჩემო ბოლშევიკო, შენ თუ შეგარზენ, არმად ბიცოლაშენის ვალე, ესეც გეყოფა!.. დანიელ თავლიაშვილთან რაღა გესაქმება? კასაცია შეატანიეთ? ხა, ხა ხა, კასაცია ჩემი მოგონილია. სასამართლოში გზასა და კვალს ვერ მასწავლით, თუმცა სწავლა არ მიმილია, მაგრამ ცოდნითა და გამოცდილებით ბარე ორმოცი იურისტი ვერ მოვა ჩემთან...“

შაულის სახე არ შორდებოდა ბენიამინს.

„საქიროა რალაცა მოვიფიქრო, თორემ ეს ყმაწვილი არ მომწონს“. — „აბა რომელი ყმაწვილი მოგწონს? ნათანი?“

და გველნაკბრნივით წამოვარდა. საანგარიშო დაეთარი გადაავდო და თამბაკოს იარლიკებს დაუწყო ძალი გადარჩევა. თითები ერთმანეთს უშლიდენ და არაფერი გამოსდიოდა. მისი თვალების წინ დროგამომშვებით ერთმანეთს სცვლიდენ შაული და ნათანი.

„ვაი თუ მათ ამხანაგებიც ჰყავთ, ვაი თუ ისინი შეერთდენ? არა, არა,—ნაადრევეა ამაზე ფიქრი. ვიდრე ჩვენ ხალხს კიდევ სწამს ღმერთი და დღეში სამ ლოცვას ლოცულობს, ისინი არ წამოგებებიან მოლალატეების ანკესზე“.

კოლშვილის დაგვიანება არაფრად მოსწონდა. თანაც ხუთშაბათი იყო და ვაყად-ჰაკეილაში უნდა წასულიყო. რამოდენიმე ათეული მანეთი იყო მოგროვილი და გასანაწილებელი იყო ოთხას ღარიბზე. ეს არც ისე ბატარა საქმე იყო. უბენიამინოდ ამას ვერავენ ვერ შესძლებდა.

მაგრამ აოცებდა ბენიამინს ერთი ამბავი: არა თუ ოთხასი ღარიბი, ასიათასი და მილიონი ღარიბიც ვერ დაარღვევდა მის სულიერ სიმშვიდეს. იმ ერთმა კი... ის თავიდანვე არ მოეწონა, იმ პირველ საღამოს, როცა ეძებდა ბინას და როცა თავებდურად უცქეროდა პირდაპირ თვალებში და მერე... დახე საკვირველებას! მისერთადერთ ქალიშვილს თურმე ჰქონია საქმე ამ მათხოვართან.

„მაცალონ, ჯერ მობრძანდნენ. ამ საღამოს გაუსწორებ ჩემს ქალბატონებს საბოლოო ანგარიშს. იმ ერთმა მათხოვარმა სულიერი სიმშვიდე ამიშალა. თუმცა იგი ვაჟადე რამოდენიმეჯერ—ვაყად-ჰაკეილადან („ერთი ღამე“), ჩემი სახლიდან („ნიშნობა“) „სუდიდან“ („დანიელის საქმე“)—მაგრამ ეს არ კმარა.

— არა, არა, არა! —

შეპყვირა ბენიამინმა და მოკუმშული მუშტი ჰაერში გაიქნია.

გამოიძახა მსახური და აფრინა კოლშვილთან.



— მოვიდენ. მეჩქარება. ხუთშაბათია.

ითელიდა წუთებს და კედლის საათიც ნერვებზე მოქმედებდა.

გარეთ სიცივე იყო, ხოლო ბენიამინი გახურებული იყო და ცხელი და ვაგრილების მიზნით საყელოზე დილები შეიხსნა.

შემდეგ როცა შემოესმა კიბეზე ამომავალი ცოლშვილის ნაბიჯები, ჩამოჯდა ისევ სავარძელში და მიიღო სერიოზული გამომეტყველება, თითქოს იგისრულიადაც არა ჰღელავდა.

ოთახში შემოვიდენ ზილფა და ესთერი.

ესთერმა არც კი გაიხედა მასისაკენ, საჩქაროდ გაიარა სასაღილოს ოთახი, შევიდა საწოლ ოთახში და მძმიედ დაეშვა ლოგინზე. ბენიამინმა კი თვალი გააყოლა თავის ქალიშვილს და გაიღიმა ისეთი ღიმილით, რომელშიაც მეტი იყო ბოროტება, ვიდრე ვაოცება ან გულისტკივილი.

ზილფა ოდნავ მოკრძალებით ჩამოჯდა ქმრის პირდაპირ, ბენიამინი ელოდა პასუხს. ზილფა კი დუმდა. ამ სიჩუმეში ბენიამინი ცუდ წინასწარ მეტყველებას ჰხედავდა და მოთმინება დაკარგულმა, ისევ თვით დაარღვია ზილფას დუმილი:

— ვადა გავიდა.

— გავიდა—ამოოხვრით დაუდასტურა ცოლმა.

— მერე?—გაბრაზდა ბენიამინი.

„მერე?“ საქმეც ამაში იყო: რა იყო ამ „მერეს“ იქით? ეს „მერე“—ცოლქმრის ერთნაირი ძალით აწუხებდა.

დიდხანს უკირდა ზილფას ენის ამოდგმა, მაგრამ ვანა ასე ადვილი იყო ქმრის თვალებისათვის გაძლევა?

— რა ვქნა, რა წყალს მივეცე?.. არ შეება... ხო ვერ მოვკლავთ... არაფრის გულისათვის არ გავყვებიო.—ძლივს წაილულულა პასუხად.

ბენიამინმა კიქა წყალი დაიძახა და დალია, შემდეგ ცხვირსახოცით ოფლი გადაიწმინდა შუბლიდან და ცოლის პირდაპირ გაჩერდა.

დააკაჟუნეს. სალოცავიდან კაცი გამოეგზავნად. დიდი ხანია უკვე კანტორაში შეგროვებდა ვაყად-პაკეტი და ძია ბინოს ელოდენ. სალოცავის ეზო საესე ყოფილა ღარიბებით. ხომ არ დაავიწყდა ძიას?

— არა, არ დამვიწყებია. პატარა საქმე მაქვს შინ. მალე მოვრჩები.

როცა ისევ მარტო დარჩენ, ბენიამინს დაეკარგა ის პირველი ფრაზა, რომელიც უნდოდა უკმებად მიეხალა ცოლისათვის და ეხლა ლამობდა იმის გახსენებას. ზილფამ კი რატომღაც ეს სიჩუმე ლამობიერებად მიიღო და კარგ ნიშნად ჩასთვალა. მოულოდნელად მიუახლოვდა ბენიამინს და უთხრა:

-- იცი რა ბენიამინ? მოდი და გავათხოვოდ იმ ბიჭზე.

— ვინ ბიჭზე?

— ვინ ბიჭზე და... ვინც რომ მოსწონს.

— ნათან ჯანაშვილზე?—და გაოცებულმა ბენიამინმა პირი გააღო. ერთ წუთს ვერ გამოერკვა, შემდეგ თვალები გაეზარდა, პირზე დორბლი მოადგა და თავის ცოლს უცნაურად მიაშტერდა.

ზილფას შეეშინდა ქმრის გამომეტყველებისა და თვალები იატაკისკენ მიმართა. ბენიამინს კი მოულოდნელად რაღაც აზრმა გაჰკრა თავში, საჩქაროდ

წამობტა, შევიარდა ქალიშვილის ოთახში, დაავლო ხელი ესთერს და ფერმკრთალი ნამტირალევი ქალიშვილი ძალით გამოიყვანა სასადილო ოთახში.

— დაჯექი.

ესთერი დაეშვა სკამზე. ბენიამინი თავს წაადგა:

— ასწიე თავი. რას ნიშნავს ეს საქმე? რომ ჩავიგდია ენა და ხმას აღარ მცემ, რა გგონია, მე შენი მშობელი ვარ თუ ვილაც ვადამითელი? რაც თავი მომპერი, საქვეყნოდ შემარცხვინე და ჩემი ოჯახური ამბები ხალხის სალაცხოდ ვადამიქციე, ეს არაფერი, ამას არ სჯერდება. რაღა გნებავს კიდევ?

ამაოდ ელოდა პასუხს. თავჩაღებული ესთერი არ აპირებდა ხმის ამოღებას:

— მაკლდევინე ეხლა გათენებამდე. დაგავიწყდა რო ხუთშაბათია და კანტორაში ხალხი შელოდება? ესთერ, ეხლავე პასუხი: რაღა გნებავს კიდევ?

— უპასუხე ესთერ—მიმართა ზილფამაც.

და ესთერმა მოულოდნელად თავი ასწია:

— რა აზრი აქვს ჩემს პასუხს? ყურბა შათაშვილს ცოცხალი არ გავყვები და მკვდარი თუ გინდათ გამატანეთ.

ბენიამინმა აათამაშა დამცინავი თვალები:

— აბა იმ მათხოვარს უნდა გაჰყვე?

ესთერი ისევ დადუმდა. და ბენიამინმა თვითვე უპასუხა:

— მათხოვარს არ გავატან ჩემს ქალს. ბენიამინ ბერიძე ჯერ არ გაკოტრებულია. გაიგე?

დიდხანს უტკირეს ერთმანეთს მამამ და ქალიშვილმა. შემდეგ ესთერს მოსწყინდა ეს სცენა, წამოდგა და თავის ოთახისაკენ დააპირა წასვლა. გარისხებულმა ბენიამინმა გზა გადაუჭრა:

— მაშ შენ მამაშენს აღარ უჯერი?

და მოულოდნელად მოუქნია მუშტი და გაარტყა სახეში. ესთერს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ზილფამ შეჰკივლა, ხოლო ბენიამინმა დაჰკარგა წონასწორობა და უფრო მეტი გააფთხრებით შეუდგა ქალიშვილის ცემას.

ზილფა მივიარდა ბენიამინს და ეცა, ესთერი ხელიდან გამოგლიჯა, მარამ ბენიამინმა ცოლსაც მაგრად წასთავაზა და თან ორივენი უკმები სიტყვებით მოიხსენია

ესთერი გადახტა პირდაპირ და მაგიდას ამოეფარა.

— არ გინდა? არა? აწი მიყურე. ეს არაფერია. დღეს დრო არა მაქვს. ხუთშაბათია. შენ აღარ მოესწარ მომავალ ხუთშაბათს თუ ჭკუაზე არ მოგიყვანო,— დაამთავრა ბენიამინმა, საყელო გაისწორა და შინიდან გავიდა.

ესთერს თვალები უბრწყინავდა და მამის გასვლის შემდეგ დედას მიმართა:

— ხომ დაინახე? იმასაც მოვესწარ. ჩემმა განათლებულმა მამამ მცემა. გასვლისას საყელო გაისწორა. ევროპიული ბანტი აქვს დაკიდებული... გველი... მზეცი... კანი აქვს მარტო გამოცვლილი, რომ ქვეყანა ატყუოს... გულით კი ისევ აზიელია, ბარბაროსია, ვანდალია...

ზილფა გააოცა ამ უცნაურმა სახელებმა: „ნეტავ რას უნდა მრწავდეს? ესთერი კი განაგრძობდა:

— გატეხილს ვაყვილი სჯობია. მცემა არა? ძალიან კარგად არ მკითხავს. მე ვიპოვი გზას. მე... მე... მე. და ცრემლების ნაკადმა შეაწყვეტა ცხვირის დამთავრება.

ზილფა უცქეროდა ქალიშვილს უაზრო გამოშტერებული თვალებით და რომ ვერასფერს ხედავდა სანუგეშოს, თავისთვის ბუტბუტებდა:

— ეჰ, ბენიამინ ბენიამინ...

ბენიამინი კი ამ დროს შედიოდა ამავი და მედიდური სახით თავის სამფლობელოში, თავის საყვარელ კანტორაში.

ხალხმა გაიწე-გამოიწია. ახალციხელთა „ვაყად-ჰაკეილას“ წევრები ფეხზე წამოუდგნენ და შუაგულ ადგილზე მიიპატივეს.

ვიდრე „საქმეს“ შეუდგებოდნენ ახლობელი ამხანაგები შეეკითხნენ თუ რისთვის დაიგვიანა, რაზედაც ბენიამინმა თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ჩვეულებრივ საქმიან კილოზე მიუგო:

— თამბაქოს მაზანდა დაცემულა...

ლექცია დანიშნული იყო საღამოს შვიდ საათზე.

აკადემიური საათი—ეს იმას ნიშნავდა, რომ ირაკლის ისევე როგორც სხვა სტუდენტებს შეეძლოთ ოცი წუთით დაგვიანება.

რას იფიქრებდა ირაკლი, რომ ათასგვარი უცნაურობით აღსაყვას მოხუც მელიტონს მოუვლიდა სურვილი დღეს ლექცია დაეწყო სრულ შვიდზე?

ირაკლიმ დაიგვიანა. უნივერსიტეტის დერეფანში დადიოდა წინ და უკან და ვერ ვაგებდა აუდიტორიის კარის ვალებს. არ უნდოდა ლექციის 'გაცდენა, თანაც ეშინოდა მრისხანე პროფესორის, რომელსაც არ უყვარდა ლექციის დაწყების შემდეგ კარის ვალება და მისი განწყობილების უცარი შეცვლა სხვა რაიმე უფერული ამბით.

ასე იდგა კარგა ხანს უხერხულ მდგომარეობაში, ვიდრე ერთმა პატარა გარემოებამ არ აიძულა ვაგებდა აუდიტორიაში შესვლა.

ეროი ახალგაზრდა ქალი ლექციების ცხრილს ათვალთვლებდა.

ირაკლისათვის ძველი არ იყო გაერკვია, რომ ეს ქალი არ ეკუთვნოდა უმაღლესი სასწავლებლის მსმენელებს. ასე თუ არ იყო, რისთვის კითხულობდა სხვადასხვა ფაკულტეტის ცხრილს, გადადიოდა ერთი ცხრილიდან მეორეზე და ყოველთვის ჰღელავდა?

ირაკლის მოეწონა ახალგაზრდა ქალი და თან დაინტერესდა ქალის ცნობისმოყვარეობით. მაგრამ საქმე როდი იყო მარტო ცნობის მოყვარეობაში. ქალმა აღმათ ვერ მიაგნო მისთვის საჭირო ცნობას და ძლიერ ნერვიულობდა. ერთი წუთს კიდევ გაუკვირდა ირაკლის, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა პირდაპირი ნაბიჯით გამოსწია მისკენ მოიხადა ბოდიში. შეეკითხა ფაკულტეტს, კურსს გაუკვირდა ირაკლის:

— ეს ხომ ჩემი ფაკულტეტია და ჩემი კურსი?



- მართლა? მით უკეთესი. სტუდენტს ნათან ჯანაშვილს დუ რტობთ?
- ნათანი ჩემი საუკეთესო მეგობარია.
- სად არის ეხლა ნათანი?
- ლექციაზე—მეშვიდე აუდატორიაში.
- არ შეიძლება როგორმე ჩემი ბარათი გადასცეთ?
- სია...მოწინებთ—უპასუხა ირაკლიმ და თან უსიამოვნოდ გააქრეოლა როცა წარმოიდგინა მოხუცი პროფესორის მოღუშული სახე.

ახალგაზრდა ქალმა საჩქაროდ გახსნა რედიკული, ამოიღო ბლოკნოტი, ამოხია პატარა ფურცელი და აკანკალებული თითებით ძლივს დასწერა.

„ნათან! დაგიცილი ლექციის დასრულებამდე. ესთერ“.

ირაკლიმ გადასწყვიტა და ნელა შეაღო კარები. მოხუცი პროფესორი შესული იყო როლში, კარის ვალებმა, არ შეიმჩნია და, როგორც ირაკლი ამბობდა მას შემდეგ, „ხახვივით შემრჩა ეს ამბავი“.

ლექცია უახლოვდებოდა დასასრულს. ნათანი დაღვრემილი და თავჩალუნული ისმენდა პროფესორის ლექციას და სრულიად არ ელოდა, რომ ლექციის დამთავრებისას პროფესორი აეტუხებოდა თვალწინ:

— ყმაწვილო, არ მომწონხარ ამ ბოლო დროს.

ძლივს მოახერხა ნათანმა:

— რისთვის ბატონო.

— რისთვის და იმისთვის, რომ .. ჯერ ერთი-ჩემი ლექციების დროს თავი ჩაგიღია ძირს. ასე გამოდის, რომ აღარ მოგწონს. მერე მეორე—სასამართლოში თავი მოგიჭრია ჩემთვის. რისთვის მოგცეს აცილება?

„მოდით და მოუყვივით ეხლ ამას ყველაფერი თავიდან ბოლომდე“—გაიფიქრა მწარედ ნათანმა და პასუხის ნაცვლად დამნაშავესავით თავი უფრო დაბლა დასწია.

პროფესორმა ხელი ჩაიჭნია და გავიდა. ირაკლიმ ჩუმად შეაჩერა ხელში ნათანას ესთერის ბარათი. ნათანმა წაიკითხა და ფერი იცვალა. მოულოდნელობისაგან დაიბნა და უაზროდ მიაშტერდა ირაკლის.

— შე კი ნუ შემომცქერი. გარედ გელოდებიან. ეხლა წადი და სხვა დროს მოვილაპარაკოთ—უთხრა ირაკლიმ.

ნათანი გამოვიდა დერეფანში. აი ესთერიც!

მისვალმენ ერთმანეთს იდგნენ ჩუმად, ძნელი იყო პირველი სიტყვის მოძებნა, ხოლო სათქმელი რამდენი იყო! რაც ნათანი დაბიდან ჩამოვიდა, ეს პირველი შეხვედრა თუ, ნამდვილი შეხვედრა. ნიშნობის საღამოს მათ ვერ მოახერხეს ერთმანეთისთვის ეთქვათ რამე. ნათანს იმ ღამეს შეურაცყოფა მიაყენეს და საშინელი გულის ტკივილით გამოისტუმრეს რა რიც ნატრობდა ნათანი მას შემდეგ ესთერის შეხვედრას და ეხლა ამ წუთებში, როცა ესთერი იდგა მის პირისპირ უნივერსიტეტის შენობაში, ნათანს ვერც ერთი შესაფერი გამოთქმა ვერ მოენახა

წინდაუკან დაფუსფუსებდენ აუარებელი სდუდენტები, ქალები და ვაჟები, რომელნიც ერთმანეთს მზიარულად ეკისკისებოდენ, უზიარებდენ ლექციის შთაბეჭდილებას და ემზადებოდენ სხვადასხვა გამოცდების ჩასაბარებლად.

ესთერს ერთ წუთს გაჰკრა გულისტკივილმა:

„რატომ მეც არა ვარ ერთი მათთაგანი? რატომ დამიხზეს მე, უბედურ ქალს, უმაღლესი ცოდნის მიღების წყურვილი? ოჰ, წყველო ფეთხაინო!!“

შეხედა ნათანს და ანელი იყო. ესთერისთვის გამოერკვინა მისი უბედურ იმოქმედა მასზე ამ მოულოდნელმა შეხვედრამ.

— არ მოელოდი განა? — შეეკითხა ესთერი.

— არა.

— ხომ არ გეწყინა?

— გამაოცა მოულოდნელობამ. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

— ლექციები ისევ გაქვს?

— დღეს აღარა. შემძლია ეხლავე წამოვიდე.

— აბა წავიდეთ.

გამოვიდენ გარეთ.

მოწმენდილ ცაზე მოფენილი იყო ურიცხვი მოკაშკაშე ვარსკვლავი. იდგა საგრძნობი ყინვა და მცხოვრებლებს მიგრად მოეხურათ დარაბები. პირველი საკითხი, რომელიც ორივეს წინაშე წამოიჭრა — ეს იყო: „საით?“

ახალგაზღობას, ნათანისა და ესთერის მდგომარეობაში მყოფთ, ყინვა ვერ შეაშინებს. ნათანმა მოჰკიდა ხელი ესთერს და მათ ზევით, უხალხო ვაკისაკენ აუხვიეს.

ორივენი დაუპირებლად ჰფიქრობდენ ერთსა და იმავეზე. ორივეს თვალწინ ედგათ მათი პირველი ნაცნობობა და გასეირნება შებინდებისას, შეავეწყლებიკენ.

ფიქრიდან გადავიდენ ტკბილ ბაასზე.

ამ წუთებში, როცა ერთად იყვნენ, ყოველი მწარე მოვლენაც კი — მათ მიაჩნდათ როგორც შორეული ამბავი. უსაყვედურეს ერთმანეთს წერილების მოულოდნელობა. დაასაბუთეს როგორც შეეძლოთ. ესთერმა უამბო თავისი ამბავი. ილაპარაკა ძველზე, ახალზე, როგორ აიძულეს ნიშნობის ღამის მოწყობა, რა მოხდა შემდეგ.

ძლივს მიაღწიეს უმთავრეს საკითხს:

„რა იქნება აწი?“

გამოერკვენ: ამ საკითხში იყო ჩაფლული მათი მომავალი.

ნათანი ელოდა ესთერის პასუხს. ესთერი-ნათანისას,

ნათანს ხელში ეჭირა ესთერის პატარა ხელი, ყურთესძოდა მისი გულის-ძგერა, მის სახესაც ოდნავ ეხებოდა ესთერის თმები.

ბუნების ყინვას ებრძოდა ახალგაზღობის შინაგანი ცეცხლი და უტკბესი გრძნობა.

ახალგაზღობები ერთმანეთს ჩაეკვრენ.

ამით უსიტყვოდ უთხრეს ერთმანეთს: ერთგულება, სიყვარული, ფიცი.

სადღაც შორს მგელი ღმუოდა.

დაბრუნდენ. ესთერისთვის უხერხული იყო დაგვიანება.

მაინც ვერ გადასწყვიტეს ზოგიერთი საჭირო საკითხები: თითქოს ჯერ კიდევ უხერხული იყო წვრილმანებზე ლაპარაკი.

ორივეს კარგად ესმოდათ გარდაუვალი სიძნელენი: ბენიამინის მტრობა, მათი ახალგაზრდობა, მოუწყობლობა და მაინც-ერთმანეთს ვაშვილებდნენ:

— ეს არაფერია. დავიწყებთ ერთად ცხოვრებას, ვესწავლით ვიმსახურებთ, გავიჭვივრებთ, მაგრამ ხომ მაინც ერთად ვიქნებით.

ნათანი ჰგონობდა როგორ იტანჯებოდა ესთერი საკუთარი მშობლის ოჯახში, მაგრამ ნათანმა მაინც არ იცოდა ყოველივე. ესთერს ჯერ კიდევ ეძნელებოდა თავისი მამისათვის ნიღაბის ახდა, მისი ნამდვილი სახის გამოჩენა.

ესთერმაც იცოდა, რომ დაიწყო დიდი ბრძოლა. ამ ბრძოლაში მასთან ნათანიც იყო. თუმცა ორივენი ერთად კართოდნ სოელის შემძლე ბენიამინის წინაშე, მაგრამ მათ ესმოდათ, რომ ახალგაზღვრთა თაგბედობაში უთუოდ იყო რალაც დიდი ძალა. და ამიტომაც გასაგები იყო ხშირ-ხშირი გამეორება:

— ვიბრძოლოთ.

— აი ჩემი ხელი.

— აი ჩემიც.

მოეწონათ ვაკე: აირჩიეს შესახვედრ ადგილად. დათქვეს რიცხვი, საათი. ურჩიეს ერთმანეთს სიფრთხილე, ტაქტი.

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი—შეჭვიცეს და გამოსალმებისას ერთხელ კიდევ გადაეხვიენ ერთმანეთს.

ნათანმა მიაცილა ესთერი ტრამეის გასაჩერებელ ადგილამდე.

ორივეს თვალწინ მიუბრუნდა შიშითა და იმედით აღსავსე, გაურკვეველი მომავალი.

ტრამეის ვაგონიც მოახლოვდა.

კიდევ ერთხელ გადახედეს ერთმანეთს, გაუღიმეს და გამოესალმენ.

და იდგა ნათანი გაყინულ ქვაფენილზე და უმზერდა მიმავალ ვაგონს, ვიდრე იგი არ მიეფარა მის თვალთახედვას.

(ვაგრძელება იქნება)

საზო. მგელაძე

ბუნა ლა ბუნა

— ქალთა განყოფილების გამგე აქ არის?—კითხულობს ერთი შუახნის გამხდარი ქალი, რომელსაც თან შემოჰყავს 5 წლის გოგონა.

— მე გახლავართ, რა გნებაეთ?—ეკითხება პოლინა და უჩვენებს სკამზე.

— დაჩაგრულსა და შეურაცყოფილ ქალებს თქვენ მფარველობთ და მეც ამიტომ მოვედი.

— მოკლედ მიაშბეთ თქვენი თავგადასავალი და, თუ შესაძლებელი იქნება, დარწმუნებული იყავით დაგეხმარებით.

— შეიდი წელიწადია რაც ჩემ ქმართან ვცხოვრობდი, ვცხოვრობდი ყოველად აუტანელ პირობებში, მაგრამ შეიღის სიყვარულის წყალობით ყველაფერს ვიტანდი. ეხლა ამ კაცმა სხვა ქალი შეირთო და მე და ბავშვი ქუჩაში დავრჩით. ეს კიდევ არაფერი. მე ვეცდები ჩემი თავიც და ბავშვიც გამოგვებო მაგრამ, ეხლა შეიღსაც მართმევს, რომელიც ჩემთვის ყველაფერია.

— რა უფლებით თხოულობს ბავშვს?

— კანონი გოგოს მამას აკუთვნებს და ისიც სარგებლობს ამ უფლებით.

— ნუ გეშინია, ზოგიერთ შემთხვევაში კანონის შებრუნებაც შეიძლება ბავშვს ვერაფერს წაგართმევთ. მსახურობთ სადმე?

— მე მკერავი ვარ, მაგრამ ბინის უქონლობისა და სასამართლოში სიარულის გამო ვმუშაობ.

— ერთი კვირის შენდევ შემოიარეთ. ჩვენ ვხსნით სახელოსნოს უმუშევარ ქალთათვის და თქვენთვისაც შევიანხავთ ერთ ადგილს. არ არის საჭირო მადლობა, აქ იმიტომ ვზივარ, რომ საქმე გაეაკეთო.

ახალგაზრდა ქალი, მჩერებში გახეუული პატარა ბავშვით უახლოედება მაგიდას.

— ქმარი მომიკვდა. თავის შენახვის საშუალება არა მაქვს, იქნება მომწყობთ სადმე.

— თქვენი გარი?

— კალაშვილი.

— ამ დღეებში შემოიარეთ. თავშესაფარში ძიძაა საჭირო.

— რა მოხდა, რად სტირი ჩემო კარგო?—შეეკითხა ის ერთ ქალს, რომელიც დაღურჯებული სახით უახლოედება მას და ცრემლები ღერად ჩამოსდის.

— მცემა, ქმარმა მცემა,—ჭვითინებს ის.

- რათა, რისთვის, რა დააშავე?!
- აღარ მოვწონვარ, სამ წელიწადში სამი ცოლი გამოიყვანე. ეხლა მეოთხეს ირთავს.
- კარგი, ჩვენ მაგ არამზადას ღირსეულად დავსჯით ^{მეტი სიყვარული} თხოვნასაც დავაკმაყოფილებთ.
- პოლინა, სამი საათია, ნუთუ არ არის დრო შენი გამოსვლის?—კითხულობს მარინა და სარედაქციო ქალაქებს ჩანთაში ალაგებს.
- აი უკანასკნელი მთხოვნელიც და გავათავებ. აბა, გისმენთ, ოლონდ მოკლედ მოსჭერით, ჩემო მეგობარო.
- მე ვმსახურობ და პაწია ბავშვის მომვლელი არავენა მყავს, გთხოვთ მიიღოთ თავშესაფარში.
- ეს ბარათი თავშესაფარის გამგეს გადაეცით. თუ ადგილი აქვთ, მიიღებენ—ეუბნება ის მთხოვნელს, ზეზე დგება და მარინასთან ერთად ქუჩაში გადის.
- ხუთ საათზე სხდომას უნდა დავესწორო, რვაზე მოხსენება მაქვს გასაკეთებელი, აქ კიდევ იმდენი სალაპარაკო მაქვს, რომ ლაწივები მტკიცია—ამბობს ის და ორივე ხელს ლოყებზე იდებს.
- მაშ რა მოგივა? მთელი დღე წისკვილის ბორბალივით ანძრევ ყბებს. როდემდის შესძლებ აიტანო ასეთი შრომა?
- სანამ არ დავეცევი. მე მოწმე ვიყავი თავგანწირული ბრძოლისა, მოწამე გამარჯვებისა და ეხლა მინდა ვიხილო ნაყოფი მუშაობისა, ნაყოფი იმ დიადი საქმის, რომელსაც კაცობრიობის უკეთესმა ნაწილმა შეაღია თავისი ძალ-ღონე.
- ამ ლაპარაკში ისინი მიუახლოვდნენ ქალაქის უმთავრეს ქუჩებს და იქ შეკრებილმა კრემლმა ხალხმა შეათქა ორივენი.

სოსო დაღვრემილი შევიდა კაბინეტში. მთელი კვირა ეწვალა, რომ ნაწილავებით დაეადებულ ადამიანისთვის ავადმყოფობა შეემსუბუქებია, მაგრამ ვერაფერს გახდა და დღეს, ავადმყოფის ხელახალი გასინჯვის შემდეგ, ისეთი ოხრა აღმოხდა გულიდან, თითქოს ეს კაცი ვინმე მახლობელი ყოფილიყოს მისთვის.

- კიდევ დასტირი ვისზე?—ჰკითხა გერმამ ირონიულად.
- ნეტავი შენ, რომ შეგიძლია გულგრილად უყურო სხვის ტანჯვას.
- მაშ რამდენი კაცი აქ მოკვდება, იმდენი თუ ვიტირე, საკუთარი მოცვალბულისთვის ცრემლიც არ შემრჩება.
- ხომ უნდა გეკონდეს სიბრალოლი?!
- ვისი? რისი? კვდება და მიდის. ვინც აქ რჩება, ბედნერად გრძნობს თავს?
- შენ.. მაგალითად.
- მე ანას არ უარყოფ. ეპიკურის მოძღვრება ბავშობიდანვე მომწონდა და მეც ვცდილობ რაც შეიძლება მეტი ვისიამოვნო, რაც შეიძლება ნაკლებად შევეწუხდე.

— „გაყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“?!

— სულელური მცნებაა და ჯერ ისეთი კაცი არ ყოფილა, რომ განეხორციელებინოს იგი.

აკაკუნებენ.

ოსის პატარა ბიჭი შემოდის. ის ჯერ მხოლოდ ცამეტს ^{მეცამეტს} აღწევს. მისი მამა და კვიციანი თვალელებში ვაჟკაციური ძალა და სიმტკიცე მოსჩანს. შარვალი წინდებში ჩაუკრავს. ფეხზე ქალაშენები აცვია და კეფაზე პატარა ნაბღის ქუდი აქვს მოგდებული.

— ექიმო, მამაჩემის ცხედარი უნდა მომცეთ. მე არ მინდა ის დაუტირებლად დაიმარხოს.

— გახლავს ვინმე? — შეეკითხა სოსო.

— არავინ. ფულიც არა მქონდა, მაგრამ გუშინ ნაცნობებში მოვაგროვე. ცოტა მაკლია და იმასაც როგორმე ვიშოვი და მამაჩემს მაინც წავესვენებ.

სოსო ალტაცებით შეჰყურებს ამ მხეზე გარუჯულ ბიჭს, ასე რაინდულად და ასეთი დიდი კაცის სერიოზულობით რომ ჰპატრონობს მიცვალეულს. ის იღებს ჯიბიდან საფულეს და ხუთ მანეთს უწვდის მას. ბაღლი ფულს მადლობით ართმევს და უსიტყვოდ და მრავალმეტყველი თვალებით შეჰყურებს გერმას.

— ბიჭო, მე მამაჩემი არ დამიმარხავს და მამაშენს მამარხებენ? სად არის, ბიძია გადასაყრელი ფული? თუ რამე იშოვე შეინახე და ოსეთის გზას გაჰყევი. მამაშენი კი აქაც კარგად მოისვენებს — ეუბნება გერმა ბაღლს და ირონიული ლიმილი სკრის მისი ტუჩის კუთხეებს.

— უკაცრავად, ამხანაგო ექიმო და თქვენ .. თქვენ მიცვალეულებსაც ვერ დამარხავთ.

— ყოჩაღ, პატარა ბიჭო. ეხლა კი წავიდეთ და განკარგულება მოვახდინოთ, რომ მიცვალეული მოგცენ. — ეუბნება სოსო და ბავშვთან ერთად დარბაზიდან გადის.

— შეხედე ამ მაიმუნს, რა პასუხი სცოდნია.. — უკმაყოფილოდ გაიფიქრა გერმამ და გაზეთი, რომელიც ხელში ეჭირა, მაგიდაზე გადააგდო.

— ხომ ჩაგაჯინა ოსმა! ჩინებული პასუხი იყო, არა, გერმან?!. სთქვა ისევ ოთახში შემოსულმა სოსომ და ლიმილით გადახედა წარბ შეკრულ მეგობარს.

— შენც სასაცილო ხარ შენი ქველმოქმედებით. ყელსახვევი ვერ გიყიდი და..

— მე შემეძლია ვიარო გახუნებული ყელსახვევით და გაცვეთილი ეილექტით, მაგრამ არ შემეძლია არ დავეხმარო ადამიანს, რომელიც შველას მოითხოვს.

— ჰო, შენ გაუსწორებელი ფილანტროპი ხარ, მე კი..

— შენ კი მეტი ყურადღება უნდა მიაქციო იმ საქმეს, რომელსაც აკეთებ, მოვალეობა..

— მოვალეობა, მორალი, თავგანწირვა, კიდევ არაფერს იტყვი? როდემდის უნდა მარიგებდე აგრე? ხომ იცი, რომ ეს სამი მცნება ჩემს თავში არ შედის.

— არა, რა ჩემი საქმეა დარიგება! მე მინდა გავაფრთხილო მხოლოდ და ვითხოვ, რომ შენი მორიგეობის დროს ავადმყოფები უკმაყოფილონი არიან, ამას წინათ მომაკვდავს ექიმო მოეთხოვა და შენ თურმე კაბინეთიდან უშვებდი. ეს არ შეიძლება.

— მე ყოველ საღამოს ესინჯავ ავადმყოფებს და შემდეგ უტოვებ თანაშემწეს. მე ექიმო ვარ და არა მომვლელი ქალი.

— როგორც გინდა, მაგრამ თუ ეს ამბავი ჩვენი პროფესორის ყურამდე მივიდა, ხომ იცი, ხუმრობა არ უყვარს.—ამ სიტყვებით ის გავიდა კაბინეთიდან და გერმანაც უგუნებოდ ასწია ხბრები. გულში შიშის მაგვარი გრძნობა აღეძრა და გადასწყვიტა, მეტი ყურადღებით მოპყრობოდა ავადმყოფებს.

საღამოს 7 საათზე სათითაოდ ჩამოუარა ყველას და ამ საქმეს ჩვეულებრივზე მეტი დრო მოანდომა. როცა კლეჩიანი ქალის ოთახს დაუახლოვდა, ლაპარაკი მოესმა და ისიც უნებურად შესდგა.

— ვოვა, მე ხომ მუდამ გვედრებოდი ერთი თვე მაინც მაცხოვრე ნამდვილი ცხოვრებით მეთქი. ეხლა ისე უნდა მოგკვდე, რომ არც კი ვიცი რა არის სიყვარულის ბედნიერება. ვოვა, ძვირფასო ჩემო, საყვარელო ვოვა, აქედან გამოიყვანე და ორი დღე მაინც მამყოფე შენს ახლოს, მხოლოდ ორი დღე.—ამობდა ქალი მტირალი ხმით.

— ჩემო ძვირფასო ვიოლა. განა არ იცი რომ ახლა ამაზე ფიქრიც არ შეიძლება?!—უბნება ვაჟი.—ძლიერი აღელვება ბოლოს მოუღებს შენს სიცოცხლეს და მე ჯალათად გინდა მაქციო? კიდევ ერთი ან ორი კვირა დაიცადე. შემდეგ სადმე ზღვის პირას წავალთ და როცა ცოტა მომჯობინდები, სურვილს შეგისრულებ. ვიცხოვრებთ ერთად და განუყრელათ.

— არა, არა, ზღვა არ მინდა, მე იქ ვერ წავალ. ვერ წავალ იმიტომ, რომ ვიცი... აქვე მოგკვდები და შენ... შენ არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ.

— ნუ ღელავ, საბრალო ბავშვო. დამშვიდდი, ხვალ ისევ მოვალ და ისევ ვილაპარაკოთ ამაზე.

„სულელი ყოფილხარ, ძმობილო! მოსწყვიტე ეს მომაკვდავი ყვავილი და დასტკბი უკანასკნელი სურნელებით“,—გაიფიქრა გერმამ და საჩქაროდ მოშორდა კარებს.

ლამის თორმეტი საათი იყო, რომ გამოალეიქეს. მის წინაშე ვოვა იდგა. აბრეშუმით რბილი ქერა თმა განზე გადაეწარცხნა და მისი ლურჯი დიდრონი თვალები ცრემლებში სცურავდა.

— მაპატიეთ, უდროოდ რომ გაწუხებთ, მაგრამ..

— მობრძანდით, დაბრძანდით—მიიპატიეთა გერმამ და სტუმარს სკამი მიაწოდა.

— ექიმო. თქვენც იცით, რომ ავადმყოფი უნუგემო მდგომარეობაშია, ის მოითხოვს უკანასკნელ სიხარულს, ალერსს და საყვარელ მამაკაცს. შეუძლია თუ არა მას ასეთ რამზე იფიქროს, და თუ შეუძლია, რამდენ ხანს გასტანს მისი სიცოცხლე?

— ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ, ჩემის აზრით ავადმყოფის ნატერა ბუნებრივია, ერთი ბედნიერი წუთი საუკუნოებს უდრის. აჩუქეთ მას ასეთი წუთი.

ვოვა დაფიქრდა. პირსახეზე უმწეობა გამოეხატა და რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— კარგი, ამელამ კიდევ ვიფიქრებ ამაზე, ეხლა კი, ექიმო, ~~მეცხრამეტე~~ მს-
თან შეხვიდეთ. ძალზე აღშფოთებული დავტოვე.

ვოვა გავიდა და გერმაც აედამყოფისკენ გაემართა. ქალი მარტო იწვა. ისიც ხშირად ესაუბრებოდა მას ამა თუ იმ საკითხებზე. აედამყოფს მხოლოდ სიყვარული და სიკვდილ-სიცოცხლე აინტერესებდა და მსჯელობის დროს გასაოცარ ნიქს და ჭკუამაზებელობას იჩენდა. გერმას ებრალებოდა ის და თანაც ნანობდი, რომ ასეთი იშვიათი სილამაზე ასე უდროულად უნდა ჩამქრალიყო. როცა ოთახში შევიდა, ქალი პირაღმა იწვა, ბორგავდა და საზაფხულო საბნის ფონებს შეუბრალებლად წეწავდა.

— გაიქცა, ექიმო, მშინარა! საძაგელი! გაიქცა! არასოდეს არ ვყვარები-
ვარ იმას, არასოდეს, ამ სიტყვებით გერმას ხელა სწვდა და გულზე მიიღო.
ყური დაუგდეთ ჩემს გულს. ის ალბათ დღეს სამუდამოდ დაიწმინდება.

— არა, თქვენ ღელავთ და ყველაფერი იმის ბრალია, უნდა დამშვიდ-
დეთ..

— როგორ შემიძლია დავმშვიდდე, როცა.. ოჰ, პაერიც არა მყოფნის, მე
დავიხრჩვები ასე. გერმა მიუახლოვდა, ორივე ხელი მოხვია და ლოგინზე დასვა,
მაგრამ მოდუნებული სხეულის სიმძიმემ შეაკრთო და როდესაც ისევ დააწვინა,
დაინახა, რომ ქალს პირიდან სისხლმა ამოხეთქა. გერმა გაშეშდა, მაგრამ ჩქარა
ისევ გონზე მოვიდა და გრძნობა-დაკარგულ ქალს მოსულიერება დაუწყო. მან
თვალეები გააბილა და უაზროდ ვახედა სივრცეს, უეცრად ხელეში ასწია, კარე-
ბისკენ გაიწოდა და პირსახეზე სიკვდილის სიფითრემ გადაკრა.

— შეხედე, ზღვაზე თეთრი თოლიები დაფრინავენ... გამიშვი მეც მინდა
იმათან ერთად გავფრინდე.

— ვიოლა, ვიოლა—ჩასძახა გერმამ და ცხვირი რალაცა წამლით დაუს-
რისა.

— ოჰ, შენა ხარ, ვოვა? მე თეთრ თოლიებს მივყვები და შენ კი...

გერმამ ქალის გაყინული ხელი აიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ მაჯამ
ფეთქება შესწყვიტა და ისიც დამძიმებული თავით ზეზე წამოდგა. ბალიში გაას-
წორა, მომვლელ ქალს დაუძახა და უბრძანა მიცვალებული ოთახიდან გაეყვანათ.

* *

— რამოდენა კაცი გამხდარხარ, ანატოლი, მე კი ისევ ის წითელ ხალათ-
იანი ბიჭი მგონიხარ, ჩემთან, რომ სამეცადინოთ დადიოდი.

— ის პატარა ბიჭი ჩქარა აკადემიას დაამთავრებს, მარინა.

— აი, როგორ გაუსწარი წინ შენ მასწავლებელს. მე მაინც ძალიან მოხარული
ვარ, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა. იცი როგორ გამებარდა როცა გაზეთში
ამოვიკითხე, რომ შენ უნიჭიერეს მოწაფედ ითვლები საშაბატერო აკადემიაში!

— თქვენ და დიტო რომ არ დამხმარებოდით, ვერასოდეს ვერ ვიხილავდი
აკადემიის კედლებს.

— დახმარება მალე შევსწყვიტეთ შენივე თხოვნით. რა იყო ეს, სიამაყე?

— არა, გაკვეთილი ვიშოვე და ის ფული ვიკმარე.

— მახსოვს როგორ ოცნებობდი აკადემიაზე, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე, ეხლა ყოველივე ეს შენს ხელთ არის და ალბად ბედნიერი იქნები.

— ჩემ ბედნიერებას ერთი რამ აკლია.

— რა, ანატოლი?

— მეგობარი.

— ეგ ყველას გვაკლია, ჩემო კარგო.

— მარინა, იცი რა მინდა გთხოვო? როცა თქვენთან ვსწავლობდი, მაშინ ჩემი ოცნება იყო მხატვარი გამოვსულიყავი და თქვენი სურათი დამეხატა. დღეს შემიძლია ეს ოცნება შევისრულო და გთხოვ კვირაში რამოდენიმე საათი მაჩუქოთ.

— ძვირფასო მეგობარო. ღირს კი ჩემი პირსახისათვის დროის დაკარგვა? ტფილისში ულამაზესი ქალები სიამოვნებით შეასრულებენ შენს თხოვნას.

— მე მხატვარი ვარ და დავეძემ არა ულამაზესს, არამედ შინაარსიან პირსახეს, რომლის თვითფული ნაკეთიც კი ადამიანის სულიერ სიღრმეს ამკლავნებს. ნუ შეტყვი უარს მარინა.

ქალი შეეყოყმანდა. ათასი საქმე მოიმიზეზა, უდროობა დაასახელა, მაგრამ ბოლოს ვაჟმა მიინც თაგისი გაიტანა და სანამ თანხმობა არ ჩამოართვა, მანამდე არ წავიდა.

* *

მოძრაობს ქუჩა.

ტრამვაი, ეტლი, ავტომობილი და ავტობუსი ისეთი სისწრაფით სცვლიან და მისდევენ ერთმანეთს, რომ ადამიანმა აღარ იცის, რომელ მათგანს აუქციოს გვერდი. არა ერთი და ორი სიცოცხლე გაუსრესია ამ მოძრავე ბორბლებს. არა ერთი და ორი ადამიანი დასახიჩრებულა ამ გაგიყებულ მოძრაობის პროცესში.

ცხოვრება ბრუნავს და ბრუნავს ადამიანიც, ამ ცხოვრების ვიწრო ლაბი-ზინტებში გაჩხირული.

გაიმარჯვებს ის, ვინც ძლიერია, ის, ვისაც მახვილი მხედველობა აქვს, ის, ვინც ფიზიკობს და წინ იხედება და კიდევ ის.. ვინაც შეიგნო, რომ ეს ცხოვრება ბრძოლაა და არა თამაში. შესაძლოა, რომ ამ ბრძოლის შუა პროცესში გაგიტყდეს ხმალი, მაგრამ თუ გმირი ხარ შენ და თუ იბრძვი შენ ჭეშმარიტების სახელით, უსათუოთ მაინც გაიმარჯვებ.

— აი, ის მშფოთვარე ცხოვრება, რომლის ორომ ტრიალში მეც მოგხვდი. ფიქრობს მარინა და თავის ოთახის ფანჯრიდან შეპყურებს ქუჩის მოძრაობას მაგრამ... სად არის ის სიხარული, ან ის ოქროს ჭოჩრიანი ორეული, რომელსაც ხედავდა სიზმრად თავის ცხოვრების პირველ გაზაფხულზე?!

სიზმარი დრომ წაიღო. ოცნება დროს გაჰყვა და დღეს... დღეს კი ეს დინჯი, სერიოზული და საქმიანი ქალი სულ სხვა თვალებით და სულ სხვა გრძნობით უყურებს ცხოვრებას, სიყვარულსა და ადამიანებს. მან იცის, რომ ბედი ისეთს არასფერს მისცემს მას, რომ გააოცოს, აღაფრთოვანოს, გაახაროს.

ბრძოლა, შრომა, მოვალეობა, აი, ის ტვირთი. რომელსაც მიათრევს ადამიანი თავისი ცხოვრების პირველი საფეხურიდან ამ ცხოვრების უკანასკნელ საფეხურამდე და უსათუოდ საქებია ის, ვინც ამ ტვირთს მედგრად და მძინურად ატარებს, ვინც ამ ტვირთს ბოლომდე გაუძღვება.

— რაზე დაფიქრდი, მარინა? ეკითხება მას პოლინა, რომელიც იქვე წამოწოლილა და რაღაცა წიგნს კითხულობს.

— არაფერზე, ისე... მიუგო მარინამ და რაღაც ჯიუტი მოძრაობით ფანჯარას მოშორდა.

— ხუთი საათია და მე დღევანი დი, მაგრამ შენი ოთახი ისეთი კოხტა და ლანაზია, რომ მე აქ ვისვენებ ხოლმე. ამბობს პოლინა და ყვითელ აბრეშუმის ბალიშზე იღაყვით ეყრდნობა.

— შენი ოთახი ამაზე უფრო დიდია და ნათელი, მაგრამ უწესრიგია, თქოს მამაკაცი ცხოვრობდეს იქ. რა უყავ შენი ქალური სინაზე?

— ირკურტსკის გუბერნიაში დავტოვე და არც ვნანობ ამას. ოჯახს არასდროს არ შეეკმნი და იმ საქმისთვის, რომელსაც ვემსახურები, უამისოდაც ვარგევარ.

— ზურაბი! დაგავიწყდა?

— როცა თანაგრძნობას, ვერ დაინახავს, მოსწყინდება და წავა.

— შეურიგდები ამას?

— უნდა შეურიგდე.

— არ მესმის. შენთან ბედნიერება მოდის, ბედნიერება ნათელი და მშვენიერი, შენ კი უარს ეუბნები. რათა, რისთვის?

— მისთვის, რომ ჩემს ცხოვრებაში ისეთი რაღაც მოხდა, რამაც მოჰკლა ქალიც, დედაც, და შემადგულა მამაკაცი. მეტს ნურაფერს მკითხავ. სჯობს შენზე ვილაპარაკოთ. რას ერჩი გერმას?

— უკვე ჩავასმინა?

— შენ მოგწონს ის, მასაც უყვარხარ. რას თხოულობ მისგან?

— მეტ თავდაპერილობას, მეტ სიღინჯეს, მეტ ადამიანობას. სამი წლის განმავლობაში მე ისეთ რამეს ვეძებდი ამ ადამიანში, რაც მე თვითონ მინდოდა დამენახა, ვეძებდი შინაარსს და ვერ ვიპოვე. აღარ მინდა ვიფიქრო ამაზე, თავი დამანებოს.

— გერმამ შენი ახალი მისამართი მთხოვა.

— და შენც მიეცი?

— ჰო! საცაა მოვა.

— პოლინა, მე წავალ აქედან.

— შენ არავითარი წარმოდგენა არ გქონია ზრდილობაზე.

— მის კანონებს თქვენ არღვევთ.

— თუ ჩემი მოსვლა გწყინს, აღარ მოვალ.

— მე შენზე არ ვამბობ.

— რად მემალები, ან რისი გეშინიან? ეს ბავშობაა.

— მის მოახლოებასაც კი ვერ ვუძლებ. მე იგი არ მომწონს, მაგრამ ის მაინც რაღაც გავლენას ახდენს ჩემზე. მე ის არ მინდა, მისი თვალები კი მაინც

მაწუხებს, მინდა არ შევხედო მას, გავეჭე, დავემლო. მაგრამ როცა მომიხლოვდება ხოლმე, ნების ყოფა მერღვევა. ოჰ მეც არ ვიცი რა შემაჩვენება, არ ვიცი.—წამოიძახა მან აღუღებელი ხმით.

— ჩემო შეგობარო, შენ გიყვარს ის.

— არ მინდა მიყვარდეს,

— სიყვარული ბრძანებლივით მოდის და არ კიბხულობს გინდა თუ არ გინდა.

— მე შეგობარი მინდა, ის კი მოდის, როგორც მამაკაცი. მე სულიერ სიმაღლეს, სინაზეს ვეძებ, იქ კი ვნებაა, უხეში ვნება. შეუძლებელია ეს სიყვარული იყოს.

— თუ ამაში დარწმუნებული ხარ, შეეცადე და გადასჭერი ის ძაფები, რომელსაც შენი გული უკვე დაუქსელავს. ნახვამდის ჩემო კარგო. ჭკვიანად იყავი და ნერვებს გაუფთხილდი. ის ეშვიდობება მას და გადის ოთახიდან.

— რათ მოხვედით? რა გინდათ აქ?—ეკითხება მარინა ოთახში შემოსულ გერმას და ვერ მილავს სიწითლეს, რომელიც უნებურად ედება მის პირსახეს.

— ახირებული კითხვაა—ამბობს ის ღიმილით და ქუდს იქვე მაგიდაზე სდებს.

— ჩემთვის ახირებული არ არის.

— გინდა იცოდეთ რად მოვედი?—ეუბნება ის და შეჰყურებს, ისე, როგორც შეჰყურებს, მონადირე საფანტით დაჩაჩულ ჩიტს, რომელსაც ფრთები დაუზიანდა, და აღარ შეუძლია გაფრინდეს, მარინა გრძობს რაც უნდა ითქვას და აღარ სურს მოუსმინოს მას. ის სდგას შეკრული წარბებით და ცდილობს დაიყუჩოს, გული, რომელიც არ წყნარდება.

— მომისმინეთ, მარინა.

— არა. მე გავალ და იძულებული იქნებით ელაპარაკოთ კედლებს

— თქვენ ამას არ იზამთ, ვერ იზამთ—ამბობს ის მტკიცედ და შეურყევლად.

მე თქვენ არ მიყვარხართ—ამბობს ჭალი სპასუხოდ და ცდილობს დაახწიოს თავი იმ განცდას, რომელიც ცეცხლივით ედება მის სხეულს.

— შემიყვარებ.

— არასოდეს!

— მაშ რად ხრი თვალებს, ვნებისგან დაბინდულ თვალებს? ასწიე თავი, მე მინდა შევხედო მათ და გავიგო რა ხდება შენს გულში, მარინა...

— ოჰ, თქვენი ახირებული დაკინება და გადაჭარბებული ვნებიანობა მოსაბეზრებელია. ჩვენს შორის არასოდეს არ ყოფილა მშვიდი საუბარი, ადამიანური მსჯელობა, სინაზე. თქვენ იწვით მუდამ და სხვასაც სწვავთ.

— ამაშია სიღამაზე, სიცოცხლე, მშვენიერება. რამდენადაც შეეძინა აქვს ადამიანს ვნება, იმდენადვე უფრო ნიჭიერი და ენერგიულია იგი.

— გეთანხმებით, მაგრამ ამ ვნების სადავე ადამიანს ხელში მაგრად უნდა ეჭიროს, თქვენ კი...

— არ მესმის, რა გინდათ რას მოითხოვთ ჩემგან?

— თქვენ არ იცით და არც გინდათ იცოდეთ თუ რას განვიცდი მე, რას ვეფიქრობ, რას ვაკეთებ.

— ვიცი. უნივერსიტეტში დადიხარ, მოსაწყენ წიგნებს კითხულობდი და დაქტოვ ქალაღლებს სჩხრეკთ და ამავე დროს გინდათ, რომ უჭკველად მთქმუნდეს ყველა ფერი ეს?

— თქვენ თქვენი საქმეც არ მოგწონთ. მსახურობთ მხოლოდ მისთვის, რომ იარსებოთ. შინჯავთ ავადმყოფებს და გძულთ ავადმყოფები.

— ვითომ? საიდან გაიგეთ ეს?

— თქვენი ცხოვრებიდან.

— მე არ ვბაძავ იმ უტვინო იდეალისტებს, რომლებიც დადიოდნ დაკერებული ხალათებით და ეგონათ კაცობრიობას ემსახურებოდნ. ამ ქვეყნად მოვედი ერთხელ, მტორედ აღარ მოვალ და მინდა რაც შეიძლება მეტი წავართვა ცხოვრებას. საშუალება რომ იყოს, მე არ დაუწყებდი სინჯვას ამ ავადმყოფებს, ავდგებოდი და წავდიდოდი ევროპაში სამოგზაუროდ. თქვენ კი არ გინდათ გაიგოთ ეს და ისეთ საქმეს, აკეთებთ, რომლისათვისაც არა ხართ გაჩენილი.

— მაშ რისთვის ვარ გაჩენილი?

— ბედნიერებისათვის, სიხარულისათვის.

— თქვენ მაინც ვერ მომიტანთ ამ ბედნიერებას.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მხოლოდ ქალი კი არა ვარ, არამედ ადამიანიც. მაკაცაში მარტო მამაკაცს კი არ დაეძებ, არამედ ადამიანსაც და კიდევ იმიტომ, რომ მესულიცა მაქვს და ეს სული მეტ თანაგრძნობას და მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

— სულს ჩარჩო ეფარება, ჩარჩო რომელიც მხიბლავს და მიზიდავს..

— ეს ჩარჩო რომ მოქველდება?

— მეც მაშინ ვისწავლი სულის პატივისცემას, ეხლა კი... ეხლა მხოლოდ შენ მინდებარ, მინდებარ შენი სილამაზით, მაგ ცეცხლითა და მიუკარებლობით.—ამ სიტყვებით ის წავიდა მარინასაკენ და იგრძნო, როგორ იზრდებოდა მისი გული და როგორ გლეჯდა მის ძარღვებს ვნება და სურვილი დამორჩილების.

— ხელი არ მახლოთ, ვესმით? ამის ნებას არ გაძლევთ,—სთქვა ქალმა და იგრძნო, რომ ამ კაცთან ერთად მას საშინელება უახლოვდებოდა, რომელსაც უნდა გაჰქცეოდა, დაჰმალოდა:

— ერთის წუთით, მხოლოდ ერთი წუთი გიგრძნო აქ, ჩემს გულთან.— ამ სიტყვებით ის მოეხვია მას და გაგიჟებული სიჩქარით დაუწყო კოცნა ქალის შუბლს, თვალებს, ტუჩებს მაგრამ ქალმა ხელის კერით მოიშორა ის. გერმა ქუჩაში გავარდა და ხალხში გაერია, რათა გაჰქცეოდა სიგიჟეს, რომელსაც იგი შეეპყრო, მაგრამ ეს სიგიჟე აქაც არ სტოვებს მას და მიდის.. მიდის...

„ელიავას ქ. № 10“—ეჩხირება თვალეებში სახლის ფარანი. ხარის ფოლაქს აქერს ხელს და შედის.

თინას უყვარს ის მთელი თავისი ქალური სინაზით და ჯერ კიდევ სჯერა მისი გულწრფელობა. ის მზიარულად უხვდება მას. ეხვევა, უალერსებს. გერმა

ცდილობს უპასუხოს მის ალერსს, მაგრამ გრძნობს, რომ ყოველგვარი ვნება უჭრება და ეს ქალი მარინას შემდეგ ცივი წყალივით მოქმედობს მასზე.

— რა გემართება, აღარ გიყვარვარ? — ეუბნევა თინა დანისილული თვალე-
ბით და გაკვირებული შეჭყურებს გარინდებულ მამაკაცს. *მარინა*

— მაპატიე, მაგრამ დღეს ცუდად ვარ. სხვა დროს შემოვივლი ამბობს
ის არეულად, ცოვად ეხება მის ხელს და საჩქაროდ გადის ქუჩაში.

მარინას შემდეგ მას აღარ ალელვებს არც ერთი ქალი. როდემდე გას-
ტანს ეს?

* * *

მარინა ერკვევა, მარინა შუოთავს, მაგრამ ამავე დროს გრძნობს, რომ
გერმას კონცა ეზღაღ საწამლაივით სწავეს მის ტუტებს, და თანდათანობით
ედება მთელ სხეულს. ეს არის გერმას სხეულიდან გადმოსული ვნებიანობის
შხამი, როპულიც მის სისხლში გადმოიღვარა და ეს შხამი აავადებს მას. ის იც-
ნობს ამ კაცს და იცის, რომ მისთვის ყველაფერი საშუალებაა. ქვეყანა,
ადამიანები, ქალიც და სამსახურიც. მიზანი კი მხოლოდ საკუთარი თავია, სა-
კუთარი სიხარული და სიამოვნება. უხეში ვნებითა და სასტიკი სურვილებით
მოღის ის, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ახდენს მასზე შთაბეჭდილებას და
მარინაც ერიდება მას, ერიდება ისე, როგორც რაიმე საშიშროებას, როგორც
გადამდებ სნეულებას.

უცრად დიტო მოაკონდა და გაფითრდა, გააქრკოლა. მას თითქოს დაა-
ვიწყდა ეს კაცი, დღეს კი რატომღაც მეტი სინაზითა და მეტი გულის ტკივი-
ლით აკონდება.

ძვირტასი და კეთილი მეგობარი, მუდამ თავზიანი და მუდამ კეთილშო-
ბილი. ყველასათვის თავადებული და ყველას მიერ მოყვარული. მაგრამ ის
თავისი დაღლილი თვალებით, მოკრძალებული ვნებით და დინჯი ტემპერამენ-
ტით ვერ იწვევდა მასში იმ განცდას, რომელიც ერთი შეხებით გამოიწვია გე-
რმამ.

ოპ, ნეტავ შეეძლოს მარინას ცეცხლის კვერთხით დააქუცმაცოს ეს ორი
კაცი და ნამსხვრევებიდან ააქანდაკოს ერთი მთლიანი ადამიანი, ადამიანი კე-
თილშობილი სულითა და ძლიერი სხეულით! თვალდახუჭული მიეცა ფიქრებს
და ეს ფიქრი ცეცხლივით იწვის მის ძარღვებში.

საათმა მოულოდნელად დარეკა და ქალი ბურანიდან გამოიყვანა. ისრებმა
თორმეტი აჩვენეს, მარინა შეშფოთებული წამოიჭრა. სამ საათს იჯდა აქ, ამ-
გვარ მდგომარეობაში. ნუთუ ისე დაიმორჩილა გრძნობამ, რომ საკუთარი საქმე
დაავიწყა? თავი გაჯავრებით გადაივლო უკან, შეკრებილი ჩუქუქა თმები თი-
თებით დაილაგა და ანატომიის სქელტანიანი წიგნი გადაშალა. ორი საათის
შემდეგ ისევ წამოდგა. საჩქაროდ ტანთ გაიხადა და ის იყო ყვითელი საღამური
პერანგი აიღო, რომ ამ დროს მოჰქრა თვალი თავის შიშველ სხეულს კედლის
სარკეში. მოჰქრა და უნებურად შეჩერდა, დაამტერდა მას. ოქროფერი თმა
გვირგვინივით ადგა მის პატარა თავს და ახვირთებული მკერდიც შინაგანი
ღელღისგან თრთოდა. დღეს პირსახეც უფრო მოძრავია, თვალები უფრო ელვა-
რე, ტუტები წითელი, ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი და წითელი.

„სამარის ჭიებისათვის ინახავენ ქალები თავიანთ ტუჩებს“, შარგონდართი ქართველი მწერლის სიტყვები და ხედავს გარღვეული სამარეს და უსულო ლეს ჭიებითა და მატლებით ამოვსებულს. უსაზღვრო შიშმა შეეპყრო და ერთოვლით მიიფარა საბანი, მაგრამ ძილი მაინც არ მიეცარა.

„სამარის ჭიებისათვის ინახავენ ქალები თავიანთ ტუჩებს“, იკონებს ისევ. „დიად, უკეთესია ჭიებმა გამოზრან მისი სხეული, ვიდრე მიუახლოვდეს მას მხეცი ადამიანი, მიუახლოვდეს, როგორც ხორცს, და როდესაც გაძლება ამ ხორციტ, დამცინავი ხარხარით განშორდეს მას.“

სად არის ის კაცი, რომელზედაც ოცნებობს მარინა და რომელსაც ეძახის განწირული ძახილით? არა სჩანს ის... არა სჩანს... არა სჩანს.

* * *

მზემ უკანასკნელად აკოცა მთებს, მინდვრებს, ყვავილებს და მომაკვდავი ადამიანით დახუჭა ლამაზი თვალები.

— ცის ტატნობზე სისხლის-ფერი ტბა გაჩნდა და ამ ტბამ შთანთქა ის ყვითელი შუქი ჰაეროვანი რხევით ლტოქევით ჩამოჰყვა ჰერს და სასაფლაოს ძეგლებს ოქროს ფოთლები გადააყარა.

„დაიბადა ამა და ამ წელს, გარდაიცვალა ამა და ამ წელს“. — კითხულობს სამარეთა შორის ობლად მოყვალე მარინა. ის იმისთვის გამოეჭკა თავის ოთახს, თავის წიგნებს, თავის სამუშაოს, რომ მთლიანად შეეგრძნო ბუნების მყუდროება და ამ გარდაცვლილ ადამიანთა შორის დაეფიწყა თავისი აფორიაქებული გულის თქმა.

უეცრად შედგა. ერთ-ერთ ძეგლში ჩაქედილი სურათი იპყრობს მის ყურადღებას. ახალგაზრდა, საოცრად ლამაზი ქალი შეჰყურებს სვედიანი თვალებით მარინას და ეს თვალები უკვე მკვდარი ადამიანისა, მახვილივით ლაღრავს მის გულს.

რას ამბობენ ისინი?!

„ახალგაზრდა ვიყავი მე, ლამაზი, სიცოცხლით სავსე, მიყვარდა გაშლილი ველი, მზე, პეპლები, ყვავილები და შევტრფოდი მთებს, მინდვრებს ნაკადულებს. არა რა ვარ ეხლა მე და ის ძეგლებიც რომლებსაც დღეს ეს მარმარილო ადევს, დაიფშენება ეამთა სრბოლისაგან და დარჩება მხოლოდ ეს სახე, აჩრდილი წარსული მოგონებისა. იცოცხლე ახალგაზრდა ქალო ნამდვილი სიცოცხლით და ისარგებლე იმ პატარა დროთი, რომელიც დაგრჩენია, თორემ ერთ დღეს შენც სიკვდილი ვაგაციებს და აღარავისთვის აღარ იქნები საყვარელი და საჭირო“.

უკანასკნელად ის თითქოს აფრთხილებს მარინას და ისიც დამძიმებული თავით უახლოვდება სხვებს.

თეთრად აპართულ ბრინჯაოს ძეგლს ორი ტაეტი აწერია. პირველი ელატას წაუშლია, მეორე კი გარკვევით არის აღბეჭდილი:

„ეს ლალატი შენგან შემხვდა
და შენ ეს ვერ შევტყვია,
მე ცხოვრებამ ვერ გამტეხდა
დამამარცხა მხოლოდ ტყვიამ“.

მარინამ სიბრალოლთი გადახედა ახალგაზრდა კაცის სურათს, რომელსაც კეკელიანი და კეთილშობილი იერი ედო.

„ვის უჩივის ლალატს? ქალს? მეგობარს? საზოგადოებას? — ფიქრობს მარინა და ათასი შთაბეჭდილებით დაქანცული თვალდახუჭული ეშვება მწვენი ბაღახებში,

იწყება შეგნებული სიცოცხლე და იწყება ბრძოლა არსებობისათვის.

ცხოვრების მუდმივი ცვალებადობა. სტიქიონის მუდმივი ბრუნვა. ბედის მუდმივი ტრიალი. ადამიანი მაინც არ დრკება და მაინც მიდის. მიდის წინ, სულ წინ და განუწყვეტელი მოგზაურობით დაქანცული, თანდათანობით უახლოვდება სიკვდილს. სიცოცხლის საზღვარს, იმ საზღვარს, სადაც შავი აჩრდილი დგას შავნისლოვან სამოსელში გამოხვეული.

„შესდექ, ამას იქით გზა არ არსებობს“.

მკაცრად ეუბნება ის შემკრთალ ადამიანს, ერთის დაკვრით სწყვეტს სასიცოცხლო ძაფებს და სასტიკი ხელით გადასტყორცნის მას მარადისობის პირილია უფსკრულებში.

— მარინა!. მარინა!

„ოჰ, ის უკვე ეძახის მას, უბნობს“, — ფიქრობს ის და შიშისაგან ფართოდ გახედილი თვალებით შეჰყურებს სივრცეს.

— მე ვარ, მარინა, მე! — ეუბნება გერმა და ახვევს თავის პალტოს, ათბობს თავის გულთან, ეხვევა, ეფერება. ათრთოლებული, თითქმის გრძნობა მიხდილი ქალი ეფარება მის მკერდს.

— პოლინამ მითხრა, რომ აქეთ წამოხვედი და მეც გამოვეშურე. რა უცნაური ქალი ხარ! აბა ვინ დადის ამ დროს სასაფლაოზე?

— შვიშარა არა ვარ მაგრამ ჩემი სახელი იმ დროს შემომესმა, როდესაც სიკვდილზე ვფიქრობდი და ამ მოულოდნელმა დაძახებამ შემაშინა. მაგრამ მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოხვედით და ერთხელ მაინც მაგრძნობინეთ თქვენი ადამიანობა. თქვენ ნაზი ხართ ახლა, გერმა. ვნება აღარა სჩანს და მეც მაშინ მიყვარხართ, როცა ამგვარი ხართ ხოლმე.

— კეთილი, მარინა, მაგრამ მუდამ ასეთი ხომ ვერ ვიქნები. შენს გულგრილობას სასოწარკვეთილებამდე მიყვებარ. სად არის შენი ქალობა?

— ქალს ჯერ კიდევ სძინავს, მაგრამ თუ მას ასე ფრთხილად მიუახლოვდები, ის უსათუოდ გაიღვიძებს.

— როდის იქნება ეს? ავერ მეოთხე წელიწადი სრულდება და ამ ხნის განმავლობაში მე ვერ დაგელაპარაკე რიგიანად, ვერ მოვედი ახლოს შენს გულთან.

— ეჰ, გერმა, რატომ ოდნავ მაინც არ ჰგავხარ იმ იდეალს, რომელსაც მუდამ სევდიანი გულით დავეძებდი? სთქვა მარინამ წყენით და შეწუხებული სახე ზევით აიწია.

— სინამდვილე არ იძლევა ასეთ ფანტასტიურ იდეალურ ტიპებს, რომელსაც ქმნის ოცნება გატაცებული ადამიანისა.

— მე ერთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც განსახიერებაა სულიერი სიმართლისა და კეთილშობილების.



— მე უპატიოსნო ადამიანი არა ვარ, მარინა
 — მე მინდა უკეთესი იყო, მე მინდა მაღალი იყო, მაღალი, ~~სიკეთესი~~
 — ჩემო ძვირფასო მეგობარო, გერმა ვერასოდეს ვერ ავაქამ-სამსაღმდეგზე
 ა შენ ისეთი უნდა გიყვარდეს იგი, რაც სინამდვილეა. ხომ ხედავ ამ სამარო-
 მს. მილიონი სიცოცხლე შთაინთქა აქ და დღეს არავინ არაფერს აღარ ლაპა-
 აკობს მათს არსებობაზე. მაშ მანამდე ვიცოცხლოთ, სანამდე შესაძლებელია
 ცოცხლე. გვიყვარდეს, სანამდი სისხლი არ დამშრალა ჩვენს ძარღვებში. ცხო-
 რება ძუნწია და არაფერს არ მოგცემს, თუ ძალად არ წააგლიჯე რაიმე. — ეს
 იტყვიები ისეთი პათოსით და ისეთი ტემპერამენტით ითქვა, რომ მარინა ერთი
 უთით გაირინდა და იგრძნო, რომ ის თავის საპასუხო სიტყვით ვერ დაარღვე-
 და და ვერ გააბათილებდა იმ დებულებებს მის წინ კემპარიტების სახელით
 რომ ასაღებდენ.

უეცრად მოვარდნილმა ნიავმა ქანდრისა და ვერხვის ტოტები ჩამოფერ-
 ხა და აღრეულად შეეყვითლებული ფოთლები აქა-იქ ქარებშივით გაფანტა.

მარინამ ახედა საშემოდგომოდ მორთულს დანისლულ ცას, დახედა და-
 ვეგნილ ფურცლებს, შეხედა მის წინაშე მდგომ მამაკაცს და... უეცრად გა-
 ტრიალდა.

მან საჩქაროდ გადასჭრა კათოლიკების ეკლესიის ეზო, ჩაირბინა ლერმონ-
 თოვის კიბის მაღალი საფეხურები და მუდამ მშფოთვარე ქალაქის ქუჩებს შიშ-
 აკრავი გრძნობით მიაშურა.

* * *

ანატოლის პატარა კაბინეტი საესეა შხით, სინათლითა და სურათებით.
 მარინა ცნობის მოყვარეობით უკვირდება თვითიველ სურათს და აღარ
 ბეჭის, თუ რომლის წინ შეჩერდეს უფრო ხანგრძლივად. თვითიველი პორტრეტი,
 ესეიგი, თუ პეიზაჟი ორიგინალური ფერადებით არის შესრულებული და ყო-
 ველი ხანძოსმა მხატვრის მნიშვნელოვან მიღწევებს ამჟღავნებს.

— ჩემო პატარა ანატოლი,
 — გთოვთ ნუ შეძახით პატარას.
 — რატომ, ბავშო?
 — კიდევ. ნუთუ მართლა ეხლაც ბავშვი გგონივართ? — ამბობს ის და
 მის თქვლებში აფასი მამხალა ინთება.

მარინა გაოცებულია. „ნუ თუ“?! — ფიქრობს ის და უხერხულად შეეყურებს
 ხახლავარდა კაცს, რომელიც ერთ ერთ მოღბერტთან დგას და ყალბით რალაცას
 აფერადებს.

— რა მშვენიერი ტანი აქვს ამ გოგონას! საკვირველია, როგორ უყურებთ
 გულგრილად ამ სილამიზეს.

— მუშაობის დროს საკუთარი თავიც გავიწყდება და მხოლოდ ხახები
 ხახები და კიდევ ხახები გვიხილავს.

— რამ აიუძლა ეს ქალი ამ გვარად დამდგარიყო შენს წინაშე?

— სილარიბემ, მოხუცმა დედამ თვითონ მოიყვანა ჩემთან.

მარინამ ერთხელ კიდევ ახედა ტილოს. შევევრემანი ქალიშვილი, ნორჩი ფაქიზი სხეულით დგას ერთ-ერთ კვარცხლბეკზე, ის მორცხვი ღიმილით დაპყრებს მარცხენა მკერდს და ნაზი თითებით სინჯავს პაწია კუთხურდზე დაბნეულს.

— ეს სურათი მშვენიერია, მაგრამ..

— მაგრამ მისი შინაარსი მოძველებულია, არა? აბა ახლა ამას შემოხედეთ.

დგას მზეზე გარუჯული ახალგაზრდა ქალი, სასპორტო ტანისამოსი აცვია. იცინის, ვაჟური კუნთები ბურთებივით აყრია სხეულზე და რკინის რიკულებს ისე ათამაშებს, როგორც დახელოვნებული ჯამბაზი.

— ახალი ქალი, საბჭოთა საქართველომ რომ წარმოშვა.

— მოგწონთ?

— ძალიან, ასეთ ქალს თამამათ შეუხლია დაუდგეს გვერდით თანამედროვე მამაკაცს და დღევანდელი მშფოთვარე ცხოვრების მთელი სიმძიმე მამაკაცური სიმტკიცით ასწიოს.

— იცით ზოგჯერ რას ვფიქრობ მარინა? ერთი დღეოდე წელიწადი და ქალს ველარ გავარჩევთ მამაკაცისაგან. ეს კი ჩემის აზრით სამწუხარო იქნება.

— შენ ისევ იმ განაზებულ ბანოვანების მოტრფიალედ რჩები?

— არა. ქალმა უნდა თავის-თავი გარდაქმნას, უნდა ამაღლდეს გონებრივად, გამაგრდეს ფიზიკურად და განეითარდეს პოლიტიკურად. მისთვისაც, როგორც ვაჟისთვის სავალდებულო უნდა იყოს ყოველგვარი ვარჯიშობა, ყოველგვარი სპორტი, მაგრამ ამან არ უნდა წაუშალოს მას ქალური სინაზე. თუ ეს მოხდა, ის ძალიან ბევრს დაკარგავს, კაცობრიობაც დაკარგავს და ხელოვნებაც უკაცრავად, ცოტა კიდევ მოიღეთ ჩემსკენ თავი, აი ეგერე.— ამ სიტყვებით ანატოლიმ ხელით გაუსწორა თავი, მაგრამ ამ შეხებამ მის თითებს ცეცხლი წაუკიდა და მარინაც თითქოს შეტოვრტმანდა, მან გადახედა ვაჟის ანთებულ პირისახეს და მის აფეთქებულ თვალებს თვალი აარიდა.

იტიდან რომ გამოვიდა თავის ოთახს დაჟახლოვდა, წინ პოლინა შეეფუთა.

— ჩემსკენ მოდიხარ?

— ჰო, ჩვენ დღეს ერთად უნდა ვიმუშაოთ. საინტერესო წერალები იცივლე პროფინციიდან, მაგრამ თითქმის ყველას შესწორება სჭირდება.

— კარგია, რომ მოხვედი, მაგრამ ჯერ ეს ჩაიდანე დავდგა. ამ სიტყვებით მან ნათქურა ანთო და პატარა ევალიანი ჩაიდანე გაავსო. შეცადინეობა აღუღლებული წყლის ხმაურმა და კარის კაკუნმა შეაწყვეტინათ. ოთხში გერმა შემოვიდა.

— ჩემო მეგობარო, თქვენ ცუდი დრო აგირჩევია სადარბაზოდ. მე ვმეცადინობ.

— სხვებსაც ასე უხედებით?

— ზოგიერთებს უარესსაც ვეტყუბ ხოლმე.

— უწინ ქართველი ქალები სტუმართმოყვარეობით და დარბაისლობით იყვნენ განთქმული.

— ის დრო წაიკიდა. დღევანდელი ქალი დაკოვრილი ხელებით და წითელი ხელაბანდით ქმნის ახალ ცხოვრებას და დარბაისლობისათვის აღარ სცალია.

— სტუმართ-მოყვარეობა?

— დროსა და ადგილს გააჩნია. მე და პოლინას ერთი-მეორე გვექვს და ეს არის ჩვენი ულუფა. წავიდე და კიდევ ვიყიდო? დრო არა მაქვს. მე არა მწამს ის ძველი სტუმართ-მასპინძლობა, როცა მასპინძელს სტუმრის სურვილის სურვილით ჭაქანისაგან ოფელი რომ ჩამოსდიოდა.

— ყოჩაღ მარინა! როგორც სჩანს, შენც ჩვენს რიგებს ემატები.—სთქვა პოლინამ და სიცილი დაიწყო.

— ძალიან საწყენია, რომ ამგვარად მსჯელობთ, ორი წლის შემდეგ თქვენ იმ გამომშრალ კურსისტიკებს დაემსგავსებით, რომლებიც მოსკოვის ქუჩებში მეცხრაშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში დადიოდნენ, ან იმ გახუნებულ იდაელისტიკებს, რომელნიც გამამარი თითებით ექიდებოდნენ რალაცა იდეას და არ ხედავდნენ თუ როგორ სკამდა ეს იდეა მათს სიცოცხლესა და ახალგაზრდობას.

— მე არც მოსკოველი ძველი კურსისტიკა ვარ და არც გამომშრალი იდაელისტიკა. მე ვარ ქალი, ჯანსაღი ქალი და ბოლომდე დავრჩები ასეთივე ქალი. ეხლა კი ნახვამდის., ექიმო.

— ნახვამდის?

— თუ სიკვდილს არ აპირებთ, ალბად კიდევ შეგხვდებით სადმე.

— ჰო, სადმე.—წარმოსთქვა მან უკმაყოფილოთ და ჩქარი ნაბიჯებით მიამშურა ქუჩას.

მარინას ოთახიდან გამოსულმა გაბოროტებულმა გერმამ თავი ასწაა, ის თინას კარებთან იდგა. საჩქაროდ შეირბინა ოთახში და როდესაც გამსჭვირვალე კაბაში გამოხვეული ქალი თავისუფლად წამოწოლილი დაინახა, უცრად აფეთქდა, ველური ალტაცებით მივარდა და გიჟური აღფრთოვანებით დაუწყა კოცნა გაოცებულ ქალს.

— დაიცა, დამაცა, რა ამბავია?! — ეკითხება ის შეშფოთებული სახით და სკდილობს თავიდან მოიშოროს ეს მოძალადე ადამიანი, მაგრამ რომელ ქალს შეუძლია დაახწიოს თავი კდელვებულ მამაკაცის მკლავებს?! ის სრესავს მის მხრებს, მკერდს, მთელ სხეულს. ის ღია კარებსაც არ ერიდება და იქვე, იმავე ტახტზე, იმორჩილებს მას. რამოდენიმე თვეში დაგუბებული ენება რამოდენიმე საათში დაიბერტყა და როცა ნაშუაღამევის ორ საათზე ქუჩაში გავიდა, გამოუთქმელი სიმჩატე და სიხალისე იგრძნო. სადღაც შორს, ნისლოვან ფერადებში მოეჩვენა მას მელანქოლიური თვალებით დამძიმებული მარინას სახე, და პალტოს საყლონი ჩარგო თავი.

— პროვინციელი გოგო! — გაიფიქრა ბრაზით, მაგრამ ფიქრი ამ პროვინციელ გოგოზე მაინც აედევნა ქუჩაში, მიყვა სახლში და მასთან ერთად ჩაწვა ქვეშავებში.

— კაცო, შენ ჩემი წერილი არ მიგიღია? შეეკითხა ოთახში შემოსულ მას გერმა და შეეცადა მხიარულად ეჩვენებია თავი.

— მივიღე. შენს ბრძულ რჩევას დავემორჩილე და მოვისმინე, რომ ჩემი ხნის კაცმა უნივერსიტეტზე აღარ უნდა იფიქროს. ამაზე რასაკვირველია არ დაგეთანხმე, მაგრამ ტფილისში ამოსვლის სურვილი კი გამიქრა. თუ მაინც აქ

მხედვე, ამის მიზეზად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ მდგომარეობა შეიცვალა. გუშინ ერთი ჩემი მეგობრისგან დეპეშა მივიღე. აქ გადმოვდინე არა მხოლოდ და დროებით შენთან უხდა დავრჩე. მართალია ძნელია ამეხმად ვუთხრო, მაგრამ რამოდენიმე თვე კიდევ და...

— თუ რამოდენიმე თვეს დაგვიანდა ოთახის შოვნა, ბევრს ვერაფერს ვაკეთებ. ხომ ხედავ რა ვიწროთა ვარ, სამეცნიერო მუშაობა კი განსაკუთრებულ მყუდროებას მოითხოვს. ჩემი წიგნი...

— როგორც მახსოვს, შენ ამ რვა წლის წინათ დაიწყე მისი წერა და ნუთუ დღემდის ვეღარ დაამთავრე?

— შე ვწერ მეცნიერულ წიგნს და არა იაფფასიან რომანს. ასეთ რამეზე წლობით მუშაობენ. გოეთემ სამოცი წელიწადი მოანდომა „ფაუსტს“, მაგრამ არავის არ გააკვირვებია ეს.

— მართალია, მაგრამ შენ ხომ გოეთე არა ხარ?— ირონიულად შენიშნა ძმამ და იმის ოთახს განსაკუთრებული ყურადღებით დაუწყო ჩხრეკა.

— რას ათვალე იმე ასე დაეინფორმირე?

— ამ ძვირფას სურათებს, ამ ვარაუდიან ჩარჩოებს, ამ ლამაზს ქანდაკებებს, ამ იშვიათ ვაზებს, ამ ატლასის სავარძლებს, და იცი ვისზე ვფიქრობ?

— ვისზე?

— ჩვენს მოხუც მშობლებზე, ჩვენს ღარიბ ოჯახზე. სამი წელიწადია შინ არ ყოფილხარ, დედას ენატოები, შენ კი, განათლებული შეილო, ერთხელაც არ გიფიქრია ამაზე. მაშა მოგიკვდა, სატირლად არც კი ჩამოხვედი. მიზეზად კონფერენციას ასახელებდი, მაგრამ იმ დღეებში ქართულ გაზეთებში არავითარი კონფერენცია არ იყო აღნიშნული. ან იქნებ გგონია, რომ პროვინციაში უბრალო რეგისტრატორები გაზეთებს არ ეკითხულობთ? დედამამ შენი გულისთვის უმცროსი შეიღები გასწირა და სამაგიეროდ...

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ. რა ვაკეთებ ამდენი? მართალია, შენი მმართველს რამოდენიმე თუმანი, მაგრამ აქამდე არა მაქვს. მალე გადავიხდი ამ ვალსაც და შემდეგ ალბად აღარაფერი იქნება სასაყვედურო.

— ეს ვალი შენთვის არ მითხოვია და არც დასარჩენად მოვსულვარ შენთან. გამოგცადე კი. მიხლოდა გამეგო როგორ დამიხვდებოდი. მეტა აღარ შეგაწუხებ.

— დაცადე კაცო, სად წახვალ ეხლა, ვისთან?!

— ბარგი მეგობართან დავტოვე. ის არ სწერს მეცნიერულ წიგნებს. ერთხელ კიდევ აკრძობინა ირონია და ქუდი აიღო.

— ერთ დღეს მაინც მოგეცადა ჩემთან, რას იტყვის ხალხი?!

— შენ მხოლოდ ეს გაწუხებს. ნუ გეშინიან. შე ვიტყვი, რომ... ვიწროდ ცხოვრობ. რაც არ უნდა იყოს ჩემი ძმა ხარ და შენზე რომ ცუდი ილაპარაკონ, არ მესიამოვნება... რა შენი ბრალია, რომ ასე გაჩნდი? ტყეში მილიონი ხე იზრდება სწორად და ნორმალურად, მაგრამ ისეთიკ გამოკრევა მიწიდანვე რომ მრუდდებ ამოდის, შენც ასეთი ხარ და ამას არაფერი უშველება. სასწაულია საჭირო, რომ შენი ხასიათი სასიკეთოდ შეიცვალოს. ისევ შენ მეტრალეები, ვისაც არავის შეეკარება არ შეუძლია გარდა საკუთარი თავისა, ის ბედნიერი არ იქ-

ნება. უკიდურესი ეგოიზმით შეპყრობილი ადამიანი თავისივე ეგოისტური გრძობების მსხვერპლი ხდება. თუ ფეხი წაგისხლტა და წაიჭეცი, წამოდგომა გაგიჭირდება. უფროთხილდი საკუთარ თავს.—ამ სიტყვების შემდეგ ცოცხალი შექცია ზურგი და დინჯი ნაბიჯით გაედა ოთახიდან.

„წავალ, მოვებრუნებ, ბოდიშ მოვიხდი“, გაიფიქრა და კარის სახელურს ხელი წაატანა, მაგრამ ჩქარა ისევ მოუდუნდა ნების-ყოფა და დაღლილი მოძრაობით სავარძელში ჩაეშვა. „საჭიროა სასწაული, რომ შენი ხასიათი სასიკეთოდ შეიცვალოსო“—უთხრა ძმამ და უეცრად მის წინ აჩრდილივით აღიმართა მარინა—მარინა, შევი გამკრული თვალებით, სასტიკი ნებისყოფით, სალი ინტუიციით, მუდამ კრიტიკულად განწყობილი და მუდამ ექვიტა შეპყრობილი.

„ამაყია, როგორც გვირგვინოსანი დედოფალი და სუფთა, როგორც უბიწო ქალწული.“—მე მინდა უკეთესი იყო, მე მინდა მაღალი იყო, მაღალა, როგორც ეა.“—მოაგონდა მისი სიტყვები და საშინლად მოუნდა მისი ნახვა. თვლებში შეხედვა, მისი ხმის მოსმენა. საჩქაროდ გამოალო გარდერობი, ახალი ყავისფერი კოვერკოტის პალტო ჩამოიღო და სიამოვნებით შეავლო თვალი ასეთივე ფერის ატლასის სარჩულს.

„გერგადეთა გვარს არ სცნია ასეთი პალტო.“— გაიფიქრა ამაყად და სახელურებში ფრთხილად გაუყარა ხელი. აბრეშუმის საბლს ლამაზი ქინძისთავი დააბნია. ვერცხლის თავიანი ჯოხი კოხტად ჩამოიღო მარცხენა მკლავზე, რამოდენიმეჯერ სარკის წინ შებრუნდა და თავის თავის კმაყოფილი გავიდა ქუჩაში.

— შენ დაღვრემილი ხარ, ჩემო კარგო.—უთხრა პოლინამ ზურაბს და იქვე მდგომ სკამზე მიუთითა.

— მართალია.—მიუგო მან და ჯიბიდან თამბაქო ამოიღო.

— მიზეზი?

— თავიდან არ მშორდება კედლას უკანასკნელი გამოხედვა და მისი ტრალიკული სიკვდილი. ასე მგონია, რომ...—სიტყვა არ დაამთავრა და ნაღვლიანად გახედა სივრცეს.

— ყველანი დაგვალონა მისმა სიკვდილმა, ჩემო მეგობარო, მაგრამ პარტიას სხვაგვარად არ შეეძლო მოქცეულიყო.

— მე ამაში დარწმუნებული ვარ, პოლინა, მაგრამ როდესაც მის კუბოს მიუახლოვდი და მის სახეზე ის ღრმა კრილობა დავინახე, რომელიც მან დენიკინელებთან ბრძოლის დროს შიილო, თითქოს შემრცხვა. მას შემდეგ რაც ის კაცი დავმარხეთ, ერთი კვირა გავიდა, მაგრამ ეს გრძნობა ჯერაც არ შემინეღდა.

— ამაზე ფიქრს თავი დაანებე, ზურაბ. ნამდვილი კომუნისტი კომუნისტურად იცხოვრებს და კომფორტს არ გამოჰკიდებდა. ნამდვილი კომუნისტი თავისი პირადი საჭიროებისთვის სახელმწიფო ქონებას არ გაფლანგავს და არც თავის დამსახურებებზე ილაპარაკებს. ეს არ შეიძლება, ეს დაუშვებელია და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ რამეს არავის არ ვაპატიებთ. ერთ ბოროტებას კიდევ მეორე დაემატა, თვითმკვლელობა, სამწუხაროა, მაგრამ... რა ვქნათ?

ზურაბმა ამაზე არაფერი უპასუხა და პირში დამდგარი თამბაქოს ბოლი ერთბაშად აუშვა ჰაერში.

— შენ კიდეც არ ანებებ თავს თამბაქოს წევას? ხომ იცო, რომ სუსტი ფილტვები გაქვს.— შენიშნა პოლინამ და გულის ტკივილით მხედა მას/ფერმკრთალ სახეს.

— მე წინად თამბაქოს არ ვწევდი, პოლინა.

— ვიცი. პირველად ამ სამი წლის წინათ მოსწიე.

— იმ დღეს მოვწიე, როცა შენგან პირველი უარი მივიღე.

— სხვაგვარად არ შემეძლო მოვკეულებო.

— მე შენ გავყვარვარ, პოლინა. მე ამაში დარწმუნებული ვარ.

— არ უარყოფ.

— მთელი შენი ქალური სინაზე შენი სასტიკი ნებისყოფის კლანჭებში ირობა. მე შენ გინდებვარ, შენ მაინც უარს ამბობ ჩემზე. რატომ, რატომ?

— მერამდენჯერ მოგიცია ჩემთვის ეს შეკითხვა?

— მილიონჯერ.

— პასუხიც ხომ გახსოვს?!

— მახსოვს. მიზეზად წარსულს ასახელებ, მაგრამ იმდენად ბუნდოვანია შენი პასუხი და ეს წარსულიც, რომ მე ეს საიდუმლო მტანჯავს—წარმოსთქვა მან და მაგიდაზე გაშლილი ქალაღი აიღო.

— უკეთესია ამაზე ვილაპარაკოთ. ეს წერილი ჩვენი ეურნალისთვის შეუფერებლად ვიცანი და განზე გადავდგი.

— რაზეა ლაპარაკი?

— ქალეაქის ურთერთობაზე. ეს კაცი უგალობს აღვირახსნილ ვნებიანობას და უარყოფს ყოველგვარ ზნეობრივ კანონებს. როგორც მეზრძოლი ქალი მე დიდი მომზრე ვარ ახალი ოჯახის, მაგრამ ასეთი რამ ჩემთვის მიუღებელია.

— საჭიროა ახალი კანონები გამოიკეს ამის შესახებ.

— მაგალითად?

— სადაც არ არის სულიერი გაგება, იქ არ უნდა იყოს ფიზიკური სიახლოვე. სადაც არ არის ერთმანეთის დაუასება, ამხანაგური, მეგობრული დამოკიდებულება, არ არის სიყარული, იქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი სქესობრივ კავშირს.

— შენ კარგი ხარ ზურაბ, კეთილშობილი, სუფთა პატიოსანი-უთხრა მას პოლინამ და საშინლად მოესურვა მიჰფერებოდა მას, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ ქალაღებს დაუწყა ჩბრეკა. რამოდენიმე წუთის შემდეგ პოლინა წამოდგა.

— ჩვენი საუბარი დასრულდა. ნახვამდის, ჩემო მეგობარო. ამ სიტყვებით პოლინამ მისი ჭედი აიღო და ამხანაგური შეთამაშებით ჩამოაცვა თავზე.

— ისევ მაგდებ პოლინა?

— თორმეტი საათია და ორივეს გვეძინება.

— ნება მომეცი აქ დავიძინო. გეფიცები, რომ არც კი მოვიახლოვდები.

— არ მინდა მოვახდინო ასეთი ცდა და ზურაბ, თუ ცოტა პატივს მაინცა

მცემ, წადი.

— მაშ ერი თხოვნა უნდა ამისრულო.

— მითხარ, რა გინდა?

— ნება მომეცი. რომ გაყოცო ჩემი სურვილი ამას არ გასცილდება და არც გაუშვებ. ხომ კარგი, პოლინა?—ეს სიტყვები ისეთ კილოზე და ისეთი ბავშური

მუდარით იყო წარმოთქმული, რომ პოლინამ ველარ შესძლო ზურის ტყმა და თვალდახუჭული მიეცა მის მკლავებს. დიდი ხნით დაგუბებულმა გრძობამ ერთბაშათ იფეთქა და ვულკანიურად მოვარდნილ ენებიანობის რკაღწიქმეშვედელს ორმა ადამიანმა ველარ მოახერხა თავის შეკავება.

რამოდენიმე წუთის შემდეგ სიკვდილივით გაფითრებული ზურაბი პოლინას წინ იდგა და შეშლილი თვალებით თვალბეშა შეჰყურებდა.

— ზურაბ! — განწირული ხმით ამბობს პოლინა და უნდა მიუახლოედეს, მაგრამ ის ხელის კვრით იშორიებს მას.

— მომისმინე, ზურაბ, შენ ხომ გინდოდა გაგვეო სიმართლე?

— არ მინდა, ახლა მე არაფერის გაგება აღარ მინდა. ამბობს ის და არეული სახით გარბის ქუჩაში.

მთვარე კი, ეს დინჯი და უენებო მნათობი ნელი ცურვით აპნევს ირგვლივ ქარვის ფერ სხივებს და ცივი მღუმარებით დასცინის ადამიანთა ტანჯვას მათს სიხარულსა და მწუხარებას.

* *

პოლინას ოთახიდან გამოსული ზურაბი უაზროდ შეეარდა თავის ოთახში. კედლიდან სანადირო თოფი ჩამოიღო და თავის ძაღლის ჯეკის თანხლებით გაიქრა მთებში.

ის მიდის წინ, მიდის სწრაფად. შეუსვენებლად და ამ წუთს მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს: გაექცეს ქალაქს, გაექცეს ადამიანებს, ნაცნობ სახეებს, და წაილოს შორს ეს სევდა, ეს აღშფოთება და ის აუტანელი ტკივილები, რომლითაც აევსო გული და რომელმაც ლამის არის გაიტანოს ეს გული.

უცრად ჯეკის შეკვივლებამ გამოაფხიზლა და თავისი თავი ერთ ულრან და უცნობ ტყეში იჭილა. დიდი ბამბურა მელია ჯეკმა წინ გამოაგდო და ზურაბმა უნებურად მოსწია ჩახმახს, მაგრამ ნადირს ტყვია ასცდა და გაბოროტებული ჯეკიც მეტა სისასტიკით დაედევნა მას.

უცრად ქარი ამოიქრა, და ცა ღრუბელთა სქელი ფენებით დაიტვირთა. შორს, აღმოსავლეთით ასანთივით გაეკრა ცას ელვა და ეს ელვა ზედიზედ განმეორდა. ჭექა-ქუხილი მეხით დაგვირგვინდა და ბებერი მუხა ჭახანით გადაიმტერა შუაზე.

ზურაბი უაზროდ მოსწყდა თავის ადგილს და რამოდენიმე წუთის შემდეგ დაზიანებულ ხის ღრუს სინჯვა დაუწყო.

„კანტი და ენგელსი სულ სხვადასხვაგვარად ხსნიდენ ამ მოვლენას, მაგრამ მეცა მაქ მისთვის ჩემი საკუთარი ახსნა“, გაიფიქრა მან და უნდოდა გაპყლოდა თავის ნაფიქრალს, რომ ამ დროს მასთან მთლიანად გაწუწულმა ჯეკმა მოიბრინა. ზურაბმა აღერსიანად გაუსწორა რკინის ნაჭედი საყელო და მოფერებით დაადო თავზე ხელი. ჯეკი უკმაყოფილო იყო თავისი პატრონის და ენდუროდა იმის გამო, რომ მისი უყურადღებობით ჯეკის ცდამ უქმად ჩაიარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის აღერსს მაინც აღერსით უპასუხა და თავისი ჭკვიანი თვალებით თითქოს ასე შეეკითხა: „შინ წავიდეთ თუ გავნაგრძნოთ ნადირობა?“

— ჯეკ, ჩემო მეგობარო, შენს პატრონს გზა აერია და თუ შეგიძლია გაიყვანე ის ამ ტყიდან. უთხრა მას ზურაბმა და საათს დახედა. ისარი ათს უჩვენებდა

„დრო სამსახურში გამოცხადებისა“—გაიფიქრა მან და მის სახეს შეეწუხებელი ნაოქები მოედო. ერთგულმა ძალმა თითქოს იგრძნო მიზეზი მისი ასეთი შეწუხებისა და ლეკბ დატრიალდა, დატრიალდა, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, და შემდეგ გეზი მარჯვნივ აიღო. ერთი საათის შემდეგ ნახევრამწიფო გზატკეცილზე გავიდა და კიდევ ერთი საათის შემდეგ თავის ოთახში იღვა და დასერილ ტანსაცმელს იცვლიდა. დაღლილი სხეული თავის ლოგინთან ძლივს მიათრია და უეცრად იგრძნო საშინელი სიციხე, შეწუხება, გამოურკვეველი ტკივილები.

— ანთება ან სახადი, ჯანდაბას ჩემი თავი! თუგინდ ხოლერაც მოვიდეს გაიფიქრა გულგრილად და რამოდენიმე საათის შემდეგ მისი ნახველი აღისფერი სისხლით აფერადდა.

* * *

— ეხლა ხომ უყეთ ხარ, ზურაბ?—კითხულობს მის სანახავად მისული მარინა.

— არა ვიშავსრა, გულგრილად ამბობს ის და უხერხულად ათვალეერება გაფერმკრთალებულ ხელებს.

— შეგიძლია მომისმინო?

— რას ნეტყვი ისეთს, რომ თვით არ ვიცოდე?

— პოლინამ ყველაფერი მიაშმო. ის არ არის იმაში დამნაშავე რაშიც შენ ბრალს სდებ.

* — სოციალისტი კაცი ვარ და ცოდვად არ მიმაჩნია თუ ქალს არ შეუნახავს თავისი უმანკობა, მაგრამ აქ სულ სხვა იყო. ის ყოველთვის მარწმუნებდა, რომ არასოდეს არაფერ არ ჰყვარებია და თუ უსიყვარულოდ დანებდა ვინმეს, მით უარესი მისთვის, ეს ქალს არ ეპატიება,

— რაც ეპატიება მამაკაცს, ის უნდა ეპატიოს ქალსაც და მე მიკვირს, რომ თქვენ, სოციალისტებს გკირდებათ ამის მოგონება.

პაუზა.

— რამდენი წლისა ხარ, ზურაბ?

— ოცდა თორმეტის.

— რამდენ ქალთან გქონია საქმე ამ ხნის განმავლობაში?

— რატომ მეკითხებ?

— ამის უარყოფა არ შეგიძლია და ნუთუ ყველანი გიყვარდა?

— რა თქმა უნდა ყოველთვის სიყარული არ ყოფილა, მაგრამ...

— შენ ხომ მამაკაცი ხარ, არა?

— დიალ, მე მამაკაცი ვარ და ამ სიტყვას აქვს თავისი ფიზიოლოგიური გამართლება. სწორ უფლებიანობა ცუდათ არ უნდა იქნეს გაგებული. ბუნებას ისე შეუქმნია ქალი, რომ მისთვის სქესობრივ საკითხში მამაკაცური თავისუფლება უხერხულიც არის და დამამკირებელიც.

— ერთი სიტყვა გამოგრაჩა. უნდა დაუმატო კიდევ „არა ხელსაყრელი“.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თავდავიწყების მთელი პასუხისმგებლობას და სარგადობე-ბრივი აზრის სიმძიმე მართო ქალს აწვება მხრებზე. ეხმარება მას მამაკაცი ამ ტვირთის აზიდვაში? არა. ის უცოდველი ადამიანივით გადგება განზე და არც კი კითხულობს, თუ რა მოუვიდა ქალს მასთან ურთიერთობის შედეგად. სწორ-უფლებიანობა სქესობრივ საკითხში მამაკაცების სასარგებლოდ სწყდება. იჩა-გრება ქალი, მხოლოდ ქალი.

ასეა ეს, ჩემო ზურაბ, და თქვენ კიდევ ქალებს პირიქით ედავებით.

— ჩვენ ვებრძვით დახავსებულ ბურჟუაზიულ ადათებს და ახალი კანონე-ბით გათავებდებულ მამაკაცებსაც, მაგრამ ასე ჩქარა ადამიანის ფსიქიური გან-ცდა არ გარდაიქმნება.

— ჰო, და ამ თქვენმა „ფსიქიურმა განცდამ“ კინალამ შეიწირა სიცოცხლე ორი ადამიანისა. თქვენ იცით რა მოუვიდა პოლინას?

თუმცა.. უკეთესია მან თვითონ ვიამბოს ყველაფერი. მაგრამ თუ თქვენ აღარ გინდათ კვლავ ნახოთ ის, მაშინ...

— არა, მე შემძლია მოუსმინო მას.

— თქვენ ადამიანი ხართ, ზურაბ და გქონდათ უფლება გწყენოდით ეს, მაგრამ თქვენ არ იცით სად, როგორ და რა პირობებში მოხდა ყველაფერი ეს. აქამდე არც მე ვიცოდი არაფერი, მაგრამ ამ რამოდენიმე დღის წინათ მე გამოვ-გლიჯე მას ხელიდან საწამლავი, მოვისმინე მისი აღსარება და ვიხილე მისი ცრემლებიც. თქვენ მართალი და კეთილშობილი კაცი ხართ და თქვენ იგრძნობთ იმ ტრალიზმის სიმძიმეს, რომელსაც გულში ატარებდა პოლინა და რომელიც თქვენ უარესად დაამძიმეთ. — ამ სიტყვებით მან დატოვა ის.

ზურაბი ბუნდოვანსა და გამოურკვეველი ფიქრების რკალში მოემწყვდა.

(შემდეგი იქნება).

გიორგი კახაიძე

მგზავრთა ტრის

იანერის ღამე მკრთალი და ცივი
მოსდევს ფიქრით ვაგონის ფანჯრებს;
მიყურებს,—ტკბები.—და მგზავრის ძილით
ღდილობს როგორმე თვალეზში ჩაჯდეს.
მაგრამ ჯიუტი, თვალეზი შენი
არის შემტვევი. ვრცელი და წმინდა.
მგზავრთა ხმაურში ოცნებას რჩები
მოიერიშე ფიქრების ტყიდან.
და ვერ ისვენებ... ვრცელია ღამეც,—
გზაზე იფიქრე რამდენიც გინდა.
გული აავსებს სურვილთა ხრამებს,
გადმომზირალი გონების შთიდან.

მატარებელი მინდვრებზე მარდობს,
ფრთხილი,
ფანრებით ღიანდაგს სინჯავს.
ღილით ვუმზერდი ზღვისა და ბათომს
და იდგენ პორტში გემები დინჯად.
და საუკუნის, თვალეზი ბრძენი
თითქოს აქ იყვნენ წარსულის დარდად:
მძიმე, ხმიანი და მარად ვრცელი
ზღვა საოცრების სიმღერას გავდა.
სდუმდა შიშველი ქალაქის ბალი,
პალმებს ფარული დარდები ფლობდენ.
დღე იყო სუფთა, და თითქოს გაღმით
წისლი ეხურათ შავი ზღვის პორტებს.
ხმა შეძლოდა გარემოს ქების,
ტკბილად მინდოდა შემღერა რამე.
შორს მიდიოდა საბარგო გემით
მაღარიებით მდიდარი მხარე.



ლამით ვტოვებდი ზღეასა, და ვნალვლობ.
მთვარე წყალს სკრიდა სხივების ჩანგლით.
იყო სიწყნარე და კიდევ ახლო
ჩაის ბუჩქებში შწოლარე ჩაქვი.
აქარის ფიქრით მოვყვები ვაგონს,
ვიცი არ მოვა ამელამ ძილი.
ლამე ვრცელია, იმღერე, კარგო,
დედაქალაქში ვიქნებით დილით.

ვტოვებთ სადგურებს. ჩქარია წინსვლა...
ახლა ჩაფუვლით მდინარის ჯებირს;
მარცხნივ გახედავ სივრც-ს, და ძლივსლა
შორს, გამოჩნდება სოფელი ჩემი.
იქ ცხოვრობს, დედა, ოჯახის ბოძი.
ყოველ, საქმესთან მიმსვლელი რიხით.
წელს შეაწერეს საქმაოდ ხორცი,
დამზადებაა, და იგიც იბდის.
და წინანდლურად არ ყიდის ძროხას,
არც უსინდისოდ, ეპყრობა ქათმებს.
იცის სიძნელეს არ შველის ოხვრა,
არამედ—ჯანი, გული და საქმე.
შვილივით უვლის პატარა მოხვეერს,
უნდა როგორმე გახადოს ხარი.
მისცეს ტრაქტორებს თამამი შოძმე
და გაუმაგროს კოლექტივს მხარი.

ვტოვებთ სადგურებს ჩქარია წინსვლა...
ჩვენც გაეფსწორდით მდინარის ჯებირს;
ახლო ტყეა და, ტყეს იქით ძლივსლა
ჩანს სიშორეში სოფელი ჩემი.
მე მას ვნახულობ, ლამაზო, ხშირად,
შეჩვეული ვარ, არც მინდა დავთმო.
ეზო იმშვენებს ტანმაღალ ჩინარს,
სადაც დედაა და ხსოვნა ფართო.
მიყვარს სიმწვანე, არტელი გამრჯე
და შავი მიწა გამბალი წვიმით,
თუ საჭიროა, მოვიხმარ მარჯვენს,
გავყვები ხალხს და გავთოხნი სიმიდს.
გულს გამიხარებს ნაშრომის ხეავი,
წყაროს წყლის სიტკბოს მაგემებს კიქა;
ძროხა მომასმენს მინდერიდან ბლავილს
და დამანახვებს გატენილ ჯიქანს.



მე ვიტყვი რამეს...
 გიბრწყინავს თვალი,
 რალაც მიწიერ გრძნობებში სახლობ.
 წარმოდგენებით ხალისიობ ქალი,
 დაბადებული ლანჩხუთის ახლოს.
 შენც გიმღერია უთუოდ ცისქვეშ,
 გურიის ცისქვეშ დღეები ჩვენი; -
 დაგიძლევი წიგნების სისქე
 და სილარიბე, ავი და კრელი.
 ახლა მგზავრი ხარ.
 ქალაქის, სახით
 გინდა ცხოვრების გონება ნახო...
 თან მოგსდევს ფიქრი პატარა სახლის,
 დღეს რომ დატოვე ლანჩხუთის ახლოს.
 იქ დაგრჩა ყველა, ვინც გიყვარს გულით:
 მოხუცი ბაბუ, დედა თუ მამა;
 მათი ავ-კარგი, ალალი პური
 და მეზობლებთან შრომა და გავლა.
 ალბათ, იქ ახლა ჯავრობენ შენზე,
 ვხას რომ ფარავ და კერას წინ არ ხარ.
 რას იხამ, კარგო!—სიხარულს შესძენ,
 თუ უხიფათოდ ქალაქში ჩახვალ.

მატარებელი შექრილი მთებში
 უღელტეხილის სივრცეებს არღვევს.
 ვხას ორთქლმავალი მისდევს და ხენწის
 და უქაქანებს გორაკებს მალღებს.
 რა დიდებულად გვი-ურებს ზეცა,
 თითქოს გამზდარა. ქედების სარკედ.
 ავი ჩანქერის სიმარდეს კვეცავს
 კლდის ლოდები და არ არის ვაკე.
 ნეტავი, იყოს, ფანჯრები სუფთა,
 არ ედოს ფერი. უგვარო ნისლის.
 თვალს გაგიხსნიდა ბუნების სუნთქვაც
 და გულს საამოდ უკბენდა სისხლი.
 არაფერია...
 იგონებ ქალაქს,
 გარეთ ყინვია და მთვარე ბადრი.
 გაქვს განცდის სიღრმე გარემოს კარად
 და გაუტეხელ გურიის მადლი.
 და დედაც თურმე ამყობს შენით,



საქართველოს
წიგნების კავშირი

ულაელაედება ლოყები მკრთალი.—
 მაინც სიფხიზლი რარიგად გშენის
 და ეს ჭკვიანი ქალური თვალი.
 ჩემს სურვილებშიც იჭრები თითქოს,
 გამზერ, ვხარობ და მიგყავარ მაღლა.
 სხვა დრო რომ იყოს, რატომღაც ვფიქრობ:
 შენ იქნებოდი ქმარშვილში ახლა.
 ან და გამჭრიახ დედამამს შენთვის
 ეყოლებოდათ ფიქრებში ვინმე;
 ვინც იქნებოდა სოფელში ერთი
 და შეგიქმნიდა ცხოვრებია იმედს.
 ახლა მგზავრი ხარ.
 ქალაქით სუნთქავ,
 რომ გაუსწორდე ეპოქის ციმციმს.
 შენთვის ცხოვრებას ეს სიტყვა უთქვამს
 და მოგხვევია აზრების სივრცით.
 მოგეცეს ლხენა, ქება და ჯანი,
 გაგბრწყინებია გონება მზისებრ.
 გარემოცულხარ წიგნების ჯარით
 და პროფესორთა ლექციებს ისმენ.
 ისმენ და ხარობ ძალა ხარ მართლა.
 მოდი, ამ გულის სწორობაც სცადე!
 ეს ლამე წაეა, წაეა და რა ვთქვა...
 კიდევ გნახავდე, ნეტავი, სადმე!
 კაცს დააფიქრებ.—მოყვები ვაგონს,
 ვიცი გატყდება ამელამ ძილი.
 ლამე ვრცელია, იმღერე, კარგო,
 დედაქალაქში ვიქნებით დილით.

1933 წ. 7 თებერვალი
 ტფილისი

დუბაბრიუბიუ ლუბუბი

გათბა ექვთიშვილის მიერ თარგმნა

კონდრატი რილევი

აღსატყუა

ვიცი: დაღუბა მე არ ამცდება,
ამას ჯალათიც არ დაახანებს;
დროებითია ეს დამარცხება,—
ბოლო ეღებათ ყველგან ტირანებს!
აბა, მითხარით დაუფარავად:
როდის მომხდარა, ან სადა თქმულა,
რომ უბრძოლველად და თავისთავად
თავისუფლება, მოწოდებულა!
მოკვდები ჩემი მშობელ ქვეყნისთვის,
ამას კარგათ ვგრძნობ, არ უნდა ფიცი,
და მიხარია, რომ ხალხის ხსენისთვის
ფწირავ სიცოცხლეს, რწმენის სიმტკიცით.

არაკჩუვს

მლიქვნელო მეღავ, ხარ უჯიშო და საზიზღარი,
გიყვარს ლაჭუცი მონარქის წინ მოქნილი ენით;
შენს ვერავობას შენს მხარეში არ აქვს საზღვარი,—
წარჩინებულო ქვემძრომობით, სირცხვილი შენი!
წრწოდე, თავხედო! დაიბადოს იგი მე მგონი:
კასი, ან ბრუტი, ან მეფეთა მტერი—კატონი!
და რაც არ უნდა ითვალთმაქცო, იგაიძვრო,—
შენს ბოროტებას ვერ დაჰფარავ, ბილწო, ცბიერო!
ხალხი გაიგებს შენს ბნელ საქმეს, შენს ვინაობას,
რომ მძიმე ხარკით უმძიმებდი უფრო მონობას,
რომ შენ მოსტაცე სილალე და დოვლათი სოფლებს
და არ ზოგავდი არც ღრმა მოხუცთ და არც კვრივ-
ობლებს!
პრწოდე! ახლოა დრო განკითხვის მაუწყებელი!

ხალხი მღელვარებს ტირანობის ძირს დასამზობლად
 და თუ შემთხვევამ დაგიფარა, გყო უვნებელი,
 თუ კვლავ გაგრძელდა აგაკობა შენი ამ სოფელად,
 მაინცა ძრწოდე! და იცოდე, რომ მტარვალბას
 სასტიკ განაჩენს გამოუტანს შთამომავლობა!

სული წუხს

სული წუხს, სული, ჩემს სამშობლოში,
 ვარ ტყვეობაში, მიჰქრიან დრონი;
 დიდო რუსეთო, როგორც კუბოში
 წევხარ ცოცხალ-მკვდრათ, არ გყავს პატროხი!
 რკინის ქუსლისქვეშ განართხმულა ხალხი,
 როგორც პირუტყვით ვაქრობენ მონით,
 მთელი გლეხობა გმინავს მათრახით,
 მაგრამ ვინ არის მხსნელი, გამგონი?
 გლეხები სთესენ, ბატონნი მკიან,
 ვინც შრომაშია—არა აქვს ლუკმა;
 გადასახადით ხალხს სულსა ხდიან,
 მუქთახორები ცხოვრობენ უქნად!
 ძალმომრეობით რაც რომ წაგვეკლიჯეს,
 ისევ ძალითვე გამოვისყიდოთ;
 თუ ჩვენს უფლებებს გადააბიჯეს,
 მისი აღდგენა ჩვენვე თავს ვიდოთ!
 ძმებო, სიმაართლეს ნურსად ნუ ეძებთ,
 ბორკილებშია თავისუფლება;
 დავლენოთ იგი, ვეკვეთოთ მხეცებს,—
 ან სიკვდილი და ან გამარჯვება!
 ოჰ, რა ძნელია რუსეთში ყოფნა—
 ორთაფიანი არწივის ჩრდილქვეშ...
 ხალხო! აღიმარ ჩალაქად, სოფლად!—
 მონობის ტახტი, დავამხოთ პირქვე!

ა. კუშინი

ეკაპრისცვლს

თავისუფლების თუ გვაქვს წყურვილი,
 თუ ბრძოლის ცეცხლი გვინთია გულში,—
 ვანხორციელოთ ხალხის სურვილი
 მოგვედეთ ამაყად მის სამსახურში!
 ამხანაგებო! გწამდეთ: ამოვა
 ბედნიერების მზე მოჩოხჩახე;
 აღარ იქნება სიბნელე, გლოვა,
 აღარც მონობა, არც სივავლახე!

განიფრთხობს ძილსა რუსეთი ვრცელი,
 ახალ ცხოვრების მიიღებს სახეს
 და ისტორიის ოქროს ფურცელი
 აღბეჭდავს გმირულ ჩვენს უკვდავ სახელს!
 მათვე - ციშვარში 1827 წ.



ო, რა შიშია ეგ თქვენი ბედი,
 მაგრამ დიდ ტანჯვას იტანთ ამაყად;
 მწუხარების ეჰმს დათ გყავთ იმედი
 და ვერას გაკლებთ შავ ფიქრთა ალყა!
 თქვენ შოიხადეთ სამშობლოს ვალი,
 თვით სიცოცხლესაც მხოლოდ მას სწირავთ;
 უშუდეგოდ არ გაპქრება კვალი,
 რისთვისაც მეფემ გაგაციმბირათ!
 პირქუშ ციხეში, თუ კატორღაში
 ვიცი, მოაღწევს ჩემი სიმღერა,
 შთაგბერავთ სიმზნეს და ოცნებაში
 მოაფრინდებით უბელო მერანს.
 მოაფრინდებით და მხოლოდ მანაშინ
 ვეღარ დაგიპერთ ციხე-ზუნდები
 და სატრფიალო ჩვენს ქვეყანაში
 ისევ ყიფინით დაგვიბრუნდებით!

ოლოქსკი

დუკანთისცემის პასუხი ა. პუშკინს

შენი სიმების გრძნეულმა ხმებმა
 აღვიძრეს გულში ნუგეში ტკბილი,
 და მახვილისკენ გაწვდილ ხელებმა
 შეაქლარუნეს ცივი ბორკილი.
 დიდო პოეტო! იყავი შშვიდათ!
 არ ვნანობთ ბედმა რაც განგვიშადა!
 ჩვენ კვლავ დაეცინით ცხრა კლიტულიდან
 მეფე-მასხარას და არამზადას!
 გეწამს, ჩენი შრომა ხალხს მისცემს ნაყოფს,
 ნაპერწკლებიდან იფეთქებს ალი.
 და ბორკილთაგან, ჩვენ რომ ვამაყობთ,
 გაიქედება შებრძოლთა ხმალი!
 გეწამს, ამბოხებას შობს მომაყალი,
 ცეცხლით მოხდება განწმენდა სრული,
 გაიგმირება მეფე-მტარვალი
 და ეღირსება ხალხს სიხარული!





გომბოს ცხოვრების რომანი*

XVII. კაკისკასი თუ პოეტი?

ერთის შეზეღვით თითქოს ზავი შეჰკრა, გოეტემ გარესამყაროსთან, მაგრამ არსებითად იგი მაინც საზოგადოებიდან განდგომილად სთვლიდა თავის თავს. თავის კონსერვატიზმის მიუხედავად გოეტეს არ შეეძლო ამ საზოგადოების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ყოფილიყო, რადგანაც ეს „სოსიეტე“ შე-XVIII საუკუნისა ქონებრივ და წოდებრივ იერარქიას ემყარებოდა. ხოლო ტალანტი ყოველივე ამის გარეშე მდგარა მუდამყაშს. ხომ კარისკაცი იყო გოეტე, მაინც საპყრობილედ ეჩვენებოდა ეს საზოგადოება. ამიტომაც გვიჩვენებს ვაიმარელი ბრძენი: როცა საზოგადოებაში მიდიხარ, გულის კლიტენი შინ დასტოვებო. და ფაუსტის

Zwei Seelen wohnen

In meiner Brust¹

პოეტს შეეძლო თავისთავზედაც ეთქვა.

საერთოდ ზედმიწევნით ლოგიური, პრინციპიალური, მუდამ მართალი და მუდამ სწორი ადამიანები პავიოგრაფების მონაგონი მახარობლები, წმინდანები და ზეკაცები თუ ყოფილან. ეს ორსულიანობა, გაორება ახასიათებს მუდამ სისხლისა და ხორცის მატარებელ ადამიანებს და მითუმეტეს პოეტს. ასეთვე იყო გოეტეც. პოეზიას პროფესიად ვერ გამოიყენებდა თავის საუკუნეში, ვეკილობისკენ გულბ არ მიუწევდა. ან რა უნდა გამოვიდეს მწერლობიდან, როცა მის ცალი ხელით ებლაუჭებიან. ჰერცოგის სასახლეში იპოვნა მან მატერიალური უზრუნველყოფა და მოცალეობა. მოცალეობის კიდევან ჯარასოდეს არავის შეუქმნია რაიმე დიდი და მონუმენტალური. სწორედ ამიტომაც გოეტე იძულებული იყო ჰერცოგის კარისკაცის ვალონებიანი გეროკი ეტარებინა. ამადაც ძალაუნებურად უნდა შეჰგულებოდა ამ არეულ, კრელსა და კოროიკანა „სოსიეტეს“ და ჰერცოგის სასახლის გროტესკულ ეტიჰეტებს.

თუ ლილი ფრანკფურტელ საზოგადოებისაკენ გადებული ხიდი იყო გოეტესთვის, შარლოტტე ფონ შტაინ ამ „ხიდის“ როლს განაგრძობდა ვაიმარში. ჭკალი თუ ომების აღმძვრელი ყოფილა ოდესმე, ზავისა და მშვიდობის ზეთისხილის შტოც მასვე სჭერია მუდამ.

* იხ. „მნათობი“ № 5.

¹ „ორი სულია ამ ჩემს გულში დამკვიდრებული“.

გოეტე სჩიოდა, რომ მას საზოგადოება ხელს უშლიდა დაწესებული ჯერების დროს, შარლოტესათვის სწორედ ეს საზოგადოება იყო ბუნებრივი და აუცილებელი ატმოსფერო.

მამაკაცის ცხოვრებაში ჭალს მრავალსახიერი როლი იჭყუტუნებული. განუზომელია მისი ზედგავლენა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ყოველ ასაკში სულ სხვადასხვა გვარად გადატყდება ხოლმე ამ მარად ქალურობის სხივი მამაკაცის ბუნებაში. თუ გრეტაჰენ, ფრიდერიკე, ლილი რომანტიულად, რუსსოგ-ბურად განწყობილ გოეტეს ანტისოციალობისაკენ, ტიტანიზმისაკენ, ეგოცენტრიზმისკენ მიაქანებდნენ, შარლოტტე ფონ შტაინ უფრო სოციალობისაკენ, საზოგადოებრივობისაკენ ეწეოდა გოეტეს დაუოკებელ ბუნებას.

ყოველი დროის დიდ პოეტს ამ eternal feminin-ისაგან მიუღია შთაგონება და სასიცოცხლო ენერჯია. თვით თავაწყვეტილი ლორდ ბაირონი ვერ გაექცა ამ ატმოსფეროს, მაგრამ ბაირონს უფრო ჯიქური, უფრო მეტად ნამაკატური ბუნება ჰქონდა, ვიდრე გოეტეს.

1782 წლის 12/IV თარიღით ფონ შტაინისადმი მინაწერ ბარათში ვოლფგანგი სწერს: „ჰოჲ, ძვირფასო ლოტტე, რა აბეზარნი არიან ადამიანნი. რა ვიწროა ცხოვრების მათის ასპარეზი! მე და შენ კი ისეთი საუნჯენი მოგვეპოვება, თავად მეფეებს-ვიყიდიდით ამ საგანძურებით“.

* * *

ნურავის წარმოუდგენია თითქოს გოეტესთვის იოლი ყოფილიყო ვაიმარის არეულ სასახლეში ცხოვრება. „საიდუმლო მარჩველის“ და „აზნაურის ტიტულს“ მრავალი უსიამოვნება თან მოჰყვა. ძველი და „ნამდელი“ აზნაურები მას მეტინარას ეძახდნენ. ხშირად მეგობრებიც არ ზოგავდნენ ვოლფგანგს. ჰერდერმა საესებით უჩინარი მოხელის ადგილი ძლივს მიიღო ჰერცოგის სასახლეში. მას უთუოდ შურდა „ჰერცოგის სასახლის ცისარტყელისა და მზის სხივის“—გოეტეს ბრწყინვალე კარიერა, მიტომაც გესლიანსა და ფრთიან სიტყვებს არ იზოგავდა გოეტესთვის. „Director des plaisirs—(გართობათა დირექტორი), „სპექტაკლების პოეტი, კომედიანტი და ჰერცოგის ფაჟორიტი“ შეარქვეს პოეტს ჰერდერმა და მისმა მეუღლემ.

ასე ეგონა გარეულსაც და შინაურსაც, თითქოს გოეტე დიდად აფასებდა აზნაურობის დიპლომის მიღებას. ეკერმანთან საუბარში პოეტი აღიარებს: „მე თვითონ თავადობის მიმართ არასდროს დიდი პატივისცემა არ მიგრძენია. უამისოდაც ისე ვგრძნობ საკუთარ ჰერქში ჩემს თავს, თითქოს თავადი ვიყუე. ასე რომ თავადობაც რომ მიბოძონ, ესეც კი არ გამაჟვირებდა მაინც და მაინც“. ნურავის შეშურდება ტალანტის ბედი. ტალანტიან ადამიანს იმისთვისაც განიკითხავენ, რასაც ყოველი ადამიანი ბუნებრივად აპატივებს ხოლმე თავის-თავს, და როგორც კი გენიის მიერ ხელდასხმული მალა აწევას დაიწყებს, ადამიანები უფროდაუფრო მოუმატებენ ტალახის სროლას. ეკერმანთან საუბარში გოეტე თავის მტრებს გადასწვდა: „რიცხვი მათი ლეგეონია,—ამბობდა იგი—ჯერ მიწა ისინი დავასახელო, ვინც თავიანთი სისულელის გამო გადამკიდებიან. მათ ჩემი არ გაეგებათ, არც მიცნობენ და ისე მაძაგებენ. ასეთნი მრავ-

ვალნი არიან და ამგვარებმა თავი მომაბეზრეს ჩემი ცხოვრების მანძილზე. მე მათ მივუტყევებ, რამეთუ არ უწყიან რასა იქმნან.

„მეორე, საკმაოდ დიდი მასსა აღამიანებისა, ჩემთა მეშორეობითა შესდგება. ამ აღამიანებს არ უნდათ ის ბედნიერება და მდგომარეობა შემაწიონ, რომელიც ტალანტის ჩემის ძალით მომიხვეჭნია. ისინი ჩემს სახლს ეპოტინებიან და სიაცოვნებით გაჰანადგურებდნენ ეს რომ შეეძლოთ.“

„ამის შემდეგ უხდა ვახსენო ისინიც, ვინც ჩემი მტერი მხოლოდ იმიტომ გამხდარა, რომ საკუთარ მიზნებისთვის ვერ მიულწევიათ. მათ შორის ნიკიერნიც ურევია. ამ უკანასკნელებს ვერ უპატიებიათ ჩემთვის, რომ მე დავარჩილე ისინი. მეოთხედ მე უნდა დავასახელო ისეთნიც ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო მტრად მომიქედებიან. ვინაიდან მე აღამიანი ვარ და როგორც ამგვარს მრავალი აღამიანური სიმცდარე და სისუსტენი მახლავს, ამიტომაც ცხადია, ვერც ჩემი ნაწერები იქმნებოდნენ უხადონი. მე სერიოზულად ვმუშაობდი თვითდასრულებისათვის, დაუცხრომლად ვიღწვოდი ჩემი პიროვნების სრულყოფისათვის და ხანდახან ისიც ხდებოდა, რომ ისინი ისეთი ზადისათვის მაძაგებდნენ, რაც მე უკვე დიდი ხნის წინად ჩამოცილებული მქონდა. ამ კეთილ მეგობრებს გაცილებით ნაკლები ზიანი მოუყენებია ჩემთვის. ხანდახან ისინი სწორედ მაშინ მესროდნენ ხოლმე, როცა მე უკვე ცხრამთას გადაღმა ვიყავი...“

„შილერს ამ შემთხვევაში უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ერთმა გენერალმა საუბრის დროს ფრთხილად დამარიგა, შილერსავით მოიქეციო. ამის შემდეგ მე მას განუმარტე შილერის დამსახურების ამბავი, რადგან მე ამ გენერალზე უკეთ ვიცნობდი შილერს.“

„მე აღუშფოთებლად მივსდევდი ცხოვრების ჩემის თემშარას და არარად ვაგდებდი ჩემს მტრებს.“

უფრო გვიან იმავე ეკერმანს ეუბნება პოეტი:

„თქვენ კარგად იცით, მე ძალიან ნაკლებად მაინტერესებს თუ რას სწერენ ჩემს გამო“.

„ბატონ მეცნიერებს, სახელდობრ მათემატიკოსებს, — განაგრძო გოეტემ —, ხშირად სასაცილოდაც არ ჰყოფნიან ჩემი იდეები. მაგრამ ისინი უთუოდ უკეთ მოიქცეოდნენ, სავსებით გულგრილად რომ ჩამივლიდნენ გვერდს. მერმე იცით რატომ? ისინი ასე ამბობენ: გოეტე სპეციალისტი არ არისო“.

„მე მინდა სავსებით მარტო ვიყვე. ხანდახან ისე წარმომიდგენია ჩემი თავი, როგორც იმ კაცს, რომელიც დაღუპულ გემს გადაარჩენია, ცალფა ფიცრისთვის ხელი წაუვლია და ასე მოჰყვება ტალღებს, ამ ფიცარზე მხოლოდ ერთი დაეტევა, ამიტომაც ეს ერთი გადაარჩება, სხვანი უფსკრულისაკენ წავლენ“.

„გერმანელი მწერალი, გერმანელი მარტივილია... არც სხვებს დასდგომია უკეთესი დღე: სხვებს მეტიც მოსვლიათ. რამდენი ტანჯვა მიაღდა მოლიერს, რუსსოსა და ვოლტერს. ბაირონი ავმა წნებმა გააგდეს ინგლისიდან და უდროვო სიკვდილს რომ არ გამოეგლიჯა იგი ფილისტერების სიძულვილის ქანკებისაგან, ბაირონი ბნელეთის კიდეში გარდაიხვეწებოდა უთუოდ“.

„კარგი იქნებოდა მარტო შეზღუდული ადამიანების მასსა რომ სდევნიდეს რჩეულს, ტალანტიც სდევნის ტალანტს. პლატენი ჰაინეს ახელეებს, როლო ჰაინე პლატენს და ყოველი მათგანი სცდილობს მეორე მხარე ცუდად დააჩვენოს ბოლოს და შეაძავოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა დიდი და ყველაზე მეტად კმასში მშვიდად ეცხოვრა და ემუშავნა, ასეა: ყოველ კაცს ტალანტთან ერთად მტერიც უჩნდება“.

მიუხედავად თავისი ცხოვრების გარეგნული ბრწყინვალეებისა, ვაიმარელი ბრძენი საკმაოდ პოეტი იყო, რომ ამაოების ეფენების ქლარუნით არ გართობილიყო.

„ნამდვილი ჩემი ბედნიერება ამ ცხოვრებაში, — ეუბნება იგი ეკერმანს, — ჩემი პოეტური შემოქმედება იყო, აჰ, რამდენს უშლიდა ამ შემოქმედებას ჩემი მდგომარეობა, უშლიდა და ბორკავდა მას! მე რომ საზოგადოებრივ აურზაურისა და საქმიანობის კიდევან ცხოვრება შემძლებოდა და მარტობას მივინებებოდი, უთუოდ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი და როგორც პოეტიც მეტს ვაკეთებდი ალბად“.

პოეტის პიროვნებაა ბოლოს და ბოლოს მისი ქმნილების ბედის გადაწყვეტი პიროვნული ჯადო უთუოდ დიდ როლს თამაშობდა გოეტეს, ლიტერატურული კარიერის შექმნაში.

ნაპოლეონს წარმოსცდა ერთხელ კორნეალის შესახებ. იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე მას უთუოდ თავადობას ვუბოძებდიო. სწორედ ამნაირად უნდა აიხსნას გოეტეს გაზნაურების ამბავიც. თავის დროზე ხომ დიდი აურზაური გამოიწვია ამ ამბავმა. ვაიმარის მთელი არისტოკრატია აღშფოთებული იყო, რომ ვილაც „მოშიარეს“, ვილაც მეტიჩარას“ აზნაურობა უბოძა, მერმე ვინ? ვაიმარის ჰერცოგმა.

აზლა, ჩვენთვის პირუკმოდ ისაა სასაცილო, რომ ვილაც ჰერცოგი, რომელსაც სქოლიოშიაც არ მოიხსენიებდნენ ისტორიკოსები გოეტეს რომ მის კარზე ეცხოვრა (რადგან ასეთი ჰერცოგები ისე ულევია გერმანიის ისტორიაში როგორც რიყეზე ქვები) იმდენად გაკადნიერდა, რომ აზნაურობა შესთავაზა გოეტეს, რომელსაც ლორდ ბაირონი ისე არ მვიგონებდა რომ „ბრწყინვალე“ არ არ მოემატებინა მისი სახელისა და გვარისათვის.

XVIII ბუნებისმეტყველი

ენა უძლიერესი იარაღია პოეტისათვის. ენა როგორც „რიტმი ძომენონ“ — რითმის მასალა, ენა როგორც ფანტაზიის დაუშვრეტელი წყარო. თავისთავად ენაში მოცემულია ისეთი ირაციონალური საფუარი — რომლის შექნობას სავსებით ამაოდ სცდილობს მეცნიერება მრავალი საუყუნეების მანძილზე. დიდი პოეტი დიდი თვითმყრობელია ენისა, მან წინასწარ არც კი იცის, თუ როგორი ულვევი საგანძურების მპყრობელია თავად. გოეტესთვის განცდა ეს იყო მხოლოდ საბა-

1) გოეტე მუდამ იმის ცდაში იყო „რომ გულის და ბუნების საიდუმლო ერთხელ, საესებით და საბუნდამოდ გამოეთქვა“.

ბის მიმკვიდრე რამ, განცდა აღძრავდა მის გულში სიტყვის გრიგალივით, განცდა მხოლოდ გამომწვევ მომენტს იძლევა, სხვა დანარჩენი იმანუნტორად მოცემულია პოეტის ბუნებაში. ამიტომაც თვალთ კითხვას იგი ლაპარაკის სურვილს უწოდებდა, მგზავრობის დროს მღეროდა და წარსტეჟამდა ხოლმე მონეტებს და დღითიამებებს. სიკვამლეშივე კლასიკოსად ქცეული, პოეტობის დიდ სახელს არ სჯერდებოდა და სახალხო ტრიბუნობას ნატრობდა. ხოლო ტრაგედიის წერის დროს, თავად ეშინოდა: ტრაგედიის გმირთან ერთად არ ჰფეთქებულყო. ეს სიტყვის ჯადოსნობა, ამ სიტყვით ფეხმძიმობის მარად ტარება, უფრო მძიმეა ამ ქვეყნად. ვიდრე ის ჯვარი, რომელიც ნაზარეველს დააკისრეს ებრაელებმა.

მე დარწმუნებული ვარ, ქრისტე არავითარი ღმერთი არა ყოფილა, იგი აღბად ჩინებული მეიგავე და მთხოველი იყო, და ისეთი დიდი ოსტატი სიტყვისა, რომ ფარისევლებს შეეშინდათ. ებრაელების მეფედ არ გამოეცხადებინათ თავისი თავი და ამიტომაც რომაელებთან დაასმინეს კიდევაც.

ასევე გოეტემ ამ „მეფურ საგანტრებით“ იქადნება მუდამ. სწორედ იმითომაც რომ მას გერმანული ენის უღრესს საიდუმლოებისათვის მიკვლეული ჰქონდა, მისთვის იოლი იყო თვით პუნების ბეჭდვითა შეიდიდა დაბეჭდული წიგნის გადაფურცვლა და შეცნობა. „სპეციალისტი პუნების მეტყველები“ ბრაზობდნენ. დილუტანტს უწოდებდნენ მას, მაგრამ მიუხედავად ამისა, გოეტემ ისეთივე დიდრ აღგილი დაიჭირა პუნების მეტყველების ისტორიაში, როგორაც პოეზიაში ექნება მარადღამს.

სინათლის მორფოლოგიისათვის გოეტემ შემდეგს შენიშნავს:

„მე ასეთი უნარი მქონდა: როცა თვალს მოეხუჭავდი, თავს ჩაეჭინდრავდი და თვალის შუაგულში ყვავილს წარმოვიდგენდი, ჩემი შინაგანი ხედვა ამ ყვავილის პირველად ფორმაზე როდი შეჩერდებოდა, არამედ ამ ერთისაგან მრავალი წარმოიშვებოდა და თვალწინ წარმომიღვებოდა, საესებით ახალი და ახალი ყვავილები, ახალი და ახალი აღნაგობისა და ფურცლობისა. ესენი ბუნებრივი ყვავალები როდი იყვნენ, არამედ ფანტასტურნი, მაგრამ მაინც კანონზომიერნი, ისეთივე როგორიც მოქანდაკის როზეტებია. შეუძლებელი იყო ამ აღმომავალ ქმნილების ხანდაზმულად მზერა, სამაგიეროდ ეს ვიბრაცია იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენიც ჩემთვის სანუკველი იყო. ასეთი რამ შემქმლო მე მომეხდინა, როცა წამლით მოხატულ მუშის ნაქერს წარმოვიდგენდი, ეს უკანასკნელი ცენტრიდან პერიფერიებისკენ, უფროდაუფრო ვრცელდებოდა და იცვლებოდა, სწორედ ისევე, როგორც ჩვენს დროში ახლად გამოჩაგონი კალედოსკოპი“.

და ეს ენის გენიასთან შეუღლებული ფანტაზია, პლუს დაუცხრომელი შრომის მოყვარეობა, ეს იყო უმთავრესი თავკიდური გოეტეს გენიალობისა.

„გრძნობითი ეფექტების განსახიერების ნიჭის მხრივ, — ეუბნება იგი კანცლერ მფლლერს, — ისეთი საოცარი უნარი მაქვს, რომ ყოველგვარი ფორმის აღნაგობას უღრესი სიხუსტით ვიმახსოვრებ“.

ამ უშველებელი ფანტაზიისგან განტვირთვის უნარს აძლევდა მას მეტყველების გენია, ენის დიდოსტატობა, და ასეთ მომენტებში, როცა იგი შემოკმელების ორსულობას განიცდიდა, მეგობრებს შეპყრობილი ევონათ ხოლმე.



ფრაუ ფონ შტაინ ყოველი მისი ახალი იდეის, ყოველჯერ, ყველაფერში თანაზიარი იყო. მიკროსკოპი ახლად შემოღებული იყო იმ ვერცხლში, და გოეტე თავად შრავალ კლას ახდენდა შარლოტეს თანდასწრებით. ოთხმოციან წლებში გოეტე ძლიერ გაიტაცა ოსტეოლოგიამ, ანატომის ლოდერის ხელმძღვანელობით ბეჯითად სწავლობდა ანატომიას:

ვაიმარში ლექციებს ჰკითხულობს ცხოველების ჩონჩხის შესახებ.

1784 წლის მარტის 27-ს ჰერდერს ამცნობს გოეტე:

„მე ვიპოვე, არა ოქრო და ვერცხლი, ჭრამედ ისეთი რამ, რაც შენც გაგახარებს უთუოდ, ადამიანის ყბის საშუალო ძვალი.

უანგარობას სახავდა გოეტე თავის ბუნების უდიდესს სტიქიად. არც პოეზიას ეწეოდა იგი რაიმე ანგარების გამო.

„უნივერსიტეტის პროფესორები“ არ ითმენდნენ ხალასი ჩალანტის ჩართვას „თავიანთ. საქმეში“ და როცა დიდი ინტუიციის პატრონი მათზე აღრე იტყოდა ახალ სიტყვას, ისინი მყისვე შემართავდნენ გესლიან ისარს და გაჰკივოდნენ „დიღეტანტიაო“. ასეთ „დიღეტანტად“ სთვლიდნენ მათემატიკოსები და ბუნების მეტყველნი გოეტეს, ფილოლოგები შილერს. ფილოსოფოსები შოპენჰაუერს და ნიცშეს.

„აღმოჩენას ბედი სჭირია, ხოლო გამოგონებას ჰქუა, ერთსაც და მეორესაც სული“. გვასწავლის გოეტე. გოეტემ გადააღაჯა სისტემატიკოსების თეორიას, თითქოს ხელოვნების ფესვი ფანტაზიაში იყოს, ხოლო მეცნიერებისა გონებაში.

„ყოველი პრობლემის გადაჭრის საქმე თავად ახალი პრობლემაა“, ეუბნება გოეტე კანცლერ მჟულერს. მართლაც და რაც უფრო ექსპატურია მეცნიერება, მით უფრო საჭიროა მისთვის ფანტაზიის ძალა.

გოეტეს მოძღვრებამ მცენარეთა მეტამორფოზისათვის და თავის ქალის ჰომოლოგიურობისათვის, გააოცა შილლერი. „ეს ცდით მონახვეჭი როდია, არამედ იდეა“, — წამოიძახა პოეტმა.

„გონება თქვენი, სწერს იგივე შილლერი გოეტეს, უაღრესად ინტუიტიურად მუშაობს და მთელი თქვენი მოაზროვნე ძალები წარმოდგენას ემყარებიან“.

უფრო გვიან იგივე აღვიარა ჯონ ტაინდელმა: „ფიზიკოსების უძლიერესი იარაღია ფანტაზია“.

ის სულიერი კულტურა, რომელიც დავაეკაცებამდის ასაზრდოებდა გოეტეს, უაღრესად მისტიურ-რელიგიური ბუნებისა იყო, მაგრამ როცა მან საკუთარი გზები გაიკაფა, იგი ნელნელა სკოლდება ქრისტიანული თეოლოგიის მეტაფიზიკას და სპინოზას ზეგავლენით პანთეიზმისაკენ მიიწეს.

„მე თქვენთვის დამითმია ყოველივე, რასაც თქვენ რელიგიას უწოდებთ... სპინოზა მამხნეებს მე და ამიერიდან მინდა მთელი ჩემი სიცოცხლე საგნების აჟმღვრეველ ჰერეტას მოვანდომო“.

1784 წ. 17-11 ფრაუ ფონ შტაინს სწერს:

„ამასთანავე გიგზავნი ჩემს ნარკვევს ძვლების შესახებ, გთხოვ შენი აზრი გამიზიარო, მე თავს ვიკავებ წინასწარ გამცნო საბოლოო შედეგები, რასაც

პერდერი თავის „იღებში“ გვანიშნებს... ჩემის აზრით ადამიანი ფრად ენათესავენა ცხოველებს... და ამ გვარად ყოველი არსი და სულიერი ამ ქვეყნად უკანასკნელი პარამონიის ნაჩრდილვეია.

„მაბატიე, რომ მე სიამოვნებით ვსდუმვარ, როცა ღვთაებთავე შესახებ ჩამოვარდება სიტყვა, ეს ყოველივე rebus singularibus-იდან გამოგვყავს. ეკრძინთან საუბარში ისევ თავის მტრებს გადასწვდა გოეტე, ურწმუნობებს მბრალდებნო. საქმე ის არის, რომ მე მათ რწმენას არ ვიზიარებ, ვინაიდან მე მათი რელიგია ვიწროდ მეჩვენებო, მაგრამ ჩემი რწმენა რომ გამოვამტავნო, ისინი უთუოდ გაოცდებიან და ალბად ვერ კი გამოგებნო.

იაკობისადმი მინაწერ ბარათში გოეტე აღვიარებს: „მე ჩემის მზრით, არსობის ჩემის მრავალკიდოვან მიმართულების მეოხებით არ შემძლია ერთი რომელიმე აზროვნული მიმართულების მიმდევარი ვიყუე, როგორც პოეტი და ხელოვანი მე პოლიტიკისტი ვარ, როგორც ბუნების მეტყველი, პანთეისტი.

„ზეციერი და მიწიერი საგნები ისეთ რთულსა და განუზომელ სამყაროს წარმოადგენენ, რომ არსობის ყველა ორგანოს დაქინთვია, საჭირო რათა ისინი საცნაურ ჰყო.

„პოეზია მიუთითებს ბუნების საიდუმლოებას და სცდილობს ხატის მეშვეობით გადმოგვცეს იგი. ფილოსოფია მიუთითებს ბუნებაში მიჩქმალულ საიდუმლოებაზე და სცდილობს სიტყვისა და გონების ძალით შეიცნოს იგი.

„მისტიკა ანიშნებს ბუნების იდუმალ ძალებზე და სცდილობს სიტყვისა და ხატის შემწეობით გადმოგვცეს იგი.“

გოეტე რეზინიციით აღვიარებს, რომ ადამიანს ამ „ნიშნების“, „მითითების მეტი არაფერი ძალუძს. მისი საქმეა ბუნებაში არსებულ პირველად ფენომენების Uhrnomen-ების ნიშნება, გაკვირით შეხება.

„ქეშმარიტებას ჩვენ სრულად ვერასოდეს შევიცნობთ, ვერც თუ გამოვთქვამთ მას სრულყოფილად. ჩვენ ძალგვიძს მარტოოდენ ქეშმარიტებად მოვიქცეთ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ბუნებაში დაკული იდუმალება და მისტე შევიგრძნოთ“.

ბოლოსდაბოლოს უმთავრესი და უღრმესი მაინც გამოუთქმელი რჩება. ხელოვანიც, ფილოსოფოსიც და მისტიკოსიც პერაკლიტესეულ ღმერთივით „ანიშნებს“ მხოლოდ.

რაც დრო გადის, ვაიმარელი ბრძენი უფრო და უფრო კრიტიკულად ექცევა ბიბლიურ კოსმოგონიას და საერთოდ ქრისტიანულ თეოლოგიას.

1786, 20, II. პერდერს აუწყებს: „მე უკვე ვეღარ ვკითხულობ ებრაულ, ახალ აღთქმას“ (დააკვირდით სიტყვას „ებრაულ“-ს კ. გ.) აქვე მიწერილია ლათინურად: „ვისაც ღმერთი უყვარს, მას იმის უფლებაც არა აქვს ღმერთმა მეც შემიყვაროსო რომ მოითხოვოს“.

1785, 13, III.

ფრაუ ფონ შტაინისადმი:

„მე მხოლოდ ორი ღმერთი მყავს: შენ და ძილი“.

1786 წ. 20. II.

ფრაუ ფონ შტაინისადმი:

„გისურვებ შენ უფრო მეტი სიამით გეკითხოს ეს ალტჰმა ებრაელებისა-
Judem Testament.), მე უკვე ვეღარ ვკითხულობ მას.



გ. კ. კ. კ. კ. კ.
გ. კ. კ. კ. კ. კ.

XIX „იტალიური მოგზაურობა“

ცახცახებს იმ ღამის ხატება მწუხარე, ჩემს სულში დღემდის,
რომელიც განვიცადე მე უკანასკნელად რომისა კალაქში.
ვირჯილიუსი

გოეტე თავად აღვიარებდა რომ მისთვის უდიდესი ორგანო სამყაროს იდუ-
მალებათა შესაცნობი ეს იყო თვალი. და ამ მეტის ნახვის სურვილს აყოლილი
მგზავრობას მიმართავს კვლავ. უკანა' კნელ წლებში ვაიმარში გოეტე დადინჯდა,
იგი მომეტებულად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, საზოგადოებაში უკვე გაი-
სძოდა ხმები: გოეტე ლაპარაკს ერიდებოდა, ზოგნიც ასე ამბობდენ ზედმეტ
ამპარტავენობის გამო ზედმეტ თავდაჭერილობას იჩენსო.

იტალია მუდამ შთაგონების წყარო იყო ევროპის ჩრდილო და დასავლე-
თის პოეტებისა და მხატვრებისათვის. იტალია ალადრთოვანა ბაირონი და შელ-
ლი, გოეტე და უაფლი, ტორვალდსენი და ტიშბაინ, ვინკელმან, ბურკჰარტ, ტენ
და დანტე გაბრიე როზეტი.

გოეტეს წმინდა მხატვრული ინტერესებიც ამოძრავებდა, ამიტომაც განსა-
კუთრებული სურადღებით ეკიდებოდა იგი პლასტიურ ხელოვნებებს. იტალია
უძველესს ანტიურისა და ევროპიული კულტურების აკვანია, მითვბით, ლეგენ-
დებით დატვირთული აღმოსავლეთის ზღრუბლი, აქიდან შემოვიდა ევროპაში
ანტიურა და ქრისტიანული რელიგიები, აქიდან გავრცელდა მხატვრობის, პოე-
ზიის, ლიტერატურის ფორმები. განსაკუთრებით გერმანელობისათვის იტალია
რადაც დიდი იდუმალი რომანტიული ოცნებების ქვეყანა იყო, საშუალო საუ-
კუნის გერმანელი იმპერატორები აიყოლიებდნენ მრავალ ათას ლანდსკნებტს
და რომის იმპერატორის გვირგვინის მოსახვეჭად იბრძოდნენ საუკუნოების გან-
მავლობაში. მარტო ჰოჰენშტაუფენების დინასტიამ რამდენი რომანტიული რე-
მინისცენცი დასტოვა საშუალო საუკუნის გერმანულ რაინდობის ისტორიაში.

ცხადია, აქ პოეტური და რომანტიული მოტრეები წინ უსწრებდა საქმაოდ
უბეშ იმპერიალისტურ ვნებებს ჩრდილოეთელი რასისას, რომელსაც თავისი
ნისლიანი ცა და უნაყოფო მიწა მოწყენილი აქვს და ცისფერ ცასა და აფლვრე-
ველ, ტფილ ზღვას შენატრის.

გოეტე ადრიან სიჭაბუკიდან იტალიაში გამგზავრებაზე ოცნებობდა.

1782 წლიდან გოეტე ძლიერ ჩათრეული ჰყავდა საჰერცოგოს საქმეებს. ამ
წელს იგი კამერების თავმჯდომარედაც დაირიშნა. ეამიდან ეამზე გერმანიის-
სხვა და სხვა სახელმწიფოში მგზავრობა და დიპლომატიური მისსიების ასრუ-
ლება უხდებოდა. ამ ხანებში დედისადმი მინაწერ ბაჩათში იგი სჩივის, რომ
იძულებულია „მილიონკეცად დააქუცმაცოს დღე“. გარდა სამსახურის საქმეებისა,
ფაუსტის, ეგმონტის, ვილჰელმისტერის ფრაგმენტების დასრულება ეწადა.

„თუ კაცი თავად მბრძანებელი არა ხარ და ისე ერევი ადმინისტრაციულ საქმეებში, უთუოდ ან შლეგი უნდა იყვე, ან ფილისტერი“, — აღვიარებს პოეტი. უფრო პესსიმისტური ტონიც გაისმის: „ვერტერის ავტორს ცუდი უქნია, ვერტერის დასრულებებისას ტყვია რომ ვერ უკრავს შუბლში.“

შარლოტტე ფონ შტაინისადმი დამოკიდებულებაც ნელნელა იცვლებოდა. 1783 წ. იენისში შარლოტტე სჩვიის „ჩვენ უკვე ველარ ვახერხებთ ისე საუბარს, ურთიერთს გული რომ არ ვატყინოთო.“

1786 წ. 14 აგვისტოს კარლსბადში ისვენებდნენ გოეტე, ჰერცოგი, ჰერდერი თავის ოჯახობით და ფრაუ ფონ შტაინ. 2 სექტემბერს გოეტემ გაუმხილა მეგობრებს იტალიაში გამგზავრების განზრახვა და სექტემბრის 3-ს დღის 3 საათზე, როგორც თვითონ სწერს, „კარლსბადიდან გაიპარა“.

გოეტეს ბიოგრაფების მობოდიშების მიუხედავად უნდა ითქვას თუ ფრანკ-ფურტიდან ლოლის გაექცა გოეტე, „იტალიაში გაპარვა“ უთუოდ ფრაუ ფონ შტაინისაგან გაქცევის მომასწავებელი იყო. იტალიიდანაც მრავალი გულტყლი წერილი მოსდიოდა შარლოტტეს, მაგრამ არც ქალის შეყვარება და არც მასზე გულის აკრუება არასოდეს ერთი დღის ამბავი არ არის. ორივეს უთუოდ განსახლებული სულიერი პროცესები წინ უნდა უძღვოდეს. სხვა დანარჩენი, ბულვარის მწერლების მონაგონი ამბავია უთუოდ. მე წინ მიდევს გოეტეს „იტალიური მოგზაურობის“ 1829 წლის გამოცემა, ფურცლები ნაზამთრულ ჩალასავით გახუნებულან, ტიპოგრაფიულ ნიშნებს ალაგ-ალაგ წამალი გადასვლია. რამდენი რამ შეცვლილა მას შემდეგ გერმანულ მართლწერასა და გამომცემლობის ტექნიკაში! უნდა ითქვას, ეს კმნილება გოეტესი უბრწყინვალესი ძეგლია ევროპულ მოგზაურობის ლიტერატურისა, მას სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ თუ შეედრება ამ მხრივ. „იტალურ მოგზაურობას“ დართული აქვს პოეტის მიერ შედგენილი გერმანული და იტალური ეპის განსხვავების ცხრილი. მისი მარწრუტი ასეთი იყო: რეგენსბურგ, მიუნხენ, მიტტენვალდ, ინსბრუკ, ბოცენ-ვერონა.

როგორის სისადავით, ბრწყინვალე სტილითაა იგი დაწერილი, და ეს სისადავე იტევს დეტალების გენიალური შენიშვნის უნარს და დიდს სიფაქიზეს თხრობისას. აქ ერთ წიგნში შეტყველებს შესანიშნავი ბუნების შეტყველის მახვილი სვალი, დიდი ერუდიტი ისტორიისა და კულტურისა და უნაზესი პოეტის კალამი, ბრენერს აღწევს პოეტი და მთებს აკვირდება:

«ჩვენ ისინი მკვდრათ გვეჩვენება, რადგან გარინდებული არიან, ჩვენ უქმადყოფნი გვეგონია, ვინაიდან ისინი ისვენებენ», მდინარე ადიჯის ნაპირას პოეტი სწერს:

„აჰ, რა კარგი იქნებოდა, აქ რომ დავბადებულიყავ და გავზრდილიყავ, და ამქამად გრონლანდიიდან, ვეშაპებზე ნადირობიდან ვბრუნდებოდე ნეტავი შინ...“

მაგრამ პოეტს ეშინია აპატრიოტიზმში არ ჩამოართვას გერმანიამ ეს სიტყვები და იქვე ბოდიშობს: „თუმცა ვესალმები იმ მტვერსაც, რომელიც ეტლის ზენის ბორბლებს თან წამოჰყოლია სამშობლოს წემის მიწისაგან.“

„პერი ცახცახებს, როცა ველებზე პატარა ბიჭუნები მღერის, სალამოც ისევე ნახია, როგორც დღე“¹.

გოეტეს მუზეუმში, ვაიმარში, შენახულია გოეტეს ხელფურცლები, ფოსტის სადგური ბრენნერში. ამ პაწია, საცოდავ, ჯარგვალელებისაგან, გვეყრებულ კიბში იჯდა ალბად პოეტი და თავის დღიურის ფურცლებს სწერდა. აქვე იცვლიდა ალბად პოსტილიონი ცხენებს.

ბრენნერიდან 50 საათის სავალ მანძილზე დაუსვენებლად მგზავრობს პოეტი.

მისი თვალი ხარბად შეჰხარის ვენახებით მოფარდაგებულ კორდებს და გორმახებს, რომელთაც იტალიური ხასხასა, ფირუზის ცადაქნილი ზედ დაჰქათქათებს, ლიბანის ნაძვების ჩრდილები ახარებს პოეტის თვალს, ველების თვალწარმტაცი, ტროპიული ვეგეტაცია, სიმიდის ყანები, და გერმანიელისთვის უცხო ხილი: ლეღვის, კომშის, ზეთისხილის, ნუშის ხეები და ბუჩქები, ეს ყოველივე მხოლოდ სურათებზე თუ ვნახა გერმანელ პოეტს, ან ლექსებში და ტრაველიებში თუ უხსენებიათ სამხრეთის პოეტებს. უკვირს: „სახლებში ფანჯრებს რომ ღიად სტოვებენ და დიდი და მცირე ფეხშიშველა რომ დადის“.

„ვინმემ, სამხრეთელმა რომ უფრო მოჰკრას ჩემს ნათქვამს, უთუოდ ბალბაში ჩამომარტყედა ამ სტრიკონებს“.

ცხადია, ყოველივე ეს მან განაგონით იცოდა, მაგრამ განაგონსა და თვალით ნახულს შორის დიდი მზღვარია. არა მარტო ლანდშაფტს და კულტურას მოჰყავს პოეტი ალტაცებაში, თავად ამ სამხრეთელ ალალმართალ, ბავშვივით ალტაცებულ, ხმა მალლად მომცინარ და მოლაპარაკე ადამიანებს. პერუჯიაში ვილაც კაპიტანოს დაუმეგობრდა გოეტე, უბირ მოქალაქეს უკვირდა, რომ პოეტი ცოტას ლაპარაკობდა, სულ ჩაფიქრებული იყო და რალაცებს იწერდა უბის წიგნაკში, ამიტომაც ეუბნება:

„რას ჰფიქრობთ ამდენს! კაცმა არ უნდა იფიქროს, ფიქრი აბერებს ადამიანს. არასოდეს ერთ რამეზე არ უნდა იფიქრო, თორემ უთუოდ გაცოფდები. ათასი რამით უნდა იყვე გართული, „ათასი საგანი უნდა ირეოდეს თავში“.

ეს თავქარიანი, გონება მახვილი სამხრეთელის და გულჩახვეული ჩრდილოელის შეხვედრა იყო.

პოეტი, შენელებული ჰუმორით შენიშნავს თავის დღიურში: „ამ კარგმა კაცმა არ იცოდა, რომ მე სწორედ იმიტომ ვსდუმდი და ჩაფიქრებულიც იმად ვიყავი, რომ ათასი ჯურის ძველი და ახალი საგანი ირეოდა ჩემს თავში“.

1786 წ. 18—IX. ვერონიდან შარლოტტეს სწერს: „ბევრი, ბევრი რამ მინდა გიამბო, მაგრამ ვსდუმვარ, იფიგენიაზე ვმუშაობ ხანდახან“.

„ეს მოგზაურობა პირდაპირ მწიფე ვაშლსა ჰგავს, მოულოდნელად ჩამოვარდნილს“. რამოდენიმე დღე ვერონაში და ვიენცაში დაჰყო, ვიენცაში ანდრეა და პიეტროს მიერ აგებულ პალაცოებს ალტაცებაში მოჰყავს პოეტი, პადუაში ბოტანიკურმა ბაღმა დაინტერესა იგი, ამ ბაღში ახლაც ინახება სამასწლიანი პალმა Palma di Goethe-ედ წოდებული.

¹ Italian. Refs. 33. 36.

შარლოტტეს ატყობინებს პაღუადან: „საყვარლო ჩემო, როცა Ave Maria-ს ვალობენ, ფიქრი ჩემი შენად მიილტვის, აჰ, ნეტავ ვიციოდეთ თუ რაწი/ვართ ჩვენ ერთმანეთისათვის, როცა ერთად ვართ“.

ვენეციამ გაანკვიფრა პოეტი.

„ეს უდიდესი ქმნილებაა გაერთიანებული ადამიანური ძალების წაყოფი. უძვირფასესი ძეგლი არა მბრძანებლისა, არამედ მთელი ხალხისა“. ვენეციაში, ლიდოს კუნძულიდან პირველად დაინახა გოეტემ ზღვა. „ჩვენ ჩამოვხტით დაზღვის ყელი გადავიარეთ, მძაფრი შუველი შემომესმა, ეს იყო ზღვა, მე იგი შევნიშნე და ნაპირის თხემზე ავიღე“. ვენეციაში მარკოზის მოედანზე სცხოვრობდა გოეტე, აწინდელ სასტუმრო „ვიქტორიაში“. იგი დიდის სიყვარულით იგონებს თავის დღიურში მარკოზის მოედანს, სენ ჯემინიანოს ეკლესიას, ლაგუნების ქალაქის გროტესქულ ლაბირინტს, ამ ვიწრო შუკებს და მღვრიე კანალებს, მეგონდოლებს და მათ კრიამულს. კანალ გრანდეს, კუნძულ ჩიარას, კანალს დელ-ლა ჯიუდეკას.

სამზრული ზღვის ქალაქის აურზაური, გემების, ბარეების, გონდოლების, კრელად მორთული ხალხის ზიშშიმი. ეს ყოველივე ართობს პოეტს, იგი ჰკვრეტითა და მირტობით სტკბება, რადგან „არსად ისე არა გრძობ მარტობას, როგორც დიდ აურზაურში“.

„დავიქანცე, გონდოლი ავიყვანე, დავაგდე ეს ვიწრო შუკები, დიდი კანალის ჩრდილოეთისაკენ, წმ. კლარას კუნძულს შემოვუარე, ლაგუნებში შევედი, იქიდან ჯიუდეკას კანალი გადავიარეთ და მარკოზას მოედანს მოვადექით“... გზაში პატივისცემით ვიგონებდი ჩემს კარგ მამას, რომელიც ასე ბევრს მიაშობდა ამ ადგილების შესახებ“.

1786 წ., 2—X დღიურში: „უწინარესს ყოვლისა კარიტასკენ მივეშურები, აქ პალადიოს ქმნილებები ვიპოვნე. მრავალი წლის განმავლობაში უნდა სჰკვრეტდე ადამიანი ამ ციური გენიის ქმნილებას... ამათზე უფრო სრულყოფილი და ზენარული მე ჯერ არაფერი მინახავს“.

„...ეკლესიიდან კორინთული სვეტების ატრიუმში შედიხარ, აღფრთოვანდები და განკვიფრდები და ხუცების ამბებს ივიწყებ ანაზღვეულად“.

რ—X „დღეს საღამოს მენავეების ცნობილი სიმღერა უნდა მოვისმინო, ისინი საკეთარი ლექსებით ზოტბას ასხამენ ტასსოს და არიოსტოს, ეს იშვიათი რამეა. იგი ნახევრად გადასული წარსულის ელერაა. მთვარის შუქით განათებული იყო არე, მე გონდოლში ჩავჯექი, ერთი მეგონდოლე წინ მიჯდა, მეორე უკან. ისინი ჯერობით მღეროდნენ“.

ვენეციიდან გემით მიემგზავრება გოეტე ფერარასაკენ. ფერარა ტასსოსა და არიოსტოს მიერ მრავალგზის შექმნილი. ფერარას ყოფილი მბრძანებლის სასახლეს ათვალეირებს. ბოლონიისა და ფლორენციისაკენ მიიწევს მისი გული. „ქიდევ 14 დღე და 30 წლის ოცნება სავსებით ახდენილი იქნება“.

ბოლონიაში გოეტეზე გარდუვალ შთაბეჭდილებას სტოვებს სენ ჯიოვანი და მონტეს ეკლესიის რაფაელის ცეცილია.

„რაფიელმა ხელოვნების უზენას მწვერვალს მიაღწია, რადგან ციური გენით აღტყინებულმა უკანასკნელი ქვა დაადგა თვალუწყდენ პირამიდას“.

პალაცკო რანუციის „წმ. ალათის“ (რაფაელისა) გამოგონებულ სურათს: „უძველესი სურათია, ამ კმნილებათაში რაფაელმა სიქალწულე დავისსა, ყოველივე ვენებისა, სიცივისა და სიტლანქის კიდევან... და ჩემსა იტალიელსა მეტს არაფერს ვათქმევინებ, რასაც რაფაელის მიერ განსაზიერებულსა წმინდანისა არ იტყოდა“.

ფლორენციაში გზადაგზა ვაიარა, თვალი შევავლო ფლორენციის დომს, ბაპტისტერიუმს, ბობოლის ბაღს. აჰა, მარადიული ქალაქის რომის კარიბჭესთან სდგას პოეტი, Porta de Popolo.

I. XI. „როგორც იქნა მოვალწიე მსოფლიოს სატახტომდის... უკვე აქა ვარ, დაწვწარდი, როგორც სწანს საშუალოდ დაწვწარდები, ვინაიღვან მას შემდეგ რაც ყოველივე ამას, რაც წინად განაგონი გვქონდა, საკუთარის თვალით მიმოიხილა, უთუოდ ახალი ცხოვრება დაიწყება.“

„გაცოცხლდნენ სიკვამულის ჩემის ოცნებანი და ზმანებანი. ამ სანახების სურათები და პროსპექტები ეკიდა მამაჩემის წინადადებაზე, ახლა მე თავად ვხედავ ამას ყველაფერს, რაც ფანქრით და ტუშით ნახატი და ბრინჯაოზე და ხეზე ნაძერწი უწინაც მცნობია. საითქენაც არ გავიხედავ, ყველგან ნაცნობი სილუეტებია. ყველაფერი ისეა, როგორც წარმოდგენილი მქონდა, მაგრამ მაინც ახალია ისინი ჩემთვის, სწორედ იგივე უნდა ვთქვა ჩემი დაკვირვებებისა და იდეების გამო. არც ერთი სულ მთლად ახალი აზრი მე არ დამბადებია, არაფერი ისეთი, რაც ჩემთვის უცხო ყოფილიყო, მაგრამ ძველები ისე გამოყალიბდა, გამოცოცხლდა ჩემს ხელში, რომ ისინი ხელახლად წარმოიშვენ“.

აქ გოგუცხე ეხება მარად ძველსა და მარად ახალ პრობლემას შემოქმედებისას, რომელსაც იგი ეყრდნობოდა საუბარში უბრუნდება უფრო გვიან. ხელოვანი ახალ იდეებს არ იგონებს, იგი მარად ძველსა და ცნობილ ხელებს ხელახლად აღნოვს შემოქმედებისთვის ქურაში და ამგვარად ხდება ეს მარადიული შეტამორფოზა პოეტური სახეობისა, ხაჯისა და იდეისა. გოგუცხე საკმაოდ დიდი ხელოვანი იყო და გონებამახვილი მოაზროვნე, რომ ამ მძაფრი ქმნილებების აღვიარების შეშინებოდა.

მართლაც და არც ერთი რადიკალურად ახალი ფორმა მეტყველებისა არ უხმარია დასავლეთის პოეზიას და ლიტერატურას, რომელიც საბერძნეთის, რომის, ინდოეთის, სპარსეთის, არაბეთის და ჩინეთის პოეტებს არ გამოეყენებინათ. ლექსი, ბალადა, ნოველა, რომანი, პოემა, დრამა, ტრაგედია, მემუარული, ისტორიული და ბიოგრაფიული პროზა, ეს ყოველივე ისევე ძველია, როგორც თავად პოეზია.

მთელი დასავლეთის ლიტერატურა და პოეზია საუკუნოების განმავლობაში წარმოადგენდა საბერძნეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსულ მოარულ ციკლებსა და სჟუეტებს. არც არიოსტოს, არც დანტეს, არც შექსპირს, არც გოგუცხეს და არც ერთ თანამედროვე დიდ ოსტატს სიტყვისას, ამსოლუტურად ახალი არ უთქვამთ არც თემატიკის და არც ფორმის შერჩევის თვალსაზრისით, რაც ძველ პინდოთა, არაბთა, სპარსთა პოეზიაში არ ყოფილიყო აღძრული და ცნობილი. ყოველი დიდი იდეა პოეზიისა უთუოდ მოგაგონებთ ზღაპრის ფენიქსის გამო თქმულს. როგორც ფენიქსი ყოველ ხუთას წელში ერთხელ კვდებოდა და ისევ ცოცხლდებოდა, ასევე კვდებიან და ცოცხლდებიან პოეზიის ლიტერატურები და მოარული იდეები.

თავად გოგუცხე განუსაზღვრელად დაეღებოდა როგორც ბიბლიის, ძველ პინდოთა, სპარსთა, არაბთა პოეზიის, იქვე ძველი ბერძნების, რომაელების, რენესანსის იტალიელების, ფრანგი პოეტების და შექსპირის მიმართ. მაგრამ ეს ოდნავაც ჩრდილს არ აყენებს პოეზიის მისი ორიგინალობას და სიხალისეს.

(გაგრძელება იქნება)



აკაკი აბაშიძე

აკაკი წერეთელი

ნაწყველები მთავრობიდან

აკაკი წერეთელი მე მახსოვს ბავშობიდან. ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი 10-11 წლისა პირველად რომ ვნახე პოეტი ჩვენს ოჯახში სოფ. დილიკოურში, დარბაზში შემოვიდა მაღალი, მეტად წარმოსადეგი, ქალარა შერეული წვერულვაშიანი კაცი. ყველას ყურადღება მიიბყრო მისმა მოსვლამ და განსაკუთრებით კი მამაჩემის, რომელსაც აკაკი გადაეხვია, ალბად დიდი ხნის უხახავი. დაწვრილებით არ მახსოვს თუ რა საგანზე ჰქონდათ ლაპარაკი, მაგრამ იშვიათად ვყოფილვარ მოწმე ადამიანთა შეხვედრას, რომ იმდენი გონება მახვილობა, მოსწრებული სიტყვა და სიცილი გამოეწვიოს.

სოფ. დილიკოური და განსაკუთრებით კი პაპაჩემის—ზურაბ აბაშიძის ოჯახი, ცნობილი იყო მაზრაში. პაპაჩემს ცოლად ჰყავდა წერეთლის ქალი და ამის გამო თუ სხვა რაიმე მიზეზისა, წერეთლები რომ დაიძრებოდნენ საჩხერიდან ქუთაისში წასასვლელად, უსათუოდ დილიკოურზე გაივლიდნენ, რომ ზურაბ აბაშიძის ოჯახში თავისი ნათესავი მოენახულად და თან დროც გაეტარებიათ. თვით აკაკიც ხშირი სტუმარი იყო დილიკოურის, რადგან დედა მისი აბაშიძის ქალი იყო და ალბათ ამ გარემოებათა გამო ჩვენს ოჯახს ნათესაური კავშირი არ გაუწყვეტია მასთან, სანამ თვით აბაშიძეების ოჯახი არ გადაშენდა.

პირადათ მე რასაკვირველია, ბავშობიდანვე აკაკის დიდი პატივისმცემელი და მოყვარული ვიყავი, მოხიბლული მისი ნიჭით, სიტყვა პასუხით და რაც უფრო აღსანიშნავია, მისი ამბების მოყოლით.

აკაკი რომ რაიმე ამბავს მოგვიყვებოდა, ყველანი გარინდებული შევეყურებდით და უსმენდით მას. ჩემს სიცოცხლეში ბევრი მჭერმეტყველი, ნიჭიერი, ტკუითა და ცოდნით აღსავსე ადამიანი მინახავს მაგრამ აკაკისთანა დარბაისგლი მოსაუბრე საინტერესო მომთბრობელი, მობაასე მე არ მომიხმენია. ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო ფაქტს—აკაკი ისეთ ფორმაში მოაქცევდა, ისეთი ქართული სიტყვით მოგითხრობდა, რომ შეუძლებელი, იყო ერთი სიტყვა გამოგვეშვათ მისი მოთხრობიდან. ეს იყო საუბარი აღჭარბებული. თუ გნებავთ, დიდ პათოსს, ტემპერამენტს მოკლებული, მაგრამ ისეთი ტკბილი და წარმტაცი, როგორც პირველი ზღაპარი, ბავშობაში გაგონილი. აქ არ იყო ორატორული სიტყვის ამაღლების ან დადაბლების მოჭენტები, აჩქარება ან განცვიფრება, რაიმე

უზომო ტენდენცია, მიდგომილობა, აქ იყო მხოლოდ ფაქტის უბრალო გადმოცემა დეტალებით; აღნიშვნა ისეთი მომენტისა, რომელიც სხვისთვის სრულყოფილ შეუმჩნეველი რჩებოდა. შეიძლება ეს მომენტი უმნიშვნელო რამე, მაგრამ აკაკი მას სიცოცხლეს მიანიჭებდა და უმნიშვნელო ამბავს მნიშვნელოვნად გადმოცემდათ.

ასეთ შეხვედრის დროს არა ერთი და ორი მეტად საინტერესო ამბავი გადმოუცია ჩვენთვის აკაკის. ბევრი, მეტად ორიგინალური და მახვილი აზრი გამოუთქვამს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ. ხშირად ისტორიულსა და ძველ ამბებს, ლეგენდებს მოგვიყვებოდა, რამელნიც მის გადმოცემაში ცოცხალ ფაქტებად იქცეოდნენ, ხორცს იხსამდნენ. უზომოდ უყვარდა ლაპარაკი მეთორმეტე საუკუნის შესახებ და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შემოქმედებაზე. „ვეფხვის ტყაოსანის“ მეტად კარგი მცოდნე იყო და მისი ორიგინალური განმარტებელიც.

ერთხელ, ლაპარაკი ჩამოვარდა საქართველოს ციხე-სიმაგრეების, სიძველეთა შესახებ და ჩემი ცნობის მოკვარეობა მიიპყრო საკითხმა—თუ რომელ საუკუნეში იყო აშენებული საჩხერის ციხე, „მოდი ნახეთ“ წოდებული.

— „მოდი ნახე“ არ არის ძველი ციხე, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ჩვენს ცხოვრებაში—დაიწყო აკაკიმ მოთხრობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ იმერეთის დაბყრობის ეპოქაში—ეს იყო უკანასკნელი ციხე, საიდანაც იმერლები იგერიებდნენ რუსის ჯარის შემოტევებს, მაგრამ ეს ციხე ამით სრულიად არ არის პოპულიარული. მისი პოპულიარობა ჩვენში სულ სხვა რამით განისაზღვრება.

— ერთ ძლევაშოსილ წერეთელს განუზრახავს არანაკლებ ძლევაშოსილ აბაშიძის ქალის ცოლად შერთვა და ამ მიზნით ის თავის ამალით გამგზავრებულა დილიკოურსა თუ კაცხში ამშიძესთან. აბაშიძეს უარი უთქვამს ქალის მითხოვებაზე.

— შენ ქალი როგორ უნდა მოვათხოვო, ციხეც კი არა გაქვს გაქვივრებისას თავი რომ შეაფარო—განუცხადებია აბაშიძეს.

წერეთელი, შეურაცხყოფილი აბაშიძის ასეთი მიჯნობით, დაბრუნებულა საჩხერეში და მისვლისთანავე გაუცია ბრძანება—დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ციხის აშენებას. მართლაც არ გასულა წელიწადი და საჩხერეში მშენებელი ციხე აუგიათ. როდესაც ციხის აშენება დასრულებულა, წერეთელს შეუთვლია აბაშიძისათვის:

— „მოდი და ნახე“—ო ამის შემდეგ „მოდინახეს“ სახელწოდება შერჩენია ამ ციხეს.

ლეგენდა „მოდი-ნახის“ ციხის წარმოშობის შესახებ საინტერესოა მხოლოდ, როგორც დამახასიათებელი მომენტი ფეოდალური წყობილებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ცნობილია ფაქტი, რომ საუკეთესო ციხე-სიმაგრეებს ჩვენს ქვეყანაში მეფეები და უმეტესად ფეოდალები აშენებდნენ გარეშე მტრებისგან და უფრო ხშირად ერთმანეთისგან თავის დასაცავად. ამ ციხე-სიმაგრეებს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდათ განსაკუთრებით და უსათუოდ დამახასიათებელია საჩხერის

ციხის წარმოშობის ისტორია, რომელიც თუ აკაკის სიტყვებს დავერწმუნებით ქალის თხოვნის ნიადაგზეა დამყარებული,

საქართველო
საზოგადოებრივი

აკაკის მეტად მწარე ენა ჰქონდა, გესლიანი, ზოგჯერ ბოროტებით აღსავსე. მე ყოველთვის მიკვირდა და ვერ ამეხსნა მიზეზი ამ გესლისა და ბოროტების. ადამიანი, დაჯილდოვებული პოეტის უდიდესი ნიჭით, აღჭურვილი იმდროინდელ ყველა პრივილეგიით, ნიუთიერად შედარებით უზრუნველყოფილი, სახელმწიფოებრივი. ჯანითა და სილამაზით აღსავსე და ამდენი გესლი და ბოროტება. ადამიანს ისე ვერ ვაუწვლიდა, რომ არ ეკბინა, გესლი არ დაენთხია. იყო ის ასეთი კბენისა და გამასხარავეების ღირსი თუ არა. მისთვის სულ ერთი იყო პიროვნება, ოღონდ კი კბილი გაეკრა. შეიძლება ზოგჯერ ეს გესლიანი სიტყვა, გონება მახვილი რეპლიკა ბოროტის გულით არ იყო თქმული. ადამიანზე იშვიათად თუ იტყოდა კარგს და თუ ასეთი წამოცდებოდა, ობიექტი მისი ქების იყო უსათუოდ სრულიად უმნიშვნელო, უფერული პიროვნება.

არ ვიცი რა მიზეზის გამო, მაგრამ საშინლად არ უყვარდა კიტა აბაშიძე. შეიძლება მიზეზი ამ უსიყვარულობისა ის იყო რომ კიტასაც არა ნაკლებ გესლიანი ენა ჰქონდა და საკმარისი გავლენა საზოგადოებაში.

ზოგიერთებს კარგათ ახსოვს ალბად აკაკის გესლიანი სიტყვა, კიტას შესახებ ნათქვამი.

კიტა აბაშიძე სოფ. კაცხიდან იყო. სოფ. კაცხი, თუმცა მთიან ადგილს არის გაშენებული, მაგრამ ბუნება იქ არც ისე მომხიბლავია: ხე და მცენარე ამ სოფელში მეტად უსწორ-მასწორია. აკაკიმ ერთხელ, გაჯავრებულ გულზე, კიტას შესახებ სთქვა:

— კაცხში ხე არ არის სწორი და ადამიანი როგორ იქნებაო.

არასოდეს არ დამევიწყდება ერთი მეტად თვალსაჩინო ფაქტი, მისი ხასიათის მამულავენებელი: საჩხერეში ზაფხულში ბევრი ახალგაზრდა ყმაწვილკაცი იყრიდა თავს, უმრავლესობა რასაკვირველია, წერეთლები იყვნენ. ახალგაზრდობას თან მოჰყვებოდა დროს გატარება, ლხინი. ავიყოლებდით მოხუცებულებსაც და იყო გამართული დაუსრულებელი წვეულება, თავის შექცევა. ხანდისხან ასეთ თავის შექცევას კულტურული ხასიათი ჰქონდა, გამართავდით რომელიმე ლიტერატურულ გმირის გასამართლებას ან კამათს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საკითხებზე და იყო დაუსრულებელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სიტყვაში და ცოდნაში შეჯიბრება. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დროს გატარებას—ლხინის ხასიათი ჰქონდა. ერთ-ერთ ასეთ დიდი წვეულების დროს, თუ არ ვცდები, ირაკლი წერეთლის სახლში, სადაც ასზე მეტი სტუმარი იქნებოდა ვახშაშვე მიწვეული, დაუპატიებლად გაჩნდა სამთო ინსტიტუტის ორი პოლონელი სტუდენტი, ორივე კარგი შეხედულების, ზრდილნი და კობტად გამოწყობილნი. თურმე კიათურაში, სადაც ისინი ზაფხულში პრაქტიკაზე იყვნენ, გაეგოთ, რომ ირაკლი წერეთლის ოჯახში დიდი წვეულებაა და მოაშურეს საჩხერეს დროს გასატარებლად. და თავისი ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ახალგაზრდობა დიდის სიხარულით და პატივისცემით შეხვდა პოლო-

ნელ სტუდენტებს. მათაც შეიფერეს ასეთი მიღება და გამხიარულდნენ, ცეკვა-
თამაშს დასასრული არ ჰქონდა. პოლონელებმა ისახელეს თავი „მანჯრეთ“ და
შეიძლება ბევრ ახალგაზდა ქალს აუძგერეს იმ საღამოს გული.

ამ ვახშაშზე ცენტრალური ფიგურა, რასაკვირველია, ~~გაქცეული~~ ხალხგ-
რძკლოები, სიტყვები, ქათინაურები, განსაკუთრებით მისკენ ~~მისკენ~~ მშობლი-
ბევრი მოსწრებული და ბევრი უკბილო სიტყა დაიხარჯა იმ საღამოს. ახალ-
გაზრდებმა პოლონელი სტუდენტები წამოუდგინეს აკაკის და თან აუბხენით მათ,
რომ აკაკი წერეთელი იგივეა ქართველებისათვის, რაც მიცკევიჩი პოლონელებ-
ისათვის.

— „Наш Мишкевич“—ასე გაეცანით დიდი პოეტი პოლონელ ახალგაზ-
დებს. ჩამოვარდა საუბარი პოლონეთის ლიტერატურაზე. განსაკუთრებით ლა-
პარაკობდა აკაკი. ლაპარაკის დროს მან დაიწუნა მიცკევიჩის ზოგიერთი ნაწარ-
მოები და ორიოდე ისეთი მოღრიდებელი აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენ, ახალ-
გაზრდები, შეეწუხებით. სენკევიჩი სულ არ დაინდო და მიწასთან გაასწორა და
ბაასი პშიბიშევსკის შემოქმედების მეტად გესლიანი დახასიათებით დაასრულა:

— პშიბიშევსკის ნაწარმოებს რომ კითხულობთ, ხერხემალი უფრო ადრე
გრძნობს, ვიდრე გონება და გულიო.

პოლონელებს ეტყობოდათ. შეურაცყოფის ელფერი სახეზე, მაგრამ ერთი
სიტყვაც არ უთქვამთ...

აკაკის მთლიანი პიროვნების წარმოდგენა შეუძლებელია, თუ მისი გესლი-
ანი სიტყვა—პასუხი, მისი მახვილი გონება, მოსწრებული სიტყვა, ხანდისხან
ბოროტების შხამით მოწამლული, არ გაიხსენეთ.

ყოველ დიდ ადამიანს აქვს, რასაკვირველია, თავისი ნაკლი და ეს ნაკლი
აკაკისაც ჰქონდა, რომელიც პოეტის პიროვნებას სრულიად არ ჩრდილავდა, არ
ამცირებდა, არამედ უფრო ორგინალურად, თავისებურად გამოჰყავდა იგი.

ერ.ხელ, აკაკი ტფილისში წვეულობაში ყოფილა დაპატიებულის, სადაც
სომხის პოპულიარული მწერალი და საზოგადო მოღვაწე—არწრუნიც ყოფილა.
არწრუნი, სხვათა შორის, მახინჯი ყოფილა, კუზიანი, რაღაც ბაასის
დროს, არწრუნს აკაკისათვის უთქვამს:

— ძალიან დიდი პოეტი ხარ, ნიჭიერი და ყველაფერად კარგი, მაგრამ
ერთი მეტად დიდი ნაკლი გაქვს: შოვინისტი ხარ ძალზე. ქართველი ხალხის
გარდა, ვძულს სხვა ერთიო.

აკაკის თურმე ღიმილით მაშინვე პასუხი გაუცია:

— შენზე უფრო შოვინისტი ვინც იყოს, ღმერთმა შეარცხვინოს, არარატი
თან დაგაქვსო. ასე უღმობელი იყო აკაკი იმ პირთადმი, ვინც მას უკბენდა,
ვინც მოინდომებდა მის შეურაცყოფას, თუნდაც ხუმრობით,

აკაკის უყვარდა თანამედროვე ქართველ და უცხო მწერლებზე ლაპარაკი,
მათი შემოქმედების შესახებ აზრის გამოთქმა, ხშირად მეტად ორიგინალურსა და
არაჩვეულებრივ აზრს გამოსთქვამდა რომელიმე მხატვრულ ნაწარმოების, განსა-
კუთრებით პოეზიის შესახებ.

ახალგაზრდა პოეტების სრულიად ძრაფერი სწამდა. მახსოვს, იოსებ
გრიშაშვილი პირველად რომ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მან თავიდა-

ნეე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ორიგინალური იყო მისი გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე თავისი ოდნავ ვულგარული „ბარაშკაჯიანით“. გრიშაშვილს ხელს უწყობდა აგრეთვე თავისებური კითხვა ლექსების, დეკლამაცია, აკაკიშვილი მიაქცია ყურადღება გრიშაშვილს, მაგრამ ჩემი რამეში წუნს სდებდა.

იმ ხანებში მეც მომიხდა რამოდენიმე ფელეტონის მოთავსება ვაზეთ „სახალხო საქმეში“ გრიშაშვილის პოეზიის შესახებ. აკაკიმ ჩემი წერილები წაიკითხა და ასე დამარიგა:

— დაინებე თავი ბავშვებზე წერასა და ლაპარაკს, გირჩევნია ჩენი წარსული შეისწავლო და თან ასეთი მოსწრებული სიტყვებით დაახასიათა გრიშაშვილის ურთ-ერთი ლექსი „ოქროს ფეხად“ წოდებული.

გრიშაშვილი იმეამად სულ მთლად გადავარდნილი იყო ეროტიზმში. ქალის თვალები, ქალის ფეხები, კოცნა და აღერსი იბყრობდა მის ოცნებას და მართლაც თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ ლექსებით გვიმასპინძლდებოდა. ერთერთი მისი ლექსი ასეთი სიტყვებით იწყებოდა:

„ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი ქალწულისა,
სიმბოლოა უცნაური სიცოცხლისა, სიკვდილისა.“

— სულ მთლად მოკლილი უნდა იყოს ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ სიღრმეს, რომ ქალის ფეხი—სიკვდილ—სიცოცხლის სიმბოლოთ გამოაცხადოს. დაუჩემებია: „ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი“ო, ნეტავი ვიცოდე, როგორი ფერის უნდა იყოს ეს ფეხი? ოქრო ყვეთელია და თუ ფეხიც ყვეთელი პქონდა იმ ქალწულს, ალბად გასვრილი თუ ექნებოდა რამეშიო.— ასე გულგრილად და გესლიანათ დაახასიეთა აკაკიმ გრიშაშვილის ზემოთ მოხსენებული ლექსი. და გასაკვირველი არაფერი იყო. აკაკისათვის გრიშაშვილი მიუღებელი იყო, რადგან გრიშაშვილი სულ სხვა ტრადიციის, სულ სხვა ეპიკისა და სულისკვეთების გამომხატველი იყო. მისი სიტყვა მოკლებული იყო ძველებურ მოკრძალებას, სინაზეს. ყარაჩოღელთა სიტყვითა და გულის წადილით, მათი ადათებითა და ნორალით გამსჭვალული მგოსანი აკაკის სიმპატიას ვერ დაიმსახურებდა, მის დასტურს ვერ მიიღებდა. არც გრიშაშვილის ლექსის კითხვის მანერა მოსწონდა აკაკის. რადგან ის არაფრით არ ჩამოგავდა დარბაისლურ ქართულ ლექსის კითხვას.

ერთხელ, ტფილისში, ტასო მაჩაბლის (ვანო მაჩაბლის მეუღლის), სახლში დათიკო წერეთელი იწვა, დაავადებული. სწორედ ამ ხანებში აკაკიმ ინახულა ავადმყოფი, მეც იქ ვიყავი, აკაკი იმ დღეს ძალიან კარგ გუნებაზე იყო. თურმე დიდი ფული მოეგო კარტში, ბევრი ახალი და ძველი ამბავი მოგვითბრო მან, ბევრი გეაცინა. ბევრს ჩვენს მწერალს უკბინა, ბევრის შემოქმედება ქარ-ცეცხლში გაატარა.

საკითხი ეხებოდა როგორც იმდროინდელ რუს მწერლებს, ისე ქართველ მწერლებსაც.

ჩვენს წინაშე გაიელვა სახელებმა: ლეონიდ ანდრეევის, თედორე სოლოგუბის, ალ. ბლოკის, ანდრეი ბელის, ბრიუსოვის, მეზენკოვის, როზანოვისა და სხვათა. აკაკი ვაკვრით ყველა ჩამოთვლილ პირთა შემოქმედებას შეეხო და თავისებურად დაიწუნა.

— რუსი მწერლის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მუდამ მსჯელობს სწერს, მარადისობის საკითხს დასტრიალებს თავს და სიცოცხლე კი აფიწყდებაო. ანდრეევი, სოლოგუბი, მერკაოვსკი და სხვანი— ყველანი დიდი მწერლები. მიერ დაწყებულ საქმის გამგრძელებელი არიან, ყველაზე უფრო დიდი მწერალი კი დოსტოევსკი იყოფო, — ისე გააქარწყლა აკაკიმ ამ დიდ მწერალთა მიერ წამოყენებული მსოფლიო, უნივერსალური ხასიათის საკითხები. და ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ქართველის ბუნებას, ქართველ მწერლის ფსიხიკას არაოდეს ისე არ იპყრობდა სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის საკითხი, საკითხი ადამიანის ცხოვრების წარმავლობისა, როგორც რუსი მწერლისა.

ქართველ მწერლებში აკაკი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორს იღებდა სავესებით და ნაწილობრივ — საბა სულხან-ორბელიანს, დავით გურამიშვილს და ბესარიონ გაბაშვილს,

ილია ჭავჭავაძის შესახებაც მეტად მოურიდებელ აზრს გამოსთქვამდა, თუმცა ვერ უარყოფდა სავესებით მის სიდიდეს.

ვაჟა ფშაველას შესახებ, ერთხელ, გაჯავრებულმა სთქვა:

— შეუძლებელია ჭეშმარიტმა პოეტმა ასეთი ლექსით გამოსთქვას თავისი გულის ზრახვა, გულის ნადებიო:

„ჩაფიქრებულა მინდია,
ყალივანი სწრავს პირშია“,

რასაკვირველია ამ შემთხვევაში აკაკი არ იყო მართალი, რადგან ვაჟა-ფშაველა მართლაც დიდი პოეტი იყო და ამ სიდიდეს თვით აკაკიც კარგად გრძნობდა და სწორედ ამიტომ იყო მისი სიტყვა მწარე და გესლიანი.

ამგვარი საზომით ყოველი დიდი მწერლის დამცირება, გამახარავება შეიძლება, თუმცა მე სრულიათ არ ვიზიარებ აკაკის შეზედულებას აღნიშნულ ნაწარმოების შესახებ. შეიძლება ამ ნაწარმოებში მართლაც იყოს ტლანქი სიტყვები, მაგრამ სურათი უსათუოდ მოცემულია სრული, და დამახასიათებელი, — სურათი ადამიანის, რომელსაც ყალიონი პირში ჩვეულებრივად კი არ უჭირავს, არამედ „ხრია“, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ თქვენ მოინდომებთ რომელიმე დიდი მწერლის სუსტი ნაწარმოებიდან — სუსტი ადგილების ამოღებას და ამისდა მიხედვით მისი შემოქმედების შესახებ აზრის დასკვნას, ეს აზრი არ იქნება სწორი, არ იქნება მისი ნიჭის, მისი შემოქმედების დამახასიათებელი.

თანამედროვე მწერალთა შორის აკაკი ისეთ მწერალს მოიწონებდა და დაუწყებდა ჭებას, რომელიც სხვაზე უფრო სუსტი იყო ან სრულიად უფერული. სწორედ იმ დღეს, დათიკო წერეთელთან, აკაკი გვიმტკიცებდა, რომ ვარლამ რუხბაძეს საქართველოში პოეტი ვერა სჯობსო. შეიძლება ვარლამ რუხბაძე მართლაც კარგი პოეტი იყოს და ზოგიერთი მისი ლექსი მეტად კარგიც, მაგრამ ვარლამიც დამეთანხმება, რომ უკეთესზე — უკეთესი არასოდეს დაიღვება და, ჩემის აზრით მასაც გაასწრო ზოგიერთმა მისმა თანადროულმა პოეტმა.

აკაკი, რასაკვირველია, იწუნებდა ისეთ პოეტებს, როგორიც იყვნენ: გრეშაშვილი, შანშიაშვილი, აბაშელი და სხვანი და მათზე უფრო მდარე ხარისხის მწერლებს გაცილებით უფრო მაღლა აყენებდა.

ასეთი უღმობელი და მოურიდებელი იყო აკაკი საზოგადო მოღვაწეთა და იმ პირთა მიმართ, რომელთაც რაიმე ავტორიტეტი ჰქონდათ მოაზრებული საზოგადოებაში. ერთი სიტყვით, აკაკი იშვიათად თუ ვინმეს დაჟინდობდა, გიორგი ზდანოვიჩისა და კიტა აბაშიძის ხსენებაც კი არ უყვარდა.

ახალგაზრდა მოღვაწეებსაც მეტად მოურიდებლად მოიხსენიებდა ხოლმე საუბრის დროს. მხოლოდ გრიგოლ რობაქიძეს ახსენებდა კარგი სიტყვით, ალბად იმიტომ, რომ გრიგოლ რობაქიძემ იმ ხანებში მეტად საინტერესო ლექციები წაიკითხა მისი შემოქმედების შესახებ და, ცოტა არ იყოს, აკაკის შემოქმედების დაფასებაში, გადააქარბა ყველა იმდროინდელ კრიტიკოსს.

გერონტი ქიქოძეს, მისი სალიტერატურო ასპარესზე გამოსვლის პირველ ხანებში, კარგის თვალთ უყურებდა. მას სოფს, ერთხელ-მის ლექციასაც დაესწრო. თუ არ ვცდები, ლექცია ეხებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. გერონტი თავის ლექციაში ვრცლად შეეხო, საზოგადოთ, მეცხრამეტე საუკუნის აზრთა განვითარებას და ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია აკაკი. მე ამ ლექციას დავესწარი და აკაკისთან ახლო ვიჯექი. როდესაც ლექცია დასრულდა, ვკითხე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ლექციამ აკაკი რალაც გუნებაზე ვერ იყო და იმ საღამოს არაფერი თქვა მის ჩემთვის ლექციის შესახებ, მაგრამ ამის შემდეგ გერონტი ქიქოძეც მოაქცია იმ პირთა სიაში, რომელთაც წყალობის თვალთ არ უყურებდა.

სწორედ იმ დროს ტფილისის გაზეთებში თანამშრომლობდა გერმანიიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ჟურნალისტი მიხეილ წულუკიძე და ხშირად კითხულობდა ლექციებს. ერთხელ მის ლექციას აკაკიც დაესწრო. ლექცია წაკითხული იქნა დილით, ქართულ თეატრის დარბაზში, მიხეილ წულუკიძეს ერთი მეტად აბირებული ჩვეულება ჰქონდა ლაპარაკის დროს. თითქმის ყოველ წინადადების შემდეგ სიტყვა — „რასაკვირველია“ ხმარობდა, ლექცია რომ დასრულდა, ვკითხე აკაკის:

— როგორ მოგეწონათ, ბატონო აკაკი ლექცია?

— ამ ლექციის შემდეგ „რასაკვირველია“, აღარაფერი არის „გასაკვირველია“.

აკაკის მეტად დიდ დროს ართმევდა „კარტი“-სა და საზოგადოთ ყოველგვარი სააზარტო თამაში. მეც მქონია შემთხვევა საჩხერეში მეთამაშა მასთან როგორც „კარტი“, ისე ნარდი და, გულახდილად უნდა მოვახსენოთ, რომ ისეთი დაუნდობელი მოპირდაპირე, არა სასიამოვნო მეთამაშე, იშვიათათ შემხვედრია, ჩაკაცვებდობდათ თამაშის დროს და უსათუოდ გულს მოგაყვანიებდათ და ამ გზით ან რაიმე შეცდომას ჩავადენინებდათ, რასაც უსათუოდ თქვენი წაგება მოჰყვებოდა ანდა თამაშს სულ მთლად დაგანებებინებდა თავს. ერთხელ ბეიან წერეთლის სახლში, ჩაკვიგლო ახალგაზრდები ხელში და სულ მთლათ სამასხროთ აგვიგლო. ჩვენ გულს ვასკდებოდით, ბრაზით ვირვოდით, მაგრამ ვერაფერი გვეთქვა. ალბათ თამაშის პროცესი და ადამიანის გაღიზიანება თუ მოსწონდა, თორემ სხვაფორე ვერ აგვეხსნა მიზეზი მისი ასეთი მოქმედებისა. დიდი-დიდი ჩვენგან მოგო 2—3 მანეთი ანდა ცოტა მეტი და იმასაც ყოველთვის უკან დაგვიბრუნებდა ხოლმე, მაგრამ ჩვენ ათას წილად გვერჩივნა ცოტა მეტი წაგვეგო, ოღონდ ნერვები არ აგვეშალა.

სულ სხვა იყო აკაკი, როდესაც კლუბში თამაშობდა, იქ მის ქანჭულს ან უდიერ სიტყვას ვერ გაიგონებდით. ასე ჩემათ, უსიტყვოთ ბევრი ვიქნებოდა წაუგია აკაკის კარტში. იყო ხოლმე შემთხვევები, როდესაც აკაკი უტი დღე და ღამე სრულიად არ გამოსულა კლუბიდან. ალბათ აზარტი, შეჯიბრება, ბილიარდო და თუ იტაცებდა, სხვაფრივ ძნელია ახსნას ადამიანმა მისი მოქმედება. «კარტით» არავინ გამდიდრებულა და უთუოდ არც აკაკი მოელოდა ამ გზით ფულის შეძენას. აზარტი, ბედის ცდა ყოველთვის იპყრობდა დიდ პიროვნებათა ყურადღებას. პუშკინი, მაგალითად, იმდენათ იყო გატაცებული კარტის თამაშით, რომ ერთხელ თავის მეუღლე, რომელიც ბალში მიიყვანა კარეტით, დასტოვა იქ და თვითონ კი კარტის სათამაშოთ გაემგზავრა კლუბში იმავე კარეტით. ბალი დასრულდა, მაგრამ პუშკინი არსად სჩანდა, პუშკინის მეუღლე იძულებული იყო დაგვიანებით მასპინძლის კარეტით დაბრუნებულიყო სახლში, რადგან პუშკინს, თურმე სულ მთლად წაეგო ყველაფერი, რაც თან ჰქონდა და მათ-შორის კარეტაც.

ასეთი გატაცება იცის აზარტმა, ბედის ცდამ და უსათუოდ აქვს ამ გატაცებას თავისი გასამართლებელი საბუთებიც.

აკაკი წერეთელი უსათუოდ დიდი აზარტის კაცი იყო, დიდი მოყვარული ყოველგვარი სააზარტო თამაშის, რომელიც ბედის ცდასთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ იგი ნამდვილი ფატალისტი იყო უსათუოდ.

მას საშინლად ეშინოდა სიზმრების და ყოველთვის ცუდი სიზმრის შემდეგ იტყოდა:

— სიზმარი ადამიანის მომავალი ბედის ან უბედურების მაჩვენებელია. ერთხელ, საჩხერეში, საშინელ გუნებაზე დაგვიხვდა პოეტი. ხმას არ იღებდა და რალაც სედიანი თვალებით გასცქეროდა მის სახლიდან გაშლილ ქალებს. ბოლოს გადმოგვხვდა და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა:

— რალაც საშინელი ამბავი მომეღის; შეიძლება ამ დღეებში სულ მთლად გამოვესალმო წუთისოფელსო. ჩვენ გაკვირვებულნი ჩავაცქერდით—უსიტყვოთ.

— წუხელი საშინელი სიზმარი ვნახე: სადარბაზოთ ვიყავი გამოწყობილი და აუარებელი ხალხი უცდიდა ჩემს გამოსვლას სახლიდან. დავაპირე გამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ფეხები არ შემორჩილებოდენ. ივრიალა ხალხმა, ამილო ხელში და ამნაირად შემოპატარა მთელი სახხერე, ბოლოს ჩემს ეზოში შემიტანეს და იქ დამიშვეს მიწაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ჩამომშორდა და დავრჩი მარტოდ-მარტო; დავაპირე ეზოდან გამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ალყაფის კარები გადარაზული იყო. მოვრთე ყვირილი და ამ ყვირილში გამომღვინებიაო—ასე დაასრულა სიტყვა აკაკიმ, საშინლათ შეშინებულმა ნახული სიზმრით.

ჩვენ ღიმილი მოგვივიდა სახეზე და ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეთ, თვით აკაკიმ გამოგვიყვანა უბერხულ მდგომარეობიდან.

— თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზდები ხართ, ჯერ ცხოვრება არც კი დაგიწყიათ, მომავალი თქვენია, მე კი ცხოვრება მოვკაშე და ჩემთვის ძნელია გრძობა სიკვდილის მოახლოებისა, გრძობა იმისა, რომ დღეს ან ხვალ აღარ იქნები.

აკაკისათვის მართლაც ძნელი იყო გრძობა სიკვდილის მოახლოებისა. რადგან მას გაგიჟებით უყვარდა სიცოცხლე, თუმცა ამ შეთხვევაში მისი წინათ-გრძობა მოკლებული იყო ყოველივე საფუძველს.

— მიყვარს გაზაფხული, როდესაც გარშემო ყველაფერი იმ-
ლებდა, ხარობს, სამოცდაშვიდი გაზაფხულით დამტკბარვარ, სამოცდაშვიდჯერ
ავსილა ჩემი გული სიხარულითა და სიყვარულით; მიგერძნია სილამაზე, მშვენი-
ერება, სიცოცხლის აზრი და ძალა და ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის,
განვლილია თითქმის დავიწყებული. სიცოცხლე მომავალშია და ჩემი მომავალი
კი მტკიცეთ მიისწრაფის სამარისაკენ, არარაობისაკენო.

— — —

აკაკი დიდი მოყვარული იყო ყოველგვარი პარადის, სანახაობის, მას უყ-
ვარდა საზოგადოებაში ყოფნა, ტრიალი, ზეიმი, ლზინი, მაგრამ ლზინი არა
ჩვეულებრივი ვაგებით. აკაკი ლვინოს, საზოგადოთ, არ სვამდა, მას ხიბლავდა
სულ სხვა რამ: სიმღერა, ცეკვა-თამაში, სიტყვაში შეჯიბრება. მე დამაინტე-
რესა საკითხმა: ნუ თუ აკაკი ლვინოს გაუარბის შეგნებულად? ნუთუ ლვინო, რო-
მელიც ადამიანს, ასე ვსატყვით ახალისებს, ამორებს ყოველდღიურობას, სრუ-
ლიად არ იპყრობდა პოეტის აზრს? ნუთუ ოდნავ შეზარხოშებული მდგომარეობა,
რომელიც ზოგჯერ უსიტყვოს მჭერმეტყველად ჰქმნის, უსიცოცხლო ადამიანს
სიცოცხლეს ანიჭებს—არ ხიბლავდა აკაკის? და სავსებით დავრწმუნდი, რომ არა.

— მე ისედაც მთვრალი ვარ სიცოცხლით, ოდნავ შეზარხოშებული შემო-
ქმედების ცეცხლით და ლვინის საშვალეებით ხელოვნურათ გაძლიერება სულიერი
მდგომარეობის არასოდეს მხიბლავდაო—სთქვა პოეტმა. და სავსებით მართალი
იყო იგი, რადგან მას მართლაც არ სჭირდებოდა რაიმე ნარკოტური საშვალეება
ალკოგოლი სულიერი განწყობილების გასაძლიერებლათ, ასამაღლებლად, პოეტი
მუდამ ეამ მთვრალი იყო პოეზიით, მუდამ ეამ შეზარხოშებული შემოქმედების
ცეცხლით, და მისთვის სრულიად ზედმეტი იყო ისედაც გაძლიერებულ ფანტა-
ზიის კიდევ უფრო გაძლიერება ლვინის საშვალეებით.

სულ სხვა იყო მისთვის სიმღერა, მუსიკა, პლასტიკა. აკაკი სმენად გზდა-
ქცეოდა, როდესაც ყურს მოკრავდა სიმღერას, მას განსაკუთრებით ხალხური
სიმღერა მოსწონდა. საათობით შეეძლო თავდავიწყებული ესმინა გალობა.

საჩხერეში იშვამად განთქმული იყო, როგორც მეტად კარგი შემსრულებე-
ლი ქართული რომანსების, ვარინკა მაკავეარიანის ქალი—წერეთ-
ლის მეუღლე. მეც მომისმენია მისი სიმღერა, უკვე დაგვიანებით, როდეს-
აც მისი ხმა აღარ ჟღერდა ისეთი ძლიერებით, მაგრამ მანერა სიმღერის
გრძობა მუსიკის მასში არ ჩამქრალა ბოლომდე. იშვიათად მომისმენია ისეთი
შესრულება რომანსი „სულიკოს“ (აკაკის სიტყვებია), როგორც ვარინკა წერეთ-
ლისა ასრულებდა მას. აკაკი მთელი საათები ამღერებდა მას, მოხიბლული
მისი ხმით, გრძობით.

ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვისაც, მრავალჯერ მოუპართავს, რათა გვემ-
ღერა რაიმე ხალხური სიმღერა. ჩვენც ვცდილობდით, რომ გვესიამოვნებია
მისთვის, დიდის ხალისით ვმღეროდით, მაგრამ ყოველთვის, მადლობის ნაცვლად,

შენიშვნას მივიღებდით აკაკისაგან. მას არ მოსწონდა ქარდული სიმღერის ევროპული მანერით შესრულება. ბევრს ვცდილობდით, რომ ჩვენი სიმღერისათვის უალრესად ქართული ელფერი მიგვეცა, მაგრამ არაფერი გამოვიდოდა. ვერ მოვიშორეთ თავიდან იტალიური ნიუანსები, სიმღერის დაბლოწარვებს რომ თან სდევდა.

აკაკის უყვარდა განსაკუთრებით ქართული მელოდია, ქართულივე კილოთი შესრულებული. შეიძლება ამ მხრივ პოეტი ერთგვარ სივიწროვეს ამხედლა, რთული და ღრმა მუსიკის შეგნების უქონლობას, მაგრამ მის ასეთ კარჩაკეტილობაში იყო რაღაც თავისებური, ორიგინალური, ოდნავ პრიმიტიული. მრავალჯერ უთქვამს ჩვენთვის, რომ რთულ სიმფონიურ ნაწარმოების მოსმენას, მას ურჩევნია სალამურის ან კიდეც ჩონგურის უბრალო, უპრეტენზიო ხმათა გაგონება, ყურის დაგდება.

აკაკის უყვარდა კარგი ქართული სიტყვის მოსმენა, ორატორის ყურის დაგდება. მიუხედავად იმისა, რომ კიტა აბაშიძის დიდი მოყვარული იგი არასოდეს ყოფილა, მაინც არ უარყოფდა მის ორატორულ ნიქს. ასე იტყოდა ხოლმე:

— ამ სიტყვის წარმომთქმელი კიტა რომ არ იყოს, გეგონებათ დიდ ორატორს უგდებთ ყურსო. მას მოსწონდა კიტა აბაშიძის სიტყვაში არა მარტო მანერა ლაპარაკის, მისი ტემპერამენტი, არამედ მისი ქართული ენაც.

— კარგი ორატორია, მაგრამ გრიშა აბაშიძეს მაინც ვერ შეედრებაო, იტყოდა ხოლმე აკაკი და თან ვრცლად გადმოგვემღა გრიშა აბაშიძის ორატორულ ნიქის დამადასტურებელ ფაქტებს.



აკაკი ბუნებით უსათუოდ მოგზაური, მოხეტიალე ადამიანი იყო. მას ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა არ შეეძლო. მისი ბუნება სულ ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს მოითხოვდა, ახალ-ახალ სანახაობებს და ისიც თავის საქმარისად ხანგრძლივ ცხოვრებაში უმეტესად სულ გზაში იყო, ან და გამზადებული გასამგზავრებლად. მას მოყლილი ქონდა არა თუ მთელი საქართველო, ამიერ-კავკასია, რუსეთი, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც კარგად იცნობდა. უყვარდა ერთ ქალაქიდან მეორეში ვადასვლა, ერთ ადგილიდან მეორე ადგილას წასვლა. ამ მიმოსვლას უმეტეს შემთხვევაში ჩემი, უპრეტენზიო ხასიათი ჰქონდა, — ზოგჯერ კი საზეიმო, პარადული და ხანდისხან კიდეც მყვირალა ელფერი ეძლეოდა

ყველას ახსოვს ალბად აკაკის მოგზაურობა რაქა-ლენჩხუმი, კახეთში და უკანასკნელად მოსკოვსა და ლენინგრადში მისი იუბილეს გადახდის შემდეგ.

მახსოვს, აკაკი მოხიბლული კახეთის ბუნებით, კახური სიმღერით, ამ ქვეყნის სიმდიდრით — დაბრუნდა საჩხერეში და აღფრთოვანებული მოგვითხრობდა კახეთის ცხოვრების შესახებ.

პოეტი ხშირად ორი სიტყვით გაგრძნობინებდათ იმას, რაც შეიძლება სხვას მრავალ სიტყვითაც ვერ გადმოეცა.

— კახეთი გულია საქართველოსი, სიტქვა აკაკიმ და ჩვენც ვიგრძენით, რომ ამ სიტყვებს პოეტი უსაფუძვლოდ არ წარმოისთქვამდა.

— და მართლაც, ძნელია ნახვა ისეთი წარმტაცი სანახაობისა, როგორიც არის ალაზმის ბუნება. ზღაპარივით ლამაზია და წარმტაცი, უფრო ვიდრე ალაზმის მინდვრებს და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს გაშლილი გული, გული მოსიყვარულე, რომელიც დაიტევს ლამაზსა და მახინჯს, ყველაფერს აქვს. უსმენთ კახურ სიმღერას და თქვენს წინაშე აღიმართებიან შგანდნის მანანა, ტურჯანელი, რომელთაც ქვეყნის თავისუფლებისათვის თავი შეუწირავთ. უცქერით კახეთის ზღვა ვენახებს, გაშლილ ყანებს, ფეხმაგარ საქონეოს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მტკიცე, შეურყეველი კუთხეა. შესცქერით კახელის მაგარ ხელებს, დაქიმულ კუნთებს, კახელ ქალის სილამაზეს და თან მოკრძალებას და მიდინართ იმ დანკენამდე, რომ ქათველი ხალხი გამძლეა, მტკიცე ნებისა და ურყევი ხასიათისაა. — ასეთი იყო აკაკის შთაბეჭდილება კახეთის შესახებ: მოკლე, დამაჯერებელი, ორიგინალური...

აკაკის საშინლად უყვარდა, როდესაც მას მისასალმებელ სიტყვებით მიმართავდნენ, ოვაციას გაუმართავდნენ.

მახსოვს მისი იუბილე, ტფილისის საოპერო თეატრში გამართული. ზღვა ხალხი, აკაკისადმი პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული. მე არ მინახავს ისეთი გაღმერთება ადამიანის, ისეთი არაჩვეულებრივი ტემპერამენტით შეხვედრა, ტაში, ოვაციები, აურაცხელი ხალხით სავსე თეატრი ზანზარებდა ტაშის კვრისა და ვაშას ძახილით, აკაკიმ იმ დღეს მართლაც იგრძნო ის უშუალო კავშირი, რომელიც ხალხის გულთან ჰქონდა მას გაბმული, — მან იგრძნო უზომო სიყვარული და პატივისცემა ხალხისა თავისადმი, და ბავშვის უმანკო ცრემლებით, გულაჩილებული აცრემლიანდა. ბევრი ლამაზი და ბევრი უმნო სიტყვა იყო წარმოთქმული იმ დღეს, ბევრი კარგი და ბევრი უნიჭო ლექსი იქნა წაკითხული, მაგრამ კალისტრატე ჩიკვაიძის სიტვა არასოდეს დამავიწყდება. აკაკიც ბევრი აცინა ამ სიტყვამ. არ ვიცი განგებ იყო ეს სიტყვა თქმული, თუ მართლაც შეკრთა კალისტრატე ჩიკვაიძე იმ დღეს. ყოველ შემთხვევაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ სიტყვამ მაშინ.

სცენაზე გამოდის კ. ჩიკვაიძე, როგორც დასავლეთ საქართველოს ვეჟილთა დელეგატი, მისასალმებლად. გადის ერთი წუთი, კ. ჩიკვაიძე სდგას ხმა ამოუღებელივ. გადის კიდევ წუთი — იგი გაჩუმებულია, ხალხში ლაპარაკის ხმა ისმის, ყველა გაკვირებულია; რა დაემართა ასეთ გამოცდილ ვეჟილს, მოლაპარაკეს, რომ ენა ვერ მოუბრუნებია. როგორც იქნა, რამდენიმე წუთის შემდეგ, ამოიღო მან ხმა:

— ძვირფასო აკაკი! არ ვიცი რა დამემართა, ენა დამება, ლაპარაკის უნარი წამერთვა. მიზეზი ალბად ის არის, რომ უგონორაროთ ლაპარაკს ჩვეული არა ვარ. ერთ ასს მანეთს რომ ჩამიდებდეს ვინმე ჯიბეში, შესამჩნევ სიტყვას მოგახსენებდიო და სხვა. ასტყდა რასაკვირველია, ხალხში სიცილი. აკაკი წამოდგა ადგილიდან, მუახლოვდა კალისტრატეს და გადაეხვია მას სიცილით.

შეტად საინტერესო იყო აკაკის უკანასკნელი ჩამოსვლა ლენინგრადში. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1911 წელში. აკაკი ესტუმრა ლენინგრადს, მოსკოვში გადახდილ ზეიმის შემდეგ, გაზეთები სავსე იყო წერილებით მის შესახებ. თითქმის ყველა იმდროიდელ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთში მოთავსებული იყო მისი

სურათი ასეთი წარწერით: „საქართველოს უგვირგვინო მეფე“, აკაკი მეთეულა ნასიამოვნები იყო ასეთი შეხვედრით და ამის გამო უმეტეს შემთხვევაში ძვირფასი ნივთების გუნებაზე იყო. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ბაბო ბაგრატიონის ნივთები, სადაც იმეამად სტუდენტები—წერეთლები, ივანე მაჩაბლის ვაჟი ნაჭყალი მამაყვანილი, მიტია მიქელაძე და მე ვსცხოვრობდით. აკაკი ძალიან კმაყოფილი იყო მოსკოვში გადახდილ ზეიმით, დიდის სიყვარულით იხსენიებდა იქაურ ქართველ ახალგაზრდობას და განსაკუთრებით—გრიგოლ ლალიძეს.

— დიდის ოთხი საათი იქნებოდა, რომ დაებრუნდით მე და გრიგოლ ლალიძე სასტუმროში დაქანცულნი—დაიწყო აკაკიმ მოთხრობა.—სუმბათაშვილთან (იუენი) ვიყავით ვაზშაშზე. ისიც იყო ჩაფიქრებული, რომ მომესმა მშვენიერი ქართული სიმღერა. გავაღვიძე გრიგოლი და ვკითხე: ნეტავი სად მღეროდა ამ აღიონზე ქართულ მრავალკვამიერს?

როგორც გამოირკვა, ქართველი სტუდენტები, ცოტათი შეზარბოვებულნი, მოსულან სასტუმროსთან და აკაკის ნომრის პირდაპირ—ქუჩაზე შეუსრულდნათ რამდენიმე ქართული სიმღერა, ალბათ აკაკისათვის თუ უნდოდათ ამით გამოეცხადებინათ პატივისცემა და სიყვარული. ორიგინალური საშუალებაა უსათუოდ, პოეტის გულის მოსაგებად.

ლენინგრადშიაც გაუმართეს აკაკის შეხვედრა. გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელი. სწორედ იმ დროს პეტერბურგში ტრადიციული ქართველ სტუდენტთა საღამო იმართება და ამ საღამოზე აკაკი საპატიო სტუმრად იყო მიწვეული...

...აკაკის არაჩვეულებრივი შეხვედრა გაუმართა ქართველ სტუდენტობამ და საღამოზე დამსწრე მთელ საზოგადოებამ—ფეხზე ამდგარი სავსე დარბაზი ტაშის ცემით და ვაშის ძახილით მიესალმა პოეტს. აკაკი მეთეულა ნასიამოვნები იყო ამგვარი დახვედრით და სულ იმას იმეორებდა:

— ხომ ავაყენე რუსეთის საზოგადოება ფეხზე და ერთგვარი პატივისცემით გავმსჭვალე ჩემი ქვეყნისა და ხალხისადმიო. სხვათა შორის, იმ საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის იმდროინდელი „ბობოლები“ და უმაღლესი მოხელეობა.

ლენინგრადში აკაკიმ მოისურვა პოეტი გრიგო აბაშიძის საფლავის ნახვა, ალბად შეწუხებული იმით, რომ ქართველი პოეტი განისვენებდა არა თავის ქვეყანაში. ამით ალბად უნდოდა ქართველ საზოგადოებისათვის გაეხსენებია მისი ვალი პოეტისადმი და თან პატივი ეცა თავისი მეობრისა და ნათესავისათვის.

ვოლკოვის სასაფლაოზე, მეთეულა უბრალო რკინის მოაჯირით არის შემოღობილი გრიგო აბაშიძის საფლავი და ზედ ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „Здесь покоится князь Григорий Абашидзе, грузинский поэт.“ ვილასაც უწინა ხელით მიეწერა: „Грузо голопяты“. აკაკი საშინლად შეწუხდა და აღელვებულმა გვითხრა:

— თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნოთ სამშობლო მის წინ პოეტის გვამიო.

რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ აკაკი ელაპარაკა ჩვენზედ ^{რადროს} გამოცდილთ და მაშინდელ სტუდენტთა სათვისტომოს მესვეურთ — პეტრე ჭავთაძესა და სხვებს.

პეტერბურგში, იმაჲმად პირველად ვნახე აკაკის შეფუძნულნი იმ დროს ანტრეპრენიორობდა. როგორც გადმომცეს ის მცოდნე იყო მუსიკის და მეტად კარგი შემოჩვეული მომღერალ-მსახიობთა. პირადი გაცნობისა და მუსიკის შემდეგ მართლაც დავრწმუნდი, რომ იგი განვითარებული და მომზადებული კაცი იყო, მოვლილი ჰქონდა მთელი რუსეთი, ევროპა და იცნობდა ხალხთა ცხოვრებას, ადათებს და მათ კულტურულ მიღწევებს. საერთოდ იგი სტრუქტურა ტიპურ რუს ინტელიგენტის შთაბეჭდილებას, მთელი მისი წარმატებებითა და ნაკლით. ქართველის მას არაფერი ეცხო: დედა-ენაც კი არ იცოდა. ეს ხომ-ნამდვილი დაციწვა იყო ბედის. გამიკვირდა, რომ აკაკის ვაჟმა დედა-ენა არ იცოდა. აკაკიც მას რუსს ეძახოდა. ალბად შვილის გადაგვარება ბედის საშუალებით თუ მოხდა. აკაკის რუსის დიდკაცის ქალი ჰყავდა ცოლათ. ბაზილევსკის ქალი, მეტად მდიდარი ოჯახიდან. ბაზილევსკის ქალმა ქარული არ იცოდა და თავის შვილს ზრდიდა რუსეთში. შემდეგ მე ბევჯერ მქონია შემთხვევა უფრო ახლო გავცნობოდი აკაკის ოჯახს საჩხერეში, სადაც დედა და შვილი მთელ ზაფხულს ატარებდნენ.

აკაკი ძალიან ნაკლები წარმოდგენის იყო თავის შვილზე. დიდ იმედებს არ ამყარებდა მასზე და ხშირად ფანტაზიორს, მეოცნებეს უწოდებდა.

ერთხელ ბევრი გვაცინა მოსწრებული სიტყვით, თავის შვილის ახირებულ ჩვეულებას რომ ეხებოდა.

აკაკის ვაჟი გარეგნობით ვერ იყო მაინც და მაინც მიმზიდველი სახის; მაღალი კაცი იყო, საკმარისად უსიმპატიო და თან ახირებული ჩვეულება ჰქონდა: სულ მაღლა იყურებოდა, ასეთი ჩვეულება აკაკისაც ჰქონდა ბუნებრივად თანდაყოლილი და შთამომავლობით თუ გამოყვანა შვილს.

— რალა თავის აწვევაში დამემსგავსა მაგ დალოცვილი და სხვაში კი არა-ფერში. მე თუ მაღლა ვიყურები, გასამართლებელი საბუთი მაინცა მაქვს: ვარსკვლავებს ვეთამაშები, ცას შევხარი, მზესა და მთვარეს შევხატრი. მაგას კი რომ აუღერია ეს თავი, ნეტავი რას უყურებს ან და უყურებს კი რამეს?

აკაკი, მიუხედავად იმასა, რომ პოლიტიკისათვის განჩინილი არ იყო, თავის თავს დიდ პოლიტიკოსად სთვლიდა და ხშირად გვარწმუნებდა, რომ მისი დანიშნულება, მისი სტიქია — პოლიტიკაა უპირველეს ყოვლისა.

შეიძლება მის შემოქმედებას, ყოველ წის ფეხის გადადგმას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავის თავად, რადგან პოეტი მთელი თავისი არსებით მოსისხლე მტერი იყო რუსეთის თვითბყრობელობის და თავისი ქვეყნის განთავისუფლების საკითხს დასტრიალებდა თავს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს აკაკის დიდ პოლიტიკოსობას.

აკაკი, რასაკვირველია არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, იგი უპირველეს ყოვლისა, იყო სიტყვის უდიდესი შემოქმედი, ქეშმარიტი პოეტი და მთელი მისი არსება აქეთკენ იყო მიპყრობილი. უდი-

დესი პოეტური ცეცხლდ ღვივოდა მის გულში და მხოლოდ პოეტურ სახეები და საგნები იბყრობდენ მის ოცნებას, მთელ მის არსებას.

რუსეთის დიდი პოეტი პუშკინი და, თუ გნებავთ, ლერმონტოვიც, არასოდეს პოლიტიკოსები არ ყოფილან, მაგრამ მათი მოქმედებები სარგებლობდენ იმდროინდელი პოლიტიკოსები და დიდ პოლიტიკას ჰქმნიდენ მათი სახელით. პუშკინის გადასახლება თავის დროზედ უსათუოდ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი, მაგრამ ეს ფაქტი თავის თავად პუშკინს პოლიტიკოსად ვერ გახდის.

ისტორიას ახსოვს ბევრი მაგალითი, როდესაც უდიდესი პოეტი, უდიდესი პოლიტიკოსიც იყო. მარტო ალიგიერი დანტეს ცხოვრება და შემოქმედება საკმარისია ამისათვის ანდა, თუ გნებავთ, საქართველოს მასშტაბით—ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი იყო და პოლიტიკოსიც.

აკაკი პოლიტიკაში მონაწილეობას იღებდა, დრო გამოშვებით პოლიტიკურ ხასიათის წერილებსაც სწერდა, მაგრამ ამ წერილებს პოეზიის ელფერი უფრო დაყვებოდა, ვიდრე ნამდვილი პოლიტიკის ხასიათი. ხშირად მის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებში ჩაჩვევას, მეტად უბრალო ხასიათი ეძლეოდა, ზოგჯერ კინკლაობის, ინტრიგისა და კორის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მისი მოსწრებული სიტყვა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ არ იყო მოკლებული თავისებურ მნიშვნელობას.

აკაკის ჭირივით სძულდა რუსის მოხელეობა—„ჩინოვნიკობა“, იქნებოდა ის რუსი, ქართველი თუ სხვა რომელიმე ეროვნების. ბავშობიდანვე თან დაჰყვა ეს სიძულვილი „ჩინოვნიკებისადმი“, ალბად შთამომავლობით, რადგან, მისივე, გადმოცემით, არც მამა მისი—როსტომ წერეთელი ყოფილა დიდი პატივისცემული ამ წრის და მრავალჯერ შეტაკებებიც ჰქონებია დიდ მოხელეებთან.

პოეტის ცნობილი ლექსი, 1905 წელში დაწერილი, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, საუკეთესო დამახასიათებელია აკაკის დამოკიდებულებისა რუსეთის თვითმპყრობელობისადმი.

იმჟამად იაპონიის ერთ-ერთი მთავარსარდალთაგანი იყო გენერალი ოიამა. ოიამას ხელმძღვანელობით, იაპონიის ჯარმა სასტიკად დაამარცხა მეფის თვითმპყრობელობის ჯარი. ეს იყო დამარცხება არა რუსეთის ჯარისა, არამედ თვითმპყრობელობისა, მისი უნიკო მესვეურთა. რევოლიუციონერი პარტიები სიხარულით ხედებოდენ რუსის ჯარის ყოველ დამარცხებას, რადგან კარგად ესმოდათ ამ დამარცხების შედეგი. მათ შესამჩნევად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხებას რევოლიუცია მოყვებოდა.

აკაკიმაც იგრძნო ეს, იგი გაიტაცა ამ ტალღამ და დააწერინა მას ცნობილი ლექსი—„ოი, ამას ვენაცვალე.“ იენანას ენრით მან დასწერა ლექსი, რომლის ყოველი ტაევი—„ოი, ამას ვენაცვალეს“—თი თავდებოდა. ოი, ამას ვენაცვალეს უმღერდა დედა თავის შვილს, ნამდვილად კი ეს ფრაზა ნიშნავდა: იაპონიის გენერალ ოიამას ვენაცვალე, რადგან მისმა ჯარმა სასტიკი დამარცხება აგემებინა მეფის ჯარსო. ეს ლექსი მოთავსებული იყო იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ცნებურამ ვერ შეამჩნია მისი შინაარსი, ვერ მიუხედა აკაკის ხერხს.

ასე სძულდა აკაკის თვითმპყრობელობა, სძულდა თავისებური სიძულვილით. მისი პროტესტი უფრო მისი ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული ჩაგრვით იყო გამოწვეული, ვიდრე სოციალური უთანასწორობით, კლასთა ბრძოლის კარნახით...

...პოეტი, მართალია, ებრძოდა თვითმპყრობელობას, რომელმაც მის ქვეყანას მონობის უღელი დაადო კისერზე, მაგრამ ამასთანავე იგი უფრო მეტის გატაცებით აღმერთებდა ბაშინაჟის გმირულ თავდავიწყებას, მისთვის ოცნებათ იყო გამხდარი ცოტნე დადიანის თავისგაწირვა და არა რაიმე გარკვეული სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ბრძოლა.

...აკაკი თავის ინტელექტით არ იდგა თავის ეპოქაზე მაღლა. იგი არ იყო თავის დროის იდეებისა და ზრახვათა სრული განმასახიერებელი. იგი უფრო უშუალო ნიჭი იყო, რომელიც ზოგჯერ სრულიად მისთვის მოულოდნელად ჰქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებს.

აკაკი წერეთელიც სცხოვრობდა, რასაკვირველია, თვისი ეპოქის იდეებით, მაგრამ მას უფრო წარსული იტაცებდა, გმირული თავდადებისავალი თვისი ქვეყნისა. იგი პოლიტიკას პოეტურის ინტუიციით უფრო ჰქმნიდა, ვიდრე ცოდნათა კარნახით. მისი პოლიტიკური სიტყვა—პოეზიას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ათასჯერ განსჯილ და ნაფიქრ აზრს.

აკაკის თავისი საშუალო სოფელი საჩხერე მეტად უყვარდა.

— რა გლახადაც უნდა ვგრძნობდე თავს, საჩხერეში რომ ჩამოვალ, მაშინვე გამოვმართელებო—ამბობდა პოეტი. იშვიათად თუ გაუშვებდა ზაფხულს, რომ ერთი ან ორი თვე მიინც არ გაეტარებია საჩხერეში. ხშირად მთელი ოჯახობით მოვიდოდა ხოლმე განსაკუთრებით უფულობის ეპოს.

მთელი საჩხერე გამოფხიზლდებოდა აკაკის ჩამოსვლით. გაჩაღდებოდა წვეულება, პატივი, გადაპატიებება და, რასაკვირველია, ყველა ამ დროს გატარებაში ცენტრალური ადგილი აკაკის ეჭირა...

პოეტს მეტად უყვარდა ბავშვები და დიდი მეგობარიც იყო მათი. აკაკის მთელი საათები შეეძლო გაეტარებია ბავშვებთან. მოუყვებოდა ხოლმე მათ ზღაპრებს, არაკებს და ათასგვარ სახუმარო და უცნაურ ამბებს. ბავშვები მას ყოველთვის დიდის ყურადღებით და ამასთანავე განცვიფრებით უსმენდნენ. აკაკისა და ბავშვების შეხვედრას ყოველთვის თან მოჰყვებოდა ბავშვთა უზომო სიხარული, მზიარულება, კისკისი. საჩხერეში ყოფნის დროს, ის უსათუოდ შეჰკრებდა ბავშვებს და ართობდა მათ.

ელისაბედ წერეთელის ოჯახში, სადაც აკაკი ხშირი სტუმარი იყო, მას ეგულებოდა ბავშვები. ერთხელ წაუღო მათ საბავშვო წიგნები. ერთ-ერთი ვაჟი ელისაბედ წერეთელისა—ლევანი იმეამად კუჭით იყო დაავადებული. აკაკიმ მასაც აჩუქა საბავშვო მოთხრობები და წიგნზე შემდეგი წააწერა:

„ლევან პაწიას,
თვალეზ-პრაწიანს
მუცელ რ . . . წიანს

განსაკუთრებულ მეგობრულ განწყობილებებში წერეთლიანთ შორის აკაკი ბევრს წერეთელთან იყო, ერთის მხრივ, აკაკის აკავშირებდა ბევრს წერეთელთან

ხნოვანება, ბეიანიც ხანში შესული კაცი იყო,—მეორეს მხრივ ის, რომ ბეიან წერეთელი პეტერბურგელი სტუდენტი იყო და ამის გამო სალაპარაკო თემა საკმარისად ჰქონდათ ორივეს. ბეიან წერეთელსაც უყვარდა ძველი ამბების მოყოლა. ამ მხრივ ცოტათი მოგაგონებდათ აკაკის ყველაფერიც. საერთოდ აღზად იზიდავდა მისკენ აკაკის, რომელსაც, თავის მხრივ, არა ნაკლებ უყვარდა მუსიკაზე, ზოგჯერ ჭორებთან დაკავშირებულიც კი.

აკაკი თუ მოშორებული იყო საჩხერეს, წერილს უსათუოდ ბეიან წერეთელს გამოუგზავნიდა უპირველეს ყოვლისა. მისი წერილები ყოველთვის სავსე იყო მახვილი აზრებით და აჭრელებული ლექსებით.

ამ ლექსთა შორის მრავალი იყო პონოგრაფილი ხასიათის, ან და შარკი რომელიმე იმდროინდელ პოპულიარულ პიროვნებაზე, რომელთა წაკითხვას მამაკაცთა შორის თუ შეიძლებოდა და ისიც დავაქაცებულ მამაკაცთა შორის.

ხშირად მისი ლექსი—წერილი სრულიად მარტივ საკითხს ეხებოდა, პირად შთაბეჭდილებებს და დაკვირვებებს გადმოგვცემდა, მაგარამ ორი ან სამი ისეთ მოუხრიდებელი სიტყვა იყო შიგ ჩართული, მის რითმას რომ აძლიერებდა, რომ შეუძლებელი აყო მისი გადმოცემა.

ბეიან წერეთლის წერილში შეიძლება მრავალი ისეთი ბარათის აღმოჩენა, რომელიც ნათელს მოჰფენს პოეტის ინტიმურ ცხოვრებას, გაგვაცნობს აკაკის არსებობის ახალ მხარეს.

ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე აკაკის შეხედულება ადამიანის მატერიალურ მდგომარეობის, ნივთიერ კეთილდღეობის შესახებ.

მე არ შემიძლიან გადაჭრით ვსთქვა, რომ აკაკის ფულები უყვარდა, რადგან ვისაც ფული უყვარს, მისი შენახვის უნარიც თან დაყვება ან და ასეთი უნარი უნდა ჰქონდეს მას ყოველ შემთხვევაში. აკაკის კი ფულები თუ დილას გაუჭნდებოდა, საღამოს მას ერთ გროშს ვეღარ უპოვნიდით, უცბად გაუქრებოდა.

აკაკი დიდი შეძლების კაცი არასოდეს არ ყოფილა: ჩვეულებრივი ქონების პატრონი შემამულე იყო მამა მისი—როსტომ წერეთელი, უფრო ხელმოკლე, ვიდრე მდიდარი. ყოველშემთხვევაში აკაკისათვის მამამისს დიდი სიმდიდრე არ დაუტოვებია. სხვათაშორის აკაკი არც იმ წერეთლიანთ ჯგუფს ეკუთნოდა, როდესაც შავი ქვის წყაროებით თავისი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. მას ერთი ქცევა შავი ქვის მიწისა არ ჰქონდა, თუმცა მთავარი აღმომჩენელი ჭითურის შავი ქვისა სწორედ აკაკი იყო.

ერთი სიტყვით, აკაკი სანამდი დაოჯახდებოდა, საკმარისად ხელმოკლე ინტელიგენტი იყო. ბაზილევსკის ქალს, რომელიც ცოლად შეირთო აკაკიმ, დიდი მზითვი მოჰყვა. თვით აკაკი ყრველთვის უარყოფდა ხოლმე ამ ფაქტს მაგრამ სხვადასხვა პირისაგან გამიგია, როგორც საჩხერეში, ისე პეტერბურგშიაც, რომ ბაზილევსკის ქალს მზითვად ერთი მილიონი ჰქონდა.

შეიძლება ეს თანხა გაზვიადებული, გადაჭარბებული იყოს, მაგრამ თვით ბაზილევსკი, რომ იმეამად მეტად შეძლებული კაცი ყოფილა—ეს ფაქტი უდა-

ვოა. თვით აკაკის უთქვამს ჩემთვის, რომ მისი სიმაჰრის ოჯახში რუსეთის იმპერატორები დადიოდნენ სტუმრად და ვისაც ასეთი „დიდი“ სტუმრის მიღება შეეძლო, მისი გამასპინძლება, ცხადია სათანადო შეძლებაც ექნებოდა ამისათვის.

აკაკი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ფულების მას არაფერი ეტყობოდა. პირიქით, მისი ახლობლების გადმოცემით, იგი ნივთიერად შევიწროებას განიცდიდა.

აკაკის მახლობლებს მრავალჯერ უთქვამთ ჩემთვის, რომ დაოჯახების შემდეგ, მას პეტერბურგში დიდი ფული წაუგია და ალბად ის ფული იქნებოდა, რომელიც მან მზითვის სახით მიიღო ბაზილევსკის ოჯახიდან.

ამ რამოდენიმე წლის წინად, გრიგოლ ლალიძემ გადმოცა მეტად დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც მარწმუნებს იმაში, რომ აკაკი მეტად დაინტერესებულ იყო, რათა გაეგებათილებია ხმები მის მიერ კარტში დიდი ფულის წაგების შესახებ.

აკაკის მსოკოვში უკანასკნელად ყოფნის დროს, ახალგაზრდობის ინიციატივით, იქ მცხოვრებშეძლებულ ქართველ ინგელიგენტებს მოუწყვიათ კარტის თამაში აკაკის გასართობად და, თუ არ ვსცდებით, განგებ წაუგიათ რამდენიმე ასი მანეთი, რომ აკაკისათვის ეს იამოვინებინათ. თამაშის დასრულების შემდეგ, როდესაც აკაკი დაბრუნებულა სახლში ბრ. ლალიძისათვის უთქვამს:

ჩემზედ გავრცელებულია ხმები, თითქოს მე დიდი ფული წამეგოს კარტში და კვლავ განვაგძობდე წაგებას, მაგრამ ნამდვილად კი, უმეტეს შემთხვევაში, ვიგებ, რაშიაც შეიძლება დარწმუნდეთ ამსალამოს თამაშის შედეგით.

როგორც ხედავთ, აკაკი მოწადინებული იყო გაექარწყლებია ის ხმები-რომელიც დაეინეთ ამტკიცებდნენ მის მიერ კარტში ფულების წაგებას, რადგან ყულაზედ უფრო თვითვე გრძნობდა ალბად ამ თავის ნაკლს, რომლის მეოხებით მან გაანაიფა მთელი თავისი ცხოვრება და ბოლო მოუღო თავის ჯანმრთელობასაც.

აკაკისათვის მეტად დიდი ნივთიერი დახმარება გაუწყვია ქართველ საზოგადოებას და ამ საზოგადოების სხვადასხვა დაწესებულებას. ჩემის აზრით, არც ერთს ქართველ მოღვაწეს ისე არ უსარგებლებია საზოგადოების ფულებით, როგორც აკაკის.

გარდა მუდმივი დახმარებისა, რომელსაც ის იღებდა უკანასკნელ წლებში ჩვენ დაწესებულებებიდან, მას მრავალჯერ მიუღია ერთდროული საკმარისად საგრძნობი დახმარება ქუთაისის და ტფილისის საკრედიტო დაწესებულებებიდან.

ქართველი საზოგადოება, აკაკის ანებიერებდა. ეფერებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მასში დაგროვილი იყო უდიდესი ნიჭი პოეტის.

მიუხედავად საზოგადოების ასეთი მისდამი დამოკიდებულებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მისი ახირებული კაპრიზი სრულდებოდა, ყოველი მისი, თუნდაც დაუსაბუთებელი მოთხოვნა კმაყოფილდებოდა, აკაკი მაინც არ იყო კმაყოფილი ამ საზოგადოების ზოგიერთი მეთაურის მოქმედებით. მკითხველ სა-

ზოგადობას ახსოვს ალბად ის ფაქტი რომ აკაკი, ნახევრად დამბლა და ცემული საზოგადოების დახმარებით, გაემგზავრა ევროპაში საექიმოთ. ახსოვს აგრეთვე ის ფაქტი, რომ საზოგადოებას არა ერთხელ და ორჯერ დაუბრუნებია მისთვის უსასყიდლოთ მისი სახლ-კარი, რომელიც აკაკის მუდმივად დაგირავებული ჰქონდა ბანკში. დაუბრუნებდნენ თუ არ უკანვე სახლს, რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ დააგირავებდა.

მახსოვს მისი სრულიად უსაფუძვლო გაბრაზება, როდესაც 1911-1912 წლებში, დაგირავებული სახლი ბანკმა უკან აღარ დაუბრუნა, არამედ ნაცვლად ამისა, დაუნისა მუდმივი თვიური პენსია, თუ არ ვსცდები, 200 მანეთი თვეში, მაშინ აკაკი, გულმოსული ბანკის ამ დიდგენილებით ამბობდა:

— ალბად დარწმუნებულნი არიან, რომ დიდხანს ველარ გავძლებ და ამიტომ დამინიშნეს პენსიაო. ნამდვილად კი სახლი აღარ დაუბრუნეს იმ მიზეზისა გამო, რომ აკაკის, როგორც ამბობდნენ, განზრახული ჰქონდა მისი გაყიდვა და ცხადია მისი გამოყიდვა კერძო პირისაგან ბევრად დაუჯდებოდა საზოგადოებას.

ქართველ საზოგადოებას მისი სახლი ხელუხლებელ ადგილად მიაჩნდა, რასაც თვით აკაკიც კარგად გრძობდა.

მრავალჯერ უთქვამს აკაკის, კერძოთ ჩემთვისაც, ძვირი ქართულ დაწესებულებათა შიშართ:

— ჩემი სახლით ფულებს აგროებენ, ჩემი სახელობის ფონდს ჰქმნიან, რომლითაც ყველა გაჩვეულ-გამომლეული სარგებლობს და მე კი გროვს არ მაძლევენ-ო. ასე უმადურად იხსენიებდა აკაკი იმ ხალხს, რომელიც გადაყოლილი იყო მასზე და სულ იმის ცდაში იყო თუ როგორ ენაიშოვნებიათ პოეტისათვის.

აკაკის ფულის სესხებაც უყვარდა, შეიძლება ჩვეულებათაც ჰქონდა ეს ნაკლი. სესხით—ისესხებდა მაგრამ დაბრუნება კი არ უყვარდა.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ, რომ მე აკაკის ყოველ ნაკლს აღვნიშნავ და ხშირად უწინაშენლო ნაკლსაც. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ დიდი ადამიანის ცხოვრება, მისი თავგადასავალი და ამ ამბების წვრილმანიც კი საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ადამიანის ხასიათი, მისწრაფება, ჩვეულება, მთელი მისი არსება მხოლოდ ამ თვისებათა შესწავლით შეიძლება ნათლად წარმოიდგინოთ.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ის ნაკლი, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ მთელი რიგი უარყოფითი მხარეებისა, რომელიც მე მოვიყვანე ამ მოგონებაში აკაკის მთლიანი ბიოგრაფიის შესასწავლად, თუნდაც ოდნავ ამცირებდეს პოეტის თავისებურებას, მის პოეტურ ღირსებას.

ვინც ვასცნობია დიდ ადამიანთა ცხოვრებას და თავგადასავალს, თუნდაც მათი ბიოგრაფიის წაკითხვის საშუალებით, დამერწმუნება, რომ ისინი ნაკლებად ჩამოგავან ჩვეულებრივ მომავლადეთ, ეგრედ წოდებული „ობივატელს“ რომლის ცხოვრება მიმდინარეობს ისე, როგორც კარგად მოწყობილი საათი.

აკაკი წერეთელი, უპირველეს ყოფლისა, დიდი აზარტის კაცი იყო, მთელი თავისი ბუნებით მოხეტიალე, ბოგემა და, ცხადია, მისი გატაცებათა დაპირისპირება ჩვეულებრივ ადამიანის ბუნებასთან, შეუძლებელია.

მისი ქვეყანა—ოცნებათა ქვეყანა უფრო იყო, ვიდრე სინამდვილით და ფაქტებით დამძიმებული მხარე. იგი სამოცდა ათი წლისაც ფანტაზიური იყო მეოცნებე, შეყვარებული, გიჟი და დაუცხრომელი. მას ქვეყანა დიდ ბურთად, მიანდა, რომელსაც ბავშვის ხალისით ეთამაშებოდა. იგი ჰანჯრის თვალებით სჭვრეტდა საგნებსა და მოვლენებს, მთელ ქვეყანას, მას—„ცა ქუდათ ბრ მიანდა და დედამიწა ქალამნად“.

და სწორედ ასეთი შეხედულებით გამსჭვალულმა, მან უკანასკნელად გაუსწორა ოდნავ შეშინებული თვალები სიკვდილს, სრული დარწმუნებული იმაში რომ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“, მისი ქვეყანა სამუდამოთ განთავისუფლდებოდა მეფის თვითმპყრობელობის ბორკილებიდან.

ქ. ტფილისი 32 წ.



რედაქციის კალამი

მ. ნინოვილის ცხოვრებიდან*

1892—93 წლების მთავანაწილი

დეკემბრის ყინვები დადგა ტფილისში. ღამით ყინავდა და ფანჯრის შუშებზე ბუნების კალმით მშვენიერი ნაქარგი იხატებოდა. ჩვენი ბნელი ოთახი ზამთრის ამ მშვენიერებასაც მოკლებული იყო. დღისით ლურჯად მოკრიალებული ცა, მზიანი, წყნარი, თბილი ამინდი! ვერც ამის სიტკბოებას ვგრძნობდით იქ.

მარა ავდექი თუ არა ჩემი ცივი ლოგინიდან, თითქმის გაყინული წყალით პირი დავიბანე, ჩავიცვი, და მაინც იმ ბნელ ოთახისაკენ გავწიე ჩქარი ნაბიჯით: თითქო „სიმწიფის ატესტატი“ მიღებული მქონდა და ახლა მივიჩქაროდი, რომ უნივერსიტეტში პირველი ლექცია მომესმინა.

რადგან ჩვეულებრივზე ადრე იყო, მე გაუბედავად, ფრთხილად შავალე კარი. ჩვეულებრივი სურათი დამიხვდა: ისიდორე უკვე გამზადებულია წიგნებით წასასვლელად, მიხას ჩაის კიჭა უჭირავს ხელში და ეგნატეს რაღაცაზე გაცხარებით ეკამათება, მოსვამს ჩაის უცხად და მაგიდაზე დგამს. კამათით გატაცებულს, შემდეგ ჩაი ავიწყდება, ბოლს საათს დახედავს: „დამგვიანებია! დღეს 9 საათზე უნდა შემეგლო სტამბაში კორექტურის შესამოწმებლად“,—ამბობს და აჩქარებული ნაბიჯით მიდის კარებისაკენ, თან პიჯაკს იცვამს, კუთხეში მიყუდებული მსხვილი ჯოხი არ ავიწყდება. ეგნატეც ამდგარა, მარა ჯერ პირი არა აქვს დაბანილი: მას გარეთ გააქვს გაზეთის ქაღალდზე დაგროვილი ნახველი, რაც კაცობრიობის დაუძლეველ მოსისხლე მტერს „კოხის კიებს“ მისი ფილტვებიდან ამოუნთხევითათ მთელი ღამის განმავლობაში. ოთახში მარტოდ ვრჩები, ეგნატეს საწოლს ვაკვირდები და ვამჩნევ, რომ სასთუმლის წინ სკამზე შეკეცილი წიგნი ძევს. ვერ მოვიტყინე და ზრდილობის წესი დავარღვიე: მივწვდი, გადავშალე და სათაურს დავხედე. თვალში დავაშტერე, წავიკითხე და სიხარულის, ალტაცების გრძნობებმა, თან გაკვირვება-ცნობისმოყვარეობამ აპრია. არ ვიცოდი რა მექნა, იქვე უკანვე დამედო თუ მაგიდას მივჯდომოდი და კითხვა დამეწყო.

ეს იყო არალეგალურად გამოცემული გიორგი პლებანოვის „ნაში რაზნო-გლასია“— „ჩვენი უთანხმოება“, ვთარგმნე გუნებაში და წიგნი ისევ შეკეცილი უკანვე დავდე. ეგნატე შემოვიდა დაბანილ-დავარცხნილი და ჯერ ის წიგნი სასთუმლის ქვეშ დამალა და მერე ჩემოდნიდან თავისი ხელნაწერი და, საწერი ქა-

* დასასრული. იხ. მნათობი № 4.

ღალღის ფურცლები ამოიღო. მიუჯდა მაგიდას და ჩქარი ტემპით დაიწყო წერა. მეც მივუახლოვდი, მაშინ ეგნატემ მითხრა:

— ჰო, სულ დამავიწყდა რომ აქა ხარ: შენც შეუდგე ^{წარმეცხველს} ~~წარმეცხველს~~ ^{სულ} კამათი არ ვარგა, — სთქვა ეს და წამოდგა, ისეც თავის ლოგინთან მივიდა, ერთი წიგნი ბალიშის ქვეშედან გამოიღო და მეორეს ძებნას თავის ლეიბის სარჩულ ქვეშ შეუდგა. მალე გამოიღო იქიდანაც პატარა ბროშურა, დაბრუნდა და დაწეული ხმით მითხრა: — ეს დიდი წიგნი ლევ ტოლსტოის ნაწერია, თუმცა არა-ლევალურია, მარა არ ვიცი როგორია, არ წამიკითხავს. მისებურად მომახული იქნება შიგ რამე. აი ეს მეორე პატარა წიგნაკი კი სრულიად ახალი ამბავია, აქ საზღვარგარეთელი მუშების ბრძოლებზეა ლაპარაკი, სოციალ-დემოკრატების დაწერილია და საიდუმლოდ არის დაბეჭდილი.

მელაპარაკებოდა ეგნატე და თან თვალს ადევნებდა ჩემს სახეს და მოძრაობას: აბა რა შთაბეჭდილებას ახდენს მასზე ამ წიგნების ნახვაო.

დამშეულივით შევავლე ხელი ჯერ მეორე წიგნს. ვიცოდი, პირველი რაც იქნებოდა. ვნახე, მართლაც ასე აწერია: „სოციალ-დემოკრატების გამოცემა“. თითქოს სახეზე ცხელმა ნიავმა გადამიჭროლა: თვალეში ფართოდ გაეახილე და სათაურის კითხვა დავიწყე, მინდოდა შიგნითაც ჩამეხედა და კითხვა განმეგრძო, მარა მომაგონდა, თუ რა საიდუმლოდ და რა საიდუმლო იდგა ილიდან გამოიღო ის წიგნაკი ეგნატემ და ბროშურა საჩქაროდ ჩავიდე უბეში. მე ტოლსტოის მოდიდო წიგნი „დენგი“ ჩამოვართვი და იმას დავუწყე შინჯვა და რომ დავინახე, რომ ის საიდუმლოდ იყო გამოცემული (გეკტოგრაფზე), ვკითხე, ეს მაინც რატომ არაა ნება დართული მეთქი, — ალბად ტოლსტოი მაგ წიგნში ფულს უარყოფს, დიდ ბოროტებად სთვლის და ამიტომ არ მიცემდენ ნებას. ფული ხომ კაცის მეორე ბატონია მთავრობის შემდეგ! — მიპასუხა ეგნატემ.

— ჰოო, — ვთქვი მე ჩაფიქრებით და გაგზმული.

— აილე თუ მუშაობა არ გეზარება, და რანაირიც უნდა იყოს დაიწყე მაგ წიგნის თარგმნა. წერასაც შეეჩვევი და თარგმნასაც.. ააა, დაჯედი აგერ. ჩემ გვერდით, კალამიც მაგერაა, ქალღალღს მე გაგიზიარებ და დაიწყე... ვწეროთ... ორივემ დღეს...

ხმამოუღებელივ დაგვეკეი, წიგნი მოვიმარჯვე, კალამი ავილე, ჩამოვართვი ეგნატეს სუფთა ქალღალღის ფურცლები და მინდოდა შეეცდამოდი წერას, მარა ჯერ ეგნატეს შევეკითხე:

— შენ რას წერ ეგნატე ახლა?

— რას ვწერ და იმაზე, შენ რომ მიმტკიცებდი გუშინ: სოფლის რაინდები შეიძლება კაცმა გამოიყენოს ჩვენი საქმისათვისო. მე კი ვამტკიცებ, რომ ისინი საშინელი პარაზიტები არიან ჩვენი ქვეყნისა და პროგრესიულ ადამიანს სისხლს უწამლავენ.

— როგორ!.. რანაირად ამტკიცებ შენ მაგას? — შევეკითხე განცვიფრებით.

ეგნატემ საწერად გამოზადებული ქალღალღი განზე გადასდო, შემომხედა, ეტყობოდა, რომ ძალიან უნდოდა გაეგო ჩემი აზრი და შთაბეჭდილება მის მიერ წარმოდგენილ სოფლის რაინდის საქციელის შესახებ. უნდოდა შეემოწმებინა

ჩემზე, თუ ეს ამბავი რამდენად არის სინამდვილის მსგავსი და რამდენად უღვიძებს მკითხველს სინამდვილის ილუზიას, აჯერებს მას მის სინამდვილეში.

— თუ გინდა ვიამბოვ, რა მინდა დავეწერო. ეს ამ უკანასკნელ თვეში მაქვს მოფიქრებული. მინდა მთელი ჩვენი სოფლის ცხოვრება თავისი აზრით და კარგით ამ მოთხრობით ამოვწურო და გავათავო. მერე მინდა ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებაც ავეწერო, თუ მოვასწარი, და შევეუდგე რაც ძალი და ღონე მაქვს პუბლიცისტიკას და კრიტიკას. აბა რას ჰგავს ეს!—თქვა ეგნატემ ჩაფიქრებით და თავის ხელნაწერზე მიიშვირა ხელი.—ერთი ცოცქნა აზრი ამხელა ნაწერში ამოდენი ქალაღის, მელნის და დროის დახარჯვით უნდა გამოთქვამ? უკეთესი არაა, ათასჯერ უკეთესი, რომ ამავე აზრს ორ-სამ გვერდზე გამოვთქვამ ერთ პატარა სტატიაში?

— ეს კი, ეგნატე, მარა მხატვრობას სხვა მნიშვნელობაც აქვს,—შევეცამათე მე.

—მეც ვიცი, რომ სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ჩვენი საქმისათვის იგი დიდი არაფერია სტატიის მნიშვნელობასთან შედარებით. თუ ჩვენ გვინდა საზოგადოებაში ახალი აზრი, ახალი იდეები გავავრცელოთ... მარა ამას თავი დავანებოთ. აი, რა ამბავს ვწერ მე ეხლა სოფლის ცხოვრებიდან. შენ დააკვირდი და მითხარი, მართალია ეს თუ არა, ხდება ასეთი ამბები სოფელში თუ არა? შენ ინტელიგენტი ხარ, სოფელში იყავი და ბევრი ჩვენებური რაინდი გინახავს და იცნობ.

აქ ეგნატემ გადმოშვა თავისი მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ სიუჟეტი, და შინაარსი სწორედ იმ სახით, როგორც მას აქვს აწერილი. ხმაგაკმენდილი ვუსმენდი და როცა სთქვა, რარეილმა დესპინეს გაუპატიურება მოუნდომა, ხოლო სპირიდონმა კი შებრძოლება დააპირა, მარა მხეცს ეს სიცილადაც არ ეყო და მისი შუაზე გაგლეჯა მოინდომაო, მე ზეზე წამოვარდი და ეგნატეს შეეძახე:

— შენ მართალი ხარ! ეს მოსალოდნელია მაგისტანა მხეცი ადამიანისაგან და ამიტომ მაგისტანა კაცი მართლაც შუაზე გასაგლეჯია!

— ჰოო, აქი ამბობდი,—მითხრა ნიშნის მოგებით ეგნატემ,—მაგისტანა რაინდები შეგვიძლია საქმისთვის გამოვიყენოთო...

— კი, მაგრამ ყველა მაგისტანა მხეცები ხომ არ არიან?

— ყველა მაგისტანა ჩვენებური „რაინდი ბიჭები“! მე დიდხანს მიცხოვრია სოფელში და სხვანაირი არც ერთი არ მინახავს; იდეისთვის მებრძოლი კაცი მათი აზრით პამპულაა, ხოლო ლამაზი ქალი, როგორც მგლისთვის ბატკანია, და თუ ამ პამპულამ ვაბედა და ბატკნის გადარჩენა დააპირა, ფიქრსაც არ დააცლიან, ისე გაგლეჯენ ორად მას და შუაზე გაივლიან, აი რანაირი ხალხია მაგენი!

— მართალი ხარ, მართალი!—ვთქვი ჩაფიქრებით და ისევ დავჯექი. მინდა წერას შეუდგე, არც ეგნატე მოვაცდინო, მარა გონება არ ისვენებს და ეგნატეს ისევ ვეკითხები:

— თუ ასეა, აბა ვის უნდა მიემართოთ სოფელში დახმარებისთვის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში? მთავრობის ჩინოვნიკების, პოლიციისა და

სტრატეგიების წინააღმდეგ ხომ მაგისტანა მკლავლონიერი, მოხერხებული და გამბედავი ბიჭებია საჭირო?

— მაგათი არც მკლავლონიერება, არც მოხერხებულება და არც გამბედაობაა ჩვენთვის საიმედო და სანდო. ჩვენ დამხმარენი და თანამებრძოლები სხვაგან უნდა ვეძიოთ.— დაბოლოება ეგნეტემ და წერას შეუდგა. ის კი არ იმთხზა, თუ სად, რომელ წრეში უნდა ვეძიოთ ეს თანამებრძოლები. უკმაყოფილოდ გავიქნენ თავი და მეც წერას შეუდგე.

ქართული „მარქსისტების პირველი კრება“

1892 წლის საშობაო არდადეგი გვიახლოვდება მოწაფეებს და მეც. ვითომ მოწაფეს, უნდა მესარგებლა და სოფელში წავსულიყავ მაშასთან. მარა მაშასთან მოსალოდნელი შეტაკება გულს მიმღვრევდა და შიშითა და მწუხარებით მავსებდა. ნუგეზად ისევ ბნელი ოთახი და ეგნატეს სახე წარმომიდგა. ვიფიქრე, ამ უკანსკნელად კიდევ შევივლი, იქნებ საიმედო რამე მიიხრას მეთქი და ისევ მისკენ გავწვიე.

გაოცებული შევჩერდი კარებში: ეგნატე მარტოდ არაჩვეულებრივ პოზაში დავინახე: მაგიდას მისჯდომოდა და ჩაფიქრებული ხსნიდა კონვერტს. ჩემს დანახვაზე ერთი თითქო წარბები შეიკრა, მარა მერე სახე გაშალა და მიმიხმო:

— ახლო მოდი, — მითხრა გულისხმიერად, — აგერ პასუხი მივიღე ამხანაგებისგან და შენც უნდა გავიზიარო. ზესტაფონში ერთი კარგი მეგობარი მყავს, კარლო ჩხეიძე, მწერს: თუ ჩამოხვალთ მე და იოსები კაკაბაძე ყველაფრით მზად ვართო.

მიუუგეკი მაგიდას და კონვერტს თვალიერება დაუწყე: თითქო წერილის შინაარსი იქიდან მინდოდა გამეგო, გულმა ტოკვა დამიწყო: რალაც კარგ ამბავს მოველოდი.

— სხვებიც მწერენ, — განაგრძო ეგნატემ, — საშობაოდ მზად ვიქნებით და წამოვალთო.

„ნეტა ვინაა ეს კარლო, ან ვინ არიან ეს სხვები?“ — ვკითხე ჩემს თავს და ეგნატეს კი არაფერი ვუთხარი.

— ეხლა დრო და ადგილი უკვე დაენიშნეთ — აქ, შობა დღე. ეს თქვენთვის სემენარელებისათვისაც შესაფერი დროა. მხოლოდ ადგილზე რას იტყვი, არ ვიცი, ჩვენ, მე და მიხას, ზესტაფონი გვაქვს დანიშნული. ეს შუა ადგილია ჩვენი მხრისათვის.

— ჩვენი მხრისათვის კი, მარა ქართლ-კახეთისთვის არა, შეენიშნე მე, რაკი დავატყე, რომ კითხვა საერთო კრებას შეეხებოდა.

— ქართლ-კახეთიდან არცაა ვინმე მოსასვლელი ზოგი სემენარელის გარდა.

— ვინაა ეს კარლო, ეგნატე?

— ისეთი არაა, მარა კარგი სტუდენტია, მომზადებული კაცია. აი წაგიკითხავ მის წერილს, და შენ თვითონ გაიგებ. კარლო სწერდა:

„მთავრად ეგნატე, კარგი დრო დაენიშნათ: შობა-დღე მართლა კარგი საქმიანო დროა. აბა თქვენ იცით, როგორ ყარაჩოღულ ბიჭებს ჩამოგვიყვანო.“

იქედანაც ისეთი ბიჭები მოდიან სულ დაწვეპილები. მე და იოსებიც, ~~მაშ~~ თუ კარგი დახლი დაურჩა, ისეთი მასპინძლები დაგვხვდებით, როგორც ჩემს სამშობლო შორაპანს ეკადრება. ისეთი ღვინო დაუყენებიათ ~~მამაჩემს~~ „~~ქაქუც~~“ ისეთი, რომ რა ვიცი! თქვენც მოგეწონებათ. მხოლოდ საწყალო-დედამწმინდესულ, იმას წუწუნებს: ე დალოცვილმა ხემწიფემ ე ყმები რად წაგვართვაო, ამისთანა ხელმწიფე თვითონ დასაბრჩობიაო. ლამის სოციალისტი გახდეს ამ სიბერის ეამს ეგ უბედური! ის კი არ იცის, თუ რას უზამენ, ეს რომ ვინმე ენატანიამ გაუგონოს და გუბერნატორთან დანოსი შეუტანოს. ამისთანა ენატანიები ბევრია ჩვენში ეხლა. ცოტა ძღვენი კიდევ მოგვივიდა შორეული მოყვრებისგან და თქვენც ვაგვიხარებთ აქ რომ ჩამოხვალთ. გელით მოუთმენლად ყველას ერთობით, მანამ კი მშვიდობით“.

შენი კარლო.

— „რა კარგია!—წამოვიძახე ბავშვივით: ყველა ერთობით. მარა წაგვიყვანს ჩვენ ეგნატე თუ არა?... წაგვიყვანს, წაგვიყვანს!“—ეიმეორებ ჩემთვის გულში. აბა წერილს რატომ წამიკითხავდა, ვარწმუნებ ისევ ჩემ თავს და ეგნატეს თვალბუბნაში შევაჩერდი. მინდა პასუხი იქ ამოვიკითხო და ამ დროს მესმის სიტყვები: — შენ და ისილორე წამოხვალთ ჩემთან, რაედენ, მარა სხვა ვინ წაგიყვანოთ კიდევ არ ვიცი.

ცოტა ჩაფიქრების შემდეგ:

— კიდევ ლადო და ნიკო.

— კარგი—მეთანხმება ეგნატე,—მაგენიც წამოვიდენ, თუ მოახერხებენ.

„თუ მოახერხებენ“,—გავიმეორე მე ეს სიტყვები მაშინაღორად ჩემთვის და იმ წამსვე ჩემი უწყო მდგომარეობა თვალწინ წარმომიდგა: მე როგორღა მოვახერხო, რომ „იქეთობისაც“ მაკლა. დავლონდი, გული მწყდება საშინლად და ველი განაჩენს ეგნატესგან. —რაღაც იმედი კიდევ ბუტბავს გულის სიღრმეში და ეგნატე მართლაც მეუბნება:

— შენ გავინაწილებ რაცხას, გვეყოფა მგონია. ცოტა ქე მომიტანა მიხამ რედაქციიდან. ისილორეც თვითონ მოახერხებს, მარა ლადოს და ნიკოს რა ეშველება—არ ვიცი!

— ისინი ვერ წამოვლენ და იგია! ეამბობ მე არც თუ გახარებით, არც თუ მოწყენით.

— რა გაეწყობა!—სთქვა დაღონებით ეგნატემ.

ბაუილები დაგვიჩადა

შულამე იყო ზესტაფონში რომ ჩავედით: მე, ისილორე, ეგნატე, მიხა. ეგონიდან ჩამოხტომისთანავე ეგნატემ მესამე კლასის ბუფეტისკენ ქნა პირი და, ჩქარი ნაბიჯით კისერ-წაგრძელებულმა, გასწია, რათა ხალხს შერეოდა. მას მიხა მიჰყვა თავწაღწევით და მსხვილი ჯოხით. მე და ისილორეც მას მივდევთ კვალდაკვალ, და ბუფეტის ერთ ბნელ კუთხეში, სადაც ზესტაფონელ მეწკრილმანე ებრაელებს მოეყარათ თავი. ეგნატესთან მივედით.

— შენ და ისილორემ თედო სახოკიას ბინაზე გაათიეთ ლამე,—მითხრა მიხამ—მე და ეგნატე კი იოსებთან წავალთ, ხვალ დილით თქვეც ჩვენთან მოხვალთ, იოსების ბინა ხომ იცი, ისილორე?

— არ ვიცი, მარა მოვაგნებ.

— აბა, წადით ახლა, ჩვენ ცოტას შევიცდით. სთქვა ეგნატემ.

ჩვენ მაშინვე დავტოვეთ წინამძღოლები და ისევ წინა, ბაქანზე გავედით, რადგან თედოს ბინა სადგურიდან დასავლეთით რკინისგზის ლაინდევს ახლოს იყო. ის მარგანეცის მრეწველის ნიკო ლოლობერიძის კანტორაში მსახურობდა და ბინაც იქ ჰქონდა. ჩვენც იქით გავწიეთ ჩქარი ნაბიჯით.

ეგნატე და მიხა სადგურის უკან გავიდნენ. მათ მეტი სიფრთხილე სჭირდებოდათ, რადგან ზესტაფონის პოლიცია, წერილი ჩინოვნიკობა და რკინისგზის ქანდარმები იცნობდნენ მათ, როგორც საექვო ინტელიგენტებს. ეგნატემ თვალი მოჰკრა კარებში ერთ ნაცნობ ქანდარმს და ისევ გაუხტა განზე, ისევ შეეჩია უცბად ხალხში, რომ გეგონებოდათ, გზაზე რუ შეხვდა და ვადაახტა, რომ გზა განაგრძოსო. მიხაც იძულებული იყო გაყოლოდა, თუმცა ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ გააკეთა ეგნატემ ისეთი ფანდი. ეგნატე და მიხა მეორე კარებით გავიდნენ და ქანდარმის შეხვედრას ასცდნენ, ბნელი ქუჩის შუაგულს გაჰყვენ, რომ ვინმე ნაცნობს არ ვადაჰყროდენ და ასე კონსპირატიულად მივიდნენ იოსების ბინაზე.

გურიიდან ამხანაგები ყველანი ჩამოსულიყვენ სალამოს მატარებლით. მათ განსაკუთრებული კონსპირაციის დაცვა არ დასჭირდათ, რადგან ზესტაფონისათვის თითქმის ყველანი უცნობი იყვნენ.

თედო საბოკიამ ჩვენ ამხანაგურად მიგვიღო, კარგად მოგვასვენა და ჩამოსვლის მიზეზი რომ გვკითხა, შეფთვქრიანდით, შეფჩერდით და არ ვიცოდით რა გვეთქვა. სხვა რა გზა გვქონდა რომ არ გვეპასუხნა!

— ჩვენ იოსებ კაკაბაძესთან გამოგვგზავნეს ტფილისიდან ეგნატემ და მიხამ. იქნება რამე ადგილი გვიშოვოსო, — უთხარით ჩვენ ნაწყეტ-ნაწყვეტად. ტყუილის თქმა გავკვირდა, მაგრამ რადგან თედომ იცოდა, რომ ჩვენ სემენარიიდან ახალი გამოსულები ვიყავით და სამსახური მართლაც გვკვირდებოდა, ეს ტყუილი ადვილად გავასაღეთ.

„დაბოშქანილი“ კრიზის სხდომები ზესტაფონში

კრების ოთახი არ იყო დიდი, მარა ათიოდე კაცი მაინც ვთავსდებოდით კრების დროს, ისე კი ვიწროობის გამო ზოგიერთები მეორე ოთახში გადიოდნენ და დავას და კამათს იქ განაგრძობდნენ.

პირველ მისვლისას შევნიშნე, რომ წინასწარი კრება ჰქონდათ გამართული: დღისწესრიგს იმუშავებდნენ. ეგნატემ თვალი მომკრა და ისიც პირველ ოთახში გამოვიდა ჩვენთან.

— რატომ არ შემოდით? — შეგვეკითხა ის.

— თედო იყო აქ და იმის წასვლას ვუცდიდით.

— თედოს რა უნდოდა? გაიკვირვა ეგნატემ. იგი ხომ სულ სამშობლოს გაიძახის, სოციალისტობა არ სწამს. მარა პატიოსანი კაცი კია, გლახას არაფერს გეიზამს. მარა სიფრთხილეს მაინც თავი არ სტყივა. თვალყური უნდა ვადევნოთ და გავაფრობილოთ, სადმე არაფერი სთქვას.

ეგნატეს ლაპარაკზე რამდენიმე ამხანაგი კიდევ გამოვიდა პირველ ოთახიდან. ეგნატემ მათ ჩვენი თავი გააცნო, სემენარიელები არიანო და უნდათ მომა-

ვალში საქმეს ემსახურონო. მათ თვითეულად ჩამოგვართვეს ხელი და თავიანთ შორის საუბარი განაგრძეს.

— აქეთ გამომგზავრების წინ, — სთქვა დიმიტრი კალანდარიშვილმა, — ნიგოთის ფოსტაში შევიარე და იქ კონვერტი გადმომცეს ჩემს სახელზე მისული. გავხსენი და ფილიპეს წერილი კი აღმოჩნდა — ვარშაიდან გამოგზავნილი ნოესთვის გადასაცემად.

— წაიკითხა ჯერ ნოემ? — იკითხა ეგნატემ.

— კი, წაიკითხა და ისევ მე გადმომცა: რაკი საერთო ხასიათისაა, სხვებსაც წააკითხეო.

— კარგი იქნება სხდომის წინ გავიცნობდეთ მაგ წერილს. სთქვა ისიდორე რამიშვილმა.

— აი წაიკითხოთ აგერ — და დიმიტრი მიღვა კუთხეში წასაკითხავად. მე ყური ვცქვიტე ფილიპეს სახელი რომ გავიგონე და, კარგად რომ მომესმინა, დიმიტრის მიუახლოვდი. ყველა ფეხზე ვიდექით, ეგნატეც ჩვენთან იყო და ყურს უგდებდა.

— კარგი წერილია, — სთქვა ეგნატემ, — მარა ნოეს კი არ მოეწონებოდა.

— არცაა მოსაწონი. — წარმოსთქვა ისიდორე რამიშვილმა: — ფილიპე ყოველთვის ნამეტანი კოსმოპოლიტი იყო და ახლაც ასეთი დარჩენილა.

— ვარშაველი მარქსისტები თუ ასე მსჯელობენ, ჩვენ რაღა გვეთქმის! — შენიშნა თავის მხრივ დიმიტრიმ. მე ვისმენდი ამ შენიშვნებს და მიკვირდა: რატომ ჰკონიათ, რომ პატრიოტობა შეუთავსებელია კოსმოპოლიტობასთან? ამ ლაპარაკსა და კითხვაში სუფრაც გააწყვეს სასადილოდ იმავე ოთახში, სადაც ვიყავით. ეხლა სუფრაზე უკვე ყველას გავეცანი.

კარლო ჩხეიძეს თავის სოფლიდან მართლა მალღარი წითელი ღვინო ჩამოეტანა, დამკვანარი ყურძენიც. სუფრაზე დიდი სასმისები და ყანწები ელაგა. ვინმე გარეშეს რომ მოესწრო, იტყოდა, ეს ხალხი მართლა საქეიფოდ მოსულაო. ნამდვილად კი საქეიფოდ განწყობილი სულაც არ ვიყავით, თავი სხვადასხვა საკითხებზე მუშაობდა, მარა წითელი ღვინო მაინც როგორღაც გვიზიდავდა და ყველა ჩვენთაგანი სურვილისამებრ უსიტყვოდ სვამდა. მხოლოდ სილიბისტრო ჯიბლაძის ხშირ-ხშირი ხუმრობა ისმოდა „საქართველოს გაუმარჯოს!“ — და ღვინოს მხოლოდ მოსვამდა. „ალავერდი და იალშიოლ“ ჩვენს სუფრაზე არ ისმოდა, არც არავითარი სადღეგრძელო ყოფილა. ჩვენს სადილობაში და ბაასში კიდევ დაღამდა. მეორე ოთახში ლამბარი აანთეს, შევედით, რიგზე დავლაგდით. შუაში კედლისკენ ნოე ჟორდანიია იჯდა, მის მარცხნივ — ენგატე, მერე მიზა, ხოლო მარჯვნივ სილიბისტრო, ისიდორე რამიშვილი. ამათ წინ მოგვძო ოთხკუთხი მაგიდა იღვა. ნოეს პირდაპირ აქეთა მხარეზე კარლო იჯდა. კარლოს გვერდით მარჯვნივ დიმიტრი კალანდარიშვილი და იოსებ კაკაბაზე ისხდენ, მარცხნივ კი მე და ისიდორე კვიციარიძე ვისხედით.

ნოეს წინ რაღაც ხელნაწერი რვეულები და „კაპიტალი“-ს I ტომი უწყვია, ხოლო კარლოს — მიხაილოვსკის ნაწერების ერთი თუ ორი ტომი. ეგნატეს მხოლოდ ბლოკნოტი აქვს ხელში და შიგ რაღაცას სწერს. სხვების წინ არც წიგნები და არც საწერი ქაღალდი.

დაიწყო პირველი სხდომა



— რამდენადაც ვიცი, — იწყებს ნოე, და ენა ხშირ-ხშირად ებმება, — ჩვენი კრება, ჩვენი წაროდნიკების გაქრობის შემდეგ, სოციალისტების შიშველი კრებაა საქართველოში. ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე და საქმეში ღრმად ჩახედვა: ჩვენ უნდა მივცეთ პირველი მაგალითი და კითხვა სისწორით დავაყენოთ, ჩემი რწმენით, პირველათ უნდა გავარჩიოთ საკითხი: რამდენად სწორია მიხაილოვსკის შეხედულება, რომელსაც ის თავის კაპიტალურ სტატიაში „პროგრეს“-ში ამტკიცებს. — აქ ნოემ დაახასიათა მიხაილოვსკის პროგრესის ფორმულა, შემდეგ კი გააკრიტიკა და კითხვა ასე დააყენა: „კაპიტალიზმი უკვე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ის თავის დაღს ასეამს ყოველივეს, აღმაიანს ანაწილებს, საზოგადოებას მტრულ ბანაკებად თიშავს, მაგრამ მას კარგი და პროგრესიული მხარეებიც აქვს, ამიტომ ჩვენ მის უარყოფით მხარეებს უნდა ვებრძოლოთ, მარა იმავე დროს პროგრესიული უნდა მივიღოთ და შევითვისოთ.“

— მე გავათავე, — სთქვა ნოემ, — და ახლა ვისაც საწინააღმდეგო აქვს, ილაპარაკოს.

— მე მინდა გიპასუხო მაგაზე, — დაიწყო კარლო ჩხეიძემ და შეეცადა თავის სიტყვაში მიხაილოვსკის პოზიციის გამართლებას. კარლოს შემდეგ სიტყვა ეგნატემ აიღო, მან ის აზრი გამოთქვა, რომ ჩვენში უკვე შემოიჭრილ კაპიტალიზმს უნდა ვებრძოლოთ მისი უარყოფითი მხარეების გამო, ხოლო რაც შეეხება მის პროგრესიულ მხარეებს. ეს ჩვენს ჩაურევლადაც ხდება, ამიტომ ჩვენ არ შეგვენებო.

— მე მგონია, — ამბობდა ეგნატე, — მიხაილოვსკის მთავარი შეცდომა იმაშია, რომ საზოგადოება მას ისე წარმოუდგენია, როგორც მთლიანი რამე და არა მებრძოლ კლასებად დაყოფილი.

კამათი თანდათან ცხოველდებოდა; ორჯერ თუ სამჯერ ილაპარაკეს: ნოემ, კარლომ, ეგნატემ, სილიბისტრომ და მიხამ. არ გვილაპარაკნია მე, დიმიტრის, ისიდორე კვიციანიძეს და იოსებს. აზრთა მიმდინარეობის სხვადასხვაობას თვალყურს ვადევნებდი და მათთან ერთად ჩემი გონებაც მუშაობდა.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს, და რამდენადაც მე შევატყე, კითხვა მაინც კითხვად დარჩა; რას და ვის უნდა დავემყაროთ ჩვენს მოღვაწეობაში — მუშათა კლასს და მის მოძრაობა-ინტერესებს, თუ ერს და ამის მოძრაობა-ინტერესებს?

შუალამე გადავიდა და იოსებმა ვახშამზე მიგვიწვია და ამ გარემოებამ შეწყვიტა კამათი...

— . —

ეგნატე ვახშამობის დროს როგორღაც ხუმრობის გუნებაზე არ იყო და იოსებს აფრთხილებდა, კონსპირატიულ დირექტივებს აძლევდა.

— დღეს აქ თედო ყოფილა და ღმერთი არ გაუწყრეს, არაფერი სთქვას ის დღე. — სთქვა მან დაეკვივით.

— თედო კაი ბიჭია, მაგას რაფა იზამს! — მიიძახეს ყველა მხრიდან ეგნატეს.

— არა, ძაშია, „კაი ბიჭია“ მარა ყაზილარი კია.—სიფრთხილეს თურმე თავი ასტკივებია!—გაისროლა ეს სიტყვა სილიბისტრომ—ერთი თედოსაკენ, მეორე კი ეგნატესაკენ, ერთი მტრისაკენ, მეორე მოყვრისკენ და არჩივე კი ნინთვალში მოხვდა.

— სილიბისტრო, შენ რაფა მართლა ყაზილარით თუ ყაზილარია თედო, მაშინ ჩემს სიფრთხილეს მარტო კი არა, თქვენსასაც უნდა თავი ტკიოდეს. მარა მე ვერ ვხედავ ამას და ისევ მე მარტო უნდა ავიტკივო თურმე აუტკიველი თავი!— იოხუნჯა ეგნატემ თავის მხრივ. ჩვენ ყველას გაგვეცინა დავახშობა მხიარულად განვავრძეთ, თითქო აქ გასაფრთხილებელი მართლა არაფერი ყოფილიყოს, ხოლო ეგნატე როგორღაც მოიღუშა და მზრუნველობით ყველას თვალს ავლებდა, თითქო რაღაც უბედურებას და ხიფათს მოელოდა: სადგურზე თვალმოკრული ქანდაკების ლანდი არ ასვენებდა, თვალწინ ეღვია.

ნავახშევს მე და ისიდორე ისევ თედოს ბინაზე დავბრუნდით, სხვები იოსებისას დარჩენ. სილიბისტროს და ეგნატეს ლოგინი კრების ოთახში ძირს იატაკზე გაუშალეს.

მეორე დღეს იმ დროს დავბრუნდით იოსებისას, როცა ნოე და რამდენიმე სხვაც ისევ იწვა და მიხა ხელპირ დაბანილი თავს ივარცხნიდა, თავს დადგომოდა ლოგინში მწოლარეთ და ეკითხებოდა: სხვადასხვა კითხვებს აძლევდა, ეკამათებოდა. მწოლარენი ყურს უგდებდენ, ლოგინიდან დგებოდენ, ტანთ იცვამდენ და თან მიხას მსჯელობის დროს შენიშვნებს აძლევდენ, მის მსჯელობაში კორექტივები შეჰქონდათ. როცა ახლად ამდგარნი ოთახიდან გარეთ გავიდენ პირის დასაბანად, მიხა ოთახში შემოსულ იოსებს ეკითხება: რა იყო იოსებ, რა მოუვიდა წუხელის ეგნატეს, რომ საშინელი ხმაურობა ატეხა?

— რა მოუვიდა, კაცო და ალბათ მთელი ღამე სულ ამაზე ფიქრობდა. ვახშობის დროს კი გამაფრთხილა, ყური უგდე ამალამ თავს არ დაგვესხანო, მარა რა მეგონა, თუ გულში ასე ჩაუფარდებოდა ამის ჯაერი?

სილიბისტრო და ეგნატე ძირს იატაკზე იწვნენ ფეხშეშეკეულნი. არ გასულა ერთი თუ ორი საათი, რომ ეგნატე უეცრად წამოჯდა ლოგინში, წაავლო ცალი ხელი სილიბისტროს ფეხში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეწეოდა, თან თავშეკავებული ყვიროდა, იძახოდა: ადექით ჩქარა, მოვიდენ! აბა დამალე ყველაფერიო! მერე წამოვარდა თურმე ზეზე და შემოსავალ კარებისკენ გაექანა, რათა გაესინჯა, საიმედოთ იყო დაეკტილი თუ არა. ამ დროს სილიბისტროც წამოვარდა, დაეწია მას და უკან დააბრუნა. ეხლა ეგნატეს ამაზე ლაპარაკიც არ უნდა: ძალიან დარცხვენილია და ჯავრობს, რათ მომივიდო.

— ღრმად გრძნობიარე კაცს ყველას მოუვა ეს.—სთქვა მიხამ.—მე კარგათ ვიცნობ თედოს. ეგნატეს უსაბუთოდ შეაქვს ეჭვი მასზე, მე მწამს, რომ თედო არაფერს მაგის მსგავს არ იკარებს. თედო პატიოსანი მეგრელია. მე ვიცი ეს. ეგნატე ტყუილად ეჭვიანობს. მარა სიფრთხილე, ოოო, სიფრთხილეა უწინარეს ყოვლისა საჭირო ჩვენს საქმეში! დააბოლავა მან.

დილის ათ საათზე ყველა მზად იყო. დილის საუზმის შემდეგ სხდომა განახლდა. კამათი ეხლა კიდევ უფრო გამწვავდა. ეხლა მიხაილოვსკის პროგრესის

ფორმულის შეფასების ნიადაგი დატოვეს და საკითხი უფრო პრაქტიკულად დაუბ-
ლოვეს. საკითხმა კამათში ასეთი სახე მიიღო: თუ ჩვენი ქვეყნისთვის კაპიტა-
ლიზმიც აუცილებელია და ეროვნული ბრძოლაც, მაშინ როგორ მოვიქცეთ:
მთავრობის დასამზობად და სოციალიზმის დასამყარებლად უნდა ვივად-
ციოთ მთავარი ყურადღება და რა გზით, რა საშუალებით უნდა ვიბრძოდეთ?

— შე ვამბობ, — ავტორიტეტულ კილოზე აცხადებდა ნოე, — რადგან ჩვენი
ქვეყნისთვის ერთი მხრით კაპიტალიზმი აუცილებელიცაა და საჭიროც, მეორე
მხრით კი ასევე აუცილებელია და საჭიროც ეროვნული ბრძოლა, ეროვნულ კულ-
ტურული თავდაცვა, ხოლო მესამე მხრით საჭიროა მუშათა მოძრაობის მხარის
დაქვერ და მასთან დაკავშირებაც, ამიტომ ჩვენს სამოქმედო პროგრამაში სამივე
ეს ელემენტი ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და შეუღლდეს.

— შე არ მესმის, — უბრძანებდა ეგნატე, — როგორ მსჯელობს დღეს ნოე. მე
კი ვამბობ: ამ სამი ელემენტის შედუღება არ შეიძლება. ჩვენ მხოლოდ მუშებ-
თან უნდა გვექნეს საქმე, მუშათა მოძრაობასთან. კაპიტალისტები თვითონვე იზ-
რუნებენ ჩვენში კაპიტალიზმის შემოტანას, ეს ჩვენი საქმე არაა. ჩვენი საქმე მხო-
ლოდ მათთან ბრძოლაა. რაც შეეხება ეროვნულ თავდაცვას, ეროვნულ ბრძო-
ლას, არც ესაა ჩვენი საქმე. ჩვენი საქმეა ხელი შეუწყოთ რითაც კი შეგვიძლია
რუსეთის დიდი ვეშაპის სწრაფ სიკვდილს, რუსეთის იმპერიის ტახტის დამხო-
ბას. ამ მტერს კი რუსის ხალხი და რევოლუციონერი ინტელიგენცია თავგან-
წირვით ებრძვიან და ჩვენც მათთან ერთად უნდა ვიბრძოდეთ. ჩვენთვის არა-
ფერი განსაკუთრებული პროგრამა არაა საჭირო. ან კი რა შეგვიძლია ჩვენ
მართო განცალკევებით? სრულიად არაფერი, და ვინც ამას მოინდომებს, ჩვენ
მის წინააღმდეგ წავალთ!

შემდეგ კამათში ზოგი ნოეს უჭერდა მხარს, ზოგიც ეგნატეს: კრება ორ
ჯგუფად გაიყო, იყო ნეიტრალური და გამოურკვეველი ჯგუფიც და მეც ამ
ჯგუფში აღმოვჩნდი.

რევოლიუცია თუ ქართველი ხალხი.

ნოეს, ვფიქრობდი მე, ქართველი ხალხის სიყვარული და ინტერესი ალა-
პარაკებს უმთავრესად, ეგნატეს კი — რევოლიუციის სიყვარული და ინტერესი.
მარა განავარძობდი ფიქრს, — რევოლიუციაც და ქართველი ხალხიც ხომ ერთ-
ნაირად სასიყვარულოა ქართველ მოღვაწისათვის, როგორ შეიძლება ერთმანეთს
დააშორო ისინი და ან ერთი ვიწამო და ან მეორე? ისინი განუყრელნი არიან
და ვერცერთს და ვერც მეორეს ერთი წუთითაც ვერ დააშორებ. ორივე ერთი
მეორეს უთანხმდება. მარა თუ კითხვა დადგება: ან ერთი ან მეორე? მაშინ, ცხა-
დია ჩვენ, რევოლიუციონერები პირველს ვირჩევთ. მარა კითხვას ასე არავინ
აყენებდა:

ახალ საბუთს, ახალ არგუმენტს არავინ იძლეოდა, დარჩა ასარჩევად და
გასარჩევად ისევ ის დებულება: ან ნოესი, ან ეგნატესი, მე. კი იმ ორი დებუ-
ლების შეერთება მიხდოდა, რადგან ვკრძნობდი, რომ რევოლიუციის და ქარ-
თველ ხალხს შორის წინააღმდეგობა არ იყო.

ყველა მოიღალა: ზოგი ლაპარაკით, ზოგი ფიქრით. მარა საქთები მაინც არ სწყდებოდა და არც ვიცა კრება როდის შეწყდებოდა. დიდხანს კიდევ არ შეწყდებოდა, რომ ისევ მასპინძელს არ განეცხადებია, ეხლა ვისადილოთო.

სალამოს სხდომა საბოლოო იყო და, როცა ნოემ ქართველი ბაღაშის მოღვაწეობისა და მუშაობის პროგრამას „დემოკრატიული“ უწოდებდა, ეგნატე და მიხამერთად გაილაშქრენ ამის წინააღმდეგ.

— რაია ეს „დემოკრატიული“? — ამბობდა ეგნატე. — ჩვენ კი ვიცით: მუშები, გლეხები, თავადაზნაურები და, თუ გინდათ, მღვდლები და ბერები! აქედან ჩვენ ვინმე უნდა ვირჩიოთ, თვარა თხას და მგელს ერთად ვერ მოუყრით თავს. რა აქვს საერთო მუშას თავადთან, ან ვაჭართან? მუშას თუ აქვს რაშე საერთო, ისევ გლეხთან, მიწის მუშასთან. არ იცით თუ, რაველი ხარბი არიან ჩვენი ნიკოია და პეტრიელეი ფულზე! თვარა ეს კარგათ უნდა იცოდეს ისიდორე რამიშვილმა მაინც, მაგი არ იყო მთელი ზემო სურების გლეხები კლასში რომ დააჯინა და წერა-კითხვა ასწავლა? მერე და, რა გამოვიდა იგენიდან? ყველა ისინი ჩოხატაურის, ოზურგეთის, ფოთის და ბათუმის სამიკიტნოებში გაიქცენ ხაზინებთან: იქნება ორიოდ გროში ევილოთ და მერე ჩვენ თვითონ ასეთი სამიკიტნოები გავხსნათ სხვაგან, ქალაქში თუ არა, სოფლებში მაინცო. გლეხი მუშაკა და ვაჭარიც. მას მუშაობა მანამდე უყვარს და მიწას აკვდება, სანამ ორიოდ გროში არ დაუგროვებია, მარა რავეც პატარა ქისას გაივსებს ვერცხლის მანეთიანებით, მაშინვე თავის შეგობრის ტყავის ძროხას იწყებს, არაფრით არ ზოგავს. აბა ამისთანა კაცს რავე ენდობა კაცი! ჩვენ მარტო მუშებს უნდა დავენდოთ, ფაბრიკის და ქარხნის მუშებს და მერე იმათ იციან და გლეხებმა. ამიტომ ჩვენი პროგრამა უნდა იყოს სოციალისტური და მუშური და სახელიც ასეთი უნდა ერქვას მას — დააბოლავე ეგნატემ.

შეიქნა ამაზე დავა და კამათი. ბოლოს მოდავე-მოკამათენი ისევ გამზადებულმა ვახშამმა დაშალა. კითხვა ისევ ღიათ დარჩა, ისევ გადაუჭრელი. ამიტომ მისი გადაჭრა შემდეგი კრებისთვის გადადეს და ეს კრება ახლო მომავალში ეგნატეს და მიხას უნდა მოეწყობათ ტფილისში.

გამგზავრების წინ მოწინავეები პატარა თათბირს მართავენ.

— დღეს ჩვენ აქედან უნდა ავიბარგოთ, — სთქვა სილიბისტრომ.

— შობის მესამე დღეა და თუ ხვალ კიდევ ვინმემ აქ დაგვენახა, მერე ვირის ბანოშიაც გავგზავნიან. — დაუმატა ეგნატემ.

— ეხლა რაცხა პატარა ბროშურებია, ეს მაინც გადაეცეთ იმ ყმაწვილებს ტფილისიდან რომ არიან მოსული. კაი ყმაწვილებია და იმედიც მაქვს ამ ბროშურებს სხვებსაც წააკითხებენ (ეს მე და ისიდორეს შეგვეხებოდა). რამდენიმე კიდევ უნდა წამოსულიყო მათთან ერთად, ისინი კახელებია და ეხლა არ მოუხერხდათ, მარა მეორე კრებაზე უსათუოდ დეესწრებიან და იმათაც მომზადება უნდა და წიგნებია ამისათვის საჭირო. მარა სადაა ეს წიგნები? სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ ეხლა და ამაზე ვიბრუნოთ.

ეგნატეს ეს წინადადება და აზრი ყველამ ერთხმად მიიღო, ხოლო როგორ უნდა შეესრულებიათ, ამაზე მაშინ არავის არაფერი უთქვამს. ეს პირად ინციტიკაზე და მოხერხებაზე იყო მიწოდებული.

III „დამფუძნებელი ქრების“ შემდეგ



მე ჯერ სოფელში ჩავედი და მერე ისევ ტფილისში დავებრუნდი. ეგნატე ახალ ბინაზე „მოწყობილი“ დამიხვდა ახლა (ისილდორეს ეშორენა მისთვის ბინა ნიკოლოზის ქუჩაზე). მის ვარშემო ისევ ფუსფუსებენ, საქმიანობენ. ფეხაკრეფით შედიან, იქიდან რალაც უბეში დამალული გამოაქვთ, ხელში კი რამე სახელმძღვანელო წიგნი ან რვეული უჭირავთ. ესენი არიან: სემენარიელები. 1893 წლის იანვარი უკვე დამდგარი იყო და უჩვეულო ყინვა მძვინვარებდა. ჩვენ კი შეშა არ გვჭონდა, არც სხვა რამ სათბობი.

ერთ საღამოს ჩვეულებრივ მაგიდის ირგვლივ ვართ ყველანი თავმოყრილი. სიცივისგან ვერ ვსხდებით და ყველას, რაც კი მოგვეძევა თბილი, ზედ გვაცვია. ზოგს სახამთრო, ზოგს საზაფხულო პალტო, ხოლო ზოგს კალოშიც კი არ გაუხდია, მარა მდგომარეობის გამო უხერხულობას არავე გრძნობს. ეგნატეს თავისი ფრანგული ძველი შლიაპა ახურავს, თითის მალა აწვევით წინადადებას გადაძლევს:

— ვისაც რამდენი გაქვთ გამოიღეთ და რითიმე დაენაყრდეთ.—და თვითონ ჭაღალდის მანათიანს მაგიდაზე დებს. წინააღმდეგს არავე ამბობს, მიხა თავის ჟილეტის ჯიბეების ჩხრეკას შეუდგა—და იქიდან ათშაურამდე გროში ამოკრება. ისილდორემ ჯიბეს გაისვა ხელი, დანარჩენებმაც თითო აბაზი გამოვიღეთ და ამ შემთხვევისთვის დაჩვეულ ამხანაგს ნიკოს მივმართეთ: აბა, ნიკო, ერთი ბოთლი არაყი, ორი ღვინო, დანარჩენის ძეხვი და სხვა რაც დანახო საქიროდ, ეს შენთვის მოგვინდვია.

ნიკოც სიხარულით კისრულობს ამ საქმეს და მიდის შესასრულებლად.

— ეს კარგი, მარა ახლავე გავიყოთ, მერე ჩხუბი რომ არ მოგვივიდეს, სთქვა ეგნატემ.—წინდაწინვე განაცხადეთ ვინ ხართ არაყისტი და ვინ ღვინისტი.

ყველა ღვინისტი აღმოჩნდა ეგნატეს გარდა. ნიკო პარკებით და ბოთლებით დაბრუნდა მალე. ისილდორემ სუფრა გავვიწყო ხელათ და შევუდგეთ დანაყრებას. დავცალეთ ღვინის ბოთლები და რომ უფრო შევხურებულიყავით, ეგნატესთან ერთად არც ჩვენ დავიწყუნეთ არაყი და თითო-ოროლა ჩვენც გადავკარით.

— არა, მართლა, რა მოუჩმახავს იმ ვითომდა პოეტს, დღეს „ივერიაში“ ლექსი რომ მოუთავსებია? მოგვაგონა ეგნატემ იმ დღეს „ივერიაში“ დაბეჭდილი, ცახელის ლექსი.

— ჰო, ეს ლექსი?—ამბობს ისილდორე და ეძებს იმ დღის გაზეთის, „ივერიის“ №-ს.

— მომეცი აგერ, მე წაგიკითხავთ,—ჩამოვართვი ნომერი ისილდორეს და ვკითხულობ:

„ხალხის შავბედს რომ დაჰყენის,
ვინ შეისმენს შენს მწარ მოთქმას?
ხელს ვინ მისცემს თანაგრძობით

შადღღში და ჰირში მყოფ მხას?
 ხალხის გული გაყამირდა,
 არ იძვრის და არ იხვენება,
 თესლი მასში ჩათესილი,
 უნაყოფოდ შიგვე ტანება.



.....
 ალოს ვუცდი, ნეტარს ალოს
 დაე ბედმა იავ-გულოს
 და უზრუნველ ხალხის გული
 მოალბოს და მოახუროს...
 როცა ციეს გულს ცეცხლ-კუპრს მოსდებს
 ტანჯვა საზღვარ გადამცდარი,
 მაშინ მხართებს ჩანს სიმზნვე,
 მაშინ უნდა წინამძღვარი*.

გახ. „ივერია“ 1893 წ. № 3.

- ამის უპასუხოდ დატოვება არ ვარგა.— შენიშნავს ევანტე.
- პოეტები არა გყავს თუ?!— ამბობს ისიღორე და თვალით ნიკოზე და იროდიონზე გვანიშნებს.
- უკვე დავწერე პასუხი, როგორც შევიძელი — ამბობს მორცხვად ნიკო და უბის ჯიბიდან ამოაქვს ლექსი ნელი შეუქმნივეელი მოძრაობით.
- ჰო, ჰო. აბა წაგვიკითხე ნიკო, ბარემ წაგვიკითხე, — გავიხარეთ ყველამ. ნიკო კითხულობს:

პ ა ს უ ხ ი

(ეუფენლი ცახელს)

„ერს როდესაც ცეცხლ-კუპრს მოსდებს
 ტანჯვა საზღვარ გადამცდარი,
 მაშინ უნდა ჩანდეს სიმზნვე,
 მაშინ უნდა წინამძღვარი“.

მაგრამ, როცა ერის ტანჯვას
 მოუცვია მგოსნის გული,
 სიბოროტეს აღუგზნია
 მგრძნობიარე გმირი გული,

გულზელკრებით ნუ თუ უნდა
 მოელოდეს „ნეტარს ალოს“
 და შესცქერდეს „ყამირ გული
 ბედმა მოალბ-მოახუროს“?

მაშ რაღა მგოსნის ძალა,
 ვის რად უნდა მგოსნის მღერა,
 თუ კი ერისა ტანჯვისაგან
 გამოიხსნის ბედისწერა?!

თუ მგოსანს სურს ითვლებოდეს
ჩაგრულ ერის წინამძღვარად,
ნუ მოუცდის „ნეტარს ალოს“,
თვით ხნას, თვისს წინასწარად!



აი მაშინ შესრულდება
უტყუარად მგოსნის ვალი
და, გულწრფელად აგზნებული,
მას თავყვანს სცემს ქვეყნის თვალი!

ვინა სთქვა, რომ „ხალხის გული
გაყამირდა... არ იბუნება“,
რომ მგრძნობარე, ლეთიურ სიტყვას
მგოსნის ნამღერს ვერ მიხედება?..

ხალხის გული ჩათუთქულა,
მოსთქვამს გლოვობს ბედისწერას,
მგოსანი კი ვერ ახერხებს
სულის ჩამდგმელ ჩანგის ზღერას!

ხალხი გრძნობს, რომ მის გარშემო
ბნელი, მავნე წყვდიადია,
თვით არ ძალუფს მის გაფანტვა,
თუმც სურვილი დიადია.

ამ წყვდიადსა მგოსნის ჩანგმა
ნათლის შუკი უნდა ჭეიწოს,
შეუგნებელ ხალხს თვალიდან
მავნე ლიბრი გადამწმინდოს,

აი, მაშინ შესრულდება
უტყუარად მგოსნის ვალი
და გულწრფელად აგზნებული
გაღამერთებს ქვეყნის თვალი.

თუ მგოსანს სურს ითვლებოდეს
ჩაგრულ ერის წინამძღვარად,
ნუ მოუცდის „ნეტარს ალოს“
თვით ხნას თვისს წინასწარად!..*

ნარკანი.

— კარგი პასუხია, შესაფერი პასუხია. — ამბობს მიხა. — მაგ ლაქიებს,
ილიას ლაქიებს სწორეთ ასეთი მათრახი მოუხდებოთ!

— ზვალ შენ ეს ლექსი უნდა წაულო ყიფშიძეს და დააბეკვიწონო, — გადაქ-
რით ეუბნება ეგნატე მიხას. ისიც თანახმაა შეასრულოს ეს წინადადება.

— მაშ გაუმარჯოს ჩვენს პოეტს და მის დებიუტს! — წამოიძახა იროდი-
ონმა და არაყით საესე კიჭა გადაჰკრა.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს, ჩვენს პოეტს ნიკოს! — დავიძახეთ ერთხმით
და ჩვენი მეჯლისიც ამით დავასრულეთ.

* 1893 წ. 12 იანვარი.

2. ეგნატე ნინოშვილი და ზაქარია ზიზინაძე

1893 წლის თებერვალში ერთ საღამოს მოულოდნელათ ჩემს ოთახში შე-
მოვიდნენ სახელოსნო სკოლის მოწაფეები დათიქო კაპანაძე და ვასო ციხეძე.

— აი, რაედენ, ის ეურნალი ჩვენ რომ შეგპირდით და ხელის ჩამორთმე-
ვის შემდეგ მომაწოდა დათიქომ ხელნაწერის დიდი რვეული. ვასოსაც მაშინა-
ლურად ჩამოვართვი თუ არა ხელი, რვეულს ფურცლა დაუწყე და ერთ ლექს-
ზე შეეჭრდი.

— ბიჭოს, ეს რა კარგი ლექსია! ვასო, შენ გეცოდინება ვისია?

— პოო, — ჩაიცინა ვასომ ქერა უღვაშებში და მაგიდას მიუჯდა. — ვიცი
რომელიც მოგეწონებოდა. ეგ ზაქარიას ლექსია. — მითხრა მან დინჯად და თან
დამცინავე სახით მომანერდა.

— ზაქარიასი!? წამვიოძახებ მე უნებურად და ხელმეორედ წავეკითხე. ეს
ეგნატეს უნდა უჩვენო უსათუოდ! ვსთქვი მე და რვეული შევკეცი. ხელში მაგ-
რად დავიჭირე, თითქოს ვინმე წართმევას მიპირებდა.

— ამას მე ეხლავე წაუღებ ეგნატეს, ვნახოთ რას იტყვის. თქვენ თუ
ვინდათ აქ დაუცადეთ ამხანაგებს, მაღე დაბრუნდებიან, — უთხარი ეს, ამოვიდე
ნღლიანი რვეულები და მოუთმენლად გავწიე ჩვენი ბნელი ოთახისაკენ, სადაც
იმ საღამოს ეგნატეც უნდა მოსულიყო.

მიულაგებელ გაზეთებითა და წიგნებით მკერილ-მოყრილ მაგიდასთან
ზის ეგნატე და მასთან დგანან სპირიდონი (ლეკვიშვილი) და ისიდორე (კვიცი-
ანიძე). გაეხარებით და მღელვარედ ლაპარაკობენ. ეგნატეს კალამი ხელში უჭი-
რავს და ლაპარაკის დროს თითქო თვალში უნდა ჩაუყაროს მოწინააღმდეგეს,
ისე წევს მალლა და ჰაერში არტობს.

— მერე იმ მურტალმა არ იცის სად უნდა იყებდოს? — ყვირის ეგნატე.
ჩემს შესულაზე ლაპარაკიც არ შეუწყვეტიათ. თითქმის შეუმჩნეველად ჩამომარ-
თვეს ხელი. ყური დაუგდე.

— გუშინ, გუშინ კვირადღე რომ იყო, რას ლაპარაკობდა, რას ჯიუჯი-
ყებდა ის საძაგელი მთელ ბაზარში იმდენი ხალხის გასაგონათ... სემინარიელები
და ვილაც ვილაცები — ხელოსნები იყვნენ მგონია... ასე ირეოდენ ბუზივით. აა-
სთქვა სპირიდონმა და ოარივე ხელით გვიჩვენა ეს არეუდარევა...

— ვინაა მაგას რომ ლაპარაკობს... გააჩუმეთ. დაამუხჯეთ, თვარა მოგკ-
ლავ! — დაიყვირა ეგნატემ და შეჩერდა, სული მოითქვა და მაგიდას მიუჯდა,
კალამი აიღო და კისერმოქცევით უთხრა სპირიდონას: ეს ბარათი მიუტანე
მას და რაც გითხრას მითხარი, მერე მე ვიცი! დაწერა სწრაფად:

„ზაქარია!

შენ თუ კიდევ სადმე გიხსენებია ან ჩემი სახელი ან ჩემი რომელიმე ამხა-
ნაგის, იცოდე, რომ მე შენ მოგკლავ!“

— კარგი, მე ახლავე წავალ მისას, — სთქვა სპირიდონამ და ბარათი უბის
ჯიბეში ჩაიღო.

რა უთხრა ეხლა მე ეგნატეს ან ზაქარიაზე ან მის თაოსნობით გამოშობილ
ხელნაწერ ეურნალზე, რომელიც ხელში შემჩა? — სპირიდონა გავიდა, ეგნატე
დაწყნარდა და მეც დავიწყე:

— ეგნატე, — ვთქვი მე დაწეული და შეშპარავი ტონით: — ზაქარია არც ისე გასამეტებელი ყოფილა, როგორც ჩვენ გვეგონა. იმას ხელისაღმშობთან ჰქონია საქმე, ხელნაწერი ჟურნალიც ჰქონია დაარსებული მათთან ერთად.

— მაგის არც ჟურნალი ვარგა და არც სხვა რამე.

— კი, მარა კარგი ლექსი კი დაუწერია და. — გავბედე მე.

— ლექსი დაუწერია, თვარა ბაირონს დადაქარბებდა, მისმა სიცილ-ხლემ! მერე რაია ლექსი? — შემომიტია მე. მეც ამდენი ლექსი მიწერია, აა, ამდენი — და ხელით მიჩვენა, თუ რა სისქე იქნებოდა ის რვეული, რომ შემენახა... მარა ყველა დაფწვი, რის მაქნისია ლექსი, როცა საქმეა საკირო, საქმე!..

გაეჭმდით. მეტს ველარ ვბედავდი, თუმცა უსამართლობად მეჩვენებოდა ზაქარიასადმი ასეთი მოპყრობა. „რაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, თუ სიკეთე რამე მიუძღვის, უნდა დაუფასდეს“, — ეს თქვი ჩემთვის გუნებაში დაბეჯითებით და ეგნატეს კი ამაზე არაფერი არ უთხარი.

— კი, მარა... — დეაპირე ისევ ბაასის განახლება ცოტა სიჭმის შემდეგ, — ჩვენ რომ მუშებთან დაახლოვება გვინდა?!

— მერე რა? უზაქარიოდაც მოვნახავთ იმ მუშებს.

— სად? როდის? — ვკითხე მე მარა პასუხი არავინ მომცა. ეგნატე უკვე გარეთ იყო გასული და თავის ახალ ბისისკენ მიემშურებოდა. ავიღე ხელში ხელთნაწერი ჟურნალები და დაღონებული მეც გარეთ გამოვედრე. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ამ ბინიდან ასე გაუმხნეველები, აღფრთოვანებელი და შეწუხებული ებრუნდებოდი სახლში.

3. ჩვენი ლიტერატურული საღამო

ეგნატეს უკვე ორი „წრე“ აქვს მოწყობილი თავის ახალ ბინაზე: ერთი სემენარიელების, მეორე ინსტიტუტელების, მარა სულ იმას ჩივის, რომ ლავრაოვის „ისტორიული წერილების“ მეტი წიგნი ვერაფერი შეურჩევია სახელმძღვანელოდ. ის გრძობს, რომ ეს წიგნი მოძველებულია და დაგმობილი, მარა არ იცის, რას მოჰკიდოს ხელი მის ნაცვლად, რომელი გამოვლება. იშოვება მხოლოდ „კაპიტალის“ პირველი ტომი, ბებელის „ქალი და სოციალიზმი“, პლენანოვის „ჩვენი უთანხმოებანი“ და ზოგი სხვა რამ, მარა წრეში სახელმძღვანელოდ არც ერთი არ გამოდგება.

ეგნატე ისევ წინანდებურად ხშირად ჩამოდის მიხას ბნელსა და ნესტიან სარდაფში. ჩვენი წრის კრებებიც ისევ იქ იმართება.

— გავმართოთ, რადღუნ, ლიტერატურული „საღამო“. იქნებ ფული შეგროვდეს. — მეუბნება ერთ საღამოს ეგნატე.

— მეოე რად გინდა ეს ფული?

— რაეა რად მინდა?!

— არა, მაინც!

— ხომ ხედავ, რომ ლიტერატურა სულ არა გვაქს. უნდა როგორე გამოვიწეროთ...

— პოო... — და ეჩუბდები, ჩემთვის კი ვფიქრობ: ნეტა როგორ უნდა გამოიწერო, ეს სანატრელი საიდუმლო ლიტერატურა? შემდეგ:

— მართლა, კარგი იქნება სალამოს რომ გავმართავდეთ, ამას სჯობს მნიშვნელობაც ექნება, — გამიტაცა ეხლა მეც ახალმა გეგმამ. მაშინვე მოუხმეთ მიხას და ისილორეს სათათბიროდ და შევადგინეთ გეგმა, სალამოს პრეფერენციაზე და დავასახელებთ მონაწილეებიც.

— პირველი უთუოდ ერთი პატარა სცენა დაიდგას — ვანაშორე შე.

— მე მაქვს ერთი პატარა სცენა რუსულად რევოლუციონერების ცხოვრებიდან ერთ აკრძალულ წიგნში ვნახე ზაქარაისთან და არ მოვეში, სანამ არ „დავამტერ“ — სთქვა ისილორემ.

— აბა გვიჩვენე, — ვუბნებოთ ერთხმად. მას მოაქვს: ხან ერთი სინჯავს, კითხულობს, ხან შორავს.

— ეს მართლა კარგი ყოფილა, — შევნიშე მე, როცა მომქმედ პირებს გავვეცანი და პირველი გამოსულა გადავიკითხე.

— ამის შინაარსი ასეთია, — სთქვა ისილორემ, რომელსაც რამდენჯერმე წაეკითხა ეს სცენა. — საკანში ზის სიკვდილ-მისჯილი რევოლუციონერი. სახარობელაზე ვაყვანის წინ მასთან მიდის მღვდელი და მათ შორის იმართება დიალოგი. რევოლუციონერი შეაჩვენებს მღვდელს, მღვდელი აწოდებს მას ზიარებას, მარა რევოლუციონერი ზიხლით გმობს მას, მღვდელს თავიდან იშორებს და გარეთაც აგდებს წყვეა-ლანძღვით. შემოდის წითელ ხალათში გამოწყობილი ჯალათი და რევოლუციონერი მას მტკიცედ მიჰყვება საღრჩობელაზე.

— ვინ ითამაშებს შერე ამას? — იკითხა ეგნატემ.

— მაგას კარგად, შეასრულეჭს, — ლადო ვთქვი მე.

— მართლა...

— შემიდეგ ამ სცენას მოჰყვება დიფერტისმენტი.

— კარგი იქნება — მიმოწმებს მიხა.

— აბა ჩაეწეროთ, ვის შეუძლია ლექსის თქმა, — სთქვა ისილორემ და ჭალადი და საწერ-კალამი მოიმარჯვა.

— მაგისტანები ბევრია — უთხარი მე — აი, თუგინდ მეც ჩამწერე. მერე გამოვლენ იროდიონი, ნიკო და ლადო, ინსტიტუტელებიც იტყვიან ლექსებს.

— მერე რა ენაზე იქნება ეს ლექსები? ვიკითხე მე.

— ზოგი რუსულად, ზოგიც ქართულად, მარა რა მოგვეძევება ჯერ ჩვენ ასეთი? — სთქვა ეგნატემ.

— მგონი რომ არაფერი! იროდიონი თუ იტყვის რამეს თავისას, ან ნიკო.

— ენაზო. თქვენ შეაგროვეთ ყველა ეს ამხანაგები, გადაეცით ჩვენი გეგმა და შეაგროვეთ ლექსები, რომ შევამოწმოთ, მართლა ივარგებს, თუ არა, გვითხრა მე და ისილორეს ეგნატემ და ამით დასრულდა თათბირი.

სასწრაფოთ თავს უყრით სალამოს მონაწილეთ და ჩვენს ბნელ ოთახში იწყება რეპერტიციები.

ბნელი ოთახი ესტრადად და სცენად იქცა, ეგნატე და მიხა სადღაც მიდიან, რეპერტიციაში მონაწილეობას არ იღებენ. სამაგიეროდ ენერგიულად გეგმზარება ამ საქმეში კარგად გამოცდილი ამხანაგი, ანდრია ლეეაეა. რევოლუციონერის როლში ლადო საუბოვო გამოდგა. ჩემი დეკლამაციაც მოიწონეს. მე ჯალათის როლი მომცეს, ეს როგორღაც მაწუხებს, არ მომწონს. ანდრია კი მეუბნება, შენ უფრო გშენის ეს როლიო, საამისო შეხედულება გაქვს, ხმაც და მიხერა-მოხერაცო.

— მარა ჯალათის როლი რად მინდა! — ამოვიგმინე გულს სიღრმედან, — მე გმირის როლი — მინდა. მარა რას ვიზამ! ვიცი, რომ ვმირის როლში ლადო აჯობებს და მეც იძულებული ვარ ჯალათის როლი ვიკისრომე.

— აბა, იროდიონ, წაგვიკითხე შენი ლექსი. — იროდიონი გვეჩხვინებდა ხან-ვის ახალ ლექსს. ყველა აღტაცებაში მოვდივართ. ნიკოც ამბობს თავის ლექსს, ლადო კი ერთ-ერთ რუსულ რევოლუციონერ ლექსს ამბობს და ამნაირად თავდება რეპეტიცია.

მეორე დღეს სპირდონას ვეალებთ, რომ დანიშნულ დროისათვის შესაფერი ბინა მოგვიძებნოს. მას უკვე აღმოუჩენია ასეთი ბინა მტკვრის პირას, ვანჭის ქუჩის შესახვევში, სადაც ოცამდე სემენარიელი დგას და რამდენიმე დარბაზი უჭირავთ. მართალია, საექვო პირებიც ურევიათ, მარა რა იციან მათ ჩვენი პროგრამა როგორია. ვიდრე ისინი გაიგებდნენ, ჩვენ „სალამო“ დასრულებული გვექნება და მერე შიშით ვერ ვააბხელენ, რომ მათ ბინაზე ასეთი სალამო გაიმართა.

სალამოს ყველიერის კვირა ღამით ვმართავთ. ბილეთები სალდება ყველა სკოლების მოწაფეთა შორის. თუმცა ბილეთი ღირს მხოლოდ ათი შაური. სალამოზე მაინც არა სჩანს არც ერთი მუშა, არც ერთი ხელოსანი. მაყურებელთა შორის სჩანს ახალგაზრდა ქალებიც, მაგრამ ისინი ბინის მდგმურები არიან. ცოტა შიში გვაქვს მათი, მარა რას ვიზამთ! სცენა კარგად ჩატარდა, კმაყოფილი ვართ, რომ ტაშს უხვად გვიკრავენ. ლექსები კიდევ მეტ ტაშს და აღფროფონებას იწვევს. „სალამოს“ შემდეგ იმართება სახელდახელო ამბანაგური ვახშაში, რომელზედაც რჩებიან მხოლოდ საგანგებოდ მოწვეულნი, ე. ი. რევოლუციონერი ნაწილი, უფრო ჩვენი წრეების წევრები. იმართება სადღეგრძელოები, რომლებიც უფრო კამათს ჰგვანან, ვიდრე სადღეგრძელოებს. სიტყვებს ამბობენ ანდრია, შაქრო, მიხა და ლადო. გამოდის სიტყვით ეგნატეც.

ყველა პარტიისკომით იმსჯელება მისდამი და დიდი სიყვარულით ისმენს მის სიტყვას. ამით დასრულდა ჩვენი სალამო. მეორე დღეს ეგნატე მეუბნება:

— ფული გვარიანად შემოგვივიდა, მარა ხარჯიც დიდი იყო, ასე რომ ბევრი არაფერი გვრჩება, სულ რაღაც ოცდაათი მანეთი. საჭიროა ისევ ხელის მოწერა გაიმართოს ამ კვირაში, რომ მარტში გაუგზავნოთ იმას, — აქ ეგნატემ არ დაასრულა თუ ვის უნდა გაუგზავნოს, მივხვდი ვის გულისხმობდა და რისთვის არ ამბობდა. აღარც მე შევეკითხე. ეგნატემ მაგიდის უჯრიდან ქალაღდი ამოიღო ჩასაწერად.

— პირველი შენ იქნები ჩაწერილი, — მითხრა მან.

— მე... მე რა... რომ არაფერი მაქვს, — ვბუტბუტებ მე. — მარა ერთი მანეთი მაინც ჩაწერა.

ეგნატემ ჩაწერა და მეორე დღეს ფული ერთ-ერთ ჩემს თანამობინადრეთაგანს გამოვართვი და ეგნატეს გადავეცე. ამის შემდეგ მუდამ იმაზე ვფიქრობდი, გამოიღებდა ეს ცდა ნაყოფს თუ უქმად, ან რამე უბედურებით, მარცხით დაბოლოვდებოდა (დღეს როგორც ვიცი, ეგნატეს ეს ნაბიჯი მარცხით გათავდა: მას მოჰყვა ფილიბე მახარაძის და კიდევ რამოდენიმე სტუდენტის დატუსაღება.)

4. ეგნატე ხენაქში მისტურმაგზ.



გავიდა თებერვალიც, წრიები მეცადინეობას განაგრძობდნენ. მარა ტფილისში არსებობის საშუალება და სახსარი აღარა სჩანდა. ჩემთვის, დამიდგა ისევ გასაჭირი. არ ვიცოდი რა მექნა, სასოწარკვეთილება მიპყრობდა. ამ დროს ეგნატეს კოწია თავართქილაძისაგან წერილი მოუვიდა: თუ ვინმე სანდო კაცი გყავს, გამომიგზავნეო. ეგნატეს ფიქრადაც არ მოსვლია, თუ ამ საქმეზე წავიდოდი სამსახურში. მე კი ეს კიდან ჩამოვარდნილ მანანასავით მივიჩნიე. წავედი ეგნატესთან და მან მაშინვე აცნობა კოწიას, კაცს გიგზავნიო, და თან გააფრთხილა, თუ რა კაცი ვიყავი მე და როგორ მომპყრობოდა. მერე მომიბრუნდა და მითხრა: კოწია სხვანაირი, ახირებული კაცია და მე მგონია გაგიჭირდება მასთან გაძლება. მარა დარჩი ერთხანს მაინც, სანამ გაგძლებდა, მერე კი მიაფურთხე და წამოდი. მარტის შუა რიცქვებში მე უკვე გამზადებული ვიყავი წასასვლელად ახალ-სენაკში. ეგნატემაც იცოდა, რომ უნდა წავსულიყავი, მივედი მასთან გამოსამშვიდობებლად.

ეგნატეს ჩაი გაეწყო, სადღესასწაულოდ გამზადებულიყო, მხიარული და თან სერიოზული სახით შემხვდა. ისე მიმიპატიოა სუფრაზე, თითქო უცხო ვინმე ვყოფილიყავი. მე მართლა შეუცხოვა. ეს ჩემთვის პირველი იყო და მოულოდნელიც. ვერ წარმომედგინა, თუ მოძღვარი, წინამძღოლი და მასწავლებელი მე მის მოწაფესა და მიმღევარს ასეთ შეხვედრას გამომართავდა. არ ვიცოდი ჩემი სიხარული რაში გამოიხატა. მეც მორცხვად მივუჯექი სუფრას, თითქო მართლა უცხო სტუმარი ვყოფილიყავი, და გავაბით მარტოდ-მარტო დარჩენილებმა მე და ეგნატემ—გულითადი მეგობრული პაასი.

— შენ იქ „ეკას“ (ანტონ ფურცელაძის „მაცი ხეიტია“-ს რომანიდან გმირ ქალს ეგულისხმობდით) ძებნას ნუკი გამოუდგები. რაც შეგიძლია მეტი იკითხე და ცხოვრებასაც გაეცანი. მეგრელებში ნიატე და ცრუბენტელა ხალხი ბევრია და კარგად დაუყვირდი. ჩვენ აქ შეიძლება საკუთარი ჟურნალი ან კრებული გამოვცეთ და შენ იმისთვის წერილი დაამზადე.

5. ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ეგნატესთან

1893 წელს აგვისტოში ეგნატესაგან ღია ბარათი მივიღე. მატყობინებდა: „სექტემბრის (ამა და ამ დღეს) გამოვივლი მატარებლით სამტრედიაში და ვაგზალში დამხვდი: ბევრი, ძალიან ბევრი რამე მაქვს შენთან სალაპარაკო...“ ამ ცნობამ ისე გამახარა, ისე გამამზნევა, რომ ყოველნაირი გაჭირვება დამავიწყა და მთელი ჩემი ოცნება უკვე განხორციელებულად მომეჩვენა: მოუთმენლად ველოდი დანიშნულ დღეს და ეგნატესთან შესახვედრად ვეშაალებოდი. წინდაწინვე ვითვალისწინებდი მასთან შეხვედრას, მასთან საუბარს, მის ნათქვამს და წინდაწინვე ვტკბებოდი ამ შეხვედრით.

მახსოვს, ნათლად მახსოვს ის დღე, როცა „ჩვენი“ საცოდავი (წიგნის) მალაზიიდან ეგნატეს შესახვედრად, სადგურისკენ გავეშურე. პეტრე გელეიშვილიც გვერდით მომყვებოდა, ძალიან აინტერესებდა ეგნატეს გაცნობა.

— რაედენ, იცოდე, ეგნატე უსათუოდ უნდა გამაცნო დღეს ჩემილა-
პარაკა ვზაში პეტრემ და ამით მაგრძნობია, რომ მას ექვი აქვს, მე უნდოდ
ვუყურებ.

გაქონესული

— არ ვიცი... მართლა გამოივლის თუ არა ეგნატე— ვუბნებოდა ქრისტე ძრეუ-
ლად და ფეხს აუჩქარე, რომ უფრო კარგად დამეფარა ჩემი უნდობლობა.

სწორედ იმ დროს გავედით ბაქანზე, როცა ბათუმის მატარებელი ჩამო-
დგა. ვაცეცებ თვალებს და თვალს ვადევნებ, ახლო მდგომ ვავიხივებ კიბეების
საფეხურებზე მდგომ მგზავრებს და... აი სწორედ იმ ვავიხივებ საფეხურზე, რომ-
ლის წინ ჩვენ ვიდექით, ეგნატეს ფიგურა სილიუტი გამოჩნდა. ის არც ერთ
მგზავრს არ ჰგავდა.

ძველ საზაფხულო პალატოში ვახვეული ჩონჩხი, მოხრილ ბეჭებზე ძველი
შალი, მოგრძო, საშინლად გამზდარი უფერული სახე... ლოყებზე რაღაც არა
სასიამოვნო წითელი ფერის მრგვალი წრე დასწნოდა. მხოლოდ, უკან გადავაუ-
რცხნილი გრძელი, წაბლისფერი თმა შევნივლო, მაგრამ სახეზე წვერულვაში
დაგრძელებოდა, არეულად გაბურძნოდა, გეგონებოდათ დაავადებულ-დაუძლუ-
რებულ კაცი ეს არის ახლა ამ წუთას ლოგინიდან წამომდგარაო. მაგრამ მისი
მალალი შუბლის ძირში გადაწოლილ წარბებ ქვეშ იგი ყვრიალა და კილოიან
თვალებს ფართედ ანათებდა, თითქოს უშრეტ ცეცხლს აფრქვევდა.

თვალი მომკრა ვავიხივებ საფეხურიდან, ფრთხილად ჩამოვიდა და აჩქარე-
ბული ნაბიჯით გამოემართა ჩემსკენ. ჩვენც მივეგებეთ. ხელი მაგრად ჩამომარ-
თვა და პეტრეს განზე აღმაცურად გადააშედა: აღბად თვალში არ მოუვიდა,
რადგან მაშინვე ხელი ხელში ჩამკიდა და განზე გამიწვია, უნდოდა პეტრეს
მოვშორებოდი. მაგრამ მომაგონდა ვზაში პეტრესაგან ჩანალაპარაკევი და შემ-
რცხვა. შევეცადე პეტრეს სურვილის შესრულებას. მივუბრუნდი ეგნატეს და
პეტრეზე ვუჩვენე: აი ეს ყმაწვილი ჩემი ამხანაგია, გვარად პეტრე გელეიშვილი,
გაიცანი მეთქი. მან ხელი კი ჩამოართვა უნებურად პეტრეს და არაფერი კი
არა სთქვა, მაშინვე განზე გადაგა. სხვა არა გამეწყობოდარა: მეც გვერდზე მიუ-
დექი და ასე ამხანაგად პეტრე განმარტობული დარჩა. საშინლად დაღონდა
პეტრე, მაგრამ რას იზამდა: ვაშრა, გაჩერდა ერთი წუთით. მერე ჩვეულებისა-
მებრ უცბად შეტრიალდა და დარცხენილი წავიდა ბუფეტისაკენ.

მაშინ იდროვა ეგნატემ და წინადადება მომცა, რომ ზესტაფონამდე ვავ-
ყოლოდი მას, რადგან მას უნდოდა იქ აზი. იოსებ კაკაბაძე ენახა.

იოსებს იმ დროს კითხურაში საკუთარი წარმოება ჰქონდა გაჩაღებული და
ზესტაფონში, როგორც მარგანეცის სხვა ექსპორტიორებს, მასაც ჰქონდა კან-
ტორა. ეგნატეს, როგორც იმ გვარივე კანტორის ყოფილ მოსამსახურეს და
მასთან, იოსებთან, როგორც სოციალისტთან დაახლოვებულს, მჭიდრო კავშირი
ჰქონდა. იოსებიც მას თავის მხრით, როგორც სოციალისტს, რევოლიუციონერს
და თან სახელოვან ბელეტრისტს, დიდ პატივს სცემდა და როგორც სოცია-
ლისტების თანამოაზრე ამხანაგი, თუმცა კაპიტალისტი თავს მოვალეთ გრძნობდა
აღბად, რომ ეგნატეს ნივთიერად დახმარებოდა. მაშინ ვიფიქრე, აღბად
ეგნატეს იოსების ნივთიერი დახმარება სჭირდება, რადგან ტფილისში მიდის
სამოქმედოთ მეთქი. ასე იყო თუ ისე, ეგნატეს ჩემთვის ამაზე არაფერი უთ-

ქვამს. როცა მე სამგზავრო ბილეთი ვიყიდე და ვაგონში ცალკე საჯაროზე მოვ-
თავსდი მის პირდაპირ, და ეგნატემ რომ ლაპარაკი დაიწყო და ჩემთან საუბარს
შეუდგა, მე მხოლოდ მაშინ ავხედე სახეზე და მის ელკარე თვალებს ყურად-
ღება მივუპყარი. მას ცალ ხელში უბის წიგნაკი ეკავა და მეორე ხელით თანქარი,
თითქო რალაცას ჩაწერას ფიქრობსო. ნამდვილად ის მხოლოდ ჩემთან საუბ-
რისათვის ემზადებოდა.

მე ისევ ავხედე მის სახეს და ახლა მე წარმომიღვა მთელი მისი აღზნე-
ბული, იდეური ცეცხლით ანთებული თვალები, რომლებიც ყოველ მქვევრ სიტ-
ყვაზე უფრო მტკიცედ და ძალუმად ჩამძახოდა: დამჯერე, ჩემთან ერთად იფიქ-
რე, იაზროვნე, რომ ერთადვე ვიაროთ, ვიბრძოლოთ, თავდავიწყებით ვიბრ-
ძოლოთ. რაც უნდა უძღვევლი დამბრკოლება შეგხედეს გზაში, მაინც გადაე-
ლახოთ და ჩვენ მიერ არჩეულს, ნათელს და გარკვეულ მიზანს მივალწითო! ჩამ-
ძახოდა ამას და რალაცანიერი ახალი ენერჯიით მავსებდა, სურვილს, გარაცემას
და იმედს მიასკეცებდა.

— შეხედე ამ უბის წიგნს, რაედენ, — ამბობს ეგნატე. — იგი საესეა პლება-
ნოვის სტატიებიდან და მისი ეურნალი „სოციალდემოკრატიდან“ ამონაწერებით:
ახლა კი ნათელია ჩემთვის, თუ რა გზით უნდა მივდიოდეთ
და ვის ან რას უნდა დავემყაროთ სოციალიზმისათვის
ბრძოლაში, მუშათა კლასია ის ერთად ერთი ძალა, რომელ-
საც შეუძლია სოციალიზმი დაამყაროს და ჩვენ ამ კლასთან
უნდა გვქონდეს მუდამ მჭიდრო კავშირი, მას უნდა ამოუდ-
გეთ გვერდში... და შენ უნდა გითხრა, რომ მე გადაწყვეტილი მაქვს
მომავალ წელს ბათომის მუშებს უსათუოდ უნდა ვადღესას-
წაუღლებინო პირველი მაისობა: ცოცხალი ნულა ვიქნები
თუ ეს არ შეეასრულო. — სთქვა ეს სიტყვები ეგნატემ და აღზნებული
თვალეები ზევით სიერცეს მიაპყრო, თითქო უტეხ ფიცს სდებდა თავის თავისა
და ჩემს წინაშე, რომ ის ბათომის მუშებთან ერთად 1894 წელს პირველ მაი-
სობას უსათუოდ იღღესასწაულებდა.

სთქვა ეს ეგნატემ და მიიხედ-მოიხედა: დარწმუნდა რა, რომ ჩვენს გვერ-
დით სხვა არავინ იჯდა და ჩვენს საუბარსაც ყურადღებას არავინ აქცევდა
დამშვიდდა. ჩემში კი თითქო ახლა აღინთო აღზნების ცეცხლი: ჯერ ისევ შევ-
ხედე ეგნატეს, მაგრამ ეს არ ჰკავდა წინანდელ შეხედვას, ახლა მხოლოდ
ერთმა სურვილმა შემიპყრო: მინდოდა ეგნატეს ნაწილი, მისი არსებობის მონა-
წილე, მისი სიცოცხლის თანაზიარი გავმზადარიყავი, მეც მასთან ერთად მეგრ-
ძნო, მეაზროვნა და შემოქმედნა. ის ახლა ჩემს თვალში ჭლეჩით დაუძღურებული
მომაკვდავი ბელეტრისტი ეგნატე კი არ იყო, არამედ იდეით აღზნებული უძლე-
ველი გმირი, გიგანტი, რომელსაც ძველი დამყაყებული ქვეყნის დანგრევა მტკი-
ცედ გადაეწყვიტა.

ფიქრებმა წამიღეს და კარგა ხანს დავრჩით ორივენი მდუმარედ, მერე
მომავონდა ეგნატეს უკანასკნელი მოთხრობა, „პარტახი“, რომელიც მან ერთხელ
ტფილისში გადმოშვა შენიშვნებისათვის, რომ გაეგო მისი სუსტი მხარეები.
ჩემი შენიშვნები თითქო მიიღო მხედველობაში მაშინ (1893 წლის დასაწყისი),

მაგრამ მოთხრობის შეკეთება-შესწორებაზე არაფერი უთქვამს. მიმაგონდა ეს და რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ შევეკითხე:

— რას უპირებ ეგნატე შენს უკანასკნელ მოთხრობას ^{„საქართველოს“}?

— მინდოდა სულ ერთიანად გადამიკეთებინა ამ ^{„საქართველოს“} ხაზგულზე, მაგრამ ვერ მოვიცალე, ბევრი საუცხოვო და მეტად საინტერესო ლიტერატურა მოგვივიდა გურიაში საზღვარგარეთიდან, — სთქვა ეგნატემ ხმის დაწვეით, — და იმის შესწავლას მოუნდი. ერთხელ კი ვცადე გადაკეთება, მარა რაღაცა ვერ მომიხერხდა, მერე სულ თავი დავეანებე მით უფრო, რომ აშკარად დავინახე ამ ბელეტრისტობიდან იმდენი არაფერი გამოდის: ჩვენს მწერლობას მოთხრობების და რომანების მეტი რა აქვს; მე მაინც გადავწყვიტე თავი დავენებო ბელეტრისტობას... საჭიროა პუბლიცისტიკა და მინდა აქ გამოვცადო ჩემი კალამი.

(მე მაშინ არ ვიცოდი, არც რამე უთქვამს ამასზე ეგნატეს ჩემთვის და მას ამ დროს თურმა უკვე გაგზავნილი ჰქონდა ჟურნალ „კვალში“ თავისი პოლემიკური სტატია).

— „კვალზე“ და გიორგიზე რას იტყვი, ეგნატე, რა აზრისა ხარ? — შევეკითხე კიდევ მას.

— ეჰ, — სთქვა ეგნატემ ხელის ჩაქნევით და განაგრძო: — ახლა ახალი ჟურნალი „მოამბეც“ იწყებს გამოსვლას, მარა რას უნდა მოველოდნეთ მათგან! მაგენი ხომ ბურჟუაზიისათვის უშვებენ ამ ჟურნალგაზეთებს და არა მუშებისათვის. თავიანთი დამბალი აზრებით აესებენ ამ ჟურნალების ფურცლებს და ერთხელ კიდევ მოწამლავენ მკითხველის გოხებას... ჯერ გიორგიმაც რა ქნა? „კვალის“ წინა ფურცლებზე საქართველოს ნანგრევებიდან (იხე-კოშკებიდან) ამომავალი შზე დაგვიხატა. რა? გავს ეს? რას ნიშნავს, ვითომდა, თუ ამ კოშკების ისტორია არ შევისწავლეთ, ისე საქართველოს არაფერი არ ეშველება... მარა ყოველ შემთხვევაში ის ებრძვის მაინც „ივერიას“ და მის დამკვიდრულ რეაქციონერ პატრიოტებს. რაცხას კი ეპოტინება ეს გიორგი ჩვენს ახალგაზრდებს და უნდა ჩვენთან კავშირი გააბას, მაგრამ ამით რა უნდა არ ვიცო. — თქვა ეს ეგნატემ და ჩაფიქრდა, თავი მძიმეთ დახარა, მერე ისევ მალლა აიღო და განაგრძო: — რაც უნდა, ის უნდოდეს. ჩვენ მაინც უნდა ვისარგებლოთ ამ გარემოებით და უნდა გამოვიყენოთ ეს გიორგიც და მისი „კვალიც“. სწორედ ამ განზრახვით მივდივარ ეხლა გიორგისთან. რედაქციაში მიმიწვია თანამშრომლად და ვნახოთ რას იზამს. ყოველ შემთხვევაში მოთხრობებს კი დამიბეჭდავს სიხარულით, მარა სტატიაზე რას იტყვის, არ ვიცო. უნდა გამოვცადო, თუმცა დიდი იმედი არა მაქვს. ჩვენ ახლავე აქედანვე გვეპირდება რამე საკუთარი ლიტერატურული ორგანო, რომ ჩვენი აზრები დროზე გავრცელდეს ხალხში, თეარა მერე გვიანდა იქნება! — სთქვა ეს ეგნატემ და ისევ ჩაფიქრდა. მგონია ეხლა კიდროა ვიფიქრე მე, შევეკითხო ეგნატეს და გავიგო თუ რა აზრისაა ის ჩემი განზრახვების შესახებ.

— ეგნატე, მინდა კიდევ შეგვიკითხო. — დავიწყე მე, — არ ვიცო, რას იტყვი და მე ერთი საქმე მაქვს გადაწყვეტილი: მინდა სამტრედიაში სტამბა გავმართო ნებადართული, რასაკვირველია, და მერე ვისარგებლო ამით, და არალეგალური ბროშიურები გამოუშვა, ორიგინალური თუ არა, ნათარგმნები მაინც ხომ გვექ-

ნება. აი ეხლა შენ მითხარი საზღვარგარეთიდან მოგვივიდო, იქედან მოვახერხოთ იქნება რამე. რას მეტყვი ამაზე? — შევეკითხე ისევ და დავატყვე, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ერთი მხრით იმედი რომელიმე განზრახვა შეუსრულბელ ოცნებად მიაჩნდა, მეორე მხრივ ჩემი გულის გატეხაც არ უნდოდა ამ განზრახვის უხეშად დაგმობით. ის ჯერ შეჩერდა, მერე რაღაცნაირი იმედდაკარგული სასომიხდილი კაცის სახით გაილიმა და სთქვა:

— მაგას რა აჯობებს, თუკი მოხერხდება, მაგრამ ჯერ მაგისტოვის ძალა არ შეგვეწეს, ეცადე მაინც და... თუ არაფერი გამოვიდეს, მაგით გულს ნუ გაიტეხ. მომავალში ალბად არაღვეგალური სტამბებიც გვექნება — დაბოლოვა მან თავის რჩევა და მრავალმნიშვნელოვანად გაჩუმდა. ამ სიტყვების „გაგონების“ შემდეგ მე ხმაც არ ამომიღია და გუნებაშიც ასე ვფიქრობდი: მართლაც რომ არ მოხერხდება!

და გაჭრემდი, ორივემ ისევ მივეცი თავი მოზღვავებულ ფიქრების ახალ ტალღებს.

ასე ვიყავით გრანობა-შთაბეჭდილებებით შეპყრობილი, რომ არც ჩვენს ირგვლივ მგზავრთა ფუსფუსი, მისვლა, გასვლა, ადგომა, დაჯდომა, ვაგონის კარების წამდაუწუმ მიხეთქება და არც რამდენიმე სადგურზე მატარებლის შეჩერება არ შეგვიმჩნევია. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიეთ, როცა კონდუქტორის ხმამ „კვირილიო“ ე. ი. ყვირილის სადგურს მიუახლოვდითო — შემოგვესმა, მხოლოდ მაშინ წამოვდექით და აუტარებლად და თითქო უნებურად ვავედით ვაგონიდან ზესტაფონის სადგურზე.

დასასრული.



ბ. ბიბინიშვილი.

კ ა მ ო *

დასასმული

თ ა ვ ი XXVIII

კამო საკატორლო ციხეში:

იწყებოდა ციხის თავ მომაბეზრებელი, მოსაწყენი, ერთფეროვანი ცხოვრება. თითქოს მოისპო განთავისუფლების ყოველივე იმედი. კამოს შეეძლო გაემეორებია პოეტის სიტყვები თავის უახლოეს ამხანაგებზე, რომელნიც სწავდასხვა საკატორლო ციხეებში იყვნენ დაქსაქსულნი:

„Иных уж нет а те далеки“

დებისადმი მონაწერ ერთ წერილში ის იტყობინება „თავის ხარკოვის მისამართს“: „დროებითი საკატორლო ციხე. მთავარი კორპუსი. განყოფილება 2, საკანი № 15“. წერილები, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა გადარჩენილა, — კამოს პიროვნებას ახალნაირად გვისახავს, და ჩვენ მოგვყავს რამდენიმე ადგილი.

კამო მუდამ ამშვიდებს მახლობლებს თავისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შესახებ. თითქმის ყველა წერილში იმეორებს სტერეოტიპულ ფრაზას: „მე ცოცხალი ვარ, ჯანმრთელად და მხნეთ, ველი უკეთეს მომავალს“. „მე რკინის აგებულება მაქვს და ვერაფერი ვერაფერს მაკლებს“.

მხოლოდ ერთხელ, ეტყობა მძიმე (კუჭის) ავადმყოფობის შემდეგ, კამო ამ ფრაზას ასე სცვლის: „ცოცხალი ვარ და ცოტა უკეთ, მაგრამ ძალიან მხნედ და არ ვკარგავ იმედს უკეთესი მომავლისას.“

დებს ის დიდი სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობა. თუმცა ერთ თავის წერილში ამბ. კამო უარპყოფს ამას, მაგრამ მას კატორლის პერიოდში ემზნევა ასკეტობისადმი მიდრეკილება. შესაძლოა ეს ერთადერთი ავადმყოფური თვისება იყოს, რომელიც კატორლამ შეიტანა ამ ძლიერ და მთლიან ბუნებაში. „გართობის და თეატრების შესახებ აი რას გეტყვი: რუსეთში და საზღვარგარეთ მე პირადად ვიცნობ რამდენიმე ძალიან დიდ პიროვნებას, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეში ოთხჯერაც არ ყოფილან თეატრში და არაფერი ამით არ დაუკარგავთ“. „ყველაზე უფრო გთხოვ, — წერს ის დას პეტერბურგში 1913 წ. 17 ნოემბერს, — იცხოვრო პატიოსნად და ზნეობრივად, არ

* იბ. მნათობი № 5.

აპყვე წუთიერ განცხრომას, რადგან ადამიანს ისე არაფერი არ არღვეს ფიზიკურადაც და მორალურადაც როგორც უზნეობა. ავიღოთ თუნდაც მაგალითები ჭეშმარიტად ქრისტიანი ბერების ცხოვრებიდან, როგორც ^{ცხოვრება} სერგი წმინდანისა და სხ., რომელიც გაჭირვებასა და შრომაში ატარებდნენ თავისი ცოცხლეს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ღრმა მოხუცებულობამდე მიღწეის ჰაბტუური სიმზნევით... რომ არ იფიქრო, თითქო ასკეტოზის წვედაგებდე, მოგიყვან საერო კაცების მაგალითებს: ოგუსტ ბლანკი, მ. ბაკუნინი, ნ. შოროხოვი და სხ.—ყველამ ოცი-ოცდათი წელიწიდი განვლო ტანჯვა-წვალებაში, მაგრამ ისევ მოთმინების და მოკრძალების მეოხებით გადაიტანა ყველაფერი და კიდევ დიდხანს იცოცხლეს ჰაბტუური სიმზნევით და ენტუზიაზმით.“

„რაც შემეხება მე,—სწერს ის 1914 წ. 30 მარტის წერილში,—ძალიან ჯანმრთედად და მზნედ ვარ, ასე რომ არაფერი არ მაკლია, რადგან მეტისმეტად ზრუნავენ ჩემზე დეიდა და დები“.

საერთოდ ეს რკინის კაცი ძალიან მგრძობიარე და გულხმიერი იყო ყველაფრისადმი, რაც კი ეხებოდა მის მახლობლებს,—არა მარტო ნათესაეებს, არამედ მუშაობის და მსოფლმხედველობის მხრივ მახლობლებსაც. თავისთავად ცხადია, რომ იმ დროის წერილებში (კატორიდან) მას არ შეეძლო მოეხსენებია თავისი იდეური ამხანაგები.

საკატორლო ციხის წესების მიხედვით კამოს უფლება ჰქონდა დაეწერა მხოლოდ ერთი წერილი თვეში, ამიტომ ის ასე ვთქვათ, კოლექტიურ წერილებს სწერდა, რომელიც ჩვეულებრივ ასე იწყებდა: „გამარჯვება ძვირფასო და საყვარელო დაიებო“.

ციხეში ძალაუნებურად, ბევრი თავისუფალი დროს მეოხებით, აღრინდელზე უფრო მკაფიოდ გამოაშკარადა ამხ. კამოს დამოკიდებულება რევოლიუციური მუშაობის თეორიისადმი. მრავალ მოგონებაში იგი გამოყვანილია როგორც პრაქტიკული კაცი, რომელიც ვითომ თითქმის უსარგებლოდ სთვლიდა თეორიული საკითხების მეცადინობას. მაგრამ ეს, რასაკვირველია, შეცდომაა და ამას მრავალი მისი წერილი ადასტურებს.

კამო პირადად კარგად იცნობდა და ძალიან პატივს სცემდა ამხ. ბოგდანოვს, იმ დროს კიდევ ცხოვილ ბოლშევიკს. ის დებს სწერს ბოგდანოვის წიგნებზე: თუ მანდ (პეტერბურგში) იშოვება ბოგდანოვის „ორგანიზატორული მეცნიერება“, მიყიდე. იგი ამას წინად გამოვიდა“. იმავე წერილში: „გთხოვ და გირჩევ, საკურსო მეცადინობის გარდა თვითგანვითარებასაც მოჰკიდე ხელი. წაიკითხე აუცილებლად „ცოცხალი ცდა“ ბოგდანოვისა და იმავე ავტორის სხვა თხუზულებანი! რასაკვირველია, ამხ. კამოს არ შეეძლო აერჩია ციხიდან სხვა რომელიმე აშკარად პოლიტიკური თხუზულებანი, მაგრამ ის თვითონ დიდს ინტერესს იჩენდა მეცნიერულ საკითხებისადმი და უნდოდა ეს ინტერესი თავის მახლობლებისთვისაც გადაეცა.

¹ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. კამო იმდენად გაიტაცა ბოგდანოვმა, რომ არასგზით არ უნდოდა და არ შეეძლო გავგო, ლენინი და ბოგდანოვი რატომ ხელიხელ ჩაკიდებულნი არ მუშაობდნენ ერთად ის მშირად მუზნებოდა გულუბრველოდ, აუცილებლად უნდა „შეგარიგო ლენინი და ბეგდანოვი“... რასაკვირველია, ამაში გამოჩნდა მისი თეორიული მომზადების სისუსტე და მუდმივი თავდავიწყებული გატაცება თავბრუდამხვევი რევოლიუციური საქმეებით.

იყო მომენტი, როდესაც საკოტორლო ციხეშიც გამოკრთა გაქცევის იმედის შუქი. ეს შუქი გულმოდგინედ იფარება კამოს წერილებში ჯავახიშვილში, — და მხოლოდ უკანასკნელის მიერ განმარტებული, ერთი შეხედვით გულბრყვილო ფრაზები ვილაც ანდრიაზე, რომელსაც უნდა „უნივერსიტეტში შესული“ და რომელიც უნდა მოამარაგოს ჯავახიშვილს, — ეს ააშკარაებენ ჩვენს წინაშე გაქცევის მზადებას.

„ანდრია“ იგივე კამოა; „უნივერსიტეტი“ განთავისუფლება; ფულადი დახმარება — საჭირო საგნები, კავშირები და ფულია გაქცევის მოსაწყობად. 1915 წლის 5 ივლისს კამო სწერს დას: „კიდევ განსაკუთრებით გთხოვთ ეცადოთ რაც შეიძლება მალე მოაგვაროთ ანდრიას საქმე რადგან მას უყვარს ყველაფერი ჩქარა გაკეთდეს, თორემ დარდიანად არის ხოლმე. მაშასადამე, რაც უფრო მალე ჩააბარებს სახელმწიფო გამოცდებს და მალე იშოვის ფულებს“.. მაგრამ ეტყობა საქმე ძალიან ნელა ეწყობოდა. 1916 წ. 7 თებერვალს კამო ისევ იჩენს მზრუნველობას ანდრიას შესახებ. „ანდრიას“ ერთი წლის წინათ უნდა გაეთავებია უნივერსიტეტის კურსი, მაგრამ მიმდინარე წლის განმავლობაში მას არა თუ წინ არ ვადუდგამს ნაბიჯი შეცნირებაში, არამედ უკანაც კი დაუბრუნია ახლა ის თავის დას უსაყვედურებს — საქმეს აგვიანებო. მისი საყვედურები მეტად ძნელ მდგომარეობაში აყენებდა აპხ. ჯავახიშვილს. უკანასკნელი იმაზე ზრუნავდა, რომ მთავრობას კამოსთვის სამუშაოზე გასვლის ნებართვა მიეცა საერთო პატარმართა სამუშაოებში მონაწილეობა აძლიერებდა გაქცევის შანსს. მაგრამ უფროსები ირყეოდნენ. ხოლო კამოს მიერ კოლოფის სახელმწიფოს უფროს ვაიანთან დამყარებული კავშირი ჯერჯერობით კონკრეტულ შედეგებს არ იძლეოდა.

1916 წ. კამოს დებს და მის მახლობელ ამხანაგებს ისევ მოუხდათ დიდი მღელვარების გადატანა კამოს გულისათვის. კამომ მოიგონა გაქცევის საშინელი გეგმა. რომელიც მის მახლობს თავისი შედეგებით სახატადოდ და განუხორციელებლად ეჩვენებოდათ. კამომ გადაწყვიტა სიკვდილის მოგონება და მერე სამცხედროდან გაქცევა, რომ საჭირო მდგომარეობამდე მისულოყო და მიცვალბულის შესამსგავსი ფერი მიელო სახეზე. კამომ დაიწყო მახორკის ნახარშის სმა. ის დღითიდღე ხდებოდა და ყვითლდებოდა.

როცა ჯავახიშვილი ხარკოვში ჩავიდა, კამომ მასთან გაგზავნა კოლოფის სახელმწიფოს ვამე ვაიანი მოსალაპარაკებლად. ვაიანმა დაუმტკიცა ჯავახიშვილის სამცხედროდან გაქცევის შეუქლებლობა. ვიდრე გარდაცვლილ პატიმარს იქ გადაიტანდნენ, მისთვის თავში უნდა დაერტყათ დიდი ხის ჩაქუჩი, რაც აუცილებლად სიკვდილს გამოიწვევდა.

შეშინებულმა ჯავახიშვილმა დაიწყო გაქცევის უფრო რაციონალური საშუალებების ძებნა. ყველაზე ადვილი იყო ამის მოწყობა სახელმწიფოს საშუალებით, ვაიანის დახმარებით. მაგრამ ციხის ადმინისტრაცია ძველებურად აგვიანებდა კამოს სამუშაოზე გაყვანას, რადგან ტფილისიდან იყო გაფრთხილებული მისი გაქცევის მოყვარულობის შესახებ.

საქმე კვიანურდებოდა. კამო ლელავდა. ძალაუნებურად გვიხდებოდა მისი დარწმუნება, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ მზად არაა. მაშინ დაუწყო მან საყვედურების გზავნა მახლობლებს.

ბოლოს, 1916 წ. თითქმის ყველაფერი მზად იყო. ჯავაირა უნდა წასულიყო ხარკოვში, თან უნდა წაეღო დიდი თანხა, რომელსაც ვაიანი იტხოვდა გაქცევის ხელისშეწყობაში. მაგრამ სწორედ ამ დროს პროვოკაციის წყალობით ტფილისში დაიჭირეს მრავალი ხალხი. დააპატიმრეს, სხვათა შორის, კამოს დებიც, კამოს უშუალოდ ველარაევან ეზმარებოდა. მახლობლებმა მას დაუმალეს ჯავაირას დაქერის ამბავი, — აცნობეს მხოლოდ, რომ ჯავაირა მძიმე ავადმყოფია ფილტვების ანთებითო...

„შვილე ძვირფასო ჯავაირა, — სწერს კამო, შენი წერილი და ძალიან, ძალიან მიხარია შენი გადაწყვეტილება, რომ შენ გინდა შენს ხარჯზე გაათავებინო უნივერსიტეტი. რაც შეეხება დროს, საში თუ ოთხი თვე ძალიან დედა ვადა არ არის. მთხვე მხოლოდ, რომ სწორედ ოთხ თვეში მისცე გაათავების საშუალება, თორემ ყოველგვარი გადადება ცუდით მოქმედობს მოწაფეებზე და განსაკუთრებით ანდროიანზე. ძვირფასო, გმადლობ ამ გადაწყვეტილებიანათვის და გისურვებ წარმატებას“.

როგორც სჩანს, კამოს ისევე დაეტყო მოუთმენლობა ის მზად არის ოთხ თვეს მოითმინოს მაგრამ სიზუსტეს და შესრულებას მოითხოვს ასე, ოდესღაც, როგორც კი უშველა თავს ფსიქოტრიულ საავადმყოფოდან, ის აგინებდა მშველელ ამბანაგს „ცუდი მუშაობისათვის“, როდესაც მან, კამოს აზრით. დამპალი თოკი შეშარა მას ხელში.

მაგრამ აი მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. კამო რომელიც ყოველთვის ასე დაწყნარებული იყო მისი წერილების, მიხედვით თავს ველარ იკავებს და შფოთავს. რატომ ამდენხანს არ ითავისუფლებენ მას? ვინ არის ის ხალხი რომელმაც ძალაუფლებას მოჰკიდა ხელი? ხომ არ დავიწყებიათ იგი ამბანაგებს?

ის ფხიზლად აფასებდა იმ დღეების პოლიტიკურ სიტუაციას და სავსებით ბოლშევიკურად აცხადებდა უკმაყოფილებას, რომ ხელისუფლებას ბურჟუაზია დაეპატრონა. აი მისი მეტად საინტერესო წერილი.

1917 წ. 5 მარტი. გამარჯობათ ძვირფასო დებო. აი რა უნდა გითხრა, ძვირფასებო: ძველი წიგნილება ახალმა შეცვალა მაგრამ მე არაფერ კარგს არ მოქველი, რადგან იმ ხალხს, რომელიც ხელისუფლებას სათავეში მოექცა, მე მგონია, არ შეუძლია ხეირიანი რამე გააკეთოს. თემცა ისინიც ანთავისუფლებენ პოლიტიკურებს, ვისაც გადაწყვეტილი აქვთ 102 მუხ. I და II ნაწ. ძალით ექსპროპრიაციისათვის, ძვირფასებო! თქვენ ნუ გადააპარებებთ მომენტის დაფასებაში და ნუ ლეღავთ ჩემი გული-სთვის. მე ჯერ არ გაუთავისუფლებიათ და არც ვიცი განანთავისუფლებენ თუ არა — თემცა გველამ იცის, რამ ყველა ჩემი საქმე რევოლიუციური მიზნებისათვის იყო ჩადენილი მიუხედავად ამისა, თუ მაინც არ გამათავისუფლეს, თქვენ არ იღაიადარაბოდ და ნურავის ნუ სთხოვთ ჩემს შესახებ. თუ დამივიწყებენ, მით უკეთესია ჩემთვის და მით უარესი მათთვის. მხოლოდ გთხოვ, ძვირფასო ჯავაირა, მოხვიდე ჩემთან რაც შეიძლება მალე და თუ მომტყუებ, არ შემისრულებ დაპირებებს, როგორც აქამდე, იცოდე, ჩემგან მეტ წერილს ველარ მიიღებ და ყოველგვარ კავშირს გაწყვეტ“.

„კავშირის გაწყვეტის“ მუქარა ეტყობა, იმან გამოიწვია რომ ჯავაირამ ვერ მოახერხა გაქცევის საქმის მოწყობა, კამო ფიქრობდა, ვითომ ჯავაირამ გაქცევის ორგანიზაცია იმიტომ გადადო, რადგან მარცხისა და გაქცევულის აუცილებელი დაღუპვისა შეშინდა. მხოლოდ ასეთი აზრებით შეიძლება აი-

ხსნას კამოს შემდგომი სიტყვები და მოულოდნელი, ტექსტთან დაუსაკმარებელი, გახსენება ცნობილი „ანდრეასი“:

„თუმცა კავშირის გაწვევა ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ რა ვქნა, როდესაც შენ არ გცემენ პატივს როგორც პიროვნებას და გიბრალებენ, როგორც ძმას? ეს შეტრიალება ჩემთვის დიდი შეურაცყოფაა. მე ამას ვამჩნევდი ამდენხანსაც, მაგრამ ვითმუნდო და უღიჟღავნებდი: ვნახავთ ერთმანეთს და მოვილაპარაკებთ ეს კი სხვადასხვა მიზეზების გამო ამდებანს ვერ მომიხერხდა. მე ცოცხალი ჯანმრთელი და ძალიან, ძალიან მზნედ ვარ. ანდრეას ფული არ მიუღია, ამბობს, არც უნდა გამოგვახვანთ, რადგან საჭირო არ იყო.“

ამხ. კამოს მოუთმენლობას შოთე შოელო ბოლო. 6 მარტს, ე. ი. ამ წერილის დაწერის მეორე დღეს, ის გაანთავისუფლეს ხარკოვის საკანტროლო ციხიდან. კიდევ ერთხელ აჯობა მან სიკვდილს.

თავი XXIX

კამოს რაზმი

რომ უფრო მიუახლოვდეთ კამოს და გავიგოთ მისი ტრალიკული—არაჩვეულდობრივი ცხოვრება, საჭიროა მოკლედ მიინც გავეცვოთ იმ გარემოს იმ მებრძოლთა ჯგუფს რომლის შორისაც მიმდინარეობდა კამოს ცხოვრება.

ამ ჯგუფს ამხ. კამო ხელმძღვანელობდა. კამო მეორე ამხანაგთან ერთად ამხადებდა მას თვითმყობელობასთან საბრძოლველად ნერგავდა, და ამტკიცებდა მის წევრებში დისციპლინას, ზდიდა მათ შეურიგლობისა და რევოლიუციის უსახლგრო ერთგულებაში. ეს იმას არ ნიშნავს თითქოს ჯგუფის დანარჩენი წევრები დიდათ ჩამორჩებოდნენ კამოს ინტელექტუალურად. უეჭველია; კამოს მოსდგამდა განსაკუთრებული იატაკ ქვეშ მუშაობისათვის სასარგებლო თვისებები—სიზუსტე, სიმტკიცე საქმის გარემოების ყოველმხრივ აწონ-დაწონა და სხვა; რაც მას ზდიდა ჯგუფის მიჩნეულ ხელმძღვანელად, მაგრამ ბევრი მისი თანამებრძოლთაგანი მასზე ნაკლები არ იყო როგორც ადამიანი და როგორც რევოლიუციონერი ძალიან დიდი რევოლიუციონერები იყვნენ ელისო ლომინაძე, რომელიც კატორლაში იხდიდა სასჯელს გერმანე მგალობლიშვილის სახელი (უკანასკნელის პარსპორტი ჰქონდა), ვანო (სტეპკო) ინწყირველი, დათიკო ჭიებრიშვილი და სხვა. ჯგუფის სხვადასხვა წევრთა ხედვრითი წონის შედარება გვაჩვენებს თუ როგორ კემზარითად მარქსისტულად სწყვეტდნ უკვე იატაკქვეშეთის ეპოქის ბოლშევიკები საკითხს „გმირის“ და „ბრბოს“ შესახებ. „გმირი“ იყო ყველა. ხოლო „ბრბოს“ ცნება არ შეესაბამებოდა ბოლშევიკური ამხანაგურობის აგებულობას.

გმირები იყვნენ ყველანი, ხოლო ამ გმირულ ბატალიონთა გამძლოლნი იყვნენ თანასწორნი. თანასწორთა შორის, განსაკუთრებული საბრძოლველი თვისებების მქონენი, იატაკქვეშეთის გამახვილებული და თავისებური ტექნიკის წარმომადგენლები. ძალიან ხშირად (როგორც ეს იყო კამოს შემთხრევაში) რკინისებური სიმტკიცე რომელიც სქვალავდა რევოლიუციონერის მთელ პიროვნებას, ეშაფოტზე წასვლის არ ნდომა და სიკვდილის არაფრად ჩაგდება, უსახლგრო სიმტკიცე და თავდადებულობა რევოლიუციური მოღვაწეობის უფლების დაცვაში, კოლექტივის ინტერესების მეტად დამაფრული გრძნობა,—ყველა ამ

თვისებების შეერთება ხდებდა ადამიანის ხელმძღვანელებად ამხანაგებს შორის, რომელიც განუსჯელად მიდიოდენ სასიკვდილოდ, რომელთაც არ სწოდებოდათ პირადად თავისთვის ებრძოლათ და ამის გამო ერთობ მალე იღუპებოდენ, და რომლებშიც პირადი გმირობის გრძნობა ფარავდა გამარჯვების უკულოქტიური მოძრაობის შეგნებას.

მტკიცედ შეკავშირებული რევოლუციური რაზმის გარეშე და მის დამოუკიდებლად ერთს თუ ორ პიროვნებას არ შეეძლო იმდენი რევოლუციური გმირობის ჩადენა, რამდენიც ჩაიდინა ამხ. კამოზ. კამოზ ჯგუფი შესდგებოდა გამბედავებისა და გმირებისაგან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თვითეული მისი მონაწილე ყოველ წუთს მზად იყო სიცოცხლე შეეწირა საერთო მშრომელთა საზოგადო საქმისათვის. ამით აიხსნება, რომ ამხ. კამოზ პატარა რაზმი თითქმის მთელი ათეული წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მთავრობას მისი აგენტების ხოცვით და გაბედული ექსპროპრიაციებით ამიერ კავკასიის და რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ჭეშმარიტად, ნაცვლად თანამედროვე სოცშეჯიბრისა ჩვენ მაშინ საქმე გვექონდა რვეშეჯიბრთან.

არ უნდა იფიქროთ, რომ მებრძოლი რაზმის წევრები მხოლოდ ტერორისტულ აქტებს და ექსტებს ახდენდენ. თვითეული მისი წევრი ასრულებდა მრავალ სხვა პარტიულ დავალებას ყოველთვის ძლიერ გამძაფრებულ პერიოდებშიც კი, მუდამ დატვირთული იყო მისი ძალღონის და გემოვნების შესაფერისი მუშაობით: არალეგარული ლიტერატურის ტრანსპორტი, პროპაგანდა, აგიტაცია, დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. აჯანყების ტექნიკური მზადება და სხვა. მშრომელთა საქმისადმი ერთგულების გამოჩენით, შეუპოვრობით და თავგანწირულობით ხსენებული რაზმის მრავალი წევრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ჩამოუარდებოდა ამხ. კამოზ, ხოლო ზოგიერთები ბევრ რამეში კიდევ აღემატებოდენ მას.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათ შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ცნობა გვაქვს დარჩენილი. ეს აიხსნება ან იმით, რომ ისინი არ წარმოადგენდენ დიდი, გაბმურებული და რთული პროცესების ობიექტებს, — ან იმით, რომ ისინი ერთობ მალე ჩაუარდენ მტერს ხელში, ჩაყრილი იქნენ „ქვის ტომრებში“ და იქ უდროვოდ დაიღუპენ და ისე, რომ ვერ მოასწრეს გაეშეღათ სავსებით მთელი თავიანთი ძალღონე.

რადგან ჩვენ არ გვექონდა კამოზ ჯგუფის ცალკე მონაწილეთა შესახებ დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები, ამიტომ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ამ ჯგუფის შემადგენლობას და მოკლედ დავახასიათებთ ზოგიერთ იმის წევრს. ჯგუფის წარმოშობასა და მუშაობაზე ერთერთი მისი აქტიური ხელმძღვანელი და მონაწილე მოგვითხრობს:

„1906 წლის დამდეგს, განსაკუთრებით მარტსა და აპრილში, ტფილისი წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს. თარეშობდა უსაშინელები რეაქცია. ქუჩაზე გამოსვლა საშიშარი იყო. იყო საყოველთაო ჩხრეკა და დაქერა. დაქერილებს საპატიმროში მიყვანამდე ხშირად კლავდენ იმ საბაბით, რომ ვითომ ისინი გაქცევას აპირებდენ. შემდეგ რეპრესიებმა, შეურაცყოფამ და ყოველი ადამიან-

ნური უფლებების გათვლევამ სიტუაციური ხასიათი მიიღო, საყოველთაო ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. „მკედრებით აღდგენილი“ თვითმპყრობელობის სისტემა იძიებდა შურს რევოლუციონერებზე. მთელი ძალაუფლება სამხედრო უწყების ხელში იყო და არაფერი არ ფიქრობდა არაფერთარ კანონიერებას. მმართველობის მოქმედებამ ჩვენს ორგანიზაციაში გამოიწვია ტერორისტული მისამართულობა. პირველ ხანებში პოლიტიკურ ტერორისტულ აქტებს აწყობდა მთავარი ორგანიზაცია—ტფილისის კომიტეტი—თვითმპყრობელობის ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ მსახურთა წინააღმდეგ, გენერლების, ჯაშუშების და პროვოკატორების წინააღმდეგ.

იმ დროს ბოლშევიკები და მენშევიკები ჯერ კიდევ ერთ ორგანიზაციაში მუშაობდნენ. იმართებოდა პოლემიკა ტაქტიკურ უთანხმოებაზე და გაზეთებში იბეჭდებოდა სადისკუსიო სტატიები. იყო გახურებული მზადება გამაერთიანებელ ყრილობისათვის. ამიერკავკასიის დელეგატების უმრავლესობა გარდა ბოლშევიკებისა მენშევიკურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა.

გამაერთიანებელი ყრილობა სტოკჰოლმში მოხდა 1906 წ. აპრილში (პარტიის IV ყრილობა). თუმცა ფორმალურად გაერთიანება მოხდა, მაგრამ უთანხმოება თანდათან ღრმავდებოდა. მუშაობა ერთ ორგანიზაციაში მალე შეუძლებელი შეიქნა.

ჩვენ ბოლშევიკები საქართველოში წარმოვადგენდით პარტიის უთანასწორო ნაწილს. მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში უმბრავლესობა და ყველგან და ყველგან თაფიანთი ხაზი გაჰყავდათ.

ჩვენ ერთად ვმუშაობდით, როცა მენშევიკების თაოსნობით მოეწყო ეგრეთწოდებული ექსპროპრიაციული ჯგუფი. ერთ ასეთ ორგანიზაციის სათავეში ვიყავი მე, რამდენადაც ბოლშევიკებს არაფერი საწინააღმდეგო არა ჰქონდათ სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაციის. პარტიამ ექსისტური ჯგუფის სახელმძღვანელოდ ამხ. ბანურიანი. გამოჰყო მას უნდა ეცნობებია ჩვენი ჯგუფისათვის, თუ საიდან და რა სახაზინო ქონებისათვის უნდა მოკვებდინა ექსპროპრიაცია. როგორც ვიცით, გამაერთიანებელ ყრილობაზე ექსპროპრიაციები დაგმობილი იქნა მენშევიკების ხმებით. მე ამხ. შანურიანს შევეციითხე: ამიერიდან გვაქვს უფლება რაიმე ექსის მოსაწყობად, რას ამბობს ამის შესახებ ნოე ჟორდანიანი? ამხ. შანურიანი მა სიტყვა-სიტყვით შემდეგი მიპასუხა:

„თუმცა ყრილობამ ოფიციალურად დატოვა ექსპროპრიაციები, მაგრამ არა ოფიციალურად მან ეს საქმე ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუტოვა ვადსაწყვეტად. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, ექსები უნდა მოეწყოს; ასეთივე აზრისაა ამის შესახებ ნოე ჟორდანიანიც; ის თანახმაა, რომ ჩვენმა ჯგუფმა განაგრძოს მუშაობა“.

ჩვენ შეუდექით საქმის მოგვარებას პრაქტიკულად, მაგრამ ამხ. ბანურიანი ცუდი ორგანიზატორი აღმოჩნდა. მან ვერც ერთხელ ვერ მოგვცა საჭირო კავშირები. ერთ ხანს კიდევ ველოდით უშედეგოთ ბანურიანის მითითებას. მაშინ მე გადავწყვიტე შემედგინა წმინდა ბოლშევიკური ექსისტური ჯგუფი. თუ რამე ვიშოვეთ—ფიქრომდის მე.—უკეთესია ექსპროპრიირებული ფული მოხმარდეს ჩვენს ფრაქციას და არა იმ ორგანიზაციას, რომელშიაც უმრავლესობას მენშევიკები წარმოადგენდნენ. ჩვენი მოწინავე ამხანაგებიდან ამას განსაკუთრებით ამხ. კობა (სტალინი) ეთანხმებოდა.

იმავე ხანებში წარმოიშვა მენშევიკების ექსისტური ჯგუფიც, მაგრამ ჩვენს და მენშევიკურ ჯგუფებს შორის მალე გამოაშკარავდა არსებითი განსხვავება. მენშევიკური ჯგუფები სრულიათ მოწყვეტილი იყვნენ ~~პარტიის~~ ორგანიზაციას, ამიტომ ისინი მალე გაიხრწნენ. მათი მონაწილე უმრავლესობა ჩვეულებრივ ბანდიტებად გადაიქცენ. ბოლშევიკებმა კი ზეღმძღვანელებად მისცეს ამხანაგებს (რომელიც იძულებული იყვნენ რეაქციის ხანაში არალეგალურად ეცხოვრათ და იარაღით ხელში დაეცვათ თავი მთავრობისაგან) უღარესად ხელწმინდა და ორგანიზაციის სრული ნდობით აღჭურვილი მეთაურები.

ჯგუფის არცერთ წევრს არც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი პარტიასთან, ყველა ისინი ასრულებდნენ პარტიულ დავალებებს სამხედრო მუშაობაში.

ასე რომ ჩვენი ექსისტური ჯგუფი წარმოადგენდა ჩვენ პარტიის სამხედრო ორგანიზაციას, მის რაზმს, რომელიც ექსპროპრიაციის გარდა იარაღის შექმნაზე ზრუნავდა, ახდენდა ტერორისტულ აქტებს, მუშაობდა უჯრედებში, ერთი სიტყვით მთელი პარტიური მუშაობის კურსში იყო. ეს სწორედ ის შესანიშნავი ჯგუფია, რომელმაც ექსპროპრიაცია მოახდინა ერევნის მოედანზე და 250 ათასი მანეთი გაიტაცა. ამ ჯგუფის ზეღმძღვანელი, ჩემი დაპატიმრების შემდეგ, ამხ. კამო გახდა.

აი ამ ჯგუფის წევრთა სია:

1. კამო,
2. ალიპი ცინცაძე,
3. ვანო (სტეპკო) ინწკირველი,
4. ელისო ლომინაძე (ცხოვრობდა არალეგალურად და გადაუწყდა კატორრა ამხ. გერმანე შვალაობლიშვილს პასპორტით),
5. ვანო კალანდაძე,
6. არკადი (აგორდია) ელბაქიძე,
7. თომა ჩუბინიძე,
8. დათიკო ჭიბბრიშვილი,
9. ბაქუა კუპრაშვილი,
10. გიგო მათიაშვილი,
11. თეოდოლე კაკრიაშვილი,
12. ილიკო ჭაქიაშვილი,
13. კოსტა ფანჯანაძე,
14. აკაკი დალაქიშვილი,
15. ამბაკო სამანიშვილი,
16. სერაფიონ ლომიძე,
17. ვალოდია ხუტულაშვილი,
18. ვანო შიშმანოვი,
19. მარტიროს ლოლაძე,
- მათ შორის იყო რვა ქალი,
20. ფაცია ვალდავა,
21. სულაქველიძე ანეტა,

22. საშა დარახველიძე,
23. მარო ბოკორაძე,
24. ლუბა გოცირიძე,
25. ლოლა წულუკიძე,
26. ნინა დიდიძე,
27. ჯავაირა ხუტულაშვილი (კამოს და).



ამ ჯგუფთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებული და ყოველნაირად უწყობედნენ მას ხელს შემდეგი ამხანაგება: მიხა ბოკორაძე და დეიდა მისი მამა, სერგო ქავთარაძე, ბუდუ მდივანი, ვასიკო წიფწივაძე, ბარონ ბიბინიშვილი, მელიტონ ფილია (ავგუსტულა), გალაქტიონ ვაშაძე, ერემა და ვანო ლომთათიძეები, კატია და ლიუბა გოცირიძენი, შაქრო ზალინოვი და სხ.

მოვიყვანათ ჯგუფის უცნობილეს წევრთა ბიოგრაფიული ცნობები. მთელი ჯგუფის გმირული მოქმედების აღწერა მუშათა კლასის გასამარჯვებლად ბრძოლაში არ შედის ამ წიგნის ფარგლებში და იგი ელის თავის ისტორიკოსს¹.

ტფილისში ჯგუფის წევრებს, ამა. ლომიძის მოწმობით, კონსპირატიული ბინები ჰქონდათ ქალაქის სხვადასხვა უბანში. ერთი ბინა იყო ვერაზე, პეროვის ქუჩა № 35; მეორე იმავე რაიონში მღეთის ქუჩაზე; მესამე—ჩულურეთში, გან-ჩარნაია № 14, მეოთხე—არსენალის ქუჩაბანდი № 5. ვანო კალანდაძე და ბ. კუპრაშვილი ცხოვრობდნენ მიხეილის (დღეს პლებანოვის) პროსპექტზე ფოტო-გრაფ მალალაშვილთან როგორც სტუდენტები. თითქმის ყველა ამხანაგებს ქონდათ ამ სტრიქონების ავტორის მიერ გაკეთებული პარსპორტები; ხოლო სხვადასხვა-გვარ მოწმობებით ჯგუფს ამარაგებდა აგრეთვე ამხ. ლომიძე. ჯგუფის წევრები არ ეწერებოდნენ საპოლიციო უბნებში, რომ ქუჩაზე დაპატიმრებისას (საყოველთაო ჩხრეკის და ძებნის დროს, ეს შესაძლებელი იყო ყოველწუთს) ეთქვათ, რომ ჩამოვიდნენ დაპატიმრების დღეს და ბინა არა აქვთ.

ორი ექსპროპრიაციით (ქუთაისისა და ქიათურაში) აღებული ფული სულ გაიგზავნა პეტერბურგში. ჯგუფის წევრები ხშირად საშინელ გაქვირებას განიცდიდნენ, ნახევრად შიმშილობდნენ, მხოლოდ პურსა და ყველზე გადადიოდნენ, თუ ვისმე გაუჩნდებოდა რამე. ყველანი ერთად ყიდულობდნენ ფქვილს, ხოლო ბაბო და მარო ბოკორაძეები ამ ფქვილისაგან პურს აცხობდნენ ხშირად ამხანაგები ვისმე თავისიანს გაგზავნიდნენ ფულის საშოვნელად; ის უშედეგოდ დარბოდა, საღამომდე, ისინი კი მშვირები ელოდნენ. რა მხიარულება იყო ხოლმე, როცა მხანაგი გამოჩნდებოდა პურით, ძებვით და პაპიროსებით დატვირთული.

ჯგუფის წევრები შეიარაღებული იყვნენ თითქმის მხოლოდ მაუზერის სისტემის რევოლვერებით. ამხ. კამომ შემდეგში უშოვა მათ მარსის სისტემის რევოლვერები: მარსის სისტემა უფრო ახალი იყო მაუზერზე და უფრო ადვილ სახმარებლად ითვლებოდა. ჯგუფს ბევრი ჩვეულებრივი ყალიბის ყუმბარა

¹ ამ თავს საფუძვლად უდევს სპეციალურად ჩვენი თხოვნით დაწერილი ამხ. ბატუა კუპრაშვილის და სერ. ლომიძის მოგონებები, —ხოლო ბიოგრაფიული ცნობები ნაწილობრივ ამოღებულია 1925 წ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.—ის პარტიის მიერ გამოცემულ ალბომიდან „საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია“.

ჰქონდა. შემდეგში აშხ. კამომ პეტერბურგიდან, როგორც ისინი უწოდებდნენ, „სტოლიპინის სასტუმოს“ დინამიტი ჩამოიტანა. ეს სახელწოდება იქიდან წარმოსდგა, რომ ასეთნაირი დინამიტი პირველად ესერებმა იხმარეს სტოლიპინის ბინის ასაფეთქებლად. ამ დინამიტს ძალიან დიდი რღვევის ძალა ჰქონდა.

თავისუფალ დროს ჯგუფის წევრები რეგულარულად იწვრთნებოდნენ სროლასა და ყუმბარის ტყროცნაში. ამაში ისინი უმთავრესად ვერაზე ვარჯიშობდნენ კუს ტბის ახლო. იარაღის საწყობები იყო მღეთის და პეტროვის ქუჩაზე და აბასაბდის მოედანზე. იარაღის ნაწილი არსენალის ქუჩაბანდზე ბ. კუპრაშვილსა და ვ. კალანდაძესთან ინახებოდა.

აღვნიშნავთ ზოგიერთ ექსპროპრიაციას, რომელიც მოახდინა სხვადასხვა დროს ან მთელმა ჯგუფმა, ან მისმა ცალკეულმა წევრებმა.

- 1) ექსპროპრიაცია ტფილისის ლომბარდში,
- 2) საფოტო მატარებელზე თავდასხმა ჭიათურის რკინის გზის შტოზე (წაღებულ იქნა 21 ათასი მან.),
- 3) ფოსტის ექსპროპრიაცია კოჯრის შოსეზე (წაღებულ იქნა 21000 მან.);
- 4) ექსპროპრიაცია ერევნის მოედანზე ტფილისში;
- 5) გორის ზახინის ქვეშ გვირაბის გაყვანა ექსპროპრიაციის მიზნით.
- 6) მეორე ექსპროპრიაცია კოჯორის გზაზე, ექსპროპრიაცია ქუთაისში და სხვა.

ჯგუფის წევრთა აქტიური მონაწილეობით მოხდა შემდეგი დიდი აქტები (არ ვისხენიებთ მრავალ წვრილ ტერორისტულ აქტებს):

- 1) ბაქოს ციხიდან აშხ. თ. ჩუბინიძის განთავისუფლება;
- 2) გვირაბის გათხრა ქუთაისის ციხეში, რისი შედეგებითაც გაიქცა ოცდათექვსმეტი პოლიტიკური ტუსაღი, რომელთა შორის რამდენიმეს სიკვდილით დასჯა მოელოდა.

3) აშხ. კამოს განთავისუფლება ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან და სხვ. გადავიდეთ ჯგუფის ცალკე წევრთა დახასიათებაზე:

ვანო (სტეკო) ი ნ წ კ პ ი რ ვ ე ლ ი, — დაიბადა 1886 წ. სწავლობდა სოფლის სკოლაში, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გამორიცხულ იქნა 1904 წ. უაქტიურეს მონაწილეობას იღებდა ყველა რევოლუციურ გამოსვლაში 1905 წ. მოკლულ იქნა ბაქოში პოლიციასთან სროლის ატეხის დროს 1908 წ. მაისში.

ე ლ ი ს ო ლ ო მ ი ნ ა ძ ე, — რევოლუციური მუშაობა დაიწყო ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდამ 1901—1901 წ. 1903 წ. მოაწყო ახლად გაწვეულ ჯარისკაცთა დემონსტრაცია ბათუმში. 1904 წ. მას მინდობილი ჰქონდა ლიტერატურის და იარაღის ტრანსპორტი მთელს კავკასიაში. 1905 წ. შევიდა ბოლშევიკების მებრძოლ რაზმში და იღებდა მონაწილეობას ყველა ექსში. იყო იარაღის ტრანსპორტისთვის პეტერბურგში. დააპატიმრეს 1908 წ. მებრძოლი რაზმის სხვა წევრებთან ერთად გადაუწყვიდა ექვსი წლის კატორღა. ციმბირიდან დაბრუნდა 1917 წ. და გარდაიცვალა იმავე წელს ქლეკით.

ვ ა ნ ო კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, — მუშა, დაიბადა 1880 წ. 1901 წ. მიიღო მონაწილეობა პირველი მაისის დღესასწაულში და დემონსტრაციებში. ტფილისიდან

გადავიდა ბათუმში. მუშაობდა როტშვილის ქარხანაში და ეწეოდა პარტიულ მუშაობას. 1905 წ. მიიღო მონაწილეობა კახაკთა თავდასხმაში ნაძალადევი. შემდეგში მუშაობდა მეტროპოლ რაზმში ტფილისში. დააპატიმრეს 1908 წ. გადაუწყვიტეს 6 წლის კატორღა. გარდაიცვალა საქატორღა ციხეში 1911 წ. კლექით.

არკადი ელბაქიძე (აგორდია),—ჯგუფში შევიდა 1907 წ. მანამდე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში; 1906 წლიდან ბოლშევიკი. 1909 წ. დააპატიმრეს და გადაასახლეს ადმინისტრაციული წესით. თავის ნებით დაბრუნდა; ხელახლა დააპატიმრეს 1910 წ. და გადაასახლეს ციზბირში. ციზბირიდან გამოიქცა და ფეხით მოვიდა საქართველოში. 1917 წ. ეწეოდა პარტიულ მუშაობას და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ებრძოდა მენშევიკებს. მენშევიკებმა ელბაქიძე დააპატიმრეს და გადაასახლეს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამის შემდეგ ელბაქიძე მუშაობდა თერჯის ოლქის ჩეკაში, როცა დენიკინმა ჩრდილო-კავკასია დაიკავა, ის დაბრუნდა საქართველოში. 1919 წ. სექტემბერში ორგანიზაციის დავალებით სხვა ამხანაგებთან ერთად ყუმბარა ესროლა დენიკინის წარმომადგენელს გენერალ ბარათოვს და მძიმედ დასჭრა იგი. ამ აქტის დროს მოკლულ იქნა მენშევიკური მილიციონერების მიერ.

თომა ჩუბინიძე,—აქტიური მონაწილე შორაპნის რაიონის გლეხთა აჯანყების, რევოლუციის დამარცხების დროს ამხ. ჩუბინიძეს იარაღი არ დაუყრია. ის შეუერთდა ა. მერკვილაძის მეტროპოლ რაზმს. რაზმის დაშლის შემდეგ გადავიდა ბათუმში. აქ ის დააპატიმრეს და გადმოიყვანეს ქუთაისის ციხეში. მას სიკვდილით დასჯა მოელოდა. მაგრამ ჩუბინიძე გაიქცა ციხიდან სხვა ამხანაგებთან ერთად (1907 წ.) ბოლშევიკთა ს.—დ. ორგანიზაციის მიერ გათხრილი გვირაბის საშუალებით. ის ხელახლა დაიჭირეს ბაქოში პარტიული მუშაობის დროს (1909 წ.), ამასთან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და დაჭრილ იქნა. ამხანაგების დახმარებით გაიქცა ციხიდან. 1909 წ. დაიჭირეს გორში. სამი თუ ოთხი წლის წინასწარი პატიმრობის შემდეგ ამხ. ჩუბინიძეს გადაუწყვიტეს ოთხი წლით გამასწორებელ რაზმში მუშაობა. ის გაანთავისუფლა თებერვლის რევოლუციამ და ისევ პარტიული ცხოვრების ორომტრიალში მოემტა. პარტიის დავალებით, მონაწილეობას ლეგულობდა დუმეთის გლეხთა აჯანყებაში მენშევიკების წინააღმდეგ. აჯანყების ჩაქრობის დროს მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა სოფ. ყახბეგში.

დათიკო კიბარევილი,—ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი, რაზმელი 1906 წლიდან. ლეგულობდა მონაწილეობას ქუთაისში 1906 წ. ფოსტაზე თავდასხმაში, 1907 წ. ერევნის მოედანზე მომხდარ აქტში. 1908 წ. კოჯრის გზაზე ფოსტაზე თავდასხმისას დაიჭრა მცველების დასახმარებლად გამოქვეულ, საადლუმოდ მიმავალ კახაკების სროლის ატების დროს. სისხლის დენით დასუსტებულმა ამხ. კიბარევილმა, როგორც იქნა მიიღწია ტფილისის გარეთუბნებამდე, სადაც ის გონებადაკარგული შეჩაპრო პოლიციამ. გადაუწყვიტეს კატორღა. გარდაიცვალა ორიოლის ცენტრალურ საქატორღო ციხეში 1912 წ.

სამოელ (ბაქუა) კუპრაშვილი, 1904 წლიდან მუშაობდა ქუთაისის ორგანიზაციაში, როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი. ხელმძღვანელობდა



ხარაგოულის ორგანიზაციის მებრძოლ რაზმს 1905 წ. აჯანყებაში დაგეგმ. ალი-ხანოვის დამსჯელი ექსპედიციის საწინააღმდეგო გამოსვლის დროს.

ჯგუფში შევიდა დაარსებისთანავე. ლებულობდა მონაწილეობას ფოსტის ექსპროპრიაციაში ზორჯომის გზატკეცილზე, ქიათურის რკინის გზაზე, 1906 წ. ქუთაისში დაერევნის მოედანზე 1907 წ. მონაწილეობდა აგრეთვე 1907 წ. ქუთაისის ციხეში გვირაბის გათხრაში. დაპატიმრებულ იქნა 1908 წ. დამდევს. გადაასახლეს ჩელიაბინსკში. გამოიქცა. მიიღო მონაწილეობა 1912 წ. კოჯრის გზაზე ფოსტის თავდასხმაში. დაპატიმრებულ იქნა 1913 წ. დამდევს კამოსთან ერთად. გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ რომანოვების სახლის სამასი წლის იუბილეს გამო გამოცემული მანიფესტის ძალით სიკვდილი ოცი წლის კატორღით შეუცვალეს. გაანთავისუფლა თებერვლის რევოლუციამ.

გიგო მათიაშვილი, — 1904—7 წ. წ. მუშაობდა ტფილისის ორგანიზაციაში. რაზმელი. იყო 1908 წ. სპარსეთის რევოლუციის ერთერთი ხელმძღვანელი. დაბრუნდა საზღვარგარეთიდან კამოსთან ერთად, მონაწილეობას იღებდა კოჯრის გზაზე მომზდარ ექსში. კამოსთან და ბაქუსთან ერთად იქნა დაპატიმრებული 1914 წ. გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, რაც მანიფესტის ძალით შეუცვალეს ოცი წლის კატორღით. გარდაიცვალა ორიოლის ცენტრალურ საკატორღო ციხეში 1915 წ.

ილიკო ქაქიაშვილი, — მუშაობდა ქუთაისის ორგანიზაციაში 1903—6 წ. წ. რაზმელი. ჯგუფში შევიდა 1908 წ. ლებულობდა მონაწილეობას ექსპროპრიაციაში ქუთაისში, ერევნის მოედანზე, ქუთაისის ციხის გვირაბის გათხრაში და 1908 წ. კოჯრის გზაზე ფოსტის თავდასხმაში. იმავე წელს სხვებთან ერთად იქნა დაპატიმრებული. გარდაიცვალა ტფილისში. 1909 წ. მეტეხის ციხეში

თეოფილე კაკრიაშვილი, მუშაობდა ქუთაისის და რაჭის ორგანიზაციებში 1904—5 წ. რაზმელი. ლებულობდა მონაწილეობას ექსში ერევნის მოედანზე. 1906 წ. ტფილისში შტაბის ქუჩაზე ბანკის მმართველის თავდასხმის დროს შეპყრობილ იქნა, — ყუმბარა არ აფეთქდა პოლიციისთან სროლის ატეხის დროს. ხელში გაუსკდა რევოლვერი, რამაც მოაგლიჯა თითები. მალე ჩამოაღრჩვეს. ამხანაგებმა ვერ მოასწრეს მისი გაქცევის მოწყობა.

აკაკი დალაქიშვილი, — მუშაობდა ქუთაისის ორგანიზაციაში 1903—6 წ. წ. ჯგუფში შევიდა 1907 წ. იღებდა მონაწილეობას ფოსტაზე თავდასხმაში 1907 წ. ქუთაისში; ექსში ერევნის მოედანზე 1907 წ. და ქუთაისის ციხის გვირაბის გათხრაში. 1907 წ. გადასახლებულ იქნა ჩრდილოეთ გუბერნიებში, საიდანაც საქართველოში 1913 წ. დაბრუნდა. რადგან იმ დროს ჯგუფის წევრთაგან უკვე აღარავინ იყო, ქუთაისის ორგანიზაციაში გადავიდა და საერთო არალეგალურ მუშაობას შეუდგა. იყო ჩეკის კოლეგიის წევრი ქუთაისში 1921 წ. მოკლულ იქნა შემთხვევით გასროლილი რევოლვერის ტყვიით.

ვანო შიშმანოვი, — მუშაობდა ტფილისის ორგანიზაციაში რაზმელი. შეასრულა რამდენიმე დიდი ტერორისტული აქტი ტფილისში 1905—6 წ. ჯგუფში შევიდა 1907 წ. იღებდა მონაწილეობას ერევნის მოედნის ექსში 1097 წ. გამუდმებით მუშაობდა ჯგუფში. გარდაიცვალა 1921 წ. ქლექით.

ამბაკოს ამანიშვილი, — დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში 1905 წ. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომ შევიდა შორაპნის მაზრის გლეხურ წითელ ოჯახში 1906 წ. რეაქციის პირველ დღეებშივე იქნა შეპყრობილი და დადევნებული სხვადასხვა სასამართლოს. ქუთაისის ციხეში მიიპყრო ამბანაგების მკაცრად დასჯილი პირველი ლებრივი სიმამაცით. მან თვით ციხის შენობაში მოკლა ძველი სასტიკი ზედამხედველი. მკვლელობა ისე ჩქარა და მარჯვედ მოხდა, რომ აღმინისტრაციამ მკვლეელი ვერ აღმოაჩინა. ამავე დროს ციხეში მყოფ ა. ცინცაძემ და მ. ბიბინეიშვილმა, რომელთაც აგზავნიდნენ აღმინისტრაციულად ჩრდილოეთ გუბერნიებში, მოახერხეს ამბ. სამანიშვილის წაყვანა სხვა ახალგაზრდის მავიერ. ის კოტესთან ერთად დაბრუნდა გადასახლებიდან 1907 წ. დარჩა ჯგუფში, ლეპულობდა მონაწილეობას 1908 წ. კოჯრის გზაზე თავდასხმაში, 1909 წ. გორის ხაზინის გვირაბის გათხრაში.

რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. ერთერთი გაქცევის დროს 1910 წ. მძიმედ დაიჭრა. 1912 წ. მან ისევ მოახერხა გაქცევა ქუთაისის ციხიდან. შეპყრობილ იქნა რამდენიმე თვის შემდეგ პროვოკატორის ჩვენებით, 1914 წ. გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს სასჯელი მანიფესტის ძალით ოცი წლის კატორღით შეუცვალეს 1915 წ. მოკლულ იქნა სასამართლოს შენობაში გაქცევის ცდის დროს.

მარტიოს ლოლაძე, — ტფილისის ორგანიზაციის რაზმელი. იღებდა მონაწილეობას კოჯრის გზაზე ექსპედიციის კამოსთან ერთად გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა; მანიფესტის ძალით სიკვდილით დასჯა შეუცვალეს ოცი წლის კატორღით. გარდაიცვალა 1921 წ. ქლექით.

სერაფიონ ლომიძე, — დაიბადა 1883 წ. 1903 წლიდან მუშაობდა არალეგალურ წრეებში. მონაწილეობდა დემონსტრაციებში, მართავდა ყრილობებს სოფლებში და სხვ. მას მინდობილი ჰქონდა იარაღის საწყობის გამართვა. მონაწილეობა მიიღო ფოთის ლეგიონის ციხე-გაუზიდან იარაღის გამოტანაში. 1906 წლიდან შევიდა კამოს ჯგუფში. მონაწილეობას იღებდა 250.000 მან. ექსპროპრიაციაში ერევნის მოედანზე. 1910 წ. გადასახლებულ იქნა აღმინისტრაციული წესით ჩრდილო გუბერნიებში. დაბრუნების შემდეგ ამბანაგებს ამარაგებდა სხვადასხვა საქირო დოკუმენტებით 1916 წ. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას ჯარში. მენშევიკების დროს ოთხჯერ იქნა დაპატიმრებული, ხოლო შემდეგ გადასახლებული საქართველოს საზღვრებიდან. გასაბჭოების შემდეგ დაბრუნდა ბაქოდან ტფილისში. მუშაობს კ. პ. (ბ) საკონტროლო კომისიებში.

კოსტა ფარჯანაძე, — დაიბადა რაქაში 1886 წ. ბავშობიდან მუშაობდა ქუთაისში ძმის სასადილოში, რევოლუციურ მუშაობას იწყებს 1904 წლიდან. ლეპულობდა მონაწილეობას 1905 წ. დემონსტრაციებსა და გაფიცებებში. აქტიურად იღებდა მონაწილეობას შავრახმელ ჩხეიძეზე თავდასხმა და სტამბის მოწყობაში. შევიდა კამოს ჯგუფში. მონაწილეობდა ქუთაისის ციხის გვირაბის გათხრის მზადებაში. გარდაიცვალა ყვავილისაგან 1909 წ.

მარო ბოკორაძე, — 1906 წლამდე მუშაობდა ტფილისში არალეგალურ სტამბაში, ლიტერატურის და იარაღის ტრანსპორტის საქმეში. ლეპუ-

ლობდა მონაწილეობას ერევნის მოედნის ექსპროვაპრიაკიაში, ქუთაისის /ციხის გვირაბის გათხრაში, აგრეთვე გორის ხაზინის გვირაბის გამოთხრაში, სადაც დაპატიმრებულ იქნა 1909 წ. 1930 წ. ტფილისში შემთხვევით, მოკვდა, ექვთიმო-ბილს ქვეშ და დაიღუბა.

ბ ა ბ ე ბ ო ჯ ო რ ი ძ ე, — მიხა და მარო ბოქორიძეების დეიდა, უკვე მო-ხუცი იყო რომ ძმის წულის გავლენით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1901 წლიდან მუშაობდა სტამბებში (შესანიშნავეი ავლაბრის სტამბა ტფილისში, მო-თავსებული იყო მიწის ქვეშ, შესავალი ჰქონდა კიდან); გადაჰქონდა იარაღი ჯგუფის დავალებით და კონსპირატიული ბინები ეკირა,

ს ა შ ა დ ა რ ა ხ ვ ე ლ ი ძ ე, — გულმოდგინედ მუშაობდა ჯგუფში. ეკირა კონსპირატიულ ბინები, აკავშირებდა ამხანაგებს და ეწეოდა იარაღის ტრანს-პორტის საქმეს.

ნ ი ნ ა დ ი დ ი ძ ე, — მუშაობდა ჯგუფში. ამყარებდა კავშირებს, ინახავდა კონსპირატიულ ბინებს და სხვ.

ფ ა ც ი ა გ ა ლ დ ა ვ ა, — დაიბადა და 1885 წ. სწავლობდა ქუთაისის ებარ-ქიალურ სასწავლებელში, 1902—4 წ წ. ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას, უმთავრესად ქალებს შორის. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1905 წ. რევო-ლუციაში როგორც პროპაგანდისტი (კიათურა). იყო ასოთამწყობად. პარტიულ განხეთქილების დაწყებისთანავე მიემხრო ბოლშევიკებს. ჯგუფში ერთერთ უაქ-ტიურეს მუშაკად ითვლებოდა. გარდაიცვალა 1916 წ. კლექით,

ა ნ ე ტ ა ს უ ლ ა ქ ვ ე ლ ი ძ ე. რევოლუციურ (მოწაფურ) წრებში 1903 წლი-დან ჩაება. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, ქუთაისში რუსეთ იაბონიის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში. გამოირიცხულ იქნა სკოლიდან რევო-ლუციურობისათვის და დაიწყო მუშაობა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, განხეთქილების შემდეგ მიემხრო ბოლშევიკებს და მუშაობდა არალეგალურ სტამბაში. 1905 წ. მიიღო მონაწილეობა ქუთაისის საბარიალო ბრძოლებში. 1906 წ. სხვა ამხანაგებთან ერთად (ინწირკელი, კუპრაშვილი, კამო, და სხვ.) გადავიდა ტფილისში. მუშაოდა კამოს ჯგუფში. ღებულობდა მონაწილეობას ქუთაისში 15.000 მან. ექსში და განაგებდა პარტიული ორგანიზაციის იარაღის საწყობს ტფილისში. 1919 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თ ა ვ ი X X A

კანონი 1917 წ.

1917 წ. აპრილში ხარკოვის საკატორლო ციხიდან განთავისუფლების შემ-დეგ კამო ტფილისში ჩამოვიდა. ხანგრძლივ ტანჯვა-წამებას ვერ მოეხარა მისი ძლიერი პიროვნება, მაგრამ ფიზიკურად ის თითქმის გატეხილი იყო.

ხანდახან მას საუბრის დროს ტუჩზე უცვდებოდა დაუმთავრებელი სიტ-ყვა — და ის გამოუთქმელი მწუხარებით იცქირებოდა ხოლმე სადაც შორს. გან-საკუთრებით აწუხებდა მას კუქის მძიმე ავადმყოფობა.

ხარკოვის საკატორლო ციხის სისხლის სამართლის ტყვეებმა მას „დიდი ივანე“ დაარქვეს ნიშნად დიდი პარტიის ცემისა. კამო ზაფხულ ზამთარ უჭედოდ დადიოდა რათა იგი არ მოეხადა უფროსების გამოჩენის დროს.

და აი ის ისევ მშობლიურ ტფილისშია, ამხანაგებს უმასხმს მხლებს შორის, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ მას და არ აკლედნენ მოვლასა და მზრუნველობას. 1917 წ. ივლისში კამო მინერალურ წყლებზე წავიდა უწერაში (რაქის მაზრა) სამკურნალოდ უწერიდან ტფილისში დაბრუნდა 15 აგვისტოს.

მან მალე აღიდგინა ძალ-ღონე და „მშფოთარმა“ მეამბოხემ ისევ დაიწყო „ქარიშხლის ძებნა“ იმიტომ რომ ის მართლაც მხოლოდ რევოლიუციურ ქარიშხალში პოულობდა დამშვიდებებს. მან გადაწყვიტა ენახა ის ადამიანი, რომელიც თავდადებით უყვარდა და რომელსაც უსაზღვროდ, ულაპარაკოდ ენდობოდა— ილიჩი და მასთან ერთად მისი დახმარებით გადაწყვიტა მტკიცენული საკითხები. აგვისტოს დამლევს კამო პეტროგრადში წავიდა. მაგრამ სწორედ კამოს პეტროგრადში ყოფნის დროს ლენინი ემალეზოდა დროებითი მთავრობის აგენტებს, რადგან გაცემული იყო ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. კამომ მოახერხა ენახა მხოლოდ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუშკაია. 15 სექტემბერს ის დაბრუნდა ტფილისში. რამდენიმე თვის შემდეგ ის ისევ რუსეთში წავიდა.

1917 წლის დეკემბერში, ამხ. შაუმიანის წინადადებით, ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ლენინგრადში გაგზავნეს კამო და კიდევ ერთი ამხანაგი შაუმიანის წერილით ლენინისადმი. დადგა დრო, როცა მთელი რიგი პრიანციპიალური საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო.

გარდა ამისა საჭირო იყო მატერიალური საშუალებანი სამუშაოდ, ხოლო ეს საშუალებანი ძალიან ცოტა იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში გვიანტურ ამოცანებს, რომელიც დაისახა პარტიამ ამიერკავკასიაში.

იმ დროს ყუბანი და დონიც გადავიდნენ კონტრევოლიუციური ელემენტების ხელში. აშკარა მასიური ბრძოლა მათს წინააღმდეგ ჯერ არ იყო გაჩაღებული; ეს ბრძოლა ის-ის იყო იწყებოდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკები მოწყვეტილი იყვნენ რევოლიუციის ცენტრს, ამიერკავკასიაში ბატონობდნენ მენშევიკები, ესერები, მუსაგატისტები და დაშნაკები.

პირველი ამხანაგი ბაჭოს გზით წავიდა, კამომ საქართველოს სამხედრო გზით გასწია. ამა-თუ-იმ გვარად ერთი მათგანი მაინც ჩააწვედა ლენინგრადში. ერთად წასვლა კი ბევრნაირად მიზან შეწონილი არ იყო.

გზაში მათ მრავალი დაბრკოლება შეხვდათ, მაგრამ უდიდესი კონსპირატიული გამოცდილების წყალობით მათ შესძლეს მშვიდობიანად აეცლოთ გვერდი მრავალრიცხოვან ფრონტებისათვის, როგორც კი ჩავიდნენ პეტროგრადში, მაშინვე ინახულეს ჯერ ამხ. სტალინი და შემდეგ სტალინი და ლენინი ერთად.

აი რას გვიამბობს პირველი ამხანაგი ამ მოგზაურობის პოლიტიკური შედეგების შესახებ.

„ლენინის წასვლის შემდეგ, სტალინმა, კამომ და მე დაწვრილებით ვითათბირეთ ჩვენი მოგზაურობის მიზნის შესახებ. გადაწყვიტეთ ორ დღეზე მეტს არ გაგზავნიდით უფროსად პეტროგრადში. მივიღე თ რამდენიმე მილიონი მანეთი (ნიკო-

ლოზის ფული) პარტიული ორგანიზაციებისათვის ჩვენთან ერდოდ უნდა წამო-
სულიყო პოლკოვნიკი შერემეტიევი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირ-
ველ დღეებიდანვე მიემზრო ბოლშევიკებს. მას ხელმძღვანელად უნდა გაეწია
სამხედრო მუშაობისათვის ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართვე-
ლოში.

„ლენინგრადიდან ძველი სტილით. წამოვედით 25 თუ 26 დეკემბერს დი-
დის ვაივაგლახით და დაბრკოლებების გადალახვით მივალწიეთ ხარკოვს. ხარ-
კოვიდან რამდენიმე ათეული ვერსის დაშორებით უკვე ფრონტი იყო. მატარებ-
ლები მოდიოდა მხოლოდ ცარცინის ხაზით. თითქმის ეკატერინოდარამდე
ამ ხაზის უდიდესი ნაწილი კონტრრევოლუციური კაზაკების ხელში იყო. ზოგ
სადგურებზე წითლები იყვნენ, ზოგზე—თეთრები და არას გზით არ შეიძლე-
ბოდა გაგება, თუ ვის სად შეხვდებოდით. აშკარა ბრძოლები ჯერ კიდევ არ
იყო დაწყებული,—ორივე მხარე ეშხადებოდა საბრძოლველად. ხარკოვში უნდა
გადაგვეყვითებია დოკუმენტები და ისე, დაგვემალა ფული, რომ არ წაერთმიათ
გზაში. ფული ჩაედეთ ორძროიან ბოყეში ჩაედეთ ამხ. ანტონოვ-ოვსენკოს რჩევით,
რომელიც მაშინ წითლების ძალებს სარდლობდა. ჩვენ გადავწყვეტეთ სარატოვში
წამოვსულიყავით, იქიდან ასტრახანში, ასტრახანიდან კი ზღვით ბაქოში. ჩავე-
დით თუ არა სარატოვში, გავიგეთ, რომ ასტრახანისკენ გზა უკვე აღარ იყო...
ისევ დავბრუნდით ცარიცინში. უფლებლად გადავიარეთ თეთრების ტერიტორია
მივედით ტიხორეცკაიში... გამოირკვა, რომ კავკავის გზა დაკავებული იყო
თეთრების მიერ. შხლა ნოვოროსიისკენ გავსწიეთ. ერთ სადგურზე კაზაკები, შე-
მოგვებვიენ, რომელნიც ამტყიცებდენ, რომ ჩვენ ბოლშევიკური კომისრები
ვიყავით. ჩვენ ჩვენმა პოლკოვნიკმა შერემეტიევმა, გვიხსნა. მან წარადგინა მე-
მფის დროის დაკუმენტები და განაცხადა, რომ სამკურნალოდ მიდიოდა კავკა-
სიაში. კამომ თავის თავი ვაჭრად გამოაცხადა, ვილაცას ცოტაოდენი თანხაც
ჩაუჯიბა, გადავჩით. ერთი თვის შემდეგ, როცა უკვე დაიწყო ბრძოლები იგივე
კაზაკები იქვე გავგლეჯდენ ლუკმა-ლუკმა.

წამოვედით ნოვორასისკში, აქიდან ბათომაში. ბათუმიდან ტფილისამდე
რამდენიმეჯერ გავგზხრიკეს მენშევიკურმა აგენტებმა. ისინი დავცივოდენ, მაგ-
რამ პოვნიტ ვერაფერი გვიპოვეს ფული უკლებლივ ჩავაბარეთ ჩვენი პარტიის
სამხარეო კომიტეტს.

თ ა 3 0 XXXI

გზაჯვარედინზე

კამო ისევ ტფილისში აღმოჩნდა. ის მიხვდა, რომ ლადგა დრო, როცა
ასე თუ ისე უნდა შეგუებოდა ახალი ცხოვრების პირობებს.

ის აქამდე,—ამხ. მამია ორაბელაშვილის მოსწრებული თქმით,—რევოლიუ-
ციის ბრწყინვალე ტექნიკოსი იყო. მაგრამ აი ზედიზედ იფეთქა ორმა—თებერ-
ვლის და ოქტომბრის—რევოლიუციამ და ძირიანფესვიანად გაანადგურეს არა
მარტო ფეოდალურ—თვითმპყრობელური იმპერია, არამედ მისი მხარის დამ-

ქერი კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წყობილება. „რევოლუციის ტერმინოსად“ კამოს აღარ უნდოდა დარჩენილიყო, ერთბაშით „ინენრაღ“ და „შენებლად“ გახდომა არ შეეძლო: ამისათვის მას არ გააჩნდა არც მომზადება და არც ცოდნა.

კამო ტრაგიკულად განიცდიდა მისთვის შექმნილ მდგომარეობას. ლეგალური ცხოვრება და მუშაობა მას „პატარა საქმეების“ ბაღეში ახვევდა. ნამდვილად კი ის თავის თავს არალეგალური იატაკქვეშეთის „დიდი საქმეებისათვის“ შექმნილად სთვლიდა. გმირული მოქმედებანი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში—აი რაში იყო აქამდე მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მიზანი. ამ ბრძოლისათვის ის ინახავდა თავის სიცოცხლეს ისეთი არაადამიანური, ფიზიკური და მორალური წამების საფასურითაც კი, როგორც მან გადაიტანა „საგითეში“—ასე უწოდებდა ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში კამო ხშირად შესჩიოდა ამხანაგებს, რომ მას საქმე არ აქვს, რომ მისთვის უკეთესია წავიდეს ინდოეთში ან სხვა რომე იმე აღმოსავლურ ან დასავლეთ-ევროპულ სახელმწიფოში, სადაც რევოლუცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, სადაც საჭიროა გზის გაწმენდა.

კამო განსაკუთრებით დაახლოვებული იყო ამხ. ვასიკო წიგწივაძესთან. უკანასკნელს უნდა ეუმადლოდეთ უაღრესად საინტერესო მოვლენებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა კამო ხელახლა აღეზარდა თავისთავი მომენტის ამოცანებთან შეფარდებით. როგორც ნამდვილი ბოლშევიკი და რევოლუციონერი, ის არ დაემორჩილა პესიმიზმს, არ შეუდგა იმ გარემოებათა ჩიჩქნას, რომელმაც მოუსპო მას სულიერი წონასწორობა, - ის მამაცურად, თავდაუზოგველად შეუდგა თავის თავში იმ თვისებების აღმოფხვრას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ახალ წყობილებას, და თავის ცოდნის შევსებას იმ შინაარსით, რომელიც აუცალკე ბელი იყო ამ ახალი წყობილების საშუალოდ გასამტკიცებლად.

1918 წ. ზამთარში ამხ. ვ. წიგწივაძე, მძიმე ავადმყოფი დაბრუნდა სპარსეთის ფრონტიდან და მოთავსებულ იქნა ტფილისში ნავთლულის განმანაწილებელ საავადმყოფოში. მის სანახავად მრავალი პარტიული ამხანაგი მიდიოდა.

„უცბად, — გვიამბობს ვ. წიგწივაძე ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, რადგან არ ვიცოდი, თუ ტფილისში იყო, ჩემ წინ ამხ. კამო წამოიჭრა. ეს იყო პირველი შეხვედრა მასთან ლეგალურ პირობებში იმ დიდი ამბების შემდეგ, რომელთაც მესძრეს მსოფლიო“. წინათ არალეგალურ პერიოდში ის მუდამ იცვლიდა გვარებს, და ჩვენი შეხვედრა ყოველთვის სასტიკ—კონსპირატიულ პირობებში ხდება“.

„ჩვენ დიდხანს ვიბაასეთ პოლიტიკურ თემებზე — შესახებ საშოკალაქო ომის ფრანტზე მდგომარეობისა, რუსეთის მუშების განსაკუთრებულ გმირობისა, შესახებ იმისა, რომ ასეთი მუშებით მართლაც შეიძლება ისტორიის ბორბლის შებრუნება, ლენინის ცხოვრების და მუშაობისა, იმ ლენინის, რომელსაც ის ხშირად ხელებოდა და რომელთანაც მჭიდრო ბირადი კავშირი ჰქონდა. ის წავიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ იმდენად, დავილაღე რომ აღარ შემეძლო საუბრის განგრძობა. ამის შემდეგ ის თითქმის ყოველდღე მნახულობდა ამ შეხვედრების დროს მე ვაფიქვ იმ მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც აღ-

მოჩნდა კამო ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. საქმე ისაა, რომ ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩასახვის მომენტიდანვე საბოლოო გამარჯვებამდე მხოლოდ იმიტომ იყო ერთადერთი თანმიმდევრული და ქეშმარიტად რევოლუციური პროლეტარული ორგანიზაცია, რომ იგი იატაკქვეშეთის სიღრმეში ამარჯვებულა და მტკიცდებოდა. ამ გარემოებას არ შეეძლო განსაკუთრებული დაღი არ დაესვა ბოლშევიკური ორგანიზაციის იმ მუშაკებისათვის, რომელიც მის ხერხემალს და სულს წარმოადგენდნენ. ამან მათგან განსაკუთრებული კატეგორიის მეტროლები გამოჰქედა.

„ამხ. კამომ დაიწყო მუშაობა და ბოლომდე დარჩა ამ დიადი ბრძოლის დროს ყველაზე უფრო საბრძოლველ პოსტზე. იმიტომ გამომუშავდა ის თვისებები, რომელიც აძლევდა მას საშუალებას დაპირისპირებოდა სახელმწიფო მანქანას მისი სიმკაცრით და ტერორით. მან მარალაც გამოიჭედა და არა მარტო რკინის ნერვები, არამედ განსაკვიფრებელი ნებისყოფაც, რომელიც შეერთებული იყო ასეთივე განსაკვიფრებულ მიზანთსწრაფვასთან. მისი მრავალმხრივი მეტროლოი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი ხერხების განსაკუთრებული ორიგინალობით იყო აღნიშნული. ეს ორიგინალობა აშკარად ანსხვავებდა მას სხვა არალეგალურ მოღვაწეთაგან მაგრამ ეს ხერხები ოცი წლის განმავლობაში ეფარდებოდა და ეგუებოდა უსასტიკესი კონსპირაციის პირობებს და საბოლოოდ ჩვენს წინაშე ასე ჩამოყალიბდა სანიმუშო სახე უდიდესი, მაგრამ მხოლოდ არალეგალური რევოლუციონერისა.

იატაკქვეშეთი, არალეგალური მდგომარეობა მშობლიურ სტიქიონად გადაიქცა კამოსთვის ასეთ დასრულებულ არალეგალურ რევოლუციონერად მოუსწრო მას ოქტომბრის გამარჯვებამ. რა მოხდა 1917 წლის ოქტომბერში? ერთბაშად გაიღო იატაკქვეშეთის კარები და შიგ ოქტომბრის რევოლუციის სინათლე შეიჭრა. კამო იღგა ამ იატაკქვეშეთის ზღურბლზე. მან დაინახა, თუ როგორ შეაცვალა ერთი დაკვრით ძირითადად ცხოვრების და მუშაობის პირობები. მისი (და მრავალი სხვების) ზეადამიანური ბრძოლის ნაყოფი დამწიფდა და დაეარდა მიწაზე. გუშინ ჯერ კიდევ დევნილი და დაჩაგრული კლასი მდგომარეობის ბატონი შეიქნა. და დაკაპიწებული შეუდგა თავისი სახელმწიფოს შენებას. ახლა პროლეტარიატმა და პარტიამ სულ სხვაგვარი მუშაკები მოითხოვეს. კამოს თვალწინ ზოგი მისი არალეგალური მუშაობის თანამოსაგრენი სრულიად დაიბნენ, ზოგნი კი ცოტა თუ ბევრად ეჩკეოდნენ და ეგუებოდნენ ახალ პირობებს. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ კამო პირველებს შორის მოხდა. მან ყველაზე უფრო მწვავედ იგრძნო, რომ მისი, როგორც იატაკქვეშეთელის, მისია გათავებულა. ის ხედავდა, რომ სხვა მასშტაბის და სხვა ფორმაციის მუშაკები იყვნენ საჭირონი. პარტიას დასჭირდა სამეურნეო მუშაკები, აღმინისტრატორები, დიპლომატები, სტრატეგები, რომელთაც უნდა ცოდნოდან არმიის მოწყობა და მისი სარდლობა. პარტია ქმნიდა ნახკომატების ან მმართველობის საოლქო ორგანოების ხელმძღვანელებს. შეეძლო კამოს შეგუებოდა ამ მუშაობას? ის არ იყო ამისთვის მომზადებული.

მას ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ. თავდაპირველად მას არ შეეძლო შერიგებოდა თავის უსარგებლობის შეგნებას. ის ხან ერთ სამუშაოს ეცემოდა, ხან

მეორეს, მაგრამ ყოველთვის რწმუნდებოდა, რომ „საქმე არ გამოქვლიოდა“. ბოლოს, კამომ თავისი ძალღონე სამოქალაქო ომში სცადა. ფეი აღიქმნა გრანდიოზულ გეგმას, რომლის მიხედვით ზურგში უნდა მოჰქცეოდენ დენიკინის არმიას და ამ ზურგის დეზორგანიზაცია მოეხდინათ. ის დაწერილ მით-მუშავეებს ამ გეგმას. განზრახვა მეტად გაბედული და მახვილგონივრული გამოიყვანა. მაგრამ კამო ისე „საფუძვლიანად“ აზნადებდა მის განხორციელებას, რომ ბოლოს დაბოლოს მოვლენებს ჩამორჩა. მან დენიკინის ზურგს ვერ მიაღწია და მისმა შრომამ ფუჭად ჩაიარა.

და ასე მეორდება დღითი დღე, საქმიდან საქმემდე. კამოს არ სურდა დაეთმო პოზიციები, მაგრამ ყოველი ახალი მარცხი უღმობლად აგონებს მას, რომ მისი დრო წასული იყო, რომ იგი წარსულს ეყუთვნოდა, შესანიშნავ წარსულს, მაგრამ მაინც წარსულს. მას არ უნდა არ შეუძლია შეურიგდეს ამ სასიკვდილო განაჩენს. ის თავის თავში ზრდის ახალ აზრს იმის შესახებ, რომ რუსეთში იგი ველარაფერს გააკეთებს „მაგრამ გააკეთა თავის საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს“, მაგრამ სულ კი არ უნდა წავიდეს, კი არ უნდა გადადგეს, არამედ თავისი მოღვაწეობა სხვა ქვეყნებში გადაიტანოს საფრანდეთსა ან გერმანიაში, სპარსეთში, ოსმალეთსა ან ინდოეთში—ყოველ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასი ისევ დაჩაგრულია. ის სიყვარულით ელოლიაგებოდა ამ აზრს, რომელსაც მხოლოდ თავის უახლოეს მეგობრებს უზიარებდა. ის ფიქრობდა, რომ ვიდრე ამ აზრს მოიყვანდა სისრულეში, საჭირო იყო საფუძვლიანად შესდგომოდა თავისთვის მეცადინეობას. დრო უკვე წასული იყო. რევოლიუციამდე მას არც, ერთი თავისუფალი წუთი არ ჰქონია პირიქით, ის თვით რევოლიუციის მოლაღატეებად და დეზერტირებად ნათლავდა ყველას, ვინც თუნდაც „დროებით“ სტოვებდა რევოლიუციურ მუშაობას და სასწავლად მიდიოდა თვითონ, ზეზეურად. თავისთავის ცოდნით აღჭურვა მას არ შეეძლო. რადგან არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. ის ძლივს კითხულობდა რუსულად, წერა კი ნაკლებად იცოდა. ეს გარემოება მეტის მეტად აწუხებდა მას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში. თავის მარცხს რევოლიუციის შემდეგ კამო რამოდენიმედ იმით ხსნიდა, რომ ის პირდაპირ მცირენიცოდნე ადამიანად დარჩა. და აი მან გადასწყვიტა ბოლო მოელო თავის მცირემცოდნეობისათვის.

როგორც ჩვეულებრივ ყოველთვის ემართებოდა ხოლმე კამოს, სწავლის წყურვილმა ისე ღრმად მოიკიდა ფეხი მის თავში, რომ ველარ დამშვიდდა, სანამ მის განხორციელებას არ შეუდგა. დაბრუნდა თუ არა მოსკოვიდან 1918 წ. თებერვალში, მან შესაფერი კაცის ძებნა დაიწყო და შემთხვევით მე მნახა.

„მე თანდათან მოვკეთდ და მალე უნდა გამოვწერილიყავი ნავთლულის საავადმყოფოდან. კამომ უკანასკნელ მოსელის დროს გამიზიარა თავის გადაწყვეტილება მე სავსებით მოვუწონე სწავლის განზრახვა. მან კი პასუხად გამიცხადა რომ ხელმძღვანელად მე ვყვეარ დასახელებული. მე უარი ვთქვი. დრო მეტად შეუფერებელი იყო ასეთი საქმისთვის. რევოლიუცია დულდა და გადამოდიოდა. მე არას გზით არ მინდოდა ჩამოვშორებოდი, მას, ხოლო შეთავსება რევოლიუციური მუშაობის და მეცადინეობის არ შეიძლებოდა საქმის დაუზიანებლად. მას ისეთი მასწავლებელი უნდოდა ვინც შესძლებდა ემუშავნა მასთან

ყოველდღე იმდენი საათი, რამდენიც მოუნდებოდა. კამო მარწმუნებდა, რომ იმ მიხმე ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც მე გადავიტანე, სულ ერთია ხუთ-ექვს თვეს ვერაფერს გავაკეთებ, რომ ეს დრო საჭიროა დასასვენებლად გამოვიყენო და ძალღონის აღსადგენად მთხოვა უარი არ მეტყვა. მისთვის ძალიან საჭირო იყო, თუნდაც პირველ ხანებში, მასთან ემაცადინა მანობრელ ამხანაგს, რომელიც გაუგებს მას ყველაფერს და რომელთანაც უფრო ადვილად დასძლევს ყოველგვარ უხერხულობას. მე იძულებული გავხდი დავპირებოდი დახმარებას, თუმცა ეს მე რამდენიმე ხვით მაშორებდა ნამდვილ რევოლუციურ საქმეს.

„მე საავადმყოფოდან გამოვეწერე გაზაფხულის დამდეგს და, მოკლე ხნის დასვენების შემდეგ, შევეუდექი კამოსთან მეცადინეობას. ჩვენ ღავისახეთ შემდეგი ამოცანა: გვესწავლა, მაცადინობა წაგვეყვანა ისეთი ტემპებით, რომ ერთი ან მაქსიმუმ წელიწად ნახევრის განმავლობაში დაგვესრულებია ძირითად საგნებში საშუალო სასწავლებლის კურსი: ძირითად საგნებად ჩვენ დავისახეთ რუსული ენა, მათემატიკა და ისტორია. სავსებით ცხადია, რომ ამ ამოცანის შესრულება კამოს მხრით დიდ შრომას მოითხოვდა, მით უფრო, რომ მას პირდაპირ ანბანიდან უნდა დაეწყო. მაგრამ ექვი არ იყო, კამო დასძლევდა ყოველგვარ სიძინელს. მან ხელი მოჰკიდა საქმეს თავისი ჩვეულებრივი გულმოდგინებით. ჩემდათავად გადავწყვიტე: როგორც კი გავივლიდი მასთან სამ ოთხ თვეში ოთახი კლასის კურსს და ჩვეუყრიდი ცოდნის მტკიცე საფუძველს. მას სხვა მასწავლებლის აყვანას ვურჩევდი.“

ჩვენ მართლაც ანბანიდან დავიწყეთ. არითმეტიკაში მარტივი მოქმედებანი, რუსულ ენაში—რუსული გრამატიკა. წერითი მუშაობა პირველ ხანებში კარნახით ისაზღვრებოდა. ჩვენ მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. რომ დრო არ დეკარგა სიარულში, მან თავისთან გადამიყვანა. ჩემთვის ოთახი იშოვა იმ სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

„მისთვის ყველაზე ძნელი პირველი თვე იყო. ამას ის, ცხადია, ითვალისწინებდა. ამიტომ თხოულობდა, რომ მასთან სწორედ მე მემაცადინა და არა სხვა ვინმეს. მართლაც, ამ დროს რომ მასთან არყოფილიყო ახლობელი ამხანაგი, რომელიც მთელ თავის ყურადღებას მიაქცევდა, მას, შესაძლებელია კამოს ეს მეცადინობა ვერ აეტანა.“

მთელ თავის სიცოცხლეში ის პირველად იწყებდა სისტემატურ მუშაობას, მერე ისეთ საგნებში როგორც არის არითმეტიკა და გრამატიკა. მას თანდათან ეადვილებოდა მუშაობა. მეოთხე თვის ბოლოში ჩვენ მივალწიეთ დასახულ პროგრამას.

ყველაზე უფრო უძნელდებოდა რუსული გრამატიკა და მართლწერა. მაგრამ რაცა უფრო მიუდგომელი იყო ციხე, მით უფრო გამძაფრებით და მედგრად ებრძოდა მას კამო. ხანდახან ერთ რამეს აკეთებდა, ხოლო მისი ტურები ამ დროს სულ სხვა რამეს ჩურჩულობდნენ. „რას ჩურჩულობ კამო?“—გვეკითხები. ის იღიმება და მიპასუხებს: „აჰა და ამ საქელარსებითს ვაბრუნებ, ან ასეთ და ისეთ ზნის ვაკანკლედებო“. თუ სადმე წავიდოდა, თან წიგნიც მიჰქონდა და გზაში იმეორებდა გაკეთილს. ხშირად შუა ღამემდე ემაცადინობდით მის პატარა

ოთახში დიდი მთავრის (დღეს — კამოს) ქუჩაზე. მე მომბეზრდა მშრალი სავანები, ვკლილობდი თავი გაგვერთო და ლაპარაკი როველიზე გარეშე შევიტყუე. გადამეტანა. პირველად ის აინთებოდა და ცეცხლდებოდა ხოლმე, ვამსაკუთრებდით მაშინ თუ თემა ეხებოდა მიმდინარე პოლიტიკას ან არალეგალური ცხოვრების გახსენებას. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მაჩერებდა და ღიმილით მეუბნებოდა: „ნუ ამიშლი ქრილობებს, დავანებოთ თავი, ასეთი ლაპარაკი ძალიან ამაკედნისო“. და ჩვენც ისევ გრამატიკას ან ეტუშვიცისკის საამოცანოს ვუბრუნდებოდით.

უფრო ადვილად ერეოდა ის მათემატიკას. არითმეტიკის ოთხი მოქმედება ადვილად და ჩქარა გავიარეთ. წილადებთან ერთად გეომეტრიაც დავიწყეთ, რომელიც მას დანარჩენ ყველა სავანზე უფრო უყვარდა. მის საყვარელ საქმედ გადაიქცა თეორემების მტკიცება. დამტკიცებაში მას ბევრი რამ ორიგინალური შექმნიდა და ცდილობდა მორიდებოდა საყოველთაოდ ცნობილ წესებს.

ამ დროს ის ჩვეულებისამებრ ცხოვრობდა როგორც ნამდვილი სპარტელი. თამბაქოს არ ეწეოდა სრულებით, ლეინოს არ სვამდა, ქალებს არ დასდევდა. მისი ოთახი მოთავსებული იყო მეორე სართულში, პირდაპირ შესავლის ზევით, სხვა ოთახებზე ცოტა დაშორებით. ფანჯრები გაღებული ჰქონდა დღე და ღამ. ოთახში მხოლოდ სრულიად აუცილებელი ნივთები იყო მაგიდა, ორი თუ სამი სკამი და რკინის მაგარი საწოლი. ის ადრე დგებოდა მზის ამოსვლამდე. მიუერის სისტემის მიხედვით ვარჯიშობდა, ცივ წყალს გადაისხამდა, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა გაკეთილებების სწავლას. შუა ზაფხულში მიცადინობა შეეწყვიტეთ იმ პირობით, რომ ის სხვას ვისზე მოიწყვედა დამხმარედ. რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მოიწვია ვიღაც მასწავლებელი, რომელთანაც თვენახევარს თუ ორ თვეს მეცადინობდა. ასე დაასრულა მან სწავლის კურსი. მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები არაჩვეულებრივი სისწრაფით ძლიერდებოდა. სამოქალაქო შეტაკებათა ფრონტი ღრმადებოდა და ფართოდებოდა. ასეთ დროს წიგნთან ჯდომა მის ძალღონეს აღემატებოდა, და მან კიდევ ერთხელ ჩაიყურყუმელავა რევოლუციის ტალღებში იმ ოცნებით, რომ მოეკლა მოქმედების წყურვილი, რომელიც მას აღრჩობდა“.

თ ა ვ ი XXXII

დენიკინის ფაონტის ნაცვლად მბახვი

1919 წ. ზაფხულში ამხ. კამომ ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, მისმა მეუღლემ ზინამ და დაღუპულ ალიოშა ჯაფარიძის მეუღლემ ვარო ჯაფარიძემ ერთად წავიდნენ სათევზაო ნავით ბაქოდან, რომ ასტრახანით მოსკოვში ჩასულიყვნ. იყო გახურებული სამოქალაქო ომი და ბრძოლა დენიკინთან.

ილინის თანხმობით კამომ ვ. ხუტულაშვილთან ერთად მოაწყო, უმთავრესად კავკასიელებისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც ზურგში უნდა მოქცეოდა დენიკინის ძალებს და დაეშალა და გაენადგურებია ისინი,

რაზმს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა ჰქონდა დაკისრებული. მის მონაწილეთ ყოველ წუთში მოელოდათ სიკვდილი. შესძლებენ ისინი თავის მძიმე

მოვალეობის შესრულებას, თუ არა. ყველანი მზად არიან გამოიყოსნენ დაილო პონ, თუ მათ შორის არიან სულმოკლენი და მოღალატენი?—ეს კითხვა ძალიან აწუხებდა კამოს; ამიტომ მან გადაწყვიტა მოეხდინა თავის რაზმში მისი მისი პირდაპირი გამოცდა.

ერთხელ დილით კამომ გამოუცხადა თავის რაზმელებს თითქოს ახლო-მახლო გამოჩენილიყო ოცდაათი თუ ორმოცი კაცისგან შემდგარი კარგად შეიარაღებული კონტრრევოლუციონერთა ბანდა ვილაც პოლკოვნიკის ხელმძღვანელობით.

რაზმელები მოსკოვიდან ლენინგრადის გზით გავიდნენ, გაიარეს თუ არა, დაახლოებით, ოცდაათი კილომეტრი. გაჩერდნენ ტყის პირას. აქედან კამომ სხვადასხვა მხრით დასაზვერავად გაგზავნა ოთხი ჯგუფი—სამ სამი კაცისაგან შემდგარი. რამოდენიმე საათის შემდეგ ყველა ჯგუფები დაბრუნდნენ რაზმში და მოიტანეს ცნობა, რომ გარშემო მიდამოებში სიწყნარეო.

კამო რატომღაც ნერვიულობდა და სულ აგინებდა ამხანაგებს, თითქო მათ სწორი ცნობები ვერ მოეტანათ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ის გამხიარულდა და დაიძახა.

— სასოწარკვეთილებასში არ ჩავარდეთ, ყმაწვილებო! მოდი ვივარჯიშოთ სროლაში.

ის მივიდა ნაძვთან გამოთვალა ოცდაათი ნაბიჯი და ერთსადიმივე წერტილში 9 ტყვია მიარტყა თავის მაუზერიდან, დაიწყო სროლა. ყველას უნდოდა თავის გამოჩენა. ვაზნები ილეუდა. ავტომაბილი, სადაც საომარი მასალა ეწყო, რაზმს ჩამორჩა, უცბად ხედავენ: მათთან სამეფო არმიის ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი მოდის რევოლვრით და ხუთი ჯარის კაცი გადმოღებულნი თოფებით.

— ასწიეთ ხელები, წითელო არამზადებო! ადგილიდან არ დაინძრეთ! ზოგიერთმა რაზმელმა იარაღს იტაცეს ხელი, მაგრამ ამაოდ; სავარჯიშო სროლის შემდეგ ვაზნები აღარაღვის არ დარჩენოდა. კამომ ასწია ხელები. ის ტყეში წაიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან ერთბაშად თოფის სროლა მოისმა. ყველა მიხვდა, რომ კამო ცოცხალი აღარ იყო.

— ვინ არის შემდეგი, მომყევით!—ბრძანებს კამოს დახვრეტის შემდეგ დაბრუნებული აფიცერი, მიყავთ რაზმელი რაზინი. ის ხედავს ნაძვთან ახლოს გამხლართულს კამოს გვამს. მისი დაგლეჯილი პერანგი სისხლით იყო შეღებული. რაზინი დასახვრეტად მოამზადეს. შემდეგ უნდოდათ ჩამოედროთ. მაგრამ ის მაინც არც ერთ მიცემულ კითხვაზე არ აძლევდა პასუხს. ის რატომღაც ცოცხალი დატოვეს. მაგრამ აი მას ესმის ერთი რაზმელის გულის შემხარავი ტირილი და მუდარა:

— ბატონო აფიცრო, — ზღუქუნით ეუბნება რაზმელი. — ნუ დამხვრეტავთ, მეც თქვენი ვარ, აფიცერი... მე დაგიმტკიცებთ, მხოლოდ გიმისხენით ხელები. მას უხსნიან ხელებს. ის აცახცახებული ხელებით არღვევს ჩემების ყელს და იქიდან რაღაც საბუთს იღებს.

აფიცერი კითხულობს საბუთს და მკაცრად უბრძანებს:

— შეჭარბით! შემდეგ გამოვარკვევთ!
ჯარისკაცები ჰყარავენ მას.

— როგორ ბედავთ! ეს დაუშვებელია!.. მე გამოგზავნილი ვარ პოლონეთის შტაბიდან. — აცხადებდა რაზმელი.

— გაიყვანეთ! — ბრძანა აფიცერმა.

მოჰყავთ შემდეგი ტყვე. მაგრამ რაზინმა უკვე იცოდა, რაში იყო საქმე. როდესაც მეორეჯერ წაიყვანეს ჩამოსახრობად მან ცნობიერება დაკარგა. როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ რიგრიგობით ჰკოცნის მას — ხან კამო და ხან აფიცერი, მან იცნო ეს „აფიცერი“. ის ამხ. ათარბეგოვი იყო: კამო ისევე დაწვა თავის ადგილას.

შემდეგი ტყვეც ლაჩარი აღმოჩნდა. ის მთელი სხეულით ძიგძიგობდა და თხოულობდა პატივბას.

ამხანაგო... ბატონო აფიცერო! მაპატიეთ. შემობრალეთ. მე მათთან ფულისთვის ვმუშაობდი. მე არავითარი რწმენა არა მაქვს... მე სიცოცხლე მინდა. მე ყველაფერს შევასრულებ ოღონდ ცოცხალი დამტოვეთ.

— შენს ამხანაგს დახვრტავ? — ეკითხება მას ათარბეგოვი.

— დიდი სიხარულით, — და აფიცრის ბრძანებით მან ესროლა ერთერთს „სასიკვდილოდ განწირულ“ ამხანაგს. რასაკვირველია, მისი ვინტოვკა უტყვიო ვაზნით იყო გატენილი.

კამო საშინლად იყო აღშფოთებული ამ რაზმელის მოქცევით. ის ადგილიდან წამოხტა ჯა კინაღამ ეცა მას.

თვრამეტი კაციდან ცხრამ ბრწყინვალედ დაიპირა გამოაცდა. ერთი დახვრტეს (პოლონეთის გენერალური შტაბის ჯაშუში). ერთი ჩეკაში წაიყვანა ამხანაგმა ათარბეგოვმა. დანარჩენი შვიდი კი გამორიცხეს რაზმიდან არასაიმედობისთვის.

ეს ეპიზოდი რომ ლენინმა გაიგო, ძალიან ეწყინა და უსაყვედურებდა კამოსაც და ათარბეგოსაც, რადგან ყოველად შეუწყნარებლად სთვლიდა ამისთანა გამოცდას.

ამ ეპიზოდიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ კამოს ჯგუფს კიდევ რვა ამხანაგი მიემატა ეს ჩვიდმეტი საიმედო მებრძოლი შეადგენდა ბირთვის იმ რაზმისას, რომელიც საბოლოოდ უნდი ჩამოყალიბებულ იყო ორიოლში. აქ კამოს გადაეცა დიდძალი საშხედრო მასალა და შეუერთდა კიდევ ასორმოცდაათი რაზმელი. რაზმმა წაიყვანა ორი მოწყალეების და. შტაბს სვთავეში ჩაუდგა ამხ. ვ. ხუტულაშვილი, კამოს თანაშემწე იყო ამხ. სანდრო მახარაძე.

რაზმი მონაწილეობას იღებდა კურსკთან ბრძოლაში. რაზმელებს, კამოს რჩევით, თან ჰქონდათ პავონები, რომ საჭიროების დროს თეთრგვარდიელი ნიღაბი აეთარებიათ. და მართლაც პავონები საჭირო შეიქნა. კამოს რაზმელებმა, როგორც თეთრებმა, დაიკავეს მალა-არხანგელსკი. სოფელ ალექსანდროვსკოეში რაზმის მიერ განადგურებულ იქნა ალექსევეის ლეგიონი.

ამ საგმირო საქმის ჩადებისათვის რაზმს, ამხ. დემენტევის მოხსენების თანახმად, უნდა მიეღო საომარი ჯილდო.



1919 წ. 3 ოქტომბერს რაზმის ბირთვი მოსკოვში დაბრუნდა. ჩატარებული იქნა მეცადინეობა ყუმბარის სროლაში. მტრის ზურგში საზიარო, დამარღვეველი მუშაობის მომზადების გათავების შემდეგ კამომ და მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს შემოეცლოთ დენიკინის ფრონტისთვის ასტრახანიდან და საქართველოდან და დაერტყათ ზურგის სიღრმეში.

28 ოქტომბერს რაზმი უკვე ასტრახანში იყო. იმ დროს იქ იყო კასპის ჩითა მხარის და კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კიროვი.

ასტრახანიდან ისინი გავიდნენ პატარა იალქნიანი გემით ბაქოში. გაჩერდნენ ქალაქიდან ორმოცი ვერსის დაშორებით, კუნძულის ახლო, სადაც რაზმელებს უნდა შეხვედროდნენ ბაქოელი ამხანაგები. მაგრამ კუნძულზე არავინ არ აღმოჩნდა. მართო კამო რალაცნაირი მანქანებით შეიპარა ბაქოში. ის დახვერვის შემდეგ დაბრუნდა. ამხანაგებთან ერთად დატვირთვა გემი დიდძალი საომარი მასალით, რომელიც ვადმოიტანა ბაქოში.

ბაქოში რაზმის ზოგიერთი წევრები მუსავატისტებმა დააპატიმრეს. ბოლოსდაბოლოს მათ მოახერხეს განთავისუფლება ყალბი საბუთების და ქრთამის საშუალებით, ხოლო იარაღი და სამხედრო მასალა ბაქოს სხვადასხვა რაიონებში შეინახეს საიმედო პირებთან.

კამოს რაზმელები უმთავრესად მუშათა კვარტალებში ცხოვრობდნენ. დენიკინის ჯარებმა საერთო შემოტევა დაიწყეს. პარტიულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა რაზმის გამოყენება აზერბეიჯანში გადატრიალების მოსახდენად. მაგრამ თვითონ კამოს არას გზით არ უნდოდა ხელი აეღო პირვანდელ იდეაზე. მან გადაწყვიტა რამოდენიმე ამხანაგთან ერთად გამოსულიყო ნოვოროსიაში, სადაც მაშინ დენიკინის შტაბი იყოფებოდა და აეფეთქებია იგი.

კამომ გადააწყო საქირო საომარი მასალა და მიიხზო ოთხი ქალი: ანა ვოლეიკო, ასია აკოპიანი და დები—მარუსია და არუსია ვაბრიელიანები. ის ფიქრობდა, რომ ქალები უფრო ადვილად გაიტანდნენ სამხედრო მასალას, ვიდრე რაზმელები. რაც შეეხება შემსრულებლებს, კამოს იმედი ჰქონდა რომ მათ მონახავდა ნოვოროსიისკის პარტიულ ამხანაგებს შორისაც.

წასვლის წინ კამომ გაიკეთა გრიმი და ჩაიცვა ქართული ნაციონალური კოსტუმი. თან დოკუმენტებიც ჰქონდა თავადის წულუკიძის სახელზე. მატარებელი უკვე უნდა წასულიყო. მაგრამ უცბად პლატფორმაზე მრავალი ენდარმი გამოჩნდა. რაზმელები, რომელნიც კამოს აცილებდნენ, განცვიფრებული და შეშინებული იყვნენ მათი სიმრავლით.

კამო გულმოსული გამოვარდა ვაგონიდან და გაუჯავრდა ენდარმებს:

— ეს რა უმსგავსობაა! ჩემი ვაგონი მოხსნილია. რამდენიც გნებავდეთ და სადაც გნებავდეთ იქ იძით ვილაც კამო, ჩემს ვაგონს კი ნუ აკავებთო.

მთელს მატარებელში ოცამდე საეჭვო კაცი დააპატიმრეს ყველანი ენდარმთა განყოფილების უფროსის კაბინეტში წიასხეს ვინაობის გამოსარკვევად, რამოდენიმე წუთის შემდეგ იქვე მივიდა კამოც ოფიცრის თანხლებით. კამო დაპატიმრებული იყო...

ორი საათის შემდეგ შეიკრიბნენ ამხანაგები სათათბიროდ, თუ როგორ ეხსნათ კამო. მაგრამ უცბად გაიღო კარი დი თვითონ შემოვიდა კამო.

— დააპატიმრეს სამი კამო, მე კი ბოდის მოხდით გამოიმუხტო, — სიცილით ამბობდა კამო.

— საიდან გაჩნდი?

— მე არ შემქმლო წავსულიყავი იმ მატარებლით, სადაც ყველანაირად გამოვლავარაკობდენ. პირველ სადგურზევე ჩამოვხტი და აქ მოვედი ეტლით. ქალები კი წავიდნენ. ეს უკეთესიც არის.

იმავე სალამოს კამო მეორედ წავიდა ტფილისში:

ტფილისში ჯგუფი კამოს მეთაურობით მენშევიკებმა დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში. ჩასვეს ის ამაოდ მოითხოვდა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ყორდანიას პირად ნახვას. თავისი დის სანდუხტას საშუალებით მან მოლაპარაკება დაუწყო შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილს და სათანადო განცხადებაც დასწერა, ამ განცხადებაში ის სწერდა, რომ საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკის წინააღმდეგ არაფერს ცუდს არ ფიქრობს, ტფილისში გავლით არის მხოლოდ და მოითხოვდა განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრებოდა, რომ გაიქცეოდა და შერე შურს იძიებდა.

მუქარამ იმოქმედა და ორი თვის პატიმრობის შემდეგ კამო განთავისუფლებულ იქნა იმ პირობით, რომ ოცდა ოთხ საათში დასტოვებდა საქართველოს საზღვრებს.

კამო ბაქოში დაბრუნდა და რევოლიუციურ მუშაობაში გადაეშვა.

წითელი არმია თანდათან იწვედა სამხრეთისაკენ, უახლოვდებოდა ამიერკავკასიას. ვასაქირში ჩავარდნილი „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ მომხრენი უკვე ელოლიავენოდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რათა ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოეყენებიათ. დაიწყო დენიკინის აგენტების მოლაპარაკების პერიოდი მენშევიკებსა, დაშნაკებსა და მუსავატიანებთან, რომელნიც დიდი სიამოვნებით თანხმდებოდნენ ყველაფერზე, ოღონდ თავიანთი პოზიციები გაემაგრებიათ მოახლოვებული ოქტომბრის წინააღმდეგ...

გაზეთებში ცნობები დაიბეჭდა დენიკინის დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ. თვალის ასახვევად უფრო სერიოზული საქმეები იფარებოდა ეკონომიური ურთიერთობის შესახებ, ნამდვილად კი სამხედრო შეთანხმება მხადდებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

19 მარტს დელეგაცია უნდა მისულიყო ბაქოში. კამომ გადასწყვიტა ჩაეფუშა სამხედრო შეთანხმება და ამ მიზნით აფეთქებია დელეგაციის წევრები, მან წინდაწინვე შეისწავლა ის ქუჩები, სადაც თეთრგვარდიელთა დელეგატებს უნდა გაეგლოთ და ასაფეთქებელი პუნქტაც ამოირჩია მეყუმბარეებად დააყენა რაზინი, სტრადზინი და ბლაგოვეშჩენსკი.

პირველ დღეს საქმე ჩაიშალა.

მაშინ კამომ ამ აქტის შესრულება სხვა რაზმებს აგოლის და ნოვიკოვს და იმავე რაზინს მიანდო. აფეთქება მოხდა გენერალ-გუბერნატორის სახლის ახლოს 20 მარტს დილის 11 საათზე. აფეთქების ადგილზე შეპყრობილ იქნა ნოვიკოვი, რომელიც გვირუღად დაიღუპა სახრჩობელაზე.

24 აპრილს აზერბეიჯანის მუსავატიანებმა მთავრობამ მოსახლეობას მიმართა მოწოდებით ბაქო დაეცვა წითელი არმიისაგან. ამასთან ერთად მთავრობა



ამხადებდა მასიურ ჩხრეკას და დაქერას მუშებს შორის. მოწოდების სპასუხოდ მუშებმაც ხელი მოკადეს იარაღს. პირველ რიგში გამოსასვლელად გამოვიდნენ მანთაშევის, შიბაევი და სხვა ქარხნების ახალგაზრდობის წევრები, რომლებიც წინდაწინვე შეაკავშირა და დარაზმა კამომ.

27 აპრილს, ღამის 12 საათზე კაპოს გვეგის თანახმად აფეთქება უნდა მომხდარიყო ხუთ სხვადასხვა ადგილას ქალაქში. ეს აფეთქება ნიშანი იყო მუშათა შეიარაღებული გამოსვლის დასაწყებად.

— ძალიან გთხოვთ მოერიდოთ ზედმეტ სისხლის ღვრას, — უთხრა კამომ ამხანაგებს გამოთხოვებისას.

მაგრამ 11 საათზე პარტიის სამხარეო კომიტეტი უკვე მოლაპარაკებას აწარმოებდა მუსავატისტებთან ბოლშევიკებისათვის ხელისუფლების ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ.

ღამის 3 საათსა და 30 წუთზე მუსავატისტები დანებდნენ. მთავრობის ყველა შენობა პარტიის მებრძოლმა რაზმებმა დაიკავეს. დილით 28 აპრილს ბაქოში წითელი ჯარი შევიდა.

პარტიის დადგენილებით აზერბეიჯანის გასაბჭოების შემდეგ კამოს რაზმი დაშლილ იქნა. მაისის ბოლოში კამო მოსკოვში წავიდა და ისევ შეუდგა სწავლას. ვლადიმერ ილიჩმა მოიწონა მისი განზრახვა და ურჩია გენერალური შტაბის აკადემიაში შესასვლელად მომზადებულიყო.

„მასთან მეზობლად ერთ ბინაში ვხვდებოდი და მოწმე ვიყავი მისი სულიერი დრამის, — ამბობს ამხ. პ. ლეპეშინსკი, — კამოს „გადაწყვეტილი“ ჰქონდა პარტიული ხელმძღვანელობის მიერ გაეცლო იმ მეცნიერებათა კურსი, რომელიც აუცილებელია უმაღლესი სამხედრო სასარდლო შემადგენლობისათვის. კამო დიდათ აფასებდა ცოდნის ძალას, მაგრამ მთელი დღეები კისეღიოვის ალგებრაზე ჯდომა იმ დროს, როდესაც მის გარშემო ჯერ კიდევ რევოლუციური მღელვარე ზღვის ზვირთები თანდათან მალა იწვედნენ, მის ძალღონეს აღემატებოდა“.

1921 წ. კამომ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის დავალებით სპარსეთი მოიარა. 1922 წ. დამდევს ის მოვიდა საქართველოში და დაიწყო ჩემთან მუშაობა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში (მე მაშინ განვაგებდი კომისარიატს) როგორც საბაჟოების უფროსი.

მან სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ძირშივე მოსპო ყველა ის უმსგავსოება, რომელიც ხდებოდა საბაჟოებში: კონტრაბანდა, მკლეველობა, მექრთამეობა და სხვა მავნარი ბოროტება.

თავი XXXIII

306 იყო კამო?

სიკვდილის წინა დღით ამხ. კამომ ანკეტა შეავსო რომელიც შეიცავს მისი სარეგულირებელი ცხოვრების ძირითად მომენტებს. ეს დოკუმენტი, რომელიც თავის ფორმით თითქოს მშრალი და უსახური უნდა ყოფილიყო, კამოს ხელში არაჩვეულებრივ ნაირნაირად გაიშალა და აფერადდა.

ანკეტა:



იმ კითხვაზე, თუ რომელ ენას სთვლის ის დედაქნად, კამო ეროვნებით სომეხი, უპასუხებს: ქართული. კითხვაზე სოციალური მდგომარეობის შესახებ პასუხია: რევოლიუციონერი. კითხვაზე, თუ რა სპეციალობა იცის, კამომ უპასუხა იმავე ცნობით—რევოლიუციონერი, რომელიც შეადგენდა მთელი მისი ცხოვრების აზრს არალეგალური ცხოვრების პერიოდში და რომელმაც აიძულა იგი ამდენი შრომა დაეხარჯა ელემენტარული და სამხედრო ცოდნის შესაძენად ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. განიცდიდა თუ არა დევნასა და რეპრესიას პარტიულ მუშაობისათვის? პასუხი: დაქერილი იყო ექვსჯერ, გაიქცა სამჯერ. ოთხჯერ მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რაც ბოლოს ოცი წლის კატორღით შეეცვალა.

ასე თავისუფალი იყო კამო ბურჟუაზიული ქვეყნის ნაშთებისაგან; მას მოსდგამდა უალრესი მიზანთსწრაფვა, თავგასაწირავად მუდამ მხად ყოფნა, გაბედულება და ამავე დროს გაშმაგებული სიმტკიცე შტრის წინაშე თავის და მისი ამხანაგების დასაცავად: ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ კამოს, ამ, მაქსიმ გორკის თქმით, „უპოზო ადამიანის“ სახელის გარშემო ლეგენდები შეიქმნა.

ანკეტა.

1. სახელწოდება ბილეთის მიმცემი ორგანიზაციისა.—მოსკოვის ორგან. კრ. პრ. სარაიონო კო-ტი.
2. გვარი.—პეტროვი (კამო), სახელი—სიმონ, მამის სახელი—ივანესძე.
3. დაბადების წელი.—1882. დედაენა—ქართული.
4. სოციალური მდგომარეობა.—რევოლიუციონერი.
5. განათლება.—სამკლასიანი სასწავლებელი.
6. რა სპეციალობა იცის.—რევოლიუციონერი.
7. სამხედრო მომზადება.—არა მაქვს.
8. რა ენებზე ლაპარაკობს.—ქართული, რუსული და სომხური.
9. კავკასიის და რუსეთის რა ადგილები იცის კარგად.—პეტროგრადი, მოსკოვი და მთელი კავკასია.
10. იყო თუ არა საზღვარგარეთ და სად.—ევროპის 19 სახელმწიფოში.
11. ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა რიცხვი მის კმაყოფაზე.—უცოლშვილო.
12. პარტიაში შესვლის დრო.—1901 წელი.
13. რომელმა ორგანიზაციამ მიიღო.—რ.ს.-დ.მ.პ. ტფილისის ორგანიზაციამ.
14. განიცადა თუ არა რეპრესია პარტიული მუშაობისათვის, როდის, როგორი.—დაქერილი იყო ექვსჯერ, გაიქცა სამჯერ, მიესაჯა სიკვდილით დასჯა ოთხჯერ, შემდგომ ოცი წლის კატორღის შეცვლით.
15. იყო თუ არა სხვა პარტიაში, რომელში, როდის.—არა.
16. რომელ პროფკავშირებში ითვლებოდა ბილეთის მიღების შემდეგ..
17. მოკლე ცნობები რევოლიუციურ მოღვაწეობის შესახებ წითელ არმი-აში, პროფკავშირებში, პარტიულ მუშაობაში.

1) არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტისთვის ბათონში 1903 და 1904 წწ. იჯდა ციხეში 10 თ. (გაიქცა); 2) 1905 წ. შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის 5 ჯერ დაიჭრეს და დაპატიმრებულ იქნა (გაიქცა); 3) 1907, 08 და 09 წწ. იარალის და ასაფეთქებელ ნივთიერების ტრანსპორტის ორგანიზაციისთვის გერმანიაში—დააპატიმრეს, იჯდა ბერლინის საპატიმროში და საგიჟეთში 2 წ., ამასთან გადმოეცა რუსეთს, როგორც ავადმყოფი. რესეთში, ტფილისში ისევ ციხე და საგიჟეთი; 1909—1911 წწ. (გაიქცა). 1912 წ. დააპატიმრეს სოფიაში (ბულგარეთი); 5) თურქეთში—სტამბოლში დინამიტის გატანისთვის; 6) ტფილისში 1913 წ. გადაუწყვიტეს ოთხჯერ დასჯა სიკვდილით, რომელიც მანიფესტით შეეცვალა 20 წლის კატორღით. ამნისტიით განთავისუფლდა 1917 წ. 6/III; 7) საქართველოში 1920 წ. 15 იანვრიდან იჯდა ციხეში 2¹/₂ თ., განთავისუფლებულ იქნა.

კამოს ლეგენდარულთა, რომელზედაც მ. გორკი ლაპარაკობს და რომელიც თან ახლავს მას დღევანდლამდე ძალიან ადრე დაიწყო. როდესაც ნ. კ. კრუპსკაია იწყებს მოგონებას კამოსთან შეხვედრის შესახებ 1907 წ., ეს შტრიხი, კამოს გაბედულება, მზადყოფნა უკიდურეს ზომებისათვის, არაჩვეულებრივ გამოსვლებისათვის სქვალავს მისი თბრობის ყოველ სიტყვას.

ჩვენ მუდმივი შესახვედრი ადგილი გვქონდა ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასადილოში. ეს ძალიან მოხერხებული იყო, რადგან სასადილოში შრავალი ხალხი მოდიოდა. ჩვენ არავინ არ გვაქცევდა ყურადღებას. აქ კამო მხოლოდ ერთხელ მოვიდა, მოხდენილ კავკასიურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, თან მოიტანა ხელსახოცში გამოხვეული რაღაც მომსხო ბურთის მაგვარი საგანი. სასადილოში ყველამ დაინება თავი კამოს და არაჩვეულებრივ ახალმოსულს დაუწყეს თვლიერება. „ყუმბარა მოიტანა“— გაუელვა, აღზად უმრავლესობას თავში. მაგრამ ყუმბარა კი არ აღმოჩნდა, არამედ საზამთრო. კამოს ჩამოეტანა ილიჩისა და ჩემთვის ძღვენი—საზამთრო და რაღაც დაშაქრული ნივთი. „დეიღამ გაახლათო“.— გვითხრა მორცხვით კამომ. ეს გასაოცარი გაბედულების, ფოლადისებური ნებისურვის შეუპოვარი მებრძოლი ამავე დროს რაღაც არაჩვეულებრივ მთლიანი ადამიანი იყო, ოდნავ გულუბრყვილო და მგრძნობიერი ამხანაგი. მას ვატაცებით უყვარდა ილიჩი, კრასინი და ბოკდანევი. იყო ხოლმე ჩვენთან კეოკალაში. დაუმეგობრდა დედაჩემს, უამბოზდა მას დეიდაზე, თავის დებზე. კამო ხშირად დადიოდა ფინეთიდან პიტერში. მუდამ თან დაქონდა იარაღი, და დედაჩემი ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობით აუკრავდა ხოლმე მას რევოლვერებს ზურგზე“.

კამო პეტერბურგში ჩავიდა თ.- [ახნაურობის წინამძღოლის პასპორტით და ოკენებობდა იმაზე, თუ როგორ შესულიყო სასახლეში და მოეკლა მეფე.

მეორე ადგილას ამხ. ნ. კ. კრუპსკაია („მოგონებები ლენინზე“, ნაკ. II 1906 წ.) კამოს შესახებ შემდეგს გვიამბობს:

„1911 წ. ჩვენთან პარიზში ამხ. კამო ჩამოვიდა, რომელიც 1908 წ. დამდეგს დაპატიმრებული იყო ბერლინში დინამიტით სავსე ჩამადნით. ის გერმანიის ციხეში იჯდა წელიწად ნახევარზე მეტი, იგოციანებდა თავს; შემდეგ 1909 წ. ოქტომბერში რუსეთს გადასცეს, და ტფილისში გაგზავნეს სადაც მეტების ცი-

ხეში იჯდა კიდევ 1 წელიწადს და ოთხ თვეს. იქ ის უიმედოდ სულით ავად-მყოფად აღიარეს და მიხეილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც გაიქცა, ხოლო შემდეგ პარიზში გაიპარა ლენინთან მისამართ-კვებლად. მას დიდად სტანჯავდა ის გარემოება, რომ განხეთქილებით მისამართით მხრით ილიჩსა და მეორე მხრით ბოვდანოვსა და კრასინს შორის. მას ძალიან უყვარდა სამივე. გარდა ამისა, ის ცუდად ერკვეოდა იმ გარემოებაში, რომელიც ჩამოყალიბდა მისი ციხეში ჯდომის დროს. ილიჩმა მას გააცნო საქმის მდგომარეობა.

კამომ მთხოვა შეეცადა მისთვის ნუში. იჯდა ჩვენს პარიზულ სასტუმროს სამზარეულოში, სკამდა ნუშს, როგორც ის ამას შეგბოდა თავის სამშობლოში; გვიამბობდა როგორ დაიჭირეს ბერლინში, როგორ გაატარა სიმულაციის წლები, როდესაც ის იგიტიანებდა თავს, მოვითხრობდა მოშინაურებულ ბელურაზე, რომელსაც აღარ იშორებდა საპატიმროში. ილიჩი უსმენდა და მეტის მეტად ებრალებოდა ეს თავდადებული, ბავშვით გულბრყვილო, მშურვალე გულის ადამიანი, რომელიც მზად იყო დიადი ნაბიჯების გადასადგმელად და რომელიც გაქცევის შემდეგ აღარ იცოდა, რა საქმისთვის მოეკიდა ხელი. მისი მუშაობის პროექტები ფანტასტიური იყო. ილიჩი არ ეკამათებოდა, ცდილობდა ფრთხილად ჩამოეყვანა კამო მიწაზე, ეუბნებოდა მას ტრანსპორტის მოწყობის საჭიროებაზე და სხ. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ კამო ბელგიაში, წავიდოდა იქ თვალის ოპერაციას გაიკეთებდა. თვალის ავადობის ნიშნით, ჯაშუ-შები ადვილად სცნობდნენ მას, მერე ზღვით გადავიდოდა სამბრეთში, შემდეგ კავკასიაში. დაათვალიერა რა კამოს პალტო, ილიჩმა კითხა: „თბილი პალტო გაქვს? ამაში ხომ შეგცივდებათ გემის ბაქანზე სიარულის დროს?“ თვითონ ილიჩი გემით მოგზაურობის დროს განუწყვეტლივ დადიოდა იქით აქეთ ბაქანზე. და როდესაც გამოიჩქვია, რომ კამოს არავითარი სხვა პალტო არა ჰქონდა, ილიჩმა გამოუტანა თავისი რბილი რუხი პლაშჩი, რომელიც მას სტოკჰოლმში აჩუქა დედამ და რომელიც ილიჩს ძალიან მოსწონდა. ილიჩთან ლაპარაკმა, მისმა აღერსმა ცოტაოდნავ დაამშვიდა კამო. შემდეგ, სამოქალაქო ომის პერიოდში კამო ისევ ჩავარდა თავის ბუნებრივ კალაპოტში, მან ისევ დაიწყო გმირობის საკვირველების გამოჩენა. მართალია, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით ის ისევ ამოვარდა ბუდიდან, სულ სწავლის გაგრძელების საჭიროებაზე ლაპარაკობდა და ამავე დროს ოცნებობდა სხვადასხვა საგმირო საქმეებზე ის დაიღუპა ილიჩის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს“.

როდესაც სტალინინი მოკლეს, კამო ძალიან სწუხდა, რომ მას წილად არ ხვდა საშინელი მედროვის სიკვდილით დასჯა... როდესაც 1907 წელს მენდელსონის მეთაურობით გერმანელი ბანკირები ეხმარებოდნენ კაპიტალით მეფის მთავრობას, რომელმაც ძლივს ჩააქრო რევოლუციკია, კამო — ავტორიტეტული ამხანაგების გადმოცემით, — ფიქრობდა ტერორისტული აქტით გამოსვლას მენდელსონის წინააღმდეგ. „ავაფთქებ, დავიღუპები, მაგრამ ისინიც დაიღუპებიანო. — ამბობდა ის.

სახდვარგარეთ მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, თანდარშული დენისა და არალეგარული მდგომარეობის სიძნელეებისა, რაც ძალღონის და

ყურადღების სამ მეოთხედს ნთქავდა, კამო იჩენს არაჩვეულებრივ გაქანებას, რომელიც ათასნაირ დავიდარაბას უქმნის გერმანიის პოლიციას. კამოს დაპატიმრების შემდეგ უკანასკნელი ბერლინში ნახულობს იარაღებს და კლიტერატურის არა ერთ საწყობს, არამედ მთელ ქსელს; ხოლო კამოს მძევრობა ემთხვევა აჩენს მანძილზე ასაფეთქებელ გაუმჯობესებულ მექანიზმებს, რომელიც საფრანგეთის არმიის საიდუმლოებას შეადგენდა, დინამიტის მარაგს, რევოლვერებს და სხ. კამოს რევოლიუციურ საქმეებში დიდი მამსტაბი უყვარდა, მაგრამ მათი განხორციელების დროს ის წონასწარობას და თავის ჩვეულებრივ კონსპირაციულ თვისებებს ინარჩუნებდა—სიზუსტეს, წინდახედულებას, სიფრთხილეს, პედანტიზმს. ტყუილად არ უწოდებს მას მოსწრებულად მ. გორკი „რევოლიუციის ოსტატს“.

კამოს ყველა ნამდვილი საქმის შეტანა არ მოხერხდა ამ წიგნში. ეს საქმეები მეტად ბევრი იყო; ზოგი მათგანი დავიწყებულია, ზოგი დაუმტკიცებელი,—ბოლშევიკებს, კამოს ტოლებს, მის მოასაკეთ ბევრი დრო არა აქვთ აქამდე, რომ ყველაფერი მოიგონონ და წერილების წერას შეუდგენ. კიდევ უფრო ნაკლებად არის ასახული აქ ლეგენდები კამოს შესახებ. ნამდვილად კი ისინი ასე თუ ისე, ხანდახან ძალიან მახვილად ახასიათებენ კამოს პიროვნებასაც და ეპოქის რევოლიუციური ყოფასაც. ეს ლეგენდები სიტყვიერად გადადის ზეპირად ვრცელდება. ამიერკავკასიის გამოცდილ რევოლიუციონერებში და ახალგაზრდობაშიც, და ალბათ თანდათან უფრო გამტკიცდება მომავალში. ერთი ასეთი ლეგენდათაგანი გვინდა აქაც მოვიყვანოთ. საინტერესო ისაა, რომ ამას გადმოგვცემენ არა როგორც ლეგენდას, არამედ როგორც ფაქტს, და უკანასკნელი არა ნაკლებ დამახასიათებელია ვიდრე მისი შინაარსი.

საკატორლო ციხიდან განათვისუფლების მთელი რიგი მარცხით გათავებული ცდების შემდეგ კამომ გადასწყვიტა გაქცევა და ამისთვის მოიგონა სიკვდილი. ეს იყო თებერვლის რევოლიუციის წინა დღეს. კამომ დაიწყო ხანგრძლივი შიმშილობა, ის თანდათან ხდებოდა, ფერი ეკარგებოდა, სუსტდებოდა და ბოლოს „მოკვდა“. საპატიმროს საავადმყოფოში თვალყურის დევნება სულ ზერელე იყო. აქ ექიმებს ძალიან არც ცოცხლები აინტერესებდათ და არც მიცვალებულნი,— და აი კამო საცხედრეში წაიღეს.

კამომ იცოდა, რომ გადატანის დროს გზაში მას კიდევ ერთი მეტად მძიმე გამოცდა მოელოდა; გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიცვალებულებს პალატიდან გამოსვენების წინ თავში დაჰკრავენ ხოლმე მძიმე ხის ჩაქუჩს როგორ მოულებს ბოლოს მას ეს დაკვრა? რომ ვერ აიტანოს ტკივილი და შეინძრეს? — მაგრამ ეს გამოცდაც გადალახულია, დაძლეულია. კამომ ისე გადაიტანა იგი, რომ წამწამიც კი არ შეუწმრევია,—როგორც ხედავთ, ლეგენდა ხაზს ავლებს კამოს ძირითად თვისებას—გამძლეობას და ნებისყოფის ძალას.

კამო საცხედრეში აღმოჩნდა, გაშიშვლებული. ღონემიხდილი—ტუსაღთა გვაშებს შორის. ლეგენდა არ ეხება იმას, თუ როგორ იშოვა ტანისამოსი, როგორ გამოეპარა მკვლეს, როგორ მიაღწია კონსპირაციულ ბინას.

რამდენიმე დღის შემდეგ რევოლიუციამ იფეთქა.

როდესაც სამეფო ხელისუფლება დაემხო, კამო საწინააღმდეგოდ იქნებოდა, — კიდევ საუცხოვოდ აღნიშნული თვისება, — ამხანაგებს „დაგვიანებდას უსაყვედურებდა“ რა იქნებოდა რამდენიმე დღით ადრე მოელოთ ბოლო შეწყვეტა და მისი დაშქაშებისთვის? მაშინ კამოს აღარ დასჭირდებოდა უკანასკნელი გამოცდა — წამების გადატანა — ჩაქუჩის დარტყმა და საცხედრე, სადაც შეშველად შემშვილისაგან ღონემიხდილ ადამიანისთვის წოლა ადვილი საქმე არ არის.

კამოს პიროვნების ლეგენდარულობა მის თანამედროვეთა და შთამომავლობისათვის მკიდროდ და ლოგიკურად უკავშირდება ნამდვილ წამებას, რომელიც იძულებული იყო ნებაყოფლობით მიეღო თავის თავზე ბერლინის საავადმყოფოებსა და ტფილისის საპატიმროში. წარსული ეპოქის მხოლოდ ამგვარივე წამების ვადამტან რევოლიუციონერებს შეუძლიათ ღირსეულად დააფასონ კამოს გამძლეობა, სიმტკიცე და საკუთარ სხეულსა და ნერვებზე ბატონობა. ამხ. მ. ტოროშელიძის სიტყვით, „შლისელბურგის ციხის პატრიარქს ნიკოლოზ მოროზოვს უთქვამს კამოსთვის: „მე ისევ ვარჩევდი ოცდაბუთი წელიწადი გამეტარებია ციხეში მარტოდ-მარტო, ვიდრე გადამეტანა ის, რაც შენ განიცადე სამი წლის განმავლობაში“.

და აი, ეს რევოლიუციონერი, — რომელმაც ბრძოლის ასეთი სკოლა გაიარა, რომელიც ათი წელიწადი პირისპირ შეპყვრებდა სიკვდილს, იტანდა შიმშილს, უძილობას ზედიზედ მთელი კვირების განმავლობაში, ყოველგვარ განსაცდელს იატაკქვეშ, უძიმესი მუშაობის დროს, რომელმაც გადაიტანა საშინელი წამება, ხანგრძლივი კატორღა და უბედურება, — უახლოესი ადამიანების მოწმობით გულუბრყვილო და „სიცოცხლის შემხარი“, გულშიარული ადამიანია. შესანიშნავია კამოს სიტყვები, რომელიც მოჰყავს თავის მოგონებებში ამხ. მ. ტოროშელიძეს: „ეს დედამიწა იცინის, როცა მასზე დაედევარ, იგი შეჭარბის ჩემს სიცოცხლეს“.

მრავალი ღირსების და ნიქის პატრონი იყო კამო — რევოლიუციონერი, მაგრამ იგი მოკლებული იყო ყოველგვარი მკერმეტყველების უნარს. თვითონ ძალიან დაცინვით ეპყრობოდა თავის მეტყველების უუნარობას. კიდევ უფრო ნაკლებად ახასიათებს მას, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა მ. გორკიმ, ლაშაზი პოზა. მაგრამ ზევით მოყვანილ სიტყვებში იგი აღწევს ისეთ დამაბურობას და გამომეტყველებას, რომელიც მოსდგამს სიტყვის დიდ ოსტატებს, პოეტებს და პროზაიკოსებს. ამაში გამოიხატა ძალა მისი იღუმალი, მხურვალე გამაჟფრებული სიყვარულისა ცხოვრებისადმი, მიწისადმი, მომავალი თავისუფალი კაცობრიობის სიხარულისადმი. საყოველთაო შევიწროების და დავრომილობის ეპოქაში, მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლების და პროლეტარული რევოლიუციის მებრძოლთა დაღუპვის ეპოქაში; ბნელით მოცული ინტელიგენტური მისტიკის, დოსტოევსკინის, ჩეხოვის მოწუწუნე ხალხის და ლეონიდ ანდრეევის ისტერიკის ბატონობის ეპოქაში; სასოწარკვეთილ გლეხობაში სარწმუნოებრივ მიმდინარეობათა, სტუდენტობაში „სანინურ“ გატაცების და ქალაქებში მასიურ თვითმკვლელობის ეპოქაში, — კამომ ეს ნათელი სიტყვები მონახა, რომ გამოეთქვა თავისი საერთო დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

ამავე აღგზნებულმა სიხარულმა შეუნარჩუნა მას მთელ თავის სიცოცხლეში მგრძობიერი, მხურვალე ლმობიერი გული. მრისხანე ხელისუფალთა და კლასობრივ მტერთათვის—ის იყო გულჩილი, ალერსიანი და მჭრელად არა მარტო მახლობელთათვის, არამედ ყველასათვის. ის გულხარად დასწავლიდა ბავშვებს, რომლებიც მათ მწუხარებდნენ. ის ცდილობდა ყველა დაეკმაყოფილებია, როცა მიმართავდნენ თხოვით. მას სულ მცირედი საშინაურიც კი ახსოვდა, რომელსაც მას როგორც რევოლუციონერს უწევდნენ. მასში იყო ნამდვილი პროლეტარული დიდსულოვნება. ამას ადასტურებენ არა მარტო მისი მეგობრები და ამხანაგები, არამედ მტრებიც.

ტფილისში დღესაც არიან ბურჟუაზიული კლასიდან გამოსული ადამიანები, რომლებთანაც კამო და მისი თანამებრძოლი იმალებოდნენ უმძიმეს წუთებში ხანდახან რამოდენიმე დღეს. როდესაც ოქტომბერმა იგრიალა, ზოგი ამ ბურჟუაზიან მტრების ბანაკში გაიქცა, ზოგი კი დამორჩილდა, შეძლებისდაგვარად გამოეთხოვა თავის სრულ რწმენას და შეუდგა მუშაობას საბჭოთა აბატში. ზოგი მათგანი კამოს შეხვდა მუშაობაში, — და ყველანი უდიდესი პატივისცემით ლაპარაკობენ მისი სულიერი ტაქტის შესახებ. კამო უბრალოდ, გულწრფელად, დაწყნარებით, თავმოუწონებლად, მაგრამ არაქალაქნურად უთითებდა მათ, რომ საჭიროა პატიოსნათ და გულმოდგინეთ ემუშავნათ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ კლასთან და ეს კლასი მონახავდა შემარიგებელ სიტყვებს იმათთვის, ვინც გაიგო და მიიღო მისი ისტორიული ამოცანები.

მე კარგად მახსოვს კამოს ცხოვრების უკანასკნელი დღე. ამ დღეს, 1922-წ. 14 ივლისს, კამოს თავში კიდევ ერთხელ იელვა მომავლის ფართო გეგმებმა, მისმა დიდებულმა ოპტიმიზმმა, იუმორმა...

კამო დიდხანს იჯდა ჩემთან კაბინეტში. ის ამბობდა, რომ ას წელზე ნაკლებ არ იცოცხლებს, რადგან ძალიან ნორმალურად ვცხოვრობო.

მან მიამბო, რომ დილით ის იყო პარტიის ტფილისის კომიტეტში მორიგი ანკეტის შესავსებად. „გამგზავნეთ სამუშაოდ ახალგაზრდებთან, — ამბობდა ის ტფილისის კომიტეტში, — და მე ავლზრდი მათ რევოლუციურად. მე თქვენ მოგიმზადებთ ახალგაზრდა ფოლადისებურ კომუნისტებს“.

იმ დღეს საღამოს ის იყო ამხ. ათაბეგოვთან. ველოსიპედით შინ ბრუნდებოდა და ელბაქიძის დაღმართზე დაიღუპა. ფიქრობენ, რომ კამოს დაღუპვის უშუალო მიზეზი იყო აფეთქების დროს დაშავებული თვალი: უკანასკნელის მხედველობის არე დავიწროებული იყო, და ამხ. კამომ ვერ შეატყო, რამდენი მანძილი ეყოფოდა მას გაქანებულ ავტომობილისაგან...

გიორგი ნატროშვილი

შესაძლებელია თუ არა სოციალისტური ტრაგედია?

„Есть и весьма нужны социалистическому строительству инженеры—металурги, инженеры—стрелители, инженеры—электрики. Нам нужны инженеры, которые строят автомобили и тракторы. Но вам не меньше нужны инженеры, которые строят человеческие души. Вы писатели,—инженеры, строящие человеческие души“
—აბ. სტალინის საუბრიდან შწერლებთან.

ხშირი იყო ჩვენს ცხოვრებაში ისეთი წუთები, როდესაც ლიტერატურის ისტორიის თეორეტიკოსები უარპყოფენ ტრაგედიას და თავის დროის ხელოვნების ეანრებიდან მხოლოდ მას ართმევენდენ მოქალაქეობრივ უფლებებს. ეს მოვლენა ახალი არ არის, მაგრამ ძლიერ სიმპტომატიურია. უკიდურესი, ნილილიზმამდე გადასული რადიკალები თავის არხი რევოლუციონერების დასამტკიცებლად მზურვალედ უარპყოფდენ ამ ეანრს, ხოლო დაბავსებული კონსერვატორები არა ნაკლებ გამაფრებით იცავდენ მას. პირველად ეგონად, რომ პროგრესიულ საქმეს აკეთეადენ, ხოლო მეორენი ფიქრობდენ თითქოს კიდეც ერთ ნაბიჯს სდგამდენ რეაქციონურ აზროვნების დაცვის საქმეში. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ არც ერთს და არც მეორე დაინტერესებულ მხარეს არ ესმოდა საკითხის შინაარსი. ამ შემთხვევაში ტრაგედიამ იგივე მდგომარეობა განიცადა რაც ჰეგელის ცნობილმა ფორმულამ გონივრული სინამდვილის შესახებ, ამ ფორმულამ, როგორც ენგელსი ამბობს, დაიშახურა ერთის მხრივ კუუამოკლე მთავრობათა მადლობა, ხოლო მეორეს მხრივ კუუამოკლე ლიბერალების გულის წყრომა.† ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ ჰეგელის ფორმულაში დაინახა ფილოსოფიური კუთხევა დესპოტიზმისა, ჟანდარმული ცენზურისა და საერთოდ მონარქისტული რეაქციისა. ლიბერალებმაც გაბრაზებით დაკეცეს და უკუაგდეს ჰეგელის წიგნი, მაგრამ ორიენი შესცდენ. და მარქსის წინა ეპოქაში არ შემცდარა მხოლოდ ერთი ადამიანი, მან სხვებზე ადრე გაიგო ჰეგელის ფილოსოფიური აღგებრის ეს რევოლუციონური საიდუმლოება, ამ ადამიანის სახელი იყო ჰენრიხ ჰენენ.¹⁾

¹⁾ იხ. ფრ. ენგელსი — „ლ. ფრიბაზი“.

და სწორედ ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოებაც, რომ ჰენრი ტრაგედის განსაზღვრის საკითხშიც სწორი პოზიცია დაიჭირა, მაღლა დადგა შილლერზედაც და იმ ორივე უკიდურესობაზე, რომელზედაც ზემოთ ვლადიმერ პუტინი

შეზღუდვისა

ორივე უკიდურესობა გამოდის საკითხის ფორმალისტური დაყენებიდან. პეველი მეტაფიზიკოსებს უწოდებდა ყველას, ვისაც არ შეეძლო გაეგო საგნის განვითარების ვრცელი პროცესი, ვისაც არ შეეძლო ამოეცნო მოვლენათა ერთის მეორედ გადაქცევის უნარი. მისტიკოსი სტეპუნი იმიტომ იცავდა ტრაგედისას, რომ ზეციური იერარქია და მართლ. მადიდებლობა დაეცვა, აღედგინა ისინი რევოლუციონურ ეპოქაში და ისტორიის უკანა კარებიდან შემოეყვანა მასების მიერ სამუდამოდ განდევნილი რელიგია, ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ შეუძლებელი ტრაგედია იყო უმითოსოდ არსებულებაც, უკეთ რომ ვსთქვათ, ტრაგედია და მითოსი მას ერთი და იგივე ეგონა და თუ ეს ენარი აღადგინა რევოლუციის მომდევნო ხელოვნებამ, ცხადია, მასთან ერთად საფლავიდან ძველი დროის ღმერთებიც ადგებიანო. თეორეტიულს ხელოვნების მკოდნეობის წარმომადგენელთა ერთ ნაწილს ამისი შეეშინდათ, რომელთაც გაგანაცხადეს ტრაგედის აღდგენა შეუძლებელიაო. ამ უკანასკნელებმაც ვერ შოა ხერხეს წარმოედგინათ ტრაგედია მითოსის გარეშე ვერ გაიხედეს არისტოტელის „განწყენის“ თეორიის იქით, ვერ მოახერხეს ამაღლება მკვდარ თაობათა ტრადიციებთან შედარებით და ფაქტიურად გვი შეიტანეს რომ ეს ენარი დრამატული ხელოვნებისა მართლაც ისეთ საჩოთირო საქმეს მოაწყობდა, რომელიც მხოლოდ კლასობრივ მტერს გაახარებდა. ამგვარად საბოლოო ანგარიშში ტრაგედის არსის გაგების საკუთგში ორი მებრძოლი უკიდურესობა ერთი და იმავე ფორმალისტური პოზიციიდან ებრძოდა ერთი-მეორეს. დოსტოვის „ნაცხ“ შავრაზმული რომანია, საზოგადო პასკვილია რევოლუციონერებზე, ხოლო პროლეტარული მწერლების რომანები - ფადეევის „განადგურება“, შოლოხოვის „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“, მოწინავე ბოლშევიკურ მსოფლმხედველობის პოზიციაზე სდგანან; ცხადია რომანის ენარი კი არაა წამყვანი ძალა, არამედ ავტორის იდეა და მისწრაფებაა. ასევეა ტრაგედიაც. „დონკარლოსი“ მონარქიზმის იდეის დამცველი ტრაგედიაა, ხოლო ანტიური ესხილის „პრომეთეოსი“ („მე მძავს ყველა ღმერთები...“) მარქსს რევოლუციონურ აზრის ჩანასახად მიანდა: რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ შილლერი შეეგუა პრუსიული რეაქციის ატმოსფერას, ხოლო ესხილი ძველი დროის პროტესტანტი იყო ღმერთების წინააღმდეგ. ამიტომ უყვარდა მარქსს ესხილი და სძულდა შილლერი. აქედან ცხადია, ტრაგიკული ენარის დასმა საბრალმდებლო სკამზე მხოლოდ გაუგებრობაა. ამგვარ ფორმალისტზე ბევრმა მოიტება ფეხი. სალტიკოვ შერდინმა ლექსების წერა ხომ სულელურ ჯამბაზობად გამოაცხადა, რომანის ენარიც უარპყო და პ. ვ. ანენკოვთან მიწერილ წერილებში ზიზლით დასცინოდა ტურგენევის და ტოლსტოის ბელეტრისტიკას, განსაკუთრებით „ანნა კარენინას“. თვით შჩედრინი მხატვრული მიმოხილვის და ნარკვევების ენარზე მუშათბდა და ამ დარგში გენიალურ ნიმუშებსაც ჰქმნიდა; პისარევი ურჩევდა ამისათვისაც თავი დაუნებებია და საბუნებისმეტყველო პოპულიარული ბროშე-

რები ეწერა. აი სადამდე მიდიოდა მისი ნიპილიზმი. თავისი ბრძოლის სოციალისტურ ნაწილში ისინი მართალნი იყვნენ როდესაც ტურგენევის სალონურ და პოტი-სტულ ტრაგიკულობას ებრძოდნენ (Бывало, Тургенев приходит и даже все: траги—изм, траги—изм—ივონებდა ტოლსტოი), ასეთი ნაბუღებელი ტრაგეზმის შეიქმნა ფრანგულ არისტოკრატის სალონებსა და ბუღუარებში და იგი მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით ხელოვნებაში გადაიტანა ვოლტერმა და ფრანგულმა ტრაგედიაში.

როცა მეცნიერულმა სოციალიზმმა მძლავრი შეტევით ძირს დასცა ფაქალიზმის, მეტაფიზიკურად გაგებულ ბრმა აუცილებლობის, ბედისწერის თეორია, არათანამიმდევარი მოაზროვნენი და ეკლექტიკოსები ამ ფაქტმა დააჩქარუნა, რომ ამიერიდაა ტრაგედის ეპოსის სიკვდილის ეპი უკვე მოსულია. სინამდვილეში კი ტრაგედის ეპოსი ახალი გაშუქება მიეცა. აქამდე ის „ბედზე“ ეყრდნობოდა ახლა კი მეცნიერების გზაზე უნდა გადასულიყო. ამ რიგად ლიტ. ისტორია იცნობს ორი ტიპის ტრაგედიას. საკითხის ნათლად გაშუქებისათვის ჩვენ ერთის თვალის გადავლებით შევიჩრდებით „ბედისწერის“ ტრაგედიაზე, შემდეგ ფრანგულ კლასიციზმზე, რომელსაც, პრინციპიალურად უპირისპირდება სოციალისტური ტრაგედიის ეპოსი. ისეთი მრავალმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, როგორცაა მარქს—ენგელსის წერილები ლასალის ტრაგედიაზე და იმავე დროს როდესაც უკვე ცნობილია ლენინის აზრიც ამავე ტრაგედიაზე, შეუძლებელია შემოდდაყენებულ საკითხებს ტრაგედიის ყოფნ-აოყუნის შესახებ უარყოფითი პასუხი გავსცეთ. ამისთვის ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა გამოვიდეთ ტრაგიკული კატეგორიის კონცეპციის იმ თეორიული ლაბირინტიდან, რომელშიაც ლიტერატურის ისტორია შეიყვანეს არისტოტელის „გაწმენდის“ თეორიამ და შილდერის ეთიურმა იდეალიზმმა და მთელი საუკუნეების მანძილზე შიგ გამოამწყვდიეს. ახალი სოციალისტური ხელოვნების თეორიულ კონცეპციას პირველად მარქსმა გაუკვალა ბილიკები. მანამდე კი ტრაგედიამ ანტიურ საბერძნეთიდან დღემდე ძლიერ ვრცელი და საინტერესო ისტორიული გზა ვაიარა. ჰეგელის თქმით შექსპირი იყო ეპილოგი ანტიური ტრაგედიისა. მარქსმა კაცობრიობის ისტორიის მთელ ეპოქებს სოციალიზმამდე ისტორიის პროლოგი უწოდა, ამჟამად როდესაც სოციალიზმის საძირკველი უკვე აშენებულია, პროლოგიც თავდება და ახალი ეპოქა ამავე დროს ახალ ხელოვნებას აშენებს.

* *

ბედისწერა ანტიური ტრაგედიის საფუძველი იყო, მისი მოქმედების მამოძრავებელი ძალა და ტრაგედიის ფაბულის წამყვანი საკუთარ გზაზე, რეალური ცხოვრების კანონზომიერების მიღმა ქვეყანაში. ადამიანის დღევანდელ შემეცნებას მხოლოდ განცვიფრება შეუძლია იმ ფაქტალიზმს წინაშე, რომელიც ჰფლობდა კაცობრიობის ისტორიის ბავშვობის—ძველი ბერძნების აზროვნებას. ადამიანი უძლური იყო ბუნების წინაშე. და განა მარტო მაშინ? სახარების და განგების წყრომა კი არ სთელავდა ფეხ-ქვეშ ადამიანს არამედ მისი საკუთარი გონების გამოუცდლობა. ადამიანის გონება წყნარად სთვლემდა კა-

ცობრიობის ბავშვობის აქვანში და პარველყოფილური ძილით ვინა მას საუკუნეების მკლავზე. ამ ნიადაგზე გაჩნდა მითოსი, რომელსაც „პარველყოფილ მსოფლმხედველობის გამოხატულებდა.—(ერენრაიხი), რადგან მას ქვეყნის აქსნა ბუნების მოკლენები, მან გააპიროვნა ყველა ისინი. მაშინდელ ადამიანს ეგონა—რომ „ზე ლაპარაკობს, გრძნობს უხარიან, იტანჯება როგორც ადამიანი, რომ, ცხოველები მოძრაობენ ისევე შეგნებულად როგორც ჩვენ, რომ იმათ ლაპარაკით კი შეუძლიათ ადამიანურ ენაზე... მათი წარმოდგენათ კლდე გაქვავებული ვოლიათია, რომელსაც შერჩენილი აქვს გრძნობა და აზროვნება, მდინარე გრძნეული ქალია“ (ჩერნიშევსკი). ანტიური ეპოქის ბერძნებზე უფრო აღრე ბედისწერის რწმენა ახასიათებდა პარველყოფილ ადამიანებს. ამას ამტკიცებს თანამედროვე ველურების განხილვა, „აესტრალიაში ცხოველი ტოტემი—მაგ. კენგურუ—თავის ნათესავ ადამიანებს მტრის მოახლოებას ატყობინებს ხოლმე. აესტრალიელი ტომი კერნაი, რომელსაც ტოტემად ყვავი ჰყავს, თავის მომავალს მისი ჩხავილით ტყობილობს. კუნძულ სამოაზე ბუს კლანის მკვიდრნი სანადიროდ რომ მიდიან, თვალყურს ადევნებენ ამ ფრინველის ფრენას. თუ ის მტრისკენ მიფრინავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღროა მტერს შეუტეონ, ხოლო თუ ის პირიქით შორდება მის ბანაკს, აქედან გამოყავთ დასკვნა, რომ უკან უნდა დაიხიონ. ამიტომ ზოგიერთ მათგანს მოშინაურებული ბუ ჰყავს, რომელსაც მიმართავენ ხოლმე სამხედრო მოქმედების დროს“ (ფრეზერი).

ამდენად უძლური იყო ადამიანი ბუნების წინაშე და ამიტომ უხრიდა მას ქედს. ვაგიდა პარველყოფილი ხანა და დაიწყო მონათფლობელური ეპოქა. ამ დროს აყვავდა საბერძნეთის კულტურა, ბერძნულმა ტრაგედიათ თავის უმაღლეს მწვერვალს მე-V საუკუნეში (ქრ. დაბ-მდე) მიაღწია. ამ დროს გამოვიდნენ ესხილი, სოფოკლე, ევრიპიდე. ამ ტრაგიკოსების გამოსვლას თან მოჰყვა განთქმული თეორეტიკოსი არისტოტელე თავის „პოეტიკით“. სოფოკლის და ესხილის ტრაგედიები მთლიანად დამყარებულია ბედისწერის გარდუვალობაზე. მარქსს ძლიერ უყვარდა ბერძნული ხელოვნება. „ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია—სწერდა მარქსი შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელია, რომ იმ შეხედულებას ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ბერძნულ ფანტაზიას და ამიტომ ბერძნულ ხელოვნებასაც საფუძვლად უდევს, ადგილი ჰქონდეს სელფექტორის, რკინის გზების, ორთქლმავლების და ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს? სადღაა ადგილი ბერძნების ღმერთის ვულკანისათვის Rodets და C^o-ს გვერდით? იუპიტერისათვის მეზთამოიდის გვერდით და პერმესისათვის Credit mobilier-ს გვერდით? ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით და ყოველგვარ მითოლოგიას ნიადაგი ეკარგება, როცა ადამიანი ნამდვილად ბატონდება ბუნებია მოკლენებზე. სადღაა ადგილი ღმერთქალი ფამასათვის Printinghousesguarn¹. ის გვერდით? ბერძნული ხელოვნება გულისხმობს ბერძნულ მითოლოგიას, ე. ი. ბუნებასა და საზოგადოებრივ ფორმასაც, რომელმაც უკვე

¹) ლონდონის უდიდესი სტამბა.

მიიღო შეუცნობლად ხელოვნების წესით გადამუშავება ხალხის ფანტაზიის მიერ. ეს არის მისი მასალა... ამნაირად ბერძნული ხელოვნების ნიადაგი არას გზით არ შეეძლო შეექმნა ისეთ საზოგადოებრივ განვითარებას, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ მითოლოგიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან, კერძოდ გამოითვბელ მიმართება მისდამი, მაშასადამე მითოლოგიისაგან დამოკიდებულ ფანტაზიას მოითხოვს ხელოვანისაგან მეორეს მხრივ: განა შესაძლებელია აქილესი თოდის წამლის და ტყვიის არსებობის დროს? ან ილიადა საბეჭდი მანქანის და საბეჭდი დაზვის არსებობას? ცხადია, რომ ბერძნული ფანტაზია, ანტიური მითოსი ვერ შესძლებს არსებობისას სელფაქტორის, რკინის გზების, ორთქლმავლების საერთოდ თანამედროვე საზოგადოების ეპოქაში. იუპიტერი და ჰერმესი ვერ დაედება ახალ ხელოვნებას საფუძვლად, ვერ გადიქცევა ნიადაგად ხელოვნების აყვავებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოდესღაც, ათასეული წლების წინათ, იყვნენ მიზეზი ბერძნულ ხელოვნების გენიალური აღორძინებისა. აღარ არის აქილესი გმირი დღევანდელი პოეზიისა, აღარც ელექტრა გამოვა მთავარ გმირად ახალ ტრაგედიაში. მიზეზი ის არის, რომ ყოველი ეპოქის ხელოვნება თავის დროის მკვიდრი შვილია და მისი მაჯისცემის გამომხატველი. მითოსთან დაკავშირებული ტრაგედია ვეღარ ავა იმ სიმაღლეზე, რომელსაც მებუთე საუკუნის საბერძნეთში მიაღწია. სამაგიეროდ სხვა დარგები ლიტერატურისა გაუსწორდებიან კლასიკურ სიმაღლეებს და მასზე უფრო მაღლა აიშარება კიდევ ახალი მწვერვალები. „მაგრამ სიძველე იმის გაგებაში კი არ მდგომარეობს — ამბობს მარქსი — რომ ბერძნული ხელოვნება... განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთანაა დაკავშირებული. სიძველე ამის გაგებაშია: რომ ისინი ჩვენ კიდევ ხელოვნებითი სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრული მხრივ (ე. ი. არა აბსოლიუტურად — გ. ნ.) ნორმის და მიუწვდომელ ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“.

ეს მართლაც ყველაზე უფრო რთული კითხვაა: რატომ გვიზიდავს დღეს ბერძნული ხელოვნება? რატომ ხდება, რომ ამდენი საუკუნის შემდეგ, ამდენი ეპოქათა კატასტროფების, ამდენი ბრძოლის და ქარიშხლის შემდეგ ჩვენს სმენას ისევ ზიბლავს დავიწყებული წარსულიდან შორს დარჩენილი ბერძნული სიმღერის ხმა? წასულ ანტიურ ეპოქიდან ხომ ქვა ქვაზედაც არ დარჩენილა, ხომ გაანადგურა ეს მონათმფლობელური ქვეყანა ისტორიის რკინის ლოკაცამ. რატომ ვერ გაცვითა ეს ხელოვნება მოზუცმა ისტორიამ, რატომ ვერ გაახრჩია მისი მხატვრული ფერადობა? რა არის მიზეზი ამ სიმღერაში, რა გვეძახის მისკენ? რატომ ხდებოდა რომ მარქსს, „კომუნისტური მანიფესტის“ ავტორს, შოფლიო პროლეტარიატს ბელადს ისევ უყვარდა ესხილე? ეს ერთი. მეორე კითხვა: რატომ ხდება, რომ „განსაზღვრული“ მხრივ ბერძნული ხელოვნება „ნორმის და მიუწვდომელი ნიმუშის“ მნიშვნელობას ინარჩუნებს? ამ ორ საკითხს ისევ მარქსმა გასცა გენიალური პასუხი. ის სწერდა: „არიან გაუწვრთელი ბავშვები და ნაადრევად ქვეიანი ბავშვები. ძველ ხალხთან ბევრნი ამ კატეგორიას ეკუთვნიან. ბერძნები ნორმალური ბავშვები იყვნენ. ჩვენთვის მათი ხელოვნების მომხიბლავობა არ ეწინააღმდეგება განუვითარებელ საზოგადოებრივ საფეხურს რომელზედაც იგი აღმოცენდა პირიქით, იგი მისი შედეგია, განუყრელად და-

კავშირებში უფრო იმ გარემოებასთან, რომ ის პოპულარული საზოგადოებრივი პირობები, რომელშიც იგი წარმოიშვა და სადაც მარტოოდენ შეიძლება წარმოშობილიყო, არასოდეს არ შეიძლება განმეორდეს. ამის გამო მარქსი სწერს კადევ: „მამაკაცი ხელახლა ბავშვად ვერ იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასაცილო გახდება. მაგრამ განა მას არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა, განა თვით არ უნდა მიისწრაფოდეს, რომ უმაღლეს საფეხურზე გადმოსცეს თავისი ნამდვილი არსება და განა ბავშვის ბუნებაში სიცოცხლეს არ მიიღებს ყოველ ეპოქაში მისი ხასიათი თავის კეშმარტი ბუნებრივი სახით? კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშვობას, როდესაც იგი უმშვენიერესად გაიშალა, რატომ არ უნდა ბჭონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, როგორც განუმეორებელ საფეხურს? აქ მოცემულია გენიალური პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვებზე: მარქსის აზრით ბერძნული ხელოვნების სტილიზაცია არ არის სასურველი და საჭირო, რადგან მამაკაცი ბავშვად ვერ იქცევა, რომ იქცეს—სასაცილო იქნება, მაშასადამე მითოლოგიური ტრაგედიის რესტავრაცია მარქსს რეაქციონერობად და უგუნურობად მიაჩნდა. მეორეს მხრივ განა ადამიანს არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა—ამიტომ მართალია მიუწვდომელი და დაუბრუნებელი („განუმეორებელი საფეხური“) მაგრამ მაინც მშვენიერი ხელოვნება კაცობრიობის ისტორიის ნორმალურ ბავშვებისა—ძველი ბერძნებისა—დღეს ისევ აღელვებს ჩვენს გრძობებს. ხომ აინტერესებს ადამიანს, რომ უმაღლეს საფეხურზე“ ე. ი. დღეს გადმოსცეს თავისი ნამდვილი არსება და ყოველ ეპოქას ხომ აქვს თავისი ბავშვობის ხანა? განა ამ ეპოქის ბავშვური ხანის ბუნებაში არ გაცოცხლდება საკუთარი (და არა ანტიური, არა ბერძნული) კეშმარტი ბუნებრივი ხასიათი? ანტიური სილამაზის რესტავრაცია დღეს შეუძლებელია, მაშასადამე ახალი ტრაგედიის შექმნის პროცესში მისი მიზანქა (და არა მისი კორტიკული დაძლევა საერთოდ) სასაცილო გამოვა. ერთი პროცესია ანტიური სილამაზის შექმნა, მეორე, მისი მხატვრული მიღება, მისი ათვისება. პირველი პროცესი დღეს შეუძლებელია „იუპიტერი და პერმესი ორთქლმავლის გვერდით ვერ იარსებებს“), რადგან აღარ არის ის მითოლოგია, ის კლასი, ის პოლიტიკა, რომელთაც ეს სილამაზე შექმნეს და რომელიც ვერ დამზადდება ფრანგულ ცრუკლასიკურ ლაბორატორიაში; ხოლო მეორე პროცესი, ანტიური ხელოვნების ათვისება, მხატვრული მიღება შესაძლებელია ახლაც და შესაძლებელი იქნება კომუნისტების დროსაც. ცნობილია, რომ მარქსი იდიოტად სთვლიდა ყველა იმას, ვისაც არ ესმოდა ანტიური ხელოვნების მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის. ანტიურ ეპოქაში, როგორც ვნახეთ, ადამიანი უძლური იყო ბუნების წინაშე და ამიტომ უბრიადა მას ქედს. „ბეკონიდან და დეკარტიდან მოყოლებული ბუნების მეტყველნი ადამიანს სინჯავენ როგორც ბუნების შესაძლებელ ბატონს: იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცითო“ დღეს სოციალისტური ადამიანი ხდება ბატონი ბუნებისა და ამიტომ ტრაგედიაც ვაღიარებელია გაიზიაროს და იწამოს მისი პათოსი. შით უმეტეს შეუძლებელია—როგორც მარქსი ამბობდა—ანტიური ტრაგედიის რესტავრაცია. — ბედისწერის რწმენას გამოეცალა ყოველგვარი საფუძველი. მიუხედავად ამისა „ბედისწერის“ ტრაგედიის „ახალი“ სახით აღდგენა მაინც არ

გათავებულა. მაგ-ად, გრ. რობაქიძის „ლონდა“ ბედისწერა¹ რისხვის გადმოცემაა. ასეთივეა მისი „მალსტრემიც“ აქ მწვერალი ისევ ფატუმის ტყვეობაშია. საინტერესოა, რომ ამ მხრივ, ვაჟა ფშაველაც, როგორც ანიმიზმის ტრუბადური ბედისწერას ხშირად ანიჭებდა გადაწყვეტ როლს. მწვერლოდან² როგორც ანტიურს, ისე მე-XIX საუკუნისას და დღევანდელსაც, ფატუმის რწმენა ანიმიზმა გადასცა მეგვიდროებით. ანტიური ტრაგედიისათვის ეს ბუნებრივი იყო, ხოლო დღევანდელ მწერლობას ის იაე უხდება, როგორც ველურის შვილდისარი თანამედროვე ტენიკით შეიარაღებულ არმიას. ჰეგელის შენიშენას: ყოველი დიდი მსოფლიო ისტორიული ფაქტი, ასე ვსთქვათ, ორჯერ წარმოიშობაო, — მარქსმა დაუმატა: პირველად როგორც ტრაგედია მეორეჯერ კი როგორც ფარსია³. და მართლაც მითი ურიელემენტი დრამაში როგორც ისტ. ფაქტი — ტრაგედია იყო, დღეს კი ფარსია (მამაკაცი ბავშვად ვერ იქცევა, რომ იქცეს — სასაცილო იქნება“).

ასეთ მდგომარეობაში ვარდება „ლონდას“ აეტორიც სხვა რესტავრატორებთან ერთად, რომელნიც „მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათს სახელებს, საბრძოლველ ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“ რა უნდა უთხრას თანამედროვე, ანიმიზმის ბორკილებსაგან განთავისუფლებულ ადამიანს „ლონდამ“ და „ლამაზამ“? „ლონდას“ მთავარი ტრაგიზმი ფატუმიდან მომდინარეობს. მომქმედი პირობების სყოფა მიჯაჭვულია ბედისწერის საშინელებაზე. და გარდა ამისა „ლონდაში“, როგორც ძველი დროის ტრაგედიის პრინციპი მოითხოვს, უმთავრესი მომქმედი პირობები არიან „უმალღესი წოდებისა“. მთავარი, დედოფალი, თამაზ ბატონიშვილი, ქურუმი და ლონდა, ბერძნული ტრაგედიის პლანის 'გაშლილობის თანახმად პიესაში გვხვდება ზორო და მასები; ხალხი შეკრებილა და მწუხარედ საუბრობენ საშინელი გვალების შესახებ, რომელიც სწავეს და ბუკავს ქვეყანას. „მდინარეები კლებულობენ თანდათან“ „წყაროები შრებიან ყოველდღე“ „წყურვილით იხოცება ყოველი სულდგმული“, „ქცნება ფოთოლი, ხმება ხეხილი, კვდება ნაყოფი“, „ბრაზდება სიცხე და ცოფდება ყოველი“. ხალხს სჯერა, რომ გვალების მიზეზი განგების რისხვაა და ჰგზავნიან ხატთან ქურუმს. უცდიან წყრომის მიზეზის ვაგებას. „ფუცდით საიდუმლო ცხადებას — ამბობს ერთი, მესამე დღეა რაც დიდი ქურუმი ლოკულობს ჩვენთვის. უნდა შეიტყოს თუ რას მოასწავებს ჩვენს თავზე დატეხილი უბედურება“. ქურუმი შეამავალია ხალხს და განრისხებულ განგებას შორის. „თავარი გმირია ტრაგედიისა ლონდა, „ულამაზესი ყოველი ქალთა შორის“. ეს ლონდა გაგიყვით უყვარს ბატონიშვილ თამაზს. ხალხთან ერთად „საიდუმლო განაჩენს“ უცდიან ლონდაც და თამაზიც. გამოდის ქურუმი და ამბობს, რომ ღმერთთა განრისხებული და მსხვერპლად ლონდას მოითხოვსო. „ბედი სასტიკია და ლამაზი“ — იძახის ოთარ მოშირიგ. თამაზი უარხეა, ის წინააღმდეგია ლონდას მსხვერპლად შეწირვისა (კლდეზე უნდა გადააგდონ), მაგრამ თვით ლონდა ამბობს: „იყოს ბედი სასტიკი და ლამაზი! მე არ ვიცი ვინ

¹ იმ. მარქსის „თვარამეტი ბრიუვერი“ გვ. 9.

არის სადღადა. არც ის ვიცი რა არის მისი განგება. ვიცი მხოლოდ კვებითი და სიყვარული. მახარებენ მზის თესლები და მახალისებს ატენილი აწვეერი მიწის ავხორცი ტანის... მზადა ვარ მაინც ავასრულო სიტყვა „ქუჩუმი“ ამის შემდეგ თამაზი აიტაცებს ლონდას და მასთან ერთად გადაიქცევა უსუსრულზე. ასეთია ტრაგიკული ფინალი პიესისა.

გრ. რობაქიძის „ღამარაში“ და ნაწილობრივ „უღეგაშიაც“ ჰპოვა თავისი გამოხატულება ანიმიზმმა, გრძელუმი მინდიას ტრაქტოვკა როგორც ეკლასი ისე რობაქიძისა ერთნაირია. მინდიას ესმის ყოველი ქვის და კლდის ჩივილი, მან იცის ჩიტების, ბალახების და ხეების ენა. ნუ თუ რობაქიძეს მართლა სჯერა ეს წმინდა სახის ტიპური პირველყოფილური ანიმიზმი? „უღეგა“ სოციალისტურ მშენებლობას ეხება და აქაც კი ერთი ხელოსანი ლაპარაკობს, რომ ის გრძობს ქვის „სიციოცხლეს“, მის „ნდომას“ და სურვილებს, რომ ქვაც ცრცხალია და გრძობები აქვს. გარდა ამისა რობაქიძეს „მალშტრემში“ გამოჰყავს კანტის და აინშტაინის მოჩვენებანი, რომელნიც ჩნდებიან—ერთი მათგანი „ობობას ქსელში“ და მეორე—„ასტრონომიულ აპარატებში“. მოჩვენებანი გამოდიან ჩვეულებრივ ბურჟუაზიული კაფე შანტანში და ლაპარაკობენ თავის ფილოსოფიურ აფორიზმებს. მათი ხმა ესმის მოქეიფებს და ეშინიანთ. შესაძლებელია თუ არა თანამედროვე მწერალმა გაიზიაროს ასეთი ხერხი? ამ საკითხს ჯერ კიდევ გოტფრიდ ლესსინგმა გასცა პასუხი. „ჰამბურგის დრამატურგიაში“ ის სწერდა: „ყველა ძველ ხალხებს სწამდათ აზრდილის მოვლინება. ამიტომ ცხადია, რომ მაშინდელ დრამატურგ მწერლებს ჰქონდათ უფლება ესარგებლათ ამ რწმენით... მაგრამ აქვს თუ არა ასეთივე უფლება თანამედროვე მწერალს? რასაკვირველია არა. იმ შემთხვევაში თუ მისი ნაწარმოების სიუჟეტი ნასესხებია ძველი დროიდან? მაშინაც კი არ შეიძლება ასეთი უფლება ჰქონდეს“. ცხადია, რომ აზრდილები და მოჩვენებანი თანამედროვე მწერლობაში რეაქციონურ ანაქრონიზმს წარმოადგენენ, ლესსინგი არჩევდა რა ვოლტერის ტრაგედია „სემირამიდას“, სადაც გამოყვანილია აზრდილი, სწერდა: „შექსპირის ტრაგედიაში აზრდილი ცხადდება... ღამის სიჩუმით მოცულ წყვდიადში, მას გარს არტყია ნაღვლიანი და საიდუმლო ატმოსფერა, ყოველივე ამის გარეშე ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ვერავითარ აზრდილს, ხოლო აზრდილი ვოლტერის პიესაში პავშევის საფრთხობელადაც არ გამოდგება. ეს სხვა არაფერია გარდა გადაცმული აქტიორისა, რომელიც არაფრით არა ჰგავს აზრდილს; წინააღმდეგ, მთელი მოწყობილობა, რომელშიაც აზრდილი გვევლინება, ხელს უშლის ილიუზიას და ამხელს ავტორს უსულგულო შემოქმედებას, რომელსაც ძალიან სურს მოგვატყუოს და შეგვაშინოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია“. ეს აზრდილები ამგვარად მე-XVIII საუკუნეშიაც კი მობეღებულნი იყვნენ, ხოლო დღეს მათი გამოყვანა ხომ ყოველად გაუმართლებელია! მით უმეტეს ბურჟუაზიულ კაფე შანტანში, სადაც ყველაფერი გაშიშვლებულია და უკიდურეს ცინიზამამდეა მიყვანილი, ვინ უნდა დაიჯეროს მოჩვენება! დღეს საერთოდ ყველა ეს აზრდილები, მოჩვენებანი, ჭაჯთა ქვეყნიდან მოვლენილი გრძელუმი მინდია თავისი ფილოსოფიით—მოსაწყენი და ხშირად მოსაბეზრებელი მიეთმოეთობა.

* *



შექსპირიდან იწყება ახალი სათავე დრამატურგიული შემოქმედებისა. ამ მწერალმა მთავარ თემად ადამიანის ფსიქოლოგიის პრობლემა¹⁾ მხატვრული კვლევა გაიხადა. ამით მან შექმნა ახალი ეპოქა ლიტერატურის ისტორიაში. შესანიშნავია ისიც, რომ ეს გენიალური დრამატურგი არ დასდგომია ბერძნულ ტრაგედიის სტილიზაციის გზას. შექსპირის ნათელი და ადამიანური რეალიზმი იზიდავდა თავისკენ ლესსინგის, გოეტეს და მარქსის მხატვრულ გემოვნებას. «ყველაფერი—ამბობდა გოეტე—რასაც ადამიანის სული ჰფარავს თავის სიღრმეში, გაშუქებულია შექსპირის მიერ ცხოველი მზის სინათლით. იმის წყალობით გვიადვილდება ქვეყნის შემეცნება». შექსპირმა გენიალურად გადმოგვცა თავისი ეპოქის ადამიანის მსოფლმხედველობა, მისი ტანჯვა და ტკივილები, მისი სიხარული და გაქანება. სამაგიეროდ მე-XVII საუკუნის ფრანგული ტრაგედია იყო მიბაძვა ანტიური დრამისა და ამდენადვე გვერდს უხვევდა რეალურ ცხოვრებას. 1635 წლიდან საფრანგეთში არსდება აკადემია, რომელიც ბრძანებებს სცემს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განეცადათ პოეტებს ლექსში სიყვარული, აღფრთოვანება, ბუნების სილამაზე. ამ აკადემიის ინიციატორი ქარდინალი რიშელიე—ლიუდოვიკი XIII-ის მინისტრი—ცდილობდა სავსებით ჩაექედა მხატვრული შემოქმედება სასახლის არისტოკრატის გემოვნების ბორკილებში და ამით წაერთმია მისთვის სიცოცხლის ყოველგვარი ნიშან-წყალი. ეს თავისება ფრანგული ტრაგედიისა აღნიშნა ტენისა ც, ლესსინგმა ც და ბელინსკი-მა ც. ფრანგულმა ცრუ-კლასიკურმა ტრაგედიამ დაქარგა ის გენიალური უბრალოება, რომელიც შექსპირს ჰქონდა. ამავე დროს სამარცხვინოდ მიაჩნდათ რომ ტრაგედიის მომქმედ პირად „დაბალი წოდების“ ადამიანი გამოსულიყოცხადია, რომ რეაქცია უნდა დაწყებულიყო შექსპირის წინააღმდეგ. ეს ასეც მოხდა. თვით ვოლტერი, რომელსაც ბალზაკმა „ფრანგული ურწმუნოების ღმერთი“ უწოდა, ხელოვნებაში გვევლინებოდა როგორც ტიპური რეაქციონერი. ის სავსებით ემორჩილებოდა აკადემიის დიკრეტებს და შექსპირი ასე ახასიათებდა: „ვიღაც მთვრალი ველურია. მას არაფერი არ ესმის არც კარგი გემოვნებისა და არც ძირითადი წესისა“. პოპე ამბობდა: „შექსპირი უკეთესი მწერალი იქნებოდა თუ ის ისარგებლებდა მეფის მფარველობით და თუ მას მხარს დაუჭერდნ კარისკაცები“, ის სწუხდა, რომ შექსპირი სწერდა ხალხისთვის და არა მხოლოდ სასახლის დიდებულებისთვის²⁾. ვოლტერიც და მთელი აკადემიის მწერლებიც დაადგნ ხელოვნურად ამაღლებულ რეფლექსიური პათოსის და არისტოტელის „სამი მთლიანობის“ მონურ მორჩილების გზას და, ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „მომიწერი გულმოდგინებით“ მბაძადენ ანტიურ ეპოქას³⁾; ტრაგედიაში გმირებად ანტიური დროის პიროვნებები გამოჰყავდათ, პოლიტიკაში ლიუდოვიკო მე-XIV-ს ხანას ადარებდნ ავგუსტუსის მონარქიულ ეპოქას, მათ რეალურ ცხოვრებაზე უფრო მეტად იმპერატორთა რომის სუნთქვა,

1) იბ. Плеханов—собр. соч. т. XIV.

2) იბ. ბელინსკი—წერილი გრიბოედოვის „Горе от ума-ს შესახებ.

მისი სენატის და ფორუმის სანახაობანი აინტერესებდათ. ამის შემდეგ ცხადია, რომ მათ აღარ მოეწონებოდათ შექსპირი, მისი „ჰამლეტის“ შესახებ ვოლტერი სწერდა: „ეს პიესა სავსეა ანაქრონიზმებით და უთავბოლოობით. მასში მარხავენ ოფელიას სცენაზე და ეს ისეთი საზარელი სანახაობაა, რომ ცნობილმა კარტიკმა ამოაგდო სასაფლაოს სცენა. ამ პიესაში უხვადაა ვულგარულობა. მაგ., პირველ გამოხვლაში დარაჯი ამბობს: ასე გასინჯეთ, თავგსაც კი არ გაურბენია. ვანა შეიძლება დაფუშვად ასეთი უზრდელობა? უქვევლია ჯარისკაცი ასე ლაპარაკობს ყაზარმაში, მაგრამ ის ასე არ უნდა ლაპარაკობდეს სცენაზე. ერის რჩეული ადამიანების წინაშე, იმ ადამიანების წინაშე, რომელნიც ლაპარაკობენ კეთილშობილურ ენაზე და ამიტომ მათს წინაშე ყველამ ასეთი კეთილშობილური მანერით უნდა ილაპარაკოს“, ასე აფასებდა ვოლტერი „ჰამლეტის“ ლიტერატურულ ღირსებას. ის აღშფოთებულია, რომ შექსპირმა სცენაზე თავადებთან ერთად უბრალო ჯარისკაცი გამოიყვანა და, წარმოიდგინეთ, ამ ჯარისკაცმა ისეთი უზრდელობა ჩაიდინა, რომ „თავი“ ახსენა! ყველაზე უფრო მართალი ისევ დიდი ლესინგი იყო. ის იცავდა შექსპირის კლასიკურ უბრალოებას და სწერდა: „ნატიფი, გაკრიკლებული, მალაღმარდოვანი ენა არ შექმენის გრძნობის გამოსახვას. იგი გაუღმთილი არ არის გრძნობით და ამიტომ არც შეუძლიან წარმოშვას იგი. ნამდვილად კი გრძნობას ძლიერ ადვილად შეუძლიან შეეგუოს სულ უბრალოს, უხეშსა და გაუთლელ სიტყვებსა და გამოთქმასაც“.

მაგრამ მაინც რატომ ამ მოსწონდათ ცრუკლასიკოსებს „ჰამლეტი“ და კერძოდ შესაფლავებების სცენა? ლესინგმა პირველმა ესროლა ხელთათმანი საფრანგეთის ცრუკლასიკოსებს და სამართლიანადაც დაიცვა შექსპირი ამ არისტოკრატიული ფრანგებისა და სასახლის კამერაჰერებისაგან. ისინი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა გამოყვანას სცენაზე და ისიც ტრაგედიაში. ეს ფაქტი შეუძლებელია აგხსნათ მე-XVII საუკუნის საფრანგეთის არაწარმოებელი კლასის ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად. ამ საკითხის გასაღებასაც ისევ ვოლტერი იძლევა: „ხალხი ყოველთვის უხეში, ტლანქი და ჩლუნგია—სწერდა ის—ხალხი ხარის ნახიარია, რომელსაც უღელი და მებრე ესაქიროება“. აი სად გამოჟონა ვოლტერის უმაჟაფილებამ შესაფლავებების სცენის გამო! თვითონ პეგელიც ამბობდა ტრაგიკულ ტანჯვაზე, რომ „ამგვარ სახის გრძნობას ვერ გავვიღვიძებ ჩვენ რომელიმე ჩვეულებრივი არსება, ჩვეულებრივი ლატაკი“, იმასაც აუცილებლად მიაჩნდა რომ ტრაგედიის გმირები ბრწყინვალე წოდების წრიდან უნდა ყოფილიყვნენ.

ლესინგი უპასუხებდა ფრანგ ცრუკლასიკოსებს, ტრაგედიაში საინტერესო ის კი არ არის, რომ გმირი—მეფეა, არამედ ის, რომ იგი ადამიანია. ამავე აზრს იცავდა მარმონტელიც. მისი აზრითაც ტრაგედიაში აუცილებელ საპიროებას არ წარმოადგენს მალაღმარად ტიტულები. მაგრამ ასეთი გზა არ სურდა აკადემიას. მისმა კანონებმა, მაშინდელი ტრაგედიების სტილმა თავისებური დალი დააჩინა აქტიორთა ხელოვნებასაც. აბატი დიუბო აცხადებდა: „ჩვენ, ფრანგებს, გვიწინაა, რომ აქტიორები ლაპარაკობდნენ უფრო მაღალ კილოზე, უფრო გაგრძელებით, კეთილშობილურად და არა ჩვეულებრივ სასაუბრო ენაზე“, ამ მოვლენას პლემბანოვიც გამოეხმაურა: „ფრანგულ ტრაგედიას არისტოკრატიულმა წარმო“.

შობამ — სწერდა ის — დაახნია კვალი სხვათა შორის აქტიორთა ხელოვნებასაც. ყველასთვის ცნობილია, რომ ფრანგულ დრამატიულ აქტიორების თანაშაქამდე ხელოვნურობა ახასიათებდა. ეს ძალზე უსიამოვნო შთაბეჭდილებები შეუჩვეველ მაყურებელზე. ვინც ნახა სარა ბერნარი, ის არ დაგვიწყნარებდა. ჩვენ დავაას. ასეთი მანერა თამაშისა მემკვიდრეობით გადაეცა ფრანგულ დრამატიულ აქტიორებს იმ დროიდან, როდესაც ფრანგულ სცენაზე კლასიკური ტრაგედია ბატონობდა. არისტოკრატიული საზოგადოება მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებისა დიდ უკმაყოფილებას გამოამჟღავნებდა თუ ტრაგედიის აქტიორი დაიწყებდა თავის როლების შესრულებას იმ უბრალოებით და ბუნებრივობით რომლითაც გვხიზლავს ჩვენ ზაგ: ელეონორა დუზე. უბრალო და ბუნებრივი თამაში გადაჭრით ეწინააღმდეგება არისტოკრატიული ესტეტიკის ყველა მოთხოვნილებებს¹⁾.

აქტიორული მეტყველების ეს ცრუკლასიკური სტილი, როგორც პლენანოვიც აღნიშნავს, შემუშავდა დრამატურგის ზეგავლენით. ამიტომ ცხადია, რომ ასეთი კატეგორიის მოვლენათა წინაშე დრამატიულმა მწერალმა პასუხი უნდა აგოს; რადგანაც ჩვენი ეპოქა შექსპირის და მის კლასიკურ უბრალოებას აძლევს უპირატესობას მე-XVIII საუკუნის ფრანგულ ტრაგედიის და შილლერის წინაშე — ამიტომ საფუძველშივე ვერ გაიზარებს აქტიორულ მეტყველების ხელოვნურად ამბლღებულ და „მანერულ“ სტილს. ეს უდავო ფაქტია.

და თუ ფრანგული აქტიორის მეტყველების სტილი ცრუკლასიკურმა ტრაგედიამ დაამახინჯა და ბუნებრივობის კალაპოტიდან ამოავლო, ნაწილობრივ რასაკვირველია სულ სხვა მხრივ და სხვა კუთხიდან ასეთივე ზეგავლენა მოახდინა ექსპრესიონისტულმა დრამატურგებმა ქართველი აქტიორის თამაშზე. ეს უნდა აღნიშნოთ თვითკრიტიკის წესით, დღევანდელი ქართული თეატრის მიღწევები სადავო არაქისთვის არ არის, მაგრამ თვით თეატრის წინსვლის ინტერესი მოითხოვს იმ ნაკლებოვანების აღნიშვნასაც, რომელიც ალაგ ალაგ ჩრდილივით ატყუა თეატრის შემოქმედებითს პროდუქციას. ერთმა თეატრალურმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ექსპრესიონისტულმა დრამებმა მსახიობის მოძრაობა დაამგზავს „Салдатская Маршировка“-ს, ხოლო მისი მონოლოგი — „კაზიონურ დეკლამაციას“¹⁾.

გაზეთი „პრავდა“ (24 მაისი, 1933 წელი) აღნიშნავდა რა რუსთაველის თეატრის მიღწევებს, ამავე დროს სწერდა: „თეატრის ძალა — ნაციონალური სტილის მთელი რიგ მომენტების თეატრალური კულტურის გამდიდრების ინტერესებისათვის გამოყენების უნარი — ამასთან ერთად წარმოადგენს მის სისუსტეს, რადგან გარეგნული ხერხი ხშირად ბატონობს შინაარსზე. ნაციონალური ფორმის პრობლემის ადგილს იკებს ხშირად ნაციონალური ეგზოტიკა. რომანტიკული ნაკადი, რომელიც მძლავრად ემჩნევა თეატრს, ზოგჯერ ხაზგასმული ნაციონალური ეგზოტიკის ელფერს ღებულობს“, უდავოა, რომ „პრავდას“ ეს შეფასება ეხება აგრეთვე ქართული სპეციფიური რიტმის ძიებასაც, რომელიც მაინც და მაინც „მთის დიალექტის“ დამუშავების და „ლამარას“ საშუალებით სწარმოებს. პროდუქტარულ შინაარსის და ნაციონალური ფორმის დიალექტიკის ასეთმა გაგებამ ზოგიერთი აქტიორი გადააცილა უბრალოების ჩარ-

¹⁾ იხ. დღეღუავე — „Театр Руставели“ გვ. 69

ჩოგებს და მისი შემოქმედება თამაშის იმგვარ ტენიკას გადაეზარდა, რომელსაც ნათლად ატყვია „ხელოვნურობის“ (ფორმის გაბატონება შინააღსრულება) და ნაძალადეგ პათოსის კვალი. ამრიგად ექსპრესიონისტული დრამის მოზიჯილომა პათოსმა, გრძობებით თავმომწონეობამ, აქრელებულ სიტყვაობამ, მხატვრულ კილოს აწევამ ნაწილობრივ თავის ლიანდაგზე გადაიყვანა მხატვრულ სიტყველების სტილი. „უღვევაში“ ჭვის მიღელი მუშა ლაპარაკობს როგორც ანტიურ ეპოქების მკვლევარი სპეციალისტი და უნივერსიტეტის კათედრებზე გაწვრთნილი ძველი დროის აკადემიკოსი. მისი საუბრის თემაა ბაბილონი, ტიგრის და ეფრატის მიმდინარეობა, ძველი ეგვიპტური ქვა „მწვეანე როგორც ბრინჯაოს ხელია“, „ქვა ცისფერი ლაბრადორი, რომელიც ისერის ცისფერ ლევივა ნაპერწყლებს“. იმ ამ მუშის მტყველობის სტილი: „ბორცვს და ბორცვს შორის რუპ ჩხრიალებს, ასეთი რუპ მრავალია“. ეს აქრელებული სიტყვები, ეს „რუპ, „შაპილაბავ“, „სიყორული“¹⁾—ეს ფეხის ფრჩხილებად დაქიმული სიყალბე თავისებური ცდაა ბუნებრივი საუბრის გვერდის ახვევისა.

ჩვენ არა ვართ ლესსინგის მიმდევრები, როგორც არა ვართ მიმდევრები არისტოტელისა და პეველისა. ლესსინგი უკვე წარსულს გუჟენის. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ სავსებით მხარი უნდა დავუჭაროთ ლესსინგის დაუცხრომელ ბრძოლას კლასიკური უბრალოებისათვის, ნათელი რეალიზმისათვის. წარსულ საუკუნეების დრამის თეორეტიკოსთა შორის ლესსინგი ყველაზე უფრო ახლოა პროლეტარიატთან და კემშარიტებასთან. ამიტომ მის მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს ძალა.

რუსთაველის თეატრის მიერ ფრ. შილერის „ყაჩაღების“ დადგამ დისკუსია გამოიწვია ჩვენს პრესაში.

ჩვენ მოიყვანთ ერთ დამახასიათებელ ფაქტს, რომელიც ნათლად ამტკიცებს კრუ-კლასიკურ გემოვნების არსებობას. ალ. ქუთათელი სწერდა ამ დადგმას შესახებ: „კარლოსი აჯანყებული ინტელიგენცია... ფრყვეი, მყარი ნებისყოფის ადამიანია როგორც ბოქეიის ტყის საზღაპრო მუხის ძირას მიყრილი ლოდები, პორიზონტალურად თანწყობილი, რომლის ახლოს ზევით ცისკენ აწვდილია ვერტიკალური ხაზით აწოლტილი ხის ტანი. ალბად ამიტომაც კარლის განსახიერების დროს ხორავე ჩინებულად მიმართავს პორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზით მოძრავ ექსტიკულიაციას, რომელიც ეხმატკბილება ვათილი ზედაპირით მიყრილ ფართო ლოდებს და მიწაში ჩაშვებულ ხის ტანს“. რა შუაშია, ამხ. ქუთათელი მსახიობის ექსტიკულიაცია და პორიზონტალურად აღმართული ხის ტანი? ვთქვად ეს „საზღაპრო“ მუხა გადახრილია ან ქარისაგან წაჭეკული, მაშინ ქუთათელის პრინციპით მსახიობიც მას უნდა „მიეხმატკბილოს“. ან და იქნება ეს ხეები სულ არ არის სცენაზე. როგორ შვიძლება ასეთი შეუსაბამობის გასაღება თეატრალურ კრიტიკად? შემდეგ ქუთათელი ფრანცის განსახიერების ექსტიკულიაციურ პრინციპებს აჟე განსაზღვრავს: 1. ექსტი

1) სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა და ვახტანგი, როცა თავის გმირებს ალაპარაკებენ, „სიყორულს“ ვი არ ხმარობენ, არამედ „სიყვარულს“ ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ ბლომად შეიძლება. „ლაპარაკ“ მთიული დიალექტი კაბონტშია შექმნილი და ცხოვრებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ცბიერების და შლიქენელობის დროს ნახევარი წრე. 2. ესტი სხედასხვა აფექტების დროს მრუდე ხაზი, 3. ესტი ტრაგიულ მომენტების და კატასტროფის დროს—სპირალი. გველისებური კლავნაა. რა არის ეს? ღმერთმა შეარჩევინოს რიშელიეს აკადემიის კანონები ალ. ქუთათელის სქოლასტიკურ განმარტებულ შედარებით! ქუთათელმა მხედველობიდან გაუშვა ის ფაქტი, რომ არ შეიძლება კანონების დაწერა გრძნობითი აფექტებისათვის, რომ სავალდებულო არ არის სხედასხვა აფექტების დროს მრუდე ხაზი! ამას არ ჰქვია ბუნებრივობა. აქ მსახიობი ჩავარდება შეირინკის ორმოცფებას მდგომარეობაში; ამ რთულ არსებას აქვს ორმოცი ფეხი, მაგრამ მიუხედავად ამ სირთულისა იგი ჩინებულად ასრულებს თავის სასიცოცხლო ფუნქციებს. და იმ ერთხელ ბოროტი გომქმშო შეეკითხა მას: როცა შენ პირველ ფეხს სდგამ წინ, კიდევ რომელი შენი ფეხები მიჰყვებიან მას? და როცა შენი მეოთხეზე და მეცხრამეტე ფეხი მუხლში იყეცება, რას შერება შენი ოცდამეშვიდე ფეხის ქუსლი? ორმოცფება ისე ჩააფიქრა ამ კითხვამ, რომ სრულიად ველარ შესძლო სიარული. ალ. ქუთათელის სქოლასტიკა სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩააყენებს მსახიობს, რომელიც იძულებული იქნება იფიქროს, რომ ტრაგიკული მომენტის დროს სპირალისებური კლავნა-გრეხაა საქირო ან კიდევ ცბიერების გამოსახატავად საუკეთესო საშუალებაა ხელის ნახევარ წრედ შემოქმენვა! ისეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ შარულ გრძნობებს და არა ნამდვილ ცოცხალ ადამიანს. ასეთი ცრუ კლასიკური რეცეპტები არაფრად არ ვარგა, მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ დააბნიოს მსახიობი და სწორი გზის მაგიერ მრუდე და სპირალურ ბილიკზე დააყენოს. ეს არის მოწოდება მართლაც „საზედრო მარშიროვკის“ პრინციპისაკენ, რომელიც თავის ადგილზე ძლიერ კარგია, მაგრამ თეატრში არაფრად არ ვარგა. შექსპირმა ჰამლეტის პირით მშვენივრად დააბასიათა აქტიორული ხელოვნების პრინციპები: „გთხოვ ეს ლექსი ისე წარმოსთქვა—ეუბნება ჰამლეტი აქტიორს—როგორც მე-თვითონ გაჩვენე, თ ავის უფლებით და ძალდაუტანელად, მაგრამ თუ ისე ყვირილი მორთე, როგორც ზოგიერთ ჩვენს აქტიორებს ზნეთა სჭირთ, სჯობს ეს ლექსები ისევე ქუჩის გზირს ვათქმევინო. ნუ გააპობ ჰაეოს, აი ასე ხელების ქნევიით და სიწყნარით მოიქეც. რაც უნდა ვნება ზღვასავით გულში გიღელავდეს ქარიშხალსაც მრისხანებოეს და მორვესავით გიტრიალებდეს მაინც საამო ზომიერება იქონიე... ნუ რც ძალიან მოდუნდები და შენივე გონიერება მრჩეველად იყოლიე. ოჰ, მე მინახავს აქტიორები, რომელიც სხვებს უქიათ და ძალიანაც უქიათ. მაგრამ ღმერთო შეგცოდე არც ლაპარაკის კილო, არც მიხვრა მოხვრა მათი ადამიანისას არ ჰგვანებია, არც ქრისტიანისას, არც ურჯულოსას. (ალბად ბოჰემის ტყის ხეებზეთ იგრიხებოდენ და სპირალურად იკლანებოდენ—გ. ნ.) ისე იქიმებოდენ გეგონებოდათ ბუნებას შეგირდები ჰყოლია და იმათ შეუქმნიათ ეს ადამიანები, მაგრამ კარგნი—ვერ გამოსულან და იმისთვის ისე უმგზავსოდ ჰბაძავენ კაცობრიობასაო“. (ხაზი ჩემია—გ. ნ.)

ამ ნათელი რეალიზმის შარაგზაზე უნდა გაიაროს ახალმა აქტიორმაც და თავისი ხელით უნდა ჩამოგლიჯოს ის ფარდაც, რომელიც გაადაფარა კლასი-

კურ უბრალოებას ცრულასიციზმმა და სხვა ათასგვარმა „იზმებმა“ ასპროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი კიდევ უფრო განმტკიცდება.

საქართველო
საბჭოთაო

* *

ლასალისადმი, მარქსის წერილმა ტრაგედიის საკითხების შესახებ ისევ შექსპირი დააყენა ჩვენს თვალწინ, ისევ მიაბრუნა თანამედროვე დრამის მწერლობა ამ ადამიანური გონების მაღალ მწვერვალისაკენ და უთხრა: იმ შეხედვით, ისწავლეთ მისგან, ისე დახატეთ თქვენი დრო და თქვენი საუკუნის სისხლის მოძრაობა, როგორც შექსპირი მე-XVI და მე-XVII საუკუნეების იდეებს ხატავდაო და ამავე წერილში მიუთითა მარქსმა პროლეტარულ მწერალს იმ გზისკენ, საითაც უნდა წასულიყო სოციალისტური ტრაგედია. მარქსის აზრი ისე არავეინ გაიგოს თითქოს ის ნიშნავდეს მოწოდებას „უკან შექსპირისაკენ“, არა, „წინ, შექსპირიდან“—ასეთია პრინციპიალური აზრი მარქსისა კლასიკურ შემკვიდრეობასთან დამოკიდებულების საკითხში. შექსპირის ტრაგედიების რესტავრაცია და „გათანამედროვეების“ ცდა ერთია და მისი მემკვიდრეობის სოციალისტური მიღება კი მეორეა. ლენინი ამბობდა კანტის შესახებ, რომ მას იდეალისტები მარჯვნიდან აკრიტიკებდენ, ხოლო ჩვენ მარცხნიდანო. იდეალისტები და ფიხტენგელეები მას უსაყვადურებდენ, მატერიალიზმთან კომპრომისზე მიდიხარო, სავნის ობიექტიურ რეალობას აღიარებო, ხოლო მატერიალისტები კანტს იმიტომ ებრძოდენ, რომ მას სავნის ობიექტიურად არსებობის აზრი თანამიმდევრად არა ქონდა განვითარებულო, ბოლომდე არა ქონდა შეთვისებული¹. ასევე უნდა დაკაყენოთ საკითხი შექსპირის შესახებაც. მარქსმა უსაყვედურა ლასალს „შექსპირიზაცია“ აკლია შენს ტრაგედიასო. მაგრამ შექსპირიზაცია“ შესაძლებელია მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც. პირველი ნიშნავს „შექსპირის ტრაგედიის ხელაღებით უცვლელად გადმოსახლებას ჩვენს ეპოქაში, მისდამი მონურ მორჩილებას. ხოლო მეორე მის ლენინურად დამღევას. ჰამლეტი და მეფე ლირიკ თავისი დროის ადამიანია და არა ჩვენი ინდუსტრიალური ეპოქისა. საერთოდ ყოველგვარი ტრაგედიის გმირი არ უნდა გადავიყვანოთ იქ სადაც ის უსახო იქნება და მისი ეპოქის იდეური ქოროლა შემწყდარია. სადსასახლის ეტიკეტი და სად პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტური მშენებლობის მუშური ატმოსფერა! ძველი ტრაგედიის გმირი, პრინცი, მეფე თავის ყარყუმის მოსახლამით, ხავერდის სავარძლით, მოოქროვილი საჩარდილობლით და ყოველივე ამის შესაფერი იდეებით—ეს დღეს გაუმართლებელ ან აქრონიზმს წარმოადგენს. და შექსპირისაგან სწავლაც იმაში არ მდგომარეობს, რომ ჰამლეტს გავხადოთ დანიის პრინცის ტანისამოსი და თანამედროვე ინტელიგენტის კოსტიუმი ჩავაცვათ. ამით ჰამლეტის იდეური სული არ შეიცვლება და მისი ასეთი გაუპატოვრება ზარალის მეტს არაფერს მოიტანს. იმიტომ რომ ჩვენ ველარ ვიცნობთ ჰამლეტს, მის ნამტირალეუ სახეზე ჩვენ ველარ წაეიკითხავთ მისი ეპოქის ტანჯვას და მწუხარებას, ეს კარგად იცოდა ბელინსკიმაც. იგი სწერდა:

¹ იხ. ლენინი—„Матер. и Эпизод“ თავი მეოთხე: „Критика кантианства слева и справа“ გვ. 160. 1931 წ. გამოცემა.

„ტრაგედია ყველგან ტრაგედიაა: ძველ ინდოეთშიც, ძველ საბერძნეთშიც, მე-
XVII საუკუნის საფრანგეთშიც, მე-XVI საუკუნის ინგლისშიც, მე-XVIII და
მე-XIX საუკუნის გერმანიაშიც. მაგრამ ინდოელების ტრაგედია არ არის ის,
რაც ბერძნული ტრაგედიაა, ძველი ბერძნების ტრაგედია სულ სხვაა ვიდრე
კორნელის და რასინის ტრაგედია, კლასიკური ფრანგული ტრაგედია არ არის
ის რაც შექსპირის ტრაგედია, ხოლო შექსპირის ტრაგედია სულ სხვაა შედარებით
შილერის და გოტტეს ტრაგედიასთან. სხვათა შორის თვითველი ამ ტრაგე-
დიათაგანი კარგია თავისთავად და თავისი დროისათვის, მაგრამ არც ერთ
მათგანს არ შეიძლება ვუწოდოთ მარადიული ტიპი და თვით შექსპირის ტრა-
გედია ჩვენი დროისთვის ისევე მიუღებელია როგორც რასინის ტრაგედია... მიუ-
ღებელია არა იმ აზრით, რომ ამჟამად მისი კითხვა არ შეიძლება—ღმერთმა
დამიფაროს ამგვარი ბარბაროსული აზრისაგან—არამედ იმ ვაგებით, რომ ჩვე-
ნი თანამედროვე სინამდვილე შეუძლებელია გამოვსახოთ შექსპირის დრამის სუ-
ლით და ფორმით.“¹

ამ რამდენიმე ხნის წინ ს. ამალლობელი ეგებოდა რა „ჰამლეტის“ დადგ-
მას თანამედროვე თეატრში სწერდა: „რას წარმოადგენდა მარჯანიშვილისთვის
ჰამლეტი? ის აღარ იყო ფილოსოფიური პესიმისტი არც ნევრასტენიკი და
არც პრინცი. ის იყო უბრალო თანამედროვე ინტელიგენტი... მან მოხსნა
ჰამლეტს მხრებიდან მთელი ისტორიული-ფილოსოფიური გარსი და დიდი
ოსტატობით გახსნა მისი ფსიქო-სოციალური ტრაგედია, ამით მან იმდენად და-
უშაბლოვა ჰამლეტი მაყურებელს, რომ ამ უკანასკნელმა ის აითვისა როგორც
თანამედროვე ინტელიგენტი, თავისი მერყეობით შტაფრი თვითნაალიზით, და-
ფანტულობით, სუსტი ნებისყოფით, და ა. შ.“², რომ მარჯანიშვილმა საუცხოო
ოსტატობით აღადგინა ჰამლეტი სცენაზე—ეს ისტორიული ფაქტია, მაგრამ ამალ-
ლობელმა რომ ვერ გაიგო ვერც ჰამლეტის ბუნება და ვერც მარჯანიშვილის
დადგმა—ესეც ფაქტია, მაგრამ არა ისტორიული. „ის აღარ იყო ფილოსოფიუ-
რი პესიმისტი“—გვეუბნება ამალლობელი. მაშ რა იქნა მისი ფილოსოფიური
სევდა, მისი მწუხარებით შექმუხნილი სახე, მისი „ყოფნა-არყოფნის“ მონოლო-
გი? ეს ყველაფერი დადგმაში თავის ადგილზე შერჩა. მაშასადამე ის ისეც პესიმი-
სტი იყო, რომელიც არყოფნის აზრამდე მიიყვანა თავისი დროს მოშაბულმა
ატმოსფერამ. „ის აღარ იყო არც პრინცი“—აგრძელებს ამალლობელი! მაშ რა
დაემთა ტრაგედიის ფაბულას? საიდან გახდა ჰამლეტი თანამედროვე საბჭოთა
ინტელიგენტი? ლიტერატურის გმირების და ტიპების ასეთი კამფეტით გაფუჭვნი
და ახალი ბანდეროლის შემოხვევით გაახლება რომ შეიძლებოდეს, მაშინ უნდა
დაგვედასტურობო, რომ კლასთა ბრძოლის ისტორიის მანძილზე დასაბამიდან
დღემდე იცვლება მხოლოდ ადამიანის ტანსაცმელი, სამსახურის ადგილი და წო-
დება („წინად პრინცი იყო, ახლა თანამედროვე ინტელიგენტი გახდა“). საერთო
გარეგნობა, ხოლო იდეური „სული“ და ფსიქოლოგია უცვლელი რჩება, მარა-
დიული და ერთ წერტილზე გაჩერებული. მშვიდობით მაშინ მარქსიზმში, ისტო-
რიის მატერიალისტრად ვაგებავ! ამალლობელის ეს აზრი მარქსიზმის აბულად

¹ იხ. ბელინსკი—„Поли. собр. соч.“ 1926 წლის გამოცემა ტ. XII გვ. 496.

² იხ. ამალლობელი—„Груз. театр“ გვ. 83—84.

აგდება და მისი ანბანური კვშმარიტების დავიწყებაა. ადამიანთა ისტორიების ისტორიული-საზოგადოებრივი პრაქტიკა (ე. ი. ის რასაც ამადლობით ისტორიულ-ფილოსოფიურ გარსს-ემძხის) როგორც კრიტიკიკული კვშმარიტებისა, ხელმძღვანელი და შექმნილი ადამიანის ფსიქოლოგიისა, იძლევა სტრუქტურულ-მოქმედების ისტორიულ-კლასიურ ასპექტში გაშუქებას, ე. ი. ადამიანი ისტორიული სუბიექტია, განსაზღვრული საზოგადოებრივი პერსონიფიკაციაა. მარქსი სწერდა: „ცნობიერება არის დასაბამიდან ისტორიული პროდუქტი და ასეთივე დარჩება ვიდრე არსებობენ ადამიანები“. „გრძნობადი სამყაროს ფიქრბაზისებული გაგება — სწერდენ მარქსი და ენგელსი — განისაზღვრება ერთის მხრივ შიშველი შეგრძნებით, ის იხილავს „ადამიანს საერთოდ“ — რეალურ ისტორიულ ადამიანის ნაცვლად“. მაშასადამე, როგორც მარქსი ამბობს, არ არსებობს „ადამიანი საერთოდ“, ყოველი ადამიანი თავის კლასის შვილია და ამდენადაც ის ისტორიული კატეგორიაა და არა მარადიული. ასევეა მამლეტიც.

სოციალისტური ტრაგედიის მთავარი გმირები არ იქნებიან მეფეები და რაინდები, არამედ ის ადამიანები, რომელთაც გმირულად თავი გასწირეს მშობთა კლასისათვის. ტრაგედია უფრო მეტი სიღრმით აყენებს საკითხებს ვიდრე სხვა ჟანრები ხელოვნებისა. ჯერ კიდევ არის ზოტელი ტრაგედიას პოემის ჟანრზე უფრო მაღლა აყენებდა, ტრაგედია შემთხვევით წყალში დაბრძობას ვერ გაიხდის თავის თემად, ის არც შემთხვევით დაკმაყოფილებულ ვნებათაღელვას ამსახავი ნოველაა და არც კრიმინალურ ამბავთა მხატვრული გადმოცემა. ტრაგედიის ფინალი აქამდე ისტორიულად უმრავლეს შემთხვევაში სიხალისი ბრძოლის ველი იყო. ტრაგედიაში ისტორიული სივრცეზე დასმული პრობლემა უკიდურეს საზღვრებამდე მიყვანილი და ამ ძალთა დაჭიების გამო იწვევს ჩვენში მწერალი მოწიწების, შიშის, განცვიფრების, სიხარულის, მწუხარების, აღფრთოვანების და მსულვარების გრძნობებს. ტრაგედია როგორც უკიდურესობათა ბრძოლა — კლასთა ბრძოლის მძაფრი გამოხატულება — მიდის შერიგებების, დათმობის და მელოდრამატიულობის გარეშე.

ლესინგამდე ცრუკლასიკური გემოვნება ბატონობდა, მარქსამდე წარმოდგენა აუცილებლობაზე გამორიცხავდა თავისუფლების ცნებას, ამიტომ ტრაგედიაშიც ბატონობდა ფატალიზმი, რომლის აზრით „თავისუფლება მარადიული და საბრალო მოხარკეა და უძღური სათამაშო ნივთი ბრმა აუცილებლობის ხელში“ ეს შეგნება უკარნახებდა ტრაგედიის გმირს: დაპყრო იარალი, არაფერი არ გამოვაო. ასეთი ფატალიზმი მძაფრად გამოიხატა გ. ბიუნნერის პესიმისში. ის სწერდა საკოლესადმი მიწერილ წერილში: „უკვე რამდენიმე დღეა ყოველ წამსივლემ კალამს ხელში, მაგრამ ერთი სიტყვის დწერაც არ შემოძლია მე ვსწავლობდი რევოლუციის ისტორიას და ჩემს თავს ვგრძნობდი განადგურებულად ისტორიის საშინელი ფატალიზმით. ცალკე პიროვნება ქაფია ცალკის ზედაპირზე. დიდება მხოლოდ შემთხვევაა, გენიოსის ძალა — მხოლოდ ტიკინას კომედია“ ასეთი ფატალიზმი უცხოა დიალექტიკოს მატერიალისტისათვის რადგან მას თავისუფლება აუცილებლობიდან გამოყავს და მისთვის „ნების თავისუფლების უქონლობა უდრის უმოქმედობის შეუძლებლობას.“ თავისუფლება შეცნობილი და გაგებული აუცილებლობაა. „მე კია ვარ“ — ამბობს იდეალისტი. „მე კია ვარ, სანამ უფიცი ვარ უპასუხებს დიალექტიკოს მატერიალისტი, — მაგრამ მე ღმერთი ვარ როცა ვიცო“. სუბი-

ეტიურ მოაზროვნეს არ შეუძლია თავისი იდეალი სინამდვილის განუთარებლის პროცესზე დაამყაროს, ამიტომ ზისი იდეალის პატარა ბალის ღობის გადაღმა მყისვე იწყება შემთხვევითობის და მაშასადამე ბრმა აუცილებლობის კონფლიქტური ველი, დიალექტიური მატერიალიზმი მიგვიბრუნებს იმ საშუალებებზე, სადა მლინ წყალობითაც მთელი ეს თვალუწვდენელი ველი შესაძლოა იდეალის აყვავებულ ბაღად გადაიქცეს. ის დასძინს მხოლოდ, რომ ამ გარდაქმნისათვის საჭირო საშუალებები თვით ამ ველის წიაღშია დაფარული რომ საჭიროა მხოლოდ მათი აღმოჩენა და გამოყენება". ასე სწერდა პლენანოვი 1895 წელს, როდესაც ის ჯერ არ გადაქცეულიყო რუსეთის პროლეტარიატის მოღალატედ. პლენანოვის ამ სიტყვებში გადმოცემულია დიალექტ. მატერიალიზმის კესმარტივი აზრი თავისუფლების და აუცილებლობის შესახებ, რომლის ასპექტში ისმება ახალი ტრაგედიის პრობლემა. 1859 წელს ფერდინანდ ლასალმა დასწერა ტრაგედია „ფრანკონ ზიკინგერი“. მის გამოქვეყნებამდე ლასალმა პიესა გაუგზავნა შესაფასებლად მარქსს, ენგელსს და ფრეილიგრატს. ამან მისცა შემთხვევა მარქსს თავისი აზრად გამოეთქვა საერთოდ სოციალისტური ტრაგედიის პრინციპების შესახებ. „ზიკინგერი“ უნდა ყოფილიყო ლასალის აზრით რევოლუციის ტრაგედია (იქნებოდა ის 1525 წლის გლეხთა ომი თუ 1848 წლის რევოლუცია). მარქსმა ლასალს ეს წინასწარი განხილვა მოუწონა. მარქსი სწერდა: „შენ მიერ მოფიქრებული კოლიზია არა მარტო ტრაგიკულია, არამედ სწორედ ის ტრაგიკული კოლიზიაა, რომელმაც 1848-49 წლის რევოლუცია დამარცხებამდე მიიყვანა. ამიტომ მე სავსებით შემიძლია დავადასტურო შენი განხილვა რათა გაატარო იგი ცენტრალურ პუნქტად თანამედროვე ტრაგედიაში. მაგრამ მე ვეკითხები ჩემს თავს, გამოდგება თუ არა შენს მიერ აღებული თემა ამ კოლიზიის გამოსახატავად“.

და მარქსის პასუხი ასეთია: არ გამოდგება; რატომ? მარქსმა ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის ვაცემით ახალი ტრაგედიის პრინციპებიც ჩამოაყალიბა. ლასალის აზრი ტრაგიკულზე ვერ გასცილდა ერთის მხრივ გერმანულ იდეალისტურ ესტეტიკას და მეორეს მხრივ თავისებურ პოლიტიკურ ოპორტუნიზმს. ტრაგიკული კონფლიქტი, რომელიც ლასალის აზრით ყოველ რევოლუციას უძევს საფუძვლად, მდგომარეობს იმ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობს ერთის მხრივ „აღფრთოვანებას“ „სიმზნევესა და გაქანებას“ „საკუთარი ძლიერებას და მუდმივობის იდეისადმი უშუალო ნდობასა“ და მეორეს მხრივ „რეალურ პოლიტიკის“ აუცილებლობას შორის¹⁾. რას ნიშნავს ლასალის განმარტებით ეს რეალური პოლიტიკა? ეს იმას ნიშნავს, რომ „დაფარული იქნეს... სხვებისათვის ნამდვილი და საბოლოო მიზნები მოძრაობის და გაბატონებული კლასის ამგვარი ვაცრუების საშუალებით—უფრო მეტიც—მათი ამგვარი გამოყენების საშუალებით მოპოებულ იქნას შესაძლებლობა ახალი ძალების დარაზმვისა“. მეორეს მხრივ ლასალი „რეალურ განსჯის პოლიტიკას“ უპირისპირებს აღფრთოვანებას. „აღფრთოვანება—ამბობს იგი—როგორც იდეის უძლეველობის უშუალო რწმენა, არის პირველ ყოვლისა რეალურ სინამდვილის საშუალებისადმი და რეალური გართულების სიძნელებისადმი აბსტრაქტული უუარაღდეგობა“.

1) იხ. ლასალი—„O prag. idee“..

2) იქვე გვ. 8.

ცხადია ლასალი აქ მიზნის და საშუალებების წინააღმდეგობაზე უპატივსივითაა. ეს წინააღმდეგობა იქიდან, მოდის რომ უძლეობი პოლიტიკა (ნებისმიერიც ეს ლასალი ზემოთ დახასიათა) არ შეეფერება რევოლუციონერ იდეოლოგიას და ამ ნიადაგზე ჩნდება ტრაგედია. და როგორც ერთი თეორეტიკოსი წინააღმდეგადაა, ლასალი ამ მოსაზრებას აქვს თავისი კლასიური საფუძველი იმ თვითკრიტიკაში, რომელსაც აწარმოებდა თავისთავის მიმართ მემარცხენე ბურჟუაზიული დემოკრატია 1848-49 წლის რევოლუციის გამოცდილების ნიადაგზე. ლასალი აქ სასტრატეგიას და, მან ვერ იპოვა, როგორც თვითონ ეგონა ყოველგვარი რევოლუციის წინაგანი წინააღმდეგობა. ამ პრინციპიალურ პოლიტიკურ ნიადაგზე გაჩნდა პრობლემა შექსპირის და შილლერის დაპირისპირებისა. „ნაბიჯები წინ—სწორდა ლასალი— რომელიც გადადგა გერმანულმა დრამამ შილლერის და გოეტეს სახით— შექსპირთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ მათ, განსაკუთრებით კი შილლერმა, პირველად შექმნეს ისტორიული დრამა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“. სწორედ ამ პუნქტში შეიჯახა მარქსის და ლასალის აზრები ერთმეორეს. ლასალი ფიქრობდა, რომ შილლერიანობის გზით წასულ ტრაგედიას გამარჯვების უფრო მეტი შანსები ექნებოდა, მაგრამ ის სცდებოდა. შილლერმა თავის ტრაგედიებში ხალხთა ისტორიული მოძრაობა ვერ დაუკავშირა დრამის სიუჟეტური კვანძის გახსნას. პროფ. ა. ბელეკვი „ვილჰელმ ტელის“ გარჩევის დროს სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ავტორი ამ პიესაში, მიუხედავად თემატიკის განსაკუთრებული მოთხოვნისა, ვერ ახერხებს დააყენოს ხალხის მასები პიესის დრამატიული ბრძოლის ცენტრში. ამიტომ მასები რატომღაც ისევ უკანა პლანზე ექცევიან. ა. ბელეკვი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ეს თვისება ტრაგედიისა მემკვიდრეობით გადაეცა ლასალსაც და ამ უკანასკნელმა თავის „ზიკინგენში“ ვერ შესძლო ნაბიჯის წინ გადადგმა¹.

და ის ფაქტი, რომ ლასალი ვერ გასცილდა არისტოტელის კათარზისის თეორიას, რომ ის ვერ განთავისუფლდა შილლერის ეთიური იდეალიზმისაგან რომ მან აბსტრაქციულად გაგებული „რეალური პოლიტიკა“ მიიჩნია ყველა რევოლუციის „ტრაგიკულ კოდვად“—ყველა ეს საკითხები თავს იყრის მისი მარქსთან კამათის ცენტრალურ პუნქტში. ეს პუნქტი თვით ლასალიმ ასე გამოხატა: „თქვენი საყვედურები—სწორდა მარქსს და ენგელსს ლასალი—საბოლოო ანგარიშში გამოწვეულია იმით, რომ მე დაწვერე „ფრანც ფონ ზიკინგენი“ და არა „ტომას მიუნცერი“ ან კიდევ სხვა რომელიმე ტრაგედია გლებთა ომის ეპოქიდან.“

რამ მიიყვანა ლასალი ზიკინგენამდე და არა მიუნცერამდე? იდეალიზმმა, ბურჟუაზიულმა რევოლუციონერობამ, შილლერის ტრაგედიის პრინციპებისადმი ერთგულებამ. მარქსის აზრით ზიკინგენი და ჰუტენი დაილუპენ როგორც რაინდები. როგორც დაცემის გზაზე მდგარი კლასის წარმომადგენლები. ამას გარდა მარქსის აზრით ლასალის ტრაგედიაში იყო ტენდენცია ლიუტერულ-რაინდული (ე. ი. ლიბერალურ-თავადური) ოპოზიციის მაღლა დაყენებისა პლებეიურ-მიუნცერულ (ე. ი. პროლეტარულ-გლეხურ) რევოლუციისაზე: ამიტომ ლა-

¹) იხ. „Вопр. теор. и исх. твор.“ ტ. VIII გვ. 187.

სალის პიესა ვერ გამოვიდა სოციალისტური ტრაგედია. ვინ იყვნენ ზიკინგენი და ჰეტტენი? ისინი იყვნენ მეტექსმეტე საუყუნის გერმანიის წერილი თავიდან აზნაურობის იდეური მედროშენა. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ მათ კლასს დიდი საფრთხე მოელოდა, რადგანაც მთავრები და უმაღლესი სოციალისტური მოღვაწეობა მისწრაფოდნენ აბსოლუტურ გაბატონებისაკენ. თუ მთლიანი იმპერია დაიშლებოდა, მაშინ მთავრები საბოლოოდ დაიმორჩილებდნენ რაინდების წოდებას. ამ უქანასწენელმა ამის შიშით მოითხოვა იმპერიის რეფორმა, მისი განმტკიცება, რომ ამით ლაკამი ამოედოთ ცალკე სამთავროების მფლობელობისათვის, სასულიერო სამთავროებისათვის და დაემყარებიათ „თავად-აზნაურული დემოკრატია მონარქიის მეთაურობით“¹⁾. „ჰეტენს და ზიკინგენს იმედი ჰქონდათ, რომ სახელმწიფოს ხელახლად მთლიანს და ძლიერს გაეხდით... თუ გათიშვის მატარებლები—მთავრები თავიდან მოვიშორედ და ხუცების ძალაც გაეანადგურეთო“ ზიკინგენი იდეურ ბრძოლიდან იარაღზე გადავიდა და ამ ბრძოლაში ის მოკლეს. ზიკინგენის სიკვდილის შემდეგ წერილი თავად-აზნაურობა დაემორჩილა მთავრებს და მათ ერთად გაილაშქრეს აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ. აჯანყებულ გლეხობის ბელადი მიუნცერი იყო, ის გააფრთხილეს ებრძოდა გაბატონებულ რეაქციას, ამ ბრძოლაში დაიღუპა იგი როგორც სახელოვანი რევოლიუციონერი. ამ ეპოქიდან აიღო ლასალმა თემა თავისი პიესისათვის. „ჰეგელი ფიქრობდა, რომ არის მხოლოდ ერთი ფორმის ტრაგედია. მარქსი და ენგელსი კი ხედავდნენ ტრაგედიის მეორე ფორმასაც, ეს იყო ტრაგედია ადრეულად მოვლენილი რევოლიუციონერისა, ტრაგედია მიუნცერისა. წინააღმდეგ იმედ დაკარგული ფალსტერებისა, რომელნიც პლეხანოვის მგზავსად იძახოდნენ, „არ იყო საჭირო იარაღის აღებაო“ მარქსი ხაზს უსვამს ერთის მხრივ ისტორიულ აუცილებლობის ფაქტს, რომელიც დაღუპვის მიზეზი ხდება, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნავს ბრძოლის დაწყებას აუცილებლობას“ (ლუკაჩი). მარქსის აზრით ამ ბრძოლების გამოცდილებებზე უნდა ისწავლოს პროლეტარიატმა, ლასალი კი თანაგრძობით ეკიდებოდა და ტრაგედიის მთავარ გმირად იხილდა არა რევოლიუციონერ მიუნცერს არამედ რეაქციონერ ზიკინგენს. „რატომ არ უნდა მოკიდოს ხელი ჩვენმა დრამატურგმა მიუნცერის ტრაგედიას, რატომ არ უნდა გვიჩვენოს მან პირვანდელი გლეხური და პროლეტარული რევოლიუციის გმირების თავგანწირულება და დაღუპვა... ჩვენ დროშიაც არ არის მთლად აღკვეთილი ტრადიციულობის ელემენტები, რადგან საჭიროა მსხვერპლი არა მარტო სამოქალაქო ომის დროს, საჭიროა მსხვერპლი ძველი და ახალი ქვეყნის შორის ამჟამად მიმდინარე კლასობრივი კონფლიქტების დროს. ძღვეამოსილ ბრძოლის მსხვერპლთა დახატვა თქმა არ უნდა, ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და დიდებული დასაყრდენია თანამედროვე ტრაგედიისათვის“ (ან. ლუნაჩარსკი).

რევოლიუცია თავისთავად არ მომზდარა. ის რევოლიუციონური მუშათა კლასის თაობათა გმირულმა ბრძოლამ მოამზადა. და ამ ბრძოლის მსხვერპლი უნდა გახდნენ მთავარი გმირები სოციალისტური ტრაგედიისა. მათმა ნახვამ

¹⁾ იხ. ენგელსი — „გლეხთა ომი გერმანიაში“.

სცენაზე მაყურებელს მშრომელ კაცობრიობის სიყვარულთან ერთად უნდა შთააგონოს ძველი ქვეყნის დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი. ამ გზით ვახდებთ ტრაგედია ისტორიულად გამართლებული ეპიკური სიუჟეტის-ტური რეალიზმისა და მაღალ მხატვრულ ფორმებში გადმოგვცემს ჩვენი დროის მოწინავე იდეებს.



„Поимут ли, оцепят ли грядущие люди весь ужас, всю трагическую сторону нашего существования? А между тем наши страдания—почка, из которой разовьется их счастье. О, пусть они остоновятся с мыслью и грустью перед камнями, под которыми мы унем, мы заслужили их грусть.“

ა. ი. გერცენი.

„ახანურებმა რუსეთს მისცეს ბირონები და არაქვევები, ურიცხვი ღოთი აფიცრები, ჩხუბის თავები, ბანკოს მოთამაშეები, ბაზრობის გმირები, ბაზიერები, მწებველები, სერაღნიკები და გულკეთილი მწიღოეები. „და მათ შორის—სწერდა გერცენი—განეთარდენ თოთხვტ დეცემბრის ადამიანები, გმირების ფალანგა, გამოკვებილი ნადირის რძით როგორც რომული და რეში. ესენი იყვნენ რალაქ ბუმბერაზები, თავით ფეხზემდე წმინდა ფოლადით ნაჭედნი, გმირი მეომრები რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი რათა გამოეღვიძებინად ახალგაზრდა თაობა და განეწმინდათ უკალათების და მონურ მოზიღების გარემოში დაბადებული ბავშვები“. ამ ბავშვთა რიცხვს ევთენოდა გერცენი“

ვ. ლენინი

„დეკაბრისტების აჯანყებამ—სწერდა ლენინი—გამოაღვიძა და გააფიზ-ლა გერცენი მე-XIX საუკუნის ორმოცაან წლების ბატონყმურ რუსეთში. მან შესძლო ისეთ სიმალღეზე ასვლა, რომ იგი გაუსწორდა თავის დროის უდიდეს მოაზროვნეებს... დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩალა რევოლუციონური აგიტაცია. ეს აგიტაცია. გაავრძელეს, გააფართოვეს, განამტკიცეს და გამობრძმედეს „რაზნოჩინელმა“ რევოლიუციონერებმა დაწყებული ჩერნიშევსკით და გათავებული „ნაროდნაია ვოლის“ გმირებით, გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო ახლოს დაუკავშირდენ ისინი ხალხს. „მომავალ ქარიშხლის ახალგაზრდა მესაქენი“—ასე ეძახდა მათ გერცენი, მაგრამ ეს უერ კიდევ არ ყოფილა ქარიშხალი. ქარიშხალი თვით მასების მოძრაობაა, იგონებს რა გერცენს, პროლეტარიატი სწავლობს მის მაგალითზე რევოლუციის თეორიის

უდიდეს მნიშვნელობას, თანდათან იგნებს, რომ რევოლიუციისათვის სამიგალი-
თო თავდადება და ხალხისადმი რევოლიუციური ქადაგებით
მიმართვა მაშინაც კი არ დაიკარგება, რომელმაც მნიშვნელოვანი
დაშორებულია თესვიდან მთელი ათეული წლებით. (ლენინი
ტ. XV გვ. 369).

ამრიგად ლენინი იმავე თვალსაზრისით აფასებდა დეკაბრისტების, გერცენის,
ჩერნიშევსკის და „ნაროდოვოლცების“ როლს, როგორც მარქსი მიუნცერსა
და სხვა ადრინდელ რევოლიუციონერების ბრძოლას¹. ისინი წინ უსწრებდნენ
თავის დროს და მშრომელი კაცობრიობის ტყვეობებზე კითხულობდნენ არსებ-
ბულის დაღუპვის აუცილებლობას, კითხულობდნენ ისტორიის მომავალ ნაბი-
ჯებს და თითქო გრძობდნენ იმ ქარიშხალს, რომელიც მათი სიკვდილის შემდეგ
უნდა ახმაურებულიყო, რომ რადიკალურად მიეღწეწ-მოეღწეწა მეფე და სანახლე,
თავადი და ბურჟუა. ისინი არ ებრძოდნენ აუცილებლობას, აუცილებლობას
ებრძოდა დონ კიხოტი და აპიტომ არის ის რეაქციონურობის სიმბოლო, და
მისი ბედიც ტრაგიკული კი არ არის, არამედ კომიკურია. ტრაგიკულად
დაღუპულ მებრძოლთა გმირული სულის კვეთების და თავგანწირულობის ასა-
ხეა—თავისუფლების და აუცილებლობის ასპექტში,—აი ეს იქნება თემა ახალი
ტრაგედიისა.

რა საბუთებს ეყრდნობიან ტრაგედიის ენარის უარყოფლები? მათ არა
აქვთ არავითარი საბუთი გარდა იმისა, რომ ვერ გაურჩევიან ერთი-მეორისა-
გან ანტიური ბედისწერის ტრაგედია და სოციალისტური ტრაგედია. მაგრამ
ეს ხომ უკონდინარობაა და როგორ შეიძლება მისი საბუთად გამოყენება! „ძი-
რითადი იდეური კომპოზიციური ხაზი ანტიური ტრაგედიისა—ბრძოლა აუცი-
ლებლობის წინააღმდეგ—ამბობენ ისინი—საბჭოთა დრამატურგიაში პრინციპი-
ალურად შეუძლებელია და ამდენად ტრაგედიული ენარი ჩვეულებრივი გაგებით
შინაგან წინააღმდეგობის შემავლელია“². როგორც მკითხველიც ხედავს, მოყვან-
ილი სიტყვების ავტორს საბჭოთა ტრაგედია შეუძლებლად მიაჩნია იმიტომ,
რომ „ანტიური ტრაგედია“ იყო ბრძოლა აუცილებლობასთან; ბედთან მაგრამ
ვინ დაამტკიცა, რომ სოციალისტური ტრაგედია ანტიურ ფაქტუმის პრინციპებს
უნდა ემორჩილებოდეს? ეს ისეთი კურიოზია როგორც სოციალისტური ენარის
რომანის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ დოსტოიევსკის „Бесы“ მონარქის-
ტული ნაწარმოებია!

როგორც შემოთავ ავღნიშნეთ, ტრაგედიამ ისტორიულად საკმაოდ გრძე-
ლი ვაზა გაიარა, მითოლოგიური მისტერიის სანშობლო აღმოსავლეთია, აქედან
ის გადავიდა ეგვიპტეში, შემდეგ გადადის საბერძნეთში. ამ ეპოქაში ადამიანი შე-
ბოროტილია ფატალიზმის და ბუნების მორჩილებით. აღორძინების ეპოქაში
ჩნდება შექსპირი, რომელმაც ტრაგედიის თემადაც აქცია ადამიანის ში-

¹) ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, თითქოს ყველა ეს ადამიანები ერთი იდეური პოზი-
ციის დასაცემები იყვნენ. მათ შორის აუცილებლად არსებობს მხგავსებებთან ერთად განსხე-
ვბაც, მაგრამ ეს ჩვენი წერის თემა არ არის.

²) იხ. „საბჭ. ხელოვნება“ № 4. 1933 წელი.

ნაგანი გრძნობები: სიყვარული, ექვიანობა, სკეპტიციზმი და სს. გარდაი-
 ცვალა შექსპირი და ჩაპბარდა ისტორიას მისი თაობა, ხოლო ჰამლეტი დარჩა
 უკვდავი იმისთვის, რომ ყოველ ახალ საუკუნეს ისევ და ისევ უფროსი და ვის
 დროის, თავის კლასის ადამიანების ტანჯვა და სიხარული და „ჰამლეტის“
 გამძლეობაც ამ ისტორიულობაშია, ჰამლეტი როგორც პრინცი და როგორც
 ადამიანი ეპოქის პროდუქტია და მისი თანამედროვე ადამიანად გადაქცევის
 ცდაც კურიოზია. შემდეგი დროის ტრაგედია ვერ ამალდა შექსპირის სიმალ-
 ლემდე. ამიტომ სოციალისტური მწერლისათვის უმთავრესი მემკვიდრეობა ამ
 ეპოქისა შექსპირია.

ენახოთ რას გვიჩვენებს რუსული და ქართული დიამატერმის მხატვრუ-
 ლი პრაქტიკა ამ უახლოესი წლების მანძილზე.



ა ლ . ჩ ა ვ ლ ა ი შ ვ ი ლ ი

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს „ ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი “ ე კ ლ ე კ ტ ი უ რ ი თ ე ო რ ი ა

მასების კომუნისტური აღზრდისათვის აუცილებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგში ანტიმარქსისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. დღესაც განაგრძობენ არსებობას ძველი დახვეწებული თეორიები, რომლებიც განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხელისშემშლელ პირობად გვევლინებიან ლენინური-თვალსაზრისის განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესში.

ამ მხრივ შესაძლებელია ითქვას, რომ მეტად აუტანელი მდგომარეობა გვაქვს ხელოვნებისა და ლიტერატურის მეცნიერების დარგში. ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოში ფრთები გაშალა იდეალისტურმა, ეკლექტიურმა და ფსევდო-მარქსისტულმა თეორიებმა ხელოვნების შესახებ. ყველა ეს ანტიმარქსისტული სწავლა გამოეხვია ნაციონალისტურ-შოვინისტურ ტანსაცმელში და ბრძოლით გადაეღობა წინ ხელოვნების მარქსისტულ იდეოლოგიას. თანამედროვე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ხდება მათი აქტივიზაცია.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევხვთ კონსტ. კაპანელის ნაწერებს. უნდა ითქვას, რომ ამ ავტორის ნაშრომები სპეციფიურ მოვლენას წარმოადგენენ, როგორც ფილოსოფიის, ისე ესტეტიკის დარგში. ყოველივე ის, რასაც კ. კაპანელი საკუთარ აზრად ასაღებს ორგანოტროპიზმის ნიღაბის ქვეშ, წარმოადგენს ეკლექტიურ ნარევს სხვადასხვა აზრებისა, რომლებიც, როგორც ენგელსი იტყოდა, იდეალიზმისა და მატერიალიზმის შორის ქანაობენ. კ. კაპანელი სპეციფიურია არა იდეების სიბახლით, რომელიც მარქსიზმთან ახლო იდგეს, არამედ ანტიმარქსისტული აზრების დახელოვნებული კომბინაციით და მათი ემოციონალურ პათეთიური გამოთქმის ფორმით. კ. კაპანელის აზროვნება გარკვეული კლასიური შინაარსის მატარებელია, როგორც იდეოლოგია რადიკალური წერილი ბურჟუაზიისა.

ს უ ზ ე ი ა ზ ო ბ ი ე ბ ი ს ა ღ ა რ ა ე ა ლ ო ბ ა - მ ი ც ი ა მ უ ლ ო ბ ი ს პ რ ო ზ ლ ე მ ა კ ა პ ა ნ ე ლ ი ს ნ ა ა ზ რ ე ვ შ ი .

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით ხელოვნება ობიექტური სინამდვილის შემეცნების სპეციფიური საშუალებაა. ის ვინც ამახინჯებს და სწორად ვერ არკვევს შემეცნების საერთო პრინციპებს, ბუნებრივია რომ ასეთი მცდევა-

რი—ხატურული სპეციფიური შემეცნების შესახებ—მცდარი წარმოდგენის იქნება. რადგან შემეცნება აქტივ, რომელიც სუბიექტსა და ობიექტს შორის იშლება, ამიტომ საკითხავია: თუ როგორ წყდება კაპენელთან S და O მიმართება-დამოკიდებულება.

მარქსიზმის კლასიკოსები: მარქსი, ენგელსი, ლენინი—დაინტერესდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ობიექტი არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, რომ მისი არსებობა წინასწარ სუბიექტით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სავსებით დამოუკიდებელია მისგან. ამ ძირითადი დებულების დასაბუთება შესაძლებელია მეცნიერების მიერ მოპოებული დასკვნებით, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ იყო ისეთი დრო, როცა ქვეყანაზე არამც თუ ადამიანი, არამედ არავითარი ცოცხალი არსებაც არ არსებობდა, რომ ყოველივე ეს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გაჩნდა. ასეთია ფაქტების ისტორიული სიმართლე.

ქ. კაპანელის აზრით კი პირიქით ხდება. მისთვის არ არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტი.

„ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ჩვენი გრძნობათა ორგანოებისა და ჩვენი შემეცნებითი ბუნების გარეშე ჩვენთვის წარმოდგენილია. მართალია, რაღაცა არის ჩვენს გარეშე, მაგრამ თვით ეს აზრი ჩვენი, რომელიც ამბობს, რომ რაღაცა ჩვენს გარეშე არსებობს და ჩვენზე მოქმედობს, არის ნაყოფი ჩვენი გრძნობათა ორგანოებისა“¹.

ერთი შეხედვით თითქოს აქ ყველაფერი რიგზეა. და მართლაც, ჩვენ რომ არ გვქონდეს შემეცნებითი უნარი, რომ არ გვქონდეს გრძნობები და გააზრების ცნობიერი თვისება, მაშინ ცხადია, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა ის, რასაც ქ. კაპანელი „რალასაც“ უწოდებს და მარქსიზმი კი ობიექტს არქმევს. თითქოს ქ. კაპანელი „რალაცის“ არსებობას კი არ უარყოფს, არამედ ამ „რალაცის“ შესახებ ჩვენს აზრს უკავშირებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებს, ისე როგორც ჩვეულებრივად მარქსიზმს ესმის, რომ ყოველი ცოდნის წყარო არის შეგრძობანი და წარმოდგენები ობიექტიურ სინამდვილეზე. მაშ სად არის კაპანელის „შეცდომა“? აი სად: რეალურად „რალაცის“ დაშვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მარქსისტობას. კანტსაც სწამდა „რალაცის“—საგნის თავის თავად არსებობა, მაგრამ მისთვის ეს ნოუმენები წარმოდგენდა სინამდვილის შეუცნობედ საფუძველს. ჰეგელსაც სწამს საგნების რეალური არსებობა, მაგრამ ჰეგელისათვის ეს რეალური საგნები იგივე იდეაა, მხოლოდ მის უკუფენაში, მის სხვად ყოფნაში. განა ასევე არ აცხადებს სუბიექტივისტი ბერკლი?²

„მე სრულიადაც არ ვედავები რაიმე საგნის არსებობას, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გრძნობების ან მოსაზრებების შემწეობით შევიგნოთ. მე სრულიადაც არ ვეცნობ, რომ ის საგნები, რომელთაც საკუთარი თვალთვლებით ვხედავთ, საკუთარი ხელით ვეხებით, რეალურად არსებობენ“³.

მაშასადამე საქმე საგნის რეალურობის დაშვება კი არ არის არამედ აღიარება იმისა, თუ რა არის სუბსტანცია ამ რეალობის—მატერია თუ იდეა. ამიტომ იყო, რომ ამ გადამწყვეტ პუნქტში ბერკლიმ იქვე დასძინა:

¹. იხ. ქ. კაპანელი სოც. ესტ. საფ. გვ. 59.

². იხ. ჯ. ბერკლი—„ტრაქტატი ადამიანური შემეცნების საფუძველზე“ გვ. 200, ხაზი ჩვენია. ა. ჩ.

„ჩვენ ვუარვყოფთ მატერიის ანუ სხეულებრივ სუბსტანციას“-ოქ. მისი აზრით „ობიექტი და შეგრძნება ერთი და იგივეა“, ბერკლის აზრით ობიექტი შეგრძნებათა კომბინაციებია და ამაშია მისი სუბიექტიური იდეალიზმი. კაპანელი მოსაზრებები ძლიერ ენათესავენ ბერკლის ამ მოსაზრებებს, რადგან არის „რალაცა“ გამოატბადოს ჩვენი გრძნობათა ორგანოების ნაკოვანად დასკვნით:

„საგანი ღებულობს ობიექტის სახეს მხოლოდ იმ წუთიდან რა წუთს საგანს უახლოვდება სუბიექტი (იმავე წიგნში გვ. 128—29. ხახი ჩვენნი. ა. ჩ.).

მაშასადამე, თანახმად კაპანელის „ორიგინალური“ ფილოსოფიური სწავლებისა, რომ შეიქმნეს და გაჩნდეს ობიექტი, ამისათვის საგანს უნდა მიუახლოვდეს სუბიექტი. აქედან აუცილებელია შემდეგი დასკვნა: სუბიექტისაგან დაშორილებლად არ არსებულა ობიექტი, რადგან მისი გაჩენის წინასწარ პირობას კაპანელის აზრით წარმოადგენს მასთან სუბიექტის მიახლოვება. ისე გამოდის თითქოს საგანს სახეს აძლევდეს მხოლოდ ადამიანი—სუბიექტი.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: სანამ სუბიექტი არ მიახლოვებია საგანს, მანამდგეს საგანი არ არის რაიმე გარკვეული სახის მატარებელი ობიექტი? რასაკვირველია, მას გარკვეული სახე გააჩნია, კაპანელის ორგანოტროპიზმი კი დიდი ექსტაზით აცხადებს: „ობიექტი საგნის სუბიექტივაციის სტატიური ფორმია“-ოქ. თუ ეს ასეა, მაშინ საგნის სუბიექტივაცია წინასწარი პირობა ყოფილა ობიექტის შესაქმნელად, და ასე თუ ისე ობიექტის ბედი სუბიექტზეა დამოკიდებული. ყოველივე ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს დიალექტიკური მატერიალიზმი: მისთვის ობიექტი არის ჩვენი შემეცნების საგანი, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, საგანი კი ნაწილი ანუ კონკრეტული ფორმა ობიექტიური მატერიის; როგორც ობიექტი ისე მისი ნაწილიც არსებობს ყოველგვარი სუბიექტივაციის გარეშე და არც შეიძლება იგი საგნისა და სუბიექტის მიმართებაში შეიქმნეს, რადგან იგი იმ თავითვე არსებობდა, სანამ სუბიექტი და მისი საგანთან მიმართება გაჩნდებოდა. ამიტომ ჩვენი ღრმა რწმენით კაპანელი გადადის იდეალიზმის პოზიციებში, მას ყალბად ესმის ფილოსოფიის ძირითადი საკითხები და, აქედან გამომდინარე, ის ამგვარადვე ამახინჯებს ხელოვნების თეორეტულ საკითხებსაც და ყოველი ლიტერატურული პრობლემა კაპანელისა იდეალიზმისა და ეკლექტიზმის მორევში იხრჩობა.

ხელოვნების პრობლემების ორგანოტროპიული გაგების სააწინააღმდეგობრძოლისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ დასკვნებს, რომელიც გამოჰყავს კაპანელს სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების ასეთი გაგებიდან: „სუბიექტივაცია გვარწმენებს, რომ რეალობა სხვა არის, მოცემულობა სულ სხვა, რეალობა მოცემული არ არის, მოცემულობაში რეალობა არ შედის“².

¹ იქვე. გვ. 129.

² იქვე. გვ. 129. ხახი ჩვენი. ა. ჩ.

მოცემულობის და რეალობის პრობლემა ის საკითხია, რომლისა და დიალექტიკური მატერიალიზმი, მოვლენისა და არსის, ხილულობისა და არსების, უშუალო ყოფიანა და კანონების ქვეყანას შორის დამოკიდებულებას უწოდებს. ეს პრობლემები შემდეგ კონტექსტში ისმება: როგორც სინამდვილე შეიცავს თუ მხარეს, თითქოს არსებობა გაორებულია: ერთი მხრით არის უშუალო ყოფა, რაც იგივე მოვლენათა ქვეყანაა და მეორე მხრივ არსებისა და კანონების სამყარო. რომელია მათ შორის უფრო ნათელი და ხილული ჩვენი გონებისათვის? რასაკვირველია მოვლენათა ქვეყანა; ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ ეს ხილულობა, ეს მოვლენები, რომლებიც, როგორც მარქსი იტყოდა, ნამდვილ მოძრაობის ზედაპირზე გამოდიან. მაგრამ საკითხი ისმის: ამ მოვლენებისა და მოცემულობის შეცნობით ჩვენ შევიცნობთ თუ არა თვით რეალობას, არსს, კანონებს? კ. კაპანელი ამ გადამწყვეტ პუნქტში უარყოფითად უპასუხებს. მისი აზრით მოვლენების შეცნობით არ შეიძლება არსის შეცნობა, რადგან მისთვის გაწყვეტილია კავშირი მოცემულობასა და რეალობას შორის: „რეალობა მოცემული არ არის და მოცემულობაში რეალობა არ შედის“, ამიტომ მათ შორის კავშირზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი აზრით, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მარქსიზმის უფრო მეტი და უმაღლესი იგნორაცია.

მარქსიზმ-ლენინიზმი კი, პირიქით, გვასწავლის: მოვლენებისა და მოცემულობის შეცნობით ჩვენ ვიცნობთ თვით არსებას და რეალობას. მოვლენების არსს, მი კანონებს ადამიანის გონებას შეუძლია მისწვდეს მხოლოდ მოვლენის შეცნობის საშუალებით და არა სხვა რაიმეთი. მოვლენათა მეცნიერული შემეცნების გზა კანონებისა და არსების ქვეყანაში შესასვლელი გზაა. „სრულიად არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს „საგანსა თავის თავად“ და მოვლენას შორის, განსხვავება არის იმის შორის, რაც შეცნობილია და იას შორის რაც ჯერ კიდევ შეცნობილი არ არის“. (ლენინი). მოვლენა არის არსის გამოვლენა. ჯერ კიდევ იდეალისტი ჰეგელი ლაპარაკობდა: „მოვლენა არ გვიჩვენებს არაფერს ისეთს, რაც არსში არ არის და არსში არ მოიპოვება რაიმე, რაც არ გამოვლინდებოდას“¹.

მართალია არსი მეტია ვიდრე მოვლენა, რეალობა მეტია, ვიდრე მოცემულობა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის, რომ შემეცნება წინ მიიწევა, რომ გამოვლენილი მოვლენა საფუძვლით უდრიდეს არსს, მაშინ შემეცნების პროცესი გაიყინებოდა. მართალია, შე ამ მომენტში არ შემიძლია ვიყოდე საგნის ყველა თვისებები, რადგან ის ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ შემიძლია შემდეგში შევიცნო, რადგან შემეცნების განვითარება არის დაუბოლოვებელი პროცესი. თვით ენგელსი შენიშნავს: „აზროვნებას არას დროს არ შეუძლია ამოსწუროს ყოფის ფორმები“. თვით ამ უბოლოვადობაში ადამიანის გონება უფრო ფართოდ უბოლოვდება სინამდვილეს. მაგრამ უბოლოვადობა არ არსებობს ბოლოვადების გარეშე, დაუსრულებლობის რეალიზაცია ხდება მისი დასრულებულებში გამოვლენით. ამიტომ შეთანხმება შემეცნებულისა სინამდვილესთან ხორციელდება პრაქტიკის გზით შემეცნების განვითარების პროცესში. შემეცნების პროცესის დიალექტიკის

1. იხ. Hegel соч. т. I, 232. თავი: „Учение о сущности“ § 139.

თვალსაზრისით, სრულ იგივეობას ეს შეფარდება მიაღწევს დაუსრულებლობაში, როგორც საზღვარში, მაგრამ ყოველი მოცემული მომენტი შემეცნების განვითარებისა არის რომელიღაც საფეხური საზღვართან მიახლოებისა. მაგრამ ეს აუცილებელია, რადგან საფუძვლიანად უნდა დაინერგოს კაპანელის დუალისტური კონცეპცია. კაპანელი აშკარად აყალბებს შემეცნების მარქსისტულ თეორიას და საჭიროა მისი თანმიმდევარი კრიტიკა.

როგორც ვნახეთ, კ. კაპანელმა გაუვალი უფსკრული და სკვარამი გათხარა მოცემულობასა და რეალობას შორის. რატომ? რა მოსაზრებით? სავალდებულო ხომ არ არის რომ „სოციალური ესტეტიკის საფუძვლებს“ არკვევდეს და შემეცნების ქეშმარიტი ბუნება გააყალბოს? ამ გარემოებას უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ორგანოტროპიზმის ავტორისათვის იმ გადაწყვეტ პუნქტში, როცა დადგება ხელოვნების ფუნქციისა და სპეციფიკის დადგენის მომენტი.

ჩვენც შეუდგებოდით უშუალოდ ამ პრობლემების განხილვას, თუ როგორ წყდება კაპანელთან ხელოვნებათმცოდნეობის თეორიული საკითხები, მაგრამ ნათქვამია: „მამა ნახე დედა ნახე, შვილი შემდეგ გამონახე“-ო, და ჩვენც ამ გონიერი ანდაზის კვალს მივყვებით. ეს მიტომ გვჭირდება, რომ კაპანელი პირველი და უკანასკნელი არ არის, მას ამჟამად ცოცხალი—წინაპარი ჰყავს—ჰანრი ბერგსონი. შეიძლება გარკვევით ითქვას: ესტეტიკის დარგში კაპანელი გვევლინება ბერგსონის თეორიის აპოლეგეტად. ჩვენ ამ დებულებას შეზღვევით დავამტკიცებთ, მანამდე კი საჭიროა წინასწარ მოკლედ გავითვალისწინოთ ბერგსონის ესტეტიური შეხედულებანი მისი ფილოსოფიის საფუძვლებთან დაკავშირებით.

ბერგსონი ბურჟუაზიის იდეალისტი ფილოსოფოსია. მისი კონცეპცია აქტიური ფორმაა იდეალისტური ფილოსოფიური რეაქციის. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ თუ კონკრეტულად როგორ ჩამოაყალიბა ბერგსონმა თავისი თეორიული სისტემა. უმთავრესად მას შეევეებით შემეცნების პრობლემების თვალსაზრისით, ე. ი. თუ როგორია მისი სწავლება არსის, მოვლენის, უძრავობა-მოძრაობის შემეცნების შესახებ. შეუძლია თუ არა ჩვენს გონებას შეიცნოს სინამდვილე და, თუ შეუძლია, რა საშუალებები არსებობს ამისათვის. იმ საკითხებს, რომელსაც განიხილავს იდეალისტური მეტაფიზიკა, როგორც ფილოსოფიური დისკიპლინა.

ჰანრი ბერგსონის ფილოსოფიაში ერთმანეთისაგან გათიშულია მოვლენა და არსი, რეალობა და მოცემულობა, უძრავობა და მოძრაობა. ყველა ესენი ერთმანეთისადმი მეტაფიზიკურად არის დაპირისპირებული. ბერგსონმა მოახდინა ცვალებადობის და მოძრაობის აბსოლუტიზაცია. მისთვის არ არსებობს ცვალებადობის კონკრეტული ფორმები, უძრავობა როგორც მომენტი მოძრაობის. „მოძრავი ტანი სინამდვილეში არასოდეს არ იმყოფება არც ერთ წერტილში“. ეს მოძრაობა წარმოადგენს აბსოლუტურს, ყველაფრის არსებას, რომლის შეც-

1. იხილე ჰ. ბერგსონი „Время и свобода воли“, დაბატება: „Введение в метафизику“, გვ. 218.

ნობა გარედან შეუძლებელია და შუალობითი მასთან მისასვლელი გზები აღკვეთილია. ასეთივეა აბსოლუტური რეალობა, რომელსაც არ გააჩნია ვინაობა ტული ფორმები. მეცნიერება თავისი ანალიზით და ცნებებით უძღურია ამ აბსოლუტურის შესამეცნებლად, რადგან ის, შემორკვილია პრაქტიკული სარგებელიანობით—პრაგმატიზმით. მეცნიერული შემეცნება გვაძლევს მხოლოდ შეფარდებითს და არა აბსოლუტურს, ანალიზი ვერ ვასცდება ცოცხალ არსების ხილულ ფორმებს, ამიტომაც ცნებები იძლევიან მხოლოდ ხელოვნურ წარმოსახვას—ჩვენ ტყვილად ვცდილობთ რომ დავიკვიროთ ცნებებში რეალობა, რადგან ისინი გვიჩვენებენ მხოლოდ მის ჩრდილს“ (იქვე გვერდი—203). ანალიზის სამფლობელო გონებაა. მეცნიერულ ანალიზს კი საქმე აქვს უძრავობასთან, რადგან რაობა-არსება არის ცვალებადობა და მოძრაობა, ამიტომ დაასკვნის ბერგსონი „разсудок упускает из реальности то, что составляет самую сущность ее“¹. (იგივე წიგნი იქვე გვ. 226). ინტელექტს აქვს უნარი შეიმეცნოს მხოლოდ სტატიური, ინერტიული მატერია და არა მოძრაობა-ცვალებადობა. თუ კი მეცნიერება თავისი პრაგმატიზმით უძღურია არსის შემეცნებაში, მაშინ როგორღა შეიძლება განეთავისუფლდეთ პრაქტიკულ სარგებელიანობის მომენტისგან, რომ შეესძლოთ ჰეშმარიტების სამეფოში შესვლა? ჰმის საპასუხოდ ბერგსონი შემეცნების პრაქსის ბოლოდან, უკუღმოდან იწყებს. მისი აზრით ჩვენმა აზროვნებამ პირველად არსი უნდა შეიმეცნოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოვლენების შემეცნება და დალაგება. ფაქტიურად გამოდის, რომ ბერგსონისათვის მოვლენა გზა არ არის არსთან მისასვლელად. აზრის სიცხადისათვის ბერგსონს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ გვაძლევინ აბნეულ ბგერებს და სიტყვებს რომელიმე ჩვენთვის უცნობი ლექსისა. ამ ელემენტებს მე ვერ დავაწყობ და აღვადგინ კვლავ ლექსს მანამდე, სანამ ჩემთვის უცნობი იქნება თვით ის ლექსი, რომლის ნაწილები ეს სიტყვები და ბგერებია. ე. ი. ჯერ ლექსი უნდა ვიცოდეთ ზეპირად და ამ ელემენტებს შემდეგ აქვს მნიშვნელობა. ეს გადატანილი შემეცნების სფეროში ნიშნავს: სანამდე მოვლენას შევიმეცნებდეთ, მანამდე არსი უნდა ვიცოდეთ. ბერგსონი განგებ ამბინჯებს ერთ ელემენტარულ დებულებას, როგორც ლექსის არსს თავდაპირველად თვით ბგერების და სიტყვების საშუალებით ვსწავლობთ, ისეთივე მოვლენების საშუალებით შეგვიძლია მივწოდეთ არსის შინაგან ბუნებას. არ არსებობს სხვა გზა და საშუალება. მიუხედავად ამისა ბერგსონს არსის შემეცნება მაინც შესაძლებლად მიაჩნია მოვლენის გვერდის ავლით. თუ მოვლენა გამორიცხულია, მაშინ რომელი გზა არსებობს? ბერგსონისათვის არსის შეცნობა მოვლენების გზის ავლით, შეუძლია ინტელექტუალური შეგრძნობის იმ სახეს, რომელსაც ინტუიცია, ეწოდება. „Интуицией называется тот род интеллектуального чувствования, или симпатии, посредством которого мы проникаем во внутр предмета“². ამიტომ ბერგსონისათვის ფილოსოფოსობა ნიშნავს ჩაწდომის უნარს საგნების არსებაში ინტუიციის ძალით. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბერგსონისათვის ინტუი-

¹) იხ. გვ. 198. ხაზი ჩვენია. ა. ჩ.

². „Введение в метафизику“.

ტიური შემეცნების უნარი აქვს მხოლოდ ხელოვნებას. მისთვის ხელოვნება, მხატვარი არის მსოფლიოს, როგორც მთლიანობის, ინტუიციური მკვრივობის!

„მხატვარი თავსდება ობიექტის შიგნით სიმპატიურად და ინტუიციური ძალით სძლიერებს, რომელიც არსებობს მხატვარსა და მთელს მსოფლიოსს“.

ამიტომ ხელოვნება უფრო უპირატესი და მეტი ღირსებისაა, ვიდრე პრაქტიკული სარგებლიანობის ქაობში ჩაფლული მეცნიერება.

ასეთია ბერგსონის შეხედულებები, ამ საინტერესო საკითხებზე. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ბერგსონის ფილოსოფია საუკეთესო საბუთია თვით ბურჟუაზიის შემოქმედების ამოწურვისა, რომ ბერგსონის „შემოქმედებითი „ლიუცია“ დასრულდა და უქალურია რაიმე ახალი შექმნას. ბერგსონის თეორიის დიდძალი მიმდევრები გამოუჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოთ რუსეთში სკოლა ჩამოყალიბდა ვ. ვ. კონსკის მეთაურობით, რომელმაც ხელოვნების საფუძვლად უშუალო შთაბეჭდილება და ქვეცნობიერება გამოაცხადა. სამწუხაროდ ერთ დროს ამავე თეორიის იცავდა ლიბედინსკი, რომელმაც მისი პრაქტიკული რეალიზაცია მოახდინა „გმირის დაბადება“-ში.

საქართველოში ამ იდეალისტური თეორიის პროპაგანდისტად კ. კაპანელი გვევლინება. როგორც „სოციალური ესტეტიკის საფუძვლებში“ ისე სხვა ნაწერებშიც კაპანელი ბერგსონის ესთეტიკურ შეხედულებათა დამცველია და ხშირად იდენტიურად იმეორებს მის აზრებს. ჩვენ შევეცდებით ამ დებულების დამტკიცებას.

როგორც ნაწილობრივ ზევით გამოვარკვიეთ, კაპანელი ბერგსონის გზას მიჰყვება. თუ აქამდე კაპანელმა მეთოდოლოგიური ნიადაგი მოამზადა მოცემულობისა და რეალობის დაცილებით, ეხლა ის მიმართავს ინტუიციის წინ წამოწევას. რათა ინტუიციას მიაკუთვნოს ნამდვილი და ჭეშმარიტი შემეცნების ფუნქცია ის მიმართავს გრძნობისა და გონების როლის იგნორაციას შემეცნების პროცესში. და მართლაც, ვინც ცდილობს შემეცნების საფუძვლად ინტუიციის გამოაცხადოს, მან უპირველეს ყოვლისა გრძნობისა და ინტელექტის ავტორიტეტი უნდა გააყალბოს. კაპანელი „სოციალური ესტეტიკის საფუძვლებში“ არჩევს სამყაროს სხეულობისა და ინტელექტის პრობლემას და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აცხადებს: „ჩვენი თვალები რასაც ხედავენ, ისეთი სრულებით არაა სამყარო“ (გვ. 60). დეკარტესავეთ აქ ვხედავთ გრძნობათა ორგანოებში დაეკუებას, მაშასადამე, თვალი და საერთოდ გრძნობათი ორგანოები ვერ გადაძვეს სამყაროზე სწორ წარმოდგენას, მაგრამ ეგების კაპანელი ინტელექტს აკუთვნებს რაიმე აქტიურ როლს. შესაძლებელია გონებას ჰქონდეს უნარი მოგვაწოდოს და დაამუშაოს სწორი ცნობები სამყაროს შესახებ? ამ კითხვაზე აშკარა და გარკვეულ პასუხს კაპანელი იქვე იძლევა: „ინტელექტუალური შემეცნება ერთგვარად ყალბია“ (გვ. 60). კაპანელი სერიოზულად ცდილობს ინტელექტუალიზმის უარყოფას და მოჰყავს მთელი რიგი არგუმენტებისა. ჩვენც ამ არგუმენტების განხილვით დავიწყებდით, მაგრამ ერთი რამე უნდა შევნიშნოთ წინასწარ: კაპანელი უარჰყოფს რა ინტელექტუალიზმს, ებრძვის რა კან-

1. იხ. ბ. ბერგსონის „Творческая эволюция“ გვ. 156. ხაზი ჩვენია. ა. ჩ.

ტის წმინდა გონების რეგიონებს, ამასთანავე უარყოფს საერთოდ გონების აქტიურ როლს შემეცნების პროცესში და ამდენად ის ებრძვის არა მარტო ინტელექტუალურ კლასიციონალიზმს არამედ დიალექტიკურ მატერიალიზმსაც. კაპანელის პირველი საბუთი ინტელექტის უარსაყოფად შემდეგია:

„მორველ წარსულში აღმოსავლეთ ქვეყნებში გონებას ჰქონდა ხასიათი მიხვედრისა, გრძობითი ტონისა და მოთაყვებული იყო არა თავში, როგორც ესაა ფიქრობენ ინტელექტუალისტები და კრიტიკისტები & a Kanta, არამედ გულში“.

ამის შემდეგ კაპანელს მოჰყავს აზრის დასამტკიცებლად ამონაწერები დაბადებიდან და სხვა ბიბლიური წიგნებიდან:

„მოსე წინასწარმეტყველი ეუბნება ებრაელებს: „ღმერთმა არ მოგცათ თქვენ გული, რომ ჰქუა გქონდათ“, ადამიანის გული მოიფიქრებს მომავალს თავისას“ „შენ რომ იცოდე გააზრებნი გულისა შენისა“-ო და სხვა.

ესაა ვნახოთ, თუ რა დასკვნა გამოჰყავს კაპანელს ამ „მარგალიტა“ მაგალითებიდან:

„შემეცნების ბუნებისათვის მეტად საინტერესოა ასეთი ხასიათის ლიტერატურული საბუთები, საინტერესოა იმიტომ, რომ ყოველგვარი საფუძვლები ინტელექტუალიზმისა ისპობა და ჰქმნის პრობლემის პრობლემად იქცევა“¹.

კითხვობა ამ ფრაზას და გიყვირს: კაპანელი, რომელიც ორიგინალური კონცეპციის პრეტენზიას აცხადებდა, ინტელექტუალიზმის უარყოფას ბიბლიიდან მოთრეული საბუთებით ფიქრობს. და მართლაც თუ „დაბადება“-ში სწერია, რომ „ღმერთმა არ მოგცათ თქვენ გული, რომ ჰქუა გქონდათ“-ო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ განიად გონების როლი? განა შეიძლება ამას მეცნიერული არგუმენტაცია ეწოდოს? დაბადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ღმერთმა სინათლე ადრე შეჰქმნა ვიდრე მანათობელნი და სხვა მთელ რიგ სისულელებს, განა აბსურდთა ამ რიგს არ მიეკუთვნება გულისათვის აზროვნების უნარის განკუთვნება? ასეთი ლიტერატურული საბუთები იმას კი არ მოწმობენ, რომ „ქმნის პრობლემის პრობლემად იქცევა“, არამედ იმას, რომ შეგნების განვითარებაში იყო ისეთი ისტორიული საფეხური, როცა მეცნიერული ჩამორჩენილობის გამო ადამიანმა არ იცოდა თუ აზრი სხეულის რომელი ნაწილის ფუნქციას შეადგენდა, ან და თუ იცოდა და მაინც ასეთ ფორმაში გადმოგვცემდა, ესეც ერთი ძლიერი საბუთია კლასთა ბრძოლის ფორმისა და საშუალებების შესასწავლად. გაბატონებულმა კლასმა ისე ააწყო შეგნების პრობლემები, რომ მრავალ მილიონიან მშრომელ მასას თვალებს უხვევდა ბიბლიური სისულელებით, რათა რელიგიური რწმენით გაებრებია, მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა.

კაპანელის არგუმენტებით ამ დებულების დამტკიცება თუ შეიძლება, თორემ ინტელექტუალიზმის მოსეს წინასწარმეტყველობით დამარცხება ყოველად შეუძლებელია.

¹. იხ. კ. კაპანელის „მიმოქცევის იდეა“, კრებული „არიფონი“, 1928 წ. გვ. 303-304. კურსივი ჩვენია. ა. ჩ.

მეორე რიგის საბუთები ინტელექტის უარყოფისათვის შემდეგი შინაარსისაა. თურმე ადამიანი ასრულებს ისეთ საქციელს, რომელსაც გონების კონტროლი არ ურევია. ასეთია მაგალითად კიბეზე ასვლა, როცა ჩვენ არ ვსტავლით მაგრამ საფეხურებზე მიინც სწორად ვაბიჯებთ. ან კიდევ ხშირად ნაცნობ ქუჩაში ავტომატიურად დავდივართ და შინისაკენ კი სწორად მივდივართ, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში, როცა რამოდენჯერმე განმეორების შემდეგ ამა თუ იმ ქვეყნის ავტომატიზაცია მოხდება.

ჩვენი აზრით კი პირველი და მეორე რიგის არგუმენტებიც უძლურია გონების ხელმძღვანელი როლის უარყოფისათვის. მართალია ამ მომენტში აღნიშნული საქციელი ავტომატიურია და გონების კონტროლის გარეშე სდგას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ოდესმე არ მდგარიყოს გონების სამსჯავროს წინაშე. კიბეზე ავდივარ და ნაცნობ ქუჩაში შეფუნებლად იმიტომ დავდივარ, რომ უწინ იქ მრავალჯერ ავსულვარ შეგნებულად და გამივლია, რომ ყველა ასეთი მოვლენები გენეზისის თვალსაზრისით გონების მოქმედების ნაშედეგარია.

როგორც ვნახეთ კ. კაპანელი უძლური აღმოჩნდა ინტელექტის როლის უარყოფაში. მიუხედავად ამისა ის მაინც ურწმუნო თომასავით გაიძახის: „ინტელექტუალური შემეცნება ერთგვარად ყალბია“-ო. რა გამოვიდა? გრძობები ვერ იძლევა სამყაროს შესახებ სწორ ცნობებს, გონების შემეცნებაც ყალბი ყოფილა. გამოსავალი? იმის მაგივრად, რომ კაპანელმა გააკრიტიკოს ორივე უკიდურესობა, როგორც ცალმხრივი ემპირიზმი, ისე რაციონალიზმი, დამოგვეს ამ ორი ელემენტის დიალექტიკური მთლიანობა შემეცნების პროცესში, მას ასამაღლებელი მახვილი ინტუიციაც ვე გადააქვს. კაპანელის აზრით ინტელექტი ყალბია თუ ის ინტუიციას მოკლებულია.

„ჩვენი ინტელექტი უინტუიციო და იღებს სამყაროს მხოლოდ სტატურ, უძრავ ფორმებს... ინტელექტი მხოლოდ ინტუიტიურ გააღებაში კვრეტს ნივთების კავშირს ადამიანთან“¹.

როგორც ვხედავთ აქ წინ წამოწეულია ინტუიტიური კვრეტის შესაძლებლობა! ბერქსონის აზრით ინტუიტიური შემეცნება პოეტურია და ეს თვისება მხოლოდ ხელოვნებას გააჩნია. ვიკითხოთ, თუ რომელ დარგს მიაკუთვნებს კაპანელი ინტუიციურ ხილვას?

„ინტუიტიური გააღება იგივე პოეტური და სიმბოლიური ხილვაა ჩვენი სულისა, რომელსაც სამყარო ეჩვენება როგორც სხეული მთლიანობა“².

კომენტარიები ზედმეტია. ელექტიკოსი კაპანელი სრულიად ემთხვევა და იდენტიურად იმეორებს იდეალისტ ბერგსონის აზრს. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ ჩანს რომ კაპანელი ხელოვნების სიძლიერზე გვეუბნებოდეს გარკვევით. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს ხელოვნების უპირატესი როლი მეცნიერებასთან შედარებით. ჩაუბყვეთ ქვევით:

¹ კ. კაპანელის „სოც. ესტ. საქ. გვ 60

² იქვე—გვ. 60. გახი ჩვენია. ა. ჩ.

„ხელოვნება უძლიერესი და უმშვენიერესი ფორმა ადამიანის მოქნილობის სამყაროში. მეცნიერება მხოლოდ ერთი და ისიც სტატიური მომენტია ადამიანის ამ დიდ გრძელ ფორმის შეპოქმედებითი გაშლისა“¹.

ან კიდევ ხელოვნების არე უფრო ფართეა ვიდრე მეცნიერებები და სხვა ამგვარი ფრაზები ნათლად გვიჩვენებენ, რომ კ. კაპანელი მეცნიერებს სუფთო დაბლა აყენებს, ვიდრე ხელოვნებას.

კ. კაპანელისათვის ხელოვნება არა თუ უძლიერესი ფორმა ადამიანის მოქნილობისა სამყაროში, არამედ ის რალაც მატერიალური კატეგორიაც არის, რომელიც არა მარტო საზოგადოებრივი შეგნების ნაწილი და ხედნაშენის ბუნების მატარებელია, არამედ უფრო ფართეა და თავის-თავაზე შეიცავს ყველაფერს, რასაც ადამიანი აკეთებს. „სამყარო იყოფა ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფს შეადგენს მოვლენები, რომელიც ადამიანმა წარმოშვა, მეორეს კი მოვლენები და საგნები, რომლებიც წარმოიშვენ ადამიანისაგან დამოუკიდებლად, თავის თავად; პირველ ჯგუფს საგნებისა და მოვლენებისა ჩვენ ვეძახით ხელოვნებას“ (გვ. 139). როგორც ვხედავთ, კაპანელი ხელოვნების ცნებას იმდენად აფართოვებს, რომ იგი კულტურის ცნებას ჰფარავს. მით უმეტეს ერთმანეთში არეულია მათი გათანაბრების საფუძველზე სულიერი და მატერიალური კულტურა.

დღეს ამ დებულების განმეორება, სხვა რომ არ იყოს რა, ავტორის ჩამორჩენილობას მოწმობს. ამჟამად ყველასთვის ცხადია, რომ ადამიანის საერთო საქმიანობაში ხელოვნება ერთ-ერთი დარგია, მისი სპეციფიური ფორმა და არავითარ შემთხვევაში ის არ ჰფარავს მთელს. აგრეთვე ძალზე შემცდარი და ყალბია ისეთი შეხედულება თითქოს მეცნიერება მსოფლიოს სტატიური მომენტების ფიქსატორია და ხელოვნება კი პროცესების და მთლიანობისა. მეცნიერების მიზანია ახსნას სინამდვილე და გარდაქმნას იგი განსახლებული კლასის იდეებისა და თვალსაზრისის მიხედვით; ხელოვნებაც ამ საქმეს აკეთებს მხოლოდ სხვა გზით და საშუალებებით. ხელოვნება იმდენად არის ფუნქციადი, რამდენადაც მის შინაარსად აღებულია მეცნიერულად შემეცნებული და გაგებული სინამდვილე. თუ მწერალი ვერ ერკვევა მიმდინარე სოციალურ პროცესებში, შეუძლებელია ის ცხოვრების ნამდვილი მხატვარი იყოს. მწერალი პრაქტიკული საქმიანობის გზით სწორად უნდა ჩასწვდეს სინამდვილის საიდუმლოებას, რადგან საქმიანობისთან შერწყმული მეცნიერული ცოდნა იძლევა მწერლის გამარჯვების გარანტიას. შემომქმედის მხატვრული სიტყვა, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობიდან არ გამომდინარეობს და მასში არ ნაღლდება, პროლეტარიატს არაფერში არ გამოადგება.

ამიტომ ხელოვნება მეცნიერების ფუნქციას კი არ ჰფარავს და არცა კვეცავს, არამედ პირიქით: ხელოვნება მეცნიერების გარეშე ვერ მიალწვევს გაშლავანვითარებას. მწერალი მეცნიერული ცოდნის გარეშე ბრმაა, ის შეიძლება იყოს ხელოსანი და არავითარ შემთხვევაში ხელოვანი.

ხელოვნებისათვის გადაჭარბებული როლის მიკუთვნება კაპანელის მეთოდოლოგიაში გამომდინარეობს ესტეტიური ცნების იდეალისტური გაგებიდან. მისი აზრით ყველაფერი ესტეტიურად არსებობს და თვით ბუნება ესტეტიური

¹ იხ. კ. კაპანელი „ესტეტიკური პრობლემები“; კ. კაპანელი „მწერლობა“ 1927 წ. № 8-9 გვ. 176. კურსივი ჩვენია. ა. ჩ.

ფენომენია, ყოველივე არსებულის საფუძველი ესტეტიური განცდაა და შეტი არაფერი კ. მარქსი გვასწავლის, რომ ისტორიის მმართველი და მამამრავებელი საწარმოო ძალებია:

„საჭირო არაა დაუმატოთ, რომ ადამიანებს სრულიადაც არ შეეძლოს სხვისეფალი განმეორებლებელი თავიანთი საწარმოო ძალთა, რომელიც წარმოადგენს მთელი მათი ისტორიის საფუძველს“.

როგორც ამ ციტატიდან ვხედავთ, მარქსის აზრით ისტორიის საფუძველი საწარმო ძალებია, კაპანელი კი მთელი ორგანოტროპიული ექსტაზით აცხადებს:

„ისტორიის მმართველია ესტეტიური განცდა, წარმოშობილი ბიოსოციალურ ძალაა წინეაში“¹.

გარდა იმისა, რომ ამ ფრაზაში ისტორიის მმართველად ესტეტიური განცდაა გამოცხადებული, ამ აბსოლუტურ შეცდომასთან ერთად ვტყობილობთ, რომ თურმე ეს ესტეტიური განცდა უპირველეს ყოვლისა ბიოლოგიურ ძალთა წინეაში ყოფილა წარმოშობილი, ეს კი ნიშნავს ხელოვნების შესახებ იმ თეორიის ქადაგებას, თითქოს ხელოვნება ბიოლოგიური წარმოშობისაა და მის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ესტეტიური დატკობა (ექსელროდი, ლუნაჩარსკი, კაუცი და სხვები), ასეთ სწავლებას კი არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. ხელოვნება სოციალური მოვლენაა და ვინც ცდილობს მის ბიოლოგიზაციას, მას შეგნებულად სურს, რომ ხელოვნებას გამოაცალოს კლასიური შინაარსი. მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით ესტეტიური გრძობა არის კულტურის ნაყოფი. რამდენადაც ვითარდება კულტურა, იმდენად სოციალური ფაქტორი ლებულობს უფრო მეტსა და გადაიწყვეტ მნიშვნელობას, და თუ საერთოდ ავიღებთ, ადამიანი უფრო სოციალური ვიდრე ბიოლოგიური არსებაა. მეცნიერული ესტეტიკის სფეროში დამსული სერიოზული საკითხი, საკითხი ესტეტიურის წარმოშობისა და საწყისის შესახებ მტკიცედ უნდა იქნეს დაკავშირებული სოციალურ-კლასობრივ შინაარსთან მაშინაც კი, როცა ვებებით ცივილიზაციის პირველ დასაწყის ფაზას². (ფრიე). ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ დაამტკიცა ესტეტიურის—სილამაზის ცნების კლასიურობა. ყოველივე ამის გამოკლებადების ბიოლოგიური მეთოდი შეიძლება მოხსნილ ფორმით შემონახული იქნეს. მარქსისტული ანალიზი ბიოლოგიურ მხარეს კი არ გამოირჩევა, არამედ ხსნის თავისში, როგორც დამოკიდებულ მომენტს. ხელოვნების მიმართ საკითხი ამ კორტექსტში უნდა დაისვას და მაშინ ნათელა გახდება კაპანელის თეორიის სიყალბე.

„აზროვნებისა და მეცნიერების გაშლისათვის ნიდაგს აწახდებს მატერული სული. (7). ესტეტიური პრინციპი საფუძველი და წინამორბედი მეცნიერებისა და ფილოსოფიის“.

აღბად ამით იხსნება, რომ კ. კაპანელმა ასეთი სათაური დაარქვა თავის წიგნს: „ქართული სული ესტეტიურ სახეებში“. როგორც ვხედავთ, ესტეტიური პრინციპი არამც თუ ისტორიის მმართველი ყოფილა, არამედ წინამორბედი და ორგანიზატორი აზროვნებისა და მეცნიერების გაშლისა. „ორიგინალური“ კონ-

¹. იმ. კ. მარქსის „ფილოსოფიის სილატაკე“ გვ. 28 (მაზი ჩვენია. ა. ჩ.

². იმ. კ. კაპანელი „ლიტერატურის პრობლემები“ გვ. 176 (ქართული მწერალობა 8—9 1927 წ.).

³. იმ. ფრიე „Проблемы искусства“, 1931 წ. გვ. 6

ცეკვის „შემქნელმა“ კ. კაპანელი კარგად უნდა იცოდეს, რომ შეუძლებელია ესტეტიურ პრინციპს ჰქონდეს ასეთი დამოუკიდებელი და ყოვლის შემქნელი უნარი და პრეტენზია. არ შეიძლება არა თუ ესტეტიური, არამედ უსაზღვარი პრინციპი სხვისი მმართველი იყოს, რადგან პრინციპები საერთოა და უსაზღვროა და სხვისგან არის გამომდინარე. ენგელსი „ანტი-დღურინგში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრინციპები, გამოსავალი პუნქტი კი არ არის, არამედ კვლევა-ძიების შედეგებია; „ბუნება და ადამიანთა სამეფო კი არ წარმართებიან პრინციპების მიხედვით, არამედ პრინციპები სწორი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ბუნებასა და ისტორიას ეთანხმებიან“. თითქმის არ არსებობდეს ენგელსის ასეთი გენიალური თქმა, კაპანელი ისევ დაკინებით გაიძახის პრინციპების პრიორიტეტის შესახებ და ერთ წერილში დიდი გამბედაობით აცხადებს „პრინციპი ეპოქის ფეოდალია“-ო, და მით უმეტეს ასეთ პრინციპად ესტეტიური პრინციპი მიაჩნია.

ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკა

როგორც ზემოთ გამოვარკვეეთ, კ. კაპანელი საეცებით იდეალისტურად და ეკლექტიურად გადასწყვეტა ფილოსოფიის ძირითადი საკითხები. ამ მკდარი მეთოდოლოგიური წინამძღვრების შემდეგ მისი აზრები ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკის შესახებ უსწორო და მიუღებელი იქნება. კაპანელი აქაც ახალს არაფერს იძლევა, არამედ „პოეტურად“ იმეორებს იმას, რაც ათასჯელ თქმულა და განმეორებულა იდეალისტი მეცნიერების მიერ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კაპანელი არ უარყოფს მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის არსებობას. ის გადასწყვეტით გვეუბნება: „ლიტერატურას აქვს თავისი დამახასიათებელი თვისება რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური კულტურის სხვა მოვლენებისაგან“, და თუ მართლაც მკვლევარს არ სწამს ასეთი დამახასიათებელი თვისება, მაშინ შეუძლებელია ეძიო ის რაც არ გწამს. ეძიებს რა კაპანელი ამ დამახასიათებელ თვისებებს, დასკვნის სახით სრულიად ანტიმარქსისტულ დებულებებს აყალიბებს. მისი ძირითადი დებულებაა, რომ ხელოვნება და საერთოდ მხატვრული შემოქმედება მოაქციოს ქვეცნობიერების სფეროში: ინტუიცია, განცდა, ჭკრეტა, გრძნობა, აი ხელოვნების რეზერვუარები კაპანელის ცნობიერებაში. შეიძლება დადგენილი იქნას, რომ კ. კაპანელისთვის ხელოვნება არავითარ შენთხვევაში არ წარმოადგენს იდეების სისტემატიზაციის საშუალებას. მართალია, კ. კაპანელი თავისი ნაწერების ზოგიერთ ადგილზე გადმოისცრის ერთ ორ ფრაზას ხელოვნების იდეურობის შესახებ, მაგრამ ენ საქმეს არ შევლის. ძირითადია მისი შემდგი დებულება: „მეცნიერება იდეათა სისტემატიზაციაა, ხელოვნება კი გრძნობათა“¹. ან კიდევ „ხელოვნება როგორც ნაწილი უნივერსალური სპირიტუალიზაციისა, არის ესტეტიურ საშუალებათა მეთოდური და თანაწყობება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამოიწვიოს ჩვენში გრძობანი და ნდომანი, შენახული ორგანოტრო-

¹ იხ. კ. კაპანელი: „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ გვ. 46. ხაზი ჩვენია. ა. ჩ.

პიული მესხიერებით (იმავე წიგნში—გვ. 130). რას ნიშნავს ხელოვნებას მიერ „ესტეტიურ საშუალებათა მეთოდური დათანწყობება“? განა ხელოვნებამ ჩვენში მართო გრძობანი და ნდომანი უნდა გამოიწვიოს და არა იდეები და აზრობრივი წარმოდგენები? ვინც ცდილობს ხელოვნებას, გამოაკლეს კლასიური იდეები, როგორც წამყვანი კატეგორია, ის არსებითად მენშევიკურ საქმეს აკეთებს ხელოვნების დარგში. ბერგსონის ფილოსოფიით დაბრმავებულმა კაპანელმა განგებ მიაფუჭა ხელოვნებაში კლასიური იდეების მნიშვნელობა, ან და როგორ შეიძლება არ მიიჩქმლოს, რადგან კაპანელის „ორიგინალური“ ფილოსოფია მთლიანად აგებულია ქვეცნობიერების ფრეიზიზაციის საფუძველზე.

კ. კაპანელი¹ აზრით განცდები, რომლებიც ადამიანს წარსულში მიუღია გადადიან გონების ფენიდან ორგანიული ყოფის ქვეცნობიერებაში და ჩამოშორდებიან რა სულის აქტიურ წყობას, დაილექებიან ქვეცნობიერების არეში. აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს დალექილი ქვეცნობიერება „იძლევა ჩვენი ყოფის სურვილებისა და გააზრების მიმართებას“. მისივე აზრით იდეებისა და სინამდვილის ორგანოტროპიულ ურთიერთობას აწარმოებს ქვეცნობიერებითი პროცესი ცხოვრებისა². საერთოდ ცნობილია, რომ კ. კაპანელი ორგანოტროპიზმს უწოდებს მდგომარეობის და არისის დამოკიდებულებას, რომელიც ყოველ კუთხეში თავისებურია, როგორც ზევით გამოვარკვეთ კაპანელისათვის ამ ურთიერთობის შართველი იყო არა საზოგადოების საწარმოო ძალები, არამედ ესტეტიური პრიციპი და ესტეტიური განცდა. ეხლა კი, როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს გაერთიანებულია ქვეცნობიერებაში, რომელიც აწარმოებს „იდეისა და სინამდვილის ორგანოტროპიულ ურთიერთობას“. ცხადია რომ იმ მკვლევარისათვის ვისაც ცხოვრება ქვეცნობიერებითი პროცესად მიაჩნია. იქნებ ხელოვნება აღარ წარმოადგენდეს იდეოლოგიურ მონაცემს და ისიც ქვეცნობიერების ბუნებით იქნება გაფუნთილი. ნამდვილად როგორი მდგომარეობაა? რა მიმართებაა ქვეცნობიერებასა და ცხოვრებას შორის? კაპანელი იმ მხევე არის მართალი, რომ მთელი რიგი შთაბეჭდილებათა, რომელიც ადამიანს მიუღია, გადის გონების აქტიური სფეროდან და ინახება მესხიერებაში. ასეთი აქტი ფსიქიური ცხოვრების ელემენტარული კანონია. ყოველ მოკემულ მომენტში ჩვენს გონებაში მხოლოდ ნაწილია მიღებული შთაბეჭდილებისა, დანარჩენები დროებით ეძლევა დავიწყებას: „მრავალათვისებათა დავიწყება, რომელნიც ამ წამში ჩვენთვის საჭირო არ არიან, აუცილებელი პირობაა ჩვენი ფსიქიკის სწორი მუშაობისათვის; ადამიანს რომ ყველა მომენტში ყველაფერი ნათლად ახსოვდეს, მაშინ არაფერი აზროვნება არ შეიძლებოდა. დავიწყება შეგნების წმენდაა“-ო³ ლაპარაკობს მენდელსონი. ქვეცნობიერებაში დალექილი შთაბეჭდილებანი პასიურია და გონებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებულია მომქმედ ფუნქციას.

კაპანელი კი გონების აქტიურ როლს აყალბებს. მან გამოორიცხა შემოქმედებიდან ცნობიერი რეპროდუქციის მომენტი, რომლის დროს მესხიერების მა-

¹ იხ. კ. კაპანელი „ქაშლეთი და ფაუსტი“-ბ. „ქართული მწერლობა“ 1927 წ. გვ. 156 (ხაზი ჩვენი, ა. ჩ.)

² იხ. მენდელსონი „მესხიერების გამაგრებისათვის“, გვ. -18.

რადიდან შთაბეჭდილებები გადადიან გონებაში: ეს არის მთავარი ცნობიერი მომენტი, რომელსაც თან ახლავს ლოკალიზაცია დროსა და სივრცეში. კ. კაპანელი კი განგებ ივიწყებს ფსიქო-იდეური ცხოვრების ამ წესს, ეჭირბოქვით, იგი დიდი თავგამოდებით ამტკიცებს: „შემეცნების პროცესი ეკლექტიური ცხოვრების ერთი ფორმათაგანია. ცხოვრება საერთოდ ქვეცნობიერებითი პროცესია“¹. თუ ცხოვრება ქვეცნობიერებითი პროცესია, ხოლო შემეცნება იგივე ქვეცნობიერებაა (მისი სხვანაირი ფორმა), მაშინ შეგნება იგნორაცია ქმნილია და ამდენად ლიტერატურა, როგორც შეგნების სპეციფიური ფორმა, გაცლილია იდეურობას.

ჩვენ გზადაგზა დავამტკიცეთ, რომ კაპანელის მოსაზრებები შემცდარი და მიუღებელია. აგრეთვე შევეცადეთ მოგვეძებნა მისი სოციალური საფუძვლები, ამ შემთხვევაში შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ კაპანელს ცხოვრება ქვეცნობიერებითი პროცესი ჰგონია. რესტინქტების ფეტიშიზაცია, ცნობიერებისაგან თავის დაძვრენა და ქვეცნობიერების სფეროში ჩაქეტვა დაზახასიათებელია ბურჟუაზიის თანამედროვე მდგომარეობისათვის. როდესაც საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგობის საფუძველზე უნდა დაირღვეს წარმოების კაპიტალისტური წესი, როდესაც სინამდვილე თავისი ისტორიული დამლუბველი აუცილებლობით გულის გამხეთქი და კატასტროფიული ხდება ბურჟუაზიული კლასისათვის, მაშინ ეს დაღუბვის კარზე მიმდგარი კლასი ცდილობს გაეჭყოს შეშხარავ სინამდვილეს, ეძლევა თავდავიწყებას, გარინდებას, გაბრუნებას, რომ ამით მაინც შექმნას ილუზია თავის გარდარჩენისა. ასეთ მომენტში იდეოლოგიურ სფეროში ყალიბდება მთელი რიგი რეაქციონური თეორიები, რომლებიც ქადაგებენ მისტიციკზმს, სულის სიმშვიდეს, ცხოვრების ქვეცნობიერების პროცესად წარმოდგენას და სხვა. სწორედ რომ ასეთ დაკვეთას ასრულებს კაპანელი თავისი „ორიგინალური“ ეკლექტიური თეორიით.

რა არის მხატვრული ლიტერატურა? კ. კაპანელის პასუხი ასეთია: „ლიტერატურა ემოციის სოციალური გამოსახულებაა წერით. ემოციონალობა ახასიათებს ყოველგვარ ლიტერატორულ ნაწარმოებს“². ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ემოციონალობა უნდა ახასიათებდეს მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ თვითონ ემოცია კი არ არის. მხატვრობის შინაარსი. შემოქმედების შინაარსად ჩვენ მიგვაჩნია სოციალ-კლასობრივი სინამდვილე და ამ სინამდვილის შესახებ ადამიანის თავში შემუშავებული აზრები. სხვანაირი აზრი აქვს თქმას—ლიტერატურას ემოციონალობა უნდა ახასიათებდეს³, და სულ სხვას ნიშნავს „ლიტერატურა ემოციის გამოსახულებაა“⁴, ამ უკანასკნელ შემთხვევაში თვით ემოცია ხდება ლიტერატურის შინაარსად მაშინ, როდესაც პირველში იგულისხმება იდეების ემოციონალური აქცენტაციით, თქმა და გამოხატვა. კ. კაპანელს კი ჰსურს ამ ორი შეუთავსებელი დებულების ეკლექტიური შეგუება, ისე როგორც ანალოგიური მაგალთი პერვეერზივმაც აწარმოა, მან ვერ წარმოიდგინა ხელოვნებაში სახეებით აზროვნება და ამის მაგიერ თვით სახეების აზროვნება

¹ იხ. კაპანელი „მოზკეცის იდეა“ გ. „არიფონი“ გვ. 314. ხახი ჩვენია, ა. ჩ.

² იხ. კ. კაპანელი „ლიტერატურული პრობლემები“ ძურ. „ქართული მწერლობა“, № 8—9, 1927 წ. გვ. 164.

მოგვცა ნაცვლად იმისი, რომ შემოქმედებაში სახე დარჩენილიყო როგორც მხატვრული აზროვნების სპეციფიური საშუალება, პერვეერზევმა იგი ხელოვნების შინაარსად გადააქცია როგორც თვით მიზანი. ასევე მოქმედობს ორგანოტროპიზმის ავტორი, მაგრამ მან სახის მაგიერ ჯვარს ემოცია აქცია. მხატვრული თავისებური განმარტებიდან კაპანელს ყალბად ესმის ლიტერატურის ისტორიის შინაარსი და ამოცანები: „ლიტერატურის ისტორია შეიცავს ფაქტებით გამოწვეულ ადამიანთა ემოციების განსახეობას წერიითი ნიშნებში“ (იქვე გვ. 164). ისე გამოდის თითქოს ლიტერატურის ისტორიკოსს საქმე წერიითი ნიშნებში განსახიერებულ ადამიანის ემოციებთან ჰქონდეს და არა ამავე ადამიანის იდეების, აზრების და გრძნობების მთლიანობის სპეციფიური გამოვლენის ფორმასთან. ასეთი ანტილენინური წინამძღვრებიდან კაპანელი ერთ მეტად კუროზულ დასკვნასაც აკეთებს: მას ეკარგება განსხვავება ზეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ფაქტებს შორის. რადგან მისი საზომი მხოლოდ და მხოლოდ „ემოციონალური დომინანტია“, ამიტომ თუ მეცნიერული ფაქტი ემოციონალურად არის თქმული ის მხატვრული შემოქმედების ფაქტია. ამ საფუძველზე ის ველარ ხედავს განსხვავებას ივ. ჯავახიშვილის ქართული ეროს ისტორია“სა და მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“ შორის. აქ კაპანელმა მსგავსებას ჩააყლაპვინა განსხვავება და მართლაც ასეთი კუროზი მოსალოდნელი იყო აზრთა იმ თანმიმდევრობიდან, რომელსაც კაპანელი თავიდანვე ანეითარებდა.

ანბანური ქეშმარიტებაა, რომ მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის განსხვავება უნდა გამოიძენოს. მეცნიერება და ხელოვნება ერთმანეთს მით ემსგავსებიან, რომ ორივე აზროვნება და საზოგადოებრივი შეგნების ნაწილებია, განსხვავება კიდევ აზროვნების სპეციფიურობაში იჩენს თავს. ხელოვნებაში იდეები სახეების საშუალებით ვლინდება. ზოგიერთები ცდილობენ ეს მარქსისტული დებულება შეარყიონ ამას იმიტომ სჩადიან რომ ისინი ვერ იძლევიან სახის განმარტებას და ამის საფუძველზე თვით ფორმასაც უარყოფენ. თუ ვინმე ცხენს ვერ შესწვდა, ცხადია, უნაგირი არაფერ შუაშია. ჩვენი აზრით აუცილებლად მ.რქსისტულია ფორმულა: „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“, მხოლოდ საქიროა სახის კონკრეტული შინაარსის დადგენა. ეს კი გადაუდებელი ამოცანაა და დიდ კოლექტიურ მუშაობას მოითხოვს, ჩვენი აზრით: მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს იდეების სისტემატიზაციას სახეების საშუალებით. ვფიქრობთ, რომ სახის სპეციფიკა მდგომარეობს მის მიერ იდეის, უფრო მეტის გრძნობითი ინტენსიფიკაციით და აქცენტაციით მოცემაში. ცხადია, რომ გრძნობის აქცენტაცია ემყარება გამახვილებულ აზრებს, სახე ამავე დროს ზოგადის და კონკრეტის დიალექტიური მთლიანობაა იმ აზრით, რომ კონკრეტულში ხდება ზოგადის კონდენსაცია და ამიტომ არის, რომ ჩვენ მსოფლიო ლიტერატურაში ვხდებით ისეთ სახეებს, რომლებიც „ჩვენ კიდევ ხელოვნების სიამოვნებას გვაგრძნობინებენ“ (კ. მარქსი). მაშინ როდესაც კარგი ხანია წავიდა ის სოციალური საფუძველები, რომლებმაც ეს მხატვრული სახეები წარმოშვა (მაგ. „ვეფხისტყაოსანი“, „ჰამლეტი“, „ფაუსტი“ და სხვა.)

მოკლედ ასეთია კ. კაპანელის „ორიგინალური“ ხელოვნებით მტოდნეობის მეთოდოლოგიური კრიტიკა. ერთხელ კიდევ შეიძლება ამ თეორიის შეპყრობა

დანაშაულის ადგილზე ე. ი. მხატვრული ფაქტების ანალიზის პროცესში. უნდა ითქვას რომ კაპანელი გამოსიქვდა რა თავისი თეორია ამ უნიკალურ მიხედვით, მან სცადა ქართული ლიტერატურის ანალიზი, ორი წიგნი უკვე კარგა ხანია გამოსულია. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ წიგნებს შინაარსის მთელ მანძილზე აღნიშნული ეკლექტიური აზრებია ვატარებული. მართალია, ალაგ-ალაგ კ. კაპანელი სწორ ანალიზს უკეთებს ლიტერატურულ ფაქტებს, მაგრამ ეს არც გასაკვირველია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცდომილების გროვაში ხშირად მოიპოვება ჭეშმარიტების პატარა ნაწილები, რომლებიც ხანდახან ამოტივტივდებიან ამ ცდომილებათა ზედაპირზე. ჩვენ შეგვეძლო ტიპური მაგალითები მოგვეყა მისი ლიტერატურის ისტორიიდან თუ გინდ ის ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილის „მერანი“ კაპანელს მხოლოდ იმითომ მოსწონს, რომ „განცდა მკვეთრად არის განსაზღვრებული რომ იქ „ობრავს განცდა ქართული კულტურის“, მტკიცება იმისა, თითქოს ი. ჭავჭავაძეს არ სწამდეს კლასთა ბრძოლა- ყოვლად უსაფუძლო მტკიცება იმისა, თითქოს „პირველი ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას სხვათა შორის ახასიათებს სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა განცდა, გულწრფელი უარყოფა ჩავგრისა და მტაცებლობისა, იდეათან ასწორობისა და სამართლიანობის“¹ ვის შეუძლია სთქვას თუ არა კაპანელს, რომ ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და სხვა „პირველ ქართველ რომანტიკოსებს“ ახასიათებს გულწრფელი უარყოფა ჩავგრისა? ასეთი გენეზისი“ რასაკვირველია მცდარი და ანტილენიური შეხედულებაა. შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ სანიმუშოთ ესეც საკმარისია.

ფიქრობ, რომ შეძლებისდაგვარად შევსძელით ერთი რაიმე დაგვემტკიცებია: ლიტერატურათმეცნიერების ყველა ძირითად საკითხებში კაპანელის აზრები ანტი მარქსისტულია და წარმოადგენს ყოველგვარ შეხედულებათა ეკლექტიურ ნარევს და მართლაც ამის შემდეგ მკითხველს აღარ გაუკვირდება კ. კაპანელის შემდეგი დასკვნა: „ჩვენ ძირითად დებულებას არ ეწინააღმდეგება არც ერთი სერიოზული მიმართულება თანამედროვე აზროვნებაში“-ო² ცხადია, ეკლექტიკოსს ეს ასეც უნდა ესმოდეს. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ კაპანელის შეხედულებები თანამედროვე აზროვნებაში ეწინააღმდეგება მარქსიზმს, ის არამარქსისტულია. ამასთანავე რაც არამარქსისტულია, ის ანტიმარქსისტულიც არის, რადგან არ არსებობს ინდეფერენტული არამარქსისტული. ის ყოველთვის მომქმედი ფუნქციადია, იმდენად იგი პროლეტარიატისთვის მუხენბელიც არის, ლენინური ეტაპის პოზიციებიდან ლიტერატურაში შეცნიერებაში საჭიროა დაუნდობელი, პრინციპიალური და თანამიმდევარი ბრძოლა ასეთი „ორგინალური“ ეკლექტიური თეორიების წინააღმდეგ.



¹ ებ. კ. კაპანელი „ქართ. ლიტ. სოც. გენეზისი“ II გამოც. გვ. 79. ხაზი ჩვენია.

² იბ. „სოც ესტ. საფუძვლები“ გვ. 142. ხაზი ჩვენია. ა. ნ.

პლატონ იოსელიანი

ბიოგრაფიული კანცა. გრამატიკული არქაიზმი და „გაყრა“-ს ლიტერატურული რეპუტაცია. ტივებით მოგზაურობა. დაღისტანი. 60-ანი წლები და ჟურ. „ცისკარი“, ჟიჟდურენი, საშუალონი და რადიკალები. პლ. იოსელიანის პოეტიკა. პლ. იოსელიანი და გრ. ორბელიანი. „შოთა რუსთაველი.“ პლ. იოსელიანი—ლამარტინის მთარგმნელი. გარდაცვალება. დამატებითი შენიშვნები.

1

ბიოგრაფიული კანცა ასეთია:

პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წელს¹.

პლატონის მამა, ეგნატე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის სასახლესთან დაახლოებული პირი იყო. სასულიერო წოდების წარმომადგენელი ხშირად უყვებოდა თავის ახალგაზრდა ვაჟს იმ ამბების შესახებ, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე. მომავალმა ისტორიკოსმა შემდეგში ისარგებლა მამისგან მოსმენილ ეპიზოდებით და მის კაპიტალურ ნაშრომში — „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“ — ეგნატე იოსელიანი გვევლინება, როგორც მოწმე და მონაწილე სამეფო სასახლის აგონიისა.²

პლატონ იოსელიანი სწავლობდა გამოჩენილ კალიგრაფ დავით რექტორთან. დაასრულა ტფილისის სასულიერო სემინარია. სემინარიის დასრულების შემ-

1. ზოგიერთი წყაროების ცნობით (მაგ. Словарь Кавказских деятелей, 1890. გვ. 40 პლ. იოსელიანი დაბადებულა 1810 წელს, მაგრამ ეს არ არის მართალი. საქ. მეზ-ში დაცულია პ. იოსელიანის ხელთნაწერი (უ—ის სერია № 1793): В ведение в историю философику (ორი რეველი), რომლის წინა ფურცელს ასეთი წარწერა აქვს: „Сія История философики принадлежит ученику философии Платона Иоселиану 1824 года, Декабря 11 го числа, был я 15 ти лет в сѣе время. Обучал, Преображенскаго Монастыря, Ректор Архимандрит Прииной.“ ამ მინაწერიდან ჩანს, რომ პლ. იოსელიანი დაბადებულა 1809 წელს იხ. აგრეთვე: ზ. ბ. „პლატონ იოსელიანი“, ტფ. 1893. გვ. 7.

2. ალექსანდრე ორბელიანი წერს (წ. რ. კ. ხ. ხელნაწ. № 1646: „პლატონ იოსელიანს, — გვ. 5. (წერილი): „პლატონის პაპა მღვდელი თნისიმე მეფე გიორგის ახლდა და მამა პლატონისა მღვდელი ეგნატე მეფეს გიორგისვე, არამც თუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოს ოჯახისა თავშეწირული ვრთგული იყო და უნამეტნავესად თავის შშობლის მამულისა, დიდი გონიერი კაცი იყო თუ ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა.“ ის გარდაცვლილა 1843 წელს. ხელმოწერედ მეტერბურგს წასულ პლატონ იოსელიანს (1841 წ.) დაბრუნებისას ცოცხალი არ დახვედრია. (იქვე, გვ. 35. შენიშვნები.) ახალგაზრდობისას ეგნატე იოსელიანი ცოცხლოვებული ყოფილა გრგველ მეორესთანაც. (№ 1646—გ. აღ. ორბელიანი: „დუბროვიჩისა მიმართ პასუხი.“)

დედ მიემგზავრება პეტერბურგს და შედის სასულიერო აკადემიაში. პეტერბურგში ის ახლო ეცნობა საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებს, მარხამ დედოფალს და ახლო ურთიერთობაშია მათთან.

აკადემიაში პლატონ იოსელიანი სწავლობდა ლოგიკას, ფილოსოფიას, ისტორიას, თეოლოგიას და ლეიბნიცეელების დარგებს. აკადემია დაამთავრა ლეიბნიცეელების მაგისტრის ხარისხით.

საქართველოში პლ. იოსელიანი დაბრუნდა 1831 წელს და სემინარიაში შევიდა ფიზიკასა და ფილოსოფიის მასწავლებლად. ტფილისშივე მიჰყო ჩელი მან საისტორიო-საგამომკვლევო მუშაობას, გრამატიკულ სახელმძღვანელოთა გამოცემასა და სარედაქტორო საქმიანობას.³

ორმოციან წლებში და შემდგომ პლატონ იოსელიანი ტფილისის სალონების საპატიო წევრი იყო. ის პირადად მეგობრობდა ალექსანდრე ქავკავაძის ოჯახს და ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო მანანა ორბელიანის ცნობილ სალონისა, სადაც თავს იყრიდნენ ტფილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი.⁴

როგორც ჩანს, ამ სალონებში პლატონ იოსელიანის ბაყენბარდები ფარული გაკიდვის საგნად იქცეოდა. „აუჩქარებელი რიტორი“, რომლის საუბარს

³ 1837 - 8 წ. წ. ტფილიაში დაბეჭდა ჩაბრუნებისა და შეთქმულების კეზანი. 1840 წელს: პირველ დაწვებითი კანონი ქართულისა ღრამატისაჲნი“ (მეორე გამოცემა 1851; მესამე—1863 წელს). შრომები რუსულ ენაზე: „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ (პეტ. 1841. მეორე გამ. 1843). „ცხოვრება დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა“ (1849), რუსულ ევრნალ-გაზეტებში დაიბეჭდა მისი ქართული ტარების „აღწერები“, ისტორიულ-არქეოლოგიური წერილები. 1850—1870 წლების მანძილზე ბეჭდავს შრავალრიცხოვან შრომებს „და წერილებს, მეტწილად ქალაქების—(დუშეთის, ტფილისის) „აღწერებს“, გამოაქვეყნა მგზავრობის დღიურები (ტფილისიდან ანტალამდე. 1850; დაღესტანს მგზავრობის სურათები. 1861; ტფილისიდან მცხეთამდე მგზავრობის წერილები“ 1871 წ.) და მრავალი სხვა.

1845 წლიდან რედაქტორობდა „ხაკავასკი ვესტნიკ“-ს. გამოსცა იონა რუსისის—მიტროპოლიტისა და ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობანი, არჩილის „თეიმურაზ ზეფის ცხოვრება“, ანტონ კათოლიკოსის „წებობილსტყვაობა“ და იოსებ ტფილელის „დიდ მოურავიანი“ (1852 წ.) თანამშრომლობდა: „ცისკარში“, „კავკასში“, „საბაღხო განათლების სამინისტროს ფურნალში“ და სხვ.

მის ნაშრომთაგან ზოგი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. მაგ. მარი ბროსესა და პლ. იოსელიანის მიმოწერა (წ. რ. კ. ს. № 4797) გვიჩვენებს, რომ პლ. იოსელიანს 1840—41 წლებში დაუწერია „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა“ და გადაგზავნია აკადემიკოს შევრენისათვის (აკად. შევრენი—1794—1855, ლინცისტი, ავტორი წიგნისა „Osatische Sprachlehre 1844); პლ. იოსელიანი დაიწინაურდა თხოვს ბროსეს გაიგოს არის თუ არა სამეცნიერო აკადემია ამ შრომის დაბეჭდვის თანაბმა. დაბეჭდილი სახით ეს შრომა უცნობია. შესაძლოა ზღუნაწერი აკადემიის არხივში ინახებოდეს.

კ. მამაკაშვილის ცნობით (დროება, 1881 № 206) ორმოციან წლებში, ნ. ბარათაშვილის სახლში, პლ. იოსელიანისთვის მიუწვდევიათ საქართველოს ძველი ისტორიის დაწერა (ამ ცნობას იმეორებენ: ხ. ჯ. „მლ. იოს.“ გვ. 12 და გ. თუ მანიშვილი: *Характеристики и воспоминания*, ტფ. 1901. გვ. 154) სამეცნიერო აკადემიისათვის დასაბეჭდათ გადაცემული „აღწერა“ ვაშბ ამ დავალების შესრულების ნაყოფი იყო?

⁴ გრ. ორბელიანი წერდა მანანას 1846 წელს 18 თებ. „თქვენი გაბრწყინებული სალონი საუბრა ანგლისანებით, ძირანცუხებით, ჰინდოელებით; კეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვაშბობ: ნეტავი მათ რიცხვში შეც ვიყო.“

მუდამ ახასიათებდა ანალოგიები ანტიურ ისტორიიდან და ლიტერატურიდან, მსხვერპლი ხდებოდა მანანა ორბელიანის სალონის წევრის — ნიკო ბარათაშვილის ენამახვილობისა. ეს უკანასკნელი კიდევაც სწერდა გრ. ორბელიანს 1841 წელს:

„ჩვენს დიდს პლატონს ძილში კაცა დასწოლოდა ბაყნბარდზე და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკნბარდი ასე გაეთელილი დარჩა: ვერაფერ რომ მოიპარსოს მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“.

ამ ორი მწერლის პირადი დამოკიდებულების სხვა ფაქტებიც არის ცნობილი. იონა მეუწარგიას ჩაწერილი აქვს ნ. ბარათაშვილის ენამახვილობის ერთი შემთხვევა, რომელიც მას ლეევან მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისგან (ნ. ბარათაშვილის მეგობრები) მოუსმენია:

„მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტყორცნა ბარათაშვილმა პლატონ იოსელიანს ერთს საზოგადოებაში ვილკამ თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ—რომელვებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ? . . .

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ—ასლოვიო,—მიუვო რუსული ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა ხელი იოსელიანს“.

პლ. იოსელიანის ახირებული გარეგნობა თანამედროვეების საერთო ყურადღებას იქცევდა¹. თვითონ სახელიც—პლატონ—სამბედისწერო გამოდგა: მისმა „ცრუკლასიციზმმა“ საბაბი მისცა მაშინდელი საზოგადოების წარმომადგენელთ ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის, გასახსენებლად. ჩქარა მის გვარს „შენაც—ლა ეპითეტო—ფილოსოფოსი და აქედან მოდის პლატონ იოსელიანის—პლატონ ფილოსოფოსად მოხსენიების ტრადიცია. მთელი ცხოვრების მანძილზე ის ამ ზედმეტი სახელით არის ცნობილი.

სალონის შთავთნებას, თუ ვიტყვით ძველი ლექსიკონით, თვითონ მანანა ორბელიანი წარმოადგენდა. „ციკარში“ (1871, იანვარი) დაბეჭდილია ენ. ეკატრინე ერისთავის შემდეგობობა მანანასაში:

სატრფოს პორტრეტსა,

ეჭვრეტ ვითა მხუთა

მშობნეარეს გულის განმანათლებლად

შატერობა ესე

მშვენებით სასვე

მსჯავსი თუ ოდენ უოფილ არს ძველად,

ოდესცა, ენაზე,

მის ტურფა საზე

მყის განკვირებით ვიქენ მოცული,

და ვით მშვენირს,

პლანეტსა ციერს

ესპერეტდი, შვიქენ ალტაცებული!

იხიდაეს გულსა

მსხვერპლად გძლენი სულსა,

ნეტ თუ მადნიტი გჭონან თუალებში!

და მისთვის მარად

მყავ მონად მყარად

მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.

უმანკო გული

ქეთილით სრული

პლატონობს ყოველთ შენდა საქებრად,

ნაქუს შესაფერი

ეგ ნახი ფერი

მოგნიჭბიეს განსაშვენებლად,

ბარ სრული გრძნობით,

განსჯით და ცნობით

სამაგალითოდ წარმოდგენილი,

ქცევა ქებული

გაქმ დიდებული

გშენის ქალთ მეფად გყონ დადგენილი.“

¹ ნ. ბარათაშვილი, ლექსები... ტფ. 1922 წ. გვ. 95.

² იქვე, გვ. XXXI. შტრ. М. Туманов. Хар. и вост., გვ. 159.

³ ამის შესახებ იხ. აგრეთვე ზ. ბ. „პლ. იოს.“ გვ. 20.

ეგრედწოდებული „ახალი თაობის“ წარმოშობეზე იხილეთ პლ. იოსელიანის ამ ზედმეტ სახელს ირონიული ტონით ხმარობდენ⁹.

1849 წელს პლატონ იოსელიანი სამეცნიერო მიზნით „საქართველოში მთასა და სტამბულში“. დაბრუნების შემდეგ ის მუდმივად „სსსკ“-ს სტამბულში (ტფილისსა და დუშეთში) ცხოვრობს.

2

პლ. იოსელიანის „ღრამატიკა“ მეტყველების არქაული ნორმების დაცვანების ცდათ უნდა ჩაითვალოს. ია ანტონ კათოლიკოსის გრამატიკას ანალოგიური მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ასეთივე არქაიზმით ხასიათდება მის მიერ შედგენილი „ქართული ანბანი“ და კალენდარი.

გრამატიკა პრაქტიკული მიზნებისათვის გამოუყენებელი გამოდგა და ფართო პოპულარობა მან ვერ მოიპოვა¹⁰.

გრამატიკის გამოქვეყნების შემდეგ პლ. იოსელიანი უმთავრესად რუსულად სცემს თავის გამოკვლევებს. 50-ან წლებიდან კი ის კვლავ უბრუნდება ქართულ მწერლობას; 1850 წელს გამოდის გ. ერისთავის „გაყრა“, რომელსაც წინ უძღვის პლ. იოსელიანის შემდეგი წინასიტყვაობა:

ყოველმან ქართველმან იცის რა არის წიგნი „ვეფხვის ტყაოსანი“. დიდად მცირენი არიან, რომელთაც არა წაეკითხოს ძველთა მწერალთა წიგნები შავთელისა, ჩაბრუხაძისა, მოსე ხონელისა; ახალთ დროებში „ქაცვია მწყემსი“, „სიბრძნე სიცრუე“, „ქილილ და მანა“, და სხვანი. გარდა ამთსა ზენ ქართველთა გვაქვს მრავალთა მწერალთა სხვადასხვა გვარნი თხუხულებანი ლექსად და პროზად, საფილოსოფოსონი, ლუთის მეტყველებითნი, ისტორიულნი, ზნეობითნი; — მიხედვით სხვათა ხალხთა ევროპისა და აზიისა, ვიტყვი გაბედვით, შეთერამეტე საუკუნედ-მდე, ქართველნიცა მდიდარნი იყვნენ მწერლობითა. — მაგრამ მწერლობა ძველთა, გარდა რუსთა ელლისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ქვეშარატი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველთა, ქართულსა ენაზედა, კომედიისა, თავაძმან გიორგი დაეთვის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლო ბისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისათვისცა ეკვირვებთან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლატუსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა.

⁹. ეს ირონიული ტონი იმის გ. წერეთლის სიტყვებში, როცა ის „ციცკის“ მწერლების დახასიათებას დასძენს: „ერთი მოლაყბე გამოწენილა და მართალია ლაყბობას კი უჩაბის თავის სტატუებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქვს იმის ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან — ინახით ჯდებიან გორს და ხან ათინა, რომი და ვეროპა შესძრეს თავისის ფილოსოფიით, რომელიც დააფუძნა საქართველოში პლატონ ფილოსოფოსმა. ბერძენებში პლატონზედ არ მოგახსენებთ, არა მე მოგახსენებთ ჰენს პლატონს ფილოსოფოსზედ“ (იხ. გ. წერეთელი: თხუხულ. სრული კრებული“, სიმ. ზენდაძის რედაქციით, 1931 ტ. I გვ. 382. მოლაყბე — ფეველინი „ციცკის“ რედაქტორის — ივ. კერესელიძის. იქვე, გვ. 449 შეშენ. გ. წერეთლის ზემოდ მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის 1862 წელს.)

¹⁰. ამ მგზავრობის აღწერა იხ. პლ. იოსელიანის ხელნაწერებში: *Из путешествия на Афон* (წ. რ. კ. ს. № 3055.) იქვეა მასთან დაკავშირებული მიმოწერა.

¹¹. აღსანიშნავია ვოსტოკოვის გრამატიკის გავლენაც. ეს ფაქტი პლ. იოსელიანის თანამედროვეებმაც აღნიშნეს. იხ. ცისკარი, 1857, № 5 გვ. 59: „ფ. იოსელიანის გრამატიკა არის თითქმის ვოსტოკოვისგან წათარგმნი.“ რასაკვირველია, ასეთი შეფასება გადაკარბება, მაგრამ გავლენის სათავეზე ის სწორად მიუთითებს.

მაქვს იმედი, რომ ეს რეთსა ჩემგანს ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებასა, არ ვინ მიიღებს პირმოთხოვით თქვენი მტკითველი კეთილგანმზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალი მწერებისა და მწერებისა შეუდგებიან მაგალითსა მისსა.

პლატონ იოსელიანი

როგორც ამ წერილიდან ჩანს (და ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვებიც ამასვე ადასტურებენ) წინასიტყვაობის ავტორის არქაისტული პოზიცია საერთოდ ცნობილი ყოფილა. რეაქციონერი ენის საკითხში, პლატონ იოსელიანი, ძალაუნებურად ანგარიშს უწყევს ახალი შეტყველების ისეთ ფაქტს, რომელიც მის გრამატიკულ ნორმებს არსებითად ეწინააღმდეგება. ერთის მხრით ამ წერილში პირდაპირ გვხვდება მოწოდება „ახალი გვარის მწერლობისადმი“ მიბაძვისა, ხოლო მეორეს მხრით—თვითონ მოწოდების, წინასიტყვაობის ენა ლაპარაკობს გამოთქმული თვალსაზრისის საწინააღმდეგო. ამ კომპრომისის არსებითად არაფერი შეუტკლია პლ. იოსელიანის შეგნებაში. პირიქით—ეს წერილი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს იმ სარედაქციო მუშაობას, რომელმაც ქართული ლიტერატურა—მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში—უაღრესად არქაული დოკუმენტებით გაავსო.

„გაყრა“ სთვის ასე საჯაროთ რეპუტაციის გაკეთებას, როგორც ჩანს, არქაისტების გარკვეულ ჯგუფში უკმაყოფილება გამოუწვევია. 1857 წელს, როცა ჟურ. „ცისკარის“ გამოცემა განახლდა (სხვა ლიტერატურული ორგანო კი 1852—1857 წლებს შორის არ არსებობდა), ილ. ორბელიანი ბეჭდავს წერილს: „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიისაზე“, სადაც უარყოფს პლ. იოსელიანის აზრს, თითქოს გ. ერისთავს „დაეზადოს ახალი ენა“ და დასძინს:

„პლატონ იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კამედიის წინასიტყვაობაში „შეუდგით მაგალითსა მისსაო“ რატომ თავის წინასიტყვაობას ერისთავის წერას არ ამხავეს და სხვებს კი ურჩევს? გავს, ვერ მოუხერხებია ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის და ერისთავის კამედია დაუწვეილი ლაპარაკი, კითხვა მოვების მგზავისი“¹¹.

1853 წლიდან პლ. იოსელიანი დიდი ხნით ანებებს თავს ქართული წიგნებისა და გამოკვლევების ბეჭდვას. ამ პერიოდის შესახებ ის უფრო გვიან აღნიშნავდა:

„მშრომელი მივიწყებული, ვითარცა მფრინველი ფრთა შეკვეცილი, მივლმდი: შედგა ბეჭდვა წიგნთა ქართულთაო“¹²

¹¹ იმავე წელს (1850) მანეის თეატრში (და არა თამაშმოვის ქარვასლაში, როგორც ი. მენარგას აქვს აზნიშული, იხ. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება, 1884 გვ. XLII). ამაზე შენიშვნა—*АКТЫ*, 1893, ტ. XI, გვ. 915; თამაშმოვის ქარვასლაში თეატრი გაიხსნა 1851 წელს) 3 მაისს დაიდგა გ. ერისთავის მეორე კომედია—„დავა“—სადაც მოხუც ონოფრეს როლს ასრულებდა პლ. იოსელიანი (აფიშის სია მოყვანალია ი. მენარგას დასახელებულ გამოცემაში წინასიტყვაობაში, იხ. აგრეთვე *АКТЫ XI*). ფორონტოვმა მიანდო აგრეთვე პლ. იოსელიანს ქართული პიესების ცენზორობა. (*АКТЫ XI*: გვ. გვ. 917, 934, თ. გ. ერისთავის თხზ., გვ. XL)

¹² იხ. ცისკარი, 1857 წ. №9, გვ. 47.

¹³ ცისკარი, 1869. მარტი. გვ. 4.

რაც შეეხება პ. იოსელიანის რუსულ შრომებს, ისინი მხატვრულ მონოგრაფიებად არიან მოფიქრებული. ავტორი ალაგ-ალაგ ლალიტობს ფაქტების აკადემიურ, მონოტონურ დალაგებას და მათ დასაბუთებას უწყვეტად მაგალითებით. მოტოდ და ეპიგრაფებად ხშირია: პლატონის, ვიგორის, კიკოდის, კატულის, დანტეს, ლამარტინის, ბაირონის, შატობრიანის და სხვათა ლექსები და ნაწყვეტები. როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ეს გადაჭარბებული „კლასიციზმი“ იყო მიზეზი მასზე თანამედროვეთა ფარული დაცივნისა, რომელიც ბოლოს ამკარა მზილებაში გადავიდა. მალე ის ლიტერატურული პაროდის მასალად იქცა. ჯერ კიდევ მეორეოცდაათე წლებში ვოდვეილისტმა ზ. ანტონოვმა დასწერა კომედია „ტივებით მოგზაურობა ლიტერატორებისა“, რომელშიც დაცივნის მასალად აღებული იყო პლ. იოსელიანისა და მხატვარ გაგარიანის მგზავრობა მტკვარზე. ეს კომედია დაიდგა 1852 წელს ტფილისში.

აუდიტორიას უყენია ცნობილი არქაისტი, რასაც გამოუწვევია მაშინდელ მთავარმართებელთან (ვორონცოვთან) პლ. იოსელიანის მისვლა: ამ უკანასკნელს მოუთხოვია პიესის აკრძალვა. ინციდენტი დამთავრებულა ვოდვერლასტისა და პლ. იოსელიანის შერიგებით (ზ. ანტონოვს გამოესარჩლა თვითონ მ. ვორონცოვი)

ზ. ანტონოვი ერთი იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც გ. ერისთავის „მაგალითს შეუღდა“. როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი ძვირად დაუჯდა „გაყრა“-სთვის ლიტერატურული რეპუტაციის გაკეთება.

ტივებით მოგზაურობას თვითონ პლ. იოსელიანი ასე გადმოგვცემს:

„ტკბილია ტივზედ ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. ენახმან გიორგი გაგარიანან აწ ლოქმეისტრმან, მოინდომა წამოსვლა გორიდან თბილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის თვეში — დილით წამოსული მოვედით ს. გომს და მეოცსა დღესა მ რიცხესა, ქალაქსა თბილისსა. ტივზედ მუდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ვიკითხავდით წიგნთა და ვსწერდით. ესე ჰქმნა მან, რათა შეაჩიოს ქართულნი ტივითა ჩამოსვლასა ქართლით თბილისად, მაგალითითა მით, რომელ ტიროლში მდინარითა ახარ, მოვლენან ესრეთ ტივითავე მუნხენში, ესრეთმან მგზავრობამან მოსცა საგანი კომედიისა მწერალსა ანტონოვსა და დაასწერა ტივით სიარული. მ. ვორონცოვმან, დამბადებელმან ქართულისა თეატრისა, დააჯილდოვა მწერალი და მიიღო ყოველივე დასაბეჭდავად წასაგებელი.“¹⁴

ცნობილია გრ. ორბელიანის ტივებით მგზავრობაც. მათი მეგობრობის ფონზე ზიოგრაფიული დეტალების ასეთი შეხვედრა საგულისხმოა.

3

1861 წელს პლატონ იოსელიანმა იმგზავრა დალისტანს. წიგნი: „Путевыя записки по Дагестану в 1861 году“ — (ტფ. 1862) ასე იწყება:

„Человек, по патении своем, осужден на странствование. Он именуется у священных писателей и у философов пришлецем, странником на земле. (გვ. 5. აქ მოყვანილ ამონაწერებს პ. იოსელიანის რუსულ შრომებიდან ჩვენ არ ვთარგმნით, მის შუორე ენას საკმაო თარგმანლობა ზანასათებს, რომლის გაცნობა არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული მკითხველისათვის).

დალისტანს გამგზავრების არჩევანი ისტორიული თვალსაზრისითაც არის საინტერესო.

¹⁴. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა: ტფ. 1893. გვ. 103;

ჯერ კიდევ „ზაკავკასკი ვესტნიკ“-ის რედაქტორობისას (1845—50 წ. წ.) პლ. იოსელიანი ბეჭდავს ცნობებს დალისტანზე. ეს ის დროა, როცა ჩინეთში და დალისტანში მურხინდოში და შამილის დიქტატურა მძვინვარებდა. რუსის მოხელის კოსტუმს ამოფარებული არქაისტი განსაკუთრებულად ყურადღებით ადევნებდა თვალს იმ დიდ ნაციონალურ-რელიგიურ მოძრაობას, რომელმაც რუსული მილიტარიზმის მსვლელობას გზა გადაუჭრა მთელი 40 წლის განმავლობაში. პლ. იოსელიანის უფროსი მეგობრის, გრ. ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერა დალისტანში დაიწყო. ეს უკანასკნელი გამანადგურებელ ძალას წარმოადგენდა ავარიის და შამილი მას თავის მოსისხხარ მტრად რაცხდა. ბედის მადიებული თავადი სიამაყით სწერდა თავის ნათესაეებს ათასწლოვანი ტყვეებისა და ადამიანების უამრავ მსხვერპლზე. პოეტი—მხედრის ბატალიონები დიდი სიძინელების გადალახვით იკაფავდნენ გზებს და მთიელის ტყვია ათეული წლების განმავლობაში აჩერებდა მათ მოქმედებას

1858 წლის დამდეგს გრიგოლ ორბელიანი დალისტანიდან გადმოყვანილ იქნა ტფილისში. გრ. ორბელიანის დაბრუნებას ავარიიდან ეურ. „ციხკარი“ მიესალმა თვითონ რედაქტორის, ივ. კერესელიძის ლექსით.

საინტერესოა პირველი სტროფი:

მომსმა მოსელა ტფილისს ქალაქსა თქვენი გრიგორი
განშორდი კავკასს, მისთა საფრთხეთა სად გმირთ ესწორი,
მესრე შამილის მწყობრი და რახში, მთანი და ვორი,
სიმათლით ვტყვი ამათ ყოველთა არ არის პორი. და სხვ.²⁵

შამილი დაატყვევეს 1859 წელს გუნიბში. 1861 წელს კი პლატონ იოსელიანმა თვითონ დაათვალა იმ ადგილი, სადაც კავკასიური ომებში ეპილოგი შესრულდა.

რამდენიმე წლის წინად თუ მისი ამხანაგი ტყვიით მიიკვლევდა ბილიკებს დალისტანის მთებში, ეხლა ეს წიგნების ჩრჩილი თავისუფლად ათვალა იერებდა ავარიის ლანდშაფტებს რუსული მილიტარიზმის მიერ გაკაფულ გზებიდან. ამ შემთხვევაში გამოიწვია გრ. ორბელიანის ჭეშმარიტი შენიშვნა:

„Это даже стыдно для Дагестана“

„სამგზავრო წერილები“ განსხვავდება ბერეზინის, ადოლფ ბერეს, ზის-ერმანის და სხვათა სამგზავრო აღწერებიდან. ის მოფიქრებულია, როგორც მხატვრული ნარკვევი. ჩვეულებრივ: მას ჰორაციის ეპიკური უძღვის წინ.

ამ „წერილებში“ რუსული მილიტარიზმის ხოტბასთან ერთად გვხვდება შამილის პიროვნების აპოლოგიაც. შამილის სამელობელოს ის უწოდებს „დალისტანის თავისუფლების სამეფოს“ (გვ. 24) დალისტანს—„თან ეაკ რუსსოს სამყაროს“ (გვ. 47), შამილს—„კავკასიის პრომეთეს“ (გვ. 34. იხ. აგრეთვე გვ. 57 და შმდგ.)

ჰაჯი მურატის პანეგირიკი ასე თავდება:

„Очень жалко, если не соберутся великия имена свободы Дагестанской, свободы Галлов до Кесаря, свободы азиатской Швенцарии, для потомства и истории“ (გვ. 63.)

²⁵. იხ. ციხკარი: 1858 წ. მისი, გვ. 3—4.

ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება პლ. იოსელიანის თანამედროვე ისტორიკოსთა იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით შამილის დიქტატურას დროს ხალხი თითქოს მძიმე დესპოტიის უღელს ატარებდა. მხედველობაში უნდა შემდგომად იქნას მიყვანილი იმ ფაქტს, რომ დესპოტის ქვეშ ვერ იწარმოებდა ოცდახუთა წლის რძი, რომელიც სიმშვილისა და რუსეთის ჯარის განუწყვეტელი მოქმედების გარემოცვაში მიმდინარეობდა.

დალისტანში პლ. იოსელიანი მგზავრობს შამილის ყოფილ ნაიბებთან ერთად. გუნბიდან თემირხანშურისკენ მიმავალს სალთის ხიდამდე (გუნბის ახლოა) მიაცილებს ომარ დიბირი, ხუნძახის ვაჟის შემდეგ, აულ ტილიტლში ესაუბრება ცნობილი ნაიბი კიბიტ-მაგომა (გვ. 71). რელიგიური ფანატიკოსი და სამხედრო მოღვაწე თვითონ უყვება პლატონ იოსელიანს უახლოესი წარსულის ამბებს.

დალისტანის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ძნელად თუ მოიპოვება ასე კარგად დაწერილი წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი ადგილის მჭკრმეტყველურად შეფერილი სტილისა¹⁶.

1861 წელს დაიწყო აშკარა ბრძოლა არქაისტებსა და რადიკალ მწერალთა შორის. ამ ბრძოლაში პლ. იოსელიანის როლი ფარულია, მაგრამ ისტორიულ მნიშვნელობას იგი მოკლებული არ არის. ამ მნიშვნელობის გასათვალისწინებლად აუცილებელია მესამოცე წლების ლიტერატურული მოძრაობის სურათის აღდგენა, რასაკვირველია, ზოგად ხაზებში.

4

როგორც ცნობილია, ილ. ჭავჭავაძის წერილმა რევან ერისთავის თარგმანზე (ცისკარი, 1861, № 4) არქაისტებს შორის დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. იმავე ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა გ. ბარათაშვილის, ალექსიევი-მესხიევის, ბარ. ჯორჯაძის, თვით რევან ერისთავის და სხვათა წერილები. ილ. ჭავჭავაძემ მათ საერთო „პასუხი“ გასცა (ცისკარი, 1861. ივნისი. გვ. გვ. 181—251), რასაც ხელახლა მოჰყვა სამაგიერო პასუხები.

„ახალი თაობა“ მოითხოვდა:

¹⁶ თანამედროვე ოფიციოზმა ამ წიგნს აღფრთოვანებული ბიბლიოგრაფია უძღვნა. ავტორი (რეცენზია ხელმოწერილია) „სამგზავრო წერილებს“ პლ. იოსელიანის შემოქმედების აღიარებად სთვლის და აღნიშნავს: „Имена Шота Руставели и Платона Иоселиани суть два крайние фазиса обширной грузинской цивилизации. Будущий историк картульской литературы, конечно найдет еще несколько славных имен, этих спутников гения.“ ან: „Воспитанный чтением древних ораторов, П. Иоселиани и до сих пор сохраняет эту свежесть языка Демосфена и Цицерона, которые увлекали своих современников простотою и силою.“ (Кавказ, 1862, № 45) ფელეტონის გაგრძელება სავსეა ამონაწერებით პლ. იოსელიანის წიგნიდან. ბიბლიოგრაფი განაკუთრებით იწონებს ავტორის ენას და დასასრულს წერს: „Как Руставель стая на рубеже, отделяющем миф и предание от летописи сказаний истории, так и Иоселиани стоит на рубеже отжившего мира Грузии при вступлении ее в новый фазис гражданственности.“ ეს სიტყვები ცხადყოფენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც პლ. იოსელიანის წიგნს მოუხდენია თანამედროვეებზე. რასაკვირველია, იგრძნობა გახეიადება.

ა. ძველი ორთოგრაფიული ნიშნების უკუგდებას. ბ. „მაღალფარდოვანი“ მეტყველების შეცვლას შედარებით დაბალი ლიტერატურული სტილით და ფორმებით. გ. გრამატიკული არქაიზმის უარყოფას. (ანტონ კათოლიკონის ბეტორიტეტის მოხსნა ამაზე მიუთითებდა.)

არქაისტები კი იცავდნენ: როგორც ძველ ორთოგრაფიულ მეტყველების „მაღალ“ სტილს და ოდის რიტორიზმს.

რადიკალი მწერლების („თერგდალეულთა“) პოზიცია ცნობილია ილ. ჭავჭავაძის წერილებით. რასაკვირველია, ეს ბრძოლა შემდეგ წლებში გაღრმავდა, მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ბრძოლის ჩასახვა და არა მისი დასასრული. გამარჯვებული თაობის აზრი მეტწილად თავის სასარგებლოდ განმარტავს გავლილი ბრძოლების ბუნებას.

საინტერესოა არქაისტების ლიტერატურული მოსაზრებების გაცნობა.

„ძველ თაობას“ არ შეეძლო მიეღო ჩახრუხადის „ლიბლოდით ხსენება“; რომელიც რიტორიული ენარების უარყოფას აღნიშნავდა. მიუღებელი იყო მისთვის აგრეთვე ახალი ორთოგრაფიის შემოღების ცდები. მათ კარგად ესმოდათ, რომ სტილის საკითხების ამგვარი გადაჭრა მაღალფარდოვანი მეტყველების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა. თვითონ ილ. ჭავჭავაძის წერილის ენაც იწვევდა არქაისტების პროტესტს¹¹.

1874 წელს „ძველი სემინარიისტი“ (გრ. ორბელიანი) ერთერთი თერგდალეულის მოთხოვნის განხილვაში სწერდა:

„მე არ ვეხებები ავტორის იდეასა, არცა მის მიმართ უასა. მე ვეძიებ ქართულს მოთხოვნასში მხოლოდ ქართული სენის სიწმინდესა“¹².

„ენის სიწმინდის“ პრობლემა კი სტილის საკითხებსაც იტევდა. ბრძოლაც ამ საკითხების ირგვლივ გაიშალა.

მაგრამ თერგდალეულები არ შეზღუდნენ ერთ მთლიან ბანაკს. „ძველი თაობა“ თავის შიგნით კიდევ იყოფოდა რამდენიმე ჯგუფად და არქაისტებს შორის ლიტერატურის საკითხების შესახებ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

5

„ძველი თაობა“ არ იჩენდა ერთსულოვნობას სტილისა და ენის საკითხებში. იყვნენ უკიდურესნი, რომლებიც მოითხოვდნენ „ეკლესიური“, მწიგნობ-

¹¹ იბ. ცისკარი, 1861. იენისი, გვ. 252: „რასაკვირველია კარგათ იცით, რომ წერა არი სამეფარო: მაღალი, საშუალო და დაბალი. არ ვიცი ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი? ჩვენში სადაცა იხმარება ნაცვალსახელი „იგი“ ამ მაღალს სიტყვას ხმისხედა შეფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდებარეი ლექსი „როცა“ რომლითაც იწყება პირველივე სიტყვა, ან თქვენითავე სიტყვით ვსთქვათ, „ბაიარაბტარი“ თქუწნის კრიტიკისა“ (სარდიონ ალექსიევი-მესხივი: უსტარი ანტიკრიტიკელი.) („ლექსი აქ ნახმარია სიტყვას (сробо, Wort) მნიშვნელობით. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი „კალმასობაში“, სიერთოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა მიერ, ცისკარის არქაისტების ჩათვლით.) იგივე ავტორი, „მაღალი“ და „დაბალი“ წერის დაპირისპირების შემდეგ იცავს მეტყველების რიტორიულ სტილს და ჩახრუხადეს. (იქვე, გვ. 160—261)

¹² იბ. ცისკარი, 1874. სექტ. ოქტ.

რული ენის ნორმათა დაკანონებას და მაღალი ოდების ენარს. ისინი ქართულ ლიტერატურაში ხედავდნენ ტრადიციას უწყვეტელ ჯაქვს: თვით „საგრო მწერლობის“ ზოგიერთ თხზულებებს (მაგ. ვეფხისტყაოსანს) უკვე შეიკრებდნენ „სალეთო წერილის“ ენის სათავეებს. „საშვალო“ და „დაბალი“ ენები შეიკრებდათ გადასამუშავებელ მასალად ლიტერატურისათვის.

მოკლედ: მათი მიდგომა ლიტერატურის საკითხებისადმი ატარებდა უკიდურესი კონსერვატიზმის სახეს.

სხვაგვარად უწყვეტდნენ ამავე საკითხებს საშვალონი, რომელნიც „დარბაისლურ“ ანუ „საშვალო“ ენას იცავენდნ და ეს უკანასკნელი მიიჩნდათ კაზმული მეტყველების საფუძვლად. ისინი უარყოფდნენ არა მარტო „ხალხურ“ (ილ. ორბელიანის გამოთქმით — „გლეხურ“) ენას, არამედ „ეკლესიურ“, უკიდურესად არქაულ ენადაც. საშვალონი მიჯნავდნ „საგრო“ და „ეკლესიურ მწერლობას“ ერთმანეთისაგან: რუსთაველის პოემა, მაგალითად, მიიჩნდათ „დარბაისლური ენის“ დოკუმენტად, ხოლო საეკლესიო ენა — მარტოოდენ ბიბლიური წიგნებისა და პაგიოგრაფების მეტყველებად.

უკიდურესთა წარმომადგენლები არიან: გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი, საშვალთა — ალ. ორბელიანი, ალექსიევი-მესხიევი, ბარბარე ჯორჯაძე, გ. ბარათაშვილი და სხვ. დავიწყოთ ამათგან:

არქაისტებისა და თერგდალეულთა ბრძოლის წელს (1861) ალ. ორბელიანი სწერდა „ციხკარში“:

„ქართულის ენის თვისებას რომ ერთი ზედ დაუმატოთ, სამათ გაიყოფა: საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისლთ უბნობად და მესამე გლეხ-კაცების ენად; ენაბოთ, გავარჩიოთ ესენი..... თოცით, მეტი კარგი ენა არის ქართული საღმრთო წერილი მაგრამ, რა უყოთ, აბა როგორ იქნება ამისი შემოღება თუ შეიძლება და მართლა შემოიღებენ, საკვირველებ აიქნება..... ჩვენნი ვრი საღმრთო წერილის ენაში, მე ძნელად მერჩვენება“¹⁹.

ალ. ორბელიანს იქვე მოყავს დავითის ფსალმუნიდან ერთი ადგილი და სთარგმნის ჯერ „დარბაისლურ“, შემდეგ კი „გლეხურ“ ენაზე. ავტორი ცალცალკე არჩევს მეტყველების ამ ნიმუშებს და ასკვნის:

„ჩვენ ქართველებს, თუმცა ამ საშვი ერთი უნდა ამოგვეჩრია ქართული სიტყვიერებიდან, იმისთვის მიგვიბაძა, იმ ენაზე დაგვეწყო ლაპარაკი და წერა, მაგრამ ვაკლესიურის წესისათვის ზვით ითქვა: ძნელი შემოსაღებია მეთქი ახლა თუ მეორეს ზემდე შთავადებთ და ამომარჩევენთ მე საშვალო ენას ამოგორჩევე, დარბაისელთ ენას, ამისათვის რომ უფროსი ერთი უწინდელი სეარო წიგნები დარბაისელთ ენაზე უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ ვითარცა რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე სიკრუე ყარაშანიანი, სხვანიდასხვანნი და ბოლოს ვიტყვი „მწვეხვის ტყოსანი“²⁰.

¹⁹ „ქართული უბნობა ანუ წერა“. იხ. თ. ალექსანდრე ჯამბაჯურიან ორბელიანის ნაწერი ტფ. 1879 გვ. 174—175.

²⁰ იქვე, გვ. 177—178. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ენობრივი კატეგორიების კლასიფიკაცია წოდებრივი და კლასიური თვალსაზრისით: „... ჩვენს საშვალს ქართულს ენას, როგორც გენბავთ ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ზომ რბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს სმენისათვის, მაშინ როდესაც გლეხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება, მართა

ადვილი შესამჩნევია, რომ ენის საკითხის გარშემო აზრთა ასეთი სხვადასხვაობა სტალის პრობლემებსაც შეიცავდა. ჩანს—შესაფერი დაჯგუფებანიც არსებულან და ამას თვითონ ალ. ორბელიანის სიტყვებით ადასტურებენც:

„იცი ამ საგანზე, მდინე თაყისი აზრი აქეთ ყველას, ერთი იორბენი საჭიროებასა მატყვებით წერას, მეორენი და რ ბ ა ი ს ე ლ თ ა ე ნ ა ხ ე და მ გ ს ა მ ე ნ ი უ ფ რ ო და შე ე ბ ლ ს ე ნ ა ხ ე დ.“²⁰

ალექსანდრე ორბელიანი²¹ გარდა საშველო ენის დამკვიდრებად გამოდიან: გ. ბარათაშვილი, რომელიც 1861 წელს არჩევდა ილ. ჭავჭავაძის „არა დარბაისლურ“ ლექსიკონს და ეპიტეტებს²², ბარბარე ჯორჯაძე, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდა:

„ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას. ის გვიწერს, რომ ვითომც ჩემი ვახდენდეთ ენას, არამც თუ ვაკეთებდეთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, შეგონია თითონ უფრო ახდენს.“²³

ამასვე იმეორებს მწერალი ქალი თავის „პასუხის-პასუხში“:

„ენას, ჩუენს მამაპაპათ, დარბაისლურს ენას არც ამადლება, არც დამდაბლება ეჭირება. ჩემნი უნა დიდი ჭანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნეოია ამ ენას თქმც ენებრ მწერალთ წყალობით, რომელსაცა დაფუძნება უნდა და მიმართულება“²⁴.

მაგრამ არქაისტების ორივე ბანაკი ერთხმად უარყოფდა ილ. ჭავჭავაძის მიერ ჩაბრუნების დეკანონიზაციას. გ. ბარათაშვილი ილიას ანტონ კათოლიკოსის ავტორიტეტული შეფასებით უპირისპირდება. იმავე დროს ვერცლად არჩევს მის ლექსებს და ასყენის (ბარბარე ჯორჯაძის შეხედულებანი ცნობილია და აქ ილიანი არ მოგვყავს):

„უფ. ჭავჭავაძის ლექსები არიან უგარბონიო, უფერული, უნდილი და ისეთი მძიმე, რომ ვერა თავის მუცელი ვერ მოინელბდა“²⁵.

ამ პოლემიკაში უკიდურესთა წერილების რიცხვი საკმაოდ მცირეა და თითქმის მარტოდენ პლ. იოსელიანისა და გრ. ორბელიანის შენიშვნებით ამოიწურება. მათი ავტორები მოწინააღმდეგეთა მიერ ჩარიცხულ იქნენ საერთოდ „ძველი თაობის“ რიგებში. ნამდვლად კი ამ ავტორებს განსხვავებული პოზიცია ექიოათ და ხშირად საშვალონიც კი აღჰაყერად უტყეროდნენ უკიდურეს კონსერვატიზმს ენისა და ფორმების საკითხში²⁶.

ლია გლეზაკების ლაპარაკი მარტვი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი ვერ გამოევა რიგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშვებული ენა არის გლეზების ლაპარაკი. (გვ. 179.) ყველა ამ მოსახრებებს ალ. ორბელიანი იმეორებს 1865 წელს იმავე თურნალის ფურცლებზე. (ნ. „ზოგიერთი შემჩნევა“. ნაწერი-გვ. გვ. 240, 248, 252.)

²⁰ იქვე, გვ. 183.

²¹ იხ. წერილი რედაქტორთან შესაბებ თ. ილ. ჭავჭ. კრიტიკისა (ცისკარი, 1861. მაისი გვ. 70—81.)

²² იხ. ილ. ჭავჭავაძის კრიტიკაზე (იქვე, გვ. 34.)

²³ ცისკარი, 1861, სექტ. გვ. 98.

²⁴ იხ. ცისკარი, 1861, ივნისი, გვ. 155—156.

²⁵ პლ. იოსელიანის გრამატიკული წესების არქაიზმს, რომელიც ანტონ კათოლიკოსისა და რუსული გრამატიკისების (ვისტოკოვის და სხვათა) სისტემათა კონგლომერატს შეიცავდა,



1869 წელს პლ. იოსელიანი სწერდა:

„ქართველთა მწერლობა ძველი, წინათ ქრისტესსა წყობილი ექნა, მწერლობა შემდგომად განვითარებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართველთა, ეკლესიისათვის ქრისტესსა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვისა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა და ქართველთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა მცოდნე, ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბრძელისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა, ერთთა დიდთა ეკლესიათათვის შემზადებულთა, რომელ ენა ქართველთა მრავალით უმცირესი ბრძელისა, არის მრავლით უმაღლესი ერთა სხვათა, მხოლოდ ეკლესიურისა მწერლობისა გამო, სხვანი ჭაერონი მწერლობისა წიგნნი, იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილითა ენითა.“²¹

პლ. იოსელიანი აქ პირდაპირ იცავს მწიგნობრულ, უაღრესად არქაულ („საეკლესიო“) ენის დამკვიდრების აზრს. აშკარად ჩანს რადიკალური განსხვავებასა შველოთა (აღ. ორბელიანის და სხვ.) და უკიდურესთა მოსაზრებებს შორის. პლ. იოსელიანის აზრით ნაწილობრივი დეკადანსი აინია „საერო მწერლობის წიგნებს“, „საშველოთა ტერმინოლოგიით — „დარბაისლური ენის“ დოკუმენტებს, („საერონი მწერლობისა წიგნნი იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილი ენითა“); თვით რუსთაველს შავთელს და ჩახრუხაძეს პლ. იოსელიანი უკავშირებს „საეკლესიო ენის“ სათავეებს მაშინ, როცა აღ. ორბელიანი მათ შორის გარკვეულ ზღვარს ხედავს.

ქართული ბიბლიის ენის პანეგირიკი, რომელიც იმავე დროს მწიგნობრული ენის ხოტბას აღნიშნავს, უფრო მკაფიოდ გამოთქმული აქვს პლ. იოსელიანს, ერთს თავის რუსულს ბროშურაში შემდეგი სიტყვებით:

Ни славянский перевод, ни латинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский De-Sai, ни итальянский Giovali Дюдати всаамоу, не могут оснривать права превосходства и изящества у перевода грузинскаго. Это я говорю на счет тех мест, которыя остались неизменными при выдании всаамоу в Москве 1743 году. Это торжество языка, торжество духа пиитическаго, отражающагося на сло-

მანცადამანც არ იზიარებდენ საშველონი. ადვილი მისახვედრია, თუ ვის გულისხმობს აღ. ორბელიანი, როცა წერს: „როგორც არის ჩვენი ქართულის ენის თვისება, ისე დაიწერა სამრევად: საეკლესიო, დარბაისლური და გლეხური: ეს არის მორტივი დამტკიცება და არა ისეთი გარჩევა, რომ ქართულს ენას უპირებენ გარ... მითამ გვარკვიონ, მაგრამ კი გადაწათლონ, არამც მონათლონ, რომელიცა არც ღვთისათვის კარგი იქნას და არც ჩვენი ეკლესიათის“ (ნაწერი, გვ. 249; ნაწილაკი „გაარ...“ აქ ნიშნავს სიტყვას: „გაარუსონ“ და ნაგულსხმევია პლ. იოსელიანის გრამატიკა.) ორთოგრაფიის მხრითაც მათ ნაწერებს ეტყობა მეტი გამართილება. (საშველოთა პოეტის წარმომადგენელია აგრეთვე — ნიკო ბარათაშვილი, მაგრამ ეს საკითხი ცალკე თემას წარმოადგენს.)

²¹ სიტყუა, საყოველთაოდ საუწებელი წიგნთა ქართულად ბეჭედისა გამო. (იხ. ცისკარი 1869, მარტი. გვ. 1—2, ძველი წიგნების გამოცემა პლ. იოსელიანს მიანდო გრ. ორბელიანმა. იხ. ვ. მათობი, ტფ. 1869, ნოემბ.—დეკ. გვ. 214.)

вах, столь ясных, величественных, вполне воплощающих великий смысл величайшего поэта. Искатели поэзии грузинского слова, как в псалмах, так водоче в церковных книгах, найдут лучшие и боистые образцы выражений, поэтических. В них целое море красот слова, и не устаревшую, как в старинных, которые а языка устоявшиаюся оканчателно, современною, и пока не исчезнушо, в устах народа, конечно, книжнаго letter, как выражаются французские писатели.

Язык массы, всегда и у всех народов, был и будет не литературным²⁵.

აქაც ჩანს ფართული ნიშნება მესამოცე წლების იმ მწერლებზე, რომელნიც უარყოფდენ „მწიგნობრულ letter“-ს. ან შესაძლოა ავტორს საშვალონი ჰყავდეს ჭაგულისხმევი („როგორც ზოგიერთები ფიქრობენ!“); ესენი ხომ იქვის თვალთ უყურებდენ „საეკლესიო წიგნებზე“ დამყარების შესაძლებლობას, რაც შეეხება „მასების ენის“ უარყოფას, ამ საკითხში უკიდურესნი და საშვალონი ერთს თავლსაზრისს იცავენ. („მასების უნა იყო და იქნება არა ლიტერატურული“. შედრ. აღ. ორბელიანის მიერ „მოშვებული“ ენის უარყოფა.)

უკიდურესთა ეს შეხედულება, რომელიც პლ. იოსელიანის ზემოდ მოყვანილ ამონაწერებშია გამოთქმული, როდი წარმოადგენდა ვიწრო ფილოლოგიურ პრობლემას. ეს იყო გარკვეული პოეტიკა, რომელიც დაუპირისპირდა თერგდალეულთა მხატვრულ კოდექსებს. პლ. იოსელიანის სხვა შენიშვნები უშუალოდ ენარისა და სტილის საკითხებს ეხებოდა.

უკიდურესნი სამოციანი წლების შემდეგ მხატვრული პრაქტიკითაც უპირდაპირდებოდენ რადიკალური მწერლობის წარმომადგენელთ. 1871 წელს გრ. ორბელიანი აქვეყნებს პოემა „საღღეგრძელო“-ს (ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არის დაწერილი ცნობილი „პასუხი“); პოემა ყურადღებას იქცევს, როგორც არქაისტული პოეტიკის ნიმუში. იმავე წელს პლ. იოსელიანი ვახ. „კავკაზ“-ში ათავსებს, შემდეგს რეცენზიას ამ ნაწარმოებზე:

„Библиографическая заметка.“ На днях вышла из печати на грузинском языке брошюра под заглавием: „Здравный тост“, „საღღეგრძელო“, сочинение князя Григория Диантривича Орбелиани. Эта поэма в стихах—есть подражание поэмы известной на русском языке „Поэма в стане русских воинов“, Жуковского Автор грузинской поэмы, как поэт, известен в грузинской словесности. Предмет поэмы—военные подвиги царей грузинских и героев в борьбе с врагами их веры и отчужды

Такое явление литературное—воскресило славу литературы грузинской. Оно резко отделило эпоху подвиги от эпохи высоты ее отстояния. Оно доказало возможность писать языком писателей. Оно дало ключ открывать сокровищницу и находить слова не в смеси наречий грузинского народа и не в их порче от наплыва отломков народных, представляющих от себя сепаратское смешение языков в обиталище его. Замечательна самостоятельность языка или словесности его как в алфавите его, из всех алфавитов языков древних и новых самым полнейшим на изумление лингвистов европейских, так и в самом употреблении слов и способе воплощения мысли по образцам, данным народу от начала появления письменности за 3 веков до Р. Х. Болезненно, печально видеть оспарива-

²⁵. Путевые записки от Тяфлиса до Мухеты, ტფ. 1871. გვ. 53—54.

ние права гражданства у языка, не начинающаяся, не зарождающаяся, но существующая в его высоком, научном, прекрасном развитии. Язык массы или народный—не есть язык литературы. От массы заимствуется только лучшее. Так пчела собирает цветы не от всех трав, но от самых сладких для сотов меду.

Слова есть символы мыслей: оне воплощают мысль. Как же совершается это так сказать, оформление мыслей? здравым суждением или здравым смыслом (логика); правильным произношением или установкою слов в устах и на бумаге (грамматика); красивым, плавным, мерным, текучим, гармоническим изложением (риторика). Так, по требованию новейших писателей и самого орла красноречия Цицерона: Verborum arta et quasi rotunda constructio. Так, и по указанию великаго законодателя вкуса литературнаго Ловгина: „В трактате о высоком“ (Пер: სპოა) выражался возбуждать удивление и потрясать сердца: Μεταλοθερισμο και παθησοα.

Таковы мои небольшие впечатления от чтения появившейся брошюры. Отраден язык грузинский в следующей строфе поэта:

ვითარცა ცეცხლი მარტოდა, ჰქანან ველსა ზედა ჰმთომილი,
რომლისა კტაზლი ჰაერში, ჰარის შებერვთ არს მჭრალი,
ეგრეთ იქნების აღბოცილ, ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო, და არ აღბეჭდა ნაწელი.

Понитаюсь передать на русский язык прозою смысл строфы поэтической, рифмованной:

Как виден огонь одинокий, еще на поле не потухший,
И дым его дуновением ветра в воздухе исчезающий;
Так пропадает с лица земли имя того,
Кто поприще жизни не оставил следа печати стонов своих.

— ვინ გვითბრას, ვინა გჳრტმნოს, სადა ჰაცხოვრებდენ ძტმლ—გმირნი.
დრომან შემუსრა, აღგაეა მიწით მათნიცა საფლავნი,
მეგრამ ცოცხალა უგრეთაც, დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელგანანი!

Кто скажет нам, кто нам покажет, где жили древние исполины?
Время сокрушило, подняло с лица земли могилы их;
Но живы еще поля их славы, их имя, их мечь, их славные дела.

აწ საუ არიან იგიჩი, მას ეაშა ლბინში ვინც იყვნენ,
მანი და ტოლნი ვეაცენი, რომელნი ხილვთ გჳლბენდნენ?
განგტშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გჳჳარდნენ,
თუაღლთ მიგუტმარანენ... წარვიდნენ... ძველთაგან დავჳშით მე და შენი
Где теперь они, свидетели времени пира,
Братья, сверстники-бойцы, которых взорь насъ веселялъ?
Удалились от нас знакомые сердцамъ; любимые сердцами
Скрылись отъ глазъ... ушли...
От старых остались—я и ты!

Понимание достоинства стихов как развиваемаго, певучаго слова (la parole chantée) дополняется общими, внутренним, человеку приржденным чувством. Оно понимается темъ звиком души человеческой, который определяет и понимает Данте въ своемъ научномъ стихе:

‘Il parlar, che nell’ anima si sente’.
„გნითა შით, რომლითა სული საუბრობს“.

Я коснулся анализа стихов поэмы с целью дать некоторое понятие о их достоинстве. Будет ли разбор этот краткий тем дуновением ветерка, который касался листьев розы, разносит запах от нее? Такова нежная, милая фраза (Molle dicendi genus.—Ovidius) полустишия строфы поэта (стр. 15)

მიხედეთ ვარდსა,—მაშინ ჰფენს უმეტეს სურნელებათა,
ოფეს ნიავე შეხებით შვარფებს მისსა რტოებთა.

გარეშულია

გვერდნი

Взгляните на розу: тогда она благоволив обилею разнесет,
Когда воздуха дуновение прутьевъ ея коснется.

II. Юселиани²⁹.

პლატონ იოსელიანი ამ საინტერესო „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაშიც“ ასაბუთებს მწიგნობრული ენის დაკანონების აზრს, იმ ენის, რომლის „მოქალაქეობრივი უფლებების ცილობის“ საგნად გადაქცევა მას „ავადმოყოფურ“ მოვლენად მიიჩნია. განმეორებით აცხადებს, რომ „მასეხების თუ ხალხის ენა— არ არის ენა ლიტერატურის“. ბიბლიოგრაფიის აღფრთოვანებული ტონი გამოწვეულია იმით, რომ გრ. ორბელიანის პოემას „დაუმტკიცებია შესაძლებლობა მწერლების ენით წერისა“—ერთის მხრით და რიტორიული ოდის ყველა წესების გამოყენება—მეორე მხრით.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი ჰპოულობს თავისი ესთეტიური კოდექსის კონკრეტულ გამართლებას გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. ამ ორი არქაისტის პირადი ურთიერთობა შემოდაც გვექონდა აღნიშნული. ცხადი ხდება მათი ლიტერატურული გზების ერთიანობაც: არქაისტების ბანაკში ისინი განცალკევებით იღვწენ და, როგორც ირკვევა, გრ. ორბელიანის პოლემიკას „შერღთა“ წინააღმდეგ მთავარ ტონს აძლევენ პლ. იოსელიანის თეორიული მოსახერბანი.

7

1874 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა „ძველი სემინარისტის“ (გრ. ორბელიანის) „პასუხი ულირსთა შვილებთა“. ³⁰ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ გრ. ორბელიანი ქართულ პატრიოტიზმად სთვლიდა თავის მოღვაწეობას დალისტანში. „პასუხში“ ასეთი ადგილი გვხვდება:

მამანი თქვენნი,

თავის დროს ძენი,

თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!

ოსმალ-სპარსები,

დალისტანის მთები

ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთს.. (გვ. 2)

იმ ბრძოლაში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა დალისტანის წინააღმდეგ, დამპყრობთა შორის გრ. ორბელიანი ერთი პირველთაგანი იყო. თავის ამგვარ ნაბიჯებს ის ლეკებზე შურისძიების მოტივით ამართლებდა. ასეთსავე შეხედულებას იცავდა პლ. იოსელიანიც. „შვილებმა“ კი არ ჩაუთვალეს ეს ღვაწლი „მა-

²⁹ იხ. Кавказ, 1871, № 22.

³⁰ ცისკარი, 1874, ივლისი და აგვისტო. გვ. 1-8.

მებს“ დიდ დამსახურებად. მაგრამ ბრძოლის ნამდვილი მიზეზი ამაში როდი მდგომარეობდა. „ძველი სემინარისტი“ აცხადებდა:

აღჩენდნ მწერლები,
ეჟურნალისტები, ²¹

გაქონებულნი
გინებულნიცა

ვამ საბრალოს... ვამ ჩემსენას
მათ უსწავლელთა,
ცრუ-რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი...
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,

უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში (გვ. 4.)

„ეჟურნალისტების“ ჩიერ „მდიდარი“ (ე. ი. ტრადიციის მქონე) და „მაღალი“ ენის „წახდენა“ წარმოადგენდა ბრძოლის მთავარ მიზეზს. ისინი ვერ ითმენდნენ, რომ ქართულ ლიტერატურას „დაეხელმწიფნენ ცრუ-პოეტები“ (გვ. 8.)

იმავე წლის „ციკრის“ შემდეგ ნომერში „ძველი სემინარისტი“ (გრ. ორბელიანი) არჩევს გ. წ.-ს (გ. წერეთლის) „ციკლოქს“ ²¹. ავტორი აღნიშნავს: „მე არ შეეცხები ავტორის იდეასა, არცა მის მიმართვასა! მე ვეძიებ ქართულს მოთხოვნიებასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა“ — და განაგრძობს (თითქოს პლ. იოსელიანი კარნახობდა ავტორს ამ სტრიქონებს):

„ახლანდელთა მწერალთა მიეწერებათ მართლად დიდი ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით, შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩუქნისა დაერდომილისა ენისა, და არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოჰჩანს მრავალი შეცდომილება, როგორც პირისპირ ენისა თვისებისა, ეგრეცა მართლწერისა. მათ არა ჰქონიათ შემთხუცეა ღმად შესწავებისათვის ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითავე არა არიან ჩუქნისა საღმრთოს წერილისა, რომელიცა არის, მართლად, გამოუღვეელი საუნჯე ჩუქნისა ენისა, და რომელსშიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუქნიერის ფორმითა“ (გვ. 192—193)

გრ. ორბელიანი უფრო გვიან (1874 წელს) იმეორებს იმ შეხედულებას რომელიც პლ. იოსელიანს ადრე აქვს გამოთქმული „ციკარში“, თავის რუსულ ბროშურაში და „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში“ (1869—1871 წ.წ.) აქ მოყვანილი ამონაწერის ენაც ამხელს პლ. იოსელიანის გრამატიკული წესების გავლენას. „ძველი სემინარისტი“ პირდაპირ ასახელებს თავის მეტრს:

²¹. სამოცდაათიან წლებში ქართულ პრესაში გაბზირდა კამათი „ეჟურნალის დანიშნულებაზე“. გრ. ორბელიანს, როგორც ქართული ლიტერატურის დიდი ტრადიციის გამგრძელებელს არ შეეძლო მწერლობის ცენტრში დაეცხებინა შედარებით „დაბალი“ საქმიანობა — „ეჟურნალისტობა“. ამრიგად აღნიშნული ფაქტის ვათვალისწინებით ლექსის ტაქტიკონკრეტული შინაარსით იცხება.

²². იხ. „მგზავრობა სვანეთისადნ. გ. წ. განხილვა“, ცისკარი, 1874, სექტ.-ოქტომ. (გვერდები ყველგან აღნიშნული გვაქვს ეჟურნალის ციფრების მიხედვით)

„მეტადრე მაწუხებს ის ჰაზრი, რომ, ვაითუ, არ მოგწონოთ ჩუქნთა ქალებთა, რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა ირინ უკეთესნი ენის დამფასებელნი. ისინი აქა ვერა ჰპოებენ ვერცა კონტრაქტულად აღწერილსა ვარდას სუნნელსა, ვერცა მარგარიტულსა და ტანჯულისა სიყუარულისაგან და ვერცა სიცილსა მახვლ-გონიერის მოთბრობისაგან. რა ვქნა, არცა მე მაქვს ამასში ბრალი. ეს ვახლავთ მხოლოდ ერთი ნამუცევა ნაწილი პლატონის ღრამმატიკისა, და კარგად მოგეხსენებათ, რომ ფილოსოფოსის ლაპარაკი მოითხოვს წარბ-შექმუხენი მოთმინებასა. პლატონი არის დამნაშავე თქუენს წინაშე და არა მე, მარადის თქუენი, ერთ-გული, მშუენიერო, თქუენგან და თქუენ-თვ; დამწვარი! პლატონს რომ არ დაეწერა ღრამმატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიბადებოდა თქუენ შესაწუხებლად! (გვ. 194—195)

(გვ. ორბელიანის ეს სიტყვები ირონიულ ელფერს არ ატარებენ, მათ მხოლოდ პუმორი გასდევთ. გვ. ორბელიანი ქართულ ქალებს მართლაც სთვლიდა „ენის სიწმინდის“ დამცველებად და შენახველებად (იხ. იქვე, გვ. 28). შწერლის პირადი ბარათებიც ამასვე გადმოგვცემენ. რაც შეეხება ეპითეტს: „ფილოსოფოსი“, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ხმარობს პლ. იოსელიანის შესახებ, მოკლებულია იმ პარადიულ შეფერვას, რომლითაც მას „შვილები“ ხმარობდნენ. ეს ზედმეტი სახელი სხვადასხვაიანირად ისმოდა მაშინდელი არქაისტისა და თერგ-დალეულის სმენაში. (მაგ. ერთერთი მწიგნობარი პლ. იოსელიანს პირდაპირ „ფილოსოფოსის“ სახელწოდებით მიმართავს. წ. რ. კ. ს. ხელნაწ. № 3055)

ამის შემდეგ გასაგებია თითქმის უშუალო განმეორებანი პლ. იოსელიანის შეხედულებათა:

ა. ქართული აღფაბეტისა და ორთოგრაფიის შესახებ გვ. ორბელიანი წერს;

„იშვადსა ენასა აქუს იბეთი სრული ანაბანა, როგორცა ქართულსა“. (გვ. 195) შდრ. პლ. იოსელიანის შეხედულება ამავე საკითხზე, რომელიც მას „ბიბლ. შენიშვნაში“ ჰქვს გამოთქმული.

ბ. უკიდურესი ენობრივი კონსერვატიზმის დაცვა, მწიგნობრული („საეკლესიო“) ენის უპირობატესობის აღიარება „საერო“ მწერლობაზე და რუსთველის დაკავშირება პირველის ტრადიციებთან:

„ჩუენ, დიდათ უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუჯა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით, უარ-ვაყოთ, გადავაგდოთ და შეგჰსკუალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დაჰსდღუს ჩუენისა ენისა-თვს დიდად მეცნიერთა ღრამატიკოსთა, თვთ ენის თვსებისავე გამო-კულევითა; რომელთაგან საბერძნეთიდამ ძუელად გადმოტანილი ჰსწავლა და ხელოვნება ჩუენსა მხარესში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე; რომელთაცა სირიის და ბერძელის ენით გადმოიღეს ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშტწნიერ-სიტყუაობითა და ძლიერებითა; და რომელთაგან დაწესე-

ბუნნი კანონნი ვერა შეჰსტყალეს, ვერცა შავთელმა, ვერცა ხაზრუბაძემ და ვერცა თვთ რუსთაველმა? ანტონ კათოლიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა, არათუ დააკლო, არამედ მიუმატე, აქყუჭუჭა და, ნუთუ მართლად, ჩქონ უნდა დაეიფიყოთ იგინი, რომელთა ქსეფლნი გვიბრწყინუნენ ჩქონს ისტორიასა ესოდენთა საუკუნეთა განმავლობასში და შეუდგე? გ. წ.-ის კუალსა და მის მიმდევართა, რომელნიცა ესრეთ უწყალოდ პრყუბიან ჩქონსა მართლ-წყრასა? ჯერ აღვიდეთ იმ სიმაღლესხედ, რომელსხედაც იდგნენ ძუძლნი მსწავლულნი ქართულის ენის ცოდნასში, შეუთანსწორდეთ მათ, და მერე... იყავენ ნება შენი“ (გვ. 11-12).

„ახალი სტილი ვერ შესტყლის ენის ბუნებითსა თვსებასა. მართალია, დროთა განმავლობასში ზოგი-ერთი სიტყუა, უვარგისობისა—გამო ძუძლდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვსება მყოფობს მარადის შეურყვევლად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეედლოს ძირიანად შეცულა მისი!.....“ (გვ. 23)

„ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზე ვაჰწერთო“ მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუშუშავებელი; ვიდრე დაკვლოვებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდეს, არ გაამშუშნიერებს და დიდებულებითა აღიუყანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; . . . არხიტექტორი თავის კვლოვებში თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დაჰშთება ისე ტალახად. მწერლობასშიცა ჰსწორედ ასე არი“. (გვ. 24,) (შდრ. პლ. იოსელიანის მიერ „ბიბლ. შენ-ში“ მოყვანილი ფუტკრისა და ყვაეილის მაგალითი, მისი აზრ სალიტერატურო ენასა და „ხალხურ“ მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე და სხვ. იხ. აგრეთვე, გვ. გვ. 23, 25, 31—32, 26;)

ხშირად „ძუძლი სემინარისტის“ დაკვირვება ქართული ენის გრამატიკულ ბუნებაზე იმეორებს პლ. იოსელიანის აზრს:

პლ. იოსელიანი: „Язык (იგულისხმება—ქართული ენა, ა. გ.) богат созвучным окончанием рифм, и он легко находит чрезвычайное обилие даже в целых словах по оборотам грамматическим, другое значение в себе заключающих. Язык по гибкости своей может переводить почти все слова из одной области части речи в другую. Почти все наречия, предлоги могут обращаться в существительные имена и глаголы напр. *ოდეს*, *ოდესობა* *когда?*; *სადა*, *სადაობა* *где?* (*Ubi, ubitas*) И этим совсем не делается насилия языку, особенно в стихах²².

გრ. ორბელიანი: „ქართულსა ენასა აქუეს ერთი დიდად მოსაწონი თვსება, რომლისა მსგავსი იშვითად იპოება სხუთთა ენათა შორის. თვსება ესე არის შემოკლება სიტყვსა ნათესაობითსა და მიცემითსა

²². Путевья записки от Тифлиса до Мухеты, 1871 გვ. 47—48. ზახვასმა ჩვენ გვუკუთვნის.

ბრუნვასში, მოსპობითა უკანასკნელის მარცვლისა, მაგ. „არსებისა, არსებასა“, ითქმის, „არსების, არსებას“. თანდებულნი, ხედა, შინა, შემოკლებიან და გამოითქმებიან: ხე, ში, მაგალ: „ქტყანასხე, ხედა, სახლსა შინა“, ვიტყვთ: „ქტყანასხე, სახლსში“ ამის გარდა, ქტყადი, ვამბობთ: „აქმო“: შენი არის, შენია და სხუანი! ესრეთი თვსება ენისა, რომელიცა სიტყვს შემოკლებითა — რასაკვირველია კანონიერად — არ შექსცელის სიტყვს მნიშვნელობასა, აძლევს დიდსა სიადვილესა, მეტადრე ლექსის წერასში“ (გვ. 15—16 ბოლო კურსივი ჩვენია, ა. გ.)

აზრების ასეთი იდენტური შებევერა და თვითონ გრ. ორბელიანის შითიება თავის ავტორიტეტზე, გარკვევით ლაპარაკობს პლ. იოსელიანის ადვილის შესახებ „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლაში. „ძველი თაობის“ იმ ბანაკს, რომელსაც ჩვეს უკიდურესნი ვუწოდეთ, ჰყავდა ორი წარმომადგენელი: გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი. ისინი ურთიერთის პოზიციას ამარტებენ და განცალკევებულ ლიტერატურულ მოვლენას წარმომადგენენ არქისტებს შორის²¹.

²¹) 1873 წელს გახ. „დროებაში“ ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) ათავსებს პარადიულ ფელეტონს „ჯანდაბა“ს სახელწოდებით, რომელიც ნათლად გადმოგვცემს ამ ორი არქისტის ლიტერატურულ განმარტობას. ფელეტონში აღწერილია „წლიური სხდომა ქართლის მწერლობის მოყვარულთა“, რომელზედაც დამახასიათებელი სიტყვებით (ლექსებისა და რეპლიკების ფორმებში) მონაწილეობენ: გრ. ორბელიანი („მოხუცი თავმჯდომარე“) პლ. იოსელიანი („პლატონ ფილოსოფოსი“), ილ. ჭავჭავაძე, ანტონ ფრცველაძე, პ. უმიკაშვილი, დ. ვრისთავი (გლუხარჩი II) და სხვები. პლ. იოსელიანისა და გრ. ორბელიანის ურთიერთობის დასახასიათებლად საინტერესოა ამ ფელეტონის შესავალი:

„სცენა წარმოადგენს ბნელ დარბაზს. შუაგულ, ამაღლებულ ადგილზე, წითელი და მოთქრული მუდით შემვულ ტახტზე ზის მოხუცი თავმჯდომარე. ირავლიე სამფეხებზე სხდენან მწერლები და ვითომ-მწერლები, ზოგი ჩანგით, ზოგი ისრით, ზოგი კალმით დაიარაღებული. გარშემო ორიოდ მკითხველი დგას. გარედამ ისმის გამწარებელი წვიმისა და ქარიშხლის ხმა.)

პირველი გამოსვლა.

თავმჯდომარე.

აწ სად არიან იგინი, მას ეამსა სჯაში ვინც იყუნენ,
მანი და ტოლნი მწერალნი, რომელნი ცქერით გულბზენდენ?
გვკან მოდიან ნაენობნი. ვინცა ადრევე გვიწუყედენ...
(მოუბრუნდება პლატონ ფილოსოფოსს)
კვლავ მიგუძმინის; წარვდეთ, ზომ ზედაც დავშოით მე და შენს...

პლატონ ფილოსოფოსი

ვანი მრავალნი უნილუსლ გარბიან ვითა machina.
Tempora ჩუნნი შიილტის, გუშლის აღაბი ჩუნ შინა,
წარვიდეთ ვითა გამოთქვა ძველთაგან ძუნლმა ჰომერბა,
Ελα:πιθεσ γυαλιθεσ არ წარიტაცოს იმერბა!*)

^{*)} სიტყვანი ესე: „ელიკობიდეს გინაიკეს“, მოყვანილნი თხუზულებასა შინა ჰომერბისა, „ილიადად“ წოდებულსა, ქართულსა ენასა ზედა იწილად ითარგმანებთან. გარანა მოასწავებენ ქალსა, რომელსა აქუს თვალნი მოძრავნი, მრბიულნი, აშკებულნი სიტკობებითა, ეშხითა და ნარნარითა

8.



პლ. იოსელიანის წერილი „შოთა რუსთაველი“—²⁸საყურადღებო დოკუმენტი: ანტონ კათოლიკოსის სქოლასტიური აზროვნების მარჯობის მაინც ითვალისწინებს უდიდესი პოეტის ღირსებებს. მეტიც: ასეთი აღსკვთოვნებით მას არ უწერია არც ერთს ჰაკიოვრადზე, როგორ ათავსებდა პლ. იოსელიანი ბიბლიის ქართული თარგმანის ხოტბას შედარებით „დაბალი, მეტყველების ასეთ აპოლოგიასთან?

როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული—პლ. იოსელიანი იცავდა რუსთაველის დაკავშირებას ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან. თავის ეტიუდში რუსთაველის შესახებ ის წერს:

XIV. Откуда возникло это светило первой величины в грузинской литературе? Руставели не мог быть Минервой, радившейся из головы Юпитера, как символ ума Божия. Без сомнения, он имел предшественников и образцы, стал на почве литературы, имевшейся в переводах с сирийского и халдейского пророков. В х веке мы уже видим стихи величайшего поэта Давида в его псалмах и новый завет, до ныне неизменный в оборотах и идиоме языка греческого²⁹. ამის შემდეგ საეხებით გასაგებია მისი წერილის პანეგირიკული ტონი:

„VIII. В стихах его образцовых, до ныне неподражаемых, является эпопея рыцарства востока, война и любовь. Прелести его рассказа трогательнее постушеских рассказов Теокрита. В нем больше

შაკვარებითა. ესე ყოველივე გამოითქმის ორითა მით ელინურითა სიტყვითა. ხოლო რასა მოასწაუებს ხსენება „იმერისა“—არა ძალშითა გამოთქმად, ვინაჲდგან თხზულებათა შინა ჰეზიოდისა, პლატონისა და ტიტუს ლივიუსისა ერთგზისაც არა ხმარებულ არს სიტყვა ვცე. (შენიშვნათვით პლატონ ფილოსოფოსისა)“.

სხვა მწერლების კამათის ფონზე გრ. ორბელიანისა და პლ. იოსელიანის დიალოგი ცხრაღლებას იჭყვეს არქაული სტილისა და ორთოგრაფიის მხრით. თავმჯდომარის სიტყვებში ნაგულისხმევია სწორედ ის ადგილი „სადღვრატლოდან“, რომელსაც პლ. იოსელიანმა აღფრთოვანებული ჭება უძღვნა. პლ. იოსელიანის სიტყვებში კი ხაზგასმულია „ფსევდო-კლასიციზმი“ ლათინური და ბერძნული ფრაზეოლოგიით. ეს დიალოგი მესამოცე წლებს მოღვაწეთა (ილ. ჭავჭავაძის, ფშკავჭილის, ნ. ავალიშვილის და სხვ.) სიტყვებს შორის პაროდულ ელფერს ატარებს. ხაზგასასმულია აგრეთვე „თავმჯდომარის“ ის სიტყვები, რომლითაც „პლატონ ფილოსოფოსს“ მიმართავენ:

...წარვიდეთ, ხომ ხედავთ დავშითით მე და შენი..

მართოდ „დაშთენილი“ მართლაც უნდა წასულაცუნენ ლიტერატურის სცენიდან. ნ. სკანდელის ამ ფელეტონზე მიგვითითა პროფ. ს. ი. მ. ხუნდაძემ, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ. ემადლობ აგრეთვე პოეტ გ. ლეონიძეს ზოგიერთი მითითებისათვის. ა. გ.

²⁸ იბ. Кавказ, 1870, № 13. (ადგილები გაზეთიდან მოვეყავს).

элегии и нежностей, чем в Тибуле. Рассказы приключений выше и интереснее, чем Амадиса.

XI. Европа, уже христианская, справедливо гордится именами трех поэтов эпических, которые в средние века были тем же, чем Гомер для греческого Слимпа. Это Данте, Тассо и Мильтон, но они были подражателями друг друга: один у другого предшественника занимал способ изложения. Руставели раньше их запел свою песнь и был ее творцом, прославил язык и обезсмертил его для потомства.

Не боюсь осуждения, если со всею смелостью скажу, что язык Руставели выше, чем язык Данте, Тассо и Мильтона. Течение слов и мыслей в парении поэта не видит препятствия ни рифмах, ни в предметах рассказа, ни в эпизодах. Поэт одиноково и ровно парит. Гораций сказал о Гомере: *quandoguidem et divus Homerus dormiat* (иногда и божественный Гомер спит). О Руставели сказать этого нельзя“....

„XVII. И так слово под пером и кистью Руставели сделалось сильным и могучим. Могущество этого слова произвело то, что имя Руставели в грузинской литературе есть не имя поэта, а имя поэзии“.

პოეზიას პლ. იოსელიანი აცხადებს საზოგადოებრივი შემოქმედების ყველა ფორმებზე (მეცნიერება, პოლიტიკა და სხვა.) მაღლა მდგომ მოვლენად. სიტყვის კულტი აშკარად და მკაფიოდ აქვს აღიარებული:

XV... Слово только, как мысль души воплощенная, есть машина истины—полна света, религии, нравственности, прекрасного и всего лучшего. Словом, как выражением души, толко и измеряется и определяется степень развития гражданственности“... (ხაზგასმა ავტორისაა.)

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანი აქაც ხედებიან ერთმანეთს. „ძველი სემინარისტი“ წერს:

„სიტყუა გამომქმედი ქეშმარიტებისა, არის უკუდავი დაქმედ მარადეამს... დაირღუნენ ეგვპტისა პირამიდები, ბაჭალონი შთანთქა მიწამ. მაგრამ სიტყუა, თქმული მოსესაგან ჯერეთაცა არს ცოცხალ და ქმელობელობს ქუეყანასზე, ვითარცა ჰსჯული. სიტყუამ დააყენა კაცი მას დიდებისა მაღალსა ხარისხსზედ.“²⁶

სიტყვის კულტმა პლ. იოსელიანი პირდაპირ მიიყენა სიტყვიკაზმული მწერლობის პრაქტიკასთან.

²⁶ იბ. ცისკარი, 1874. სექტ. ოქტ. გვ. 15; საერთოდ: ორივენი დიდათ აფასებდნენ რუსთაველს. აღსანიშნავია ისიც, რომ პლ. იოსელიანმა ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ მიუთითა პოეზიის მოსალოდნელ საფრთხეზე: „დრო, უმკველია, გაწმენდს ამ ნარევს და აღადგენს ძველ ტვსტს ამით გამოსწორდება შეცდომა პოეზისა და პოეტის გამომცემელთა და შემსწორებელთა. მაგრამ ჩვენ არ ვუსურვებთ რუსთაველს იმ ხედარს, რომელიც წილად ვრგო ჰომერის სიმღერებს ათინაში

1872 წელს, „ცისკარში“ (მაისი, გვ. 273-274), დაიბეჭდა პლ. იოსელიანის თარგმანი: „ბრძოლა ბერძენთა პირისპირ ოსმალებს“ (წელსა). თქმული ლამარტინისგან. ნათარგმნი პროზად.

ეს თარგმანი წარმოადგენს პლ. იოსელიანის გრამატიკული ნორმებისა და პოეტიკის გამართლების ცდას. იმდენად დამძიმებულია ის ძველი ორთოგრაფიითა და გართულებული სინტაქსით, როთ აქ მისი მოყვანა თითქმის შეუძლებელია. მთარგმნელისთვის უყურადღებოდ ჩაუვლია მის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებს: სამწერლო სარბიელზე პრაქტიკული მუშაობისადმი ფარულმა მიდრეკილებამ მაინც იჩინა თავი არქაული მეტყველების ფორმებში.

„ცისკარის“ რედაქტორმა, ივ. კერესელიძემ, პლ. იოსელიანის თარგმანის გვერდით დაბეჭდა მის მიერ „გალექსილი“ იგივე ნაწარმოები—არქაული სტილის Vers libre-ს დაუპირისპირა რაიზოვანი და მეტრული აგებულების ლექსი.

ცხადია უაღრესად არქაული ენა პლ. იოსელიანის თარგმანისა ნაკლებ ეფექტს გამოიწვევდა. მარტივი, დაბალი და ყოველგვარ სტილიზაციას აცილებული (თავისთავად—ძალიან სუსტი) კერესელიძის „გალექსილი“ წინააღმდეგობაში ჩაუდგა პლ. იოსელიანის თარგმანს. ამას გამოუწვევია პლ. იოსელიანის საბოლოო ჩამოცილება ჟურნალიდან.

ლექსიკური და სინტაქსიური წყობის უკიდურესმა არქაულმა ატმოსფერამ ცხადყო პლ. იოსელიანის პოეტიკის კონსერვატიზმი, მიუღებელი ამაღლი ლიტერატურისათვის. სიტყვიერი მასალის ამ კონსერვატიზმისადმი დაქვემდებარებამ აშხილა მთარგმნელის ნორმების უსარგებლობა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირაია პლ. იოსელიანის მონოგრაფია „ცხოვრება შეფე გიორგი მეცამეტისა“. ეს გამოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს ხაზიერად ბელეტრისტულ ნაწარმოებად. წიგნის სიუჟეტი იშლება ისტორიული ხასიათის დეტალებისა და მოტივების ფორმებში იმრიგად, რომ თხრობის მანერაც კი სცილდება აკადემიური გამოკვლევის მახასიათებელ ფარგლებს.

ამ ნაშრომს აქ ვრცლად ვერ შევებებით. ავტორის სიცოცხლეში ის არ გამოქვეყნებულა და არ უთამაშნია გარკვეული როლი იმ ბრძოლაში, რომლის სურათის აღდგენაც წარმოადგენდა ჩვენს მიზანს.³¹

ლიტერატურულ გეგმონების დაცემის ხაზს, ათინაში გეგმონების დაქვეითებისას გამოჩნდა ილია და თდისეას ორი ტექსტი. დედნის შემსწორებელი იმავე დროს იყო წიგნის გამყიდველიც პოეტი ილიარზი შედის წიგნის გამყიდველთან და ვკითხვბა: არის თუ არა ჰომერის თხზულება? წიგნის გამყიდველის შეკითხვაზე: რომელი ტექსტი გნებავთ? ილიარზი (ასე იწოდება ქართულ წიგნებში და არა პლუტარხში) მიუგებბ: ნუ თუ მოიპოვებბ სხვბ ტექსტი ჰომერისა? არის, ნამდვილ დედნად მიჩნეული და ჩემგან შესწორებელი.—ამ შრომისათვის მიიღეთ თუ არბ რაიმე ჯილდო ათინელებისაგან?—კითხვბა ილიარზი. არაკითარი—მიუგებბ წიგნის გამყიდველი, ახალგაზბბ პოეტი გააწნავს მას სილას და ვებნებბ: აი თქვენი ჯილდოც! (წიგნის 1870 № 13)

³¹ ამ შრომის წერბ პლ. იოსელიანბბ ადრე დაიწყო. ვერ კიდებ 1864 წელს ის „ცხოვრებბს“ უკითხავს ალ. ორბელიანს (იბ. აღ. ორბელიანის წერილი: „პლატონ იოსელიანს“. წ. რ. წ. ს. ხელნაწ. № 1646, გვ. 1) 1867 წელს კი მარი ბროსეს უგზავნის ხელნაწერის ერთ ცალს იბ. პლ. იოსელიანის წერილები ბრისესადმი, წ. რ. კ. ს. № 4797).

რატომ აყოვნებბა პლ. იოსელიანი „ცხოვრებბს“ გამოქვეყნებბს? რასაკვირველია, მატერიული ხელშეწყობბ ვერ ჩაითვლებბ ამის მიზეზად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია

ამრიგად პლ. იოსელიანის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი არქეოლოგისა და ისტორიკოსის მუშაობის ნაცვლად—არქაისტის ლიტერატურულ ცდობს შეიცავს. ეს ცდები მარცხით დამთავრდნენ—მეტყველების დაშორებას აუდიტორიისგან მოჰყვა პლ. იოსელიანის მოჩვენებითი სიკვდილი. იოსელიანის თარგმანის შემდეგ მას არაფერი დაუსტამბავს.

10

პლატონ იოსელიანი გარდაიცვალა 1875 წლის 15 ნოემბერს.

„დროების“ რედაქტორი, გამარჯვებული თაობის წარმომადგენელი, სერგეი მესხი წერდა მეთაურ წერილში:

„... ზოგიერთებს გაუკვირდათ, ზოგიერთებმა თითქოს ვერ გაიგეს ის, რომ გამყოლთ რიცხვში თითქმის ყველა წარმომადგენელი ჩვენის ახალის თაობისა ერივნენ.

„დროების“ რედაქციამ თავის გაზეთის მკითხველები დაპატივა, რომ დასწრებოდნენ მიცვალბულის გასვენებაზე და ამნაირად უკანასკნელი პატივი ეცათ იმის ხსენებისათვის.

ეს გარემოება კალღე უფრო გაუგებარი შეიქნა ზოგიერთებისათვის. ამბობდნენ: „რა იყო საერთო მიცვალბულ პლატონ იოსელიანსა და ახალგაზღობას შუა“...

„... მართალია, ახალთაობისა და პლატონ იოსელიანის რწმუნებათა და აზრებს შუა დიდი საზღვარია, დიდი განსხვავება“... „მიცვალბულს ბევრი ისეთი რამ ჩაუდგენია თავის სიკოცხლში, რომელსაც ის („ახალი თაობა“, ა. გ.) ვერ თანაუგარძნობს“... (მაგრამ)—ქართული ლიტე-

ბრძოლამ შეუშალა ხელი მიზნის სისრულეში მოყვანისას. ანგარიშგასაწევა იდეოლოგიური მომენტები: „ცხოვრება“ ამართლებს გიორგი მეთორმეტის პოლიტიკას საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხში. ამ აზრის დაცვა არ უნდა ყოფილიყო ადვილი: თერგდალეულნი ხომ სწორედ ასეთ პოლიტიკას არ იხიარებდნენ? ამას გარდა: რევოლუციონერების ბანაკშიაც მოიპოვებოდნენ რადიკალურად მოაზროვნენი: საშუალონი, მაგალითად, აღმაცურად უცქეროდნენ პლ. იოსელიანის რუსოფილურ პოლიტიკას. კერძოდ ალ. ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მტრულად იყო განწყობილი პლ. იოსელიანის ბიუროკრატიზმისადმი. ალ. ორბელიანი ზემოდ დასახელებულ წერილში საგუფადო მიიჩნევს იმ ფაქტებსა და ეპიზოდებს, რომელიც პლატონ იოსელიანს ზეპირად მოუსმენია პეტერბურგს გადასახლბულ ბატონიშვილები-საგან. მისი აზრით, ეს ბატონიშვილები პლ. იოსელიანთან საუბარსაც კი გაუბოზდნენ. მაკარი დახასიათება იქამდის მიდის, რომ ალ. ორბელიანი ცნობილი ღვთისმეტყველის ფოტოგულ მხარეებსაც („საძაგელ სწულუბას“) გებდა. შ. ვორონიცოვთან ერთად, პლ. იოსელიანი თურმე ცუდი ყოფაქცევის ქალებთან ერთობოდა, ხოლო შემდეგ, როცა აქედამ ვარანციოვი წაეიდა და იმის მოადგილედ რიადი დააგდეს აქ, მაშინ იმისი მახლობელი სხუა არაეინ იყო პლატონ იოსელიანის მეტი, რწმუნებაცა ორივე ერთად დროებს ატარებდნენ უბრალო დედაკაცებთან და ამით შექცეოდნენ.... პლატონ იოსელიანი, ვარანციოვის და რიადის დროებში თავის სრულს სფერაში იყო“ (გვ. 11.)

თავის მხრით პლ. იოსელიანს არა ერთხელ გამოუთქვამს ხოტბა რუსული მართებლობისადმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ უარყოფითად უცქეროდა 1832 წლის შეთქმულებას. მაგ. კ. დოდაშვილზე ის წერს (კერძო ბარათში ბროსეს): „გაზეთსა (იგულისხმება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა, 1832.“ ა. გ.) აბეჭდვიებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდათ, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა“ (წ. რ. კ. ს. № 4797).

რატორის სიყვარულმა ორი თაობა შეაერთა მიცვალებულს საფლავ-ზეო.“²⁸

„ახალა თაობა“ სწორად აფასებდა პლ. იოსელიანის ლიტერატურულ მოღვაწეობას საკუთარი პოზიციებიდან. თავისი ბატონობის ხანაში მისი მოსწონი, როცა სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ მოღვაწეობა იხსენიებოდა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, უნდა დადგეს დრო პლ. იოსელიანის გასახსენებლად—უახლოესი ტრადიციის მიერ მიჩნეული მწერალი მოითხოვს დაკვირვებულ შესწავლას.

მებრძოლის დამარცხება, ხშირად აუცილებლობით გამოწვეული, არაფერს გვეუბნება თვითონ მებრძოლის სტრატეგიული უნარისა და ტაქტიკის შესახებ. აუცილებელია ისტორიული პერსპექტივის აღდგენა.

1932.

დამატებითი შენიშვნები:

ეს გამოკვლევა არ ისახავს მიზნად პლ. იოსელიანის სრული ბიოგრაფიის აღდგენას. არც მის შეხედულებებს ვარჩევთ აქ დაწვრილებით. დამატებით აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

სტილისა და მჭერმეტყველების საკითხებში პლ. იოსელიანი გამოდის ქვინტილიანის, ციცერონის და დიონისი ლონგინის ტრაქტატებიდან. კერძოდ ტერმინი „ჰარმონია“, რომელსაც ის ხშირად ხმარობს პოეტური თხზულების დახასიათებისას—აღებულია ლონგინის ცნობილი ტრაქტატიდან: „უმაღლესის შესახებ“ („პერი იფსუს“, du Sublime არსებობს რუსული თარგმანი: О высоком, творение Дионисия Лонгина. Перевод Ивана Мартынова. პეტ. 1826) პლ. იოსელიანი ამ შრომას ბერძნულ დედანში ცნობდა. („ბიბლ. შენიშვნაში“ მოყვანილია ფრაზა ტრაქტატიდან.) ლონგინის თხზულება დიდი გემოვნებით არჩევს ანტიური ლიტერატურის ძეგლებს სტილის მხრით და არისტოტელეს „პოეტიკის“ შემდეგ ითვლება შესანიშნავ დოკუმენტად პოეზიის თეორიაში.

პლ. იოსელიანი ახლო იდგა იმ ავტორებთან, რომელთა დაკვირვებანი განსაკუთრებით კონსტრუქციის საკითხება ეხებოდა. (არისტოტელეს „პოეტიკა“, ლონგინის „პერი იფსუს“, პორაციის „წერილი შელექსეობაზე“, ბუალოს „L'art poétique, ლაგარპის „Le Lycée ou cours de Literature Ancienne et Moderne. 1799. (რუს. თარგ. 1810—1814. I—II...) და სხვ.

შეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან, ფილოსოფიურ ძიებათა ზეგავლენის შედეგად (კანტი, შელინგი, ჰეგელი), სტილისტიკა დაუმორჩილეს ფსიქოლოგიკური და ლოგიკისტური ესთეტიკის პრინციპებს—კონსტრუქციის საკითხების რკვევას შეენაცვლა ავტორის ფსიქოლოგიური და ცნობიერი კატეგორიების კვლევა. მხედველობიდან უშვებდნენ სიტყვიერი ხელოვნების იმ ფაქტორებს, რომელნიც ხშირად თავიანთი კანონების მიხედვით მიმართავენ ამ „კატეგორიების“ მხილებას.

²⁸ იბ. დროება, 1875, № 134.

თავისი თეორიული მსჯელობით პლ. იოსელიანი დაკავშირებულია ჩუკოტურ-სოხუმურ შორეულ ტრადიციებთან და ბუნებრივია თუ ბედნიერად ქართულმა იმიტაციამ და ჟურნალისტურმა დილექტანტიზმმა მასში ჩვეულებების გარეშე ჩაიარეს.

პლ. იოსელიანის დაკვირვებებს ქართულ ვერსიფიკაციაზე (იხ. Опис. гор. Душета, ტფ. 1861. გვ. 32,34; Путевыя записки от Тифлиса до Мцхеты, გვ. 56—75) ვებებით სპეციალურ გამოკვლევაში: „რიტმი და სიტყვა“. მისი არქეოლოგიური და ისტორიული შრომების დაფასება კი ჩვენს მიზანს არც შეადგენდა.



სოლომონ იორდანიშვილი

„რუსულ-ქართულ ლექსიკონის“ შესახებ

(პასუხად დოც. დ. კარბელაშვილს)

„მნათობის“ მკითხველი, ალბათ, გაეცნო დოც. დ. კარბელაშვილის სარეცენზიო წერილს: „ნაბიჯი უკან ლექსიკოგრაფიაში“ (ნ. ა. წ. „მნ.“ № 1 - 2).

წერილი ეხება პროფ. გ. ახვლედიანისა და ჩემ მიერ შედგენილ რუსულ-ქართულ ლექსიკონის I ტომს (A—B), რომელიც ამ ორი წლის წინათ გამოვიდა.

„მნათობის“ ყველა მკითხველს არ ექნებოდა შესაძლებლობა უშუალოდ შეემოწმებია ჩვენს ლექსიკონზე ყველა ის უპასუხისმგებლო ბრალდება, რომელსაც გვიყენებს რეცენზენტი, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მას პასუხი გავცეთ.

პირუთვნელმა მკითხველმა თითონ განსაჯოს, თუ ფაქტების როგორი უჩვეულო დამახინჯებით ცდილობს რეცენზენტი მასზე განვლენის მოხდენას.

რა ბრალსა გვდებს რეცენზენტი?

1. ჩვენი ლექსიკონის მომხმარებელს ეცოდინება, რომ რუსულ ზმნის ინფინიტის, განუსაზღვრელ ფორმის (მაგ. зная), ქართულში შესატყვის ფორმის უქონლობის გამო, ჩვენ, პირობითად, ვთარგმნით ზმნის აწმყო დროის (როცა ეს შეუძლებელია, მყოფადის) პირველ პირით, ხოლო პირნაკლ ზმნებში მესამე პირით. ამ საშუალებას ჩვენ მივმართავთ, როგორცეს გარკვევით გვაქვს ნათქვამი წინასიტყვაობაში (გვ. 8), ზემოხსენებულ მიზეზის გარდა, (შესატყვის ფორმის უქონლობა) სახელზმნასთან (ცოდნა—знание) თანმთხვევის და, აქედან მოსალოდნელ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვფროთხილობდით, владение რომ ფლობა არის და знание—ცოდნა, გაუგებრობა არ გამოეწვია მათ ინფინიტის (владеть, зная) სახელზმნითავე (ფლობა, ცოდნა) თარგმნას. ამგვარ მდგომარეობისა გამო, ჩვენ ანგარიში გავუწიეთ ტრადიციას (დ. ჩუბინაშვილი) და ინფინიტის ვთარგმნით ისე, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

რეცენზენტი შეგვნიშნავს:—

„ყოვლად დაუშვებელია ასე თარგმნა: თვითველ ენას გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები და ამ შემთხვევაში ქართულს ის აბასიათებს, რომ მან შეინახა დღევანდლამდე უხსოვარ დროს (!) მდგომარეობა, ე. წ. იაფეტური მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა საგანსაც ანიშნავდა და მოჭმედებასაც და, ამგვარად, ქართული სახელზმნა ორმაგ სახისაა; მხოლოდ ფორმალურად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია იგი გააცალკევოს და აბსურდამდე მივიდეს“. (მართლწერა რეცენზენტისა.) (გვ. 252)

ჯერ, ერთი უნდა განვაცხადოთ: რეცენზენტს ვერ გაუგია ჩვენი შენიშვნა: „არ ვცანით საჭიროდ დავგვიტვირთოთ ლექსიკონი სიტყვათა გრამატიკული დახასია-

ათებით“ ეს გულისხმობს ზოგიერთ ლექსიკონში მიღებულ წესს, რომლის მიხედვითაც ყოველ სიტყვას ერთევის გრამატიკული დახასიათება, თუ რომელი სიტყვის ნაწილია გრამატიკულად ესათვის სიტყვა, (ზმნა, სახელი არსებობა, მდგომარეობა, მიმღობა, ზმნისართი და სხვ.) რომელი სქესისაა მოყვანილს „ზმნული“ გრამატიკით და სხვ. ჩვენს რეცენზენტს კი გონება, რომ სიტყვითა გრამატიკული დახასიათება იმას გულისხმობს, რომ ინფინიტის აწყმოს პირველ პირით ვთარგმნით. იგი პირდაპირ წერს: -

„არ ვცანით საპიროდ დაგვეტირთა ლექსიკონი სიტყვითა გრამატიკულ დახასიათებით...“ო, ამბობენ ავტორები, და ამიტომ (ზახი ჩვენი) რუსულ ზმნის ინფინიტის ქართული ზმნის პირველი პირით (!) თარგმნიან.“ (გვ. 251.)

ეს, რასაკვირველია, გაუგებრობაა რეცენზენტის უეცრობით წარმოშობილი, რაზედაც დიდხანს აღარ ვაჭერდებით.

გადავიდეთ უფრო არსებითზე.

დ. კ — ი სრულებით არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო დაგვეცვა და გაგვეტარებინა პრაქტიკულ, თარგმნის ლექსიკონში „უხსოვარ დროს მდგომარეობა ე. წ. იადეტური მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა საგანსაც აღნიშნავდა და მოქმედებდაც“ (გვ. 252)

ჩვენ ამ „უხსოვარ დროს მდგომარეობას“ ვერ დაეცავდით იმ გასაგებ მიზეზებისა გამო, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ.

2. რეცენზენტი მეორე ბრალდებად გვიწერს:

„ზნირია შემთხვევა, როცა სიტყვის ახსნა საპიროა და ავტორები კი არ იძლევიან... ლექსიკონი უნდა იყოს არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი თარგმნა, არამედ ახსნაც. იგი სასწავლო წიგნი უნდა იყოს.“ (გვ. 252)

ამ ბრალდების უსაფუძვლობაში, ვგონებთ, მკითხველი თითონ დარწმუნდება და ამიტომ სიტყვას აქ მოკლედ მოვჭრით. პრაქტიკულ, თარგმნის ლექსიკონს სიტყვების სრულ ახსნა-განმარტებას და, მით უფრო, „სასწავლო წიგნის მოთხოვნილებას“ ძნელად თუ ვინმე წაუყენებს დოც. დ. კ — ს მეტი. მართლაც და, ჩვენი ლექსიკონის მსგავსადვე შედგენილია რუსულ-თურქული ორტომიანი ლექსიკონი რ. ახუნდოვის რედაქციით (5. Русско-тюркский словарь под редакцией Р. Ахундова. Азгиз. 1928-29 г.) და „უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედის“ გამოცემა, რუსულ-უკრაინული ლექსიკონი აკადემიკოს ა. კრიმსკის რედაქტორობით.

(5. Російсько-Український Словник, том другий 3—Н. Упорядники-редактори: М. Калинович і В. Ярошенко. Головний редактор: акад. А. Кримський. Випуск другий 1—Намивклять. Видавництво, Українська Радянська Енциклопедія“ 1932)

არავის ჰკუთამყოფელს, არც აზერბაიჯანსა და არც უკრაინაში, აზრად არ მოსვლია, რომ დ. კ — ს მსგავსად, ხსენებულ ლექსიკონებისათვის „სასწავლო წიგნის მოთხოვნილებები“ წაუყენებია.

3. ჩვენი ლექსიკონის შემდეგი ნაკლი, რეცენზენტის აზრით, არის, რომ უცხო სიტყვებს არ მოსდევს ჩამომავლობის ჩვენება; ეს კი სჭირბო იყო თორემ სრული არე-დარევა დაისადგურებს“-ო (გვ. 252).

არც ერთ, შემოდასახელებულ, ჩვენი ლექსიკონის ტიპის, უნდა იქნას ჩამოტყეპებული (ტყელებზე, აღარ ვლანარაკობთ) ასეთი წესი არ არის მრღებელი და არც ჩვენ აღვნიშნეთ სიტყვათა ჩამომავლობა. დოც. დ. კ.—ს უნდა მოეხსენებოდეს, რომ სხვა არის მიზანი და დანიშნულება ეტიმოლოგიურ ლექსიკონისა და სულ სხვა პრაქტიკულ თარგმნითისა.

4. შემდეგი ბრალდება ედება ჩვენი ლექსიკონის ტექნიკურ მხარეს. ჩვენ ვწერთ წინასიტყვაობაში გახმარტებით შენიშვნას: ტექნიკურ პირობების გამო უკუვადეთ ტილდისა (—) და ვერტიკალთა წყვილის (||) ხმარება და შეცვალეთ ისინი ტირე (—) ნიშნით, რომელიც აღნიშნავს ჩვენს ლექსიკონში როგორც ადვილად საგულისხმებელ დასაწყის ნაწილს სიტყვისას, ისე მთელ სიტყვასაც (გვ 8.). ამით ჩვენ მივალწიეთ ადგილის დიდ დაზოგვას, თუმცა ზოგან, მართალია, მოგვიხდა სიტყვის არამორფოლოგიური დანაწილება.

რასაკვირველა, უკეთესი იქნებოდა, რომ მთელი სიტყვები იყოს მოყვანილი და ამათუიმ სიტყვის ადვილად საგულისხმებელი დასაწყისი ტირეთი არ გვქონდეს აღნიშნული, (როგორც ეს გვქონდა გატარებული თავდაპირველად დედანში), მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ ქაღალდის გეომიით გამოწვეული ჩვენი ეს დათმობა „ქართული წიგნის“ იმ დროის ხელმძღვანლობისადმი, საშუალოდ მომზადებულ მკითხველს „კურიოზებს“ მაინც არ შეუქმნის. მართლაც და, ჩვენი ლექსიკონის მომზადებელი ვერ ხომ მის წინმდებარე რომელიმე რუსულ ტექსტში ამოიკითხავს (კარგი მკითხველი, ჩვეულებრივ, ამოიწერს კიდევ) მისთვის გაუგებარ რუსულ სიტყვებს და შემდეგ მოძებნის ჩვენს ლექსიკონში მათს ქართულ მნიშვნელობას. ეს ხომ ელემენტარული წესია ლექსიკონის ხმარებისა, და იმგვარი „კურიოზები“ დოც. დ. კ.—ს რომ მოყავს (Агитатортация და სხვა) როგორღა დაებადებო მკითხველს?

ბიერ ლარუსის ფრანგულ ლექსიკონში, მაგ. მოყვანილია Agitateur, trice. ლარუსი წინასიტყვის ადვილად საგულისხმებელ ნაწილის აღსანიშნავად ტირესაც არ ხმარობს, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, გარდა უფიცისა, Агитатортация-ს შესავსად-წაიკითხოს:—agitateurtrice (6. Grand dictionnaire universel français... Par Pierre Larousse. Tome premier. Paris, (135 გვ.)

ასევე, მაგ. რუსულ-უკრაინულ ლექსიკონში: месмеризм,—рический; метеорический,—ричный; микроскопический,—пичний; минарет,—ретный; мошеник,—ница და ათასი სხვა. როგორც მკითხველი ადვილად შენიშნავს აკად. კრიმსკის ისეთივე წესით გაუწყვია ტექნიკურად ლექსიკონი (ტილდისა და ვერტიკალურ წყვილთა გარეშე) როგორსაც ჩვენ მივდევთ, მაგრამ არავინ ამოიკითხავს მის ლექსიკონში: месмеризмрический და სხვა.

5. შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავს:

„რუსული ხმების ინფინიტის უმეტესი ნაწილი გადმოცემული აქვთ ავტორებს ყოფადით, რასაც არავითარი გამართლება არ მოეპოვება. უნდა იყოს აწყობილი დროთი და უკიდურეს შემთხვევაში, როცა ქართული ვერ იძლევა ნიშანდობლიობას, ყოფადით თარგმანს მივმართოთ.“ (გვ. 252)

ჯერ, ერთი უნდა გავახსენოთ გულმაგიწე რეცენზენტს: მას უნდა დაევიწყდა ის, რაც პირველ ბრალდებად წამოგვიყენა აქი ინიფინიტივის თარგმნა აწმ-ყოთი „ყოველად დაუშვებელი“ იყო? მაშ რას ნიშნავს: **РЕЦЕНЗЕНТ**

„უნდა იყოს აწმყო დროთი და უკიდურეს შემთხვევაში, როცა ქართული ვერ იძლევა ნიშანდობლიობას უოფადით (!) თარგმანს მივმართოთ.“

რეცენზენტი ცილს გეწამებს, როდესაც ამბობს, რომ ინფინიტივების უმეტესი ნაწილი გადმოცემული აქვთ ავტორებს უოფადითო. დოც. დ. კ—მა უნდა იცოდეს, რომ მყობადი (მისი ტერმინოლოგიით უოფადი) ახალ ქართულში კარგად გარჩეული არ არის აწმყოსაგან. ალბათ, ამან შეუქმნა რეცენზენტს ასეთი შთაბეჭდილება. ნამდვილად კი ინფინიტივების უმრავლესობას ჩვენ აწმყოთი ვთარგმნით.

6. რეცენზენტი ცდილობს შემდეგი თავისი ბრალდება:

„ლექსიკონი საესეა სიტყვების უზეირო დამახინჯებული თარგმანით“ მკითხველს დაუმტკიცოს ჩვენი ლექსიკონიდან ტენდენციურად და ყალბად ამოწერილ მაგალითებით.

ჩვენ ვწერთ:

агитация—აგიტაცია; წაჭეხება; аэролит—აეროლითი, მების ქვა; бедный—გლახაკი, საწყალი, უმოვარი, ღარიბი; безустали—დაუღალავად და სხვა.

რეცენზენტს მოყავს:

агитация—წაჭეხება; аэролит—მების ქვა; бедный გლახაკი, безустали—დაუღალავებლიე (!?) და ასე ბოლომდის.”

ცნობისმოყვარე მკითხველი თვით შეამოწმებს დანარჩენ მაგალითებს და ადვილად დარწმუნდება რა ტენდენციურობასა და სიყალბესთან გვაქს საქმე.

ვთქვათ, რომ აქ მოყვანილი სიტყვები ჩვენ დამახინჯებით და უზეიროდ ვთარგმნეთ (ალბათ ამას მოწმობს რეცენზენტის ესოდენი სიუხვე კითხვის ნიშნების მიმობნევაში), რეცენზენტს ხომ უნდა მოეცა დაუმახინჯებელი და ხეირიანი მათი თარგმანი? თუ არ მოგვეცემა დაუმახინჯებლის დამახინჯებას რაღას გვეჩოღა?! რად დასჭირდა დოცენტს ასეთი სიყალბე?!

მაგრამ ჩვენი რეცენზენტი მართა ყალბად ამოწერილ მაგალითებით არა კმაყოფილდება. ალაგ-ალაგ (ალბათ იმისათვის, რომ მკითხველს ყოვლისმკოდნედ მოაჩვენოს თავი) თავისებურ შენიშვნებსაც გვიკეთებს:

მაგ. ა) астарь (гневовосникков) საცეცხლე, მაგრამ—жаровник საცეცხლე.

არ ვიცით აქ რა უკვირს იაფეტიდოლოგიის „ერთგულ“ მიმდევარს. მან უნდა იცოდეს, რომ იაფეტიდოლოგიის ფუძემდებლის, აკადემიკოს ნ. შარის მტკიცებით, „ძალ“ ქართულ წინარეწაში ხელსაც ნიშნავდა, ქალსაც და წყალსაც; ასევე „სუ“ ს წყლის მნიშველობაც ქონდა, ხელისაც და ქალისაც (ნაბ. აკად. ნ. შარი. რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვი-

თარების მსოფლიო ისტორიაში. საქართველოს სამეცნიერო აკადემიის გა—მა № 1. ტფილისი 1930 წ. გვ. 16.)

ამ მოძღვრების მიმდევარს არ ღნდა უკვირდეს, რომ ქართული საცეცხლე რუსულად ორი ცნების შესატყვისი იყოს.

რეცენზენტმა იცის ჩვენი ერთი „ცოდვა“, სახელდობრ ის, რომ ქართულ ლექსიკოლოგიის ფუძემდებელ სულხან-საბა ორბელიანს უფრო ვერწმუნებით, ვიდრე სხვა რომელიმე, თუნდაც მის მიერ ნაჭებ პროფესორ-ენციკლოპედისტს, და საბას კი შესაფერ ადგილას ასეთი განმარტება აქვს მოყვანილი: საცეცხლე არს სადა მარადის ცეცხლი ეგზნების, გინა ცეცხლთა ჭურჭელი.

(ნ. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. გა—მა ქართული წიგნი. ტფილისი 1928 წ. გვ. 305).

ბ). Бедный—გლახაკი. რეცენზენტი შეგვნიშნავს, რომ ამ სიტყვას სულ სხვა ჩამომაელობა და მნიშვნელობა აქვსო (გვ. 235). აქ რეცენზენტი ალბათ, სიტყვის ეტიმოლოგიის ცოდნით გეაკვირებმა და იმას კი აღარ ამბობს: შეიძლება თუ არა გლახაკის бедный-თ თარგმნა, ანდა პირუტყვი?

ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ პრაქტიკულ თარგმნითს ლექსიკონს ეტიმოლოგიების ჩვენება არ ევალება. რაც შეეხება ასეთ თარგმნის შესაძლებლობას, რეცენზენტმა ნახოს ამის შესახებ თუნდაც „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ 1840 წ.“ აქ, 128 გვ. რეცენზენტი იპოვის: გლახა, გლახაკი, бедный, убогий, нищий, pauvre და სხვა. ეს ძველთაგან. ახალზედაც მიეუთითებთ.

ა. წ. „მნათობის“ № 3-ის კულტურულ მატრიანით გაიგებდა ჩვენი რეცენზენტი, რომ გერმანიაში, სულ უკანასკნელ ბანს, მკოდნე პირებს ვაღაუთარგმნით სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. აი ამ წიგნშია, „ხარბი გლახაკის“ დასაწყისი: „გლახაკი ვინმე უპოვარი ყოვლისაგან ნევთისა“ ასე უთარგმნათ: Es war ein armer Mann, der garnichts hatte. რეცენზენტს ვთხოვთ ინახულოს ა. ნესლერის გერმანულ-რუსული ლექსიკონი Немецко-русский словарь. Составил А. Ф. Несслер. Из—во „Советская, энциклопедия“, Москва. 1932 г.) და მის 138 სვეტში: амг—бедный; неимущий; убогий. აქედან დასკვნა: бедный ს გლახაკად თარგმნა ხეირიანი და დაუმახინჯებელი ყოფილა.

გ). ჩვენი რეცენზენტი ორნიტოლოგიის (ფრინველთმცოდნეობის) ცოდნითაც იწონებს თავს და შეგვნიშნავს, რომ некас—ღალღა არ არის, „некас ან ბეკასს უძახაიან, ან წუკლის გოქას“ (გვ. 253).

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ, ასეთ შემთხვევაშიაც, შეუმოწმებლივ არას ებეჭდეთ. ჩვენი ლექსიკონის ბარათული დედანი კი ამ შემთხვევაში ილია ჭყონიას სიტყვის-კონაზე მივითითებეს (ნ. Материалы по яфетическому языкознанию. I. ილია ჭყონია. სიტყვის-კონა. საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები СПб. 1910. გვ. 57). მართლაც, დასახელებულ შრომს ს სათანადო ადგილას რეცენზენტი ნახავს, რომ, თედო რაზიკაშვილის დამოწმებით, ღალღა некас-ად არის თარგმ-

ნილი: ლალა (რაზიკ.) ნეკას და არა ფრინველი ყვავის მსგავსი, რომელიც, როგორც ამბობს დ. ჩუბინოვი. თუმცა ჩვენ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჩუბინოვსაც, ამ შეცდომის მიუხედავად, ფრანგული შესატყვისი ენაზე მართებულად nécasse უწერია. ჩვენი რეცენზენტი, ალბათ, სხვა წყაროებზე დაყრდნობით (თუმცა არ ასახელებს), როდესაც ლალას коростель-ად თარგმნის, ჩვენ არც ეს მიგვაჩნია უმართებულოდ. საქმე ის არის, რომ коростель-ის მოყვანისას როგორც ძველი, სპეციალური (მაგ. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი ტენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, შედ. თ. რაფ. დავ. ერისთავისაგან. Тиф. 1884.) ისე უახლოესი რუსულ-უცხოურა ლექსიკონები, ვ. დ. ალის ლექსიკონზე დაყრდნობით, (მაგ. Русско-английский словарь, составили С. К. Боянус и В. К. Мюллер. Из-во „Советская энциклопедия“. Москва. 1932) — дергач-ზე მიუთითებენ; дергач-ზე კი ჩვენ გვიწერია... მწერმარხილი, მწერმარხი, მწერების მეფე; ლალა და სხვა, სათანადო მითითებით იოანე ბატონი-შვილზე (იო.). ჩვენმა „რეცენზენტმა“ უნდა იცოდეს, რომ შესაძლებელია ერთსა და იმავე ფრინველს სხვადასხვა სახელი ერქვას მათ ანატომიურ და ბიოლოგიურ მთავარ ნიშნების მიხედვით. ქართველ ორნიტოლოგს დოც. ივ. ჩხიკვი-შვილს, მაგ. ნეკას-ის შესატყვისად მოყავს: ჩიბუხა, კოკორინა, ცხრა-ტყავა, ქოვილო (ნახ. ივ. ჩხიკვიშვილი. საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა-ტფილისი 1926. გვ. 25). ჩვენ ნეკას-ის შესატყვისად (მით უმეტესად რომ იგი სულ მცირე ოთხი სახეობისაა ცნობილი ბუნებაში) მივიჩნიეთ: ლალა (ჰყონი-აზე დაყრდნობით), ჩიბუხა და ცხრა-ტყავა (ჩხიკვიშვილის მიხედვით), ბლავანა და ბატკანა იოანე ბატონი-შვილზე მითითებით. რაც შეეხება რეცენზენტის განცხადებას: ნეკას-ს ან ბეკას უძახიან ან წყლის გოჭას—ეს უკანასკნელი ჩვენ წყაროებში ვერ ვნახეთ და, ყოველ შემთხვევაში, ქართლსა, იმერეთსა და გურიაში ეს ასე არ უნდა იყოს.

დ) რეცენზენტი ცდილობს თავი კარგ დეგუსტატორად (მეტაწნიკედ) მოგვაჩვენოს.

ჩვენ ვწერთ: виноград испорченный—დურდო.

რეცენზენტი გაკვირების ნიშანს სვამს და შეგვნიშნავს:

„დურდო—რაიმე ჭურჭლის ფსკერზე დაგროვილი ღვინის სქელი ლექია. ფ. კ. (გვ. 253).“

ჩვენს „დეგუსტატორს“ შეეძლო მოკლედ ეთქვა—гуша და შემოწმებინა ჩვენს ლექსიკონში. მართლაც, თავის ალაგას ჩვენ გვიწერია: гуша-თხლე, დანა. ლექი, დურდო. სხვათაშორის, სიტყვათაჩამომავლობის მოყვარულ რეცენზენტს მივუთითებთ, რომ ეს სიტყვა სპარსულშიაც გვხვდება ამ მნიშვნელობით (ნ. Русско-Персидский Словарь. Сост. А. Ф. Хашаб. СПб 1906. გვ. 50), მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლო არ მოგვეყვანა დურდო-ს ის მნიშვნელობა, რომელსაც იძლევა საბა: დურდო—წამხდარი ყურძენი (ნ. საბ. ლექ. 102 გვ.), აქედან—виноград испорченный.

7. რეცენზენტი შეგვნიშნავს:

„არა ნაკლებ ენებს ლექსიკონს საერთოდ სიტყვების გაუგებარი და ახსნის მიუტყველათ თარგმნა.“

ბრალდების ეს მუხლი შინაარსით მე-2-ე მუხლის ბრალდებას წარმოადგენს (დოცენტს გაუგონია: განმეორება დედა სწავლისათ) და ჩვენ შეიძლება მუხლის შესახებ ნათქვამით დავკაყოფილდებით. შეენიშნავთ კვალად ზრუნვას არაკეთილსინდისიერებას ამ შემთხვევაშიაც. უბრალო მაგალითი მოიხილეთ აქნიდან ამოღებული შორისდებული ატუ ჩუბინაშვილს თარგმნილი აქვს—დაჩი!; ჩვენ—დაჩი! მაგას! არიქა! ამის შემდეგ, ჩვენს რეცენზენტს კიდევ ყოფნის გამმედაობა, რომ სიტყვების გაუგებარი თარგმნა გვიკვირნოს და ჩვენი ცდა რუსულ-ქართულ ლექსიკონის შექმნისათვის გამოაცხადოს „ნაბიჯად უკან ლექსიკოგრაფიაში“.

ალარას ვიტყვით, ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ლექსიკონიდან ამოწერილ რუსულ სიტყვების და მათ ქართულ შესატყვისების დამახინჯებაზე, რაც რეცენზენტს წესად მოუღის.

ჩვენ ვწერთ: зломислить ვმაცევა, — ძვირს მოვიხსენიებ, ვბოროტმზრახველობ; რეცენზენტს ბოროტმზრახველობით მოყავს მხოლოდ зломислить — ვმაცევა (ნ. რეცენზ. 254 გვ.).

8. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ლექსიკონში გამოტოვებულია მრავალი ისეთი. სიტყვა, რაც ახლაც ხმარებაშია. აღსანიშნავია, რომ ამოწერაზე გულუბვი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში 5 მაგალითით და მრავლისმეტყველ „დასხვათი“ დაკაყოფილებულა. მათ შორის არის ასეთი ჯამოთქმებიც: заломить шапку, держать курс, денежный знак. აღსანიშნავია, რომ რეცენზენტი სიტყვებსა და ჯამოთქმებს ვერ არჩევს ერთმანეთში.

თავისთავად ცხადია, ჩვენს არასრულ, თარგმნით ლექსიკონში ბევრი რუსული გამოთქმა გვაქვს გამოტოვებული: заломить шапку-ს გარდა ჩვენ თითონ დავუსაბეღებდით რეცენზენტს: заламывать соты, заломать дорогу, заламывать медведя და სხვა, მაგრამ რეცენზენტი, მას რომ სათანადო გულისყური ქონოდა, შენიშნავდა, რომ ჩვენ ისეთი რუსული გამოთქმები მაინც მოგვყავს, რომელთაც ქართულშიაც თავისებური გამოთქმები შეესატყვისება, მაგ.: заламывать большую цену — მამასისხლად ვათასებ, заливаться смехом — სიცილით ვკედები, баклуши бить — კოდარას ვუსტვენ და სხვა მრავალი. კერძოდ, ჩვენ მიერ დასაბეღებულ რუსულ-ინგლისურ ლექსიკონშიაც (რომელიც 50 ათას სიტყვას შეიცავს და 1932 წელს არის გამოცემული) მოყვანილია მხოლოდ заламывать высокую цену.

რაც შეეხება სიტყვების გამოტოვებას, აქ რეცენზენტი მართლაც რომ ღია კარს „ებუსკვანება“. რომელი ლექსიკონი გამოსულა ჩვენს სინამდვილეში, რომ არა გამოჩინოდეთა. რეცენზენტი შეიძლება იცნობდეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემას: Всеволод Ф. Миллер, Осетинско-русско-немецкий словарь, под редакцией и с дополнениями А. А. Фреймана, I, А—3, Ленинград, 1927. თუ იცნობს, ესეც იცოდეს, რომ მას „გასწორება დამატებანი“ დართული აქვს 575—618 გვ. მანძილზე. რეცენზენტმა ისიც გაიხსენოს, რომ დავით ჩუბინოვს (ნ. საუნჯე ქართულ ენისა. ქართულ-რუსული ლექსიკონი. ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან. СПб. 1887) ძირითად ტექსტში

დროშიც გამოჩნდა. ასეც რომ არ იყოს, ჩვენ გარკვევით ვფიქრობთ წინასიტყვაობაში: „ლექსიკონის ბოლოსვე იქნება შეცდომათა გასწორება და შესწორება დამატებები“. ჩვენ პირველ ტომს თავისუფალი ფურცელიც კი ვუპასუხოთ სათანადო წარწერით: „დამატებათა და გასწორებათათვის“, და დაარწმუნებული ვართ, ჩვენი ლექსიკონის პრაქტიკული მომხმარებელი გამორჩენილ სიტყვებისათვის, ჩვენი ლექსიკონის დასრულებამდის, ამ ფურცელსაც გამოიყენებს.

9. მეცხრე ბრალდებად რეცენზენტი გვიყენებს ახალ კომპოზიტების, შემოკლებულ სიტყვების (BCHX, сокосвет და მისთანათა) გამოტოვებას.

რეცენზენტს არ აქაყოფილებს ჩვენი განცხადება: „შემოკლებულ სიტყვათა ნუსხა ახსნითურთ დაერთვის დამატების სახით ლექსიკონის უკანასკნელ ტომს“ (წინასიტ. გვ. 8) და უპასუხოდა კითხულობს: „განა ეს დასაშვებია?“ ჩვენ ვერ გაგვივია, რა არის აქ დაუშვებელი? იქნებ ჩვენ განმარტოებით ვდგევართ სხვა ლექსიკოლოგებთან შედარებით? შემოკლებულ სიტყვათა ხმარება არა ნაკლებ გავრცელებულია ინგლისსა და ამერიკაში. იქნებ რეცენზენტმა მოისურვოს იქ მიღებულ წესის გაცნობა? ნახოს The Pocket Oxford Dictionary of current English, compiled by F. G. Fowler et H. W. Fowler. Oxford. 1928. აი ამ ლექსიკონში, რომელსაც ტოლი არა ყავს, როგორც „მასალათა სიჭარბით, ისე მეცნიერულ მეთოდის სიზუსტის მხრივ“ (ნ. ამის შესახებ: Англо-русский словарь составили проф. Б. К. Мюллер и проф. С. К. Боянус. Изд. „Советская энциклопедия“. Москва 1928 г.) შემოკლებული სიტყვები მოცემულია დამატების სახით (Appendix I, 981—99 გვ.).

ასეთსავე წესს იცავენ ინგლისურ ლექსიკოგრაფიის უახლეს მონაცემების ნიადაგზე ინგლისურ-რუსულ ლექსიკონის შემდგენელი პროფესორები მულერი და ბოიანუსი (ნ. დასახელებული ინგლ.-რუს. ლექს. 1928 წ.). ჩვენი ტიპის ლექსიკონებში აღსანიშნავია, რომ რუსულ-თურქულ ლექსიკონს (რ. აბუნდოვის რედაქციით) სულ არა აქვს შემოკლებულ სიტყვები მოყვანილი, არც ცალკე და არც ტექსტში, ასევე არც რუსულ-უკრაინულ ლექსიკონს (აკად. ა. კრიმსკის რედაქციით რომ გამოდის) მოჰყავს „თავთავის ადგელზე“, რეცენზენტის მიერ ესოდენ შეყვარებული, შემოკლებული სიტყვები: женотдел, зарплата და სხვა.

ამისდა მიუხედავად, მათთვის არავის დაუბრალებია „თანამედროვე სიტყვაშემოქმედების პროცესის“ გაუზიარებლობა, როგორც ამას გვწაპებს ჩვენი რეცენზენტი. ჩვენ წინასიტყვაობაში ისიცა გვაქვს ნათქვამი, რომ გეოგრაფიული და სხვა საკუთარი სახელწოდებანი დაერთვის ლექსიკონს დამატების სახით, და რეცენზენტს ისლა დარჩენია, განაცხადოს: „შებეთ! ავტორები ებრძვიან გეოგრაფიულსა და სხვა საკუთარ სახელწოდებებს!“.

10. მეათე ბრალდებად რეცენზენტი გვიყენებს:

„ლექსიკონში ავტორების შემოქმედება არა ჩანს, იგი წარმოადგენს ნაკრებს სხვადასხვა წყაროებიდან; მეტანიჭური სამუშაო უკისრით მხოლოდ, უბრალო გამოწერა და ისიც უზეიროთ; მთლიანათ გაცარცულია საბას ლექსიკონი, ი. ბატონიშვილის, ჩუბინაშვილის, ი. აბულაძის და ზოგან თუ მითითებენ პირველ ორზე, მესამეს და მეოთხეს არც კი იხსენიებენ“.

პირუთენელმა მკითხველმა და ჩვენი ლექსიკონის მომხმარებელმა თვით ვასაჯონ, რამდენად მართალია რეცენზენტის განცხადება, რომ ჩვენ მართო „მექანიკური სამუშაო“ ვკისრეთ, „უბრალო გამოწერა და ექსტრუქციონით“. ჩვენ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. მაგრამ, ჩვენ არ შეგვიძლია გავფიქრებთ არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ჩვენი რეცენზენტი ასე აშკარად ტყუის! წინასიტყვიანობის მე-9-ე გვერდზე ჩვენ ვაცხადებთ: „ლექსიკონის ქართულ ნაწილში გამოვიყენეთ:.. ბ) დ. ჩუბინაშვილი. Русско-грузинский словарь СПб. 1886; 2. ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб. 1887.“ ეს ყოფილა ჩუბინაშვილის მოუხსენებლობა! ბრალდებაში გავარჯიშებული დოცენტი ამითაც არ კმაყოფილდება და განაგრძობს:

„რამდენადაც ვიცით, ი. აბულაძემ პირველმა შემოიღო რუსული აა-თავსართის ქართული ა-თავსართით თარგმნა სათანადო შემთხვევაში... ანტორები ასეთ თარგმნას სესხულობენ და არსად არ იხსენიებენ წყაროს“.
(254 გვ.)

უბედურებაც ის არის, რომ, როგორც ირკვევა, ჩვენმა რეცენზენტმა ბევრი რამ არ იცის და, კერძოდ ამ შემთხვევაში, განსაკვიფრებელ უვიცობას იჩენს.

როგორ? ი. აბულაძის რუსულ-ქართულ ლექსიკონის გამოსვლამდის (1927 წ.) არაეის მოსვლია აზრად „ა-თავსართიან ზმნის აა-თავსართიანით თარგმნა“? ჩვენი რეცენზენტი იქნებ იცნობდეს: „Тексты и разыскания по армяно грузинской филологии-ს მე-4ე წიგნს. სახელდობრ Б. მარის ნაშრომს: Древнегрузинские описаны I. Певец Давида Строителя, II. Певец Тамары. СПб. 1902 რეცენზენტმა იქნებ ინახულოს დასახელებულ შრომის ლექსიკონში (გვ. რწ). ალაღება, ჩვენი ლექსიკონის ბარათული დედანი ხსენებულ წყაროზე მიგვიითებებს და მოყავს: ალაღება... азнаваться. ესეც რომ არ იყოს განა დ. ჩუბინაშვილს ასეთი რამ არ მოეპოება? რეცენზენტმა გადაშალოს თუნდაც მისი (დ. ჩუბ) ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, მონახოს ადრელება (ადრეულები), აკეცა (აკეცე), აკრა (ავაქრა) და მათი რუსული შესატყვისები: закипеть, загибать, залеплять და ეგების დარწმუნდეს, რომ ი. აბულაძეს არაფრის შემოლება არ დასკირებია და ეს დ. ჩუბინოვს ქონდა ჯერ კიდევ 1840 წ.

აი, ასეთის უვიცობით ათავებს რეცენზენტი ჩვენი ლექსიკონის შესახებ დაწყებულ ბრალდებას „სპეციალურ ნაწილში“. ამის შემდეგ იწყება ჩვენი „პოზიციებისა და იდეოლოგიის გარკვევა გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის თვალსაზრისით“.

რეცენზენტი ცდილობს „ფაქტებით გამოამელავნოს „ლექსიკონის ანტი-მარქსისტული ბუნება და ის მავნებლობა, რასაც იგი ეწევა დღეს“.

1. პირველი ფაქტი ჩვენი ლექსიკონის ანტიმარქსისტულობისა ყოფილა ის ვარემოება, რომ ჩვენს ლექსიკონში თანამედროვე შემოკლებული სიტყვები არ შეგვიტანია. ეს ბრალდება, როგორც მკითხველიც შეინიშნავდა, გამეორებაა მე-9-ე მუხლში წამოყენებულ ბრალდებისა, და, ამიტომ, ჩვენს პასუხს აღარ გავიმეორებთ, ვფიქრობთ, რომ მკითხველი, მე-9-ე ბრალდებაზე გაცემულ პასუხით დაკმაყოფილდება. აქ კი განვაცხადებთ, რომ ჩვენ არამც თუ ვებრძვით საბჭოთა ტერმინოლოგიას, არამედ იგი ქართულად პირველმა ჩვენ დავამუშავეთ, ცენტრალურ

სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისიის წინადადებით, ამ ორი წლის წინათ და გაატარეთ კიდევ ხსენებულ კომისიაში. ამას დაგვიდასტურებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ვ. ბერიძე და ყოფილი მდივანი ე. ჯუღაშვილი. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ჩვენი ლექსიკონის შემდგენლობის ბეჭდვის საქმე რომ არ შეფერხებულიყო, დღემდის შემოკლებული სიტყვების ეს დამატებაც დაბეჭდილი იქნებოდა.

2) ჩეორე ბრალდებად რეცენზენტი შემდეგს გვიყენებს:

„ავტორები გულმოდგინედ ჩამოსთელიან აუარებელ უკვე მკედარი, ხმარებიდან გადავარდნილ რუსულ სიტყვას. ცნობილ ვლ. დალის ლექსიკონს ერთგულ დარაჯებათ გახდომიან“.

არა გვერნია, რომ ვლ. დალის ლექსიკონის ერთგულ დარაჯობაზე ვინმემ გაგვიციხოს დოც. კ.ს მეტმა. მკითხველმა, ალბათ, იცის, რომ რუსული ენის ერთადერთი განმარტებითი ლექსიკონი ამჟამად დალის ლექსიკონია. მას რედაქცია გაუკეთა ცნობილმა ენათმეცნიერმა ბოდუნ-დე-კურტენემ, და დღესაც ვერ წარმოგიდგენია დალის ლექსიკონის დაუხმარებელი მომუშავე ვერც ერთი რუსი მწერალი. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი მწერალი ანდრეი ბელი:

„Дома ждут и вседневный стол, и переписка, и нужные справки и словарь Даля. (ნ. კრებული: Как мы пишем. Изд-во писателей в Ленинграде. 1939. стр. 22).

თვით პროფ. ი. ა. ბოდუნ-დე-კურტენე ასეთის ალტაცებით იხსენიებს დალის ლექსიკონს:

„...Словарь Даля. составляет неоспоримое сокровище. Этот труд единственный в своем роде... Словарь Даля является не только одною из самых богатых сокровищниц речи человеческой, но кроме того сборником материалов для исследования и определения народного склада ума, для определения мироощущения русского народа“ (ნ. Толковый словарь живого великорусского языка Владимира Даля, третья, исправленная и значительно дополненная, издание под редакцией проф. И. А. Водуна-де-Куртена. Том первый А-З. Изд. тов. М. О. Вольф. СПб.-Москва. 1903. гл. XI).

ამის შემდეგ, ვეკითხებით დოც. დ. კ.ს: მაშ ვის ლექსიკონს უნდა გავხლო-მოდით „ერთგულ დარაჯებად“?

რაც შეეხება იმ „აუარებელ“, ვითომდა „ხმარებიდან გადავარდნილ რუსულ სიტყვებს“, რომელთაც თქვენ ამოსწერთ ჩვენს ლექსიკონიდან, — ჩვენ ვაცხადებთ, რომ მათს ლექსიკონში ყოფნას სათანადო გამართლება მოეპოება. ჩვენი ლექსიკონის წინასიტყვაობის მე-6 მუხლი სწორედ ამას გვიმტკიცებს. აი ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო მათთვის ყურადღება არ მიგვექცია და ლექსიკონში არ შეგვეტანა (ნ. ამის შესახებ. А. М. Селишев. Язык революционной эпохи Из наблюдений над русским языком последних лет (1917—1926). Из. второю. „Работник просвещения“. Москва 1928. гл. 63).

ცნობილია რომ, ვ. ი. ლენინსაც უყვარდა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება, როგორცაა: *всуча, грядет, паки паки, сугубый, сугубый, якобы* და სხვა. დავესაუფილდეთ ორიოდ მაგალითით: ა) *Всуча приемля имя Маркса (Н. Ленин. Тактика большевизма 1905. стр. 103.)*, ბ) *Поднимается красная заря, грядет пролетарская революция (Лен. Так. 1906 г.г. 166)* და სხვა. მართლაც და ვინ არ იცის, რომ რომელიმე *вдосталь*, *вотще* დღესაც ცოცხალია, და ჩვენს ლექსიკონზე მკირე მოზოპილობის რუსულ-უცხოურ ლექსიკონებში შეტანილია.

1). *Вдосталь*. ნახ.

ა) Русско-немецкий словарь, сост. Несслер. изд. „Советская Энциклопедия. Москва 1929. 85 სვეტი.

ბ) Русско-английский словарь, сост. С. К. Болнуе и В. К. Мюллер. изд. „Сов. Энци“. М. 1932. 112 სვეტი.

2). *Вотще*.

ა) ნესლერის—115 სვეტი.

ბ) ბოიანუსის—162 სვეტი.

სიტყვები *вретище*, *двадесятый*, *доволить* და ყველა დანარჩენი, რომლებიც დოც. კ-ს ჩვენს ლექსიკონიდან ამოუწერია, (ზოგი დამახინჯებით: *закаржаветь* *занорток*, უნდა იყოს *закоржаветь*, *запорток*) „კვდარი, ხმარებიდან გადავარდნილი“ დღესაც არ არის. ეს სიტყვები ვ. დალს აქვს, შეტანილია აკადემიის ლექსიკონში და რაღა ჩვენს ლექსიკონს უმტკიცებს „ანტიმარქსისტულობას და შავნებლობას“! დოც. კ-ს გაეახსენებთ, რომ შემოხსენებულ სიტყვათა უმრავლესობას რუსი კლასიკოსებიც (პუშკინი, გოგოლი, ჟუკოვსკი, ნეკრასოვი და სხვა) ხმარობენ.

3. რეცენზენტის მესამე ბრალდება მთლად სცილდება ცილისწამების ყოველგვარ სახეღარს. იგი კვლავ უბრუნდება ჩვენს ლექსიკონში გამოტოვებულ სიტყვებს და, თუმცა ჩვენ წინასიტყვაობით გავაფრთხილეთ მკითხველი, რომ პირველი ასოები ნაკლებ სრულია, ვიდრე მომდევნო, რის გასწორებაც შესაძლებელია მხოლოდ შემდეგს გამოცემაში, —რეცენზენტს მაინც ყოფნის სითამამე განაცხადოს:

„ახალ სიტყვებს, რეკოლუციის პროცესში შექმნილ სიტყვებს, რომლებიც სწორედ რეკოლუციური ეპოქისათვისაა დამახასიათებელი, ავტორები მზარს უტყვენ და ლექსიკონში არ შეაქვთ“; (გვ. 255).

ჩვენი ლექსიკონის და მის წინასიტყვაობის წუთიერ ყურადღებით გადამთვალეგრებელიც კი ადვილად დარწმუნდება, რომ რომელიმე სიტყვის გამოტოვება ჩვენს ლექსიკონში არავითარ წინასწარ განზრახულ „მზარის აქცევით“ არ არის გამოწვეული. მაგრამ, რეცენზენტმა რომ თავისი ბრალდება ფაქტებზე დაამყაროს, გამოტოვებულ სიტყვათა სიას ზრდის ისეთი გამოთქმებით, როგორცაა *диалектический материализм* და *генеральная линия*. ჩვენს რეცენზენტს აბსოლუტურად არ ესმის ჩვენი (და საერთოდ თითქმის ყველა თარგმნითი) ლექსიკონის გაწყობის წესები. რომელი ლექსიკონი აწყობს, როგორც

წესი, ზედსართავ სახელებზე სახელ არსებობებს? ესეც რომ არ იყოს და თქვენი ბრალდება, რომ სიმართლეს შეიცავდეს, მაშინ ხომ არც генеральный და არც диалектический უნდა გვეკონოდა ლექსიკონში შეტანილი? რეცენზენტის დიალექტический материализმ-ს და генеральная линия-ს ვარწმუნებთ, რეცენზენტს, რომ ჩვენი ლექსიკონის მომდევნო ნაწილში (რომელიც მეორე წელია დამზადებული გვაქვს) მათაც თავისი ადგილი აქვთ მიჩნეული: линия генеральная და материализм диалектический: შემოკლებულ სიტყვებში შეტანილი გვაქვს აგრეთვე диамат—დიამატი. აქასთან ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ თვით სსრკ სამეცნიერო აკადემიის ლექსიკონში არც генеральный-სთან და არც линия-ს თან (როგორც ჩვენა გვაქვს) генеральная линия მოყვანილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ლექსიკონში линия-ს და მის სხვადასხვა სახეობას, სათანადო ციტაციით რუსულ ლიტერატურიდან, დათმობილი აქვს სულ მცირე 7 სვეტი. ხსენებულ ლექსიკონის ეს ნაკვეთი კი 1928 წ. არის დაბეჭდილი. (С. Словарь русского языка, составленный постоянной словарной комиссией Академии наук СССР. Пятого тома выпуск третий. Ленинград 1928. 594—601 სვეტები).

ამავე ბრალდებაში რეცენზენტი შეგვნიშნავს: „აუარებელი სრულიათ ზედმეტი უცხო სიტყვებითაა დატვირთული ლექსიკონი“.

რეცენზენტს მაგალითები არ მოყავს. შესაძლოა, ზოგი რამ რეცენზენტს ზედმეტად მოეჩვენა, მაგრამ ზედმეტი არ იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვგონია მათ მიხედვით სარგებლობის მეტი არა შეუძლიათრა. მით უფრო რომ ზოგიერთ, ინტერნაციონალურ ბუნების, უცხო სიტყვის ქართული დაწერილობა ყოველთვის ადვილი გადასაწყვეტი არ არის ლიტერატურულ მუშაქისათვის. ამ მხრივ არც ჩვენს რეცენზენტს ავნიშნავდა, რომ დაუსწრებელ პედიანტიტუტისათვის. „ქართული ენა და მეთოდია“ ჩვენს ლექსიკონში ჩაუხედლივ არ დაეწერა. მაშინ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, გარკუნს არ დაწერდა (სწორება: პარპუნი). (ნახ. დ. კარბელაშვილი. ქართული ენა და მეთოდია. გვ. 9. გარკუნი).

4. მეოთხე ბრალდებად რეცენზენტი „თანამედროვეობის, ახალი ეპოქის ქროლის, ჩვენი სოციალისტურ მშენებლობის“ წინააღმდეგ ბრძოლას გვიყენებს. იგი წერს:

„ახლა ვნახოთ, რას სწადიან ავტორები ქართული ენის მიმართ? გადაშალეთ ლექსიკონი, ჩათვალიერეთ ბოლომდე: თუალწინ ავტორებმა ქართველი ნაციონალისტი-პურისტი, რომელიც დაყენებით ებრძვის თანამედროვეობას, ახალი ეპოქის ქროლვას, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და ლამობს აადვილოს ის, რაც უკვე მომკვდარა ფეოდალურ არ სტოკრატისთან ერთათ“. (გვ. 255).

ამ თავის ბრალდებას ჩვენი რეცენზენტი „მნათობის“ ფურცელ ნახევარზე, ჩვენი ლექსიკონიდან დამახინჯებულად, ამოწერილ სიტყვებით „ამტიკებს“ და თანაც შენიშნავს:

„ვგრძნობთ, რომ მკითხველი დაიღალა, მაგრამ მოკლეთ მინც უნდა ჩამოგვიოვა ყველა ის უმსგავსება, რასაც ადვილი აქვს ლექსიკონში“.

დადლილი მკითხველიც ადვილად შენიშნავს, რომ დოქტორ „გელერ-ტული“ ტონი მიმართულია ჩვენი ლექსიკონის ქვაკუთხედის, სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომის წინააღმდეგ.

რეცენზენტი დარწმუნებულია, რომ ფეოდალურ არისტოკრატიათან ერთად ჩვენი ეპოქისათვის მნიშვნელობა დაკარგა საბას მიერ დატოვებულმა ქართულ ენის საუნჯემ. რეცენზენტი ისე შორს მიდის, რომ მიუღებლად მიიჩნია ისეთი სიტყვებიც კი, როგორცაა: ტაბუხი, მურკენა, სახლის შეყვრა, ვარსამი, ფამი, ლობე დაქენებული, ერთყამიერი, ძმაცვა, ზერდაგი და სხვა. რომ აქ მოყვანილი და სხვა მრავალი, მის მიერ ჩვენს ლექსიკონიდან ამოწერილი, სიტყვები დღესაც ცოცხალია, ამაში დოქ. კ.ს თანამედროვე ქართულ ლიტერატურის გადათვალეირებაც ადვილად დაარწმუნებდა, და ეს სიტყვები მაინც გადარჩებოდა მის მრისხანებას და „უშსგავსებათა“ რიცხვში არ მოგვიქცედა.

მართლაც და ტაბუხი ხომ მარტო ფეოდალ-არისტოკრატებს არა ქონდათ?

საბა ც ხომ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა გლეხური იყო. (ნ. დაბ. ლექ. გვ. 330).

1. ტაბუხი—მუხლის-თავი გლეხურად. აღსანიშნავია, რომ სსრ ცაკთან არსებულ მთავარ სატერმ. კომიტეტის თავჯდომარის, ფ. მახარაძის მიერ დამტკიცებულ ნორმალურ ანატომიის ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა შეტანილია (ნ. ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია. ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგია კომიტეტის გამოცემა № 3. საბელგამი. 1930. ტფილისი. გვ. 188. ტაბუხის ბუდე, ანუ სატაბუხე). ვკონებთ ეს წიგნი საგნისა და ენის სპეციალისტების მიერ უნდა იყოს დამუშავებული. ესეც რომ არ იყოს, ეს სიტყვა დღესაც იმზარება ქართლს, კახეთსა და გურიაში.

2. მურკენა. არც მურკენა ყოფილა „უშსგავსება“ და „თანადროულობის მოთხოვნილებებისათვის“ უვარგისი“.

რეცენზენტი, რომ ჩვენს წინააღმდეგ მართლაც მარქსიზმის სახელითა და მის ნიადაგზე აწარმოებდეს ბრძოლას ჩვენს ლექსიკონის წინააღმდეგ, და მასზე ზედგამოჭრილა არ იყოს ლენინის სიტყვები: „мы принимаем имя Маркса“, მაშინ მარქსის თხზულებებს მაინც გადაათვალეირებდა ქართულად, როგორც „მარქსისტი და ქართველი ენათმეცნიერი“. რეცენზენტმა გადაშალოს კარლ მარქსის კაპიტალი, კრიტიკა პოლიტიკურ ეკონომიისა, ტომი მესამე, ნაწილი პირველი, მაღაქია ტოროშელიძის რედაქციით თარგმნილი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა 1932. გვ. 78 და ამოიკითხოს: „ამას კიდევ უნდა მიუმატოთ აღნიშნული რაოდენობის ერთი მესამედა მურკენისა და სხვა პროცესებისათვის“.

3. რეცენზენტი დარწმუნდეს, რომ „თანადროულობის მოთხოვნილებებისათვის“ საჭირო ყოფილა აგრეთვე ძმაცვა, ბოროტგანმზრახველობა, რომელიც მას ბოროტგანმზრახველობით ჩვენს წინააღმდეგ გამოუყენებია. რეცენზენტმა მონახოს ამავე „კაპიტალის“ III-ს ტ. XXIII გვ. ფრ. ენგელსის წინასიტყვაობაში და ამოიკითხოს: „სრულიად ისეთივე შეგნებული სოფისტი, პარალოგისტი, ტრაბახა და მძმაცველი იყო“...

4. ვარსამი || ვარსიმი რომ ცოცხალი სიტყვაა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტფალისის პარიკმახერები ვარსიმებად იწოდებიან. ვარსიმაშვილი გვარია (იგივე დალაქიშვილი). (ნახ. მ. ვარსიმაშვილის მოკონებანტი, *ქართული ენის მატრიანე*, (1927 წ. № 1, გვ. 161). რეცენზენტმა გაიხსენოს *საბჭოთა ენის*

შეას გიტყვებდე მეფის ბილით

ვარსამისა სავსე მჯილო.

დ. გურამიშვილი.

5. თამი. ყველაზე განსაკვირებელი ის არის, რომ რეცენზენტი თამის წინააღმდეგაც იბრძვის. გამოდის, რომ თამი, ამჟამად არ შეიძლება ვიხმაროთ. რეცენზენტმა ნახოს:

1). მიმიძის ახლა თვისუფლების ეამს... (ლენინი. ტომი III. ფ. მახარაძის რედაქციით, გვ. 5).

2). „საქმეების მდგომარეობა ამჟამად შეპირებულია („კაპიტალი“ III, გვ. 98. აგრეთვე გვერდ. 99, 100, 102 (სამჯერ) და სხვა მრავალი).

3). ა/წ. „მნათობის“ № 1-2-ის შესაბამე გვერდზე:

მხადა ვართ საომრად ნიადგ ეამს!

იქვე: გარდატეხის ეამს... გარიტრატის ეამს... (გვ. 16) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ტაბუხი, მურკენა, ძმაცვა, ვარსიმი და თამი შეტანილია თვით რ. მეკელაინის ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (ნ. რიჰარდ მეკელაინი. ქართულ-გერმანული სიტყვარი. Georgisch-Deutsches Wörterbuch von Richard Meckelein. Berlin 1928.

6. სახლის შეკვრა. ეს სიტყვა რომ ცოცხალია და ლიტერატურულად ზედმიწევნით უდრის ბოიკოტს, ამის შესახებ რეცენზენტს მივეუთითებთ ნ. ლომოურზე. არა გვეონია დ. კარბელს ნ. ლომოურის ენის ცოცხალში ეჭვი შეუვიდეს.

„სახლი შეუკრათ ეონას, სახლი!“—დიძახა სიბრაზით ენაშ. (ნახ. ნ. ლომოური. მოთხრობები. სახელგამი 1926 წ. გვ. 91)

ასე ლაპარაკობენ ქართლის გლეხები.

7. ზერდაგი—ჩალისფერი უხენი. ჩვენი ლექსიკონის ბარათული დედანი ნ. მარის ნაშრომზე მიუთითებს რეცენზენტს. (ნ. Древнегрузинские описаны. გვ. 23). რეცენზენტი რომ მარქსს არ კითხულობს ეს ვიცოდით, მაგრამ თუ მარსაც არ კითხულობდა ეს აღარ გვეყონა! რეცენზენტი ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენს ლექსიკონში მრავალი „უხამსობა“ და „უმსგავსობა“ აღმოაჩინა და ამის შემდეგ მკითხველს აცნობს იმ „მეტისმეტათ მოფიქრებულ გეგმას“, რომლითაც ჩვენ „ძველმანი შეგვიპარებია“ იმ მკითხველისადმი, „წინასიტყვაობაში, რომ მიზანში ამოგვილია“.

აქ რეცენზენტი უკვე „მავნებლურ გეგმის“ აღმოჩენით ამაყობს და წარმოიდგინეთ ეს ყოფილა ის გარემოება, რომ ჩვენ სულხან-საბას ლექსიკონი გაგვიხდია ძირეულ ბაზად.

ენახოთ რამდენად მართლა მავნებლურია ჩვენი ბაზა—სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის გამოყენება.

იაფეტიდოლოგიის „ერთგულ“ დარაჯს უნდა ცოდნოდა იაფეტიდოლოგიის ფუძემდებლის აკად. ნიკო მარის მაღალი აზრი საბას ლექსიკონის შესახებ:..

„...и по количеству слов и особенно по качеству объяснений и по приемам т. е. по плану и по выполнению, словарь этот большею частью услащенный ссылками на лучшие древнегрузинские литературные памятники... далеко превосходит грузино-русско-французский словарь Чубинского... (Труды АН СССР, 1958 г. т. 1, с. 118) в. удостоенный Академией наук полной Демидовской премии. В последнем словаре большинство ссылок представляет лишь перепечатку из Орбелиановского словаря, точнотакже переводы его толкований, но часто с ошибками. (ნახ. ნ. მარი. По вопросу о состоянии умственной жизни в Грузии XVIII века, გვ. 198).

ანდა მისივე უკანასკნელი მითითება პ. ინგოროყვასაძეში, „რუსთველიანის“ გამო დაწერილ წერილში:..

„...аусть внимательнее отнесутся к словам такого исключительного по глубине знания родной речи лексикографа, как Сава-Сулхан Орбелиани, который в соответственных местах дает редкое толкование сомнительных слов... („Изв. АН Груз. 1927 г. № 5—6, стр. 368).

ამის შემდეგ მკითხველმა თვით განსაჯოს, რამდენად მართალია რეცენზენტის რტკიცება, რომ საბას ლექსიკონის ჩვენ მიერ ბაზად გამოყენება ნიშნავს „მეცნებლობას და ზიანის მოტანას საბჭოთა მკითხველისათვის“.

ილარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ჩვენგან დამოუკიდებლივაც, ჩვენს ტექნიკურ ლიტერატურაში გამოყენებულია საბას ისეთი სიტყვები, როგორცაა: კაშხალი (плотина), საკისარი (позшипник), კანკიკი (болт) და სხვა მრავალი. ჩვენ ამით მოვიხდით მკითხველის წინაშე იმ არასახარბიელო მოვალეობას, რომელიც დაგვაკისრა რეცენზენტმა თავისი წერილით.

ამხ. კარბელაშვილს კი ფურჩევდით საერთოდ, შემდგომისათვის მაინც, სახელმძღვანელოდ გაეხადა ფრ. ენგელსის აზრი ერთ კერძო შემთხვევისა გამო ნათქვამი: „როდესაც ადამიანი სამეცნიერო საკითხებს ხელს ჰკიდებს, უწინარეს ყოვლისა უნდა ისწავლოს იმ თბულტებების კითხვა, რომლებითაც სარგებლობას აპირებს, ისე, როგორც ისინი დაუწერია ავტორს, და უპირველეს ყოვლისა იქ ის არ ამოიკითხოს, რაც მათში არ მოიპოვება“ (კ. მარქსი. კაპიტალი. III¹ გვ. XXV).

ეს ზოგადად.

კერძოდ, ჩვენი საქმის გამო, უნდა განვაცხადოთ:

ლექსიკონის შედგენა რომ ადვილი საქმე ყოფილიყო დ. ჩუბ-ნიკოვი¹ შემდეგ ამ საქმეს ვინმე კიდევ გამოაბამდა თავს. ჩვენ ამ მძიმე საქმისათვის არ ვზოგავთ ენერჯიას და შრომის მოყვარეობას. მხადა გვაქვს თითქმის მთელი ლექსიკონის ძირეული ნაწილი. შეიძლება ნაკლის მითითება: მეცნიერულ კრიტიკის ყოველივე აზრს ჩვენ სიამოვნებით მოვისმენთ. ჩვენ არ ვფარავთ ჩვენს ნაკლს და „პაპისებურ“ უტოდველობაში თავს არა ვდებთ. საჭიროა ამ საქმეში ყველა დაგვეხმაროს. მაგრამ, ვისაც ეს არ შეუძლია, კეთილინებოს და ხელს მაინც ნუ შეგვიშლის.

ქუჩის მკობი

თ. საზოგადო.

კლარა ცეტკინი

(მომხსენება)

პარიზი, 1888 წლის გასული. Rue de la Glacière, № 11, Port-Royal-სა და Boulevard Arago-ს შუა მდებარე, ბინა იმავე სახლში, სადაც მოთავსებულია რუსული ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის გვერდით ორი ოთახი უჭირავს რუს ემიგრანტს ოსიპ ცეტკინს, დამბლად ჩაეარდნილს. მასთან ცხოვრობს მისის ორის ვაჟითურთ ახალგაზრდა, ასე 30 წლისა, მეუღლე კლარა, რომელიც ამის შემდეგ სულ მალე შეიქმნა სული და გული რევოლუციონერ მოძრაობისა გერმანეთში, განსაკუთრებით ბელადი მშრომელ ქალთა ემანსიპაციისა. უფროსი ვაჟი წლისაა და სულ მამასა ჰგავს, ხოლო უმცროსი 4-სა და პირწავარდნილი დედა და საალერსოდ „გერმანელს“ ვეძახით.

საიდან და როგორ მოგხვდით ამ ოჯახში?

ოსიპ ცეტკინი ოდესელი ებრაელი იყო და სამოცდათიან წლებს დასასრულს ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა. დაახლოებული ყოფილა ოდესის უნივერსიტეტში იმდროინდელ მოსწავლე ქართველ სტუდენტებთან. განსაკუთრებით დიდი მეგობრობა ჰქონია ჩვენის ოთხმოციან წლების თვალსაჩინო პუბლიცისტის და გაზეთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხისა, რომლის სახელს ო. ცეტკინი მოწიწებით იხსენიებდა ხოლმე. რევოლუციონერ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობისათვის რუსის მთავრობის მიერ დევნილი, საზღვარგარედ გადახვეწილი, გერმანეთიდანაც დევნილი, ჯერ ერთხანს შვეიცარიაში ცხოვრობს და 1888 წელს პარიზს მოაშურებს, სადაც რევოლუციონერობისათვის დევნილნი ყველა ქვეყნისა უშიშარ თავშესაფარს და სტუმართმოყვარულ დახვედრასა ჰპოვებდნენ. აქ ო. ცეტკინს გაეცნობა იმ დროს იქმყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა (მათს შორის ემიგრანტი ნ. აივაზიშვილი). ცეტკინს, მესხის სიყვარულით და სიმპატიით, მკიდრო კავშირი გაუბამს ქართველებთან, რომლებიც მასთან სიამოვნებით დადიან, როგორც თვალსაჩინო ემიგრანტთან და ხელმძღვანელთან რევოლუციის საქმეში. მე კიდევ პარიზში 1888 წლის დასასრულს ჩავედი და სორბონაში ვსწავლობდი. ქართველებმა პირველადვე წამიყვანეს ო. ცეტკინის ბინაზე და გამაცნეს. იმ დროს უკვე დამბლა ჰქონდა დაცემული და ლოგინად იწევა, ადგომა და თავისით მოძრაობა არ შეეძლო. ძალიან გაეხარდა, რომ ახალი ქართველი მიმიყვანეს მასთან. მომილატრსა. მკითხა

სერგო მესხის ამბავი. ცნობით არ ვიცნობდი პირადად, მაგრამ დიდი კვალი კი დაამჩნია ჩვენს მწერლობას, როგორც განათლებულმა პუბლიცისტმა და ახალ, მოწინავე აზრების გამტარებელმა ჩვენს ჩამორჩენილ ცხოვრებაში მეთქი. თავის მეგობრის ქების გავიონება საშინლად გაუხარდა. მთხრანის მგელი მათთან.—ჩემი სერგოს (მესხის) ქვეყნის ხალხს რომ ვხედავ,—მითხრა,—ისე მგონია თვით სერგოს ვუსურებ და წარმოვიდგენ ჩემს ახალგაზრდობას, ოდესის სარეგულაციო წრეებს, სადაც სერგო განუწყურლად ჩემთან იყო და ახალგაზრდურის გატაცებით და თავდავიწყებით ვმუშაობდით ახალის იდეების განხორციელებისათვის და ხელმწიფის მონობისაგან ხალხის განსათავისუფლებლად თავი არ გვეზოგებოდა. ჩემი თანამებრძოლნი ცოტანი და დარჩენი,—ზოგნი შორს კიმბირში დაიხოცნენ, ზოგნიც რუსეთის ციხეებში ამოალპეს ხელმწიფის ენდარმებმა. სერგო აღარ არის. მალე მეც იმის კვალს გავყვები... თქვენ, ახალგაზრდები, ვინც ამ თავისუფალ ქვეყნის დედა-ქალაქში მოსულხართ, ყველაფერი ხელს გიწყობს სწავლა შეიძინოთ. თქვენც ეცადეთ დაეწყოთ ამ სწავლას. ბევრი, სულ ბევრი ისწავლეთ. სობონა კარგია, გამოჩენილ ისტორიკოს ერნესტ ლავისის ლექციების მოსმენა კიდევ უკეთესია, მაგრამ რასაც იქ გაიგონებთ, შეაგნეთ პარიზის ქუჩების ისტორიის, მათის თავგადასავლის შესწავლის საშუალებით. პარიზის, ამ თავისუფლების აკვანის, ყოველი კუთხე, ყოველი შენობა, ყოველი ძეგლი, ყოველი ქვა—უტყვნი მოწმენი არიან განვლილ დიდ რევოლუციისა, კომუნარების თავდადებისა, მათის წმიდა სისხლით ყოველის კუთხის მორწყვისა. თვითონ ქუჩა და მოედნებია გარდასრულ ცხოვრების გაჩვენებელი, რათვან ამ ქუჩებსა და მოედნებზე იყო აგებული ბარიკადები, ამართული გილიოტინები, აქ იხერიტებოდენ მუშები, აქ ინთებოდა კოკონი, ხდებოდა აფეთქება... ჰო, ისწავლეთ და კიდევ ისწავლეთ, რომ კარგათ მომზადებულნი დაბრუნდეთ და გამოადგეთ თქვენს ქვეყანას, თქვენს ხალხს, რომელსაც, როგორც ჩემ ძვირფას სერგოსაგან გამოგონია, ნასწავლები ძალიან ცოტა ჰყავს. გამოიყვანეთ ეს ხალხი სიბნელიდან, აუბილეთ თვალები, დაანახვეთ მტერი და ამ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმეთ... როცა რამე საკითხი გექნეს, თქვენთვის ბნელად გასარკვევი, ნუ მომერიდებით, მკათხეთ, რამდენადაც ავადმყოფობა ნებას მომცემს, დაგებმარებით ჩემის ცოდნით, გამოუძილებით. ჩემი ცოლიც მუშათა მოძრაობაშია ჩაბმული. ისიც წავიყვანთ კრებებზე, გაგაცნობსთ აქაურ ხალხს, გაგაცნობსთ ამ მოძრაობას, მის მიმართულებასაო..—დაამთავრა ცეტკინმა თავისი ლაპარაკი ჩემს პირველ გაცნობაზე.

მეც და სხვებიც დაედიოდით და ხშირადც დაედიოდით მის ოჯახში. და ისე ვგანობდით თავს, როგორც საკუთარს სახლში, უფროს ძმასთან. მისი ოთახი აუდიტორია იყო. ვისმენდით ო. ცეტკინისაგან რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის როგორც წარსულს, ისე მიმდინარე ამბებს. და გატაცებით ლაპარაკს რომ დავეცივებოდა, იმასაც ავიწყდებოდა, რომ ავადმყოფობას საუკუნოდ ჰყავდა მიჯაჭვული ლოგინზე, და ჩვენც, მისი ლოგინი რომ არა, ვერ წარმოვიდგენდით, თუ ავადმყოფი გველაპარაკებოდა: ისე გაცოცხლებოდა, ისე გახალისდებოდა ამ საყვარელ ტემაზე ლაპარაკის დროს.

ო. ცეტკინის მეუღლე კლარა, მერე გერმანიაში მუშათა და საბრუნველყოფის მოძრაობის სათავეში დამდგომი და ბოლოს გერმანიის კომპარტიის ერთი თვალსაჩინო ბელადი, რომელიც ღრმადმოხუცებული ამ თიბათეში გავლენიანი მამიანი, რა ხანსაც ჩემი მოგონება შეეხება, იქნებოდა ასე 30-32 წლის „ქაქაბაქა“ კაბალი ტანისა, გამხდარ-გამხდარი. მაღალი შუბლი და ცოცხალი თვალები ამოწმობდა, რომ მათი პატრონი ჩვეულებრივი სიკვდილის შვილი არ იყო. შთეს სახეზე ზრუნვისა და ფიქრის ბეჭედი ჰქონდა აღბეჭდილი. ქმარმა გააცნო ჩემი თავი და თან ჩააბარა—წავეყვანე ხოლმე მუშათა კრებებზე, გაეცნო ჩემთვის ფრანგ მუშების მოძრაობის მიმდინარეობა. ისიც მკაფიოთ, გერმანულ აქცენტთან ფრანგულით დამპირდა ქმრის მაგივრობა გაეწია ჩემთვის.

მაელის დღის განმავლობაში კლ. ცეტ.-ის ფეხები ჩაუკრეფავი იყო. იმას რომ ვუყურებდით, პირდაპირ გვიკვირდა და ერთმანეთს ვეკითხებოდით, თუ როდის ისვენებდა ეს გარეგნობით სუსტი ადამიანი, ან ისვენებდა კია?

მთავარი მისი ზრუნვის საგანი იყო დამბლად ჩავარდნილი ქმარი, რომელიც ქაქაბაქა ვერ ახერხებდა თავისათ, ლოკინში ერთ გვერდიდან მეორე გვერდზე გადაბრუნების დროს შექველათ ცოლი უნდა მიჰშველებოდა. ახლა მისი საცვლების გამოცვლა, გარეცხვა... ახლა პატრონობა ორ ორი პატარა შვილისა...

დილით ადრე ადგებოდა. ქმარ-შვილს რძიან ყავას დააღვინებდა, ოთახს შილაგებდა, მერე კალათს დაიჭერდა და იქვე მახლობლად ცხენის ხორცის საყასბოში წავიდოდა, სადაც ერთმანეთს არა-ერთხელ შეხვედრივართ. ცხენის ძვლებს ვაპოართმევდა გირვანქას 25 სანტიმად (ორ შაურად), 60 სანტიმისას ცხენისავე ხორცს იყიდდა შესაწვავად, 20 სანტიმისას კართოფილსა თუ მწვანისს და შინ წამივიდოდა. ასეთის შეხვედრის დროს ყოველა შემთხვევა, რომ საყრდელი ფული დაჰკლებოდა და დიდის მობოდიშებით ჩემთვის ეთხოვოს ხელის მომართვა... მე კიდევ... ნახევარი ფრანკი თუ ამომივიდოდა ჯიბიდან (ქათმის შეძლება კვერცხიას!), ჩემის მზრით დიდი ვაჟაკობა იქნებოდა. მერე სანამ არ დამიბრუნებდა ნასესხებს, მანამ ვერ მოისვენებდა.

შინ მისული, სადილს გააკეთებდა, ბავშვებსა და ქმარს აჭმევდა, ბოლოს თვითონაცა სჭამდა. ავადმყოფის მოვლა ხომ ისე ღლიდა, და იმას, ერთხელაც არი, არ აფშალღებია კილო ლაპარაკისა, ერთხელაც არი, არ წამოსცდენია საყვედური და სამდურავი თავის ბედისა. ერთხელ ქათინაური შეეკადარე მის მომინებისათვის და ასე მიპასუხა:

„რას იზამთ, ჩემო ძვირფასო ამხანაგო!... ცხოვრება ასეთია, უნდა გავუძლოთ, მაგრამ იმავე დროს უნდა კრიჭაში ჩავედგეთ სოციალურ უსამართლობას, მისს წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ, უნდა ვიბრძოლოთ და უნდა ვიბრძოლოთ იქამდე, სანამ არ გავიმარჯვებთ. ბრძოლას და მხოლოდ ბრძოლას შეუძლია მოგვანიჭოს ხსნა“.

სალამოს, როცა ქმარ-შვილს აჭმევდა, ერთ-ერთ ჩვენთაგანს სახლში მორიგედ დაგეტოვებდა ავადმყოფისათუ ბავშვების ყურისაგდებლად, თვითონ კი სადმე მუშების კრებაზე წავიდოდა, სადაც გამოდიოდა როგორც ორატორი, აგიტატორი, რჩევის მიმცემი, გზის მაჩვენებელი. ასეთს კრებაზე რამდენჯერმე მეც წამიყვანა. პარველად რომ დაეუკდე ყური საჯაროდ მოლაპარაკეს, ჩემს თვა-

ლებს არ ვუჯერებდი... ეს სუსტი ქალი, მოქანცულ-დამაშვრალი ოჯახისათვის ყოველდღიურ ზრუნვითა, იქით-აქეთ სირბილითა, ათასის დარღვითა, ბიბლიურ წინასწარმეტყველს ემსგავსებოდა, ატაცებულს, ზეგარდამო შთაგონების ტყველმოკიდებულს. ყოველი სიტყვა, რასაც პირიდან უშვებდა, ეტყობოდა, გულის, სიღრმიდან იყო ამოზეთილი, სიწრფელით გამთბარი, ეტყობოდა, რომ თავისი ნათქვამი სწამდა, მზად იყო ამ ნათქვამისთვის ტანჯვა ყოველი მოეთმინა, თვით კოცონზედაც-კი გასულიყო, ოღონდ... ოღონდ მუშათა კლასის სოციალურ განთავისუფლებისათვის, მის კეთილდღეობისათვის, რომლისთვის ის იბრძოდა, ამით თუნდ კინი სარგებლობა მოეტანა, ოღონდ იმ შენობისათვის, რომელიც მომავალს სოციალურ რევოლუციას უნდა შეექმნა, ერთი აგური მის ხელითაც დადებულყო...

ფრანგულად თავისუფლად ლაპარაკი ვერ ეხერხებოდა, გერმანული აკცენტი ძალზე ეტყობოდა, მაგრამ ფრანგ მშენებელს მისის ნათქვამის შინაარსი ამ ნაკლს ავიწყებდა და გატაცებით უსმენდა და მზურვალე ტაშის ცემით აჯილდოებდა. ასეთი კრებები უმთავრესად ხდებოდა პარიზის განაპირა უბნებში, სადაც უმეტესად მუშა ხალხი სცხოვრობდა.

კრებიდან ჩვეულებრივ ღამის თერთმეტ საათზე ბრუნდებოდა. კვირაში ორჯელ მაინც უნდა დასწრებოდა ასეთს კრებას, როცა კრებაზე არ იყო, ღამის 10 საათზე წვებოდა. ნაშუალამევის სრულ 2 საათზე უნდა გამოეღვიძნა და შესდგომოდა კორესპონდენციის წერას ბერლინის გაზეთისათვის (რომლის სახელი ახლა ვერ მომიგონია) პარიზის მუშათა ცხოვრებიდან. კვირაში სამი-ოთხი წერილი მაინც უნდა გაეგზავნა, რისთვისაც ყოველ ორ კვირაში ჰონორარს უგზავნიდნენ. და ამნაირად ნაშოვნის საგაზეთო ჰონორარი იყო მისი და მის ავადმყოფ ქმრისა და ორის შვილის ცხოვრების ერთად-ერთი წყარო, რომელიც სახანევროდ აძლედათ საშუალებას მშვიერები არ ყოფილიყვნენ.

რომ ვუყურებდით ამ სუსტ არსებას, ამდენის საქმის მკეთებელს, საკვირველს ვიყავით, საიდან იკრებდა ამდენს ენერგიას, რომ ყველგან გასწვდომოდა, ყველაფერი მოესწრო, ყველა საზოგადო ხასიათის საქმე გაეკეთებინა და ქმარ-შვილისათვისაც მიეხედნა!..

1889 წლის თებერვალში გარდაცვალა ოსიპ ცეტკინი. მთელი კოლონია დაესწრო რუს-ემიგრანტებისა მის დასაფლავებას, დაესწრენ ფრანგი-მუშებიც. დასაფლვეს მონპარნასის სასაფლაოზე. დიდმა პეტრე ლავროვმა, რუსეთის ნაროდნიკულ აზროვნების გოლიათმა, გამოსაზხოვარი სიტყვა უთხრა მიცვალებულს. სიტყვაში აღნიშნა მისი უტყუარი ღირსებები და სინანული გამოსთქვა, რომ ემიგრანტთა რიგებს გამოეცალა ისე იის ღირებულების პატრონი, როგორიც იყო ო. ცეტკინი, რომელსაც, ავადმყოფობას რომ არ დაეშალნა, შეეძლო დიდი როლი ეთამაშნა ალექსანდრე III-ის რეჟიმის დაშობისა და მონობისაგან რუსეთის ხალხის განთავისუფლების საქმეში.

ამ გვარად, კლარა ცეტკინისას ხელიდან გამოეცალა საყვარელი მეუღლე, და ამხანაგი ცხოვრებისა, ხელში შერჩა ორ-ორი ბაკჭვი სარჩენი და აღსაზრდელი.

იპანაც სინამდვილეს თვალები გაუსწორა თვისის ჩვეულებრივ მანქანობით, შეურაცხა ამ სინამდვილეს. მაგრამ დაწყებული მუშაობა, რომლისთვისაც ავად-მყოფ ქმრის გადაცვალება უფრო მეტს ღროს აძლევდა, ისევე გააგრძელა კუმეტე-სის მანქანობით. თანაცა ჰგაძობდა, რომ თავისს სამშობლოში, გერმანეთში, მისი მუშაობა უფრო ნაყოფიერი და შედარებით ადვილი იქნებოდა, ვიდრე პარიზ-ში, ამიტომ კოტახანს შემდეგ გამოგვითხოვა და ბავშებიანათ ბერლინში გადა-ვიდა სამუდამოდ. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ქართველები სულ მუდამ მესხობებიანო!..“

და აქი მოგვიგონა, როცა რამდენსამე წელს წინად საქართველოს დედა-ქალაქი ინახულა, უკვე ღრმად მოხუცებულმა ფიზიკურად, მაგრამ ენერგიით, სულიერად იმავე კლასა ცეცხინმა, რაც 1889 წელს იყო ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, ეს მოსისხლე მტერი კაპიტალიზმისა.

დიდბუნებოვან ადამიანებს დრო თურმე მხოლოდ ფიზიკურათ აუძლურებს.



ალექსანდრე ჯაბადარი

(ნეკროლოგი)

მიმდინარე წლის აპრილის 4 ტფილისში გარდაიცვალა, დაბადებიდან 72 წლისა, და ვერის ახალ სასაფლაოზე დასაფლავეს ალექსანდრე ჯაბადარი, რომლის სიცოცხლე, შეიძლება თამამად ითქვას, მკიდროდ დაკავშირებული იყო ქართულ მწიგნობრობის და კულტურის განვითარებასთან.

1890 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“. თუ აქამდე ქართული წიგნი კანტი-კუნტად გამოდიოდა და მის გამოცემასაც ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა, ამ „ამხანაგობის“ დაარსების შემდეგ გამომცემლობის საქმე რაციონალურ ნიადაგზე დადგა. გამოცემა ტომებად ნააზრები ჩვენის პირველხარისხიანი მწერლებისა: ილია ჭავჭავაძისა, აკაკისა, რაფ. ერისთავისა, ალ. ყაზბეგისა და მათი ნააზრი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. 1891 წელს „ამხანაგობამ“ უკვე საკუთარი სტამბა შეიძინა იაკ. მანსვეტაშვილისაგან (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ჭაშვეთის ეკლესიის შენობაში, აწუ ალექსანდრეს ბაღში), რამაც გამომცემლობის საქმე უფრო გააადვილა.

ამ ხანებში ქართულად მხოლოდ ერთად-ერთი პერიოდული გამოცემა არსებობდა — გაზეთი „ივერია“, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა, 600 ცალ ტირაჟით. 1893 წელს „ამხანაგობამ“ გამოიტანა ნებაართვა გამოცემა ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „მოამბე“, რომელიც გამოდიოდა 1894 წლიდან ვიდრე 1905 წლამდე და გამოჰბატავდა ქართულ აზროვნებას და კულტურას. თვითონ ალექსანდრე ჯაბადარი გამომცემა იყო „მოამბისა“. მასვე მოთავსებული აქვს ამ ჟურნალში (1894 წ.) ფრიად საინტერესო გამოკვლევა ინდოეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებისა.

1900 წელს ალ. ჯაბადარმა ვალერიან გუნიასაგან შეიძინა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (შემდეგში ქართველ ფედერალისტთა პარტიის ორგანოდ გადაკეთებული), იქნრა ამ გაზეთის რედაქტორობა და ერთბაშად გააცხოველა მუშაობაში საუკეთესო ძალების ჩაბმით. მალე გაზეთს დაუმატა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება, რამაც მკითხველების რიცხვი უცბად გაზარდა. მაგალითად, 1905 წელს გაზეთი გამოდიოდა 12,000 ცალად, რაც ქართულ გამოცემისათვის, ისიც პერიოდულიათვის, პირდაპირ გაუგონარი იყო.

ერთი სიტყვით, ალ. ჯაბადარმა ქართულ გაზეთს მკითხველი გაუჩინა და ამ მკითხველს კითხვა შეაყვარა, ხოლო წიგნს — ბაზარი. ამავე დროს დააარსა საუკეთესოდ მოწყობილი სტამბა, თავის ცინკოგრაფიითა, ასოების ჩამომსხმელ

განყოფილებით, საამკინძაოთი, რაც ერთიორად აადვილებდა ქართულ წიგნის გამოცემის საქმეს.

ჩვენის ცხოვრების მემბტიანემ უძველად უნდა ^{ქართულად} უნდა ^{წიგნების} უნდა იმ მშენიერ შენობას, რომელსაც ჩვენის მწერლობის, ჩვენის მწიგნობრობის ზრდა-განვითარება ჰქვია, ერთი კედელი საძირკველიდან ალ. ჯაბადარის და მისის უნარიანობის ამოყვანილი იყო.

1905 წლის რევოლუციაში პირადად, გამოჩენით მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მთელი მისი სახლი, სტამბა, რედაქცია თვითმპყრობელობასთან მებრძოლთ განკარგულებაში იყო თვითონ ალ. ჯაბადარი რამოდენჯერმე იჯდა მეტეხის ციხეში და ბოლოს რუსეთშიაც გადასახლეს აღმინისტრაციული წესით სასჯელის მოსახდელად.

მთელი ცხოვრება ალ. ჯაბადარისა წარმოადგენდა განუწყვეტელ საქმიანობას, რომელსაც აწარმოებდა იშვიათის ცოდნით, ენერჯით და უნარიანობით. მას ახასიათებდა წმინდა გერმანული პუნქტუალობა, ქართველ კაცისათვის ეს დიად იშვიათი და სანატრელი თვისება. ყოველ ცხოვრებაში მეტის-მეტად თავიანთი, ძორიდებული და აღუშფოთებელი იყო.

განსვენებულს დარჩა დასაგეჟად განმზადებული მოგონებანი და ორი ტომი ვრცელი გამოცემა საქართველოს ეკონომიკისა, რომელიც, სპეციალისტების აზრით, დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენის ეკონომიკის მკვლევართათვის მდიდარი და იშვიათი ბიბლიოეკა ალ. ჯაბადარმა სიცოცხლეშივე საქართველოს უნივერსიტეტს შესწირა.

ალ. ჯაბადარი სიგარეჯოელი იყო და ცნობილს რევოლუციონერს და ხალხოსანს ივანე ჯაბადარს ბიძაშვილად ჰხედებოდა.



ი. ენიკლოპოვი
(ივ. ენიკლოფაშვილი)

ახალი მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის

(ალექსანდრე ჭავჭავაძე უზენაში 1 28 29 წ. წ.)

ენიაწინისა და ერევნის ძველ ხელნაწერთა კრებულებში დაცულია ალექსანდრე ჭავჭავაძის რამდენიმე წერილი და განკარგულება.

მათი შინაარსის გასაგებად და აგრეთვე მათი ავტორის მოქმედებათა ხასიათის გასათვალისწინებლად 1828-29 წ. წ. პერიოდში, საჭიროა გავიხსენოთ მოკლედ ალექსანდრეს სამსახურის ნუსხა.

პაეტა კორპუსის გათავების შემდეგ, 1809 წლის დეკემბერში, ალ. ჭავჭავაძე გამოშვებული იქნა ლეიბ-გვარდიის ჰესართა პოლკის კორნეტად. 1811 წელს იგი ჩამოდის საქართველოში — კავკასიის მთავარმართებლის მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად. პაულუჩისავე ახლავს იგი კახეთის ამბოხების „დაწყნარების“ დროს, სადაც იჭრება ფეხში. ამის შემდეგ ალექსანდრე პაულუჩის მიჰყვება რუსეთში, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისილებად.

1813 და 14 წლებში ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობს საფრანგეთზე ლაშქრობაში

1817 წელს იგი გადმოჰყავთ პოლკოვნიკად ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც კახეთში იყო დაბანაკებული. 1821 წლიდან 1822 წლის ივლისამდე ა. ჭ. დროებით მეთაურობს ამ პოლკს, მაგრამ კამანდირად მაინც არ ამტკიცებენ. ამ თანამდებობაზე რუსეთიდან სხვას აგზავნიან, ხოლო ა. ჭავჭავაძე გადაჰყავთ ფეხოსან „ქართულ“ პოლკში, რაც იმ დროებში ყოველი კავალერისტი სათვის უდიდეს შურა(ყოფას) წარმოადგენდა. 1823 წლიდან ა. ჭ. აღარ მსახურობს და ითვლება საგანგებო მინდობილობათა ამსრულებლად მაშინდელ მთავარმართებელ ერმოლოვთან.

1826 წელს სპარსეთთან დაწყებული ომი მას კვლავ იწვევს სამხედრო ასპარეზზე. 1827 წლის მაისიდან ა. ჭ. იმყოფება ქართულ ლაშქარში, რომელიც შეკრებილ იქნა საქართველოს ყველა მაზრებიდან, ჩქარა ა. ჭ-ს აძლევენ გენერლობას და გენ. ერისთვის რაზმში ცალკე ნაწილის უფროსობას. ომის გათავების შემდეგ, 1828 წ. მარტის დასაწყისში ა. ჭ. ინიშნება რუსეთთან შემოერთებულ ერევნისა და ნახეჩევანის სახანოების, ანუ როგორც მათ იმავე წლის მაისიდან ეწოდა, — სომხური ოლქის, უფროსად.

ამ თანამდებობას, ზოგიერთ ვარემოებათა გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ომის სპარსეთის საზღვრებში გადატანის შემდეგ რუსეთის უმარტოეს სარდლობის ყურადღებას განსაკუთრებულად იპყრობს ერევნისა და ერევნის პროვინციები. ამ პროვინციების შესახებ გადაწყვეტილ იქნა კერძო საეროთოდ მიღებული პოლიტიკის დარღვევა და ერთგვარი საბუნებო უფროსების ავტონომიური სომხეთის შექმნა. ამ პროგრამამ სომეხთა სასულიერო წოდებასა და ბურჟუაზიაში დიდი სიმპატიები დაიმსახურა. უმაღლესმა სასულიერო წოდებამ, ეპისკოპოს ნერსესის სახით, რუსებს აღუთქვა ამ მიზნის განსახორციელებლად გამოეყენებინა მთელი თავისი გავლენა. საქმის წარმატებისათვის პეტერბურგიდან გამოწვეული იქნა ლაზარევი, უხვი ქველშოქმედი და გავლენიანი კაცი სომეხთა შორის. ეს ლაზარევი სათავეში ჩაუდგა ტფილისში შედგენილ სომხურ ლაშქარს, შემდეგ დაფუძნებულ იქნა სპარსეთიდან სომეხთა გადმოსახლებელი კომიტეტი. ამ კომიტეტში იღებდნენ დიდგვარიან სომეხ მოხელეებს. შეულგენ ღერბის შემუშავებასაც, საფუძვლად მას ედებოდა სომეხთა უძველესი სამეფო დინასტიების ღერბი. სომეხთა შორის დიდი აღფრთოვანება სუფევდა. გამოჩნდა ერთი გულუხვი შემომწირველიც, უცხოეთში მცხოვრები, რომელმაც ამ მიზნისათვის დიდი თანხის გაღების სურვილი განაცხადა. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა: „თვით რუსეთი იქნება მფლობელი და გამგებელი სომეხთისა, თუ იგი მას გახდის სახელმწიფოთა განსაკუთრებულ საურვოთ“ (ა ერიციანის არქივიდან ერევანში. 1813—31 წ. წ. დოკუმენტები).

ასეთი „სახელმწიფოს“ მეთაურის როლი მტრისმეტად დიდ მნიშვნელობას იღებდა. ა. ჭავჭავაძის დანიშვნა სწორედ ამ დროს მოხდა, მაგრამ რუსეთის მხედრობის წარმატებამ და თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებამ სრულიად შესცვალა სურათი. სპარსეთი განადგურებული იქნა, რუსეთმა მას განოსწოვა მთელი ოქროს მარაგი, ფულად და ზოდებდა. ორმოცი ათასი სომეხი წამოიყვანა სპარსეთიდან და დაასახლა საქართველოს ტერიტორიაზე, განდევნილ მესხების მიწებზე. ასეთი დიდი რაოდენობის მშრომელი მოსახლეობის დაკარგვამ საგრძნობლად იმოქმედა სპარსეთის ეკონომიკაზე. სპარსეთის მთავრობას კიდევ დარჩა გადასახდელი კონტრიბუცია, რომლის უზრუნველსაყოფად რუსეთის ჯარებმა ოკუპაცია გაუკეთეს ხოის და ურმიის პროვინციას.

უკვე შეიძლებოდა ანგარიში აღარ გაეწიათ სპარსეთისათვის, როგორც თანაბარ სახელმწიფოსთვის. აქედან სომხეთის, როგორც საბუნებო სახელმწიფოს საკითხიც იხსნებოდა დღის წესრიგიდან. ჩქარა ეს დაეტყო მთავრობის პოლიტიკასაც, ოქტის მმართველობის შესახებ ცენტრიდან გამოგზავნილი „დებულებების“ თანახმად თვითველ მახარაში დაფუძნებული იქნა საქალაქო მმართველობანი, ისე იგი პროვინციის სასამართლოები, რომელსაც შერეული სასამართლო საპოლიციო ფუნქციები ჰქონდათ. ეროლოგის სისტემა კვლავ აღდგენილ იქნა. საარჩევნო უფლების ყოველგვარი ნასახიცი კი გაქრა. დაპირებებმა ჩაილულის წყალი დალია. ეპისკოპოსმა ნერსესმა სცადა პროტესტის გამოთქმა, რისთვისაც ის დაუყონებლივ ბესარაბიაში იქნა გადასახლებული. ლაზარევი გააძევეს, გადასახლებულებსაც არ დაადგათ კარგი დღე და მხოლოდ გრიბოედოვმა, რომელიც იმ ხანად რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელად იქნა სპარსეთში დანიშნული, — ცოტა არ იყოს; შეამსუბუქა მათი ხედვრი.

აღ. ქვეყანის როლი ჩვეულებრივი რუსული გუბერნიის ჩვეულებრივი გუბერნატორის როლამდე დავიდა. ასეთ პირობებში მოუხდა მას ოლქის გამგებლობა, უმაღლეს დაწესებულების საოლქო მართებლობა წარმოადგინდა, მოხელეების მთელ შტატს. ეს მმართველობა შესდგებოდა შემდეგი ნაწილებიდან: უფროსი მრჩეველი და აღ. ქვეყანის მოადგილე — პოლკოვნიკი თავადი მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი (შემდეგ ცნობილი გულადი გენერალი), ნადვარინი სოვეტნიკი პ. პეტრიკოვი და მაიორი ვ. მ. მედოკსი (ცნობილი ავანტურისტის ძმა). ასესორები: მელიქი სააკი (ალექსანდრე ბატონიშვილის სიმამრი) და სართიუ ხან მაჰომედი. მმართველობის უფროსი ესაული იყო მ. ა. ენიკოლოფოვი. ერევნის პოლიცემისტერად — მაიორი ჩილიაევი და სხვ.

თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ალექსანდრე ქვეყანას, გარდა ოფიციალური მიმოწერისა, უბედობდა ყოველდღე საოლქო მართებლობის სხდომების მოწვევა, სადაც წყდებოდა ათასგვარი საკითხი, როგორც მაგ. სხვადასხვა საჩივრები, ოლქის გამგეობის საქმეები, ქრისტიანთა გადასახლება სპარსეთიდან, ქალაქის კეთილმოწყობა და სხვ. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აღ. ქვეყანის ღონისძიებები მხარის ეკონომიკის ასაღორძინებლად,

1829 წლის 18 იანვრის ეურნალში აღნიშნულია, რომ მოსმენილ იქნა სომხეთის ოლქის უფროსის გენერალ მაიორ თავად ალექსანდრე ქვეყანას შემდეგი წინადადება: „Истребовать от магальных начальников до приезда его в Эривань, сведения, в каких именно могалях**) имеется казенные места, нуждающиеся в поливе, где бы можно было сделать водопроводные каналы, и во что каждая может обайтится примерно и токовое сведение доставить к его сиятельству как можно по спешнее.“

ომის პერიოდში, ხანდიხან სტრატეგიული მოსაზრებითაც, ბევრი არხი იქნა დანგრეული, რამაც გამოიწვია ბამბისა და „ჩალტიკის“ ნათესების შემცირება.

ამავე დროს სომხეთის ოლქში სოფლის მეურნეობის ეს ორი დარგი უმთავრესი მნიშვნელობისა იყო ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებით სარდარის დროს გასუფთავებული ბამბის მოსავალი უდრიდა 80 ათას ფუტს, ფუთი ღირდა 6-7 მანეთი ვერცხლით, „ჩალტიკის“ მოსავალი იყო მილიონი მანეთის ღირებულებისა და ხორბალის — 2 მილიონი მანეთის. აქედან ვასაგებია, თუ რატომ მიაქცია ალექსანდრე ქვეყანას ასეთი დიდი ყურადღება არხების შეკეთების საქმეს.

უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მისი ბარათი მთავარმართებლის მიმართ (1828 წლის 24 ნოემბრის, თარიღით, № 1597), სადაც ლაპარაკია ენდროს გაშენების შესახებ. მოგვყავს ეს ბარათი ორიგინალში:

„Еще в июле месяце сего года просил я покойного
„господина Тифлис. Воен. Губернатора (Сипягин), предписать
„кому следует о доставлении из города Дербента

1. შალალ-ოლქი ანუ რაიონი, რომელიც ერთი მდინარის წყლით სარგებლობს.

„двух व्यоков семен марены для посеvu оной
 „в Арм. обл., а равно двух работников хорошо знающих
 „Обработка сего растения, которое
 „может принести большую пользу по удобности
 „разведения оного в сей области относительно климата
 „и почвы, в особенности если сия отрасль
 „промышленности делается общею между жителями.
 „Ныне, по получении помянутых семян за которые
 „заплачено Дербенте 90 руб. сер. и по прибытии
 „2-х работников, я немедленно приступил к рассадке
 „оных в б. Сардарском саде за Зангою, о чем
 „почтеннейше доности честь имею вашему
 „Сиятельству — не угодно ли будет утвердить
 „условия и пробы рассадки означенного растения;
 „я охотно приму все издержки по сему предмету
 „на свой счет.



Генерал-майор князь ЧАВЧАВАДЗЕ.

ეს ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სომხეთში უძველესი დროიდანვე ღებვა და სამღებრო საქმე ფართოდ იყო გავრცელებული. ბერძენ, რომელებ და სომხე ისტორიკოსთა წიგნებიდან ცნობილია სომხური საღებავი, რომელიც ენდროსაგან მზადდებოდა. ეს იყო მეტად მომგებიანი საექსპორტო საქონელი სომხეთში.

აღწერილ დროში მთავრობის განკარგულებით აკრძალული იყო ინდიგოს საღებავის შემოტანა სპარსეთიდან, რაც საფრთხეში აყენებდა სომხეთის სამღებრო სახელოსნოებს. 1829 წელს მათი რიცხვი 29-მდე აღწევდა.

ამიტომ გასაგებია ალ. ჭავჭავაძის მისწრაფება—ხელი შეეწყოს მეფურნეობის ამ დარგისათვის, თუნდაც ამისთვის მას დასჭირდებოდა „все издержки принять на свой счет“.

ოლქის გამგებლობის შეუწყვეტლად ალექსანდრე ჭავჭავაძემ ცხელი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სამხედრო მოქმედებებშიდაც. 1828 წლის გაზაფხულზე რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. სამხედრო ოპერაციები ერთდროულად სწარმოებდა, როგორც ბალკარეთში, ისე სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის ფრონტის ჯარები გუმბრში (ლენინაკანში) იყო შეგროვილი. აქედან ამ ჯარმა გაილაშქრა და ჩქარა აიღო კიდეც ყარსი. რუსების ჯარის ფრონტი იმგვარად იყო გაშლილი, რომ 1828 წლის აგვისტოში სომხ. ოლქის ტერიტორია საოპერაციო ხაზის ბოლო პუნქტში ზედებოდა და შეადგენდა მის მარცხენა ფლავს; სომხ. ოლქს უშუალოდ ემიჯნებოდა ბაიანეთის საფაშო. ალ. ჭავჭავაძის, როგორც ოლქის უფროსის ამოცანას შეადგენდა საზღვრების დაცვა მტრის თავდასხმისაგან. აგვისტოს ბოლოში ალ. ჭავჭავაძემ ბრძანება მიიღო ბაიანეთის სიმაგრის აღების შესახებ. უმნიშვნელო რაზმით, რომელიც 2 ათას კაცს არ აღემა-

ტებოდა და რომელიც სომეხთა და თურქთა ლაშქარსაც შეიცავდა, ალექსანდრემ ჩქარა აიღო კიდეც სიმაგრე და მისს სანახებში შემავალი ყაჩაღებები...

ჩქარა ამის შემდეგ ალექსანდრე ქავჭავაძემ მოახდინა მტკიცად მტკიცდელი თავდასხმა მუშჩის საფაშოზე, რაც სრული გამარჯვებით დამთავრდა. თავდასხმის მიზანი იყო სანოვაცის და პროვიანტის შეგროვება. ა. ქ. გამაგრებული იყო საფაშოში, სანამ ოსმალებს მტერს საგრძნობი დამზმარე ძალა არ მოუვიდა, შემდეგ დაიხია ბაიაზეთისკენ.

უზარმაზარი ტერიტორიის დაპყრობას სულ ორი ბატალიონით და ყოველგვარი სხვა დახმარების გარეშე ალექსანდრე ქავჭავაძისათვის თითქოს უნდა ერგუნებინა ჯილდოები, მადლობა და სხვა პატივი მთავრობისაგან. მაგრამ ასე არ მოხდა, ამ საქმეს სხვა თვალთ შეხედა მთავარმა სარდალმა პასკევიჩმა. მან დაუმსახურებელი საყვედურებით გაავსო ალ. ქავჭავაძე და წამოუყენა 10 საბრალმდებლო მუხლი „უმართებლო“ მოქმედების შესახებ. ამის საპასუხოდ ალექსანდრემ პასკევიჩს მუხლობრივათვე გაუგზავნა თავისი ახსნა გინმარტებანი. მიუხედავად ამისა 1828 წლის ნოემბერში ალექსანდრე ქავჭავაძე იძულებული გახდა თავისი რაზმი სხვა გენერლისათვის ჩაეხარებინა და თავის თანამდებობას—სომხ. ოლქის უფროსობას დაბრუნებოდა. მაგრამ შარიანმა პასკევიჩმა არც აქ მოასვენა იგი. მან გამოუგზავნა მას განკარგულება ეკისრა ერთი საჩოთირო საქმე: ყოფილიყო შუამავალი პოლკოვნიკ რაევსკის მიერ (რომელიც აგრეთვე გახდა მსხვერპლი პასკევიჩის რისხვისა) ნიჟეგოროდის პოლკის გადაბარების დროს და ემოქმედნა „უმკაცრესად“. როგორც სჩანს, ალ. ქავჭავაძემ არ მოისურვა ასეთი როლის შესრულება და შეიტანა პატაკი ავადმყოფობის შესახებ. ამან ძალიან განარისხა პასკევიჩი. „Я понуждаюсь,—სწერდა იგი ალ. ქავჭავაძეს,—Заметить что Вы неохотно исполняете долг свой и найдусь в необходимости представить Государю Императору об удалении Вас от службы, как бесполезного чиновника.“

უალრესად შეურაცყოფილმა ალექს. ქავჭავაძემ არ მოუცადა პასკევიჩის „წარდგენას“ და თითონ ითხოვა სამხუროდან განთავისუფლება.

პასკევიჩმა საჩქაროდ გაავგზავნა ზევით მისი შუამდგომლობა, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ არ ისურვა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. „Государь Император,—სწერდა ამის შესახებ სამხედრო მინისტრი,—не из'явил высачайшего соизволения на увольнение от службы сего отличного генерала; но если ему нужно провести несколько времени на свободе для поправления здоровья или домашних дел, то сего Величество увольняет его в отпуск на такой срок, какой ему нужен“.

ალ. ქავჭავაძემ ისარგებლა ამით და 1829 წლის თებერვალში გაემგზავრა ტფილისისაკენ.

სომხეთის საოლქო მართებლობის „საქმეებში“ შენახულია აგრეთვე ერთი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ალექსანდრე ქავჭავაძის დამოკიდებულებას გლეხებისადმი.

1829 წლის 2 იანვარს სხვა საქმეებთან ერთად გარჩეულა აგრეთვე შემდეგი:

„Отставной подпоручик Ив. Гарсеванов, по доверенности И. И. Сидорова кн. Дмитрия Багратиона, 17 марта 1826 г. просит Суда и Расправы совершить купчую крепость на крестьян жительствующих в г. Тифлисе—Датия Нонияшвили с женою Саррою и братом Симоном Нонияшвили, проданных г. полковнику кн. Алекс. Iавчавадзе за 500 руб. ассигнациями.“ სხდომაზე გამოიკვეთა: პირობაში ნათქვამი იყო, რომ ა. ჭავჭავაძე ყიდულობს გლეხებს, თუ ამ საქმეზე დავა არ ატყდება. მაგრამ გლეხებმა საჩივარი აღძრეს,—ჩვენ არასოდეს არ ვეკუთვნოდით ბაგრატიონს და გარჩევა უმართებლოდ არის მომზადარი. ამ მიზეზით აღ. ჭავჭავაძემ უარი სთქვა ყიდვაზე.

აღ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესახებ გლეხებთან გაკვრით ლაპარაკობს აგრეთვე ტუილისში მყოფი საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც სტუმრად ყოფილა წინანდალში და თავის საინტერესო „მოგზაურობაში“ გვიამბებს იმ შთაბეჭდილებათა შესახებ, რომელიც მან მიიღო ამ სტუმრობიდან. გამბას აწერილი აქვს აღ. ჭავჭავაძის სასახლე, რომელსაც იგი „ნამდვილ საწყაულს“ უწოდებს და ამბობს, რომ იგი „ყველაფრით მოგვაგონებს ვეროპის სასახლეებს“, თავისი მოწყობილობით შეხაბემულს ადგილობრივ ჰავესთან.

გამბამ აღწერა აგრეთვე აღ. ჭავჭავაძის მეურნეობაც.

„თავადი ჭავჭავაძე,—სწერს კონსული გამბა,—გულმოდგინეთ ეწევა მევენახეობასა და ღვინის დამზადებას. ეს არის მისი შემოსავლის უმთავრესი წყარო—კარგი მოსავლის დროს მას მოდის 30 ათას თუნჯ ღვინომდე (1 ვედრო უდრის 3 თუნჯს). ჭავჭავაძეს პურის ყანებიც მოეპოება და მეზობლად მცხოვრებ ლეკების მსგავსად, მისი გლეხებიც, რიცხვით 1500 სულამდე წარმატებით იწყებენ თუთის ხის გაშენებისა და აბრეშუმის ჭიის მოვლას...

მის მიწებს ამუშავენ მისივე გლეხები და ცოტაოდენი იმერლებიც. პირველნი ვალდებულნი არიან კვირაში ერთი დღე ბატონისათვის იმუშაონ. დანარჩენ დღეებს გლეხები თავისთავს მუშაობენ ბატონის მიერ იჯარით მიცემულ მიწებზე, რისთვისაც ბატონს მოსავლის ერთ მეშვიდედ ნაწილს უხდიან, მაშინ, როდესაც გამოსაღების ერთისა და იმავე სისტემის მიუხედავად რუსი ყმაგლეხები თავისი ბატონებისათვის კვირაში 3 დღეს მუშაობენ.

თავადი ჭავჭავაძე თავის მოჯამაგირეებს წელიწადში უხდის 30 მანეთს ვერცხლით და აძლევს საჩრთს. იმერლებს 20 მანეთზე მეტს არ აძლევს, რაგინდ კარგი მუშებიც იყვენ ისინი. მიუხედავად ამისა თავადი იმერლებს შორის მრავლად შოულობს მოჯამაგირეებს. თუმცა მას შემდეგ, რაც სამეგრელოსა და იმერეთის შემამულეებმა საჩივარი აღძრეს თავისი გლეხების ხშირი გაქცევის შესახებ, იმერლებს საქართველოში უკვე აღარ იღებენ. ასეთი ზომები გამოიწვეულია შიშით, რომ ეს ორი პროვინცია, ჯერ კიდევ დღესაც ასე სუსტად დასახლებული, სრულიად არ დაეცალოს და გაუქცარიელდეს...”

ასეთია ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ.

შინაარსი № 6—7-ისა



მხატვრული ლიტერატურა

ბ. ჩიქოვანი—გაზაფხულის და ყოფის აღწერა (ლექსები)	383
ირ. სონღულაშვილი—ნაანდერძევი—(მოთხრობა)	6
ვარ. რუხაძე—ეს მაშინ მოხდა (ლექსი)	42
პ. ჩხიკვაძე—ნაბრკები. ტრილოგია (დასასრული)	43
გ. ბააზოვი—ფუხაინი. რომანი (გაგრძელება)	97
საფო მგელაძე—გზა და გზა. რომანი (გაგრძელება)	122
გ. კაპახიძე—მგზავრობა ორის (ლექსი)	143
გ. ქუჩიშვილის მიერ თარგმნილი—დეკაბრისტების ლექსები: რილე-ევი, პუშკინი, ოდოევსკი	147
კ. გამახაურდია—გოეტეს ცხოვრების რომანი (გაგრძელება)	152

ლიტერატურული წარსულიდან

კოკი აბაშიძე—აკაკი წერეთელი (ნაწივებები მოგონებიდან)	162
რაქაძე კალაძე—ე. ნინოშვილის ცხოვრებიდან (92-93 წ. წ. მოგონებანი) დასასრული	181

ადამიანები და ფაქტები

ბ. ბიბინიშვილი—კამო (დასასრული)	204
დამატებითი პროგნოზები	
გ. ნატროშვილი—შესაძლებელია თუ არა სოციალისტური ტრეგედია?	238

კრიტიკა და კვალიფიკაცია

ალ. ჩავლეიშვილი—ხელოვნების „ორიგინალური“ ელემენტური თეორიის შესახებ	258
აკ. გაწერელია—პლატონ იოსელიანი	274
ბ. იორდანიშვილი—რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ	—

კულტურის მართვა

თ. ხაზოკია—კლარა ცეტკინი—მოგონება	314
თ. ხაზოკია—ალ. ჯაბაძარი—ნეკროლოგი	319
გ. ენაკლოფაშვილი—ახალი მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ	321

შეცთომის გასწორება

237 გვ. 1 აბზაცის მე-8 სტ. სწერია: ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ შეუძლებელი ტრეგედია იყო უმითოსოდ არსებულად. უნდა იყოს: ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ შეუძლებელი იყო ტრეგედია უმითოსოდ არსებულად. 239 გვ. მე-7 სტ. ზევიდან—რომ იმით ლაპარაკით კი შეუძლია. უნდა იყოს: რომ მათ ლაპარაკით კი შეუძლიათ. 239 გვ. 1 აბზაცის 14-15 სტ.—იუპიტერის მებრძოლის. უნდა იყოს: იუპიტერის მებრძოლის. 240 გვ. 9 სტ.—მითოსი ვერ შესძლებს არსებობისას სელფაქტორის... უნდა იყოს: მითოსი ვერ შესძლებს არსებობას სელფაქტორის...